ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

# შრომები

II

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Institute of Georgian History

# Proceedings

II

გამომცემლობა „მერიდიანი“, Meridian Publishers

თბილისი, Tbilisi

2011

შინაარსი

CONTENTS


**მარიამ ლორთქიფანიძე,** რამდენიმე მოგონება ივანე ჯავახიშვილზე

**როლანდ თოფჩიშვილი,** „კავკასიური ცივილიზაციის“ შესახებ

**Roland Topchchishvili,** About “Caucasian Civilization” (Summary)

**მარიკა მშვილდაძე,** დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქების მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების საკითხისათვის ახ. წ. I-IV საუკუნეებში. (გლიპტიკური მასალის მიხედვით. პიტიუნტი)

**Marika Mshvildadze**, Towards the Question of Confesional Belongings of the Eastern Black Sea Littoral Urban Population in the 1st - 4th cc. (According to the Glyptics. Pityus) (Summary)

**აკაკი ჩიქობავა,** „ფეოდალური რევოლუცია“ VIII-IX საუკუნეების საქართველოში და მისი განვითარების ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები

**Akaki Chikobava,** “Feudal Revolution” in the 8th-9th cc. Georgia and the Historical-Geographical Issues of Its Development (Summary)

**ნინო სილაგაძე,** მოქვის ტაძრის გვერდითი ნავების და ქოროების არქიტექტურული ფორმის საკითხისათვის

**Nino Silagadze,** Towards Question of the Architectural Forms of Mokvi Church Aisles and Gallery (Summary)

**გიორგი ოთხმეზური,** ნიაბის წარწერები

**Giorgi Otkhmezuri,** Niabi Inscriptions (Summary)

**ჯაბა სამუშია,** ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყვეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი

**Jaba Samushia,** Bagrat IV's Three Year of Captivity in Constantinople and Peace Treaty of Georgia-Byzantium in 1055 (Summary)

**ლერი თავაძე,** სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში

**Leri Tavadze,** The Title of Sebastos in Medieval Georgian Political Reality (Summary)

**ეკა კვირკველია,** სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) ერთი მინაწერის შესახებ

**Eka Kvirkvelia**, About One Colophon of the Gospel's Oshki Manuscript (Athon 62) (Summary)

**ნესტან ბაგაური,** გაბრასები – მცირეაზიელი ტოპარხები (ტენდენცია და ანალოგიები)

**Nestan Bagauri,** The Gabrades: the Anatolian Toparchoi. Trend and Analogies (Summary)

**მიხეილ ბახტაძე,** კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ

**Mikheil Bakhtadze,** Once More Again About the Date of Queen Tamar's Death (Summary)

**ანდრო გოგოლაძე, გიორგი ჟუჟუნაშვილი,** ტახტის მემკვიდრეობის საკითხისათვის საქართველოში

**Andro Gogoladze, Giorgi Zhuzhunashvili**, About the Order of Succession to the Royal Throne In Georgia (Summary)

**გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა,** XV საუკუნის ქართული მონეტები

**Giorgi Dundua, Tedo Dundua**, The 15th c. Georgian Coins (Summary)

**ალექსანდრე ბოშიშვილი,** „ოსმალობის" გავლენა სოლაღაშვილების სამფლობელო სოფლების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე (1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერისა და 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით)

**Alexander Boshishvili**, Influence of the Ottoman Rule over Demographic Situation in Solaghashvili House Estates (According to Census of Kvemo Kartli in 1721 and the Great Defter of Tbilisi Vilayet of 1728) (Summary)

**აპოლონ თაბუაშვილი**, სტატისტიკური ცნობები XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლის მოსახლეობის შესახებ (ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მიხედვით)

**Apolon Tabuashvili**, Statistic Accounts About Population of Kartli in the 2nd half of the 18th c. (According to Personal Archive of Ivane Javakhishvili) (Summary)

**ნიკო ჯავახიშვილი,** პირველი ქართველი ჰერალდიკოსი და ნუმიზმატი მეფე

**Niko Javakhishvili**, First Georgian Heraldist and Numismat King (Summary)

**ქეთევან ნადირაძე,** მეფე ერეკლეს მესაიდუმლე – მირზა გურგინა

**Ketevan Nadiradze,** Mirza Gurgina – Confidant of King Erekle (Summary)

**ვლადიმერ კეკელია**, XIX საუკუნის უცნობი ქრონიკა A-439 ხელნაწერის საცავი ფურცლებიდან

**Vladimer** Kekelia, About Unknown Chronicle of the 19th c. from the Forzatz Leaf of A-439 Manuscript (Summary)

**ქეთევან პავლიაშვილი,** წმინდა ნინოს ბოდბეს დედათა მონასტრის იღუმენია ნინო ვაჩნაძე და მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ეპოქა (XIX საუკუნის 70-იანი - XX საუკუნის 20-იანი წლები)

**Ketevan Pavliashvili,** The Life of Nino Vachnadze – the Mother Superior of Saint Nino’s Nunnery in Bodbe (1870’s – 1920’s) (Summary)

**დიმიტრი შველიძე**, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია „რევოლუციის ლიკვიდაციის“ პერიოდში (1907-1910 წწ.)

**Dimitri Shvelidze**, The Socialist-Federalist Party in the Period of "Liquidation of Revolution" (1907-1910) (Summary)

**ოთარ ჯანელიძე, გოჩა მამაცაშვილი,** მოკავშირეთა არმია კავკასიაში და საქართველოს დამფუძნებელი კრება

**Otar Janelidze, Gocha Mamatsashvili**, Allied Army in The Caucasus and The Constituent Assembly of Georgia (Summary)

**დიმიტრი სილაქაძე,** დეზერტირობის პრობლემა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) რეგულარულ არმიაში

**Dimitri Silakadze**, Problem of Desertion in the Regular Army of the First Democratic Republic of Georgia (1918-1921) (Summary)

**ქეთევან გოჩიტაშვილი,** შემეცნებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართულში

**Ketevan Gochitashvili**, Georgian Idioms Expressing the Cognition and Related to it Processes (Summary)

საერთაშორისო პრეზენტაცია

International Conferences

**Elene Gogiaschwili**, Georgien in der abendländischen Reiseliteratur des 17.-19. Jahrhunderts

**Tedo Dundua**, Gaius the Iberian – First ever recorded Georgian to be baptized

**Mariam Chkhartishvili**, Molding of Nationalist Ideology and Printed Media: Georgian case study

**გიორგი ქუჯუნაშვილი,** ქართველები სარიყამიშის ბრძოლაში

რეცენზია

**თედო დუნდუა,** რეცენზია სურენ აივაზიანის ნაშრომზე – „სომხეთის ისტორიული რუკების ატლასი“ (С. Айвазян. Исторические карты Армении. Атлас. Ред. С.Еремян. Ереван. 2003)

**მარიკა ჯიქია,** ქართული თურქოლოგიის ახალი ფურცელი

**გიორგი**
**ჟუჟუნაშვილი,** რეცენზია აპოლონ თაბუაშვილის ნაშრომზე – „ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის“. თბ. 2010

**ქეთევან ნადირაძე,** დროული წიგნი

**ქეთევან მანია, ნატო სონღულაშვილი,** რეცენზია ჟურნალზე – „ქართული წყაროთმცოდნეობა“. XII. თბილისი.
2010. გამომცემლობა "უნივერსალი". რედ. გიული ალასანია, მარიამ ჩხარტიშვილი

**დიმიტრი შველიძე,** ახალი სამეცნიერო-
საისტორიო ჟურნალი (საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების“ გამოქვეყნების გამო)

პოლემიკა

**მერაბ კალანდაძე,** ივანე ჯავახიშვილის ისტორიის ფილოსოფიური ძიებების შესწავლა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში

**ჯაბა სამუშია,** კიდევ ერთხელ თამარ მეფის საფლავის შესახებ

ქრონიკა

**ლერი თავაძე,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების პირველი ტომის პრეზენტაცია

ხსოვნა

ვალერი სილოგავას გამოსათხოვარი

უაკ(UDC)94(479.22)

ს–323



| რედაქტორები: | **Editors**: |
|---|---|
| თედო დუნდუა | Tedo Dundua |
| მარიამ ჩხარტიშვილი | Mariam Chkhartishvili |
| ალექსანდრე ბოშიშვილი | Alexander Boshishvili |
| | |
| **სარედაქციო კოლეგია:** | **Editorial Board:** |
| მარიამ ლორთქიფანიძე | Mariam Lordkipanidze |
| გიული ალასანია | Giuli Alasania |
| თეიმურაზ პაპასქირი | Teimuraz Papaskiri |
| აპოლონ თაბუაშვილი | Apolon Tabuashvili |
| ქეთევან გოჩიტაშვილი | Ketevan Gochitashvili |
| ლერი თავაძე | Leri Tavadze |
| ანდრო გოგოლაძე | Andro Gogoladze |
| გიორგი ჟუჟუნაშვილი | Giorgi Zhuzhunashvili |
| შალვა გლოველი | Shalva Gloveli |



რედაქტორები, სარედაქციო კოლეგია და ავტორები მადლობას უხდიან ქალაქ თბილისის საკრებულოს და თსუ პროფესიულ კავშირს ნომრის გამოსაცემად გაწეული ფინანსური დახმარებისთვის.

© ტექსტი – ავტორები, 2011

© შედგენა – თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი 2011

ISSN 1987–9970

*მარიამ ლორთქიფანიძე*

## რამდენიმე მოგონება ივანე ჯავახიშვილზე

1939 წლის პირველ სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის რამდენიმე სტუდენტმა (ოთარ ჯაფარიძე, შემდეგში ცნობილი ქართველი არქეოლოგი, წლების მანძილზე ამ უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე, გივი კილურაძე, აგრეთვე იმავე უნივერსიტეტის ევროპის ისტორიის კათედრის გამგე წლების მანძირზე, მე...) დავიწყეთ ცხრილში ივ. ჯავახიშვილის ლექციების ძებნა და ვერ აღმოვაჩინეთ (ივ. ჯავახიშვილი იმ დროს ისტორიის ფაკულტეტზე ლექციებს III კურსიდან იწყებდა), მაგრამ მივაკვლიეთ, რომ ის იურისტებს უკითხავდა ლექციებს სამართლის ისტორიაში, მივედით და ვთხოვეთ სტუდენტებს დაერთოთ ჩვენთვის ამ ლექციებზე დასწრების უფლება.

ბ-ნი ივანე შემობრძანდებოდა ხელში დიდი შავი პორტფელით, ამოალაგებდა ბარათების დასტას ამონაწერებით სამართლის ძეგლებიდან (ბაგრატის, ბექა-აღბუღას, ვახტანგის თუ სხვა) და შემდეგ ვრცლად განიხილავდა მათ მონაცემებს, ან ჯერ წარმოადგენდა დებულებას, რომელსაც შემდეგ ასაბუთებდა სამართლის ძეგლების მონაცემებზე დაყრდნობით. მართალია, ჩვენ ქართული სამართლის ისტორიის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდით, ზოგი რამის გაგება გვიჭირდა, მაგრამ ლექციებს დიდი ინტერესით ვისმენდით. ბ-ნი ივანე ლექციების შემდეგ იტოვებდა რამდენიმე წუთს შეკითხვებისთვის. სტუდენტებს ძალიან საინტერესო შეკითხვები ჰქონდათ, არა მხოლოდ ქართული სამართლის, არამედ, საერთოდ, სამართლის ისტორიიდან, რაზეც ივ. ჯავახიშვილი ამომწურავ პასუხებს იძლეოდა, ხანდახან მსჯელობა შესვენების დროსაც გრძელდებოდა. ივ. ჯავახიშვილის თხოვნით, შეკითხვებს

წერილობითი ფორმით აძლევდნენ და ის მათ ხმამაღლა კითხულობდა. ერთხელ მან მიიღო ასეთი შეკითხვა: სტალინური მოძღვრების თანახმად, ქართველები ერად XIX საუკუნის 60-იან წლებში ყალიბდებიან, თქვენ კი საიდან იწყებთ ქართველი ერის ისტორიასო. აუდიტორიაში სამარისებული სიჩუმეა. ივ. ჯავახიშვილმა მიღებული წერილი წვრილად დახია, მერხზე დაყარა, ჩააწყო პორტფელში თავისი საბუთები და უხმოდ გავიდა. გამოვედით ჩვენც, აგვიტყდა მე და ჩემს მეგობრებს კამათი, რატომ არ გასცა პასუხი. ბიჭები ამბობდნენ, რომ ეს იყო ყველაზე სწორი პასუხი, მე აღშფოთებული ვიყავი, რატომ არ უპასუხა, მე გვიან მივხვდი, რომ ჩემი მეგობრები მართლები იყვნენ – ეს იყო ერთადერთი სწორი პასუხი. შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ვეკითხებოდით, დააპატიმრებდნენ ივანე ჯავახიშვილს, გააგდებდნენ უნივერსიტეტიდან? (ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო მაშინ), მაგრამ ამ დროს ივანე ჯავახიშვილი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იყო, მომხდარზე რეაგირების შესახებ არაფერი გაგვიგია ლექციები ჩვეულებრივ გრძელდებოდა.

განსაკუთრებული იყო საზოგადოების დამოკიდებულება ჩვენი უნივერსიტეტის და პირადად ივანე ჯავახიშვილისადმი. ოჯახში არაერთგზის გამიგონია: ვანო ჯავახიშვილმა ეს სთქვა, ეს გააკეთა. უნივერსიტეტის პირდაპირ მეორე მხარეს იყო საკმაოდ მოზრდილი მინდორი, სადაც მამას ხანდახან მე და ჩემი ძმა მოვყავდით, მოგვქონდა ბურთი, პატარა კალათი, საუზმე. როდესაც უნივერსიტეტს მივუახლოვდებოდით, მამა, თუ ქუდი ეხურა, აუცილებლად მოიხდიდა, თუ არა, თავს დახრიდა და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია. ის მოსკოვის რომელიღაც ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. მაშინ მე ამას ვერ გავაცნობიერებდი, გვიან მივხვდი, რომ ეს იყო იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის დამოკიდებულება უნივერსიტეტისა და მისი დამაარსებლისადმი.

როგორც ცნობილია, ის მოხსენების კითხვის დროს გარდაიცვალა ხელოვნების მუშაკთა სახლში, სოლოლაკში. საღამო ხანს დედა მეუბნება, წავედით, გარდაიცვალა ვანო ჯავახიშვილი, ჩვენ ვერაზე

ვცხოვრობდით, საიდან გაიგო, არ ვიცი. დაახლოებით ზემელს რომ მივუახლოვდით, ქუჩაში ხალხი იყო გამოსული და გარინდებული იდგა. დასაფლავების დღეს მე და ჩემი მეგობარი და კურსელი ნიკო ქანთარია, გამოსვენებამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე, წავედით, გვეგონა, დროზე მივიდოდით, ჩვენ ახლოს, იქვე, ვერაზე ვცხოვრობდით, მაგრამ წყნეთის ქუჩა ასევე ხალხით იყო გავსებული, სრული სიჩუმე სუფევდა. დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ უნივერსიტეტის ეზოს ღობემდე. გამოასვენეს მიცვალებული და ირგვლივ ქვითინი ატყდა, ხმამაღლა ტიროდნენ ხანში შესული ქალები და მამაკაცები, ტიროდნენ ახალგაზრდებიც, ვტიროდით ჩვენც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში დაიწყო ბრძოლა ჩვენი უნივერსიტეტის და ძირითადად ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ. 1925 წელს ივანე ჯავახიშვილი გამოვიდა მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ, რომელიც უნივერსიტეტის ავტონომიას აუქმებდა, 1926 წელს ის გადააყენეს რექტორობიდან.

30-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაიწყო ბრძოლა ძველი პროფესურის წინააღმდეგ, და 1931 წელს მას დაატოვებინეს უნივერსიტეტი ე.წ. „კონდრატიევშჩინას“ მავნებელთა ჯგუფის თანამოაზრეობის ბრალდებით. 1933 წელს აღადგინეს უნივერსიტეტში საქართველოს ძველი ისტორიის კათედრის გამგედ.

1930 და 1936 წელს უნივერსიტეტში ორჯერ მოეწყო „სამსჯავრო“ უნივერსიტეტში მოღვაწე იმ პროფესურის წინააღმდეგ, რომელთაც ბრალად ძველი ნაციონალისტურ პოზიციებზე დგომა ედებოდათ, რომელთაც ვერ შეძლეს მოწინავე საბჭოურ იდეოლოგიაზე გადასვლა. ორივე სხდომაზე კრიტიკის მთავარი ობიექტი ისტორიკოსები, განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილი და მისი მოწაფეები, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი იყვნენ.

1930 წელს მომხსენებელი იყო უნივერსიტეტის რექტორი ივ. ვაშაყმაძე, ხოლო 1936 წელს კ. ორაგველიძე (შემდეგ ორივე დახვრეტილ იქნა).

ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი წინაშე რთული ამოცანა იდგა:

მათ უნდა გადაერჩინათ სკოლა, პირადად ივანე ჯავახიშვილი და გადაერჩინათ საკუთარი თავი.

ივანე ჯავახიშვილის ამ სამსჯავროს შესახებ ქართულ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო და შეიძლება ითქვას, ახლაც გრძელდება, ამტყუნებდნენ ივანე ჯავახიშვილის მოწაფეებს, განსაკუთრებით ს. ჯანაშიას, რომ ისინი გაემიჯნენ თავის მასწავლებელს, თვით ივანე ჯავახიშვილი თავის მეგობარს გულისტკივილით წერს, რომ ის არც მისმა მოწაფეებმა დაინდეს. მე მახსოვს 1936 წლის სხდომა და მასთან დაკავშირებული მსჯელობა ჩვენს ოჯახში. მამაჩემი და დედაჩემის მამიდაშვილი ცნობილი იურისტი კოკი აბაშიძე (რომელიც შემდეგ დახვრიტეს) საუბრობდნენ და კოკი აბაშიძემ თქვა, რომ მას უთხრა იმ სხდომის ერთმა მონაწილემ, პიროვნებამ, რომელსაც ის ენდობოდა, რომ კრებიდან გამოსული ხმები განსაკუთრებით მძიმე ბრალდებას უყენებდნენ სიმონ ჯანაშიას, ალბათ იმიტომ რომ, ან ს. ჯანაშიას პირადმა მტრებმა გამოიტანეს ასეთი ამბავი და მიუტანეს ივ. ჯავახიშვილს, ან სიმონ ჯანაშიასგან ყველაზე მეტს მოითხოვდნენ.

2004 წელს გამოქვეყნდა ამ ორი სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე", დოკუმენტები და მასალების შემდგენლები: ვახტანგ გურული და მერაბ ვაჩნაძე. მთავარი ბრალდება, რომელსაც ივანე ჯავახიშვილს უყენებდნენ ისაა, რომ მისი რექტორობის დროს უნივერსიტეტში არ წაკითხულა მარქსისტული თვალსაზრისის არც ერთი მოხსენება, რომ ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი, ივანე ჯავახიშვილი ძველი ფეოდალური ნაციონალისტური იდეოლოგიის წარმომადგენელია (მით. გამ. გვ. 38-39) მართალია, ივ. ჯავახიშვილს დამსახურებად უთვლიდნენ საქართველოს ისტორიის რიგი ფაქტების გამომზეურებას, შეგროვებას, მაგრამ აღნიშნავდნენ, რომ ისტორიული ფაქტების ჩამოყალიბება შეუძლებელია კვლევის მარქსისტული მეთოდების გამოყენების გარეშე, რომ ჯავახიშვილი არ იცნობდა კლასთა ბრძოლის თეორიას, არასწორად ესმის სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი, ამართლებს ფეოდალურ ექსპლოატაციას და სხვა. ვაშაყმაძე თავის ბოლო

შემაჯამებელ გამოსვლაში აღნიშნავს, რომ აქ გამომსვლელები (ასეთები კი მრავლად იყვნენ) ივ. ჯავახიშვილს ახასიათებენ როგორც რეაქციონერს. ის არის ძველი, ფეოდალიზმის წარმომადგენელი, ბრძანებს ვაშაყმაძე, რომელიც ვერ გამოზრდის ახალგაზრდებს სოციალისტური მშენებლობისთვის, რომ გამომსვლელთა ნაწილი აღნიშნავს, რომ პატივს სცემენ ივ. ჯავახიშვილს როგორც მეცნიერს, მაგრამ არ იზიარებენ მის მეთოდს. ასეთი განცხადებები მას მიაჩნია პოლიტიკური ფრაქციის არსებების საბუთად, რომ ჯავახიშვილი და მისი მომხრეები მე-17 საუკუნეში უნდა იყვნენ გადასროლილნი და რომ მათი კრიტიკა არ არის ძნელი, ის აღნიშნავს, რომ ეს არის პროფესორებში არსებული ნაციონალისტური დაჯგუფება, რომ ეს არის ტროცკიზმი, რომელიც იყო ჩვენს პარტიაში, იმ კავშირში, რომელიც ახასიათებს მის მოწაფეებს, რომელნიც იცავენ ივ. ჯავახიშვილს და რომ მისი მოწაფეები აქ შეთქმულები გამოვიდნენ (გვ. 106), რომ არც ერთმა მათგანმა არ მოგვცა დამაკმაყოფილებელი პასუხები კითხვაზე ჯავახიშვილის დაჯგუფებისადმი დამოკიდებულების შესახებ (გვ. 107). რექტორმა განსაკუთრებით მკაცრად გაილაშქრა კომუნისტური პარტიის წევრის ხუნდაძის (?) წინააღმდეგ, რომელმაც ერთი სიტყვაც არ სთქვა მემარჯვენე პროფესურაზე. არაფერი სთქვა ივანე ჯავახიშვილზე, რომელიც მეთაურობს ერთიან ჯგუფს, რექტორმა ბრძანა, რომ ეს არის ტროცკიზმი ჩვენს პარტიაში, იმ კავშირშიც, რომელიც ახასიათებს იმ მოწაფეებს, რომელნიც გამოვიდნენ აქ და დაიცვეს ივანე ჯავახიშვილი (გვ. 104).

რექტორმა კ. ორაგველიძემ თავის საბოლოო გამოსვლაში განსაკუთრებით გააკრიტიკა ს. ჯანაშია, რომელმაც ვერ შეაფასა ჯავახიშვილის მეთოდოლოგია, რომ მას არა აქვს სწორი წარმოდგენა ჯავახიშვილის მეთოდოლოგიაზე (გვ. 304). მართალია, ზოგი გამომსვლელი ცდილობდა ივ. ჯავახიშვილის დაცვას, მაგრამ დამსწრეთა შორის მრავლად იყვნენ მასწავლებლებიც და სტუდენტებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ რექტორს. ასეთი მძიმე ბრალდებების ვითარებაში უხდებოდათ გამოსვლა ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს. სტენოგრაფიულ ჩანაწერებში მათი გამოსვლები რამდენჯერმეა დაფიქსირებული. ერთ-ერთ

გამოსვლაში ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ ივანე ჯავახიშვილის დამსახურება მხოლოდ საქართველოს ისტორიის ახალი ფაქტების შეკრებით და გამომჟღავნებით არ განისაზღვრება, რომ ჯავახიშვილს აქვს თავისი მეთოდოლოგია, თეორია, დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის მრავალი პრობლემისადმი, ისტორიული მოვლენების შეფასება, შეიძლება ზოგ რამეში არ დაეთანხმო, მაგრამ ის მოვლენებს ისტორიული პროცესის განვითარებაში განიხილავს. ის არის დიდი მეცნიერი, ბრძანებს ნ. ბერძენიშვილი, რომელმაც მნიშვნელოვნად წასწია წინ საქართველოს ისტორიის შესწავლა. ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ ის იზიარებს გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ ჯავახიშვილი არის ნაციონალისტი, მაგრამ რომ ის არის მიმდევარი იმ ნაციონალიზმისა, რომელიც წინარევოლუციური საქართველოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა და რომელიც დამახასიათებელია იმ საზოგადოებრივი წრისათვის, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ეკუთნოდა და რომლის მეთაურად მას ილია ჭავჭავაძე მიაჩნია, რომ ივანე ჯავახიშვილი იყო პატრიოტი და ილია ჭავჭავაძის საქმის გამგრძელებელი საქართველოში. პროფ. ჯავახიშვილის შემოქმედება ჩვენი, ახალგაზრდებისთვის, არის მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც მან უნდა შეითვისოს დაძლევისა და კრიტიკული ათვისების გზით (გვ. 220). ამასთანავე ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი კატეგორიულად უარყოფდნენ მათ რაღაც „ჯგუფის“ წევრებად გამოცხადებას. ნ. ბერძენიშვილი გაკვირვებით კითხულობს, რომ მან თვითონ არ იცის, თუ რომელ დაჯგუფებაშია, არ იცის რომელ დაჯგუფებაში მოათავსა ივ. ვაშაყმაძემ.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ალბათ, არსებობდა ანტისაბჭოური ჯგუფები და მთავრობა მათ ისე უმასპინძლდებოდა, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, იყო მცდელობა ხელოვნურად შეეკოწიწებინათ „ანტისაბჭოური ჯგუფები“, რათა თავიდან მოეშორებინათ მათთვის არასასურველი პირები.

როგორც გამოქვეყნებული მასალებიდან აშკარად ჩანს, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი, რომელნიც მაღალ შეფასებას აძლევენ ივ. ჯავახიშვილს, როგორც მეცნიერს, არ ემიჯნებიან მას, როგორც მას-

წავლებელს, კატეგორიულად უარს ამბობენ იმ რაღაც ანტისახელმწიფოებრივ ჯგუფების წევრობაზე, რომლის ხელმძღვანელობასაც ივ. ჯავახიშვილს აბრალებდნენ, და სხდომებიდან გამოტანილი არასწორი, არ არის გამორიცხული შეგნებურად დამახინჯებული, ინფორმაციის საფუძველზე მის მოწაფეებს მასწავლებლის ღალატი დასწამეს.

მაგრამ მალე ხელისუფლების დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილისადმი კარდინალურად შეიცვალა.

1937 წელს ის დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიიის განყოფილების გამგედ, იმავე წელს შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმის დირექტორად, 1938 წელს – მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელად, 1938 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. 1939 წელს – სსრკ მეცნიერებათ აკადემიის აკადემიკოსად.

ოფიციალურად არ არის ცნობილი, თუ რატომ მოხდა ცვლილება ივ. ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულებაში. ქართულ საზოგადოებაში არსებობს, აზრი რომ ივ. ჯავახიშვილის შესახებ ცნობა სტალინს მიაწოდა ალექსანდრე სვანიძემ, რომელიც დიდად აფასებდა ივ. ჯავახიშვილს. ალ. სვანიძე იყო სტალინის გარდაცვლილი მეუღლის ძმა, ძველი რევოლუციონერი, გამოჩენილი მეცნიერი, ჟურნალის «Вестник древней истории»-ს ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი, გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი ნაშრომები, მათ შორის ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ. ცნობილი იყო, რომ სტალინი მას პატივს სცემდა, (თუმცა 1942 წელს ის რეპრესირებულ იყო). მოსაზრებას ალ. სვანიძის როლის შესახებ ივ. ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულების შეცვლაში მხარს უჭერს ივ. ჯავახიშვილისა და ალ. სვანიძეს შორის არსებული მიმოწერა.

ბუნებრივია, ივ. ჯავახიშვილისათვის მიწოდებულმა ცნობამ დაძაბა ურთიერთობა მასსა და ს. ჯანაშიას შორის, რასაც, როგორც ერთხელ ბ-ნ სიმონის მეუღლემ ქ-მა მართამ მითხრა, ის ძალიან განიცდი-

და. მაგრამ 1938 წელს ეს ურთიერთობა აღდგა. 1938 წლის ზაფხულში ს. ჯანაშია ოჯახთან ერთად ისვენებდა კიკეთში, იქვე, კიკეთში ისვენებდა ივ. ჯავახიშვილი თავის ოჯახთან ერთად. მოულოდნელად ის თავის ოჯახის წევრებთან ერთად ეწვია ს. ჯანაშიას. რა მოხდა 1936 და 1938 წლებს შორის. შესაძლებელია, ეს იყო ივ. ჯავახიშვილის დიდბუნებობის შედეგი, მაგრამ, ამასთან, ჩნდება აზრი, 1938 წელს ივ. ჯავახიშვილი, უზენაესი საბჭოს დეპუტატია და იქნებ მაშინ მას უფლება მიეცა გაცნობოდა არქივში საიდუმლოდ დაცულ მასალებს და მისთვის ცნობილი გახდა, როგორ ახასიათებდნენ მას მისი მოწაფეები, საკუთრივ სიმონ ჯანაშია, რას გაემიჯნენ ისინი, კარგად მიხვდა, თუ რისი დაბრალებაც სურდათ მათთვის. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი, ჰქონდათ თუ არა მათ ერთმანეთთან ამ საკითხზე საუბარი.

1976 წელს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლის იუბილის აღნიშვნა გადაწყდა. მოწვეულ იყვნენ სტუმრები, მათ შორის უცხოელებიც. თბილისში ჩატარებული ღონისძიებათა შემდეგ, რაც ძალიან ფართოდ აღინიშნა, გავემგზავრეთ ხოვლეში, ივ. ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელში, სადაც მის სახლ-მუზეუმში გრძელდებოდა იუბილის აღნიშვნა. თბილისიდან გასვლის შემდეგ გზაზე გამოსული იყო ხალხი ყვავილებით, მთელი გზა ტაშს გვიკრავდნენ თუ სადმე შევჩერდებოდით, მოდიოდნენ მანქანებთან, ყვავილებს, ხილს გვაწვდიდნენ. მე მანქანაში ვიყავი ცნობილი ბულგარელი მეცნიერის, ხელოვნებათმცოდნე, ელკა ბაკალოვასთან ერთად. ქ-ნი ბაკალოვა საგანგებოდ იკვლევდა ბიზანტიის იმპერიაში არსებულ პეტრიწონის მონასტრის ისტორიას. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი. ზოგი სხვა მკვლევარისგან განსხვავებით (ძირითადად სომხები და მათი მომხრეები), ის მეცნიერულად ასაბუთებდა, რომ პეტრიწონის მონასტერი დაარსებულია ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მოღვაწე, დიდი მოხელის, ქართველი დიდებულის, გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ და ის ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრია. ქ-ნი ბაკალოვა გაოცებული იყო ხალხის დამოკიდებულებით ივანე ჯავახიშვილის იუბილისადმი, მე არაერთგზის დავსწრებივარ დიდ მეცნიერთა სხოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს,

როგორც ჩემს სამშობლოში, ისე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ასეთი საყოველთაო ზეიმი არსად მინახავს, ასეთი ღინისძიებები იქ სპეციალისტთა ვიწრო წრეში ტარდება, ჩემი გაოცება გამოიწვია იმან, როდესაც ფილარმონიაში საზეიმო სხდამა ტარდებოდა, ხალხი ქუჩაში იდგა და მოსაწვევ ბარათებს თხოულობდნენ, მითხრა მან.

ჩვენთვის ივანე ჯავახიშვილი არ არის მხოლოდ დიდი მეცნიერი, ის დიდი ეროვნული მოღვაწეა, ქართული ეროვნული განათლების, ქართული ეროვნული მეცნიერების ცენტრის დამაარსებელი, სადაც დასაბამი მიეცა რიგი უმაღლესი სასწავლებლების, ქართული ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის შექმნას, სადაც თაობები აღიზარდნენ, ის ჩვენთვის ეროვნული მეცნიერების ქომაგი და დამცველია.

100 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა საიუბილეო კომისია, რომელის თავმჯდომარე იყო საქართველოს უმაღლესი პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკად. გიორგი ძოწენიძე. საიუბილეო კომისიის წევრები იყვნენ: აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, არნოლდ ჩიქობავა და სხვა ცნობილი მეცნიერები, უნივერსიტეტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი. მეც მქონდა პატივი ვყოფილიყავი საიუბილეო კომისიის წევრი. კომისიის პირველივე სხდომაზე, როდესაც დაისვა საკითხი რა ღონისძიებები უნდა გატარებულიყო საიუბილეოდ, გამოვთქვი სურვილი უნივერსიტეტს მინიჭებოდა მისი დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის სახელი, რის წინააღმდეგად გაილაშქრა კომისიის წევრმა მაღალი რანგის პარტიულმა მუშაკმა პავლე გილაშვილმა. რომელმაც ბრძანა რომ უნივერსიტეტი სტალინის სახელობისაა. როდესაც მე შევეკამათე და ვთქვი, რომ მართალია, უნივერსიტეტს ეწოდებოდა „სტალინის სახელობის“, მაგრამ უკვე რამდენი წელია მას ასე აღარ უწოდებენ, მან ჩემს საწინააღმდეგოდ აღნიშნა, რომ არ არსებობს დადგენილება ამ სახელწოდების გაუქმების შესახებ და საკითხი მოიხსნა. თბილისის უნივერსიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების საკითხი, დიდი ხნის შემდეგ 1988 წელს დააყენა აკად. თამაზ გამყრელიძემ უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე. მართალია ამის მოწინააღმდეგენი მაშინაც იყვნენ, პირველ

რიგში ისევ ბ-ნი პავლე გილაშვილი, მაგრამ საკითხი განხილულ იქნა მრავალ ინსტანციაში, აგრეთვე უნივერსიტეტის ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე. 1989 წელს უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, სადაც საბჭოს წევრებმა აკად. თამაზ გამყრელიძის წინადადებისადმი თავისი დამოკიდებულება ერთხმად, ფეხზე ადგომით და ტაშით დაადასტურეს და უნივერსიტეტს მიენიჭა მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი.

*როლანდ თოფჩიშვილი*

## „კავკასიური ცივილიზაციის“ შესახებ

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ „კავკასიურ ცივილიზაციაზე“ – ასეთი სათაურით გამოიცემა წიგნები, სხვადასხვა სახის ნაშრომები, ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმები. შეგნებულად არ ვასახელებთ ამ სათაურების შემცველ ქართველ ავტორთა სამეცნიერო თუ სხვა ხასიათის პუბლიკაციებს, თუმცა, ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში თბილისში ჩატარებული ორი საერთაშორისო კონგრესის დევიზი იყო: „კავკასიური ცივილიზაცია: ისტორია და თანამედროვეობა“.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასია ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარე საკმაოდ დიდი რეგიონია, რომლის ფართობი დღეს მიღებული ხელოვნური განსაზღვრით 467 964 კვადრატული კილომეტრია, ხოლო რეალურად – უფრო მეტი. აღნიშნულ ფართობს თუ დავუმატებთ თანამედროვე თურქეთისა და ირანის ფარგლებში მოქცეულ რეალური გეოგრაფიული კავკასიის ფართობს (თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ვილაიეთები და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ორი ოსთანის უკიდურესი ჩრდილოეთი მხარეები), მისი ფართობი 580 000 კვადრატულ კილომეტრს აჭარბებს. თანამედროვე მეცნიერული მონაცემებით, ჩრდილოეთ კავკასია ევროპას ეკუთვნის, სამხრეთ კავკასია – აზიას. კავკასიას ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ ახასიათებს: ის მთელი ისტორიის მანძილზე და დღესაც ეთნიკურად და კულტურულად იყო და არის უაღრესად ჭრელი. კავკასია იყო სხვადასხვა კულტურებისა და ეთნოსების თანაარსებობის, შეხვედრის გეოგრაფიული არეალი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, თავისი

გეოგრაფიული მდებარეობის გამო, კავკასია სხვადასხვა იმპერიების ინ-ტერესთა სფეროში შედიოდა. ასეა ეს დღესაც.

სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში მცხოვრებ მრავალრიცხოვან და სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელ ხალხებს ჰქონდათ თუ არა საერთო, მსგავსი კულტურა და იყვნენ თუ არა ისინი ერთი ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილი? უფრო სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, არსებობდა თუ არა ,,კავკასიური ცივილიზაცია“? მკითხველი მიხვდება, რომ კავკასიური ცივილიზაციის ბრჭყალებში ჩასმა დასმული საკითხისადმი ჩვენს დამოკიდებულებას გამოხატავს.

უპირველეს ყოვლისა, ტერმინ ,,ცივილიზაციის“ შესახებ. რას გულისხმობდნენ და რას გულისხმობენ ამ ტერმინში? პრობლემის გა-დასაწყვეტად მის დეფინიციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ისევე როგორც ,,კულტურის“, ,,ცივილიზაციის“ მრავალი განმარტება არსებობს, ესე იგი მეცნიერებაში ამ ცნების/ტერმინის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ გაგვაჩნია. მიუხედავად ამისა, ,,ცივილიზა-ციის“ მთელ რიგ პოსტულატებზე მეცნიერები შეთანხმებული არიან. ტერმინს საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა – **civilis** – რაც ნიშ-ნავს ,,სამოქალაქოს“, ,,სახელმწიფოებრივს“. ჩვეულებრივ, ფილოსო-ფიურ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში ცნება ,,ცივილიზაცია“ ასეა განმარტებული: **საზოგადოების მატერიალური და სულიერი მიღწევე-ბის ერთობლიობა**. ფილოსოფიურ კონცეფციებში ცივილიზაციას მსოფ-ლიო-ისტორიული პროცესის ანალიზის კონტექსტში განიხილავენ. ფრანგი განმანათლებლები ცივილიზებულს უწოდებდნენ ისეთ საზოგა-დოებას, რომელიც გონებასა და სამართლიანობაზე იყო დაფუძნებული. ზოგიერთი მეცნიერი (ი. *კანტი, ო. შპენგლერი, ნ. დანილევსკი*) მას ,,კულტურის“ ცნებას უპირისპირებდა. *ა. ტოინბი* ცივილიზაციას გან-საზღვრავს როგორც კვლევის ხელოვნურად იზოლირებულ ისტორიის მონაკვეთს, ისე რომ ყოველი მონაკვეთის მთლიანობა განაპირობებს ერთი ცივილიზაციის მეორისაგან გამიჯვნას. თანამედროვე სოციოლო-გიაში (*ლ. უაიტი*) ცივილიზაცია განიხილება შინაგანი ორგანიზებუ-ლობის თვალსაზრისით, იმ აზრით, რომ საზოგადოება განპირობებუ-

ლია სამი ძირითადი კომპონენტით: ტექნიკით, სოციალური ორგანიზაციითა და ფილოსოფიით, თანაც დანარჩენი კომპონენტების განმსაზღვრელად ტექნიკას მიიჩნევენ. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მარქსიზმი (*ფ. ენგელსი*) ცივილიზაციასთან მიმართებაში კლასობრიობის პოზიციიდან გამოდიოდა და მის ქმნადობას წოდებებსა და კლასებს შორის ანტაგონიზმის გაჩენას, შრომის დანაწილების გაღრმავებას, კლასობრივ ურთიერთობათა არსის გამომხატველი კანონების წარმოშობას უკავშირებდა.[1]

ამრიგად, სხვადასხვა გაგებით ცივილიზაცია არის: 1. კულტურის სინონიმი, 2. საზოგადოებრივი განვითარების საფეხური, მატერიალური და სულიერი კულტურის დონე, 3. საზოგადოებრივი განვითარების საფეხური, რომელიც ბარბაროსობის შემდეგ ჩნდება.[2]

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება ცივილიზაციის ფრანგულ-ინგლისური და გერმანული გაგება. ცივილიზაციის შესახებ ცნობილი მეცნიერის *ნორბერტ ელიასის* ზოგიერთ შეხედულებას შემოგთავაზებთ: *„ცივილიზაციის“ ცნება სრულიად განსხვავებულ ფაქტებს მიესადაგება: ტექნიკის მდგომარეობას, მანერების სახეს, მეცნიერული ცოდნის განვითარებას, რელიგიურ იდეებს და ჩვეულებებს. ის შეიძლება ქალისა და მამაკაცის ცხოვრების წესს, სამართლებრივი დასჯის ფორმებს თუ საჭმლის მომზადებას ეხებოდეს“. „მასში* (ცივილიზაციაში – რ. თ.) *შეჯამებულია ყველაფერი, რაშიც უკანასკნელი ორი ან სამი საუკუნის დასავლური საზოგადოება უფრო ადრინდელ ან თანამედროვე „პრიმიტიულ“ საზოგადოებებთან მიმართებაში თავს აღმატებულად მიიჩნევს. მისი საშუალებით დასავლური საზოგადოება ცდილობს დაახასიათოს ყველაფერი ის, რაც მის თავისთავადობას გამოხატავს და რითაც ის ამაყობს: თავისი ტექნიკის მდგომარეობა, თავიანთი მანერების სახე, თავისი მეცნიერული ცოდნის თუ*

[1] ფილოსოფიური ლექსიკონი. თბ. 1987, გვ. 670. თარგმანი რუსული გამოცემისა – Философский Словарь. Под редакцией И. Т. Фролова. М. 1980.
[2] Философский энциклопедический словарь. М. 1989.

*მსოფლმხედველობის განვითარება და სხვა მრავალი.“*[3] *ცივილიზაციის ფრანგული და ინგლისური ცნება ეხება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, მორალურ და საზოგადოებრივ ფაქტებს. ამ შემთხვევაში აქცენტი ძირითადად გადატანილია ადამიანთა მიღწევებზე, თუმცა მათ ქცევებსაც განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდნენ. „გერმანულენოვან სიტყვათხმარებაში, „ცივილიზაცია“, რაღაც ძალიან საჭიროს, მაგრამ მაინც მეორე რანგის ღირებულებას აღნიშნავს, უფრო ზუსტად, კი იმას, რაც ადამიანის გარეგნულ მხარეს, ადამიანური არსებობის ზედაპირულ შრეს მოიცავს.“*[4]

არსებობს ცივილიზებული ადამიანის ცნებაც. ცივილიზებულ ადამიანში გულისხმობენ განათლებულ, ზნეობრივ, დახვეწილ, თავაზიან, კარგი მანერების მქონეს. ახალი ისტორიის საწყისი ეტაპიდან ევროპელები მხოლოდ თავიანთ თავს თვლიდნენ ცივილიზებულად და კოლონიზაციას, დაპყრობებს ამით ამართლებდნენ, რომ არაცივილიზებული ხალხები ცივილიზებულ ხალხებად უნდა ექციათ. ეგვიპტის დაპყრობის დროს *ნაპოლეონი* ჯარისკაცებს მოუწოდებდა: *„ჯარისკაცებო, თქვენ ახორციელებთ დაპყრობას, რომლის შედეგები განუზომელი იქნება ცივილიზაციის თვალსაზრისით“.* სხვათა შორის, რუსეთის იმპერიაც ამავე დევიზით ამართლებდა იმპერიის სხვათა ხარჯზე გაფართოვებას.[5] დღესაც რუსეთში გამოსული სამეცნიერო ლიტერატურა იმითაა გამსჭვალული, რომ კავკასიის არაცივილიზებულ ხალხებს ცივილიზაციის გზაზე აყენებდნენ.

„ცივილიზაცია“ გარკვეულ დაპირისპირებაშია „კულტურის“ ცნებასთან. კულტურა თუ ეთნიკურია/ეროვნულია, ამას ვერ ვიტყვით „ცივილიზაციის“ შესახებ. კულტურა ბევრად უფრო ადრე, ადამიანის გაჩენისთანავე წარმოიქმნა: პირველი ქვის იარაღი უკვე კულტურის ელემენტი იყო. ცივილიზაცია კი საკმაოდ გვიან წარმოიქმნა. მიიჩნევენ, რომ ცივილიზაცია თავის არსებობას იწყებს სახელმწიფოების და ქა-

[3] ნ. ელიასი. ცივილიზაციის პროცესის შესახებ. წიგნი I. თბ. 2005, გვ. 62.
[4] ნ. ელიასი. ცივილიზაციის პროცესის შესახებ, გვ. 63.
[5] В. В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межетнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. СПб. 2007, გვ. 502.

ლაქების გაჩენის შემდეგ. ცივილიზაციისათვის ეთნიკური/ეროვნული განსხვავებანი არსებითი არ არის. მთელი რიგი ხალხები შეიძლება ერთი ცივილიზაციისადმი იყვნენ მიკუთვნებული. *„კულტურა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა ერთობლიობაა, ადამიანი რომ ქმნიდა დღიდან მისი გაჩენისა. ცივილიზაცია კი მსოფლიო-ისტორიული პროცესის ერთ გარკვეულ ეტაპზე წარმოქმნილი საზოგადოებაა, ან როგორც მას უწოდებენ – სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ორგანიზმია. ამიტომაცაა ცივილიზაცია უფრო ფართო ცნება: ივი მოიცავს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ასევე კულტურულ სტრუქტურებს.*“[6]

„ცივილიზაციის“ განმსაზღვრელ კრიტერიუმთაგან და დამახასიათებელ ნიშან-თვისებათაგან ყველაზე უფრო სრულყოფილადაა მიჩნეული ინგლისელი ისტორიკოსისა და არქეოლოგის *გორდონ ჩაილდის* შემუშავებული სქემა. *გ. ჩაილდის* მიხედვით „ცივილიზაციას“ ათი არსებითი ნიშანი ახასიათებს:

**1. სახელმწიფო ორგანიზაცია;**

**2. სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება; კლასების არსებობა;**

**3. მიწაზე მემკვიდრეობითი საკუთრება;**

**4. გადასახადების სისტემა და რეგულარული ხარკის მიღებით დაგროვილი ცენტრალიზებული სიმდიდრე;**

**5. სავაჭრო ურთიერთობათა განვითარება;**

**6. პროფესიონალ ხელოსანთა, სპეციალისტთა გაჩენა;**

**7. დამწერლობა;**

**8. ქალაქების გაჩენა;**

**9. მონუმენტური ნაგებობები;**

**10. მეცნიერებისა და ხელოვნების ჩანასახები.**[7]

1958 წელს ჩიკაგოში ცივილიზაციისადმი საკითხებისადმი მიძღვ-

---

[6] ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ. 2002, გვ. 5.

[7] G. Childe. The Urban Revolution // Town Planning Review. Liverpool. 1950. V. 21. №1. http//en.wikipedia.org/wiki/Urban_Revo_Revolution.

ნილ დისკუსიაზე საჭიროდ მიიჩნიეს ჩამოთვლილი ნიშან-თვისებების შემცირება. *გ. ჩაილდის* ჩამონათვალიდან გამოიყო ცივილიზაციის სამი ძირითადი მახასიათებელი: 1. **ქალაქების გაჩენა; 2. დამწერლობის გაჩენა; 3. მონუმენტური ნაგებობების გაჩენა.** შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მეცნიერებაში განმტკიცებულია მოცემული მიდგომა. მაგალითად, ავტორები წიგნისა *«Древние цивилизаций»* (რედაქტორი *გ. ბონგრად-ლევინი*) ხუთ ნიშანზე ჩერდებიან: **1. ქალაქების არსებობა; 2. სახელმწიფო; 3. სამართალი; 4. დამწერლობა; 5. სოციალური სტრატიფიკაცია**, რომლებიც არსებითად ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებში თავსდებიან.[8] ცივილიზაციისადმი ანალოგიური დამოკიდებულება გააჩნიათ აგრეთვე *ვ. მასონს, რ. ადამსს, კ. რენფრიუს, კ. ფლანერის.* ამ უკანასკნელის ფორმულირებით, ცივილიზაცია კულტურული ფენომენების კომპლექსია, რომელიც დაკავშირებულია სოციალური ორგანიზაციის ისეთ ფორმასთან, როგორიცაა სახელმწიფო. ზემოხსენებული *ვ. მასონი* პირველი ცივილიზაციების სპეციფიკურ თავისებურებად ფიზიკური შრომიდან გონებრივი შრომის გამოყოფასა და იდეოლოგიის სფეროში ცვლილებებს მიიჩნევდა, როდესაც – ახალი იდეოლოგიური კანონები ფორმირდება, რომლებიც, როგორც წესი, რელიგიურ ფორმებში გამოიხატება.[9] კიდევ ერთი ავტორის შესახებ: ძველი ჩინური კულტურის მკვლევარი *ვ. ებერხარდი* ცივილიზაციის აუცილებელ ელემენტებად მიიჩნევს: **1. სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებასა და სახელმწიფო ორგანიზაციას; 2. მარცვლეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებულ მიწათმოქმედებასა და მოშინაურებული საქონლის გამოყენებას; 3. საქალაქო ცენტრების (თუნდაც ერთის) და, შესაბამისად, ქალაქური ტიპის არქიტექტურის არსებობას; 4. ლითონების გამოყენებას; 5. დამწერლობას; 6. სახელმწიფო აღრიცხვიანობას.**[10]

წიგნში „თეორიული ეთნოლოგია“ ცივილიზაციის შემდეგი განმარტება გვაქვს მოცემული: *„ადამიანთა ლოკალური სოციო-კულტუ-*

---

[8] http://kultby.in/tag/osnovnye-priznaki-civilizacii.

[9] В. Массон. Первые цивилизации. Л. 1989; http://yanko.lib.ru/books/hist/masson-first_civilizations.

[10] ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, გვ. 5.

*რული ერთობა, რომელმაც თავისი განვითარებისას მატერიალური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ცივილიზაციის ნიშნებად მიაჩნიათ: სახელმწიფო, ქალაქები, მონეტა, ვაჭრობა, დამწერლობა და სხვა. ფართო მნიშვნელობით ცივილიზაცია მოიცავს ხალხთა ჯგუფებს, აგრეთვე ვრცელ გეოგრაფიულ სივრცეებს ან მთელ კონტინენტებს და ვარაუდობს ისეთი ცივილიზაციების არსებობას, როგორებიცაა ევროპული, აზიური, არაბული და ა. შ. საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონეზე მეცნიერები კაცობრიობას რამდენიმე ცივილიზაციად ყოფენ (მათი რაოდენობა ოთხიდან რვამდე მერყეობს). მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი ჰანტინგტონი ამტკიცებს, რომ დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ისეთი ცივილიზაციები, როგორებიცაა დასავლური, მართლადიდებლურ-ქრისტიანული, კონფუციური, იაპონური, ისლამური, ინდუსტრიული და აფრიკული, რომლებიც ხალხთა ნაციონალურ-რელიგიურ თავისებურებებს ეყრდნობა. რუსები ცალკე გამოყოფენ რუსულ ცივილიზაციას, მას სხვანაირად ევრაზიულ ცივილიზაციასაც უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ მასში ორი საწყისია შერწყმული. თითოეული ცივილიზაციისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ისტორიული პირობების, ნაციონალური, კულტურული, ფსიქოლოგიური ნიშნების ერთობა, რომელშიც სხვადასხვა ეთნოსები გლობალურ ერთობებად არიან გაერთიანებულნი.*“[11]

ცივილიზაციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები შეჯერებულია: ა) *„ცივილიზაციის ერთი ძირითადი მნიშვნელობაა მისი, როგორც გარკვეული ტიპის მთლიანად წარმოდგენა. როგორც ამა თუ იმ სოციალური ერთობის განვითარების გარკვეულ საფეხურად ყოფნა“;* ბ) *„ცივილიზაციის ცნების მეორე მნიშვნელობა დაკავშირებულია სოციალური ყოფიერების გარკვეულ ეტაპთან, ველურობისა და ბარბაროსობის შემდგომ პერიოდთან, რომელიც წარმოდგენილია უწყვეტად დღევანდლამდე“; გ) ცივილიზაციის მესამე მნიშვნელობა განიხილება როგორც ცალკეულ კულტურათა განვითა-*

[11] რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი. თეორიული ეთნოლოგია. თბ. 2010, გვ. 447-448.

*რების ერთ-ერთი ეტაპი“.*[12] *„ცივილიზაცია ადამიანთა კულტურული დაჯგუფების ყველაზე მაღალი საფეხურია, კულტურული განსაზღვრის ის უმაღლესი დონე, რაც სხვა ნიშან-თვისებებთან ერთად გამოარჩევს ადამიანს დანარჩენ ბიოლოგიურ სახეობათაგან. ამ თუ იმ ცივილიზაციის გამორჩეულობას განაპირობებს როგორც საერთო ენა, ისტორია, რელიგია, ადათები, წეს-ჩვეულებები – ისე ადამიანის მიერ საკუთარი მეობის განსაზღვრის სუბიექტური ნება“.*[13]

ზემოთ ცივილიზაციის სხვადასხვა მიდგომაზე გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ აქცენტი ძირითადად ისტორიულ მიდგომაზე შევაჩერეთ. არსებობს რეგიონალური, სტადიური, ფორმაციული, ლოკალური ცივილიზაციის ცნებები. რეგიონალურ ცივილიზაციებში ეთნიკურ და ეთნოსთაშორის ცივილიზაციებს გულისხმობენ, სტადიალურში – კაპიტალიზმამდელ, კაპიტალისტურ, პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციებს, ფორმაციულში – მონათმფლობელურ, ფეოდალურ, კაპიტალისტურ ცივილიზაციებს, ლოკალურში – ევროპულ, აზიურ, ახლოაღმოსავლურ ცივილიზაციებს. ლიტერატურაში ხშირად საუბრობენ აგრეთვე შუმერულ, კრეტულ, ანტიკურ, ჩინურ, ბიზანტიურ, ინდურ, ისლამურ და ა. შ. ცივილიზაციებზე. ადვილად შესამჩნევია, რომ ზოგიერთი ცივილიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ეთნოსებთან ან სახელმწიფოებთან: იაპონური, რუსული, გერმანული, ძველბერძნული, რომაული, შუმერული, ჩინური, ეგვიპტური, ასირიულ-ბაბილონურ-ფინიკიური, ახალ-სემიტური ანუ არაბული, მექსიკური, პერუანული...[14] ა. ტოინბი 21 ლოკალურ ცივილიზაციას გამოყოფდა. ეთნიკურ ცივილიზაციებს შორის უდავოდ გამოიყოფა ქართული ცივილიზაციაც, რომელიც ცივილიზაციის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა.[15]

არსებობდა თუ არა კავკასიური ცივილიზაცია, რომელიც რეგიო-

[12] ე. კოდუა. კულტურის სოციოლოგია. თბ. 2001, გვ. 113-114.
[13] საზოგადოება და პოლიტიკა. II. თბ. 1999, გვ. 8.
[14] Э. Сайко. Цивилизация в пространственно-временном континууме социальной эволюции и проблема ее системного слома, Цивилизация. Восхождение и слом: Структурообразующие факторы и субьекты цивилизационного процесса. М. 2003, გვ. 16.
[15] ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.

ნალურ ცივილიზაციად უნდა განიხილებოდეს. ,,კავკასიური ცივილიზაციის“ აქტიურ მომხრეთა შორის შეიძლება *ი. ხაძიევი* და *ვ. დავიდოვიჩი* დავასახელოთ. პირველისათვის ცივილიზაციის ნიშნებია: ტერიტორიის ერთიანი მასივი, მასზე ერთი და იგივე ტომებისა და ხალხების ყოფნა, საერთო ისტორია, ერთი რასა, ფსიქოლოგია, ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, დამწერლობა...[16] *ი. ხაძიევისათვის* კავკასიური ცივილიზაციის უარყოფის საფუძველს კავკასიელ ხალხებში სხვადასხვა მსოფლიო რელიგიების არსებობა ხელის შემშლელი ფაქტორი არაა. მიუხედავად იმისა, რომ ვაინახები მუსლიმები არიან და ქართველები – მართლმადიდებლები, მათ მაინც ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, ტანსაცმელი და საკვები, მონათესავე ენები აქვთ, მიეკუთვნებიან ერთ რასას. რით შეიძლება აღნიშნულ ავტორს ვუპასუხოთ? მის მიერ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან არც ერთი არ მიეკუთვნება ცივილიზაციის ნიშნებს. ცივილიზაციის ნიშანი არაა ,,ტერიტორიის ერთიანი მასივი“, ანუ მეზობლად ცხოვრება, რასა, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ანდა ვინ დაადასტურა, რომ ქართველებსა და ჩეჩენ-ინგუშებს ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები ჰქონდათ. მეზობელ ქართველ მთიელებთან შეიძლება ვაინახებს მსგავსი ტრადიციები ჰქონდათ, მაგრამ რა ვუყოთ დანარჩენ საქართველოს? ერთი რასობრივი ტიპი თუ ცივილიზაციის ნიშანია, მაშინ ყველა ევროპეიდი ან მონგოლოიდი ევროპეიდული და მონგოლოიდური ცივილიზაციების წარმომადგენლები ყოფილან. ვინ ადასტურებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიელებსა და ქართველებს საერთო ისტორია ჰქონდათ? საინტერესოა, ამ საერთო ისტორიაში პოლიტიკური ისტორია იგულისხმება, სოციალური, ეკონომიკური თუ ეთნიკური? ერთი სიტყვით, ქართველებსა და ვაინახებს საერთო არც კვებითი კულტურა და არც სამოსი ჰქონიათ. მეზობელი ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – ხევსურებისგანაც კი (რომლებიც ერთიან ქართულ სახელწიფოებრივ სისტემაში ავტონომიურად ფუნქციონირებდნენ), ამ მხრივ განსხვავებული კულტურის ელემენტები გააჩნდათ. საერთოდ, ვაინახებსა და ქართველ

[16] http://www.ia-maxsimum.ru/press283.htm.

მთიელებს მხოლოდ კულტურის ზოგიერთი ელემენტი ჰქონდათ საერთო. კულტურის ელემენტების საერთოობა კი სხვადასხვა ეთნოსებს ერთ საერთო ცივილიზაციაში არ აქცევს. როგორ შეიძლება სხვადასხვა რელიგიების, ამ შემთხვევაში ისლამისა და მართლმადიდებლობის მიმდევარნი ერთი ცივილიზაციის ნაწილნი იყვნენ? ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ცივილიზაციის საერთო ნიშნად დასახელებული ავტორი დამწერლობასაც ასახელებს. დამწერლობა კავკასიაში ხომ მხოლოდ ქართველებსა და სომხებს ჰქონდათ. ქართული დამწერლობა ჩაჩნებისა და ინგუშებისაც იყო? ისტორიაში ასეთი არც ერთი ფაქტი არაა დადასტურებული. ერთი ნიშანდობლივი კრიტერიუმი კავკასიური ცივილიზაციისა თურმე კავკასიაში მცირერიცხოვანი ხალხების დიდი რაოდენობით არსებობაც ყოფილა (?!).

ზემოთ დასახელებულ მეორე ავტორზე – ვ. დავიდოვიჩზე საუბარიც არ ღირს, იმიტომ, რომ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი – ხევსურები – მას ცალკე ეთნოსი ჰგონია, ხოლო ქართველები და თურქულენოვანი ყუმუხები – ერთი ხის სხვადასხვა შტოები, მაგრამ, რადგან ის ე. წ. საერთო კავკასიური ცივილიზაციის ექვს ნიშანს გამოყოფს, ამ ნიშნებსაც უნდა გავეცნოთ. ავტორი აღნიშნავს: «Отмеченные А. Тойнби 36 цивилизаций не включают в себя кавказскую. Думается, что это, мягко говоря, недоработка крупного мыслителя».[17] მის მიერ გამოყოფილი ექვსი ნიშანი კი შემდეგია: 1. რეგიონის ყველა ხალხიათვის დამახასიათებელი ნიშნები დაკავშირებულია მთურ ლანდშაფტში მრავალწლიანი ცხოვრებით, რამაც განაპირობა მეურნეობისა და ყოფის თავისებურებები, მითოლოგიის ერთიანი ელემენტები, ჩვეულებათა და ტრადიციების სპეციფიკა. აქვე ხაზი ესმის მთიელთა თავისებურ მენტალიტეტს, ემოციურობას, რაც, თურმე, არა მხოლოდ მთაში

[17] В. Е. Давывович. Существует ли кавказская цивилизация? Научная мысль Кавказа. Ростов н/Д. 2000. №2 (22). ცივილიზაციაზე ანალოგიური შეხედულება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიცაა გამოთქმული: „არც ერთი მათგანი (ნ. დანილევსკი და ა. ტოინბი – რ. თ.) კავკასიის ცივილიზაციაზე არ მიუთითებს. ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ მეცნიერებაში ეს ხარვეზი გამოსწორდება“ (ჯ. კვიციანი. კავკასია და კავკასიელები. თბ. 2010, გვ. 14).

მცხოვრებთათვის, არამედ ყუმუხებისა და აფშერონის ნახევარკუნძულ-ზე მკივდრებისათვისაც ნიშანდობლივი ყოფილა; 2. მეურნეობის, მემ-ცენარეობისა და მეცხოველეობის, ხალოსნობის, არქიტექტურული ფორმებისა და კვების თავისებურებანი. ისტორიული მახსოვრობა; 3. გვაროვნული და ფეოდალური ურთიერთობები; 4. სულიერი კულტუ-რის ბევრი ნიშნის თანხვედრა. ამ თანხვედრის დამადასტურებელი ყო-ფილა „ნართების“ ეპოსისა და შოთა რუსთაველის სტრიქონების მსგავსება; 5. ნაციონალური ფსიქოლოგიის იდენტური მომენტები: თა-ვისუფლებისმოყვარე სული და სიფიცხე, უხუცესთა ავტორიტეტის აღიარება და ეტიკეტური ნორმების სკრუპულოზური დაცვა; 6. წარ-სულისათვის დამახასიათებელი იყო შეხლა-შემოხლა და თარეშები, მაგრამ კავკასიელებმა ერთმანეთს შორის ხანგრძლივი სრულმასშტა-ბიანი ომები არ იცოდნენ.

როგორც აშკარად ჩანს, *ვ. დავიდოვიჩისათვის* მთლად უცნობია ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ზოგიერთ კავკასიურ ეთნოსს მეურნეობის მსგავსი ფორმები თუ გააჩნია, სხვათა მეურნეო-ბის ფორმები ფრიად განსხვავდება ერთმანეთისაგან; რამდენიმე კავკა-სიურ ეთნოსს თუ საერთო და მსგავსი მითოლოგია გააჩნია (მაგალი-თად, „ნართების“ ეპოსი), ძირითადი ეთნოსებისათვის ის დამახასიათე-ბელი არაა; ჩრდილოეთ კავკასიელთა მენტალიტეტს თუ საერთოობა გააჩნია, ამას ვერ ვიტყვით ჩრდილოეთ კავკასიელთა და სამხრეთ კავ-კასიელთა მენტალიტეტზე. სამხრეთ კავკასიელთა, კერძოდ, სომეხთა და კავკასიელთა მენტალიტეტიც კი მიუხედავად ქრისტიანული სარწმუნოების მრავალსაუკუნოვანი რწმენისა, ფრიად განსხვავებულია; გვაროვნული ურთიერთობა და ცივილიზაცია ერთმანეთთან შეუ-თავსებელი მოვლენებია. ფეოდალური ურთიერთობანი კი კლასიკური ფორმით სამხრეთ კავკასიელებისათვის იყო დამახასიათებელი. ჩრდი-ლოეთკავკასიელთა უმეტესობა კი ფეოდალურ ფორმაციას საერთოდ არ იცნობდა ან მხოლოდ მისი ჩანასახები გააჩნდათ; არც სულიერი კულტურა ჰქონიათ კავკასიის ხალხებს საერთო, განსაკუთრებით დია-მეტრალურად განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ კავკა-

სიელთა და სამხრეთ კავკასიელთა სულიერი კულტურა. ქართველთა და სომეხთა სულიერი კულტურა ქრისტიანობით იყო ნასაზრდოები, სხვებისა კი – არა. *ვ. დავიდოვიჩი* ქართული მწერლობის შედევრს „ვეფხისტყაოსანს“ აგდებით მოიხსენიებს, როდესაც ამ ნაწარმოებსა და „ნართების“ ეპოსს ერთმანეთს ადარებს. მას აშკარად არც „ნართები“ აქვს წაკითხული და არც „ვეფხისტყაოსანი“; თავისუფლებისმოყვარეობაც თურმე კავკასიური ცივილიზაციის საერთო ნიშანი ყოფილა. უხუცესთა, ბელადთა ავტორიტეტი (ამ შემთხვევაში უხუცესთა პატივისცემასა და მოწიწებას არ ვგულისხმობთ) კი ბარბაროსობის საფეხურზე მდგომი ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი და არა ცივილიზებული ხალხებისათვის; ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი ომების არ არსებობაც კი ცივილიზაციის ნიშანი ყოფილა. თარეშები თურმე სათვალავში ჩასაგდები არაა.

ავტორთა სხვა რიგი მხოლოდ ჩრდილოკავკასიურ, ანუ მთურ ცივილიზაციაზე საუბრობს. ამასთან დაკავშირებით იმას აღვნიშნავთ, რომ მთური ანუ ჩრდილოეთკავკასიური ცივილიზაციის არსებობა-არარსებობის საკითხი ამ სტატიის მიზანი არა არის. ვიმეორებთ, ნაშრომის მიზანია გარკვევა საკითხისა – არსებობს თუ არა კავკასიური ცივილიზაცია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საერთო კავკასიური ცივილიზაცია.

მანამ სანამ სათანადო არგუმენტებს წარმოვადგენთ, აუცილებელია ზუსტად გავერკვეთ გეოგრაფიული კავკასიისა და მისი ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ მრავალფეროვნებაში, ეთნიკურ სიჭრელეში. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, კავკასია საკმაოდ დიდი გეოგრაფიული ერთეულია, რომლის საერთო ფართობი 580 000-ზე მეტი კვადრატული კილომეტრია და რომლის სამხრეთი საზღვარი არა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე გადის თურქეთთან და ირანთან, არამედ უფრო სამხრეთით; კავკასია მოიცავს თურქეთის და ირანის იმ მხარეებს, რომლებიც ჭოროხის, მტკვრისა და არაქსის აუზებში მდებარეობენ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ კავკასია მაღალი წყალგამყოფი კავკასიონის ქედით ორ ნაწილად

იყოფა — კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ მხარეზე ჩრდილოეთ კავკასია მდებარეობს, სამხრეთით — სამხრეთ კავკასია. წელიწადის დიდი ხნის განმავლობაში მთელი ისტორიის მანძილზე კავკასიონის ქედი გაუვალი იყო. ადვილი არ იყო მისი გადალახვა. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიელებს, განსაკუთრებით მთაში მკვიდრებს, ერთმანეთთან ურთიერთობა მუდმივად ჰქონდათ, არც მიგრაციული პროცესები იყო იშიათი მოვლენა. სამხრეთ კავკასიის ხალხებს ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ურთიერთობა ჰქონდათ როგორც დასავლური/ქრისტიანული, ისე აღმოსავლური/მაზდეანური-/მუსლიმური ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ხალხებთან. უბედურებასთან ერთად სამხრეთ კავკასიელი ხალხებისათვის გეოგრაფიულ მდებარეობას სხვადასხვა ცივილიზაციების არეალში ყოფნა და გავლენაც მოჰქონდა თან. მეცნიერები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ კაცობრიობის კულტურის ელემენტები არა დამოუკიდებელი აღმოჩენის, არამედ გარედან სესხების შედეგადაა წარმოქმნილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცივილიზაციები დედამიწაზე გარკვეული კერებიდან „გაცოცდა“. ევროპისათვის თუ ასეთი „კულტურული მასწავლებლის“ როლს ხმელთაშუაზღვისპირეთი ასრულებდა, საქართველოსათვის ამ როლის შემსრულებელი ახლო აღმოსავლეთი და ბერძნული სამყარო იყო. რაც შეეხება კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ჩრდილოეთ კავკასიას, ის ევრაზიის ნომადურ ზონას ემეზობლებოდა, სადაც საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთიდან შემოჭრილი სხვადასხვა მომთაბარე ეთნოსები (სკვითები, სარმატები, ალანები, ჰუნები, ავარები, პაჭანიკები, ყივჩაღები, მონღოლები...) ენაცვლებოდნენ ერთმანეთს (ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის ჩრდილოეთი მეზობლებიდან მხოლოდ რუსები იყვნენ პირველი ბინადარნი და სახელმწიფოებრიობის მატარებელი ხალხი). როგორც სამართლიანადაა შენიშნული, მომთაბარეთა მიერ თითქმის 2500 წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის ვეებერთელა კორიდორის კონტროლი მუდმივად იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის საგარეო-პოლიტიკურ პრესინგს.[18] თქმული არსებითად განასხვავებდა

[18] Э. Х. Панеш. Этническая психология и межнациональные отношения. Взаимо-

ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს.

მრავალფეროვანია კავკასია რელიეფით და ბუნებით. შედარებით მცირე სივრცეზე თავმოყრილია სხვადასხვა წარმოშობისა და ალნაგობის ზედაპირის ფორმები – დაბლობები, ვაკეები, ზეგნები, მთიანი ქედები, ვულკანური მწვერვალები. კავკასიაში 21 ფიზიკურ-გეოგრაფიული ოლქი და რაიონი გამოიყოფა.[19] ჩრდილოეთ კავკასიას სამხრეთ კავკასიასთან შედარებით ლადშაფტური თავისებურებაც ახასიათებს; ესაა ბარიდან მთიან ადგილებში მკვეთრი გადასვლა. კავკასიის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა კლიმატია – კავკასიის მაღალმთიანეთის პოლარული კლიმატიდან დასავლეთ კავკასიის დაბლობის ტენიანი სუბტროპიკულ კლიმატამდე, აღმოსავლეთ კავკასიისწინეთის სტეპების მშრალი კონტინენტური კლიმატიდან აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის მშრალ სუბტროპიკულ კლიმატამდე. ასევე მრავალფეროვანია კავკასიის მცენარეული სამყარო: სუბტროპიკულ ტყეებსა და ზომიერი კლიმატის ტყეებს აქ, ერთი მხრივ, ალპური მდელოები და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ კავკასისწინეთისა და სამხრეთ კავკასიის დაბლობი სივრცეების ნახევრად უდაბნოს მშრალი მცენარეული ენაცვლება. დასავლეთ კავკასიისწინეთში შავმიწიანი სტეპების სტეპური ფლორა გვხვდება.

უნდა გავიხსენოთ, რომ კავკასია პოლიეთნიკური რეგიონია. აქ 50-მდე ხალხი მკვიდრობს, რომელთაგანაც ყველამ ორიგინალური კულტურა შექმნა და აქვს მისთვის დამახასიათებელი ენა. კავკასია ხომ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში მრავალი ხალხით იყო დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში არაერთი ენა და ეთნოსი გაქრა, დღესაც ის მრავალეთნიკური ოლქია. კავკასიური ენების ოჯახს მიეკუთვნებიან: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზები, აფხაზები, ინგუშები, ჩაჩნები, ხუნძები, ანდიელები, ახვახელები, ბაგულალე-

действие и особенности эволюции (на примере западного кавказа). СПб. Европейский Дом. 1996, გვ. 225.

[19] А. Ф. Ляйстер, Г. Ф. Чурсин. География Кавказа: природа и население. Т. 1924.

ბი, ბოთლიხელები, ღოდობერიელები, კარატაელები, ტინდიელები, ჭამალალები, დიდოელები, კაპუჭელები, ხვარშიელები, ჰინუხელები, ჰუნზიბელები, არჩიბელები, დარგუელები, ხაიდაყელები, ყუბაჩელები, ლაკები, ლეზგები, აღულები, რუთულები, თაბასარანელები, წახურები, ხინალუღები, კრიწები, ბუდუხები, უდიები; ირანულენოვანი ოსები, თათები, მთის ებრაელები, თალიშები; თურქულენოვანი ყარაჩაელები, ბალყარელები, ყუმუხები, ნოღაელები, აზერბაიჯანელები; სომხები; ქართველები...[20] თანამედროვე კავკასიაში არაავტოქტონი, სხვადასხვა დროს მოსული ეთნოსებიც მკვიდრობენ. ესენი არიან: რუსები, უკრაინელები, ქურთები, ასირიელები, ბერძნები... კავკასიის ეთნიკური სიჭრელე განაპირობა რამდენიმე გარემოებამ: ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარეობამ და ჩრდილოეთი და სამხრეთი გზებიდან ხალხთა მოძრაობამ; რეგიონის მთიანმა ხასიათმა და ადგილობრივი ბუნების მრავალფეროვნებამ. ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი ეთნოსი უაღრესად მცირერიცხოვანია და მათი განსახლების არეალი ერთ ან ორ-სამ სოფელს არ ცდება. ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების და სხვა ორი-სამი ეთნოსის გარდა, ზემოთ ჩამოთვლილი ხალხები ძირითადად მთის მკვიდრები იყვნენ. დღეს კი მათი ძირითადი ნაწილი ბარშია მიგრირებული.

ქვემოთ მოგვიხდება კავკასიელი ხალხების დახასიათება, განსაკუთრებით ცივილიზაციის ნიშნებთან მიმართებაში. ცივილიზაციის არსებითი და ძირითადი ნიშანი სახელმწიფოებრიობაა. სამხრეთ კავკასიის ხალხთაგან სახელმწიფოებრიობის მატარებელნი ქართველები, სომხები და ალბანელები იყვნენ. ალბანელების საფუძველზე წარმოქმნილ აზერბაიჯანელებს კი პატარ-პატარა ფეოდალური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები გააჩნდათ. ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსებიდან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ხუნძებს გააჩნდათ (სერირის სამეფო), რომელიც XIII საუკუნიდან წვრილ ფეოდალურ ერთეულებად დაიშალა და ქვეყანამ ფაქტობრივი დეფეოდალიზაცია განიცადა. წვრილ ერთეულებად დაიშალა აგრეთვე ტაბასარანი, ლაკზი, გუმიკი. ჩრდილიეთ კავკასიელთაგან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი გააჩნდათ ოსებსაც,

[20] რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბ. 2007.

ოღონდ არა მთებში, სადაც ისინი ბოლო დროს, გვიან შუა საუკუნეებში ცხოვრობდნენ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში. XIII საუკუნეში, საგარეო ფაქტორის გამო, ამ სახელმწიფომაც კრახი განიცადა. საერთოდ, გეოგრაფიული მდგომარეობა და არაერთი მომთაბარე ტომის მოძრაობა და მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიაში მყარი ეთნიკური სიტუაციისა და სახელმწიფოების ანდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არსებობას ხელს არ უწყობდა. არსებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები მონღოლთა შემოსევებმა საბოლოოდ მოსპო და იმ დროს წარმოქმნილი ეთნიკური და პოლიტიკური სიტუაცია, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობამდე აღარ შეცვლილა. დანარჩენ ჩრდილოეთ კავკასიელებს, უფრო სწორედ, მთიელებს, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობა არ ჰქონიათ. სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის აუცილებლობა კავკასიის ხალხებმა ძალიან გვიან – რუსეთის იმპერიის ექსპანსიის თითქმის დამამთავრებელ ეტაპზე – იგრძნეს. ადიღეელებს შორის ამაზე ფიქრი 1850-იან წლებში *მუჰამედ-ამინმა* დაიწყო და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ფორმირება მისი სიკვდილის შემდეგ – 1860-1864 წლებში მოახდინეს. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო: იმპერიამ ფორმირების პროცესში შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა და ადიღეელთა ეთნოსფერა ერთდროულად გაანადგურა.[21] ასე რომ, ცივილიზაციის ამ ნიშანს (სახელმწიფოებრიობა) კავკასიელთაგან მხოლოდ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ადრეულ ეტაპზე ნაწილობრივ ოსები აკმაყოფილებენ. ქართული სახელმწიფოებრიობა შუა საუკუნეებში უკვე იმ დონეზე ავიდა, რომ თამარის მეფობისას ქვეყანაში პარლამენტარიზმის ჩანასახებიც კი გაჩნდა. ნომადურ სამყაროსთან მეზობლობა და სიახლოვე ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსებში სახელმწიფოებრიობის მხრივ კეთილისმყოფელ გავლენას ვერ ახდენდა. მთა კავკასიელ ავტოქტონებს სახელმწიფოების შექმნის საშუალებას ნაკლებად აძლევდა. ბარში გასვლის საშუალებას კი მათ ხან მომთაბარე ირანული მოდგმის და ხან

[21] В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. СПб. 2007, გვ. 542-543.

თურქული მოდგმის ხალხები უშლიდნენ; ბარში შექმნილი ეთნიკური სიცარიელის შევსებას ისინი ვერ ასწრებდნენ.

ცივილიზაციის შემდეგი ნიშანი სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოება და კლასების არსებობაა. სოციალურად დიფერენცირებული იყო ქართული, სომხური, ალბანური, შემდეგ აზერბაიჯანული სახელმწიფოები და სახელმწიფოებრივი ერთეულები (სამთავროები, სახანოები). რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ჩრდილოეთ კავკასიაში? ზემოთ დაღესტნის სერირის სამეფო ვახსენეთ. გარდა სერირის სამეფოსი, დაღესტანში სხვა ასეთი ერთეულებიც ყოფილა. არაბი ავტორები აქ მასქუტთა, ტაბასარანელთა, ლაკზთა „სამეფოებსაც“ ასახელებენ. ბუნებრივია, სამეფოში სოციალური დიფერენციაცია და კლასები იქნებოდა. საერთოდ, დაღესტანში სოციალ-ეკონომიკური ურთიერთბები უფრო ვითარდებოდა მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, XIII საუკუნიდან აქ დეფეოდალიზაცია მოხდა და სახეზე მხოლოდ ნახევრად ფეოდალური ურთიერთობები არსებობდა. ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში არსებული ოსთა სახელმწიფო მონღოლთა შემოსევების შედეგად განადგურდა და მთაში შეხვეწილ ოსებს აღარც სახელმწიფო და ფაქტობრივად აღარც სოციალური დიფერენციაცია ჰქონიათ და არც კლასები ჰყოლიათ. ზოგიერთ ოსურ საზოგადოებაში ზედაფენა მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ველები ყაბარდოელებმა დაიკავეს. მაგრამ ყაბარდოული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი განსხვავდებოდა კლასიკური ფეოდალური სახელმწოფოებისაგან – ყაბარდოს უმაღლესი თანამდებობის პირის („უალია“) თანამდებობა არჩევითი იყო; მას თავადების საბჭო ირჩევდა. შემორჩენილი იყო საჯარო ხელისუფლების არქაული ფორმები: სახალხო კრება, მამაკაცთა ფარული კავშირები. ყაბარდოში პატრიარქალური მონობა გვაროვნული წყობილების ძლიერ გადმონაშთებთან იყო შეთანაწყობილი. დასავლეთ ადიღეელების „დემოკრატიულ“ საზოგადოებებში გაჩენილი იყო სოციალური ფენა, რომელსაც „უორკი“ ეწოდებოდა. თავისუფალი მეთემეების დიდი მასის ფონზე, „უორკის“ გვართა რიცხვი დიდი არ იყო. ამ უკანასკნელთა ფორმირება მოხდა

არა მიწის საკუთრების ბაზაზე, არამედ ძირითადად სამხედრო ექსპანსიის შედეგად მოპოვებული ნადავლის, ალაფის საფუძველზე. საერთოდ, არ ყოფილა სოციალურად დიფერენცირებული და კლასები ჩაჩნეთში და ინგუშეთში. იგივე მდგომარეობა გვქონდა ყარაჩაისა და ბალყარეთში. ისინი ერთი მთლიანი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის სახით არ ცხოვრობდნენ. საზოგადოების ძირითად ნაწილს თავისუფალი მეთემეები წარმოადგენდნენ. ამრიგად, ამ კომპონენტითაც ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ცივილიზაციის ეს ნიშანი მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში იყო.

ცივილიზაციის მესამე ნიშანი მიწის მემკვიდრეობით გადაცემაა. თავისი კლასიკური ფორმით ეს ნიშანიც მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი. რა მდგომარეობა გვქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში? ამ მოთხოვნილებას დაღესტანი ნაწილობრივ აკმაყოფილებს. სხვაგან ძირითადად მიწაზე სათემო საკუთრება არსებობდა. იქ, სადაც სახვნელ მიწაზე კერძო საკუთრება არსებობდა, პატრონს არ შეეძლო მისი გასხვისება სხვაზე, გარეშეზე, მემკვიდრეობა არ გადადიოდა ქალიშვილზე, ოჯახში ვაჟის არ ყოლის შემთხვევაში მიწა გვარის, თემის საკუთრებაში გადადიოდა. როგორც ვხედავთ, ამ კომპონენტითაც საერთო ჩრდილოეთ კავკასიელებსა და სამხრეთ კავკასიელებს არაფერი ჰქონდათ. კიდევ ერთი გარემოების შესახებ: სამხრეთ კავკასიელთაგან მიწაზე მიმაგრებულნი იყვნენ ქართველები და სომხები. ისინი ბინადარ ცხობრებას მისდევდნენ. ასეთივე ცხოვრების წესი ჰქონდათ აზერბაიჯანელების უმეტესობას. რა მდგომარეობა გვქონდა ყაბარდოელთა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში? ყაბარდოელები და ადიღეელებიც ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. ისინი ფაქტობრივად ნახევრად მომთაბარეები იყვნენ. ცნობილია, რომ ყაბარდოული დასახლება („კაბაკი“) ხშირად იცვლიდა ადგილმდებარეობას. მათთან მიწა სათემო იყო. მიწის გადანაწილება ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში ყოველწლიურად ხდებოდა.

*გ. ჩაილდი* ცივილიზაციის ერთ-ერთ ნიშნად ასახელებს გადა-

სახადების სისტემას და რეგულარული ხარკის მიღებით დაგროვილ ცენტრალიზებულ სიმდიდრეს; მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშანი სხვა მკვლევარებთან აღარ ჩანს, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფეოდალური გადასახადების სისტემა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში თუ ვინმეს ხარკი ჰქონდა შეწრილი, ის თავს იყრიდა არა ცენტრალურ აპარატში, არამედ ცალკეული პიროვნებების ჯიბეში. ასეთ ხარკს ინგუშები, ჩაჩნები, ბალყარელები, ყარაჩაელები და აბაზები ყაბარდოელებს უხდიდნენ. მთაში არც შეიძლებოდა გადასახადის სისტემა კლასიკური ყოფილიყო. რა უნდა გადაეხადა მთიელს, როდესაც მთელი წლის განმავლობაში მოწეული მოსავალი თვითონ არ ყოფნიდა ოჯახის გამოსაკვებად? ცაკეული პიროვნებები გარკვეული სიმდიდრეს თუ ქონებას მხოლოდ თარეშების შედეგად იძენდნენ.

ცივილიზაციის ერთ-ერთ ნიშნად სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებას მიიჩნევენ. საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთშიც სახელმწიფოებრიობის ჩასახვიდან სავაჭრო ურთიერთობანი ფართოდ იყო განვითარებული, მხედველობაში გვაქვს, როგორც ქვეყნის შიგნით სავაჭრო ურთიერთობები, ისე საგარეო ვაჭრობა. არქეოლოგიური მასალა სწორედ სამხრეთ კავკასიელთა აღმოსავლურ და რომაულ, შემდეგ ბიზანტიურ სამყაროსთან ფართო სავაჭრო ურთიერთობებს ადასტურებს. არათანაბარი ვითარებაა და დიდად განსხვავებული სიტუაციის შემცველია ანტიკური პერიოდის კავკასიაში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. *„კოლხეთი სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ, ალბათ, ძვ. წ. VI ს-ის დასასრულიდან (უკიდურეს შემთხვევაში ძვ. წ. V ს-ის დასაწყისიდან) იჭრება ე. წ. კოლხური თეთრი, რომელიც ძვ. წ. V–IV სს-ში ყველაზე უფრო გავრცელებული მონეტაა დასავლეთ საქართველოს როგორც შიდა რეგიონებში, ასევე – სანაპირო ზოლში“*[22]. აღნიშნულ პერიოდში კოლხეთში, იბერიაში, სომხეთსა და ალბანეთში უცხოური მონეტების დიდი

[22] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკის საკითხები (ზოგადი მიმოხილვა). თბ. 2009, გვ. 3.

მიმოქცევა იყო, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში დიამეტრალურად სხვაგვარი ვითარება გვქონდა: *„ანტიკურ ხანაში, სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით, ჩრდილო კავკასია გაცილებით დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე ამიერკავკასიის რეგიონი. გარდა ამისა, აქ ნაპოვნი მონეტები ყოველთვის არ ასრულებდა ფულადი ერთეულის როლს“*[23]. იჭედებოდა და ფართო მიმოქცევაში იყო ქართული მონეტები ფეოდალიზმის პერიოდშიც. ჩრდილოეთ კავკასიელებს მონეტა არ ჰქონიათ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მონეტებს სახელმწიფოები ჭრიდნენ და უშვებდნენ მიმოქცევაში. ჩრდილოეთ კავკასიაში უცხოური მონეტები მართალია აღწევდნენ, მაგრამ მონეტებს ვაჭრობში კი არ გამოიყენებდნენ, არამედ ქალის სამოსის სამკაულად[24]. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში მხოლოდ გაცვლითი ურთიერთობები არსებობდა. ის კი არა, შუა საუკუნეებშიც ჩერქეზები/ადიღეელები მოსულ უცხოელებთანაც (გენუელები, ყირიმელები, თურქები) მხოლოდ ნატურალური ურთიერთობით გამოირჩეოდნენ. ჩრდილოეთ კავკასის სავაჭრო საქმიანობაში ძირითადად სომხები იყვნენ ჩართულნი. ადიღეეში ისინი განსახლებულნი იყვნენ თემირღოელებს, ხატუკაელებს, ბჟედუხებს, შაფსუღებს და სხვებს შორის და ცალკე ჯგუფის – ჩერქეზოჰაის სახელით იყვნენ ჩამოყალიბებულნი. რა ჰქონდათ გასაყიდი ან გასაცვლელი ჩრდილოეთ კავკასიელებს პროდუქტებიდან ან ხელოსნური ნაწარმიდან – თითქმის არაფერი (აქ დაღესტნის ზოგიერთი ხალხი არ იგულისხმება)? მათი მთავარი სავაჭრო საგანი მონები იყვნენ, რომლებსაც თარეშების შედეგად შოულობდნენ. სხვათა შორის, ადიღეელებში სოციალური დიფერენციაციის ჩანასახები სწორედ თარეშების შედეგად იყო გაჩენილი. აქ „უორკების“ ფენის ფორმირება მოხდა არა მიწის საკუთრების ბაზაზე, არამედ ძირითადად სამხედრო ექსპანსიის შედეგად მოპოვებული ნადავლის, ალაფის საფუძველზე, ე. ი. „სამხედრო დემოკრატიის“ („ჩიფ-

[23] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკის საკითხები, გვ. 31.
[24] История народов Северного кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М. 1988, გვ. 282.

დომის“) პირობების გამო. სამხრეთ კავკასიის სამივე ძირითადი ეთნოსის ტერიტორიულ ერთეულებს/ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობები, არამედ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები. ასეთი სავაჭრო, სამეურნეო და ეკონომიკური ურთიერთობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის XIX საუკუნემდე შენიშნული არ არის.

*გორდონ ჩაილდი* ცივილიზაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად პროფესიონალ ხელოსანთა და სპეციალისტთა გაჩენას ასახელებს. ამ მხრივაც არაერთგაროვანი სიტუაცია გვქონდა კავკასიაში. ხელოსნობა, ბუნებრივია, ჩრდილოეთ კავკასიელებში გავრცელებული იყო, მაგრამ ხალხთა დიდ ნაწილში ის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისაგან გამოყოფილი არ ყოფილა. ისინი ხელოსნობის ნაწარმით ასე თუ ისე თავიანთ თავს იკმაყოფილებდნენ. სხვაგვარი ვითარება გვქონდა დაღესტანსა და სამხრეთ კავკასიაში – დაღესტნის სოფლებსა და სამხრეთ კავკასიის ქალაქებში ხელოსან სპეციალისტთა ფენები ადრე შუა საუკუნეებიდან არსებობდა. XV–XVIII საუკუნეებში აქაური ხელოსნური ნაწარმი და მაღალხარისხოვანი საიუველირო ნაწარმი სხვაგანაც გადიოდა გასაყიდად. ასე რომ, ამ კომპონენტითაც არერთგვაროვანი სიტუაცია გვქონდა და ის საერთო კავკასიური ცივილიზაციის ფარგლებში ვერ თავსდება.

ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი ნიშანი დამწერლობა გახლავთ. ამ კომპონენტზე ყველა მეცნიერი ერთხმადაა შეთანხმებული. სამხრეთ კავკასიის სამ ეთნოსს – ქართველებს, სომხებს, ალბანელებს – V საუკუნის დასაწყისში უკვე დამწერლობა გააჩნდათ. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ქართული დამწერლობა V საუკუნეზე ბევრად ადრე არსებობდა. დამწერლობა სამივე სამხრეთ კავკასიელ ხალხს ორიგინალური გააჩნდა. ამასთანავე, იმავე დროიდან ქართველ ხალხში მხატვრულ მწერლობასაც დაედო საფუძველი, რაც დღემდე არ შეწყვეტილა და ქართულმა მწერლობამ შედევრებიც შექმნა. ქართველებმა საკუთარი საისტორიო მწერლობაც შექმნეს. მაღალი დონის

საისტორიო მწერლობა გააჩნიათ სომხებსაც. ალბანელთა გაქრობის გამო, სამწუხაროდ, ალბანური მწერლობის ნიმუშებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ქართველებში, სომხებსა და ალბანელებში საკუთარი დამწერლობისა და მწერლობის განვითარების მაპროვოცირებელი ფაქტორი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის გავრცელებაც იყო. ქრისტიანობა ხომ დამწერლობითი რელიგიაა.

რა მდგომარეობა გვქონდა ამ მხრივ ჩრდილოეთ კავკასიაში? აქ მცხოვრებ არც ერთ ეთნოსს საკუთარი დამწერლობა არ შეუქმნია. დამწერლობას და მწერლობას სახელმწიფოებრიობის მქონე ეთნოსები ქმნიდნენ. თუმცა ყველა ქრისტიან ხალხს თავდაპირველად საკუთარი დამწერლობა არ შეუქმნია; ასეთები სხვათა დამწერლობას იყენებდნენ, სხვათა ენაზე ისმენდნენ საეკლესიო ღვთისმსახურებას. XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნეში ადიღეაში საღვთისმეტყველო წიგნები ბერძნულ ენაზე ჰქონდათ. ხუნძეთში ნაპოვნია ორენოვანი ქართულ-არაბული წარწერწები, შესრულებული ქართული ასოებით XIV საუკუნეში. დაღესტანში XIII–XIX საუკუნეში ფუნქციონირებდა მედრესები, რომლებშიც, ბუნებრივივია, არაბულ ენაზე ასწავლიდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებში დამწერლობის არქონამ ფაქტობრივად დაამუხრუჭა მათი როგორც ენობრივი, ისე ეთნიკური განვითარება. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ჩრდილეთ კავკასიის ეთნოსები თავიანთ საგარეო ურთიერთობებში სხვათა ენასა და დამწერლობას იყენებდნენ, მაგალითად, ადიღეელები, აბაზები, ნოღაელები, ბალყარელები და ყარაჩაელები XVII საუკუნიდან დიპლომატიურ ურთიერთობებში რუსულ დამწერლობას იყენებდნენ (ადგილობრივი და რუსი თარჯიმნებისა და მწერლების დახმარებით). მთიან ჩაჩნეთში, ინგუშეთსა და დასავლეთ დაღესტანში ქართულ დამწერლობას იყენებდნენ. XVI საუკუნიდან საქართველოს მეზობელი დაღესტნის მხარეებში ქართულს არაბული ჩაენაცვლა, რაც აქ ისლამის გავრცელების პროცესის დასრულებას უკავშირდება.[25]

[25] История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в. М. 1988, გვ. 253, 492.

სხვათა დამწერლობის გამოყენების ცალკეული შემთხვევები მაინც ზღვაში წვეთია. მეცნიერთა მიერ დაფიქსირებული აღნიშნული შემთხვევები ძირითადად ბიზანტიელთა და ქართველთა მიერ ქრისტიანობის და არაბების მიერ ისლამის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. სხვადასხვა მიზეზების გამო კი ქრისტიანობამ ჩრდილოეთ კავკასიაში საბოლოოდ ფეხი ვერ მოიკიდა. სადაც ის შევიდა, მხოლოდ ზედაპირულად. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს არ შეეძლოთ საკუთარ ენაზე ქრისტიანული წიგნების წაკითხვა. სხვა მიზეზად კი შეიძლება მთური საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე დავასახელოთ. საბოლოოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამმა გაიმარჯვა, ზოგან საკმაოდ ადრე (დაღესტანში), ზოგან კი საკმაოდ გვიან (ჩაჩნეთსა და ინგუშეთში XVIII საუკუნეში).

ზემოთ ფაქტობრივად ცივილიზაციის კიდევ ერთ ნიშანს – რელიგიას – შევეხეთ. რელიგიას ცივილიზაციების ყველაზე არსებით ნიშნად მიიჩნევდა *ა. ტოინბი*[26]. ის ცივილიზაციათა ამაღლების რეალურ საფუძველს რელიგიაში ხედავს და მის მამოძრავებელ და განმსაზღვრელ ძალადაც რელიგიას მიიჩნევს. ამავე მოსაზრების გახლავთ *ს. ჰანტინგტონიც*.[27] ასე რომ, რელიგიების როლი ხალხთა კულტურებისა და ცივილიზაციების ფორმირებაში განუსაზღვრელია, განსაკუთრებით კი ეს მონოთეისტურ რელიგიებზე ითქმის. თუმცა მონოთეისტური რელიგიების წარმოქმნამდეც არსებობდა ცივილიზაციები და ისინიც ბევრად განპირობებული იყო რელიგიური სისტემებით. დღევანდელი დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის საფუძველს კათოლიციზმი წარმოადგენს. მართლმადიდებლობა კი დაედო საფუძვლად ბერძნულ-ბიზანტიურ ცივილიზაციას, ქართულ, რუსულ ცივილიზაციებს. არაბული ცივილიზაცია კი ისლამს ეფუძნება, ინდური – ინდუიზმს, ჩინური – ბუდიზმს და ა. შ. რა ვითარება გვქონდა ამ თვალსაზრისით

[26] А. Дж. Тойнби. Постижение истории. М. 1991 (эпитома 12-томного соч. Тойнби (Toynbee A. A. Study of History. l. 1934-1961). сделанная в 1972.

[27] საზოგადოება და პოლიტიკა, II, თბ., 1999, გვ. 21.

კავკასიაში? – არაერთგვაროვანი და ცვალებადი. ჯერ ისტორიით დავიწყოთ. მონოთეისტური რელიგიების გავრცელებამდე კავკასიის ყველა ხალხს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური რწმენა-წარმოდგენები ჰქონდა (თუმცა ზოგიერთი მეცნიერი, როგორც ჩანს, საერთო კავკასიური ცივილიზაციის იდეიდან გამომდინარე, რაღაც საერთო კავკასიური წარმართული საკულტო ობიექტების შესახებ საუბრობს). ქართული წყაროებით ცნობილია საქართველოში უცხო რელიგიების გავრცელების ქრონოლოგია. ქართველთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებისას ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს მეფე ფარნავაზი საერთო გამაერთიანებელ სალოცავს – არმაზს – უწესებს. ერს გამაერთიანებელი რელიგია სჭირდებოდა და ასეთი უცხო ღვთაება აღმოჩნდა, რათა რომელიმე ქართველთა ეთნოგრაფიულ ერთეულს თავი დაჩაგრულად არ ეგრძნო. შემდეგ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქვეყანა ირანული პოლიტიკური და კულტურული გავლენის არეალში მოექცა. ბუნებრივია, ირანი ცდილობდა ქართველ ხალხში თავისი რელიგიის – მაზდეანობის – დანერგვას. როგორც ირკვევა, მეტ-ნაკლები წარმატებით, ის ამას აღწევდა.

ანალოგიური ვითარება გვქონდა ალბანეთსა და სომხეთში. საბოლოოდ IV საუკუნის დასაწყისიდან საქართველოსა და სომხეთში ქრისტიანობამ გაიმარჯვა, ხოლო ალბანეთში ოთხი-ხუთი საუკუნის შემდეგ თურქული ეთნოსის დამკვიდრების შემდეგ ისლამმა იმძლავრა, რამაც საბოლოოდ ალბანური ეთნოსის ასიმილაცია-გაქრობა გამოიწვია. ჩრდილოეთ კავკასიაში ცდები ჯერ ბიზანტიისა და შემდეგ საქართველოს მიერ ქრისტიანობის გავრცელებისა საბოლოოდ წარუმატებელი აღმოჩნდა. მიზეზების შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ: მთური საზოგადოებები თავისი განვითარების დონით საამისოდ მზად არ აღმოჩნდნენ. ის მხოლოდ ზედაპირულად გავრცელდა. ქრისტიანობამ შედარებით უკეთ ალან-ოსებში მოიკიდა ფეხი, რადგან ალანებს მაშინ ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჰქონდათ; ისინი მაშინ მთიელები არ იყვნენ. თუმცა წყაროები აქაც მის ზედაპირულ განვითარებაზე მიუთითებენ. საილუსტრაციოდ ვრცელი ამონრიდის მოყვანა

დაგჭირდება: *«...следует иметь в виду, что в христианство или в ислам (на Северном Кавказе) было обращено меньшинство населения. В Дагестане в X-XII вв. территория Аварии оставалась в основном языческой. В середине XII в. жители Зирихгерана хоронили своих покойников по зороастрийскому обычаю (Ал-Гарнати). Влияние христианства на население Чечено-Ингушетии также было в целом поверхностным. Многие из адыгских племен в X в. придерживались языческих верований. В частности, Ал-Масуди писал о кашаках: «Этот народ исповедует религию магов», а Ибн-Русте сообщал об аланах, что «царь алан – сам христианин, а большая часть его жителей – кафиры и поклоняются идолам». Дохристианские языческие верования оставались популярными у алан, а некоторые районы Алании (особенно восточные) были почти полностью языческими. В первой половине XIII в., со слов епископа Федора, «аланы – христиане только по имени». Венгерский миссионер Юлиан (XIII в.) рассказывал, что зихский князь имел 100 жен, хотя сам был христианином, а жители Алании «представляют смесь язычников и христиан».*[28] ქრისტიანობის მყარად გავრცელებას მტკიცე სოციალური ბაზის არ არსებობა უშლიდა ხელს. მონღოლთა შემოსევებმა და მთებში შეხვეწამ ალან-ოსებს ქრისტიანობაზე უარი ათქმევინა. რაც შეეხება ისლამს, მან უფრო მოიკიდა ფეხი ჯერ დაღესტნის ხალხებში და შემდეგ დაღესტნელთა მეშვეობით – კავკასიის სხვა ეთნოსებში. საბოლოოდ აქ გამარჯვებული მაჰმადიანობის ისეთი ფორმა გამოვიდა, როგორიცაა „მისტიკური ისლამი“/„სუფიზმი“, რომელშიც მთავარ როლს ძმობა ასრულებდა. დღეს კი ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხს ისლამის რექციული მიმართულება – ვაჰაბიზმი იკიდებს, რომელიც ადგილობრივ ხალხებს საკუთარ ეთნიკურ კულტურაზეც კი ათქმევინებს უარს. მუსლიმურ რელიგიასთანაა დაკავშირებული წინადაცვეთის ჩვეულება. სხვათა შორის, ანდიელებში ქალების წინადაცვეთასაც კი ახდენდნენ. ქრისტიანული სამყაროსთვის ხომ წინადაცვეთის ჩვეულება უცხო იყო. ასე რომ, კავკასია არა მხოლოდ ბუნებრივ-გეოგრა-

[28] История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в., გვ. 178.

ფიული გარემოთი და ეთნიკური თვალსაზრისითაა მოზაიკური, არამედ რელიგიური თვალსაზრისითაც და მისგან გამომდინარე წეს-ჩვეულებებით, მსოფლშეგრძნებით, ქცევის სტერეოტიპებით. არსად სხვადასხვა რელიგიებისა და კონფესიების მიმდევარი ხალხები ერთი, საერთო ცივილიზაციის წარმომადგენლები არ არიან. არ არიან კავკასიელებიც ერთი, კავკასიური ცივილიზაციისადმი მიკუთვნებულნი, რადგან რელიგია ღირებულებების ძირითადი შემქმნელია. შეიძლება, ერთი მხრივ, ქრისტიანი ქართველები და სომხები, და, მეორე მხრივ, ისლამის მიმდევარი აზერბაიჯანელები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ეთნოსები საერთო „კავკასიური ცივილიზაციის“ შემადგენელი ნაწილი იყვნენ? რა თქმა უნდა, – არა.

ყველა მეცნიერი, რომელიც ცივილიზაციის პრობლემებს ეხება, ცივილიზაციის ერთ-ერთ უპირველეს ნიშნად ქალაქების არსებობას აღიარებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალაქები წარმოიქმნა ისტორიული განვითარების იმ საფეხურზე, როცა საზოგადოებაში მოხდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სოციალური დიფერენციაცია. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული მოსახლეობის ძირითად ნაწილს გამოეყო სხვა სოციალური ჯგუფები (ხელოსნები, ვაჭრები), რომელთა კონცენტრაციამ გარკვეულ დასახლებულ პუნქტებში გამოიწვია ქალაქური ტიპის დასახლებების შექმნა. ქალაქების შექმნამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე. ისინი იქცნენ სახელმწიფო ხელისუფლების და კულტურის განვითარების ორგანიზაციულ, კერძოდ, სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის განვითარების ცენტრებად, ხელი შეუწყვეს ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. ქალაქებში ჩაისახა სავაჭრო და სავახშო კაპიტალი. ქალაქის ხელოსნობასთან იყო დაკავშირებული ტექნიკის პროგრესი. საქართველოში, სომხეთსა და ალბანეთში ქალაქები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაშია დადასტურებული. ქართული ქალაქების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით, რომლებიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოიქმნებოდა. ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქები იყო: სარკინე, უფლისციხე, ურბნისი, მცხეთა, ვანი, წუნდა, ფასისი,

დიოსკურია, ბიჭვინთა, გიენოსი, სამშვილდე, ხუნანი, შორაპანი, დიმნა, თუხარისი და სხვ. ანტიკური ხანის მიწურულს კი ახალი ქალაქები დაწინაურდა: უჯარმა, ჟალეთი, თბილისი, რუსთავი, ხორნაბუჯი. მთელ რიგ ამ ქალაქებზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ადრე შუა საუკუნეებიდან დაწინაურდა თბილისი, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი, რასაც ძირითადად პოლიტიკური და სტრატეგიული ფაქტორები განაპირობებდა. ქალაქები საქართველოში შემდგომ ეპოქებშიც წარმოიქმნებოდა, მაგალითად, IX–XI საუკუნეები საქართველოს ისტორიაში იყო „ახალქალაქების“ წარმოქმნის ხანა. გვიან შუა საუკუნეებში, საგარეო ფაქტორთა გამო, საქართველოში ბევრი ნაქალაქარი გაჩნდა, მაგრამ საქალაქო ცხოვრება საქართველოში არასდროს არ ჩამკვდარა.

ძველ სომხეთში უაღრესად განვითარებული იყო საქალაქო ცხოვრება. ელინისტურ ხანაში ქალაქმშენებლობამ ინტენსიური ხასიათი მიიღი, რაც ვაჭრობისა და ხელოსნობის აღმავლობასთან იყო დაკავშირებული. ამ დროინდელი ქალაქები იყო: არტაშატი, არმავირი, ერვანდაშტი, ტიგრანაკერტი, ვაღარშაპატი. სომხეთში დიდი ქალაქები შუა საუკუნეებშიც არსებობდა – დვინი, ანისი, ერზინკი, კარინი, ყარსი, ვანი, არწნი, ხლათი, მანაზკერტი. ადრე შუა საუკუნეებში ქალაქები იყო ალბანეთშიც. პტოლემეოსი აქ 29 ქალაქსა და მსხვილი დასახლებული პუნქტის შესახებ საუბრობს.

რა ვითარება გვქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში? რუსეთის აქ შემოსვლის მომენტისათვის არც ერთი ქალაქი არ არსებობდა. აღნიშნული დროისათვის დაბლობი ძირითადად ყაბარდოელებსა და ნოღაელებს ჰქონდათ დაკავებული. არც დიდ ყაბარდოში და არც პატარა ყაბარდოში არც ერთი, თუნდაც პატარა, ქალაქი არ ყოფილა. ნოღაელები კი მომთაბარეობდნენ და ნომადებს მუდმივი დასახლებული პუნქტები საერთოდ არ გააჩნდათ. მთებში კი არც ერთი ქალაქი არ არსებობდა. თუმცა, საისტორიო საბუთებით, მონღოლთა შემოსევებამდე ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების ზონაში რამდენიმე ქალაქი არსებობდა. არქეოლოგების მიერ შესწავლილია ალანთა ნაქალაქარი ქვემო არხიზი მდ. დი-

დი ზელენჩუკის ხეობაში (თანამედროვე ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორია). ის იყო ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი, ბიზანტიური გავლენის ფორფოსტი X–XII საუკუნეებში. XII საუკუნეში ქვემო არხიზში ცხოვრება ჩაკვდა. როგორც მიუთითებენ, XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში ალანიაში სწრაფად მიმდინარეობდა ადრე ჩამოყალიბებული საქალაქო ცენტრების დეზურბანიზაციის პროცესი, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მეურნეობისა და ყოფის ყველა სფეროს ნომადიზაცია. ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო მაჯარიც, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევარში მდ. ყუმის ნაპირებზე წარმოიქმნა (თანამედროვე ქ. ბუდიონოვკა, სტავროპოლის მხარეში). მის მოსახლეობას ძირითადად ალანები და ყივჩაღები წარმოადგენდნენ. აქვე ბევრ ვაჭარს უცხოვრია ევროპიდან და აზიიდან. დიდი ნაქალაქარებია აგრეთვე ცენტრალურ კავკასიაში ქვემო ჯულატი (თანამედროვე ყაბარდო-ბალყარეთის ქ. მაიკოპის ახლოს) და ზემო ჯულატი (ჩრდილოეთ ოსეთში სოფელ ელხონტოვოს მახლობლად). ეს იყო და ეს. მთებში შესახლების შემდეგ, ოსებს ქალაქები აღარ ჰქონიათ. არქეოლოგებს სხვა არაერთი ნაქალაქარიც აქვთ გათხრილი ჩრდილოეთ კავკასიის ველებში, მაგრამ უმეტესი მათგანის ფართობი 6-7 ჰექტარს არ აჭარბებდა, იშვიათად 10 ჰექტარს. მთებში, სადაც თანამედროვე ჩრდილოეთ კავკასიური ეთნოსების განსახლების არეალი იყო, არსად ქალაქები არც საისტორიო წყაროებით და არც არქეოლოგიურად დადასტურებული არ არის. მთიელთა საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების დონე მას არ საჭიროებდა.

თითქოსდა საქალაქო ცხოვრება უნდა გამოეცოცხლებინა და განევითარებინა ვენეციელთა და გენუელთა კოლონიებს, რომლებიც ცოტა არ იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში. XIII–XIV საუკუნეების მიჯნაზე, იტალიური რუკების თანახმად, აქ 30-ზე მეტი კოლონია იყო, სადაც 1260 წლიდან საბოლოოდ გენუელები გაბატონდნენ. მაგრამ, იტალიელებმა ვაჭრობის ისეთი სახე წაახალისეს, რომელიც საზოგადოების განვითარებას ხელს არ უწყობდა, პირიქით – ამუხრუჭებდა; ესაა ტყვეებით ვაჭრობა. ვაჭრობა ფულის

ნიშნებით კი არ ხდებოდა, არამედ გაცვლით. ის ორმხრივ სარგებლიანი არ იყო. ადგილობრივ კავკასიელებს ტყვეებში უცვლიდნენ ქსოვილებს, ვენეციურ სარკეს, საპონს, საკმეველს, მარილს, ბრინჯს, მდოგვს და ზოგიერთ სხვა სანელებელს... ცნობილია, რომ თვით გენუელებიც არ ერიდებოდნენ ტყვეების გატაცებას. მოგვიანებით გენუელთა ანალოგიური საქმიანობა კავკასიაში ყირიმელებმა და თურქებმა გააგრძელეს. ამრიგად, ქალაქებთან მიმართებაშიც სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში რადიკალურად განსხვავებული ვითარება არსებობდა. ამ კომპონენტითაც ზედმეტია საუბარი საერთო კავკასიური ცივილიზაციის არსებობაზე.

ცივილიზაციის ერთ-ერთ ნიშნად *გ. ჩაილდს* მონუმენტური ნაგებობებიც მიაჩნია, თუმცა მთელი რიგი მეცნიერები ამ კრიტერიუმს არ ცნობენ. როგორც ჩანს ცივილიზაციის განსაზღვრაში ამ ნიშნის შემოტანა ზოგიერთ ძველი ცივილიზაციაში მონუმენტური ნაგებობების არსებობამ განაპირობა, მაგალითად შეიძლება ეგვიპტური, ძველბერძნული, რომაული... დავასახელოთ. მიგვაჩნია, რომ მონუმენტური ნაგებობების ნაცვლად უპრიანი იყო მეცნიერებს ასეთ კრიტერიუმად საქალაქო და საეკლესიო არქიტექტურა ეღიარებინათ. სამხრეთ კავკასიაში მონუმენტური ნაგებობები ნამდვილად არსებობდა. საამისოდ მართლმადიდებლური ძეგლების სიმრავლეც საკმარისია. ბანა, ოშკი, იშხანი, პარხალი, ოთხთა ეკლესია, ტბეთი ტაო-კლარჯეთში ასეთი ძეგლების ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. თავისი მასშტაბურობით გამოირჩევიან აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეები. მაგალითად თორთუმისა და არტანუჯის დასახელებაც საკმარისია. დანარჩენ საქართველოშიც ბევრი იყო ასეთი კომპლექსები: სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, გელათი, ალავერდი, უფლისციხე, ვარძია, დავით გარეჯი, გონიოს ციხე, გორის ციხე, ნარიყალა, ხორნაბუჯი, სვანეთის კოშკური კულტურა, თაღოვანი ქვის ხიდები, რომელთა მშენებლობასაც საქართველოში თამარ მეფეს მიაწერენ... ქალაქური ტიპის არქიტექტურა ჯერ კიდევ ახალი და ძველი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მცხეთაში დადასტურებული აქვს სტრაბონს. მდიდარია სასუ-

ლიერო მონუმენტური ძეგლებით სომხეთიც: ზვარტნოცი, ეჩმიაძინი, მამარაშენის ეკლესია, გეღარდის მონასტერი... ალბანურმა ძეგლებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. წყაროები მოგვითხრობენ, რომ VII საუკუნე-ში ალბანეთის დამოუკიდებლობის საბოლოოდ აღდგენის პერიოდში მიჰრანიდების დინასტიის გამორჩეულ წარმომადგენელს – ჯუანშირს მშობლიურ გარდმანში დიდებული გუმბათიანი ტაძარი აუგია, რომე-ლიც შესანიშნავი ფრესკებით ყოფილა დამშვენებული.

არსებობს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით ასეთი ნაგებობები? ანალოგიური ჩრდილოეთ კავკასიაში არაფერი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ქართულ ქრისტიანულ ტაძარსა და დაღესტნის, ინგუშეთისა და ჩაჩნეთის თავდასაცავ ნაგებობებს. ადიღეური მოდგმის ხალხებს საერთოდ კოშკური კულტურაც კი არ გააჩნდათ. მათთვის უცნობი იყო ქვის ნაგებობები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ადიღეურ ეთნოსფერაში დასახლების თავისებური ტიპი ჰქონდათ შემუშავებული. მათი თავისებურება „სიმსუბუქე“ და „მობ-რაობითობა“ გახლდათ. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ადიღეე-ლები მსუბუქი ტიპის ნაგებობებს უპირატესობას იმიტომ ანიჭებდნენ, რომ სტეპების მკვიდრთა თარეშების გამო იძულებული იყვნენ ხშირად ეცვალათ ადგილსაცხოვრისი.[29] ჩრდილოეთ-დასავლეთ კავკასიაში შე-მორჩენილი რამდენიმე მონუმენტური არქიტექტურული ძეგლი – ზე-ლენჩუკის, შოანის, სენტინის ტაძრები, რომლებიც X–XI საუკუ-ნეებიდან არსებობდა, ბიზანტიური და ქართული კულტურის ძეგლები იყო. ქართული კულტურის ძეგლი გახლდათ IX საუკუნეში აგებული ტყობა-ერდის ტაძარი ინგუშეთის ასას ხეობაში. იგივე შეიძლება ით-ქვას თარგიმისა და ალი-ერდის ტაძრებზე და „დათუნას“ ბაზილიკაზე დაღესტანში. ამ კომპონენტითაც ვერ ვიტყვით, რომ არსებობდა საერ-თო კავკასიური ცივილიზაცია; ამ მხრივაც სამხრეთ კავკასია და ჩრდილოეთ კავკასია სხვადასხვა სამყარო იყო.

*გ. ჩაილდი* ცივილიზაციის ნიშნად მეცნიერებისა და ხელოვნების

[29] В. В. Гудаков. Северо-Западный Кавказ в системе межэтнических отношений с древнейших времен до 60-х годов XIX века. СПб. 2007, გვ. 195.

ჩანასახებსაც ასახელებს. მეათე ნიშანს მწერლობაც (ლიტერატურაც) უნდა დაემატოს. ცივილიზაციის ეს ნიშანი ქართველი და სომეხი ხალხისათვის ადრე შუა საუკუნეებიდანვე იყო დამახასიათებელი. სომხებს V საუკუნიდან გააჩნიათ ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურა. მათ გააჩნიათ მდიდარი ისტორიოგრაფიული წიგნები, პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. პირველი სომხური წიგნი მართალია სომხეთს გარეთ, მაგრამ მაინც ძალიან ადრე – XVI საუკუნეში დაისტამბა. მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს სომხურ მუსიკასაც, თუმცა ხალხური სიმღერები მხოლოდ ერთხმიანი ჰქონდათ. VIII–IX საუკუნეებში სომხებმა შექმნეს დღემდე გაუშიფრავი სანოტო დამწერლობის ორიგინალური სისტემა. სომხური თეატრის საწყისები ცნობილია უძველესი დროიდან. თეატრალური დასები არსებობდა სომხეთის სამეფო კარზე, სადაც იდგმებოდა ბერძნულიდან თარგმნილი და ორიგინალური პიესები.

საქართველოში XI–XII საუკუნეებში არსებობდა მეცნიერებისა და განათლების ცენტრები (გელათისა და იყალთოს აკადემიები). უძველესი ქართული მხატვრული ნაწარმოები V საუკუნით თარიღდება. მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში არ შეწყვეტილა მხატვრული ლიტერატურის შექმნა. XII საუკუნეში შეიქმნა ქართული ლიტერატურის შედევრი *შოთა რუსთაველის* „ვეფხისტყაოსანი“. X საუკუნის ნაწარმოები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოები, არამედ საისტორიო თხზულებაცა. პირველი ქართული წიგნის დაბეჭვდის თარიღია 1629 წელი. მდიდარია ქართული საისტორიო მწერლობაც. საქართველოში ფილოსოფიური მეცნიერებაც სათანადოდ ვითარდებოდა (*ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი*). ქართული არქიტექტურის ძეგლებზე ზემოთ ვილაპარაკეთ. მდიდარია ქართული სახვითი ხელოვნებაც. მაღალი დონის იყო ჭედური ხელოვნება. ქართველები შესანიშნავ მინიატურებსაც და რელიეფურ სკულპტურებსაც ქმნიდნენ. საყოფელთაოდ ცნობილია ქართული მოზაიკა და ფრესკული ხელოვნება. მაღალი დონის ფრესკებით დამშვენებულია საქართველოს მთაში (სვანეთი) ორიგინალური და მრავალრიცხოვანი ბა-

ზილიკები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული მუსიკალური კულ-ტურა. ბევრი შედევრი აქვს ქართველ ხალხს შექმნილი სიმღერების სფეროში (ორი, სამი და ოთხხმიანი გუნდური სიმღერები). მრავალსაუ-კუნოვანი ტრადიცია აქვს ქართულ ხალხურ მრავალფეროვან ქორეოგ-რაფიას. მისი განვითარების პროცესში შეიქმნა თეატრალიზებული ქართული ცეკვებიც. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს სომეხთა და ქართველთა მსგავსი არაფერი აქვთ შექმნილი. ამ ნიშნითაც არ დასტურდება კავკა-სიური ცივილიზაციის არსებობა.

განსხვავებული ვითარება გვქონდა სამართლის სფეროშიც. ქართ-ველებსა და სომხებს დაწერილი სახელმწიფო (ფეოდალური) სამართა-ლი გააჩნდათ. საამისოდ *ბაგრატ კურაპალატის, ბექა-აღბუღასი* და *ვახტანგ VI-ის* სამართლის ძეგლები შეიძლება დავასახელოთ. სომხებს *მხითარ გოშის* სამართალი ჰქონდათ. ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის ყველა ხალხში მხოლოდ ჩვეულებითი, ადათობრივი სამართალი მოქმე-დებდა. გვიან შუა საუკუნეებიდან ჩრდილოეთ კავკასიის მთელ რიგ ხალხებში ადათს მუსლიმური სამართალი – შარიათი ჩაენაცვლა. სა-ხელმწიფო სამართლის მქონე და ადათისა და შარიათის მატარებელი ხალხების ერთ ცივილიზაციურ სისტემაში ჩართვა არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება.

ხელთ არა გვაქვს მონაცემები სომხეთში სახელმწიფო აღრიც-ხვიანობის შესახებ. სახელმწიფოებრიობის დროს, ბუნებრივია, სახელმ-წიფოსათვის დამახასიათებელი ეს ნიშანიც ექნებოდათ სომხებს. სა-ქართველოში ეს აღრიცხვიანობა რომ არსებობდა ცნობილია, მაგალი-თად, შვიდ წელიწადში ერთხელ სამეფო კარი მოსახლეობის აღწერას ატარებდა. ჩრდილოეთ კავკასიისათვის ასეთი რამ დამახასიათებელი არ იყო.

ზოგადად კავკასიის ხალხების ეთნიკურ კულტურასაც, ეთნოგრა-ფიულ ყოფასაც უნდა შევეხოთ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კავკასია ფრიად მრავალფეროვანი რეგიონი იყო, როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიუ-ლი, კლიმატური, ისე ეთნიკური თვალსაზრისით.

*ე. ებერხარდი* მარცვლეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებულ მიწათმოქმედებასა და მოშინაურებული საქონლის გამოყენებას ცივილიზაციის ნიშნებად მიიჩნევდა. მოშინაურებული საქონელი მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხს ჰყავდა და ამიტომაც მას ცივილიზაციის ნიშნად ვერ მივიჩნევთ, თუმცა სხვადასხვა ცხოველების მოშინაურება ადამიანთა საზოგადოების მიერ ცივილიზაციისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, მას კავკასიის ყველა ხალხი მისდევდა, გარდა მომთაბარე ნოღაელებისა. კავკასიაში მოსული ირანული და თურქული მოდგმის ხალხებიც მეურნეობის ამ სფეროს აქ დასახლკარებისთანავე ეზიარნენ. სამხრეთ კავკასიაში მიწათმოქმედება ირიგაციას ეფუძნებოდა, მათ შორის, დიდ სარწყავ სისტემებს, რომელთა მოწყობა დიდ კოლექტიურ შრომასა და სახელმწიფო ღონისძიებების, ფინანსური დახმარების გარეშე წარმოუდგენელი იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა თუ სტეპების ზოლში არქეოლოგებს ანალოგიური სარწყავი სისტემები დაფიქსირებული არა აქვთ. მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მაჩვენებელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტერასეული მიწათმოქმედების მაღალი დონე. მართალია ტერასები ჩრდილოეთ კავკასიაშიც არსებობდა, მაგრამ მასშტაბებში დიდი სხვაობაა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 25-დან 40-მდე საფეხურიანი ტერასები არსებობდა. საქართველოში მაღალი დონის მევენახეობა-მეღვინეობა არსებობდა. აქ 500-ზე მეტი ვაზის ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი, რაც ქართველი გლეხების საუკუნეობრივი შემოქმედების შედეგი იყო. ღვინო თითქმის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტი იყო; მას რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. სომხეთში, მიუხედავად არარატის ველის მკაცრი კლიმატური პირობებისა, მევენახეობა მაინც სათანადოდ იყო განვითარებული — ზამთარში ვაზს მიწაში მარხავდნენ. ჩრდილოეთ კავკასიისათვის ანალოგიური რამ დამახასიათებელი არ ყოფილა.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ მეურნეობის სფეროში პრიმატი მეცხოველეობას ჰქონდა. ყა-

ბარდოში წამყვანი დარგი მეცხენოება გახლდაათ. გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთმა ხალხმა საერთოდ უარი თქვა მიწათმოქმედებაზე, რადგან ძირითად შემოსავალს თარეშები აძლევდა, მაგალითად შეიძლება ხუნძები დავასახელოთ. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩერქეზების შესახებ ერთ-ერთი ისტორიკოსი წერდა: *„ჩერქეზებს არავითარ ჩემთხვევაში არ შეიძლება მიწათმოქმედი ხალხი ვუწოდოთ. ისინი ხელებს ომისათვის უფრთხილდებიან“. ნ. დუბროვინი* მათ მთავარ სიმდიდრედ ცხენების ძალიან დიდ ჯოგებსა და ცხვრის ფარებს თვლიდა. იტალიელი *კ. გლავანი* კი ხაზს უსვამდა, რომ დასავლეთ ადიღეელები *„საჭმელად ბევრ ხორცს და ცოტა პურს გამოიყენებენ, რომელსაც ფეტვის ფქვილისაგან აცხობენ“.* 1821 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა შოტლანდიელი მოგზაური *რობერტ ლაიელა*, რომელიც აღნიშნავდა, რომ *„კავკასიის მთიელ ტომებს ძალიან ბევრი საერთო აქვთ და ცდილობენ გააგრძელონ ცხოვრების ის გზა, რომელსაც მათი წინაპრები მისდევდნენ. მიწათმოქმედებას მისდევენ მცირედ. მათი ძირითადი საქმიანობა ნადირობა, მესაქონლეობა და ძარცვაა“.* ყაბარდოელებში მიწათმოქმედებას ინტესიური ხასიათი არ ჰქონია. ყაბარდოული კაბაკების ხშირი ადგილმონაცვლეობის მიზეზი მიწების გამოფიტვაც იყო. ევლია ჩელების სიტყვებით, დასავლეთ ადიღეელები ხშირად გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე და *„ამის გამო ჩერქეზთა ამ ქვეყანაში არაა არც ბაღები, არც ვენახები და არც მუდმივი საცხოვრებლები“.* მოყვანილი საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, თუ რაოდენ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან სამხრეთ კავკასიური და ჩრდილოეთ კავკასიური მეურნეობის ფორმები. ეს სხვაობაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ისინი ერთიანი კავკასიური ცივილიზაციის წარმომადგენლებად მივიჩნიოთ.

სამხრეთ კავკასიელებისათვის თუ ძირითად საკვებს პური წარმოადგენდა, ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის – არა. ყაბარდოელებმა/ადიღეელებმა პურის კულტურა არ იცოდნენ. ის რუსებისაგან შეითვისეს. მათი ძირითადი საჭმელი იყო „პასტა“ – ფეტვის ბურღულის

უმარილო სქელი ფაფა. სქელ გაციებულ ფაფას ნაჭრებად შეექცეოდნენ. ცნობილია, რომ საკვები, და, რა თქმა უნდა, სასმელიც წარმოადგენს ეთნიკური სტერეოტიპის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და მკაცრადაა დაკავშირებული ეთნოსის მეურნეობასა და შესაბამისად მისი ბინადრობის გარემოსთან. კულტურის ამ სფეროშიც განსხვავება აშკარაა.

ახლა სოციალური ურთიერთობებზე უნდა შევჩერდეთ. როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის ტრადიციული იყო დიდ და პატარა ოჯახებად ცხოვრება. ამ სფეროში მსგავსება დიდი იყო, მაგრამ საქორწინო ურთიერთობებზე ამას ვერ ვიტყვით. ცნობილია, რომ ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს, დაღესტნელების გამოკლებით, გვარი ჰქონდათ. გვარი ეგზოგამიური იყო, ე. ი. ერთი გვარის წევრები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ (ქართული მართლმადიდებელი ეკლესია შვიდი თაობის გასვლის შემდეგ რთავდა დაქორწინების უფლებას). დაღესტანის ყველა 26 ხალხს და მათი მონათესავე აზერბაიჯანში მცხოვრებ ხინალუღებს, კრიწებს და ბუდუხებს, აგრეთვე აზერბაიჯანელებს, გვარები არ ჰქონდათ და ამ ხალხებში ქორწინება ენდოგამიური გახლდათ, ე. ი. ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ ახლო ნათესავები, აკრძალვა მხოლოდ და-ძმას ეხებოდა. დაღესტნელები მეზობელი სოფლების მკვიდრებზეც კი არ ქორწინდებოდნენ. სხვადასხვანაირი საქორწინო ტრადიციების მქონე ხალხები შეიძლება ერთ ცივილიზაციაში შედიოდნენ? რა თქმა უნდა, — არა. განსხვავება იმაშიცაა, რომ ქრისტიანი ხალხებისათვის ქორწინება კანონიერად ითვლებოდა საეკლესიო ჯვრიწერის შემდეგ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ქორწინების კანონიერების დამდგენი საქორწილო რიტუალი იყო. სამხრეთ კავკასიის ხალხების ქორწილში დაქორწინებულები — ნეფე და პატარძალი — ქორწილის მთავარი პერსონაჟები იყვნენ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის უმეტეს ხალხებში ქორწილს ნეფე-პატარძალი საერთოდ არ ესწრებოდა, მაგალითად, ჩაჩნეთში. აქ ნეფე მეგობრის ან ნათესავის სახლში იმალებოდა, ანდა ზოგჯერ ტყეში მიდიოდა. ქორწილის შემდეგ, პირველ ხანებში, ქმარი

გარეშეთ, თავის მშობლებსაც კი თავს არიდებდა, ცოლს კი საიდუმლოდ — მხოლოდ ღამით ხვდებოდა.

რელიგიიდან გამომდინარე ჩრდილოეთ კავკასიელ მუსლიმებსა და სამხრეთ კავკასიელ აზერბაიჯანელებში ვაჟი ქალს ურვადის (გადასახადის) გარეშე ვერ შეირთავდა, ქრისტიანი ქართველებისა და სომხებისათვის ანალოგიური რამ უცნობი იყო. ქორწინება ხდებოდა ან ქალისა და ვაჟის ურთიერთმოწონებით, ან გარიგებით. ლეზგიებს შორის გაცვლითი ქორწინება არსებობდა, რომლის დროსაც მხარეები ერთმანეთში გოგონებს (ქალიშვილებს, დებს) ცვლიდნენ. მუსლიმური სამყაროსათვის ლევირატი და სორორატი იყო დამახასიათებელი. ასეთი ჩვეულება სამხრეთ კავკასიის ქრისტიანი ხალხებისათვის უცნობი იყო. ეს მონაცემებიც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ კავკასიურ ცივილიზაციაზე ვისაუბროთ. მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობა კავკასიის სამხრეთით და ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს არ ჰქონიათ. განსხვავებული იყო ქალის უფლებრივი მდგომარეობაც. შუა საუკუნეების ქართული აზროვნება ქალსა და მამაკაცს თანაბარ დონეზე განიხილავდა. საკმარისია შოთა რუსთაველის აფორიზმი გავიხსენოთ: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდაც ხვადია“. ქართველი ქალისადმი კლდემამოსილება, მოწიწება ჩანს ხალხური ცეკვის მწვერვალში „ქართული“, რომელიც რაინდულ-რომანტიკული სულისკვეთებით აღსავსე ცეკვაა. ამ თვალსაზრისით ხევსურული სწორფრობისა და ფშაური წაწლობის წეს-ჩვეულების დავიწყებაც არ შეიძლება. ქართული ოჯახი თუ მტკიცე იყო, ამას ვერ ვიტყვით ჩაჩნური ოჯახის შესახებ. ქმარს შეეძლო ცოლი ყოველგვარი არგუმენტების გარეშე სახლიდან დაეთხოვა. ასეთ შემთხვევაში ბავშვები მამასთან რჩებოდნენ და დედას საერთოდ ვეღარც ნახულობდნენ. ასე რომ, კაცი შეიძლება სამ-ოთხჯერ დაქორწინებულიყო და ქალიც ხელახლა გათხოვილიყო. ოჯახების დაშლა და ხელახლა დაქორწინება ხშირად ხდებოდა. ასეთი სხვადასხვა ტრადიციების მატარებელი ეთნოსების ერთ, საერთო ცივილიზაციაში ყოფნა წარმოუდგენელია.

დაღესტნის ხალხები ფაქტობრივად იზოლატი ეთნოსები იყვნენ.

ამას მათი ენდოგამიური ქორწინებაც განაპირობებდა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ერთ ენობრივ-ეთნიკურ ერთეულს საერთო ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონდა; არ ჰქონდათ საერთო ეთნონიმი და ისინი სოფლის სახელწოდებით იწოდებოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ბალყარელების შესახებ, რომელთა ეთნონიმებს ხეობათა სახელები წარმოადგენდა. კავკასიის სხვა ეთნოსებისათვის ასეთი სახელდება უცნობი იყო. ამ სფეროშიც სხვადასხვაობა გვაქვს. საერთო წარმომავლობის ჩრდილო კავკასიურმა ეთნოსებმა კონსოლიდაციაც კი ვერ მოახერხეს, მაგალითად, ოსები ორ ერთეულად იყოფოდნენ: ირონელებად (აღმოსავლეთ ოსები) და დიგორელებად (დასავლეთელი ოსები). მათი ეთნიკური კონსოლიდაციის ხელის შემშლელი რელიგიური ფაქტორიც იყო. უკანასკნელნი მაჰმადიანები იყვნენ. ერთ ენაზე მოლაპარაკე ყარაჩაელები და ბალყარელები ცალ-ცალკე ეთნოსებად დარჩნენ, რომელთა კონსოლიდაციასაც ტერიტორიული ფაქტორი უშლიდა ხელს. იგივე შეიძლება ითქვას ადიღეური მოდგმის ხალხებზე. XIV საუკუნეში ადიღეელთა ერთი ნაწილის აღმოსავლეთით გადანაცვლებამ მათგან ფაქტობრივად ყაბარდოული ეთნოსის ფორმირებას დაუდო სათავე. ბევრი წვრილ-წვრილი ეთნოსი დარჩა დაღესტანში. დაღესტნელების დიდ ეთნოსებად გაერთიანებას ენდოგამიური ქორწინება აბრკოლებდა.

ორიოდე სიტყვით დაკრძალვის წეს-ჩვეულებების შესახებაც. ქართველები მიცვალებულს მართლმადიდებლური წესის მიხედვით მესამე დღეს კრძალავდნენ, ჩრდილოეთ კავკასიელი მუსლიმები — იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე. ჩრდილოეთ კავკასიელი ჩაჩნები, ინგუშები, ოსები, ყარაჩაელები, ბალყარელები მიცვალებულს არა მიწაში, არამედ მიწისზედა აკლდამაში კრძალავდნენ.

საერთო კავკასიური ცივილზაციის არსებობა არც მუსიკალური ფოლკლორის შედარებით დასტურდება. ამჯერად ამ თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიელი და სამხრეთ კავკასიელი ხალხების შედარებას არ შევუდგებით. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ქართული გუნდური და მრავალხმიანი მუსიკალური ფოლკლორი ჟანრობრივად მდიდარია. ის მოიცავს შრომით, საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, საქორწილო,

ისტორიულ, საგმირო, სასიყვარულო, სახუმარო, საფერხულო სიმღერებს, შაირებს, მოთქმა-ტირილს. ჩრდილოეთ კავკასიელი ადიღეელებისა და დაღესტნელთა ზეპირ-პოეტურ შემოქმედებაში კი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სიმღერებს თარეშების შესახებ. ასეთი სახის სიმღერებში პროპაგანდა ეწევა თარეშებს, რომელიც მიმართული იყო სხვათა საძარცვავად და ტყვეების ხელში ჩასაგდებად, ხოტბას ასხამდნენ თარეშების ორგანიზატორებს, რომელიც თანამეინახეებთან ერთად კლავდა და ატყვევებდა სხვა რჯულის ადამიანს. ხუნძთა სიმღერებში დაწვრილებითაა გადმოცემული თარეშებისათვის მზადება, აღწერენ იმ იარაღს, რომელიც ლაშქრობისას თან მიჰქონდათ. ერთ-ერთი სიმღერის ტექსტი კი ასე ჟღერს: *„სადაც ჩვენი ხელი შეეხო, იქ ტირილი გაისმა, სადაც მივიდა ფეხი ჩვენი, იქ ალი აგიზგიზდა. ტყვედ ჩაგდებულ იქნენ ხელებლამაზი და თვალლამაზი ქალიშვილები; შევიპყარით ჯანმრთელი ბიჭები...“* როგორც წესი, თარეშების შესახებ შექმნილი სიმღერები ასეთი სურვილით მთავრდება: *„დაე, დაებადოს ყველა დედამას მსგავსი შვილები“.* რომელი ცივილიზაციის ჩარჩოებში შეიძლება მოთავსდეს ასეთი მუსიკალური ფოლკლორი? ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანთა მოტაცება და მონებად გაყიდვა დანაშაულად არ ითვლებოდა, ე. ი. მათ სამხრეთ კავკასიელთაგან განსხვავებული სტერეოტიპები და ეთნოფსიქოლოგიური განწყობა გააჩნდათ. ქართველები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თვითონ განიცდიდნენ თარეშების უარყოფით შედეგებს, რასაც საბოლოოდ ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის თითქმის მთელ მონაკვეთზე ეთნიკური სიტუაციის შეცვლა და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა ჩამოწოლა მოჰყვა.

ხალხური კულტურის არაერთი სხვა მაგალითი შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, თქმული საკმარისია. კავკასიის ხალხებს ბევრი კულტურის ელემენტი საერთო ჰქონდათ: სტუმართმოყვარეობის ტრადიციები, მსგავსი ადათობრივი სამართალი, სისხლის აღების წეს-ჩვეულება, სამოსის თითქმის ერთგვაროვნება (ჩოხა გვიან გახდა საერთო კავკასიური. მამაკაცის ამ სამოსს ჩრდილოეთ კავკასიაშიც და ქართველებშიც ძირითადად დაწინაურებული ფენა ატარებდა, ხო-

ლო გლეხობაში ის სადღესასწაულო სამოსი იყო – დიდ სოფლებში ისინი ჩოხას ძირითადად ქორწილში იცვამდნენ), გაძიძავება, კოშკური კულტურა (ადიღეური მოდგმის ხალხებისათვის კოშკური კულტურა დამახასიათებელი არ იყო), დასახლების შეჯგუფული ფორმა და სხვა. ეთნიკური კულტურის ზოგიერთი მსგავსი ელემენტი არავითარ საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რომ „კავკასიურ ცივილიზაციაზე“ ვილაპარაკოთ. კავკასიის ხალხებს უფრო მეტი განმასხვავებელი რამ ჰქონდათ, ვიდრე საერთო, განსაკუთრებით ეს სამხრეთ კავკასიელებისა და ჩრდილოეთ კავკასიელების კულტურაზე შეიძლება ითქვას. კავკასიური ცივილიზაციის წარმოქმნაზე ვერც მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიგრაციამ მოახდინა რაიმე გავლენა. ჩრდილოეთ კავკასიურ ეთნოსებში ბევრია ქართული წარმომავლობის, ქართველთა შორის – ჩრდილოკავკასიური წარმომავლობისანი, მაგრამ ასეთი გადასახლებანი რაიმე სიმპტომსაც კი არ ქმნიდა კულტურათა დასაახლოვებლად, მსგავსი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურების შესაქმნელად. რასობრივად კავკასიელები ახლოს დგანან ერთმანეთთან. ანთროპოლოგიური მსგავსება კი სულ სხვა მოვლენაა; ის ბუნებრივი კატეგორიაა. ანთროპოლოგიურ ტიპსა და ფენოტიპის მსგავსებას კულტურულსა და ცივილიზაციურ მოვლენებთან არავითარი კავშირი არა აქვს.

საერთო „კავკასიური ცივილიზაციის“ შესახებ თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარეც არ შეიძლება ვისაუბროთ: წინააღმდეგობები კავკასიელ ხალხთა შორის განუზომლად დიდია. ერთი ცივილიზაციის ფარგლებში ამდენი დაპირისპირება, კონფლიქტი არ ხდება. მხედველებაში გვაქვს სომხურ-აზერბაიჯანული ომი, „ქართულ-აფხაზური“ და „ქართულ-ოსური ომები“, ინგუშურ-ოსური დაპირისპირება. საერთო კავკასიური ცივილიზაცია რომ ნონსენსია, ამას ჩრდილოეთ კავკასელთა შორის ისლამის რეაქციული მიმართულების – ვაჰაბიზმის ფართოდ გავრცელებაც უშლის ხელს, და, რაც ყველაზე მთავარია, დღეს გავრცელებული ტერორიზმი. ტერორიზმი საერთოდ როგორ შეიძლება ცივილიზაციურ მოვლენად ჩაითვალოს?

არა მხოლოდ კავკასიური ცივილიზაციის, არამედ ერთიანი კავკასიური კულტურის მიმართაც სრულიად სამართლიანი ნეგატიური დამოკიდებულებაა გამოთქმული: *„კავკასიური იდენტურობის არსებობა არ ნიშნავს ერთიანი კავკასიური კულტურის არსებობას ისევე, როგორც, ვთქვათ, ევროპული იდენტურობისა – ერთიანი ევროპული კულტურის არსებობას“.*[30] გამოთქმულ შეხედულებას ზემოთ ჩვენს მიერ მოხმობილი ყოფითი კულტურის მონაცემების მოხმობაც ადასტურებს. უფრო მეტიც: არ არსებობს საერთო ჩრდილოკავკასიური კულტურაც; დაღესტნის ხალხებისა და ადიღეელთა კულტურის კომპონენტები სრულიად განსხვავებულია და ერთ საერთო ჩარჩოში არ თავსდება.”

*ნორბერტ ელიასის* სიტყვებით, „ცივილიზაცია“ იმას გამოხატავს, რაც ყველა ხალხისათვის საერთოა, „კულტურა“ კი – ეროვნულ ფენომენს. მართლაც კავკასიის ყველა ხალხს მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური კულტურა გააჩნია, მაგრამ ეს კულტურის ელემენტები მათ საერთო არა აქვთ, არა აქვთ საერთო „ცივილიზაციის“ ნიშნები. ჩრდილოეთ კავკასიელების კულტურა ცივილიზაციაში ვერ გადაიზარდა. იმ დროს, როდესაც ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს ცივილიზაციის ყველა ნიშანი გააჩნიათ და ისინი საუკუნეების წინ წარმოიქმნა, ასეთსას ჩრდილოეთ კაკასიაში ვერ ვხედავთ. როდესაც რომელიმე ავტორი საერთო რასას, ფენოტიპს ცივილიზაციის ნიშნად განიხილავს, აშკარაა, რომ ასეთი მოსაზრების ავტორებს, ფაქტობრივად, მეცნიერული საარგუმენტაციო მონაცემები არ გააჩნიათ. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს ორ, სრულიად სხვადასხვა, სამყაროსთან, რომელიც გაყოფილია კავკასიის დიდი წყალგამყოფი ქედით. ქედის ჩრდილოეთით მთებში მცხოვრები ეთნოსების საკონტაქტო ზოლი ევრაზიის სამომთაბარეო სივრცე იყო, ხოლო სამხრეთ კავკასიელებს ურთიერთობა ჰქონდათ სპარსულ, ანტიკურ, არაბულ, მართლმადიდებლურ-ბიზანტიურ ცივილიზაციებთან.

---

[30] ნ. ჩიქოვანი საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში. თბ. 2005, გვ. 163.

სამხრეთ კავკასიელთა საერთო ცივილიზაციაზედაც ვერ ვისაუბრებთ. ადრე შუა საუკუნეებში თითქოს ისინი (ქართველები, სომხები, ალბანელები) სპარსული ცივილიზაციის რაღაც ნაწილს წარმოადგენდნენ, ყოველ შემთხვევაში, მის დიდ გავლენას განიცდიდნენ, მაგრამ ამ ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ცივილიზაციის ვექტორი სხვა მხარეზე გადაიხარა. ცალ-ცალკე განვითარდა ქართული და სომხური ცივილიზაცია. საერთო ქრისტიანული რელიგიის მიუხედავად, სომხებმა და ქართველებმაც თავისთავადი ეთნიკური ცივილიზაციები შექმნეს. ქართველთა დიოფიზიტობა და სომეხთა მონოფიზიტობა ერთი ცივილიზაციის შექმნის საფუძველს არ ქმნიდა. სომხებს XI საუკუნიდან სახელმწიფოებრიობა მოეშალათ და მათ ძირითად საქმიანობად, განსაკუთრებით სხვა ქვეყნებში გადასახლებულთათვის, ვაჭრობა და ხელოსნობა იქცა, ხოლო ქართველთათვის ვაჭრობა საყოველთაო მოვლენა არ ყოფილა; ისინი მიწას იშვიათად წყდებოდნენ. დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან ქართული და სომხური ხასიათიც (სხვათა შორის, ბევრი საერთო აქვს ერთმანეთთან ქართულ და ესპანურ ხასიათებს). ქართული ცივილიზაცია შედეგია სპარსული, ძველბერძნული, ბიზანტიური და თვით ქართული კულტურების შერწყმა-განვითარებისა. მის საფუძველს კი მართლმადიდებლობა წარმოადგენს. ზოგიერთთა მითითებით, ქართული ცივილიზაცია ევროპული ცივილიზაციის ნაწილია. ეს მოსაზრება საარგუმენტაციო მონაცემებს არ ეყრდნობა. ევროპასთან საქართველოს მხოლოდ შუა საუკუნეების სოციალური სისტემის – ფეოდალიზმის მსგავსება აახლოვებდა. თანამედროვე საქართველო ევროპული ცივილიზაციისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ქართველები, ევროპელებისაგან განსხვავებით, კანონმორჩილებით არ გამოირჩევიან (სულ სხვა საკითხია ქართველების თითქმის მუდმივი სწრაფვა ევროპისაკენ/დასავლეთისაკენ).

ამრიგად, კავკასიური ცივილიზაცია არ არსებობდა და არ არსებობს. კავკასიელებს (სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიელებს) არ ჰქონიათ კულტურული ფენომენების, სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების საერთო კომპლექსები და

სტრუქტურები, რელიგიური ერთობა. საერთო კავკასიური კულტურული და ცივილიზაციური ერთობის წარმოქმნას ხელი შეუშალა რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა მრავალფეროვნებამ, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელმა გზებმა და ამ გზებზე სხვადასხვა დამპყრობლის მიგრაციამ და აქ დამკვიდრების სურვილმა. განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში ქართველთა ცდა კავკასიელების ქრისტიანული იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანებისა წარუმატებელი აღმოჩნდა. კავკასიის სამხრეთმა და ჩრდილოეთმა ნაწილებმა განვითარების სხვადასხვა გზა გაიარეს. აქ მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს ერთი ისტორიული მარშრუტი არ გაუვლიათ. „კავკასიური ცივილიზაცია" მხოლოდ ცივილიზაციის თეორიებში, ისტორიასა და ეთნოლოგიაში ჩაუხედავი მეცნიერების მოგონილი სიტყვებია.

*Roland Topchishvili*

## ABOUT “CAUCASIAN CIVILIZATION”

Summary

Recently many people has been talk about “Caucasian Civilization” – books are published under this title, international conferences and forums take place quite often. Here, in this article, we discuss different opinions about phenomenon of civilization, we are trying to set up the main criteria of civilization that belong to famous scientist (A. Toynbee, N. Danilovski, G. Childs, W. Mason, R. Adams, C. Renfro, C. Flanner, W. Eberhard...). Regarding to those features that belongs to civilization the conclusion is drawn that common “Caucasian Civilization” does not exist at all. South and North Caucasians have never shared common cultural features, socio-economic and political structures, or even the religious unity. South Caucasian nations have almost all signs of civilization, but North Caucasians have not. North Caucasian ethnic groups were connected with nomadic world of Eurasia, while South Caucasians – with the civilizations like Persian, Arabian, Hellenistic, Roman, and Byzantine. Geographical, natural, or climate diversity, roads that connected Europe, Asia, and various conquerors whose invasions and migrations on intention to settle in this region – all served to be contradiction towards the creation of common Caucasian cultural and civilization unity. “Caucasian Civilization” is the artificial term invented by scientists being incompetent in theories of civilization, history and ethnology.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*მარიკა მშვილდაძე*

# დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქების მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების საკითხისათვის ახ. წ. I-IV საუკუნეებში (გლიპტიკური მასალის მიხედვით. პიტიუნტი)

საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქები – აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი (ახ. წ. II საუკუნიდან) ახ. წ. I-IV სს. რომისათვის სტრატეგიული დანიშნულების მნიშვნელოვან თავდაცვით სისტემაში შედიოდა, როგორც პროვინცია კაპადოკიის გარკვეული ნაწილი, რომელიც რომაელთა ბატონობის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტი იყო კავკასიაში. კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში რომაელთა გარნიზონები იდგნენ. აღნიშნული ე. წ. ციხე-ქალაქების პორტებში განლაგებული იყო რომაელთა სამხედრო ხომალდები, რომლებიც აკონტროლებდა ტრაპეზუნტის ჩრდილო შავიზღვისპირეთთან დამაკავშირებელ სამხედრო კომუნიკაციებს.

II ს. პირველ ნახევარში რომაელთა სამფლობელოები სებასტოპოლისთან მთავრდებოდა (Arr., PPE, 17).[1] მათი ბატონობის ძირითადი საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში თავდაპირველად სებასტოპოლისის კასტელუმი იყო. ახ. წ. II საუკუნის ბოლოდან, რომაელთა უკიდურესი სასაზღვრო ფორპოსტი დასავლეთ ამიერკავკასიაში სებასტოპოლისის „ფრურიონიდან“ პიტიუნტის ციხე-სიმაგრეში გადადის, რასაც წყაროებიც ადასტურებს.

თეოდორიტე კჳრელი (394-457 წწ.), როდესაც იოანე ოქროპი-

[1] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. I. თბ. 1961, გვ. 51.

რის პიტიუნტში გადასახლებას ეხება, აღნიშნავს, რომ „პიტიუნტი არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი" (Teod., V, 34).[2] რომაული სამხედრო ნაწილების ჩადგომა პიტიუნტში ახ. წ. II ს. შუა ხანებიდან, კერძოდ 135-152 წწ. შეიძლება ვივარაუდოთ, რაც მომთაბარე ტომების – ჰენიოხების თავდასხმას უნდა დავუკავშიროთ. პიტიუნტი II ს. ბოლოდან მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ხდება. როგორც აღვნიშნეთ, ახ. წ. II საუკუნის ბოლოს რომის ბატონობის ფორპოსტი სებასტოპოლისის „ფრურიონიდან" გადადის პიტიუნტში, სადაც რომაელები აგებენ საფორტიფიკაციო ნაგებობებს და სადაც ჩნდება საქალაქო დასახლება (კანაბე). პროკოფი კესარიელის მიხედვით, სანიგების მიწის ზღვისპირა ნაწილი ძველთაგანვე ეპყრათ რომაელებს, რომლებმაც აქ ორი ქალაქი სებასტოპოლისი და პიტიუნტი ააგეს. II ს. შუა ხანებში პიტიუნტში ჩაყენებულია XV ლეგიონის[3] ვექსილაცია, რომლის რაოდენობა ბიჭვინთის კასტელუმის ზომების მიხედვით (140X170 მ.), ერთ კოჰორტას არ აღემატება. აქედან გამომდინარე, პიტიუნტის კასტელუმი საკოჰორტო, საშუალო სიდიდის ციხე-სიმაგრედ უნდა ჩაითვალოს.[4]

ნაშრომში პიტიუნტის მაგალითზე განვიხილავთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე არსებულ რელიგიურ სიტუაციას ახ. წ. I-IV სს. გლიპტიკური მასალის მიხედვით. გლიპტიკა, როგორც ხელობა და ხელოვნების ერთ-ერთი დარგი წარმოადგენს იმ დროს არსებული რელიგიური კულტების განსახიერებას. გემების მფლობელის ქონებრივ მდგომარეობას. ჭრილაქვები გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნე-

[2] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I, გვ. 224.

[3] XV Legio Apollinaris იერუსალიმის აღების შემდგომ, ტიტუსს (Caesar Titus Vespasianus Augustus 71-81 წწ.) ახლდა ალექსანდრიაში, შემდეგ მასთან ერთად დაბრუნდა პანონიაში. აღმოსავლეთში ამ ლეგიონის დაბრუნება შესაძლოა ტრაიანეს (Caesar Nerva Traianus Augustus 98-117 წწ.) პერიოდში პართიასთან ომით იყო განპირობებული. ადრიანეს (Caesar Traianus Hadrianus Augustus 117-138 წწ.) დროს იგი XII Legio Fulminata-სთან ერთად კაპადოკიაშია.

[4] გ. გამყრელიძე, თ. თოდუა. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბ. 2006, გვ. 73.

ლოვან ძეგლად რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, არსებული კულტების, გავრცელებული ღვთაებების შესახებ.

ჩვენ ამოცანას წარმოადგენდა განგვესაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელ რელიგიასთან იყო დაკავშირებული პიტიუნტის ტერიტორიაზე დაფიქსირებული გლიპტიკური ძეგლების სიუჟეტები და აისახებოდა თუ არა გლიპტიკის ნიმუშებზე ის ცვლილებები, რომლებსაც ახ. წ. დასაწყისიდან აქვს ადგილი ანტიკური სამყაროში, რაც ახალი მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის გავრცელებაში მდგომარეობს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ პერიოდს (II-IV სს.) განეკუთვნება პიტიუნტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გლიპტიკის ნიმუშები.

ზემოაღნიშნულს ემატება ის ფაქტიც, რომ პიტიუნტი ქართული ქრისტინული კულტურისათვის განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი ქალაქია. კერძოდ, – პიტიუნტმა, საქართველოს ზღვისპირეთის ამ უმნიშვნელოვანესმა კულტურულ-პოლიტიკურმა და სტრატეგიულმა ცენტრმა, III ს. ბოლოსა და IV ს. დასაწყისიდან განსაკუთრებული რელიგიური დატვირთვა მიიღო და იქცა ახალი, ქრისტიანული ცივილიზაციის საყრდენ პუნქტად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჩვენი აზრით, ფრიად ღირებულია იმ ფაქტის დადგენა, აისახა თუ არა ყოველივე გლიპტიკის ნიმუშებზე, თუ აღნიშნული პერიოდისათვის პიტიუნტში ჭრილაქვები რჩებოდა ანტიკური სამყაროს კუთვნილებად.

ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 27 ჭრილაქვა. მათ შორის არის ორი პორტრეტული გემა (ინვ. №1416; ინვ. №1436), ღვთაებები – შვიდი ცალი, რომელთა უმრავლესობა უძველეს ბერძნულ-რომაულ ღმერთებად გვევლინება. მაგალითად: აფროდიტე (ინვ. №1419), დემეტრა (ინვ. №1429), ამური და ფსიქეა (ინვ. №1431; ინვ. №1432), დელფინზე მჯდარი ამური (ინვ. №1423), სამი გრაცია (ინვ. №1418), ჰერმესი (ინვ. №1437). აქვე დაფიქსირებულია გემა ფანტასტიკური ცხოველის – გრიფონის გამოსახულებით (ინვ. №1414).[5]

[5] გრიფონი – ნახევრადარწივი-ნახევრადლომი – ფანტასტიკური, მითო-

ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილ გემებზე კარგად არის წარმოდგენილი როგორც ცხოველთა და ფრინველთა სამყარო – დელფინი (ინვ. №1420), კრევეტი (ინვ. №1422; ინვ. №1425), ლომი (ინვ. №1426), მორიელი (ინვ. №1427), კიბორჩხალა (ინვ. №1415), ფუტკარი (ბუზი) (ინვ. №1428), თუთიყუში (ინვ. №1435), ისე სიმბოლოები – ვაზა ორი თავთავითა და ყაყაჩოს ყვავილით (ინვ. №1417), პურის ორი თავთავი (ინვ. №1430), ხელისჩამორთმევა (ინვ. №1429/1), დაფნის გვირგვინი (ინვ. №1433; ინვ. №1434)... საკურთხეველი (ბომონი) (ინვ. №1424), ფიქსირდება წარწერიანი გემა (NI) (ინვ. №1421).

ნიშანდობლივია, რომ ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილი ჭრილაქვების გამოსახულებები გავრცელებას პოვებს ადრექრისტიანულ სამყაროშიც, მაგალითად გრიფონი, დელფინი, ლომი... რომლებიც ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ადრექრისტიანულ სიმბოლოებად იქცევა. შესაბამისად, III-IV სს. ბიჭვინთის დატვირთვიდან გამომდინარე, არ იყო გამორიცხული შესასწავლი პერიოდისათვის მათი ქრისტიანული სამყაროსათვის კუთვნილების ფაქტი, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნული სიუჟეტების მქონე გემების აღმოჩენის გარემოებებს, კერძოდ სამარხის ტიპსა და მიცვალებულის თავის დამხრობას, სიუჟეტებს ანტიკური სამყაროს კუთვნილებად მივიჩნევთ.

ბიჭვინტის სამაროვანზე აღმოჩენილი გლიპტიკური მასალის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პიტიუნტში საკმაოდ გავრცელებული

ლოგიური არსებაა გველის დიდი კუდით. ფ. აკერმანის მიხედვით, გრიფონი განასახიერებს მზის ორმაგ სახეს (Ph. Ackerman. Sasanian Seals, dans AU Pope. A Survey of Persian Art. 1938/39, გვ. 795). ეს ფანტასტიკური ცხოველი სიმბოლურად ყოფიერების ორ სფეროზე – მიწასა და ცაზე ბატონობის სიმბოლური გამოხატულებაა. მზის სტიქიის ორი მთავარი ცხოველის (არწივი, ლომი) ერთ არსებაში გაერთიანება მზის, სიძლიერის, სიფხიზლის... განასახიერებს. ანტიკური სინამდვილეში გრიფონი ჰერალდიკური ცხოველის როლს ასრულებდა. გამოისახებოდა რომაულ სასახლეებში, განსაკუთრებით შენობების პორტალზე, როგორც ლომებზე, გველებზე, ბოროტ ძალებზე გამარჯვების სიმბოლო. გრიფონი ცალკე დგას. იგი ამაღლებულია გველებსა და ზღვის ცხოველებზე (Lexikon der christlichen Ikonographie. Allgemeine Ikonographie. Rom-Freiburg-Basel-Wien. III. 1971, გვ. 202-204).

ჩანს ბერძნულ-რომაული ღვთაებები, ძირითადად დაფიქსირებულია ადამიანის პირადი ქონებისა და კეთილდღეობის მფარველი ღმერთები და მათთან დაკავშირებული სიმბოლოები. ეს კი ხდება იმ დროს, როდესაც დგინდება ქრისტიანული სიმბოლოების – გულზე სატარებელი და სხვა ტიპის ჯვრების, ამულეტების, ლამპრების, მინის ჭურჭელის და ადრექრისტიანული სიმბოლოიანი წითელლაკიანი კერამიკის გაჩენა პიტიუნტის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში. აქვეა აღმოჩენილი ქვიშა-ქვის მონოლითური სტელა, რომელშიც რკინის ჯვარი იყო ჩადებული და რომელიც ფარული ქრისტიანის საფლავზე იყო აღმართული... კვლევის შედეგად ასევე ირკვევა, რომ პიტიუნტის სამაროვანზე II-IV სს. დაკრძალული მოსახლეობის 20% ქრისტიანი იყო.[6] საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პიტიუნტში ყოველი მეხუთე ქრისტიანი ცხოვრობდა, რაც აღნიშნული პერიოდისათვის საკმაოდ დიდი ციფრია. ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ პიტიუნტი იმპერიაში მიმდინარე პროცესების ეპიცენტრში იმყოფებოდა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მის ცხოვრებაზეც აისახებოდა. გამონაკლისს სწორედ გლიპტიკური ძეგლები წარმოადგენს, რაც, ჩვენი აზრით, ქალაქის (კანაბეს) მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რელიგიური ორიენტაციის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ცნობილია, კანაბეს მცხოვრებლებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მრავალი მილეთის ხალხი შეადგენდა – ვაჭრები, ხელოსნები, ვეტერანები, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობით იყვნენ დაკვებული, ჯარისკაცის ოჯახები, თავგადასავლების მაძიებლები და ა.შ.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ ბიჭვინთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული გვიან ანტიკური პერიოდით დათარიღებული ჭრილაქვების თემატიკა რომაული გლიპტიკისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი თემატიკისაგან არ განსხვავდება და თითქმის მთელს რომის იმპერიაში ფიქსირდება. ანალოგიური სიუჟეტები ფართოდ არის

[6] М. Мшвилдадзе, О распространении христианства в Западной Грузии (Питиунт). Кавказоведение. №3. М. 2003, გვ. 44-49 (47).

გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზეც, კერძოდ მცხეთა, ურბნისი და სხვ.[7]

პიტიუნტს ტერიტორიაზე დაფიქსირებული ყველა ინტალიო, ფორმის მიხედვით, არ სცილდება გვიანანტიკურ ხანას. ქვის სახეობები ახ. წ. II-IV სს. თარიღდება და რომაული გლიპტიკისთვის არის დამახასიათებელი. არ არის გამორიცხული ინტალიოების დიდი ხნის განმავლობაში ხმარების შემთხვევები.

ამრიგად, კვლევის შედეგად დგინდება, რომ პიტიუნტის ტერიტორიაზე ჩვენს ხელთ არსებულ გლიპტიკის ნიმუშებზე ნაკლებად აისახა რომის იმპერიაში, განსაკუთრებით კი მის აღმოსავლეთ პროვინციებში მიმდინარე რელიგიური ცვლილებები, რაც ქრისტეს მოძღვრების გავრცელებაში მდგომარეობდა და ჭრილაქვები (მათი მფლობელები) ანტიკური სამყაროს კუთვნილებად დარჩა.

[7] М. И. Максимова. Геммы из некрополья Мцхета-Самтавро. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ). XVI. თბ. 1950; ქ. ჯავახიშვილი. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ. 1972; ქ. რამიშვილი. სასანური გემები საქართველოში. თბ. 1978.

***Marika Mshvildadze***

# TOWARDS THE QUESTION OF CONFESIONAL BELONGINGS OF THE EASTERN BLACK SEA LITTORAL URBAN POPULATION IN THE $1^{ST}$ - $4^{TH}$ CC. (ACCORDING TO THE GLYPTICS. PITYUS)

Summary

The religious situation existing in I-IV centuries A.D. on the territory of the Eastern Black sea littoral (Pityus) according to the glyptics is researched in this work. It is worth to be noticed that right in this period new monotheistic religion spread and strengthened at the Eastern Black Sea littoral but gemmas from Pityus surprisingly show no signs of Chistianity, but again – pagan symbolics.

*აკაკი ჩიქობავა*

# „ფეოდალური რევოლუცია“ VIII-IX საუკუნეების საქართველოში და მისი განვითარების ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში უამრავი ნაშრომი დაიწერა და ბევრი დისკუსია გაიმართა.[1] არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები საქართველოს ტერიტორიაზე ფეოდალური ურთიერთობების დამყარების შესახებ, მით უფრო რადიკალურად განსხვავებულია შეხედულებები განვითარებული ფეოდალიზმის (ბატონყმობის) ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის გამარჯვების ხელშემწყობი ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორების ანალიზი და ამ სოციალური ტეხილისთვის დამახასიათებელი თავისებურებების აღნიშვნა.

თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში დღემდე აქტუალურია ფეოდალიზმის საკითხი. მისი გენეზისის ფორმირების შესახებ კვლავ მიმდინარეობს დისკუსიები, უარყონ თუ აღიარონ ფეოდალიზმის დღემდე არსებული კონცეპტი. ისტორიკოსები ცდილობენ რა ყოველივე ეს სისტემაში მოაქციონ, მაინც ერთადერთ შედეგამდე მიდიან. მიუხედავად ფეოდალიზმის არაერთგვაროვანი შეფასებისა მისი უარყოფა შეუძლებელია, რაც ხატოვნად შეაფასა ინგლისელმა ისტორიკოსმა პიტერ კოსმა: „ფეოდალიზმი გავიდა ფანჯრიდან, რათა შემდეგ კარიდან შემოსულიყო,“ რითაც ცნება „ფეოდალიზმის“ ჩაკეტილ რკალს გაუსვა ხაზი.[2]

---

[1] საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980.

[2] Л. Ю. Кухенбух. «Феодализм» о стратегиях одного неудобного понятия. Журн.: «Журнальный зал». М. 2006, №68. http://magazines.russ.ru/nlo/2006/81/ku4.html. 2011 წელი; И. В. Дубровский. Как я понимаю феодализм. Очерки социальной

„ფეოდალიზმს“ ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად „პატრონ-ყმობით“ ანაცვლებენ, რაც მიუთითებს ვასალიტეტზე დამყარებული სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების წესზე. რას გულისხმობს ფეოდალიზმი-პატრონყმობა? როგორი ურთიერთობების სტრუქტურას წარმოადგენს იგი? ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელია:

1. გლეხის მიწაზე მიმაგრება.

2. ფეოდალის მიერ გლეხის მიწიანად, ზოგჯერ უმიწოდ გაყიდვის უფლება.

3. სენიორის მიერ სასამართლო უფლების შეუზღუდავად (სენიორიის იმუნიტეტის ფარგლებში) გამოყენება.[3]

ფეოდალიზმის არსი არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით სოციალური განვითარებით აიხსნება, არამედ გარეშე სამხედრო-პოლიტიკური გარემოებებითაც, რაც ხშირად ხელს უწყობს ამა თუ იმ ტერიტორიაზე ერთიანი მონარქიის და მკაცრად ლეგიტიმიზებული ადგილობრივი მმართველობის აპარატის ჩამოყალიბებას,[4] ეს შეიძლება იყოს ახალი მიწების შემოერთება-ათვისება, ქვეყნის შიგნით არსებულის გადანაწილება ან ახალი „ქვეყნების“ წარმოქმნა.[5] ფეოდალიზმი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც მხოლოდ სენიორულ სისტემაზე დამყარებული მოვლენა, რადგან, მარკ ბლოკის თქმით, სენიორია ფეოდალიზმზე უფრო ადრინდელი მოვლენაა და მისგან წარმოქმნილ სუბიექტს არ წარმოადგენს, ფეოდალიზმი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთიანი სისტემა ყველასთვის, დაწყებული მეფიდან დამთავრებული მიწაზე მიმაგრებული გლეხით.[6]

истории средних веков. М. 2010, გვ. 19-35.

[3] გ. ჯამბურია. ბატონყმობა საქართველოში. კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980, გვ. 95.

[4] М. А. Барг. Проблемы социальной истории в освещении современой медиевистики. М. 1973, გვ. 40, 44.

[5] А. Я. Гуревич. Проблемы генезиса феодализма в Западной Европе. М. 1970, გვ. 151; 161. ლ. ტუხაშვილი. „ყოველი საქართველოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი და პერიოდიზაციის პრობლემა. კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980, გვ. 111.

[6] М. А. Барг. Проблемы социальной истории, გვ. 45-46.

საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის დამყარების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, ქრონოლოგიური ზღვარი VIII-XIII საუკუნეებს შორის მერყეობს.[7] ჩვენ ვემხრობით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც განვითარებული ფეოდალიზმის ფორმირება საქართველოს ტერიტორიაზე VIII საუკუნიდან ხდება, X საუკუნის დასაწყისისთვის კი უკვე სანქცირებულ სახეს იღებს, უფრო კონკრეტულად კი VIII-IX საუკუნეები ესაა ბატონყმობის გამარჯვების, იგივე განვითარებული ფეოდალიზმის ხანა საქართველოში.[8] VIII-IX საუკუნეები სწორედ ის პერიოდია, როდესაც მაინცდამაინც უნდა მომხდარიყო ადრეული ფეოდალიზმიდან შემდეგ ეტაპზე გადასვლა, რადგან ფეოდალიზმი დაქუცმაცებულობის პერიოდში ვითარდება, რისი ხელშემწყობი გარეშე ფაქტორები, არაბთა ბატონობა, ბიზანტიის გავლენა აფხაზეთზე და ჩრდილო კავკასიელთა თავდასხმები ამ პერიოდისთვის სახეზე გვაქვს.[9]

VIII საუკუნე საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური ტეხილით აღინიშნა. ხდება მთისა და ბარის ერთ ,,ქუეყნებად“ ჩამოყალიბება ანუ ,,ხევები“-ს გაერთიანება.[10] აღსანიშნავია, რომ ეს ტეხილი სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებაშიც აისახა. მაგალითად ძველ ქართულში ქვეყანას ,,სოფელი“ ეწოდებოდა, სოფელს ,,დაბა“ VIII საუკუნიდან მოყოლებული ,,ქვეყანა“ იმ მნიშვნელობით იხმარება, როგორც დღეს.[11] მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზმი ყველა ქვეყანაში თავისებურად ვითარდებოდა და მეცნიერები რიგ ქვეყნებში მის არსებობასაც უარყოფენ, ის მაინც უნივერსალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და ამგვარი სოციალური ტეხილები სწორედ, რომ სხვადასხვა ენაში პოვებენ

[7] საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ. 1980.

[8] გ. ჯამბურია. ბატონყმობის საკითხისათვის (კრ: ქართული ფეოდალიზმის საკითხები) თბ. 2007, გვ. 86; ივ. სურგულაძე. საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი. თსუ შრომები. ტ. 94. თბ. 1963, გვ. 130-132.

[9] ლ. ტუხაშვილი. „ყოველი საქართველოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი..., გვ. 109.

[10] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. წ. II. თბ. 1980, გვ. 114.

[11] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ. 1965, გვ. 6.

ასახვას. სიტყვათა სემანტიკის ცვლილების დაახლოებით ამდაგვარი სურათი შემოინახა ძველმა სლავურმა, ძველმა რუსულმა და ევროპულმა ენებმა (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ ასევე ფონეტიკურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე).

მაგალითად:

Сторона – ძველ რუსულად და ძველ სლავურად აღნიშნავს ქვეყანას-страна.[12]

Сторона- страна > земля >область >народ [13] – ქვეყანა > მიწა > მხარე > ერი.

Сторона – свет – мир – სამყარო.[14]

სიტყვა, რომელიც თავიდან მთელი სამყაროსა და ქვეყნის აღმნიშვნელად იხმარებოდა, დღეს მხოლოდ, მხარეს, კიდეს აღნიშნავს (მაგ. მოწინააღმდეგე მხარე, გემის კიდე). იგივე ფონეტიკურ-სემანტიკურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე სიტყვა „land“–თან დაკავშირებით, რომელიც როგორც სამყაროს, ქვეყანას, ასევე მიწას მხარეს აღნიშნავს ადმინისტრაციულ მოწყობაში. დაახლოებით იმავეს, რასაც ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული „ქუეყანა“ ან „მიკროქვეყანა“.

აღსანიშნავია, რომ აარონ გურევიჩი, როდესაც ევროპულ ფეოდალიზმზე საუბრობს, მიუთითებს ადამიანთა აღმნიშვნელი სიტყვების „mann“ – „homo“-ს სემანტიკის ცვლილებაზე. ეს სიტყვები ადრეულ შუასაუკუნეებში არათავისუფალი ადამიანის აღმნიშვნელად იხმარებაю ფეოდალიზმის განვითარებულ ეტაპზე გადასვლისას კი თავისუფალ ადამიანს აღნიშნავს ვასალიტეტის ჩარჩოებში ანუ „mann“ შეიძლება ფეოდალიც კი იყოს. ძველ ინგლისური ტერმინი „cnitt“ და გერმანული „knicht“, მონა-ყმა იცვლის მნიშვნელობას და საჭურჭლემტვირთველისა და რაინდის მნიშვნელობით იხმარება.[15] დაახლოებით იდენტური სი-

---

[12] М. Фасмер. Этимологический словарь русского языка. т. III. М. 1971, გვ. 768.

[13] И. И. Срезневский. Материалы для словаря древнерусского языка. т. III. М. 1903, გვ. 535-536.

[14] Словарь Русского языка (Институт Русского языка АН СССР). Т. III. М. 1984, გვ. 45.

[15] А. Я. Гуревич. Проблемы генезиса феодализма в Западной Европе.., გვ. 201.

ტუაცია გვაქვს ქართულ რეალობაშიც, ტერმინი „ყმა“-ს ცვლილებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად „ყმა“ ყრმა ბავშვის, ახალგაზრდას აღმნიშვნელად იხმარებოდა მოგვიანებით კი სოციალურ სტატუსს იძენს. მაგალითად სახარების ტექსტში შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

1. ბავშვი.
2. ახალგაზრდა.
3. ვაჟი.
4. სოციალური მოსამსახურე.

„შუშანიკის წამება“-ში ის ორივე სტატუსით იხმარება, „ვეფხისტყაოსანში“ უმთავრესად ვასალის, სხვაზე დამოკიდებულის აღმნიშვნელია. ბაგრატ კურაპალატის სამართალში კი „ყმა“ ორჯერ იხმარება და ორივეჯერ ფეოდალს-აზნაურს აღნიშნავს ვასალის სახით.[16] ბაგრატ კურაპალატის პერიოდისთვის (IX საუკუნეში) „ყმა“-ს მხოლოდ და მხოლოდ სოციალური სტატუსი გააჩნია და სანქცირებულ ფორმას ატარებს, რაც აშკარად ამ პერიოდისთვის პატრონყმობის გამარჯვებულ მდგომარეობაზე მიუთითებს.

განვითარებული ფეოდალიზმის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია „ციხე-სიმაგრე“, ციხე, როგორც სოციალური ბატონობის იარაღი. ევროპულ მედიევისტიკაში „ციხე-სიმაგრის“ როლზე სოციალურ ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ყურადღება გაამახვილა იტალიელმა ისტორიკოსმა პ. ტუბერმა. ადრე ითვლებოდა, რომ ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობა უმთავრესად თავდაცვითი ფუნქციას ასრულებდა, აღმოჩნდა, რომ ამ ციხე-სიმაგრეთა ძირითადი ნაწილი X–XI საუკუნეებშია აგებული, როდესაც გარეშე მტრების, არაბების, ნორმანების და უნგრელების თავდასხმები ჩავლილი ეპიზოდია, მაგრამ ციხეები ამ პერიოდის ევროპაში სოკოებივით მრავლდება, რასაც ტუბერმა „incastellamento“ ანუ „გაციხოვნების“ პერიოდი უწოდა და ახალი ციხეების, ახალი სოციალური სტატუსით აღჭურვა განვითარებული ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელ მოვლენად წარმოაჩინა.[17]

---

[16] გ. ჯამბურია. ბატონყმობის საკითხისათვის..., გვ. 69.

[17] Ю. Л. Бессмертный. «Феодальная революция» X-XI веков? Журн.: «Вопросы

ციხე-სიმაგრეთა სიმრავლის მხრივ ჩვენთვის საინტერესოა VIII–IX საუკუნეების საქართველო, რომელიც პარალელს ავლენს ე.წ. „ფეოდალური რევოლუციის“ პერიოდის ევროპასთან. ამ მხრივ კახეთის ტერიტორია შესწავლილია და მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.[18]

რა ფუნქციის მატარებელია ციხე?

1. ციხე – პოლიტიკური ხელისუფლების ნიშანი.
2. ციხე – ადმინისტრაციული ხელისუფლების ნიშანი.
3. ციხე – „თავადობის“ ნიშანი.
4. ციხე – ქვეყნის დაპყრობის ნიშანი.[19]

ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ვინც ფლობს ციხეს, ის ფლობს ქვეყანას, VIII საუკუნიდან კი ციხეს უკვე არა ხალხი-ერი, არამედ „მთავარი“ ფლობს,[20] იგივე სენიორი. ახალი ციხეების წარმოქმნა და სოციალური სტატუსის შეძენა სწორედ, რომ არჩილის „რეფორმას“ უნდა უკავშირდებოდეს კახეთში, სადაც ახალი ერისთავები, ახალი ტაძრეულები და ახალი „ქუეყნები“ ჩნდება.[21]

საინტერესოა რა ხდება ამ თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოში?

დ. მუსხელიშვილის აზრით, ციხე-გოჯის დამცავი რკალის ციხე-სიმაგრეები (აბედათში, კოტიანეთში, შხეფის, სენაკში, ეკის, ჭაქვინჯის, წარჩეს, „სათანჯო“, სკური და სხვა) სწორედ რომ „ფეოდალური სენიორიების“ წარმოქმნას უნდა უკავშირდებოდეს.[22] ეს ციხეები VI-VII საუკუნეებშია აგებული და ერთი შეხედვით, რა საერთო უნდა ჰქონდეს ჩვენ მიერ განსახილველ პერიოდთან (VIII-IX სს.) და დ.

истории». М. 1984. №1, გვ. 59-60; Ж. Дюби. Средние века (История Франции) от Гуго Капета до Жанны д’Арк 987-1460. Перевод с французского Г. А. Абрамова. В. А. Павлова. М. 2000, გვ. 78-89.

[18] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის.., გვ. 86-117.

[19] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VIII. თბ. 1975, გვ. 155.

[20] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VIII, გვ. 127.

[21] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. VIII, გვ. 167.

[22] დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ. 2003, გვ. 442.

მუსხელიშვილის მოსაზრებაც თითქოს აზრს კარგავს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ზემოთ აღნიშნული ციხეები VIII-IX საუკუნეებში ახალ სიცოცხლეს იძენენ, სავარაუდოდ, ახალ სტატუსსაც, რადგან არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ამ პერიოდში კონკრეტულ ციხეებზე ხდება საცხოვრებელი პალატებისა და ეკლესიების მიშენება,[23] რაც ციხეების „სენიორთა“ რეზიდენციებად გარდაქცევაზე უნდა მიუთითებდეს.

მაგრამ ვინ არიან ეს „სენიორები“ და რა ახალი „სენიორიები“ იქმნება ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში?

ლეონ აფხაზთა მთავარი VIII საუკუნის ბოლოს თავს აღწევს ბიზანტიის გავლენას აერთიანებს ეგრის და აფხაზეთს და „აფხაზთა“ მეფის (786-798) ტიტულს იღებს, რაზედაც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს:

*„ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრო ყოველი ეგრისი, არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთოდ:*

*დასუა აფხაზეთს და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე;*

*დასუა ცხომს და მისცა ეგრის-იქით ანაკოფია ალანითურთ;*

*დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლით ცხენისწყლამდე;*

*ვინაითგან ამსვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭოროხის სამხრეთისანი განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, ეწოდა გურია და დასუა მუნ ერისთავი თვისი;*

*დასუა რაჭა-ლეჩხუმსა;*

*შორაპანისვე, რიონს და ხანის-წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულად არგუეთისა;*

*დასუა ქუთათისს ვაკისა, ოკრიბისა და ხანის-წყლის დასავლით გურიამდე და რიონს დასავლით ცხენისწყლამდე.*

---

[23] პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე. ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ. 1991; К. Н. Мелитаури. Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. Тб. 1972, გვ. 40.

*ამანვე აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე ჰყო საყდარი აფხაზ-თა მეფისა, ვითარცა ანაკოფია ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთაისი - ამან ლეონ მოაწყო აფხაზეთი და განაგო ყოველივე“.*[24]

როგორც ვხედავთ ლეონ მეფემ მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა „აფხაზთა“ სამეფოში, რის შედეგადაც გაჩნდა ახალი საერის-თავოები – „ქუეყნები“, რასაც ფეოდალური ფენის საკმაო გაძლიერება უნდა მოყოლოდა. ყველა ამ ახალ წარმოქმნილ „ქუეყანა“-ს საკუთარი ცენტრი უნდა ჰქონოდა ციხე-სიმაგრის სახით. იგივე ერისთავის რეზი-დენცია, (რადგან უციხო სენიორი არ შეიძლება არსებობდეს), რაც ხელს შეუწყობდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები თავისუფალი მეთემეს მიწაზე მიმაგრებას და სრულ დაყმევებას, ყოველივე ეს კი განვითარე-ბული ფეოდალიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელი ნიშანია. ლეონის ამ-გვარ რეფორმაში მიწების ხელახალი გადანაწილება უნდა ვიგულისხ-მოთ, რადგან აქაც ხდება მთისა და ბარის გაერთიანება (რამდენადაც ეს დასავლეთ საქართველოში შეიძლება წარმოვიდგინოთ). „აფხაზთა სამეფო“ ამ პერიოდში ცხოვრების ახალ სოციალურ-პოლიტიკურ სა-ფეხურზე გადადის, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ ბატონ-ყმობის საწყის ეტაპად VIII საუკუნე მოვნიშნოთ.

უნდა ითქვას, რომ ლეონის რეფორმა მსგავსებას ავლენს არჩი-ლის მიერ VIII საუკუნის I ნახევარში კახეთში გატარებულ ე.წ. „რე-ფორმასთან“. მირის გარდაცვალების შემდეგ, არჩილმა, ძმის ანდერძის თანახმად, *„მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა და მისცნა ძმისწულნი მისნი:*

*ერთი მისცა მამისა ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ კურაპა-ლატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი:*

*მეორე მისცა პიტიახშსა ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავ-რობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს;*

*მესამე მისცა ნერსე ნერსესიანსა, რომელი იგი იყო წარჩინებული*

---

[24] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 796.

*ვახტანგ მეფისა;*

*მეოთხე მისცა ადარნასე ადარნასიანსა და ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელი არს ქართლი.*

*მეხუთე მისცა ვარაზმანს და მისცა კოტმანითგან ქურდისხევამდე; იყო ესე ვარზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელი იყო დედის მამა ვახტანგ მეფისა;*

*მეექვსე მისცა ჯუანშერ ჯუანშერიანსა, რომელი იგი იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილითაგან რევისათა და მისცა ჯუარ და ხერკი და ყოველი მთიულეთი მანგლისის ხევი და ტფილისი. ნაწილი არჩილისი იყო განზოგებით გამონაყოფი ხევთაგან და განუტევა მთავარნი ესე ცოლებითურთ თვი-თვისად ადგილად“ ხოლო არჩილი მოვიდა „კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი“.*[25]

ამჯერად ჩვენ არ შევეხებით ჯუანშერთან მოხსენებულ ერისთავთა იდენტიფიკაციის საკითხს, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ „რეფორმის“ (რომლის ლოგიკურ გაგრძელებას ლეონის რეფორმა წარმოადგენს) არსი, სადაც კარგად აისახა იმ პერიოდის ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებები.[26] ნ. ბერძენიშვილის თქმით, არჩილის „რეფორმის“ მთავარი აქცენტი იმაში მდგომარეობს, რომ მოხელე ერისთავები ამიერიდან მემკვიდრე ერისთავებად, მფლობელებად იქცნენ.[27]

არჩილისა და ლეონის „რეფორმების“ შედეგად იქმნება ახალი „ქუეყნები“ ხდება მთისა და ბარის გაერთიანება ერთ პოლიტიკურ სუბიექტად, (ამიერიდან მათ ერთი „მთავარი“ სენიორი განაგებს). ყოველ „ქვეყანას“ თავისი ცენტრი აქვს, რადგან „ქვეყანა“ უცენტროდ ვერ

[25] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 241.

[26] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის... ტ. II, გვ. 70; მ. ბახტაძე. არჩილ მეფის „რეფორმის“ შესახებ. თბ. 2004, გვ. 3-15

[27] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. IX. თბ. 1979, გვ. 158 (ამ მხრივ საინტერესოა ტაო-კლარჯეთის ე.წ. კოლონიზაციის პროცესი, რამაც ახალი „სახლების“ და სენიორიების წარმოქმნას შეუწყო ხელი).

წარმოჩინდება, როგორც ცენტრი „უქვეყნოდ“, ამიტომ ადვილი მისახვედრია თუ რატომ ჩნდება ამდენი ციხე-სიმაგრე, სწორედ რომ არჩილისა და ლეონის რეფორმების შედეგად მათ დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. ციხე-სიმაგრეთა პარალელურად ინფეოდალიზაციას ხელს უწყობს ქალაქების წარმოშობა და გაძლიერების პროცესი,[28] რაც საქართველოში ჯიუტად VIII-IX საუკუნეებზე მოდის.[29] პერიოდზე, რომელიც ჩვენ განვითარებული ფეოდალიზმის ე.წ. „ფეოდალური რევოლუციის“ პერიოდად მიგვაჩნია.

ჩვენი აზრით, სოციალური კუთხით ძალზედ მნიშვნელოვანია მდინარეების ბზიფისა და კოდორის ხეობებში არსებული ციხე-სიმაგრეთა არსებობა, რომლებიც მ. ლორთქიფანიძის აზრით, VIII საუკუნეში უნდა იყოს აგებული და ჩრდილოეთიდან ალანთა შესაჩერებლად გამოიყენებოდა.[30] შესაძლოა, VIII საუკუნის საწყის ეტაპზე ასეც ყოფილიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლეონ მეფემ აფხაზეთი რვა საერისთავოდ დაყო, მეტნაკლებად მოხდა მთისა და ბარის გაერთიანება ერთ საერისთავოში ანუ „ქუეყანა“-ში. ცხუმის საერისთავო ამ პერიოდისთვის საკუთრივ ალანებსაც აერთიანებს თავის საზღვრებში, ამიტომ, სავარაუდოდ, ეს ციხეები პოლიტიკურ ბატონობასთან ერთად სოციალური დაყმევებისთვისაც გამოიყენება, რადგან მთის შერწყმა ბართან, ეს ბარის არისტოკრატიის გაძლიერების მცდელობას ნიშნავს.[31]

ლეონის რეფორმის შემდეგ, „აფხაზთა“ სამეფოში ორი ციხე-ქალაქი იძენს მთავარ სტატუსს ქუთაისი და ანაკოფია. ქუთაისის მნიშვნელობა VIII პირველ ნახევარშიც აქტუალურია აფხაზეთიში გახიზნული არჩილისთვის, „წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათის“,

[28] Ж. ле Гофф. Интелекутуалы в средние века. СПб. 2003; Ж. ле Гофф. Цивилизация средневекого запада (общая редакция Ю. Л. Бессмертного). Часть вторая. Средневековая Цивилизация. Глава V. Генезис. СПб. 2000, http://lib.rus.ec/b/105614/read#t5. 2011 წელი

[29] Ш. А. Месхия. Города и городской строй феодальной Грузии. Тб. 1959, გვ. 26-38.

[30] მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-XIსს). თბ. 1963, გვ. 197.

[31] თ. დუნდუა. ნ. ფიფია. პრიმიტიული კომუნიზმი, პროტოფეოდალიზმი და ფეოდალიზმი. მასალები სალექციო კურსისთვის. VII. თბ. 2009, გვ. 17.

ეუბნება იგი ლეონს, მამის, სტეფანოზის ცხედარი „დავფლა საყდარსა ქუთათისსა რათა იპოვოს იგი საწამებლად სამკვიდროსა ჩვენისა“ აქ უკვე აშკარაა ციხე-გოჯისა და ქუთაისის მეტოქეობა. ქუთაისი თანდათან იბრუნებს თავის პოლიტუკურ და სოციალურ სტატუსს, რაც დროებით ციხე-გოჯმა მიისაკუთრა, რადგან დედაქალაქის გადატანა შიდა ტერიტორიაზე თავდაცვის მეტი შანსებით იყო ნაკარნახევი,[32] ხოლო როდესაც ციხე-ქალაქის სოციალური სტატუსი ინფეოდალიზაციასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ხდება ქუთაისის ხელმეორე აღორძინება და ლეონმა ის „ჰყო ტახტად“.

მეორე მნიშვნელოვანი ცენტრი „აფხაზთა“ სამეფოში არის ანაკოფია, „ვითარცა ანაკოფია ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთაისი“.[33] მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი, რომ ანაკოფია არა საკუთრივ აფხაზთა საერისთავოში არამედ ცხუმის (ქალაქი აფშილეთისა – ცხუმი) შემადგენლობაშია შეყვანილი, თუმცა „მატიანე ქართლისა“ მას, როგორც „თავადი ციხე აფხაზეთისა“ მოიხსენიებს.[34] აქ კი საკუთრივ აფხაზეთია ნაგულისხმევი და არა მთელი დასავლეთ საქართველო. XVII საუკუნის I ნახევრამდე ოდიშის სამთავროს ეთნიკური საზღვარი ანაკოფიაზე გადიოდა. აღსანიშნავია, რომ ოდიშის ერისთავები და შემდეგ მთავრები აფხაზეთზეც ავრცელებდნენ თავიანთ პოლიტიკურ გავლენას, რაც, სავარაუდოდ, ანაკოფია „თავადი ციხის“ მეშვეობით ხორციელდებოდა. როგორც ჩანს, ეს ციხე გვიან შუასაუკუნეებამდე ინარჩუნებს თავის სოციალ-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

„აფხაზთა“ სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით საინტერესო მომენტია აღწერილი „მატიანე ქართლისაში“: „ამას ჟამსა გამოვიდა გიორგი აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და **დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე**

[32] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის.., გვ. 82.
[33] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 796.
[34] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 317.

**დემეტრესი“.**[35] როგორც ვხედავთ, გიორგი „აფხაზთა“ მეფემ (861-868 წწ.) ჩიხის ერისთავად დასვა თავისი ძმის დემეტრეს (825-861 წწ.) შვილი. ხომ არ შეიძლება აქ „საუფლისწულოს“ შექმნის კონტურები მოვხაზოთ ჩიხის საერისთავოს სახით? ჩიხა მოგვიანებით არგვეთის შემადგენლობაშია ანუ სასაზღვრო რაიონშია ქართლის სამეფოსთან, რომლის შემოერთებასაც ცდილობენ „აფხაზთა“ მეფეები. ამიტომაც აქ სამეფო ოჯახის წევრის დასმა უპრიანი იქნებოდა. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტი, „აფხაზთა“ მეფის ტახტი მემკვიდრეობით ეკუთვნის ჩიხის ერისთავ ტინენ დემეტრეს ძეს,[36] რომელიც დაინტერესებული უნდა იყოს ჩიხის საერისთავოს სტატუსის გაძლიერებით, რომელიც შემდეგ ქართლის სამეფოს დაპყრობის ფორპოსტად მოიაზრებოდა. (ისტორია სხვაგვარად წარიმართა და ტინენ დემეტრეს ძე, ჩიხის ერისთავი საკუთარმა ბიცოლამ, „აფხაზთა“ მეფის გიორგის ცოლმა, შავლიანებთან შეთანხმებით მოკლა. ამ შუალედში კი სამეფო ტახტი რამდენიმე წლით შავლიანებს უპყრიათ).[37] რაც არ უნდა უცნაური იყოს, „საუფლისწულოების“ შექმნისა ამდაგვარი პროცესი ჩვენ ოდიშის საერისთავოში და შემდგომ სამთავროშიც შევნიშნეთ, სადაც სასაზღვრო ზოლში ერისთავის ან მთავრის ოჯახის წევრი, შვილი ან ძმა ინიშნება მოხელედ. ჩვენი დაკვირვებით, საუფლისწულოების შექმნის ზემოთ აღნიშნული თავისებურება მხოლოდ დასავლეთ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი. ტინენ დემეტრეს ძის ჩიხის ერისთაობა დაახლოებით IX საუკუნის 60 წლებიდან 868 წელზე უნდა მოდიოდეს.[38] თუ ჩვენი დასკვნა სწორია, მაშინ IX საუკუნის 60-იან წლებში „აფხაზთა“ სამეფოში ჩიხის საერისთავოს მეფის სახლის წევრი წარმოადგენს.

[35] მატიანე ქართლისა.., გვ. 258.
[36] ზ. პაპასქირი. საინტერესო ნაშრომი „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაზე. რეცენზია შალვა გლოველის საკანდიდატო დისერტაციაზე: „აფხაზთა სამეფო“. „საისტორიო ძიებანი“, წელიწდეული, VI. თბ. 2004, გვ. 313-327.
[37] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მემატიანე „აფხაზთა სამეფოს“ მოხელე ერისთავებთან ერთად შავლიანებს იხსენიებს როგორც მთავარს. თითქოს იქმნება შთაბეჭდილება ამ დროის აფხაზეთში ერისთავის ტიტულთან ერთად მთავრის ტიტულიც არსებობდა.
[38] შ. გლოველი. აფხაზთა სამეფო. თბ. 2005, გვ. 85.

ამგვარად სახეზე გვაქვს სენიორალური სისტემის შერწყმული ხასიათი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ პერიოდში საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის არსებობას.

ქართული საისტორიო წყაროებისა გაანალიზებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ VIII–IX საუკუნეები ესაა ფეოდალიზმის გამარჯვების ეპოქა საქართველოში. სოციალურ-პოლიტიკური ტეხილის შედეგად, მოხდა ,,ხევების‘‘, ბარისა და მთის ერთ ,,ქუეყნად‘‘ გაერთიანება, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა VIII საუკუნეში განვითარებული ფეოდალიზმის ეტაპზე გადასასვლელად. VIII-IX საუკუნეების საქართველოს ტერიტორიაზე გვაქვს ყველა ის აუცილებელი სოციალური ატრიბუტი, რაც ბატონყმობის ანუ განვითარებული ფეოდალიზმისთვისაა დამახასიათებელი: სენიორიების წარმოშობა, ახალი ფეოდალური ფენის გაჩენა, ციხე-სიმაგრეთა ფართო ქსელი, რომელიც სოციალური დაყმევებისთვის გამოიყენება; გლეხის და თავისუფალი მეთემის მიწაზე მიმაგრება, ბარის დაწინაურება მთასთან მიმართებაში, ახალქალაქობის პერიოდი და ქალაქის როლის მეტნაკლები ზრდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, VIII საუკუნეში დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესი X საუკუნისთვის დასაწყისისთვის უკვე დასრულებული ჩანს და სანქცირებულ ხასიათს ატარებს, რამაც სხვადასხვა სახის დოკუმენტებში თუ სამართლის ძეგლებში ჰპოვა ასახვა.

*Akaki Chikobava*

# "FEUDAL REVOLUTION" IN THE 8$^{TH}$-9$^{TH}$ CC. GEORGIA AND THE HISTORICAL-GEOGRAPHICAL ISSUES OF ITS DEVELOPMENT

Summary

The researching of periodization of Georgian history is one of the most discussed topic of Georgian historiography.

Issues regarding the establishment and evolution of feudalism in Georgia are still topical. A lot of works deal with the subject, but there is still no consensus regarding the issue. Namely, the further development of the theoretical basis is needed in order to reach the endpoint in the debate about the social-political gradation of country. The dating of the establishment of classical feudalism ("Patronkmoba") in Georgia varies from the 8$^{th}$ to the 13$^{th}$ cc. Although nearly all Georgian scholars, who worked on the issue, agree upon the characteristic features of feudalism, they name the different reasons of its triumph in Georgia.

The article aims to discuss some historical and geographical characteristics of the classical feudalism, and define more or less correct date of its establishment in Georgia. On the basis of the existing data, I think that the process of the establishment of classical feudalism in Georgia began in the 8$^{th}$ c. and ended in the 9$^{th}$ c.

The following historical and geographical characteristics strengthen this above-said conclusion:

1. The formation of the new *"qvekanas"* ("lands") on already divided territories and their establishment as independent Signiorias; the unification of the *"khevis"* (socially stratified small feudal domains) and *"qvekanas"* into one new historical-geographical "country," in the 8$^{th}$ c., as it happened in Kakheti following the reforms conducted by king Arc-

hil, and in the "Abkhazian" kingdom after Leon withdrew from the Byzantine influence and divided it into *Saeristavos.*

2. The establishment of castle as not only the weapon of political superiority, but as a form of the social influence inside the *"qvekana"* borders. The newly-established *"qvekanas"* are governed by such castles and they help to transform the free commune members into serfs. The large quantity of such castles is characteristic to the classical feudalism and is called "incastellamento" in European Medieval historiography. It coincides with the process of city-building and development, which was called *"akhalkalakoba"* by Niko Berdzenishvili.

3. Language as the basic instrument of communication and one of the expression of memory, preserves the general symbolic signs. It clearly shows the semantic changes in the words defining the territorial division of country and a social status of men, which is caused by the social tranformation in $8^{th}$-$9^{th}$ cc.

All these features, which are characteristic to classical feudalism, appeared in Georgia in $8^{th}$-$9^{th}$ cc. That is just this exact period can be called "Feudal Revolution."

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*ნინო სილაგაძე*

# მოქვის ტაძრის გვერდითი ნავების და ქოროების არქიტექტურული ფორმის საკითხისათვის

მოქვის საკათედრო ტაძარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. იგი მრავალმხრივ გამორჩეული ძეგლია – როგორც არქიტექტურულიკომპოზიციის ორიგინალობით, ასევე ისტორიული თვალსაზრისითაც. თუმცა მოქვის ტაძარს არ აქვს სააღმშენებლო წარწერა, ისტორიული წყაროების მიხედვით იგი საკმაოდ ზუსტად თარიღდება. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, კახეთში ლაშქრობისა და კვირიკე II-სთან ზავის დადების შემდეგ შინ მობრუნებულმა აფხაზთა მეფე ლეონ III–მ (957-967) „აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდარი საეპისკოპოსოდ“.[1] ლეონ III-ის მასშტაბური სააღმშენობლო მოღვაწეობა ცდება დასავლეთ საქართველოს ფარგლებს: 964 წელს მისი და მისი დის გურანდუხტის თაოსნობით აიგო ქართული მონუმენტური არქიტექტურის კიდევ ერთი ღირშესანიშნავი ძეგლი – კუმურდოს ტაძარი. მისი მეფობის დროს აქტიურად მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი პროცესი – ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსება, რომელიც კიდევ უფრო ამტკიცებს დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას კონსტანტინოპოლისაგან.

ყოველივე ეს დასავლეთ საქართველოს ხელისუფლების ტრადიციული პოლიტიკის გაგრძელებაა. ჯერ კიდევ ლეონ II (786-798) იღებს „აფხაზთა მეფის“ ტიტულს თავისი წინამორბედებისგან განს-

[1] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1955. ტ. I, გვ. 268-269.

ხვავებით, რომლებიც „მთავრის“ და „პატრიკიოსის“ უფრო მოკრძალებულ ტიტულებს ატარებდნენ.[2] ამრიგად, ლეონ II-ს მეფობის პერიოდში დასავლეთ საქართველო გაერთიანებულია და დამოუკიდებელია ბიზანტიისგან მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელები არ აღიარებენ დასავლეთ საქართველოს ხელისუფალთ მეფეებად და „არხონტს“ ან „ექსისუასტს“ უწოდებენ მათ.

ასევე აქტიურია აფხაზთა მეფეების საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც, როგორც ცნობლია, მიმართულია დასავლურქართული ეკლესიის გათავისუფლებისაკენ ბიზანტიურისაგან. თუმცა ეს პროცესი დიდი ხანია დაწყებულია: ჯერ კიდევ IX ს-ის დასაწყისში აფხაზთა მთავრები ჯერ აერთიანებენ დასალეთ საქართველოს ეკლესიას, შემდეგ კი ხდება მისი გამოყოფა კონსტანტინოპოლოს სამწყოსასაგან. ლეონ II-ს დროს ეს რეფორმა პრაქტიკულად სრულდება და აფხაზთა კათალიკოსი მცხეთის ტახტს ექვემდებარება „უფროსობის წესით“. ამ პერიოდის ბიზანტიურ ექტეზისებში (820/829 – 901/907) აღარაა მოხსენიებული აღარც ერთი დასავლურ ქართული საეპისკოპოსო კათედრა. X საუკუნეში არსდება მოქვის, ჭყონდიდის, ბედიის კათედრები.[3]

მოქვი, როგორც უკვე ვთქვით, 957-967 წლებში აიგო და თავიდანვე საეპისკოპოსო ტაძარი იყო. იგი ოჩამჩირედან ოციოდე კმ-ის დაშორებით, მოქვის-წყალის და დვაბის-წყალის შეერთებაზე არცთუ ფართო ადგილას მდებარეობს. მშენებლობის დროინდელი წარწერა თუ არსებობდა, არაა შემორჩენილი, სამაგიეროდ, დ. ბაქრაძეს დადასტურებული აქვს წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ ტაძარი მოიხატა იმპერატორ ალექსი კომნენოსის და აფხაზთა მეფე დავითის დროს[4] – საინტერესოა, რომ ზუსტად ამ თანმიმდევრობით. ამასვე ადასტურებს კონსტანტინოპოლის პატრიარქის დოსითეოსის ცნობა იმის შესახებ,

[2] „მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ... რომლისად მიეცა სამკჳდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა. დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა.“ მატიანე ქართლისა, გვ. 251.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გვ. 420-426.

[4] Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства. Тб.. 1875, გვ. 103.

რომ მოქვის ტაძარი მოიხატა დავით აღმაშენებლის მეფობის დროს.

მთელი შუა საუკუნეები მანძილზე მოქვის ტაძარი ინარჩუნებდა თავის, როგორც კულტურულ-რელიგიური ცენტრის, მნიშვნელობას (საკმარისია გავიხსენოთ 1300 წელს შექმნილი მოქვის სახარება), XV ს-ში მას მოქველი არქიეპისკოპოსის გრიგოლ მანაგაძის თაოსნობით მიუშენდა სამრეკლო. XVI-XVII სს-ში ეს მეორე საეპისკოპოსო კათედრაა თავისი მნიშვნელობით დრანდას შემდეგ.[5] 1659 მას ეწვია კონსტანტინოპოლის პატრიარქი, რომელმაც დაგვიტოვა ძვირფასი ცნობები ტაძრის შესახებ, ხოლო ვახუშტის მიხედვით, XVIII ს-ში აქ ისევ ეპისკოპოსის სამყოფელია, რომლის სამწყსოშიც შედის კოდორის გაღმა მოსახლეობა მდ. ღალიძგამდე.[6] ზუსტად უცნობია, როდის მოიშალა მოქვის საეპისკოპოსო კათედრა, მაგრამ XIX ს-ის 30-იან წლებში ტაძარი უკვე მიტოვებულია.[7] 1838 წ. აქ ჯერ კიდევ ყოფილა ფერადი მარმარილოს მოზაიკური იატაკი, 1848 წელს კი ნაგებობა მ. ბროსეს უკვე გაპარტახებული დახვდა. დ. ბაქრაძემ ასევე მძიმე მდგომარეობაში იხილა ტაძარი 1859 წელს,[8] რამდენიმე წლის შემდეგ კი მიხეილ შერვაშიძემ განაახლა იგი და საგვარეულო საძვალედ აქცია. ამ უკანასკნელმა შეკეთებამ საკმაოდ დააზიანა ტაძრის პირვანდელი სახე.

მოქვის ტაძარი საქარველოს ხუროთმოძღვრების იშვიათ, მეტიც – უნიკალურ არქიტექტურულ ტიპს განეკუთვნება, რომელიც სხვადასხვა მკვლევარის მიერ შეფასებულია როგორც ჩაწერილი ჯვრის გართულებული ვარიანტი და როგორც ე. წ. ხუთნავიანი ჯვარგუმბათოვანი ეკლესია. ტიპოლოგიური დეფინიციების მიუხედავად, ტაძარს, მართლაც არ მოეპოვება ზუსტი პარალელები ქართულ ხუროთმოძღვრებაში, სამაგიეროდ, მის რთულ არქიტექტურულ ფორმასთან შედარებით ახ-

[5] იხ. ევდემონ ჩხეტიძის დროს (1543-1578) მოქვში გადაწერილი იოანე ქსიფილინეს ცხოვრება. კ. კეკელიძე. ახლად აღმოჩენილი აგიოგრაფიული თხზულება. ეტიუდები, III. თბ. 1955.

[6] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ. 1979, გვ. 781.

[7] Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 103

[8] Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 103

ლოს მდგომ ძეგლებად შეიძლება დასახელდეს რამდენიმე მაგალითი ბიზანტიიდან, კერძოდ, კონსტანტინოპოლიდან, და ძველი რუსეთიდან. ჩვენი ნაშრომის შეზღუდული ფორმატი ამჯერად არ იძლევა საშუალებას კვლევა გავაფართოვოთ ამ ასპექტით და მოვიცვათ სხვა აღმოსავლურქრისტიანული რეგიონების არქიტექტურა, კერძოდ, ბალკანეთის ქვეყნები. ეს მომავალი ნაშრომების თემაა. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ მოქვის ტაძრის ზოგიერთ არქიტექტურულ თავისებურებას ბიზანტიური და ძველი რუსული ძეგლების ერთ ჯგუფთან მომართებაში. ესენია კალენდერ-ჯამი, ლიპსის მონასტრის ჩრდილოეთი ეკლესია (ფენარიისა), ანა დალასინას მიერ აგებული ეკლესია ქრისტე ყოვლისმხედველის მონასტერში (ესკი-იმარეთი) კონსტანტონოპოლში, კიევის, ნოვგოროდის, პოლოცკის სოფიას ტაძრები და სხვ.

მოქვის ტაძრის გარე მასების დანაწევრება საკმაოდ განსხვავდება ამავე ეპოქის სხვა ქართულ ძეგლებისაგან: არასტანდარტულია ნაგებობის ძირითადი მასივის და ჯვრის მკლავების, ასევე დასავლეთის პორტიკის პროპორციული თანაფარდობა. ეს უკანასკნელი ძალიან პატარაა და თანაც ორ მრგვალ კოლონას ეყრდნობა. პორტიკს კიდევ პატარა ოთხკოლონიანი კიოსკი ჰქონდა სახურავზე.[9] მთლიანობაში ჯვრის მკლავები ძალიან მცირედაა დაშორებული კორპუსის სიმაღლეს, პორტიკი კი უწონო, თითქოს სათამაშო გვეჩვენება, რაც აგრეთვე უჩვეულოა ქართული ძეგლების კარიბჭეების არქიტექტურისთვის. დამახასიათებელ, მხოლოდ ამ ძეგლისთვის ჩვეულ სილუეტს ანიჭებს ნაგებობას კიდევ ერთი მომენტი – ჯვრის მკლავების, გვერდითი ნავებისა და ქოროების გადახურვებს შორის ძალიან მცირე მანძილი. უფრო მეტად თვალშისაცემია ეს გრძივ ფასადებზე, თუმცა დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადებზეც იკვეთება გარკვეული დისონანსი. სწორკუთხა მასები აქ, როგორც აფხაზეთის სხვა ძეგლებში, გართულებულია სამი აფსიდით: მათგან ერთი წახნაგაა, ორი – წრიული *(იხ. ტაბ. 2-3).*[10]

---

[9] Л. Рчеулишвили. Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии. Тб. 1988, გვ. 49.

[10] შედარებისათვის მოგვყავს ლიხნის ტაძრის გარე მასების წყობა, რომლის პროპორციები ასევე უჩვეულოა საქართველოს ხუროთმოძღვრებისათვის და ამის გამო მკვლევართა ერთი ნაწილი (მაგ., მ. ბროსე, პ. უვარო-

ტაძრის გარე მოპირკეთება კარგადაა შემონახული, ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო იმ ბოლო პერიოდისათვის. რისი მოძიებაც შევძელით რუსულ ვებ-გვერდებზე, ისაა, რომ ტაძარი 2002 წლიდან ფუნქციონირებს, ხოლო როგორც ფოტოებიდან ჩანს, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო (2008-2011 წლის ფოტომასალის და Google Earth-ის მონაცემების მიხედვით)*(იხ. ტაბ. 1).* სამწუხაროდ, უკანასკნელი რესტავრაციის ფოტომასალების მოპოვება ვერ შევძელით. როგორც სიტყვიერი აღწერით ცნობილია, დაგეგმილია ტაძრის გუმბათის გადაკეთება და გარედან შეთეთრება.

საფასადო მორთულობიდან უნდა აღინიშნოს სადა ლილვები, რომლებიც ტაძრის სარკმლებს და გუმბათის ყელს შემოუყვება, და გუმბათის 12 და აფსიდების 5 სარკმლის გადაბმული თავსართები. სამხრეთ და ჩრდილოეთ კარებს ჩაჭრილი პორტალები აქვს, თანაც ლუნეტები ცალკეა, დასავლეთ შესასავლელს კი მაღალი თაღოვანი მოჩარჩოება აქვს მცენარეული ორნამენტით. აქვეა კორინთულ სვეტებიანი პორტიკი. თაღის ზენიტში აყვავებული ჯვრის გამოსახულებაა, ხოლო ტიმპანში – სწორკუთხა ჩარჩო (შესაძლებელია, წარწერისთვის).

კიდევ უფრო უჩვეულოა ნაგებობის გარე მასებისა და შიდა სივრცის ურთიერთმიმართება: იგი არ ექვემდებარება იმ კონცეფციას, რომელიც ასე ტიპიურია საქართველოსთვის და რომლის მიხედვითაც ფასადებზე ასახება ინტერიერის ხასიათი. ძეგლის გარე მასების მონოლითურობა და სიმძიმე არ ეხამება მის თავისუფალ, მსუბუქ, ნათელ შიდა სივრცეს, რომელიც ძირითადად განპირობებულია სვეტების და მათზე გადასული თაღების რიტმით. ეს რიტმი გრძელდება პილასტრებით დანაწევრებულ ბემაზეც. ასეთივე რიტმულადაა აგებული გვერდითი ნავები (იგივე, შესაბამისი რიტმული მონაკვეთები იქმნება ბურჯე-

---

ვა და სხვ.) მას ბიზანტიურ ძეგლად მიიჩნევს და X–XI ს-ით. ათარიღებს, ხოლო მეორენი კი ქართულ ნიმუშად მიიჩნევენ და IX–Xსს-ით ათარიღებენ. იხ. Л. Рчеулишвили. Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, გვ. 43-44: მართლაც, ლიხნის ტაძარს გამოარჩევს როგორც გუმბათის და კორპუსის „არაქართული“ პროპორციები, ასევე თავად გუმბათის შიდა „ნეკნისებრი“ კონსტრუქცია, რაც არცერთ ქართულ ძეგლზე არ გვხვდება, სამაგიეროდ, ხშირია შუაბიზანტიური ხანის ნაგებობებში.

ბითა და თაღებით), რომლებიც სრულდება აფსიდებით. აქ, ისევ ტრადიციული გადაწყვეტისაგან განსხვავებით, არაა იზოლირებული მონაკვეთები, რომლებიც შეიძლებოდა პასტოფორიებად მოგვეჩნია *(იხ. ტაბ. 3)*. ხსენებულ მონაკვეთებს არც გადაკეთების კვალი ეტყობა, ამდენად, აქვე დგება ტაძრის პასტოფორიების პრობლემა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ჩაწერილი ჯვრის ფორმის ბირთვი გაფართოებულია, გახსნილია ორსართულიანი ქოროების თუ დამატებითი ნავების ხარჯზე. ეს დამატებითი სივრცითი სარტყელი გარს უვლის ტაძარს სამი მხრიდან: მესამე, დასავლეთის მხარეს იგი ნარტექსის სახითაა გადაწყვეტილი. იგი შედარებით ვიწროა და დაბალია, ვიდრე მკლავთაშორისი მონაკვეთები და, ამდენად, ქმნის გარკვეულ დაქვემდებარებულ, თითქოს შედარებით მეორეხარისხოვან, ელემენტს ინტერიერში, რაც ხელს უწყობს სწორედ იმას, რომ ცენტრალური, ჯვარგუმბათიანი ბირთვი არ „იკარგება“, მაინც იკვეთება ინტერიერის წყობაში. შიგნით ქოროების ორივე სართული გახსნილია თაღების რიგით, გარედან კი სამი მხრიდან უვლის ტაძარს სწორკუთხა მასივის სახით.[11]

მეორე იარუსის ქოროები დაუნაწევრებელია, ერთიან თითქოს გალერეას წარმოადგენს, ქვედა აირუსზე კი გამოიყოფა დამოუკიდებელი კაპელები. აქედან ორ-ორი კიდურა – დასავლეთ და აღმოსავლეთ ბოლოებში – იზოლირებულია. აღმოსავლეთის წყვილს აქვს პატარა აფსიდისებრი ნიშები კონქისებრი გადახურვით და სარკმლით – სავარაუდოდ, სწორედ ესაა პასტოფორიები. ქოროების შუა მონაკვეთები ტაძრის ცენტრალურ სივრცეს თაღების მალების საშუალებით უკავშირდება, ანუ არაა იზოლირებული. ორივე სართულზე ერთნაირი გადაწყვეტაა – გვერდითა ქოროებიდან ჯვრის მკლავებში სამ-სამი თაღი გამოდის, დასავლეთ ნაწილში – ორ-ორი. დასავლეთი მკლავს ნარტექსი ერთი ფართო თაღით უერთდება. მაგრამ საინტერესოა, რომ სწორედ აქ ჩანს ნათლად გადაკეთების კვალი – თაღებს, რომლებიც გადმოყვანილია დასავლეთიდან პილასტრებზე, აღმოსავლეთ მხარეს საყრდენი

[11] Л. Рчеулишвили. Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, გვ. 51.

არ აქვს, ამდენად ისინი „დაკიდებულია“ კამარაზე. ბუნებრივია, თავდაპირველად აქ აღმოსავლეთის მხრიდანაც იქნებოდა საყრდენები. სავარაუდოდ, აქაც სამმაგი თაღი იყო, როგორც სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში. ლ. რჩეულიშვილის სიტყვებით, ტაძრის შესწავლის დროს არ იყო საშუალება გაკეთებულიყო ზონდაჟი მეორე იარუსზე, თუმცა აქაც ცხადად ჩანს გადაკეთების კვალი.[12] ნართექსის ჩრდილოეთ მონაკვეთში განლაგებულია კიბეც რომელიც ადის ქოროების მეორე იარუსზე – ისიც, როგორც ჩანს, არაა თავდაპირველი. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ ამ გადაკეთებას, ცხადი ხდება. რომ ნართექსის სივრცე კი არ გადაედინებოდა მკლავში, არამედ საკმაოდ დამოუკიდებელ ელემენტს წარმოადგენდა.

ჩვენ აღარ შევჩერდებით ჩაწერილი ჯვრის ტიპის ამ გართულებული ვარიანტის გენეზისის საკითხზე, რომელიც, როგორც ცნობილია, განხილული აქვს მრავალ ავტორიტეტულ მკვლევარს – გ. ჩუბინაშვილის,[13] ი. სტჟიგოვსკის,[14] ნ. ბრუნოვს[15] და სხვ. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ქოროების, გვერდითი ნავების თუ გალერეების გადაწყვეტის ვარიანტები სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტურის მაგალითზე.

თავდაპირველად განვიხილოთ მსგავსი ნაგებობები კონსტანტინოპოლის არქიტექტურაში. გართულებული „ჩაწერილი ჯვრის“ უძველეს პროტოტიპად შეიძლება დასახელდეს ე. წ. ახალი ეკლესია – ნეა (880 წ.).[16] ეს ეკლესია ბასილ I-ს დროს აიგო, თუმცა მისგან დღეს აღარაფერია შემორჩენილი: ოსმალურ ხანაში აქ დენთის საწყობი იყო, რომელიც აფეთქდა და ნაგებობა გაანადგურა. აღწერილობის თანახმად, ეს ხუთგუმბათიანი „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის შენობა იყო,[17] რომელმაც დაუდო საფუძველი ეკლესიათა განსაკუთრებულ ჯგუფს ბიზანტია-

---

12 Л. Рчеулишвили. Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, გვ. 54.

13 Г. Чубинашвили. Цроми. М. 1988, გვ. 80-84.

14 J. Strzygowski. Die Baukunst der Armenier und Europa. B. I. Wien. 1918, გვ. 177.

15 Н. Брунов. О некоторых связях русской архитектуры с зодчеством южных славян. Архитектурное наследство 2. 1952, გვ. 23.

16 R. Krautheimer. Architettura paleocristiana e bizantina. Turin. 1986, გვ. 388.

17 C. Mango. Nea Ekklesia. Oxford Dictionary of Byzantium. Oxford. 1991, გვ. 1446.

ში, ბალკანეთსა და რუსეთში.

გართულებული, ე. წ. ხუთნავიანი „ჩაწერილი ჯვარი“ თანდათან წამყვან ადგილს იკავებს დედაქალაქის არქიტექტურულ სკოლაში. ამ ტიპის ძეგლებში გუმბათქვეშა სივრცე ორმაგი გარშემოსავლელითაა გარშემორტყმული – შიდა და გარე, რომლებიც თაღების ფართო მალებით უკავშირდება ერთმანეთს. ასეთივე თაღებია ქოროებზეც.

კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი პირველი ასეთი ძეგლია IX ს-ის II ნახევარში აგებული კალენდერ-ჯამი. ამ ნაგებობის განსაკუთრებული თავისებურება ისაა, რომ მას ჰქონდა მესამე იარუსი – მისი ნაწილები შემორჩენილია ჯვრის მკლავებს შორის მოქცეულ გვერდითი მონაკვეთების თავზე, თუმცა თავდაპირველად მესამე იარუსი გრძელდებოდა აგრეთვე გვერდით ნავებზეც. სამივე მკლავი – დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი – იხსნებოდა გვერდით ნავებში და ნარტექსში სამმაგი ფართო თაღით. ამრიგად, გვერდითი ნავები და ნარტექსი დამატებით სარტყელს ქმნიდა „ჩაწერილი ჯვრის“ ფორმის ბირთვის გარშემო *(იხ. ტაბ. 4).*

ამავე ჯგუფის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ძეგლია ლიპსის მონასტრის ჩრდილოეთი ეკლესია, ანუ ფენარი ისა, რომელიც 908 წელს აიგო, თუმცა საგრძნობი ცვლილებები განიცადა უკვე 1282 წელს, როდესაც მას მიუშენდა ამავე მონასტრის სამხრეთი ეკლესია. ამის გამო ჩრდილოეთ ეკლესიას მოანგრიეს სამხრეთის გვერდითი ნავი. თუმცა არსებული რეკონსტრუქციების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ლიპსის მონასტრის ჩრდილოეთი ეკლესია ჩვენთვის საინტერესო არქიტექტურული კომპოზიციის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ვარიანტია: კალენდერ-ჯამის მასიური, კედლებზე მიდგმული გუმბათქვეშა ბურჯების მაგიერ აქ უკვე სახეზეა თავისუფალი ბურჯები. მეორე იარუსის ქოროები გარს უვლიდა მთელ ნაგებობას საკურთხევლის გვერდითი სათავსების, გვერდითი ნავების და ნარტექსის თავზე. ნარტექსი ეკლესიას უერთდებოდა არა სამი თაღით, არამედ სამი კარით, ამრიგად, ის უფრო იზოლირებულ სივრცით მონაკვეთს წარმოადგენდა. ბოლოებში ნარტექსს ასევე იზოლირებული კვარდატული უჯრედები

ჰქონდა – კიბის კოშკები. საინტერესოა ამ ძეგლის ორიგინალური, ოთხყურა ფორმის პასტოფორიებიც. საერთოდ ლიპსის მონასტრის ჩრდილოეთი ეკლესია შეკრული, ცენტრული შიდა სივრცით გამოირჩევა, სადაც ცენტრალურ ბირთვს ორი სარტყელი უვლის გარს: ჯვრის მკლავები და მათ შორის მოქცეული სივრცითი მონაკვეთები და გვერდითი ნავები და ნარტექსი. ამ უკანასკნელ სარტყელს მეორე იარუსიც აქვს ქოროების სახით, სადაც კიდევ ერთი საინტერესო სიახლეა – იზოლირებული კაპელები, როგორც მოქვის ტაძარში*(იხ. ტაბ. 5).*

ხსენებული ჯგუფის შემდეგი ნიმუშია ესკი იმარეთი, ყოფილი ქრისტე ყოვლისმხედველის ეკლესია, XI ს-ის კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი.[18] ნაგებობა ერთ-ერთი ბორცვის წვერზე მდებარეობს და ოქროს რქას გადაჰყურებს, საიდანაც წარმოდგა მისი სახელწოდება. დაახლოებით 1087 წელს ანა დალასინამ, კეისარ ალექსი I კომნენოსის დედამ, დააარსა აქ დედათა მონასტერი და ააგო ეს ეკლესია, სადაც მოგვიანებით თავადაც აღიკვეცა მონაზვნად საიმპერატორო ოჯახებში მიღებული წესის თანახმად. 1204 წელს ეკლესია გადაეცა ბენედიქტელ ბერებს, 1453 წლიდან კი ფუნქციონირებს როგორც მეჩეთი, უფრო სწორად იქვე მდებარე ფათიჰის დიდი მეჩეთის კომპლექსის ნაწილი (აქ გახსნეს მედრესე და სამზარეულო, სადაც მზადდებოდა საჭმელი ღარიბებისთვის – აქედან წარმოდგა სახელწოდებაც, რომელიც დაახლოებით საქველმოქმედო დაწესებულებას ნიშნავს). ძეგლი რესტავრირებულია 1970 წელს.

ეკლესია, როგორც მრავალი სხვა ძეგლი კონსტანტინოპოლში, ძველ ცისტერნაზეა აგებული, შუაბიზანტიური ხანისთვის ტიპიური ქვისა და აგურის შერეული წყობით. მაგრამ დედაქალაქის სხვა ძეგლებისგან განსხვავებით, იგი კრამიტითაა დახურული.

ძეგლს ტიპიური გართულებული „ჩაწერილი ჯვარის" ფორმის გეგმა აქვს: გუმბათი, ოთხი მკლავი ცილინდრული კამარებით, დასავლეთით ორი კოშკი და ექსონარტექსი, რომელიც, როგორც ჩანს, მოგვიანებით, პალეოლოგოსთა ხანაში მიუშენეს ორიგინალური პორტიკის

[18] A. Van Milligen. Byzantine Churches in Constantonople. London. 1912, გვ. 214.

მაგიერ. შიდა ნატრექსში შესასვლელი გაფორმებულია სამი თაღით, მას ბოლოებში ნახევარწრიული ნიშები აქვს. მეორე იარუსის გალერეა აქაც, როგორც მოქვში, შედარებით დაბალჭერიანია და ტაძრის შიდა სივრცეში სამმაგი თაღოვანი სარკმლით იხსნება. ეს პარადული პორტიკი და ფართო დასავლეთის ქორო გამოარჩევს ხსენებულ ძეგლს ლიპსის მონასტრის ჩრდილოეთი ეკლესიისგან.

გალერეა სამი მხრიდან უვლის ნაგებობის ცენტრალურ ბირთვს. იგი სამმაგი თაღებითაა გახსნილი როგორც ნავში, ასევე მკლავებში. ეს მწყობრი სამთაღიანი სისტემა ნაწილობრივ შემორჩენილია ინტერიერში. მარმარილოს სვეტები მსუბუქი და წვრილია, რაც დამახასიათებელ იერს ანიჭებს ტაძრის შიდა სივრცეს. როგორც თომას მეთიუსი აღნიშნავს, ეს გალერეა ანა დალასინასთვის იყო განკუთვნილი,[19] ისევე, როგორც ბაგრატის ტაძრის პატრონიკენი გამოიყენებოდა დედოფლისთვის. ისევ მეთიუსის სიტყვებიდან ვიცით,რომ გალერეებს გარედან თავდაპირველად ქანობა გადახურვა ჰქონდა,[20] როგორც მოქვის ტაძარში. სავარაუდოდ, ის დამახასიათებელი სილუეტი, რომელიც აქვს მოქვს, აქაც სახეზე იყო, თუმცა ამჟამად ეს დაქანებული სახურავი შეცვლილია კრამიტის გადახურვით, რომელიც რბილად მიუყვება კამარის მრუდხაზოვან ფორმას, რამაც ერთგვარად შეცვალა ძეგლის გარე არქიტექტურული სახე. აქაც, კონსტანტინოპოლის სხვა ,,ხუთნავიანი“ ძეგლების მსგავსად, გვერდით ნავებს ხის გადახურვა ჰქონდა *(იხ. ტაბ. 6).*

დასავლეთიდან მიშენებული ნარტექსი საკმაოდ იზოლირებულ სივრცით მონაკვეთად აღიქმება. ისიც, ლიპსის მონასტრის ეკლესიის მსგავსად, ორი კოშკითაა ფლანკირებული, რაც ძალზე მოგვაგონებს ევროპულ ვესტვერკს. უფრო სწორად, სავარაუდოა, რომ პარადული ვესტვერკის და სამპორტალიანი შესასვლელის იდეა სწორედ ბიზანტიიდან გავრცელდა დასავლეთ ევროპაში.

მოგვიანებით, XII ს-ში, ჩნდება შებრუნებული ტენდენცია – ცენ-

---

[19] T. F. Mathews. The Byzantine Churches of Istanbul: a Photographic Survey. Pennsylvania University Press. 1976, გვ. 59.

[20] T. F. Mathews. The Byzantine Churches of Istanbul.., გვ. 59.

ტრალური ბირთვი მაქსიმალურად იზოლირდეს გვერდითი, დამატებითი ნავებისგან. კონსტანტინოპოლის სკოლაში შეინიშნება იგივე ტენდენცია, რაც ქართულ არქიტექტურაში – პატარა, კომპაქტური ტაძრის, ინტიმური შიდა სივრცის შექმნის სურვილი. ხშირად ეს გვერდითი ნავები საერთოდ გამოყოფილია შენობიდან და პორტიკების სახეს იღებს. ვფიქრობთ, ამ ზოგადი ტენედენციით აიხსება სწორედ ის ფაქტიც, რომ საქართველოშიც მოქვის ტაძრის სქემა პირდაპირი სახით მეტი აღარ განმეორებულა.

უკვე XII ს-ის II ნახევაში აგებულ მოლა-გიურანიში გვერდითი ნავები ყრუ კედლებითაა იზოლირებილია ცენტრალური ჯვარგუმბათიანი სივრციდან და ღია პორტიკების სახით შენობის გარეთაა გატანილი. სამაგიეროდ, პორტიკები ფართო სამმაგი თაღით იხსნება გარეთ. ამრიგად, გვერდითი ნავები დამატებით გალერეებად იქცა, რამაც სრულიად შეცვალა ნაგებობის მხატვრული სახე.

კონსტანტინოპოლის ,,ხუთნავიან" თუ გართულებულ ჯვარგუმბათიან ტაძრებზე საუბრისას დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძეგლები თავისი დანიშნულებით ერთგვარი პარადული სტილის ნაგებობებია, რომლებიც განკუთვნილია იმპერიის მეტროპოლისის მკვიდრთათვის, საიმპერატორო ოჯახების წევრებითვის, საზეიმო ლიტურგიებისთვის და სხვ. თავისი რთული არქიტექტურული ტიპით, ფორმათა დიფერენციაციით ისინი საუკეთესოდ პასუხობს ამ მოთხოვნას. სულ სხვა სიტუაციაა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, სადაც ასეთი საზეიმო, ნათელი, რთული ინტერიერების მოთხოვნა არაა და, ბუნებრივიცაა, რომ აქ იშვიათად გვხვდება ,,ხუთნავიანი," რთული ,,ჩაწერილი ჯვრის" ტიპის კომპოზიცია. ერთ-ერთი ასეთი იშვიათი გამონაკლისია მაიარფაკინეს ეკლესია მესოპოტამიაში (IX ს.). ეს ნაგებობა ფორმალურად შეიძლება მივაკუთვნოთ ,,ხუთანავიანი" ტიპის ტაძრებს, თუმცა კონსტანტინოპოლის ეკლესიებისგან განსხვავებით, ეს უფრო მკაცრი, მარტივი, მონოლითური ნაგებობაა*(იხ. ტაბ. 7)*.

,,ჩაწერილი ჯვრის" გეგმის გარშემო მოცემული გვერდითი ნავების, დამატებით გალერეებზე თუ ქოროებზე საუბრისას არ შეიძლება

არ ვახსენოთ ამ არქიტექტურული ფორმის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ჩამოყალიბებული მაგალითები: ესაა ძველი რუსული ხუროთმოძღვრების ნიმუშები – კიევის, ნოვგოროდის, პოლოცკის ტაძრები *(იხ. ტაბ. 8).*

პირველ რიგში კიევის სოფიას შევეხებით. საინტერესია, რომ ამ თითქოს ყოველმხრივ შესწავლილი ძეგლის დათარიღება დღემდე სადავო საკითხია. მიღებულ თარიღს – მშენებლობის დაწყებას 1036 წელს – ბევრი მეცნიერი აყენებს ეჭვქვეშ. არის აზრი, რომ ძეგლი ჯერ კიდევ ვლადიმირის დროს აიგო, იაროსლავის დროს კი დასრულდა, გაკეთდა მოზაიკები და სხვ. ასევე ბოლომდე გაურკვეველია, რომელი ეკლესია იყო კიევის მიტროპოლიტების კათედრალური ტაძარი – სოფია თუ ე. წ. Десятинная. ჩვენთვის საინტერესოა, რომ არ არის ერთიანი აზრი გალერეების მშენებლობის თარიღთან დაკავშირებითაც: არსებობს ვარაუდი, რომ ტაძარი ერთიანად აიგო,[21] და ვარაუდი, რომ გალერეები და კოშკები კორპუსს XI ს-ის ბოლოს ან XII ს-ის I ნახევარში მიუშენდა. ტაძარი ბერძენი ოსტატების მიერაა აგებული კონსტანტინოპოლში არსებული ნიმუშების მიხედვით: აქ სახეზეა როგორც შუაბიზანტიურ ხანისთვის ტიპიური გეგმა, ასევე სამშენებლო ტექნიკა.

დასავლეთიდან ტაძარს ებჯინება ორი კიბის კოშკი, საიდანაც ასასვლელია მოწყობილი ქოროებზე. აქაც, როგორც სხვა შემთხვევაში, ქოროები განკუთვნილია დიდი მთავრისა და მისი ოჯახის წევრებისთვის. თუმცა კიევის სოფიას აქვს ერთი საინტერესო ნიშანი – როგორც ამას მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, ქოროებზევე იმართებოდა არარელიგიური ცერემონიებიც, მაგალითად, ელჩების მიღება, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო პრაქტიკაში არც ბიზანტიაში და არც საქართველოში. აქვე იყო სკრიპტორიუმი და ბიბლიოთეკაც. რომ ეს მართალაც ასე იყო, ამას ადასტურებს ის საერო ხასიათის მოზაიკებიც, რომლებიც ქოროებშია შემორჩენილი: ოლგას ვიზიტი კონსტანტინოპოლში, კონსტანტინოპოლის იპოდრომი, მუსიკოსები, აკრობატები, ნადირობის სცე-

[21] П. Раппопорт. Русская архитектура X-XIII вв. Каталог памятников. Л. 1982, გვ. 13.

ნები და სხვ *(იხ. ტაბ. 8-9).*

ტაძარი მრავლჯერაა გადაკეთებული. განსაკუთრებით დაზარალდა იგი 1240 წელს ბათო ყაენის შემოსევისას, რამდენჯერმე გადაიწვა, XVII ს-ში კი ის გადააკეთეს ე. წ. უკრაინული ბაროკოს სტილში – შეათეთრეს, ხახვისებრი გუმბათები დაადგეს და სხვ. ჰოლანდიელი მხატვრის აბრაჰამ ვან ვერსტერფელიდის ნახატებზე ძეგლი ამ ბოლო რეკონსტრუქციამდელი სახით წარმოგვიდგება. საბედნიეროდ, ინტერიერი ნაკლებადაა შეცვლილი. ორიარუსიანი გალერეა აქაც გარს უვლის ცენტრალურ ბირთვს სამი მხრიდან. კიდევ ერთი ერთიარუსიანი გალერეა უვლიდა ტაძარს გარედან. XVII ს-ში ამ უკანასკნელს კიდევ ერთი იარუსი და გუმბათები დაადგეს.

ხუთნავიანი გეგმა აქ განსაკუთრებით კარგადაა გამოვლენილი ექსტერიერში – ყველა ნავი აღმოსავლეთით თავდება აფსიდით. კიევის სოფიას ტაძარი ყველაზე რთულ სტრუქტურას წარმოგვიდგენს იმ ძეგლებთან შედარებით, რომლებიც აქამდე განვიხილეთ: ის უფრო მასშტაბურიცაა და მეტადაა დიფერენცირებული, ვიდრე ქართული თუ ბიზანტიური ძეგლები. ექსტერიერშიც იგი ერთიანი მონოლითის შთაბეჭდილებას კი არ ახდენს, არამედ გარკვეული აგლომერაციის (ცალკეული მასივების, გუმბათების და სხვ.). შიდა ბირთვის ხუთი ნავის გარდა, ტაძარს აქვს კიდევ ერთი ღია გალერეა, რომელიც მოედანზე გამოდის. ინტერიერიც ასევე დაყოფილია ცალკეულ დამოუკიდებელ სივრცით ელემენტებად: აქ არაა ერთიანი, თავისუფალი სივრცე, როგორც მოქვში. ზოგჯერ ეს მონაკვეთები გარკვეულ ჯგუფებს ქმნიან – მაგალითად, ქოროებზე ოთხი გუმბათი დაჯგუფებულია ერთი ბურჯის გარშემო ისე, რომ ოთხგუმბათიანი დარბაზი გამოდის*(იხ. ტაბ. 9).* ამასთან, აშკარაა საერო არქიტექტურის ელემენტები ტაძრის სტრუქტურაში: მაგალითად, ეს ოთხგუმბათიანი დარბაზი სასახლის არქიტექტურას მოგვაგონებს, იგი თითქოს ტაძრისგან დამოუკიდებელი ელემენტია. ამასვე მოწმობს საერო ხასიათის მოზაიკები ქოროებზე და კოშკებში: ამდენად, ხსენებული თავისებურებების გათვალისწინებით კიდევ უფრო ცხადი ხდება კიევის სოფიას ტაძრის ქოროების ფუნქცია.

ნოვგოროდის წმ. სოფიას ტაძარი (1045-152) გართულებული ანუ ხუთნავიანი „ჩახაზული ჯვრის“ არქიტექტურული ტიპის კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუშია. კიევის სოფიასგან განსხვავებით, ამ ძეგლს სამი აფსიდი აქვს, ამდენად, გეგმაში კიდევ უფრო თვალსაჩინოდაა გამოკვეთილი ცენტრალური ჯვარგუმბათიანი ბირთვი და მის გარშემო განლაგებული ორსართულიანი გალერეები. გალერეები საკმაოდ ფართოა – დაახლოებით 7,5-8 მ. აქაც, როგორც კიევის სოფიას შემთხვევაში, საკამათოა ამ გალერეების მშენებლობის თარიღი, მაგრამ, სავარაუდოდ, ისინი თითქმის ტაძრის თანადროულია. ავტორთა უმეტესობა არ აყენებს ეჭვქვეშ „ხუთნავიანი“ გეგმის არსებობას თავიდანვე, მშენებლობის პირველივე ეტაპებზე.[22] თუმცა თავად ამ გალერეების თავდაპირველი სახე ნ. ბრუნოვს სამი პორტიკის ფორმით ჰქონდა წარმოდგენილი (დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან).[23] არის მოსაზრებაც, რომ ეს გალერეები თავდაპირველად ღია იყო, ასევე ჰიპოთეზაც, რომ ისინი არკბუტანების რიგს წარმოადგენდა მათზე გადაყვანილი ცილინდრული კამარებით, თანაც მოგვიანებით, XII ს-ში აიგო.[24] უფრო მისაღებია აზრი, რომ ეს გალერეები თავიდანვე ორსართულიანი და ორივე სართულზე დახურული იყო *(იხ. ტაბ. 10).* ინტერიერში ამჟამად გალერეები ცენტრალურ სივრცეს ორმაგი თაღით უერთდება, რაც გვიანი გადაკეთების შედეგია, თავდაპირველად კი აქ ისევე, როგორც ბიზანტიურ ძეგლებში და კიევის სოფიას ტაძარში, სამმაგი თაღი იყო.[25]

ამრიგად, ზემოთ განხილული ჯგუფის ძეგლების მაგალითზე ვცადეთ დაგვეხასიათებინა გვერდითი გალერეების და ქოროების არქიტექტურული ფორმები და ფუნქცია. სავარაუდოდ შეიძლება ითქვას,

---

[22] Н. Брунов. Очерки по истории русской архитектуры. т. I. М-Л. 1935, გვ. 523, ნახატი 352.

[23] Н. Брунов. О последних исследованиях архитектуры собора Софии в Новгороде. т. I. М. 1946.

[24] М. Каргер. Новгород Великий. М.1946, გვ. 17-18.

[25] Г. Штендер. К вопросу о галереях Софии Новгородской (по материалам археологического исследования северо-западной части здания) OCR. Реставрация и исследования памятников культуры. М. 1982. вып. 2, გვ. 6 - 27.

რომ, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ ძეგლში (მაგ., კიევის სოფიას ტაძარი, ანა დალასინას მიერ აგებული ეკლესია და სხვ.) ქოროები და გალერეები პრივილეგირებული პირებისთვის იყო განკუთვნილი. მსგავსი ფაქტები დაფიქსირებულია აგრეთვე ქართულ სინამდვილეში, თუმცა საქართველოში, როგორც ჩანს, მეორე იარუსის ქოროებსა და გალერეებს არასდროს არ ჰქონდა ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფუნქცია. ზოგადად საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია მაინცდამაინც მკაფიოდ არ აისახება ქართული ტაძრების არქიტექტურულ ფორმებში. რაც შეეხება საკუთრივ მოქვის ტაძარსა და მის ქოროებს, რადგანაც ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი ისტორიული მონაცემები მათი დანიშნულების შესახებ, მხოლოდ ანალოგიების მიხედვით შეგვიძლია გამოვთქვათ გარკვეული ვარაუდი: მათი ფუნქცია, შესაძლოა, ახლოს იყო თანადროული კონსტანტინოპოლის თუ კიევის რუსეთის ტაძრების გალერეებისა.

# ტაბულა 1






მოქვის ტაძარი 2008-2010 წწ.

| ტაბულა 2 | |
|---|---|
|  |  |
| მოქვის ტაძარი<br>აღმოსავლეთი ფასადი<br>ლ. რჩეულიშვილის მიხედვით | მოქვის ტაძარი<br>ჩრდილოეთი ფასადი<br>ლ. რჩეულიშვილის მიხედვით |
|  | |
| მოქვის ტაძარი. ჭრილი სამხრეთზე ლ. რჩეულიშვილის მიხედვით | |
| | |

# ტაბულა 3



ლიხნის ტაძარი
ლ. რჩეულიშვილის მიხედვით



მოქვის ტაძარი
პირველი სართულის გეგმა
ლ. რჩეულიშვილის მიხედვით



მოქვის ტაძარი
მეორე სართულის გეგმა
ლ. რჩეულიშვილის მიხედვით

# ტაბულა 4



კალენდერ-ჯამი. თავდაპირველი გეგმის რეკონსტრუქცია

# ტაბულა 5







ლიპსის მონასტრის ჩრდილოეთი ეკლესია
თავდაპირველი გეგმის რეკონსტრუქცია
დ. ტალბოტ-რაისის მიხედვით

# ტაბულა 6



ესკი იმარეთი, თავდაპირველი გეგმის რეკონსტრუქცია




ქოროს თაღედი

# ტაბულა 7



მაიარფაკინე, გეგმა

## ტაბულა 8



ნოვგოროდის, პოლოცკის და კიევის ტაძრების გეგმები



კიევის სოფიას ტაძრის რეკონსტრუქცია გ. შტენდერის მიხედვით

# ტაბულა 9



კიევის სოფიას ტაძარი
რეკონსტრუქცია
გ. შტენდერის მიხედვით



კიევის სოფიას ტაძარი
აქსონომეტრიული ჭრილი



კიევის სოფიას ტაძრის მეორე სართულის გეგმა

# ტაბულა 10



ნოვგოროდის სოფიას ტაძარი. რეკონსტრუქცია ორიარუსიანი გალერეებით ნ. ტრავინის და რ. კანცელ-სონის მიხედვით



ნოვგოროდის სოფიას ტაძარი. რეკონსტრუქცია ერთიარუსიანი გალერეებით კ. აფანასიევის მიხედვით



ნოვგოროდის სოფიას ტაძარი, ჭრილი ჩრდილოეთზე

*Nino Silagadze*

# TOWARDS QUESTION OF THE ARCHITECTURAL FORMS OF MOKVI CHURCH AISLES AND GALLERY

Summary

Mokvi Church in Georgia is very special monument for its original architectural forms, and also – from the point of view of history. Built in 957 - 967 as a seat for a bishop, it maintained its cultural and religious significance through the Middle Ages. ex. Mokvi Gospel dates itself to 1300. The church is also famous because of visit of the Patriarch of Constantinople in 1659; he left prominent information about it. According to Vakhushti, the 18$^{th}$ c. Georgian historian and geographer, the church was still the center of Trans-Codori (river in the Western Georgia) Bishoprics by his times. But by the thirtieth of the 19$^{th}$ c. the church is already abandoned.

Complicated variation of “Cross-in-Square”, and five-nave cross-cupola church – these are the labels for architectural type of the church, quite rare in Georgia. Having no direct parallels in Georgia, it is mirrored in Constantinople and Russia of the Middle Ages.

Next step of research could be broader comparative study including the Balkans. But now Mokvi Church architectural pecularities are studied in relation with certain group of the monuments. They are as follows: Nea, Kalender Camii, Northern Church of Lips Monastery (Fenari Isa Camii), Eski Imaret Camii (Anna Dalassena Church) in Constantinople, St. Sophia Churches in Kiev, Novgorod, Polotsk, etc.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*გიორგი ოთხმეზური*

# ნიაბის წარწერები

ნიაბი – ისტორიული სოფელი შიდა ქართლში (კასპის რაიონი). „ნიაბთ ბოლოსა სხერტის ჭალაზედა" 1609 წ. ქართულმა ჯარმა გიორგი სააკაძის და ზაზა ციციშვილის სარდლობით ქართლში შემოჭრილი ოსმალები დაამარცხა.[1] საისტორიო წყაროებში ნიაბი პირველად ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) პერიოდის ორ საბუთში იხსენიება.[2]

---

[1] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. 1959, გვ. 386; ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV. 1973, გვ. 422.

[2] სცსა – 1449-777; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – Hd-8712; აღსანიშნავია, რომ ორივე საბუთი თარიღიანი (შესაბამისად 1391 წ. და 1392 წ.), მაგრამ არც ერთი არ ესადაგება ალექსანდრე I-ის ზეობის ხანას. „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში" ალექსანდრე მეფის წყალობის სიგელი ამილბარ მაღალაძისადმი (1449-777) ზოგან ალექსანდრე I-ის გაცემულად არის მიჩნეული და თარიღის სისწორეა ეჭვქვეშაა დაყენებული (1391 sic! – იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I, გვ. 636; ტ. II, გვ. 420; ტ. III, გვ. 82; ტ. IV, გვ. 165). ხოლო ერთგან, ალექსანდრე I კახთა მეფის (1476-1511 წწ.) გაცემულად და დათარიღებულია 1491 წლით. თუმცა იქვე მითითებულია, რომ საბუთი შესაძლებელია ეკუთვნოდეს ალექსანდრე I დიდს (იქვე. I, გვ. 216); ჩემი აზრით, დოკუმენტში ჩამოთვლილი ყმა-მამული (კავთისხევი, ქვათახევი, ნიაბი, დიღომი, თბილისი, გორი...) გამორიცხავს, რომ წყალობის გამცემი ალექსანდრე I კახთა მეფე იყოს. რაც შეეხება ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარს (Hd-8712), როგორც ჩანს, აქაც ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. იმავე მიზეზის გამო, გამორიცხულია, რომ დოკუმენტს ალექსანდრე იმერთა მეფე ამტკიცებდეს (თუკი იყო საერთოდ ასეთი 1392 წ.) (ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. III. 1970. №23). 1392 წ. სასისხლო სიგელი, საბუთის გამცემთა ვინაობის გათვალისწინებით (მეფე ალექსანდრე – წარმოდგენი-

სოფლის განაპირას დგას წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია. ქართული კულტურის ძეგლთა აღწერილობებში, ენციკლოპედიურ ცნობარებსა და სამეცნიერო გამოკვლევებში ძეგლის აღმშენებლობა X ს-ით არის დათარიღებული.[3] ეკლესიაზე შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის ქართული ლაპიდარული წარწერები.

I. **დასავლეთის ფასადი, ქვის ფილა ბოლნური ჯვრის გამოსახულებით და პილიგრიმული ნაკაწრი წარწერებით – გრაფიტებით.** (სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებული არ ყოფილა. ჯვრის ზომა: 51X37 სმ; გრაფემების სიმაღლე: 1-2 სმ.

| | | |
|---|---|---|
| 1. | [ႵႤ]ႸႤႢჂ – | [ქ(რისტ)ე] შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ჲ. |
| 2. | ႵႤႸႤႡႱႪႨ– | ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ბ(ა)ს(ი)ლი. |
| 3. | ႵႤႸႤ[Ⴈ]$^{x}$Ⴄ – | ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე [ი](ოვან)ე$^{XX}$. |

X შეიძლება [k] XX ან კვირიკე, ან იესე

ႼႫႠႰႫ – წ(მიდა)ო მ(ა)რ(ია)მ

ლი ერთიანი საქართველოს მეფეთა სრული ტიტულატურით და მისი ძე ვახტანგი), ვფიქრობ ასევე ალექსანდრე დიდის ზეობის ხანით უნდა დათარიღდეს (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – Ad-932; პირთა ანოტირებული ლექსიკონი. I, გვ. 212).

[3] თ. ბარნაველი. საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე, გ. ჩუბინსაშვილის წინასიტყვაობით. თბ. 1959. გვ. 70-75; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. VII. თბ. 1984, გვ. 400; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. V. თბ. 1990, გვ. 179; ვ. ბერიძე. წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI-XVIII სს-ში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XIV-B. თბ. 1947, გვ. 199; ს. მაკალათია. (თეძმის ხეობა. თბ. 1959, გვ. 16-17) სხვა მკვლევართაგან განსხვავებით ეკლესიის აშენებას საამშენებლო წარწერის მიხედვით (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი) XIV ს-ით ათარიღებს.







სტილისტური ანალიზის (ბოლნური ჯვრის გვიანდელი ვარიაცია) და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერები (1, 2, 3) შეიძლება X-XI სს-ით დათარიღდეს: კიდურწაისრული დამწერლობით შესრულებული Ⴄ – ე, Ⴘ – შ; კიდურწერტილოვანი Ⴂ – გ, Ⴡ – ჲ (პირველი წარწერა); მიდრეკილება გაკუთხოვნებისაკენ (მეორე წარწერა). მეოთხე წარწერა შედარებით გვიან (XVI-XVII სს.) უნდა იყოს ამოკაწრული.

## II. [1247-1250 წწ.]. არსენ ქართლის კათალიკოსის ძმისწულის საამშენებლო (აღდგენის) წარწერა.

აღწერილობა: 12 სტრ. ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია აფსიდის მხართან, ჩრდ. კედელში გაჭრილი ეკლესიისა და სამკვეთლოს დამაკავშირებელი კარის ანაყოლში ჩასმულ ქვაზე.[4] ქვის ზომა: 56X30X22 სმ; გრაფემების სიმაღლე: 08-2,4 სმ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს – ქარაგმის ნიშანი – განივი, სწორი ხაზი.

[4] წარწერის ადგილზე მიგვითითა და ფოტონეგატივი გადმოგვცა ადგილობრივმა მკვიდრმა ვანო ბერიაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

**პალეოგრაფიული დახასიათება:** მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზები გ, ე, ვ, ლ ასოებზე. დარღვეული ორხაზოვანი წერითი ბადე. აღსანიშნავია, რომ წარწერა შესრულებულია განსხვავებული პერიოდის (X-XIII სს.) ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის დამახასიათებელი მოხაზულობის გრაფემებით.

Ⴀ ა – ქუდი და ქვედა განივი ხაზი პარალელურია (ქვედა განივი ხაზი ოდნავ დახრილიც კი) და წაგრძელებული, ერთმანეთთან დაკავშირებული ხან ძლიერ მორკალული და ხან მარცხნივ დახრილი სწორი ხაზით (I, IV, V სტრ.), რაც XIII ს. და შემდგომი ხანის ეპიგრაფიკული ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი, ხოლო ზოგ შემთხვევაში X-XI სს-ის წარწერებისთვის დამახასიათებელი ხელით და თანაც განსხვავებული მოხაზულობის, როგორც ჰორიზონტალური სწორი ქუდით, ისე კლაკნილი ქუდით და ძლიერ მორკალული (VIII სტრ.)

Ⴃ დ – მრგვლოვანი მოყვანილობის, ოღონდ ნუსხური დამწერლობისთვის დამახასიათებელი მარცხნივ გახსნილი მუცლით, წრე არ უერთდება ზედა განივ ხაზს.

Ⴊ ლ – ყელის გარეშე, განივი ხაზი პირდაპირ უერთდება წრეს (IV, V სტრ.) (X ს.); მაღალი ყელით და გაკუთხოვნებული მუცლით (VI სტრ.) (XIII ს.).

Ⴈ ი – ნუსხური, ამოკვეთილი, როგორც შუა ხაზს ზევით, ისე ქვევით. X-XI სს-ის დამახასიათებელი ხელით.

Ⴋ მ – როგორც აშკარად მიდრეკილი გამხედრულებისაკენ (X ს.), ისე XII-XIII სს-ის დამახასიათებელი მოხაზულობის – სწორი, ჰორიზონტალური ზედა განივი ხაზით და მრგვალი მუცლით (V სტრ.).

Ⴌ ნ – ზედა განივი ხაზი როგორც X-XI სს. დამახასიათებელი კუთხოვანი ფორმის (IV, V, VIII სტრ.), ისე შედარებით გვიანდელი ხანის (XIII ს. და შემდეგ) წარწერებში გამოყენებული მორკალული მოყვანილობის (III სტრ.)

Ⴐ რ – რკალები გადახსნილი, მარჯვენა რკალი ბუნზე მაღლა მიბმული (IV სტრ.) რაც XII-XIII სს-ის და კიდევ უფრო მოგვიანო ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვხვდება.

Ⴑ ს – ხან გაკუთხოვანებული და ხან მრგვლოვანი მოყვანილობის.

Ⴔ ფ – ბუნი კვეთს წრეს, რაც დამახასიათებელია როგორც X ისე XIII ს-ის წარწერებისათვის (VIII სტრ.).

Ⴖ ღ, Ⴚ ც – შესრულებულია X ს-ისთვის დამახასიათებელი კუთხოვანი ასომთავრულით (V, IX სტრ.). თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავრული ასოების გაკუთხოვნების შემთხვევები XIII ს-შიც გვხვდება.

Ⴘ შ – გაკუთხოვნებული ზედა წრე და მორკალული ქვედა წრე (V, X სტრ.) გვხვდება როგორც X ს-ში, ისე XIII ს-ში.

Ⴜ წ – ერთ შემთხვევაში გაკუთხოვნებული (ოღონდ არა ნუსხური), სამკუთხედის ფორმის ზედა წრით (II სტრ.), ხოლო მეორე შემთხვევაში – მომრგვალებული ზედა წრით (V სტრ.); ასეთი მოხაზულობის „წ“ გვხვდება როგორც X ს-ის, ისე XIII ს-ის წარწერებში.

**დაზიანება:** წარწერიანი ქვა გაჭვარტლულია და სპეციალურად დასერილი ბასრი საგნით. მარჯვენა კიდე ჩამომტვრეულია. წარწერა ალაგ-ალაგ გადასულია და გრაფემები აღარ იკითხება.

**წარწერის დათარიღება წინა გამოცემაში**: XIV ს. (ს. მაკალათია, თეძმის ხეობა, 1959, გვ. 12).

**წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი**: დავით VI-ს და დავით VII-ს თანამეფობის და არსენი ქართლის კათალიკოსის მოღვაწეობის თანმხვედრი წლები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარწერა ძლიერ დაზიანებულია და ძნელად იკითხება. სამწუხაროდ, დაზიანებულია ის ადგილებიც, სადაც ისტორიული პირები იყვნენ დასახელებულნი (II-III სტრ. და VIII სტრ.). ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, მკაფიოდ იკითხება მხოლოდ არსენი ქართლის კათალიკოზის სახელი, რომლის ძმისწულსაც აღუშენებია ეკლესია: „არსენი ქართლისა კათ[ალიკოზისა] ძმისწულმან აღვაშენე“ (V-VI სტრ.).

წარწერის VIII სტრიქონში მოცემული წინადადების კონტექსტი მოითხოვს, რომ დაზიანებულ ადგილას პირის სახელი იქნას აღდგენილი და თანაც მრავლობით ფორმაში: ექვსასოიან სიტყვაში იკითხება

პირველი, მეორე და მეექვსე გრაფემები: და [- — -] ა; ჩანს ასევე მე-სამე გრაფემის ზედა ნაწილი, რაც მოხაზულობის მიხედვით გ, ე, ვ, ლ ასოების ზედა ნაწილი შეიძლება იყოს. ვფიქრობ, აქ უნდა აღდგეს ასო „ვ", ხოლო მთლიანად გადაშლილ გრაფემათა ადგილას „თ" და „თ" და მივიღებთ სახელს „დავ(ი)[თთ]ა,"[5] რის შედეგადაც VIII სტრ. ასე გაიმართება „მეფეთა ჩუენთა დავითთა გჳბოძეს."

საქართველოს ისტორიაში კარგად არის ცნობიი „დავითთა" თანამეფობა. ესენი არიან რუსუდანის ძე დავით VI ნარინი და ლაშა-გიორგის ძე დავით VII. წარწერაც მათი თანამეფობის პერიოდით უნდა დათარიღდეს. ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი იქნება დავითთა ურდოდან დაბრუნება (1247 წ.), ხოლო ზედა – დავით VI ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლა (1249-1251 წწ. შორის[6]). ამავე წლებს მოიცავს არსენი ქართლის კათალიკოსის მოღვაწეობის პერიოდი, რომლის ზედა ზღვარია 1250 წ.[7] ამდენად, წარწერის ქრონოლო-

---

[5] „XI ს-დან იშვიათად გვხვდება ადამიანის საკუთარი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები: „მარიამნი – მარიამთა" და მისთ. ისინი ხელოვნურია, ოდენ წიგნურია და ამიტომაც ვერ გავრცელდნენ;" ზ. სარჯველაძე. ძველი ქართული ენა. თბ. 1997, გვ. 32.

[6] ნ. ბერძენიშვილი. ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს-ის საქართველოში. საქართველოს ისტორიის საკითხები. III. თბ. 1966, გვ. 94; ნ. შოშიაშვილი. XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XVIII-Б. თბ. 1954, გვ. 128; ნ. ასათიანი. დავით რუსუდანის ძის (ნარინის) მოღოლთა წინააღმდეგ აჯანყების საკითხისათვის (წერილი I). თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო შრომათა კრებული. საისტორიო შტუდიები. II. თბ. 2001, გვ. 3-20; ნ. ასათიანი, შ. დარჩიაშვილი. დავით რუსუდანის ძის (ნარინის) მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების საკითხისათვის (წერილი II). იქვე. თბ. 2004, გვ. 3-29.

[7] XIII ს-ის 40-იან წლებში მოღვაწე არსენ კათალიკოსთან დაკავშირებით მკვლევართ სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ გამოთქმული. ზოგი თვალსაზრისით ამ დროს ორი არსენ კათალიკოსია – არსენ IV და არსენ V. ზოგი თვლის, რომ არსენ IV იგივე ბულმაისიმისძეა, ხოლო ზოგი ბულმაისიმისძეს არ თვლის ქართლის კათალიკოსად, მიიჩნევს მას აფხაზეთის კათალიკოსად. ამჯერად ჩვენთვის ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ ყველა შემთხვევაში არსენ კათალიკოსის მოღვაწეობის ზრდა ქრონოლოგიური ზღვარია 1250 წ. და მოიცავს დავითთა თანამეფობის პერიოდს. ამ საკითხზე იხ. ნ. შოშიაშვილი. XIII ს-ის

გიური ჩარჩოებიც 1247-1250 წწ-ით უნდა განისაზღვროს.

ერთი შეხედვით, ნიაბის ეკლესიის ხუროთმოძღვრული მონაცემები (X ს.) და წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებიც, თითქოსდა იძლევა მისი X ს-ით, არსენ II-ის (955-980 წწ.) მოღვაწეობის პერიოდით დათარიღების საშუალებას, მაგრამ ისტორიული რეალიების გათვალისწინება, ვფიქრობ, გამორიცხავს ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას. რომც დავუშვათ ჩემი წაკითხვის უზუსტობა მეფეთა სახელის აღდგენასა და გაშიფვრაში („დავითთა"), ანდა დაზიანებულ ადგილას საერთოდ სხვა სიტყვა ვიგულისხმოთ და არა საკუთარი სახელი (თუმცაღა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კონტექსტი ამას მოითხოვს), ერთი რამ ცხადია, მეფენი მრავლობითი ფორმით არიან მოხსენიებულნი („მეფეთა ჩუენთა"). ასეთი თანამეფენი კი, კათალიკოს არსენ II-ის მოღვაწეობის ხანაში არიან ტაოს მეფეები ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი (შემდგომში დავით III კურაპალატი). მათი თანამეფობა, როგორც ცნობილია, 961-966 წწ-ს მოიცავდა (ადარნასე III კურაპალატის ბერად აღკვეცა და ბაგრატ III-ის გარდაცვალება). მაგრამ ტაოს მეფეებს ამ დროს შიდა ქართლზე ხელი არ მიუწვდებოდათ, ის „აფხაზთა მეფეთა" გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. „მეფეთა ჩუენთა"-ში ვფიქრობ, არც „აფხაზთა მეფეთა" – გიორგი II-ს (922-957 წწ.) და ლეონ III-ს (957-967 წწ.) მოაზრება შეიძლება. გიორგი II-ს მიერ ქართლის ერისთავად დანიშნული ლეონი მამის თანამოსაყდრე არ ყოფილა და რაც მთავარია, 955-957 წწ-ში (გიორგი II-სა და კათალიკოს არსენ II-ის მოღვაწეობის თანხვედრი წლები) არ იყო ისეთი ვითარება, რომ აფხაზთა მეფეს შიდა ქართლში მამულების განკარგვის საშუალება ჰქონოდა. წარწერა ამავე დროს ეპიგრაფიკული საბუთია – მამულის წყალობის სიგელი. VIII-IX სტრ. აღნიშნულია, რომ „მეფეთა

---

საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, გვ. 113-129; ზ. აბაშიძე. ერთიანი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები. წგნ.: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2000, გვ. 58-59; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგ. ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე. თბ. 2007, გვ. 100.

ჩუენთა დავითთა გუბოძეს მცირედნი ვენაჴნი და ქუეყანანი“, ხოლო ბოლოს (10-12 სტრ.) მთავრდება დოკუმენტებისთვის ჩვეული კრულობითი ფორმულირებით: „ვინ შეუცვალოს შემცა-ცვალებულ არს ღმრთისა ძალითა სჯულისაგან ქრისტიანეთასა“. სწორედ ამ დროს, შიდა ქართლის აზნაურები კახელებთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზთა სამეფოს ჰეგემონობის წინააღმდეგ იბრძვიან: „მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხჳლოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კჳრიკეს. დაუწყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი... და კუალად ეუფლა კჳრიკე მამულსა თჳსსა“.[8]

წარწერის ამოკვეთისთვის შერჩეული ადგილიც, ვფიქრობ, უფრო ეკლესიის გვიან გადაკეთებას (შეიძლება სწორედ სამკვეთლო იქნა მიშენებული XIII ს-ში და ამისთვის გაიჭრა კარი) შეეფერება, ვიდრე საქტიტორო წარწერისას.

ისტორიულ პირთა მოხსენიება ცნობილ ნათესავებზე მითითებით უცხო არ არის ქართული საისტორიო წყაროებისთვის. მაგ. გოდერძი ერისთავთ-ერისთავისათვის დისწულებად სახელდებიან გიორგი აბბაჲ (ალავერდის წარწერა, XI ს-ის 10-30-იანი წწ.)[9] და შტორისა და მაჭელის ერისთავი ჯედი (1039 წლის ახლო ხანები).[10] თრიალეთისა

[8] „მატიანე ქართლისაჲ“. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ. 1959, გვ. 269: „მატიანე ქართლისაჲ“-ში ამ პირთა ჩამოთვლას წინ უსწრებს მათი კუთხურობის განსაზღვრა: „აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი“. როგორც ჩანს, ამან განაპირობა (უშუალოდ „კახნი“-ს მერე დასახლებამ), რომ საძიებელში ეს აზნაურები კახელებად არიან მიჩნეული (გვ. 398, 408, 419, 422, 427). ყველანი ისინი ქართლის დიდაზნაურები არიან. მათი სამფლობელოები შიდა ქართლში იყო: გდუ, ყანჩაეთი და კორინთა – ახალგორის რ-ნში, სხვილო‖ცხვილო – კასპის რ-ნში, ფხვენისი – გორის რ-ნში. „მატიანე“-ს ავტორმა სპეციალურად გაუსვა ხაზი ქართლის აზნაურთა მხარდაჭერას კვირიკე კახთა მეფისადმი.

[9] თ. ბარნაველი. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბ. 1961, გვ. 10-13.

[10] „მატიანე ქართლისაჲ“, გვ. 298.

და კლდეკარის გამგებელია გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დისწული თევდორე (1110 წ.).[11] მსგავსი შემთხვევები დაფიქსირებულია XIII ს-ის ქართულ ისტორიულ საბუთებშიც.[12]

არსენი ქართლის კათალიკოსის ძმისწულიც დაწინაურებული ფენის, დიდებულთა წრის წარმომადგენელი და ერისთავის ძეა. წარწერის II სტრიქონის დასასრულს, სადაც კონტექსტის მიხედვით ამოკვეთილი უნდა ყოფილიყო ეკლესიის ქტიტორის და მისი მამის სახელი, ს. მაკალათია კითხულობს ერთ გრაფემას „ბ"-ს და III სტრიქონის დასაწყისთან შეთანხმებით აღადგენს, როგორც „ბირთის (ბირთველის?) ძემან". ჩემი აზრით, II სტრიქონის მარჯვენა კიდეში „მე"-ს შემდეგ მცირე მანძილის დაშორებით იკითხება არა „ბ", არამედ „გ". ამის შემდეგ დარჩენილ სივრცეზე ოთხი-ხუთი გრაფემის ადგილია სავარაუდებელი, რომელთაგან ბოლო უნდა აღდგეს როგორც „ე" და III სტრიქონის დასაწყის ასოებთან („რთისძემნ") შეთანხმებით მოგვცემს „ერისთავის ძემან".

XII ს-ის 70-იან წწ-დან XIV ს-ის 20-იან წწ-მდე ქართლის ერისთავები სურამელთა საგვარეულოს წევრები არიან. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ცნობილია ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი (1242-1260 წწ.) და მისი ძე ბეგა.[13] სურამელთა მამულები შიდა ქართლში მდებარეობდა, მათ შორს თეძმის ხეობაში. სავსებით დასაშვებია, რომ ნიაბიც მათ მფლობელობაში ყოფილიყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარწერაში მოხსენიებული ერისთავის ძე ბეგა სურამელია. ამ შემთხვევაში წარწერის II სტრიქონის დასასრული, დაზიანებული ფართობის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემდეგნაირად აღვადგინოთ: „...მე[ბ]გ[იგგლე]". წარწერის III სტრიქონის დასაწყისის ნაწილთან შეთანხმებით აღნიშნული ადგილი ასე გაიმართება: „ მე

[11] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. I, გვ. 31.

[12] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შემდგ. თ. ენუქიძე, ვ. სილოგავა, ნ. შოშიაშვილი. თბ. 1984, გვ. 113, 135, 154, 166, 179.

[13] მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 163-174.

[ბ](ე)გ(ა)[ი, გ(რი)გ(ო)ლ ე]რისთავის ძემან...“

დაზიანებული ტექსტის ამგვარი წაკითხვით მივიღებთ, რომ არსენი ქართლის კათალიკოსი სურამელთა საგვარეულოს წარმომადგენელია – გრიგოლ, სურამელის ძმა და ბეგას ბიძა.

ამ მოსაზრებას გამოვთქვამთ საკითხის დაყენების წესით. ცხადია, როცა საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება მისი დამადასტურებელი მასალა, დაზიანებული წარწერის ტექსტის ასეთი თავისუფალი აღდგენა არ იძლევა კატეგორიული მტკიცების უფლებას.

ტექსტი:

ႱႠႾႪႠႶႧႱ[Ⴇ]ႠႣႠ [ႸႼႠ]
ႼႨႠ ႢႨႱႧႠႫႤ – Ⴂ ---- [Ⴄ][x]
ႰႧႨႱႻႤႫႬ ႠႣႣ[Ⴌ ႶႧႬ]
ႠႰႱႬႨႵႰႧႪႠႩႧ[ႪႱႠ]
ႻႫႱႼႪႫႬ ႠႶႅႸ[Ⴄ]Ⴌ[ႤႼႠႨ]
ႤႱႤႱႷႣ[Ⴐ]ႨႱႪႺႅႪႣ
ႹႬႠႣႠႱႠႣႣႡ[ႪႣ]Ⴀ[ႣႣႬႶ]Ⴌ
ႫႴႧႠႹႬႠႣႠ⌞Ⴐ⌟[ႧႧ]ႠႢႡႻႱ
0. ႫႺႨႰႣႬႨႅ[Ⴓ]ႬႨႣႠႵႨ[ႷႬႨ]
. ႅႬႸ[Ⴄ]ႩႺႅႪႱႸႫႺႠ[Ⴚ]Ⴅ[Ⴊ]
2. ႡႪႠ[Ⴐ]ႱႶႧႱႠ[Ⴛ]Ⴀ[ႪႧ]Ⴀ
[ႱႿႪႱႢႬႵႰႱ]ႲႨႠႨ[ႧႱႠ]

[x] [Ⴁ]Ⴂ[ႨႢႢႪႨ] - ?



გრაფიკული მონახაზები შესრულებულია ფოტოების კომპიუტერული დამუშავებით (შემსრულებელი დ. ცუცქირიძე)

ს(ა)ხ(ე)ლ(ით)ა ღ(მრ)თ(ი)ს(ა)[თ]ა და [შ(ე)წ(ევნით)ა][x] /2წ(მიდ)ი(ს)ა გ(ორგ)ის(ი)თა მე –გ----[ე][xx] /3 რ(ის)თ(ავ)ის ძემ(ა)ნ, ად(ი)დ(ე)[ნ ღ(მერ)თ(მა)ნ], /4 არს(ე)ნი ქ(ა)რთლ(ის)ა კ(ა)თ(ალიკო)[ზ(ი)სა] /5 ძმ(ი)სწ(უ)ლმ(ა)ნ აღვ(ა)შ[ე]ნ[ე წ(მიდ)აი] /6 ესე ს(ა)ყდ(ა)[რ]ი ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ /7 ჩ(უე)ნ(დ)ა და

სად(ი)დ(ე)ბ[ლ(ა)დ] ა[დ(ი)დ(ე)ნ ღ](მერთმა)ნ /[8] მ(ე)ფ(ე)თა ჩ(უე)ნ(თ)ა დავ(ი)[თთ]ა გ(ჳ)ბ(ო)ძ(ე)ს /[9] მცირ(ე)დნი ვ(ენა)[ჴ]ნი და ქ(უ)ე[ყ(ანა)ნი]. ვ(ი)ნ შ[ე](ო)ჳცვ(ა)ლ(ო)ს შ(ე)მცა – [ც]ვ(ა)[ლ(ე)] /[11] ბ(უ)ლ ა[რ]ს ღ(მრ)თისა [ძ]ა[ლ(ი)თ]ა /[12] [სჯ(უ)ლ(ი)ს(ა)გ(ა)ნ ქრ(ი)ს]ტია(ნ)ე[თ(ა)სა].

x ან „მეოხებითა

xx მე [ბ](ე)გ(ა)[ი], [გ(რი)გ(ო)ლე] ?

ს. მაკალათია: „სახელითა ღვთისათა და წმიდის გიორგისათა მე ბირთის (ბირთველის?) ძემან სადდ. (სადიდებლად) არსენი ქართლისა კ̄ა... აღვაშენე ესე საყდარი...“

## III. 1682 წ. საამშენებლო (განახლების) წარწერა ნიკოლოზ მაღალაძისა.

XV ს-დან ნიაბი მაღალაძეთა (მაღალაშვილთა) საგვარეულოს საკუთრებაა. აქედან იწყება მაღალაძეთა დაწინაურება, როცა „სოფლის ვითარებისაგან პატიოსანი ივანიაძის ძეთა საქადაგო სახლი და საჴე-ლო უმკვიდრო ქმნილ იყო“ და მათ გადაეცათ. ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) წყალობის სიგელში მაღალაძეთადმი სხვადასხვა ყმა-მამულთა შორის დასახელებულია 80 კომლი სოფ. ნიაბში.[14]

ნიაბის წმ. გიორგის ეკლესია 1682 წ. იქნა „მეორედ აღშენებუ-ლი“ მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზ მაღალაძის მიერ (5 სტრიქონიანი მხედრული წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის ჩრდ. ფასადზე):

„ქ: ადამს აქეთ: შვიდიათას: ასოთხმოცდა
ათსა: აღვაშენე: მეორედ: საყდარი: ესე ნიაბს: წმი:
დის: გიორგისა: მე მაღალაძემ: მღუდელ: მონაზონმ
ან: ნიკოლოოზ: შენდობა: ბრძანეთ: მამის: ჩემის: სახლს
უხუცის პაპუასთვის და დედის ელენესა: ქკს:ტო.“[15]

[14] სცსა 1449-777; პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. III. თბ. 2004, გვ. 82.
[15] აღნიშნული წარწერა და მაღალაძეთა საგვარეულოს შესახებ ცნობები იხ. ვ. ბერიძე. წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI-XVIII სს-ში, გვ.

ქრისტეშობით წელთაღრიცხვაზე გადმოყვანით ორივე თარიღი იძლევა 1682წ.:

1) ადამს აქეთ, ანუ დასაბამითგან 7190-5508 (ბიზანტიური ერა); 2) ქორონიკონი ტო – 1312+370;

მღვდელმონაზონი ნიკოლოზ მაღალაძე-არქიმანდრიტი, სვეტიცხოვლის ქადაგი და წინამძღვარი, თავისი დროის თვალსაჩინო მოღვაწე იყო. ფართე სააღმშენებლო მოღვაწეობა, უხვი შეწირულებები მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრისადმი ამის ნათელი დადასტურება. მაღალაძეთა სოციალურ და ეკონომიკურ აღზევებას მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ ნიკოლოზ მაღალაძე იმ დროის (1691 წ.) ქართლის სამეფოს ყველაზე მნიშვნელოვან პირებთან, დიდებულ თავადებთან აშოთან მუხრან-ბატონსა (მეფის ბიძა) და გივი ამილახვართან (ზემო ქართლის სადროშოს სარდალი) ერთად „უვლინებდნენ მრავალსა საგანძურსა“ ახალციხელ თათრებს მათთან ტყვეობაში მყოფი გიორგი XI ს-ს დასახსნელად.[16]

ამრიგად, ნიაბის წმ. გიორგის ეკლესიის ლაპიდარულ წარწერებში დაცული ცნობების თანახმად, X ს-ში აგებულ საყდარს ორჯერ ჩატარებია აღდგენითი სამუშაოები: პირველად დავით VI-სა და დავით VII-ს თანამეფობის პერიოდში (1247-1250 წწ.), ხოლო მეორედ 1682 წ. ნიკოლოზ მაღალაძის მიერ.

195-214.

[16] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 466.

*Giorgi Otkhmezuri*

**NIABI INSCRIPTIONS**

Summary

Niabi village is located in Shida Kartli region, municipality of Kaspi. Near this village single nave basilica church of St. George is situated. Church has several epigraphical inscriptions of the different epochs.

1. Western facade has some pilgrim graphites and depicted so-called Bolnuri Cross.
2. Restoration inscription of the nephew of Arsen Catholicos of Kartli, dated by 1247-1250.
3. Restoration inscription of Nikoloz Maghaladze, dated by 1682.

According to information preserved in the inscriptions of Niabi, this 10th century church was restored twice: the first renewal took place in 1247-1250 during the co-rule of David VI and David VII and second reconstruction was ordered by local feudal Nikoloz Maghaladze in 1682.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*ჯაბა სამუშია*

# ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყვეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი

## შესავალი

საქართველოში XI ს-ის 40-იანი წლებიდან იწყება ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი მეფესა და ფეოდალურ ოპოზიციას შორის. სამოქალაქო დაპირისპირება, შესვენებებით, თითქმის, ორი ათეული წელი გაგრძელდა. ამ ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის წინსვლა-განვითარება. საქართველოს სამეფო კარზეც XI საუკუნის 30-40-იან წლებში აშკარად რამდენიმე კლანური დაჯგუფება მოქმედებდა. დასაწყისში მათ შორის დაპირისპირება ფარულ ხასიათს ატარებდა. 1040 წლიდან კი, მას შემდეგ რაც კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდა, ეს ბრძოლა სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა. როგორც უმრავლეს შემთხვევაში, შიდა დაპირისპირება კარგად გამოიყენა საქართველოს საგარეო მტერმა – ბიზანტიამ. საიმპერატორო კარმა მოახერხა ამ უთანხმოების ჯერ გაღვივება, შემდეგ კი სამოქალაქო ომში გადაზრდა. იმპერიის მესვეურებმა მიაღწიეს, რომ საქართველოს შიგნით შექმნეს ძლიერი პრობიზანტიური დაჯგუფება, რომელსაც ცენტრალურ ხელისუფლება უნდა დაებალანსებინა. ბაგრატ IV-ს და ლიპარიტ ბაღვაშს შორის დაპირისპირება 1048 წელს დროებით შეწყდა თურქ-სელჩუკთა მიერ ბასიანში კლდეკარის ერისთავის შეპყრობის გამო.[1] საქართველოს სამეფო კარისთვის ეს დიდი წარმატება იყო. იმავდროულად, ბიზან-

[1] ჯ. სამუშია. ბიზანტიურ-ქართულ-სომხური სამხედრო კოალიცია თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. თსუ შრომები. №349. სერია – ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ. 2003, გვ. 227-234.

ტიელები კარგად ხვდებოდნენ, თუ რა დანაკლისი იყო მათთვის კლდეკარის ერისთავი.

ლიპარიტს ორ წელზე მეტ ხანს მოუწია თურქ-სელჩუკებთან ტყვეობაში ყოფნა. მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე IX მონომახის დიპლომატიური ჩარევისა და თავად ლიპარიტის მხრიდან გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ მიიღო თორღუ-ბეგმა საბოლოო გადაწყვეტილება და ქართველი ერისთავი გაათავისუფლა.[2]

ლიპარიტ ბაღვაშის თავისუფლებამ საქართველოს მმართველი ელიტა უკიდურესად შეაძრწუნა. ბოლო ორი წლის მანძილზე ბაგრატ IV-ის მიერ მოპოვებულ პოლიტიკურ თუ სამხედრო წარმატებებს ლიპარიტის ტყვეობიდან დახსნით სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ მთავარი ეს არ იყო. გაცილებით საშიში ლიპარიტისა და ბიზანტიის იმპერატორის მეგობრობა გახლდათ, რომელიც ყველა შემთხვევაში, საქართველოში არსებულ, შედარებით სტაბილური ვითარების კიდევ ერთხელ დაძაბვას გამოიწვევდა. თავისთავად, ცალკე აღებული კლდეკარის საერისთავოსა და მისი გამგებლის დამორჩილება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლებისათვის, მაგრამ სირთულე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ლიპარიტს ზურგს იმპერიის სამხედრო ძალები უმაგრებდა. ამას კარგად ხედავდნენ საქართველოში და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდისთვის სამეფო კარზე მხოლოდ ლიპარიტის გეგმების განჭვრეტაში იქნებოდნენ. მცირე ხნით „აფხაზთა და ქართველთა“ სამეფოში დასადგურებული სიმშვიდე, მოსალოდნელი დაპირისპირების ატმოსფერომ შეცვალა.

## ლიპარიტი ბაღვაში და კონსტანტინე IX მონომახი

თურქ-სელჩუკთა ტყვეობიდან წამოსული ლიპარიტ ბაღვაშის მარშრუტის აღდგენა ყველაზე უფრო ზედმიწევნით „მატიანე ქართლისას“ მეშვეობით არის შესაძლებელი. სხვა წყაროებში, შედარებით ზო-

[2] გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობაში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 5. თბ. 1998, გვ. 325-335.

გადი ცნობებია დაცული. მემატიანე დასძენს, რომ „ამისსა შემდგომად დაეჴსნა ლიპარიტ თურქთა და შემოვიდა ანისს“.[3] XI საუკუნის 50-ან წლების დასაწყისში ანისი წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიის მონაპირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულის – იბერიის თემის ცენტრს.[4] ამასთანავე მასზე გადაიოდა მნიშვნელოვანი ტრანსსახელმწიფოებრივი მაგისტრალი, რომელიც ცენტრალური აზიიდან თავრიზის გავლით, შავი ზღვის პორტებისაკენ მიემართებოდა.[5] ხორასანიდან წამოსულ ლიპარიტს სწორედ ამ გზით უნდა ესარგებლა ანისის ციხექალაქამდე. ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში შემოსვლის შემდეგ კლდეკარის ერისთავი სამშვიდობოს იყო ალბათ. შორს არ ვიქნებით სინამდვილისგან თუ ვივარაუდებთ, რომ პირველ ეტაპზე, ლიპარიტი ზედმიწევნით გამოიკითხავდა და შეისწავლიდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებდა მომავალი გეგმების დასახვას. ვფიქრობთ, კლდეკარის ერისთავისთვის თავიდანვე ნათელი გახდა, რომ მისი საქართველოში დაბრუნება, თუნდაც მცირე ბიზანტიური არმიის თანხლებით, შედეგს ვერ მოიტანდა. ლიპარიტს სხვა გზა უნდა ეძებნა და სამშობლოში ჩამოსვლისათვის მასშტაბური სახე მიეცა. ეს უნდა გამოხატულიყო ბიზანტიელთა მხრიდან პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის ფორმით. ამიტომაც ლიპარიტი არ ჩქარობდა საქართველოში დაბრუნებას, პირიქით, მისთვის ამ მომენტში იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახთან ვიზიტი გაცილებით მეტი პოლიტიკური დივიდენდების მომტანი იყო.

ლიპარიტის განთავისუფლება საქართველოს ცენტრალურ ხელი-

[3] მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 286.

[4] იბერიის თემის შესახებ იხ. ი. ნოდია. იბერიის საკატეპანოს დაარსება. თსუ შრომები. 8-9. თბ. 1974, გვ. 91-99. В. А. Арутюнова-Фиданян. Византийские правители фемы «Иверия». Журн.: «Вестник общественных наук». Ереван. 1973. № 2; Р. М. Бартикян. О феме иверия. Журн.: «Вестник общественных наук». Ереван. 1974. № 12; К. Н. Юзбашян. Армянские государство эпохи Багратидов и Византия. IX-XI вв. М. 1988.

[5] Я. А. Манандян. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Ер. 1930, გვ. 146-155.

სუფლებას არ გამოპარვია. ეს ამბავი ბაგრატ IV-მ თბილისში შეიტყო. მან სასწრაფოდ მიატოვა თბილისი და ჯავახეთში გამაგრდა. „მატიანე ქართლისას“ მონათხრობის მიღმა ადვილი დასანახია ის დაძაბული პოლიტიკური ატმოსფერო რაც ქვეყანაში იყო შექმნილი. დიდი ალღო არ სჭირდებოდა იმის განსაზღვრას თუ რა გეგმები შეიძლება ჰქონოდა ლიპარიტ ბაღვაშს. ამიტომაც ბაგრატ IV ცდილობს შედარებით დაცულ და უსაფრთხო რეგიონში გამაგრდეს. „დაადგრო ბაგრატ ტფილისი ლიპარიტის გზითა, აღმოვლო ქართლი და მოვიდა ჯავახეთს“, – დასძენს მემატიანე.[6] მაგრამ ლიპარიტი არ ჩქარობდა. წყაროები არ მიუთითებენ, რომ ანისიდან კლდეკარის ერისთავი პირდაპირ საქართველოსაკენ წამოსულიყო. ლიპარიტის განთავისუფლების ამბავს „მატიანე ქართლისა“ მოაყოლებს ასეთ ფრაზას: „განძლიერდა ლიპარიტ, რამეთუ მსახურებისათჳს ბერძენთა მეფისა ტჳუექმნილ იყო; წარვიდა საბერძნეთს და ნახა ბერძენთა მეფე და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი. და ვერღარა დაუდგა ბაგრატ“.[7] როგორც ვხედავთ, საწყის ეტაპზე პროცესები სხვაგვარად განვითარებულა. ლიპარიტი პირდაპირ საქართველოსკენ არ დაძრულა და თავისი უფლებებისა და მდგომარეობის აღდგენა არ უცდია. ეს მოვლენა ოდნავ მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, როდესაც ერისთავი „ბერძენთა მეფის“ ჯარით ხელდამშვენებული დაბრუნდა სამშობლოში. ანისიდან კლდეკარის ერისთავი ჯერ კონსტანტინე IX მონომახს ეახლა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლა თავისი უფლებებისათვის. ამასვე მოგვითხრობს სომეხი მემატიანე მათე ურჰაელი: „სულთანმა გაანთავისუფლა იგი (ლიპარიტი – ჯ. ს.) და დიდძალი საჩუქრებით ჰრომებთან გააგზავნა. ლიპარიტი მივიდა კონსტანტინოპოლში. როდესაც მონომახმა იხილა იგი, ფრიად განიხარა და დიდძალი საჩუქრებით გააგზავნა სახლში ცოლთან და ვაჟიშვილებთანო“.[8]

[6] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 286.
[7] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 286.
[8] მათე ურჰაელი. „ისტორია“. ქართული თარგმანი იხ. ე. ცაგარეიშვილი. სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ. X-XI საუკუნეებში. კრ.: „მრავალთავი“. ტ. II. თბ. 1973, გვ. 204.

ამდენად, ზედმიწევნით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ლიპარიტის განთავისუფლებიდან, მის საქართველოში დაბრუნებას შორის არსებულ პერიოდს. კლდეკარის ერისთავი ანისში მცირე ხნით უნდა შეჩერებულიყო და აქედან პირდაპირ იმპერატორის სანახავად გამგზავრებულიყო. კონსტანტინოპოლში, კონსტანტინე IX მონომახმა ლიპარიტს საპატიო დახვედრა მოუწყო. ერისთავის ვიზიტი აღწერილი აქვს მიხეილ ატალიატეს, რომელიც აღნიშნავს, რომ „რომაელთა მეფემ მიიღო და საჯარო პატივით დააჯილდოვა იგი, და შეამკო ისეთი საჩუქრებითა და სიტყვებით, რომელთაც ყველგან ჰქონდა ის ბრწყინვალება, რომელიც არის უეჭველად რომაული სახელმწიფოს სულის გამომხატველი“.[9] ბიზანტიის იმპერატორის ლიპარიტისადმი ასეთ მეგობრულ დამოკიდებულებას ლოგიკური ახსნა აქვს. კლდეკარის ერისთავი იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. მაგრამ ლიპარიტსა და კონსტანტიმე IX მონომახს შორის ურთიერთობაში გარკვეული სუბიექტური ფაქტორებიცაა გასათვალისწინებელი. საქმე იმაშია, რომ ბიზანტიის იმპერატორი გამოირჩეოდა თავის ექსტრავაგანტური საქციელით. მას შეეძლო ადამიანი უზომოდ შეყვარებოდა და მასში მხოლოდ დადებითი დაენახა ან, პირიქით, მოეძულებინა ისე, რომ მასზე გული აღარ მოუბრუნდებოდა. ეს იყო ადამიანი, რომელიც ორ უკიდურესობას შორის მერყეობდა. ცნობილია, თუ როგორ განიცადა კონსტანტინე მონომახმა თავისი მსახურისა და მასხარას რომან ბოილას შეპყრობა, როდესაც ამ უკანასკნელს იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულება დაბრალდა. სასამართლოზე დამნაშავე თავად კონსტანტინე IX-მ გაამართლა. თავისი მასხარას გადარჩენა იმპერატორმა დიდი ლხინით აღნიშნა.[10] ვფიქრობთ, ლიპარიტის მიმართაც მას განსაკუთრებული პატივისცემა ჰქონდა. ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი

[9] მიხეილ ატალიატე. ჰისტორია. გეორგიკა. ტ. VI. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966, გვ. 26.

[10] Н. А. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI века. К.I. СПб. 2004, გვ. 175-188; კონსტანტინე IX მონომახის პირად ცხოვრებაზე იხ. John Julius Norwich. Byzantium: The Apogee. L. 1993, გვ. 307-310.

გვაქვს. აშკარად ჩანს, რომ კონსტანტინე IX-ს პოლიტიკური თანამშრომლობის გარდა, პიროვნული სიმპათიები ამოძრავებს კლდეკარის ერისთავის მიმართ. რა თქმა უნდა, ლიპარიტი ამის გარკვეულ საბაბს აძლევდა კონსტანტინე IX-ს, მაგრამ იმპერატორის ფსიქოლოგიას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ადვილი მისახვედრია რა ლეგენდის საფარველში იქნებოდა გახვეული ბაღვაშის პიროვნება საიმპერატორო კარზე.

კონსტანტინოპოლში ლიპარიტმა დასახულ მიზანს მიაღწია, მან საჭირო სამხედრო დახმარება მიიღო იმპერატორისგან. „მატიანე ქართლისას“ ცნობას, რომ ერისთავი „ბერძენთა მეფის“ ჯარით დაბრუნდა საქართველოში, ადასტურებს ვარდან დიდიც, რომელიც დასძენს: „კეისარი თხოულობდა ლიპარიტის მისვლას, იგი წავიდა მასთან, მიიღო მისგან ჯარი და დაბრუნდა საქართველოშიო“.[11] იმპერატორის ასეთი ცალსახა მხარდაჭერა ლიპარიტსა და მის მომხრეებს ბრძოლის გაგრძელებისა და, რაც მთავარია, გამარჯვების იმედს უსახავდა. სამეფო კარს კი, პირიქით, უიმედობასა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

ბიზანტიიდან კლდეკარის ერისთავი საქართველოში დაბრუნდებოდა ან 1051 წელსვე ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, 1052 წელს. ლიპარიტის ჩამოსვლის, პირველ ხანობას, სულ მცირე მოჰყვა ის, რომ სამხრეთ საქართველოში კვლავ აღსდგა კლდეკარის ერისთავის უპირატესობა. „მატიანე ქართლისას“ ავტორი, დასძენს: „და ვერღარა დაუდგა ბაგრატ“ ლიპარიტსო. ბაგრატ IV კვლავ დასავლეთ საქართველოს მეფედ იქცა.

ასეთი რთული პოლიტიკური ვითარება სუფევდა საქართველოში 1051-1052 წწ. მიჯნაზე. ქვეყანა აშკარა, უფრო დიდი მასშტაბის სამოქალაქო ომის წინაშე იდგა. ცენტრალურ ხელისუფლებას უკვე სათანადო ძალა აღარ შესწევდა წინ აღგომოდა ურჩი ერისთავის ქმე-

[11] ვარდან დიდი, „მსოფლიო ისტორია“, ქართული თარგმანი იხ. ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ, X-XI საუკუნეებში, კრ.: „მრავალთავი“. ტ. II, თბ. 1973, გვ. 197; ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ. თბ. 2002, გვ. 123.

დებას. ლიპარიტის გაძლიერების შეჩერება სამეფო კარს უკვე აღარ ძალუძდა, და ამიტომ, საქართველოს მეფემ, ამ რთულ სიტუაციიდან თავისებური, სარისკო გამოსავალი მოძებნა. ბაგრატ IV-ემ გადაწყვიტა იმპერატორს თავად ხლებოდა და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის საკვანძო საკითხები კონსტანტინოპოლში მოეწესრიგებინა.

XI საუკუნის ისტორიულ წყაროებში, როგორც ქართულში, ასევე ბიზანტიურში და სომხურში, თვალნათლივ ჩანს, რომ ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში გამგზავრება სწორედ ლიპარიტ ბაღვაშის გააქტიურებით იყო გამოწვეული. „მატიანე ქართლისას“ თქმით, „ამისსა პირველ სუმოდა ძე მისი გიორგი ბაგრატს, დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს“.[12] სკილიცეკედრენეც ბაგრატ IV-ის კონსტანტინიპოლში ჩასვლას კლდეკარის ერისთავის სამშობლოში დაბრუნებით ხსნის.[13] სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდიც ბაგრატ IV-ს ბიზანტიაში წასვლას ლიპარიტს უკავშირებს.[14] მართალია, ბაგრატ IV-ს, ეს ნაბიჯი ლიპარიტ ბაღვაშის სამშობლოში დაბრუნებამ გადაადგმევინა, მაგრამ, მთავარი აქ, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს, რომ მეფემ აღარ ისურვა უაზრო სამოქალაქო ომის გაგრძელება და საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარება არჩია. ამ დროს „აფხაზთა და ქართველთა“ სამეფოში სამი მხრის ინტერესების შეჯახება მოხდა. საქართველოს მეფე ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისკენ მიისწრაფვოდა, ლიპარიტი დაკარგული უფლებების აღდგენისათვის იბრძოდა, ბიზანტიის იმპერატორი კი მთელ ამ ინტრიგით კავკასიური პოლიტიკიდან საქართველოს გამოთიშვას და თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით იმპერიის გავლენის გაზრდას ცდილობდა. ამ კვანძის გახსნა კი მხოლოდ კონსტანტინოპოლიდან შეიძლებოდა და ეს იმდროინდელმა ქართველმა პოლიტიკოსებმა საკმაოდ კარგად უწყოდნენ. ამდენად, ბაგრატ IV-მ ბიზანტიასთან პირდაპირი დიალოგის

[12] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 287.

[13] გიორგი კედრენე. გეორგიკა ტ. V. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1963, გვ. 67.

[14] ვარდან დიდი. „მსოფლიო ისტორია“. გვ. 197. განსხვავებით სხვა წყაროებისაგან ვარდანი ლიპარიტის მიერ ბაგრატის შეპყრობაზე საუბრობს, რაც არ არის მართალი.

გზა აირჩია და არა მისი ინტერესების დამცველ ლიპარიტთან ბრძოლა. ასევე საინტერესოა ერთი დეტალიც, ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ჩასვლა, იმ ხანად, სამივე მხარეს თავისებურად უნდა შეეფასებინა. უდავოა, რომ კონსტანტინოპოლში ამ ნაბიჯს იმპერიის პოლიტიკის გამარჯვებად აღიქვამდნენ. ლიპარიტი მას თავის წარმატებად მიიჩნევდა. საქართველოს სამეფო კარი კი, მართალია, უკან დახევად, მაგრამ მაინც მოხერხებელ დიპლომატიურ ნაბიჯად ჩათვლიდა. თავის მხრივ, აზრთა სხვადასხვაობა იქნებოდა საზოგადოებაშიც. მეფის გადაწყვეტილება ქუთაისსა და მთელს სამეფოში საგანგებო განსჯის საგანი იქნებოდა, ამის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პოლიტიკური ცხოვრება.

* * *

სანამ ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში წავიდოდა, მან სამეფო თავის ვაჟს, გიორგის გადასცა. ბაგრატმა „დაუტევა ქუთაისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“ გიორგი უფლისწული, და თავად „წარვიდა საბერძნეთს“.[15] ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს უფლისწულის თანამოსაყდრედ კურთხევასთან. საქართველოში არსებული თანამოსაყდრის კურთხევის ცერემონიალი, არ უნდა გამოვრიცხოთ ნაწილობრივ წააგავდეს იმ დროს ბიზანტიაში არსებულ წესს. იმპერიაში ეს ცერემონიალი საკმაოდ რთულად ტარდებოდა. მოქმედი იმპერატორი და თანამოსაყდრედ გამზადებული პირი, პატრიარქის თანხლებით მიემართებოდნენ საკურთხეველთან, სადაც სამეფო რეგალიები იდო. პატრიარქი ლოცვას კითხულობდა სამეფო მოსასხამზე – პორფირზე და ამის შემდეგ გადასცემდა მას უფროს ბასილევსს, რომელიც პრეპოზიტების მეშვეობით აცმევდა თავის თანამოსაყდრეს. შემდეგ ლოცვას კითხულობდნენ სტემაზე. მას შემდეგ, რაც ერთ სტემას პატრიარქი დაადგამდა უფროს ბასილევსს, მეორეს უშუალოდ გადასცემდა იმპერატორს, რომელიც, თავის მხრივ, თანამოსაყდრედ გამზადებულ პირს დაადგამდა თავზე. ამის შემდეგ ხალხი შეძახილით, „ღირსია-ღირსეუ-

[15] მატიანე ქართლისაჲ, გვ. 287.

ლია“, ადასტურებდა იმპერატორის გადაწყვეტილების სისწორეს.[16] არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გიორგი უფლისწულის შემთხვევაში ბაგრატ IV მას საგანგებო ცერემონიალით გადასცემდა ძალაუფლებას. შესაძლებელია ეს ბიზანტიური წესის ზუსტი გამეორება არ ყოფილიყო, მაგრამ ხელისუფლების გადაცემის რიტუალი გარკვეული „წესითა და განგებით“ რომ ჩატარდებოდა, ამაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ.

ივ. ჯავახიშვილი ამ მოვლენის შესახებ წერდა: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ბაგრატმა, ბიზანტიაში გამგზავრებამდე თავისი შვილი გიორგი, მთელს საქართველოს, ქართლის, მესხეთისა და აფხაზეთის მეფედ კი არ დასვა, არამედ მარტო „სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“, როგორც ჩანს, ქართლი და მესხეთი ლიპარიტს სჭერია და ბაგრატს იქ ხელი არ მიუწვდებოდა“.[17] საკითხის ამგვარი დაყენება გაიზიარა ვ. კოპალიანმაც.[18]

როდესაც ვსაუბრობთ გიორგი II-ს აღსაყდრებაზე, ამ დროს ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამოსვლა, ჩვენი აზრით, მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. კურთხევის შემდეგ მეფე ითვლებოდა ქვეყნის მფლობელად და მას ეკუთვნოდა, როგორც ქვეყნის ტერიტორიის, ისე მისი მოსახლეობის მართვა-გამგეობის უფლება. ამ ყველაფერს კი იგი ლეგიტიმურობის პრინციპით ახორციელებდა. XI საუკუნისათვის „აფხაზთა სამეფოს“ იურისდიქცია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილზე ვრცელდებოდა. გიორგი ბაგრატის ძეს, როდესაც თანამოსაყდრედ აიყვანდნენ, მას იმ მემკვიდრეობასაც დაულოცავდნენ, რასაც აფხაზთა მეფეები თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე იურიდიულად ფლობდნენ. გიორგი ქუთაისში მარტო დასავლეთ საქართველოს მეფედ რომ ეკურთხებინათ, ეს იმას ნიშნავდა, რომ აფხაზთა მეფები

[16] Иеромонахъ Иоаннъ. Обрядникъ византийскаго двора как церковно-археологический источникъ. М. 1895, გვ. 190; Г. А. Острогорский. Эволюция византийского обряда коронования. Сб.: Византия, Южные славяне и Древная Русъ, Западная Европа. Искусство и культура. Сб. статей в честъ В. Н. Лазарева. М. 1973, გვ. 36.

[17] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ. 1983, გვ. 148.

[18] ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ. თბ. 1969, გვ. 259-260.

უარს ამბობდნენ ქართლისა და სამხრეთ საქართველოს მიწების კანონიერ მფლობელობაზე.

საერთოდ, ბაგრატ IV თითქმის ყოველთვის „აფხაზთა მეფის“ სახელით იხსენიება, მაშინაც კი, როდესაც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიუწვდებოდა ხელი. 1057-58 წწ. შიომღვიმის ლავრისადმი გაცემულ სიგელს ასეთი მინაწერი აქვს: „ქ. კირილეოსონ, ესე ვითა ადიდენ ღმერთმან, ძლიერი ბაგრატ აფხაზთა მეფესა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსს დაუწერია“.[19] ბაგრატ IV მხოლოდ აფხაზთა მეფედ იწოდება, მის მიერ მოჭრილ მონეტებზე. XI საუკუნის შუა ხანებში გამოშვებულ მონეტის (წონა დაახ. 1,56-2,22) შუბლზე ვლაქერნისად წოდებული მლოცველი ღვთისმშობელია გამოსახული. მონეტის ზურგზე კიდეზე წერტილოვან რკალს შიგნით ქართული ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“. ცენტრში „და ნოველისიმოსი“. შედარებით გვიანდელი მონეტები განსხვავდება იმით, რომ მასზე წერია „და სევასტოსი“.[20] ბაგრატ IV „აფხაზთა მეფედ“ იხსენიება ქართულ ნარატიულ წყაროებში. ასე, რომ კურთხევის შემდეგ გიორგი ბაგრატის ძე, როგორც მამის უშუალო მემკვიდრე – „აფხაზთა მეფე“ გახდა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ გიორგი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს განაგებდა. მემატიანის განცხადება, ჩვენ ისე უნდა გავიგოთ, რომ ბაგრატ IV-მ თავისი შვილი, ერთიანი „აფხაზთა სამეფოს“ მეფედ (თანამოსაყდრედ) აკურთხა. იმ პერიოდისათვის კი, როგორც ითქვა, აფხაზთა სამეფო მოიცავდა არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ შიდა ქართლს და სამხრეთ საქართველოს. იურიდიულად გიორგი ბაგრატის ძე ამ ტერიტორიის მფლობელი ხდება, მეორე საკითხია, რამდენად მიუწვდე-

[19] 1057/58. სიგელი ბაგრატ მეფისა მღვიმის ლავრისადმი. ქართული ისტორიული საბუთები. ტ. I. XI-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 37.

[20] დ. კაპანაძე. წარსულის მაცნეები. თბ. 1965, გვ. 59; Е. Пахомов. Монеты Грузии. Тб. 1970, გვ. 59-60. თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. თბ. 1997, გვ. 142-147. გ. დუნდუა, ი. ჯალაღონია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009, გვ. 160-161.

ბოდა ხელი ცენტრალურ ხელისუფლებას მთელს სამეფოზე.

გიორგი უფლისწულის თანამოსაყდრედ დანიშვნის შემდეგ ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად მოემზადა. ქუთაისიდან საქართველოს მეფე რიონით შავი ზღვის სანაპიროზე ჩავიდა, იქიდან კი ტრაპიზონისაკენ აიღო გეზი. ამ ცნობას იძლევა ბიზანტიელი ისტორიკოსი სკილიცე-კედარენე, რომელიც იქვე დასძენს, რომ ტრაპიზონში მყოფმა მეფემ მაცნეები გაუგზავნია იმპერატორს და მასთან დარბაზობა ითხოვა. ბაგრატი კონსტანტინე IX მონომახს „აუწყებდა, რომ სურს სამეფო ქალაქში ჩასვლა და მასთან შეხვედრა“.[21] ტრაპიზონში შეჩერებულმა მეფემ კონსტანტინოპოლში ჩასვლაზე იმპერატორის ნებართვა მიიღო და საქართველოს სამეფო კარის დელეგაციაც ბიზანტიის სატახტო ქალაქისკენ გაემართა. სამწუხაროდ ვერ დგინდება რა გზათ ჩავიდა საქართველოს მეფე ჯერ ტრაპიზონში, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში. მართალია ჩვენ ზედმიწევნით ვიცით მარშრუტი მეფის მოგზაურობისა – ქუთაისი – მდ. რიონის დინება – ტრაპიზონი და კონსტანტინოპოლი,[22] მაგრამ არ ვიცით სახელდობრ რა სახეობის – სახმელეთო თუ საზღვაო ტრანსპორტით ისარგებლა ბაგრატ IV-მ. მოგვიანებით, კონსტანტინოპოლიდან უკან დაბრუნებული ბაგრატი სამეფოში სახმელეთო გზით შემოვიდა. მას შეხვედრა დიდებულებმა ქ. ხუფათთან მოუწყვეს. ბიზანტიური დიპლომატიური ეტიკეტის მიხედვით ელჩებს ანდა უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს საზღვართან ხვდებოდნენ, შემდეგ მათ კონსტანტინოპოლისაკენ მიაცილებდნენ ე.წ. საფოსტო გზით. საერთოდ იმპერიის ფოსტა, რომელიც სახელმწიფოს მონოპლიას წარმოადგენდა, ბიზანტიაში, დიპლომატიურ ურთიერთობებსაც ემსახურებოდა. საფოსტო გზებზე მოწყობილი იყო საგანგებო სადგურები, უცხოელი სტუმრებისთვის და იმპერიის მაღალი რანგის ჩინოვნიკებისთვის. ასევე ამ სადგურებთან გამართული იყო საჯინიბოები სახაზინო ცხენების შესაცვლელად და ეტლების შესაკეთებელი ფარდულები. საიმპერიო გზების შენახვის ხარჯები დაკისრე-

[21] გიორგი კედრენე, გვ. 67.
[22] გიორგი კედრენე, გვ. 67-68.

ბული ჰქონდა იმ ტერიტორიის მოსახლეობას, სადაც გადიოდა ეს მაგისტრალები.[23] ასეთი საიმპერატორო გზა ტრაპიზონიდანაც მიემართებოდა კონსტანტინოპოლისაკენ. ჩვენი აზრით, ბაგრატ IV-ს სწორედ ამ მაგისტრალით უნდა ესარგებლა.

ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში დედის მარიამ დედოფლსა და წარჩინებულთა დიდი ამალის თანხლებით ჩასულა. მეფის დელეგაციის მრავალრიცხოვნობაზე საგანგაბოდ მიუთითებს გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში“. ნაწარმოების იმ ადგილას, სადაც ათონიდან კონსტანტინოპოლში ბაგრატ IV სანახავად გიორგი მთაწმინდელის ჩასვლაზეა საუბარი, ერთი მეტად საყურადღებო მინიშნებაა დაცული: „იხილეს რა (გიორგი მთაწმინდელი) მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და წარჩინებულთა მათთა, განიხარეს სიხარულითა დიდითა, რამეთუ ასმიოდა საღმრთო იგი მოქალაქობა მისიო“.[24] როგორც ვხედავთ, სამეფო ოჯახის გარშემო „მთავართა და წარჩინებულთა“ მთელი დასია. საქართველოდან ბიზანტიაში ჩასული დელეგაციის მთელი შემადგენლობის დადგენა რა თქმა უნდა შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთი წევრის ვინაობა ცნობილია. ე. მეტრეველი ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის შესწავლისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აღაპებში მოხსენიებული ძმები პეტრიკი და იოანე (აღაპი №15), სანანო ქველის ძე (აღაპი №20) და ფარსმან თმოგველი (აღაპი №89) ბაგრატ IV-ს ამალის წევრები უნდა ყოფილიყვნენ.[25]

## საქართველოს სამეფო ოჯახი კონსტანტინოპოლში

კონსტანტინოპოლში ჩასულმა ბაგრატ IV-მ იმპერატორთან აუდიენციისას დიპლომატიური ეტიკეტი არარად ჩააგდო და კონსტანტი-

---

[23] А. Гийу. Византийская цивилизация. Пер. с франц. Д. Лоевского. Предисл. Р. Блока. Екатеринбург. 2005, გვ. 169.

[24] გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 1994, გვ. 201.

[25] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998, გვ. 74-77.

ნე IX მონომახს „დიდი საყვედური მოახსენა“. სხვათაშორის, ამას მოგვითხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი სკილიცე-კედრენე, მას ისე ბუნებრივად აქვს გადმოცემული საქართველოს მეფის ემოციები და განწყობა, რომ შეუძლებელია ამ პასაჟში ეჭვი შევიტანოთ. ისტორიკოსი დასძენს: იმპერატორს „რომ შეხვდა (ბაგრატი), ჯერ დიდი საყვედური მოახსენა, დიდი მეფე ხარ და პატარა ქვეყნის, აბაზგიის მთავართან დადებული გქონდა ხელშეკრულება და ის დაარღვიეო, ხოლო კერძო კაცი, განდგომილი მონა დაიახლოვეო. შემდეგ ის თხოვდა ისინი (ბაგრატი და ლიპარიტი) მოერიგებინა“.[26] სამწუხაროდ მოლაპარაკების დეტალები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ შემდგომში განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატ IV-ის სიტყვებს მაინც და მაინც დიდი გავლენა კონსტანტნე IX-ზე არ მოუხდენია. ბიზანტიას თავისი გეგმები ჰქონდა კავკასიაში და საქართველოს მეფის მკაცრი პოზიცია დიდს არაფერს შეცვლიდა. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ შეხვედრის შემდეგ ბაგრატ IV-ს თითქმის სამი წელი მოუწია კონსტანტინოპოლში დარჩენა სტუმრად, უფრო სწორედ „საპატიო ტყვედ“. ეს რეალობა საკმაოდ მძიმედ იმოქმედებდა საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე. ქვეყანაში აშკარა ორი პოლიტიკური ცენტრი იყო შექმნილი. ლიპარიტის დამოუკიდებლობის ხარისხი არ აღიარებული მეფემთავრის სტატუს უტოლდებოდა. ის თავის ქმედებაში სრული თავისუფლებით სარგებლობდა. მეორეს მხრივ, ალბათ ლიპარიტმა შესანიშნავად იცოდა, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო. ის ვერასდროს ვერ გახდებოდა დამოუკიდებელი მმართველი. მოსაძებნი იყო კომპრომისი, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღები აღმოჩნდებოდა. რეალურად ბიზანტიელები, ბაგრატ IV და ლიპარიტი მზად იყვნენ შეთანხმებისთვის მიეღწიათ, მთავარი იყო, ვის რისი დათმობა შეეძლო. ამის ძიებაში და გარკვევაში საკმაო ხანი გავიდა.

ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში 3 წლიანი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერია მოთხრობილი. მეფის ბიოგრაფიის ეს პერიოდი, შეიძლება ითქვას, ბურუსითაა

[26] გიორგი კედრენე, გვ. 68.

მოცული. ერთადერთი თხზულება, რომელშიც შემონახულია ცნობები ბაგრატ IV-ს კონსტანტინოპოლში ყოფნის შესახებ გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაა“. მოგვიანებით თხზულების სათანადო ადგილები, ჩანართის სახით შეიტანეს „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ნუსხაში (Tk). როგორც ჩანს, ქართველ ისტორიკოსებს თავიდანვე აწუხებდათ ეს ხარვეზი და მისი შევსება „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ სათანადო ადგილების „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართვით სცადეს.[27]

კონსტანტინოპოლში ბაგრატ IV პოლიტიკური საქმიანობის შესახებ წერილობითი წყაროები ბევრ არაფერს გვაუწყებენ. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაშიც“ მხოლოდ ისეთ საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება, რომელიც, უპირველესად საეკლესიო სფეროს შეეხება. მაგრამ, სანამ ამ თემას შევეხებით, აღვნიშნავთ, რომ ბაგრატ IV-ს ბიზანტიაში ყოფნისას დროდადრო ჰქონდა შეხვედრები იმპერატორთან, როგორც პოლიტიკურ, ასევე პირად საკითხებზე. მაგალითად ერთ-ერთ ასეთ აუდიენციის ჟამს საქართველოს მეფემ იმპერატორს მოუთხრო გიორგი მთაწმინდელის სასწაულზე. ამ მოვლენის შესახებ საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს გიორგი მცირე. მწერალი აღნიშნავს, რომ კონსტანტინე IX მონომახის მეფობისას იმპერატორის სანადირო ადგილებში მხეცები მომრავლდნენ, რომლებიც მუსრს ავლებდნენ ნადირს. იმპერატორის ბრძანებით, მხეცთა დასახოცად „გრძნებათა შინა“ განთქმული პირები მოუწვევიათ. მათ „ჴელოვნებითა გრძნებისა თჳსისაითა მოსწყჳდნენ მჴეცნი იგი ნადირთა მათ მომსრველნი. ხოლო მათ ბრძანებაჲ მეფისა საქმით აღასრულეს და მრავალი მჴეცი მოსწყჳდეს“.[28] გიორგი მცირის მინიშნებით, ეს პირები სამარიტელები ყოფილან, სვიმეონ მოგვის ტომისაგან, რომელთაც აწინკიანებს უწოდებდნენ. ამ ფაქტის შესახებ ბაგრატ IV-საც შეუტყვია. საქართველოს მეფე დაინტერესებულა თუ როგორ ახერხებდნენ ისინი ყოველივე ამას

[27] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 303-304.

[28] გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 202.

და ამიტომ ეს პირები თავისთან მიუწვევია. აუდიენციისას მათ დაწვრილებით მოუთხრეს ბაგრატს თავიანთი ხელოვნების შესახებ. თურმე ისინი ხორცს შეულოცავდნენ და მას მხეცებს დაუგდებდნენ საჭმელად, თავად კი ხეზე აძვრებოდა და „მხეცებრთ ხმითა“ ცხოველებს იტყუებდნენ. ის მხეცი, რომელიც ასეთ საკვებს მიიღებდა, იმ წამსვე კვდებოდა. „ხოლო დიდსა შაბათს შობილი მჴეცი არა გჳსმენს და არცა ჭამსო“.[29] ამ მონათხრობით გაკვირვებულმა მეფემ გაგონილის ნახვა ისურვა. ბაგრატ IV-სთან ძაღლი მიიყვანეს. მისნებმა შელოცვილი ხორცი მიუგდეს ცხოველს. გიორგი მთაწმინდელი ამ დროს კონსტანტინოპოლში, საქართველოს მეფესთან იმყოფებოდა. წმინდა ბერმა მოწამლულ ხორცზე ჯვარი გამოსახა. როდესაც ძაღლმა ეს ხორცი შეჭამა სიკვდილის მოლოდინში იგი დარბაზიდან გაიყვანეს, მაგრამ აქ მოხდა სასწაული – ძაღლს არაფერი ევნო. დამსწრენი მიხვდნენ, რომ ეს გიორგი მთაწმინდლის სასწაულის წყალობით მოხდა და ამიტომ მეფეს სთხოვეს, ბერი სხვა ოთახში გაეყვანათ. ბაგრატ IV ასეც მოიქცა. ამჯერად შელოცვილმა ხორცმა უცაბედად გამოასალმა სიცოცხლეს მეორეჯერ მოყვანილი ძაღლი. გიორგი მცირე იქვე დასძენს: „გულის ჴმა-ყვეს, ყოველთა, ვითარმედ წმიდასა მის მიერ იყო პირველი იგი სასწაულიო“.[30] მოგვიანებით, ბაგრატ IV-მ აუდიენციისას მოუთხრო იმპერატორს ამ სასწაულის შესახებ. „ხოლო ბაგრატ მეფემან – აღნიშნავს გიორგი მცირე – „ვითარცა იხილა ესე ყოველთა თანა მთავართა თჳსთა, აღივსო სიხარულითა და მიუთხრეს სასწაული ესე ღმრთის მსახურსა მეფესა კონსტანტის მონომახსა და დიდად განიხარა და ჰმადლობდა (ღმერთსა)“.[31]

კონსტანტინოპოლში გიორგი მთაწმინდელი და ბაგრატ IV საკმაოდ დაახლოვებულან. გიორგი მცირეს მინიშნებით, მეფეს მამა გიორგისათვის ჭყონდიდის ეპარქიის წინამძღომლობაც შეუთავაზებია. როგორც ჩანს, ბაგრატ IV დაინტერესებული იყო სახელოვანი მეცნიერის,

[29] გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 203.
[30] გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 203.
[31] გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 203-204.

მთარგნელისა და სასულიერო მოღვაწის საქართველოში ჩამოყვანით და ამიტომ, მეფეს არაერთგზის უთხოვია მისთვის სამშობლოში დაბრუნება. როგორც ცნობილია, მოგვიანებით გიორგი მთაწმინდელმა, მართლაც შეასრულა მეფის თხოვნა და საქართველოს ეწვია, სადაც კარგა ხანს დარჩა კიდეც.[32] ბაგრატ IV ბიზანტიაში ყოფნის ჟამს, გიორგი მთაწმინდელის თხოვნით, მეფეს და მარიამ დედოფალს ათონის ივერთა მონასტრისთვის სერიოზული ფინანსური პრობლემა მოუგვარებია. კონსტანტინე IX მონომახის მეფობის ბოლო პერიოდში ბიზანტია აშკარა ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. სამეფო ხაზინა თითქმის დაცარიელდა. იმპერატორმა ახალ-ახალი შემოსავლების ძიება დაიწყო. კონსტანტინე IX-მ ახალი გადასახადები შემოიღო, გაამკაცრა ფისკალური პოლიტიკა. სკილიცე-კედრენე საკმაოდ საინტერესოდ აღწერს ამ ღონისძიებებს: „მეფე რომ აშენებდა დიდი მოწამის, წმინდა გიორგის სახელობის ეგრეთწოდებულ მანგანის მონასტერს და უხვად ხარჯავდა ამ მშენებლობისათვის სახელმწიფო ფულებს (თუ აშენებისათვის, თუ დანგრევისათვის), ისეთ გაჭირვებაში ჩავარდა, რომ ამის გამო ყოველგვარ მევახშეობას მიმართავდა და უმართებულო და გამოგონილ გადასახადებს ადებდა ხალხს. ჩააყენა ულვთო და უწმინდური გადასახადის ამკრეფლები და მათი მეშვეობით აგროვებდა ფულს უსამართლო წყაროებიდანო“.[33] კონსტანტინე IX მონომახი იბერიის თემის ჯარის დაშლასაც კი არ მოერიდა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ინახავდა. სამაგიეროდ იბერიის თემში შემოიღეს ახალი გადასახადები, რომლებიც პირდაპირ სახელმწიფო სალაროში უნდა შესულიყო.[34]

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ასეთ პირობებში გარკვეული პრობლემები შეექმნებოდა ქართველ მონასტერს ათონის მთაზე, ვინაიდან იგი საკმაოდ დიდ მამულებს ფლობდა. კონსტანტინე IX მონომახის

[32] ჯ. სამუშია. ქართული წყაროები ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ (გიორგი მცირის „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“). ქართული დიპლომატია. (წელიწდეული). ტ. 12. თბ. 2005, გვ 408-410.

[33] გიორგი კედრენე, გვ. 81.

[34] გიორგი კედრენე, გვ. 82.

დროს ეკლესიებს და მონასტრებს, თუ არ წარმოადგენდნენ პრივილეგიის დამადასტურებელ სათანადო დოკუმენტებს, შეუვალობა ერთმეოდათ. სხვათაშორის, ის, რომ ათონის ივერიის მონასტერიც შეუწუხებია გადასახადების ამკრეფებს, ჩანს გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან“, სადაც ამის შესახებ საგანგებოდაა აღნიშნული: „და კუალად რამეთუ დიმოსისგან დიდსა ჭირსა შინა იყვნეს პრასტინნი ჩუენნიო“.[35] გიორგი მცირის თქმით, ასეთი ვითარება სუფევდა ივერიის მონასტერში ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში ვიზიტის წინა ხანებში. ეს კი აშკარად ემთხვევა კონსტანტინე IX-ის ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებას.

მონასტრის მესვეურთ გადაუწყვეტიათ ამ საკითხზე თავად იმპერატორისათვის მიემართათ. ამ ვითარებაში ბერებს „ესრეთ მისცა უფალმა ჟამი მარჯვე“, 1051-1052 წლებში კონსტანტინოპოლს ეწვია საქართველოს მეფე და მისი დედა.[36] გიორგი მთაწმინდელმა იმპერატორთან თავისი ვიზიტი სწორედ ამ დროს დაამთხვია. გიორგი 1052-1053 წლებში უნდა ჩასულიყო კონსტანტინოპოლში. გიორგი მცირე დასძენს: „მას ჟამსა, ოდეს ღმრთის-მსახური ბაგრატ აფხაზთა მეფე და დედაჲ მისი მარია დედოფალი სამეუფოდ ქალაქად მოვიდეს, აღვიდა წმიდაჲცა ესე მამა ჩუენი წინაშე ღმრთის – სამსახურთა მათ მეფეთაო“.[37] ბაგრატ IV-მ და მარიამ დედოფალმა დიდი პატივით მიიღეს ივერიის მონასტრის წინამძღვარი. მეფემ და დედოფალმა კონსტანტინე IX-ის წინაშე იშუამდგომლეს და მართლაც მალე ყოველივე ქართველი ბერების სასარგებლოდ გადაწყდა. „და ესრეთ ყოველივე საქმე მონასტრისაჲ რა ცა უნდა, ყოველი კეთილად იურვა. და დიმოსისა საქმე მაშინ გარდასწყდა, რაჲთა მედიმოსენი პრასტინთა ჩუენთა ვერ შემოვიდოდინ, არამედ რაჲთა გარეს-გარე სეკრიტონსავე შინა მიეცემოდის როქისა ჩუენისაგან ლიტრა ერთი დიმოსად, ვითარცა თჳთ განაწესა ღმრთის-

[35] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 201.

[36] კონსტანტინოპოლში სამეფო ოჯახის ვიზიტის ქრონოლოგიის თაობაზე იხ. ჯ. სამუშია. XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისათვის. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. თბ. 1997. №4, გვ. 242-251.

[37] გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 201.

მსახურმა მეფემან კოსტანტი მონომახმან, და ამას ზედა ოქრო-ბეჭედი შეუქმნა მტკიცე და უქცეველი“, – დასძენს გიორგი მცირე.[38]

ამ მონათხრობში ყოველივე ნათლად არის მითითებული, მაგრამ, ვფიქრობთ, მას გარკვეული კომენტარი, მაინც ესაჭიროება. გიორგი მცირეს მითითებით, ამიერიდან ,,მედიმოსენი პრასტინთა ჩვეთა“ ვერ შემოვიდოდნენო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადასახადის ამკრეფები (მედიმოსენი) მონასტრის მამულებს უკვე ვეღარ გაეკარებოდნენ და იმპერატორის ბრძანებით, გადასახადი ქართველ ბერებს უშუალოდ სეკრიტონში უნდა გადაეხადათ ე. ი. იმპერატორის კარზე არსებულ საგანგებო საფინანსო საქმეთა სამდივნოში. ბიზანტიაში მონასტრებს მათ ხელთ არსებულ მამულებზე სახელმწიფო გადასახადი ეკისრებოდათ. გამონაკლისი, არც ივერთა მონასტერი იყო. 1047 წელს კონსტანტინე IX მონომახმა ვოლერონის, სტრიმონისა და თესალონიკის მოსამართლეს, პროტოსპათარ ანდრონიკეს დაავალა ივერთა მონასტრის მამულები აღეწერა. შედეგად შეიქმნა საგანგებო აქტი. ბეგარა ეხებოდა მიწებს, ყანებს, მინდვრებს, ვენახებს, ნაკვეთებს და ერთიან ფისკალურ ერთეულებს, მონასტრებს, მეტოქებს, პროასტიონებს, კუნძულს, აგარებსა თუ ეკლესიებს თავიანთი მიწებით, სახლებით და წისქვილებით.[39] გადასახადმა შეადგინა 47 2/3 ნომიზმა. მოგვიანებით შედგენილ გრიგოლ ხალკუძისის საგადასახადო თავთარში ივირონისადმი დაქვემდებარებულ სხვა მიწებზე დამატებით 10 5/6 ნომიზმა იყო დარიცხული. ჯამში სახელმწიფოს სასარგებლოდ ივერთა მონასტერს 58 1/2 ნომიზმა უნდა გადაეხადა.[40] ჩვენი აზრით, ივირონის გადასახადი ამაზე მეტი უნდა ყოფილიყო, რაც კონსტანტინე IX ოქრობეჭედის ჩვენამდე შემორჩენილ ნაწილიდან ჩანს. იქ სადაც საუბარია ქართველთა მონასტრისადმი როქად 60 ნომიზმას გაცემაზე, მითითებულია, რომ ბერებმა

[38] გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, გვ. 201.
[39] ივირონის აქტები. ტ. I. დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე. ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპახრისანთუ, ელენე მეტრეველის თანაავტორობით. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილეიშვილმა. თბ. 2008, გვ. 303.
[40] ივირონის აქტები. ტ. I, გვ. 71.

ამ თანხას უნდა დაუმატონ „ნომიზმები, რომელიც აუცილებლად ემართებათ სახელმწიფო ხაზინის“ მიმართო.[41] კონსტანტინე IX-ს ასეთი იმპერატიული განცხადება გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ ივირონის გადასახადი 60 ნომიზმას ცილდებოდა, მაგრამ ზუსტად რა მოცულობის იყო, ამის დაკონკრეტება ჭირს. ამასთანავე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მითითებული 58 1/2 ნომიზმა, საერთო თანხის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. როგორც წესი, გადასახადებს მონასტრები ყოველწლიურად შემოდგომაზე იხდიდნენ საგანგებო მოხელესთან. წყაროებიდან ჩანს, რომ გადასახადის ამკრეფებს და ათონის მონასტრების მესვეურთა შორის ხშირად ყოფილა გაუგებრობა და დაპირისპირება. ეს პრობლემა ივირონის ბერებსაც აწუხებდათ.

გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ კონსტანტინე IX მონომახს ივირონისათვის დაუკისრებია ფიქსირებული გადასახადი „ლიტრა ერთი“. ამას გარდა ბაგრატ IV-ს და მარიამ დედოფალს მოუხერხებიათ კონსტანტინე IX-სგან მონასტრისათვის გამოეთხოვათ „ლიტრაი ერთი სოლიმნი“. ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს, როგორც გიორგი მცირე, ასევე ათონის ქართული მონასტრის სააღაპე წიგნი.

სოლიმნი იყო ბიზანტიის იმპერატორების მიერ ეკლესიებისა და მონასტრებისათვის მიცემული ყოველწლიური გასაცემელი. მაგალითად იმპერიის ხაზინიდან XI საუკუნეში საკმაოდ დიდი თანხა ეძლეოდა ეკლესი-მონასტრებს. რომანოზ III დროს წმ. სოფიის ტაძარს სოლიმნის სახით ყოველწელს 80 ლიტრა დაუწესდა. ათონის მთაზე განლაგებულ მონასტრებზე 180 ლიტრა ოქრო გაიცემოდა იმპერიის სალაროდან.

კონსტანტინე IX მონომახმა ათონის ივერთა მონასტრისადმი მიცემული ეს პრივილეგია საგანგებო ხრისობულით დაადასტურა. მართალია იმპერატორის მიერ გაცემული ოქრობეჭედი შემონახული არ არის, მაგრამ მის არსებობას ადასტურებს მოგვიანო პერიოდის ბიზანტიის იმპერატორთა სიგელები. კონსტანტინე X დუკას 1065 წლის

[41] ივირონის აქტები. ტ. II. XI საუკუნის შუა წლებიდან 1204 წლამდე. ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპახრისანთუ, ელენე მეტრეველის თანაავტორობით. ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილეიშვილმა, თბ. 2008, გვ. 142-143.

ოქრობეჭედში მითითებულია ის პრივილეგიები, რაც 1052-1053 წწ. მიანიჭა კონსტანტინე მონომახმა ივირონს. ნიშანდობლივია, რომ 1065 წლის სიგელის დასაწყისში მოკლედაა მოთხრობილი კონსტანტინე IX-ის ოქრობეჭედის შინაარსი, საიდანაც ვიგებთ ისეთ დეტალებს, რომელიც გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებასა“ და სააღაპე წიგნში აღნიშნული არ არის. მონომახისეული სიგელი ასეთი შინაარსისა იყო: „იბერთა მონასტრის ბერებს მიეცეს 60 ნომიზმა ფილაქსის სალაროდან, 30 ჰისტამენათი. 30 ტეტარტერათი. მათ ეს თანხა მოათავსონ გენიკონ ლოგოთესიონის სალაროში, დაუმატონ დამატებითი ნომიზმები, რომელიც აუცილებლად ემართებათ სახელმწიფო ხაზინისა. ხარკის ამკრეფმა არ შეაწუხოს ისინი გენიკონის სალაროსათვის გადასახადის მოთხოვნით და ნურავითარი ზარალი ნუ მიადგება მათ“.[42] ასეთია 1065 წლის სიგელში ჩართული კონსტანტინე IX მონომახის ოქრობეჭედის განკარგულება. ამ უკანასკნელ პრივილეგიებს გულისხმობს მოგვიანებით შედგენილი ნიკიფორე III ბოტანიატის ოქრობეჭედიც.[43]

ამდენად, დეტალურად შეგვიძლია აღვადგინოთ, თუ რას მიაღწიეს ქართველმა ბერებმა ბაგრატ IV-ის და მარიამ დედოფლის მეშვეობით და რა პრივილეგია მიანიჭა კონსტანტინე IX მონომახმა ივერთა მონასტერს. როქად მიღებული 60 ნომიზმას ბერები იმპერატორის პირად სალაროში ე. წ. ფილაქსის სალაროში აიღებდნენ. ამის შემდეგ მათ ეს თანხა გადასახადის სახით უნდა შეეტანათ გენიკონის ლოგოთესიონის სალაროში. ეს იყო საიმპერატორო კარზე საგანგებო სამდივნო (γενικός λογοθέτης ან λογοθέτης του γενικού),[44] რომელიც გადასახა-

---

[42] ივირონის აქტები. ტ. II, გვ. 142-143.

[43] ივირონის აქტები. ტ. II, გვ. 164-166.

[44] გენიკონის სამდივნო ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან უწყებად ბიზანტიაში. ის იყოფოდა სხვადასხვა განყოფილებებად, რომლელთა ფუნქცია იყო საგადასახადო ნუსხების მომზადება, უზუსტობების დადგენა, შესაბამისი აღწერების ჩატარება და გადასახადის აკრეფა. ამასთანავე გენიკონის ლოგოთეს (უწყების ხელმძღვანელს) ევალებოდა სამეფოს წიაღისეულზე, წყლით მომარაგებაზე თვალყურის დევნა. ამ უწყების შესახებ იხ. R. Guilland. Les Logothètes. Etudes sur l'histoire administrative de l'Empire byzantin. Revue des études byzantines. tome 29. 1971. გვ. 11-20; Louis Brehier. Le monde byzantin. Les institutions de l'empire byzantin. Paris. 1949, გვ. 257; H. A. Ска-

დების აკრეფას მეთვალყურეობდა. მედიმოსენი სწორედ ამ უწყების მოხელეები იყვნენ, რომეთაც ამიერიდან ბერები მხოლოდ გენიკონის სამდივნოდან გაცემულ ქვითრებს წარუდგენდნენ.[45] ფაქტობრივად, იმპერატორის მიერ გაცემულ რენტას მონასტერს უთვლიდნენ გადასახადში.

ათონის მონასტრის სააღაპე წიგნში დაცულია როგორც კონსტანტინე IX მონომახის, ასევე ბაგრატ IV-ის და მარიამ დედოფლის სახელზე შექმნილი აღაპები, რომლებშიც საგანგებოდ ხაზგასმულია მათი დამსახურება დიმოსის „მოსწყვეტასა“ და სოლიმნის განწესებაში. 6 იანვარს, ნათლისღების დღეს, დაწესებულია აღაპი კონსტანტინე IX მონომახის სახელზე. „თუესა იანვარსა ვ, ნათლისღება. კონსტანტი მონომახისა აღაპად განგჳწესებიეს, სოლიმნი ჩუენი ყოველი მან შეგჳქმნა და დიმოსი მოგჳწყვდა. წესი ყოველი აღესრულენ, ვითა ზემო სწერია“.[46]

სამეფო ოჯახის მიერ ათონის მონასტრისადმი მხარდაჭერა ამით არ ამოიწურა. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან“ და სააღაპე წიგნიდან ჩანს, რომ იმპერატორისგან „ლიტრა ერთი როქად“ მარიამ დედოფალსაც გამოუთხოვია. მონასტრისადმი 15 აგვისტოს განწესებული აღაპში ვკითხულობთ: „თუესა აგჳსტოსსა იე, მარიამობა, მარიამ დედოფალმან, ბაგრატ კურაპალატისა დედამან, ლიტრა ერთი სოლიმნი შეგჳქმნა ...სალოცველად და საჴსენებელად მისდა საუკუნოდ“.[47] ჟ. ლეფონი ფიქრობს, რომ „გიორგი მთაწმინდელმა იმპერატორისაგან სხვა ორი ყოველწლიური რენტაც მიიღო, თვითოეული, ერთი ლიტრა ოქროს ოდენობით. პირველი მარიამ დედოფლის თხოვნით, რათა მისი სახელი მონასტერში მოეხსენებინათ, მეორეც, ფარსმან-ყოფილ, მომავალი არსენ წინამძღვრის წყალობით, რომელმაც ეს თანხა ოქრობეჭედით მიიღო“.[48] ამ დეტალს, ვფიქრობთ, გარკვეული დაზუსტება სჭირდება. რა თქმა უნდა, თანხის გამცემი კონსტანტინე IX მონომახი იყო, მაგრამ მან ეს უკანასკნელი საბოძვარი არა უშუალოდ მონასტერს გა-

баланович, Византійское государство и церковь вь XI века, გვ. 308;

45 ივირონის აქტები. ტ. II, გვ. 144.

46 ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 140.

47 ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, გვ. 161.

48 ივირონის აქტები, ტ. I, გვ. 72.

დასცა, არამედ მარიამ დედოფალს და ფარსმან ჩორდვანელს. ბიზანტიაში ყოფნის დროს მარიამ დედოფალი გიორგი მთაწმინდელს დაემოწაფა და მონაზვნად შედგა. „ცხოვრებაში“ ისიც კი არის აღნიშნული, რომ მას განსაკუთრებული სამონაზვნო პატივი მიუღია „იკურთხა სქემითა“. მხოლოდ ამის შემდეგ მომხდარა მარიამის მიერ მონომახისაგან როქად ლიტრა ოქროს „გამოთხოვება“. ამჯერად საქმე უნდა გვქონდეს განსაკუთრებულად საპატივსაცემო პირთათვის პენსიის (როქის) დანიშვნასთან. იმპერატორმა მარიამს განუწესა ყოველწლიური საბოძვარი, ამ უკანასკნელმა კი ეს თანხა მონასტერს შესწირა. მსგავსივეა სავარაუდო ფარსმან-ყოფილის შემთხვევაშიც.

## ბიზანტია-საქართველოს შორის დადებული შეთანხმება და ბაგრატ IV-ის სამშობლოში დაბრუნება

საქართველოს მეფის ბიზანტიაში საპატიო ტყვეობა ბოლოს და ბოლოს დასრულდა იმ გარიგებით, რომელიც კონსტანტინე IX მონომახის შუამდგომლობით დაიდო ლპარიტ ბაღვაშსა და ბაგრატ IV შორის. ამჟამად ჭირს, იმის გარკვევა ზუსტად როდის გაფორმდა ეს ხელშეკრულება – საქართველოს სამეფო კარის დელეგაციის კონსტანტინოპოლში ვიზიტის პირველ ხანებში თუ მოგვიანებით, როდესაც იმპერატომა გადაწყვიტა ბაგრატ IV სამშობლოში დაბრუნება. ბიზანტიელი ისტორიკოსის სკილიცე-კედრენის წყალობით კი შემნახულია ზოგადი შინაარსი ამ შეთანხმებისა. მემატიანე დასძენს, რომ „მეფის მეცადინეობით (ე.ი. იმპერატორის)... იმათ ერთმანეთში ზავი შეკრეს იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნება ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი ბაგრატს სცნობს ბატონად და მეფედ. აი, ასე დამთავრდა აბაზგიის საქმეები.“[49] როგორც ვხედავთ, ლიპარიტსა და ბაგრატს შორის გავლენის სფეროები გადანაწილდა. ერისთავი აღიარებდა მეფის უზენაესობას, მაგრამ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს მორჩილება მხოლოდ ნომინალური უნდა ყოფილიყო.

რა სიტუაცია სუფევდა საქართველოში ბაგრატ IV გამგზავრების

---

[49] გიორგი კედრენე, გვ. 68.

შემდეგ და როგორ აისახა კონსტანტინოპოლში გაფორმებული ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნის პლიტიკურ ცხოვრებაზე?

ბაგრატ IV-მ ბიზანტიაში წასვლამდე, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისი ძე გიორგი დატოვა თანამოსაყდრედ. ამ დროს ფაქტობრივად სამეფო ორ ნაწილად იყო გაყოფილი. სახელისუფლო კრიზისი საქართველოში კარგა ხანს გაგრძელებულა და იგი ბაგრატ IV კონსტანტინოპოლიდან დაბრუნების წინა ხანებში დარეგულირებულა, თუმცა მხოლოდ გარეგნულად. „მატიანე ქართლისას" მინიშნებით, საქართველოს მეფის კონსტანტინოპოლში ყოფნისას, რატომღაც, ლიპარიტ ბაღვაშს მოუწადინებია გიორგი ბაგრატის ძის საქართველოს მეფედ აღიარება და ამ წინადადებით სამეფო კარისათვის მიუმართავს. „ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი, მეფედ, რიჲთა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად და  ბაგრატისი გუარანდუხტ დედოფალი."[50] როგორც ვხედავთ, არასასურველი რეალობის გამოსწორების სურვილით შეპყრობილმა სამეფო კარმა, დიდი სიხარულით მიიღო ერისთავის წინადადება. გიორგი ბაგრატის ძე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანეს და რუისის ტაძარში მეფედ აკურთხეს. სამეფო კარსა და ბაღვაშებს შორის შეთანხმება ერთ მუხლსაც ითვალისწინებდა: მართალია, ლიპარიტი აღიარებდა ბაგრატიონთა სიუზერენობას, მაგრამ იმავდროულად, გიორგი მისი მფარველობის ქვეშ უნდა გაზრდილიყო. ეს მოვლენა მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი არ თავსდება ბიზანტიელ ისტორიკოსთან მოთხრობილ, საქართველო-ბიზანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნორმებში. მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებით, გავარკვიოთ, დაახლოებით როდის უნდა მომხდარიყო რუისის ტაძარში გიორგი ბაგრატის ძის კურთხევა.

„მატიანე ქართლისას" მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ეს ფაქტი ბაგრატ IV-ის საქართველოში დაბრუნების წინა ხანებში უნდა მომხდარიყო. ქართველი მემატიანე დასძენს,

---

[50] მატიანე ქართლისა, გვ. 287.

რომ მას შემდეგ, რაც ლიპარიტმა გიორგის „პატრონად“ გურანდუხტის დანიშვნა ცნო, ამ უკანასკნელმა „შემდგომად მცირედისა ჟამისა მოითხოვა... ბაგრატ ბერძენთა მეფისაგან, და გამოგზავნა ბერძენთა მეფემან“ საქართველოს მეფე სამშობლოში.[51] ამ კონტექსტიდან კარგად ჩანს, რომ რუისის ტაძარში გიორგის კურთხევის შემდეგ, სავარაუდოა მალევე, მას „პატრონად“ მამიდა დაუნიშნეს, რომელმაც, ასევე „მცირედისა ჟამის“ შემდგომად, იმპერატორისაგან მოითხოვა თავისი ძმის უკან დაბრუნება. გამოდის, რომ ლიპარიტის ინიციატივა ბაგრატის დაბრუნების წინა ხანებს უნდა ეკუთვნოდეს. და თუ ეს ასეა, მაშინ საქართველო-ბიზანტიის შეთანხმებას ახალი ელემენტი ემატება, ის, რაც სკილიცე-კედრენეს აღუნიშნავი დარჩა. ბიზანტიელ ავტორთან არ არის საუბარი იმაზე, რომ ლიპარიტს საქართველოს მეფედ გიორგი ბაგრტის ძე უნდა ეცნო. შესაძლებელია, ლიპარიტმა კონსტანტინოპოლის შეთანხმებაში გარკვეული კორექტირება შეიტანა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან ბაგრატ IV-ის უზენაესობა, მისი შვილის საქართველოს მეფედ ცნობით აღიარა. თუმცა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლებელია, ეს დეტალი თავიდანვე ყოფილიყო შეთანხმებაში. სკილიცე-კედრენეს ცნობას თუ ქართული წყაროს მონაცემებს დავუმატებთ, ჩვენს წინაშე წარმოჩინდება საკმაოდ საინტერესო სურათი. ბიზანტიელი ავტორის მითითებით, ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს სამეფო გაუყვიათ, ერთი ნაწილი – აფხაზეთი და იბერია საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა, ხოლო მესხეთი – ლიპარიტს. იმავდროულად, ეს უკანასკნელი ბაგრატ IV-ს ცნობდა მეფედ. ქართული წყაროს ცნობა სრულებით არ ეწინააღმდეგება ამას, პირიქით, მასში ახსნილია, თუ რა ფორმით გამოიხატა საქართველოს სამეფო კარის უზენაესობის ცნობა კლდეკარის ერისთავის მხრიდან – ლიპარიტი ერთიან საქართველოს მეფედ გიორგი ბაგრატის ძეს მიიჩნევდა.

ფაქტობრივად ქვეყნის გამაერთიანებლად გიორგი უფლისწული მოგვევლინა. ლიპარიტ ბაღვაშმა იგი საქართველოს მეფედ აკურთხა. ამ აქტით ქართულ სინამდვილეში თანამეფობის ინსტიტუტი შემოდის.

[51] მატიანე ქართლისა, გვ. 287.

ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს თანამოსაყდრე და თანამეფე[52]. ჩვენი აზრით, საქართველოში თანამეფობის ბიზანტიული მოდელი დამკვიდრდა. მაგ., ბასილი II და კონსტანტინე VIII თანამეფეები იყვნენ წლების მანძილზე. ეს განსხვავდებოდა ჩვენში არსებული თანამოსაყდრეობისაგან. როგორც ცნობილია, ბიზანტიაში მიღებული იყო თანამოსაყდრის მოგვიანებით მეფედ კურთხევა. ბიზანტიურ სამართალში ეს ორ სხვადასხვა აქტად იყო მიჩნეული. ნაწილობლივ განსხვავდებოდა „წესი და განგება“. საქართველოს ისტორიაში ამის თვალსაჩინო მაგალითი მხოლოდ თამარის ისტორიკოსთან გვაქვს. გიორგი III-ს მიერ თამარის თანამოსაყდრედ დანიშვნას მემატიანე ასე აღწერს: „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა არავანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ებისკოპოზთათა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა და დაისუა მარჯუენით მისსა მეფე და დედოფალი, შემკული და შემოსილი პირად-პირადითა ფესუედითა ოქროანითა, ბისონითა და ზეზითა, რომელსა ხადა მთად ღმრთისა, მთად პოხილად და მთად შეყოფილად, და დაადგა გჳრგჳნი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა ოფაზისა, აღმკული იაკინთთა, ზმირთა და სამარაგდოთა მიერ. და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა“.[53] აშკარად საქმე გვაქვს საეკლესიო რიტუალთან, რომელსაც პატრიარქი და ეპისკოპოსები უძღვებიან. იმავდროულად თანამოსაყდრეს სამეფო სამოსშიც გამოაწყობდნენ და ოქროს გვირგვინს გადასცემდნენ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მემატიანემ შესანიშნავად იცის, რომ ერთპიროვნულ მონარქად კურთხევისას ასევე ტარდებოდა საგანგებო ცერემონიალი, რომელიც თავისი ფორმით განსხვავდებოდა თანამოსაყდრედ კურთხევის წესისგან. გიორგი III გარდაცვალების შემდეგ „აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა პაპეულთა აღსუეს მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუა-

[52] თანამოსაყდრის ხელახალი კურთხევა მიღებული იყო საქართველოში და ბიზანტიაში.

[53] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 396.

თა. და მოიღეს გჳრგჳნი, და აღიღეს ჴმა მგალობელთა და ძლევით გჳრგჳნოსნობისა და მძლედ მფლობელობისა, და მოაჴსენეს მთასა ზეთისხილთასა ჯუარი გამოჩენილი კოსტანტინესთჳს. და ამას ესევითარსა შესხმასა და გალობასა შინა, ვინათგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გჳრგჳნსა თავსა სამეუფოსა, აწჳეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარებისკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირის ძე მიღებად გჳრგჳნსა, და ცალკერძ კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულყვეს მოჴელეთა სჳანთა და დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღება და დადება ჴრმლისა. ამას შინა ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება და იმედი უიმედოქმნილთა. თაყუანისსცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შჳდისავე სამეფოსათა“.[54] ამდენად, მეფედ კურთევის შემთხვევაში რამდენიმე ახალი დეტაილ ჩნდება, უპირველესად დასავლეთ საქართველოს ფეოდალების მიერ მონარქისადმი ხმლის მირთმევისა და შემორტყმის წესი. ამდენად, ბიზანტიის მსგავსად საქართველოშიც განირჩეოდა ერთურთისაგან თანამოსაყდრედ და მეფედ კურთხევა. ამიტომაც ლოგიკური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ქუთაისში გიორგი უფლისწული პირველად თანამოსაყდრედ დალოცეს. მეორედ რუისის ტაძარში კი იგი მეფედ აკურთხეს. ამდენად, 1054 წლის ახლო ხანებიდან გიორგი უფლისწული საქართველოს მეფე ხდება.

ის ფაქტი, რომ გიორგი ბაგრატის ძის გამეფების შემდეგ კონფლიქტი უკვე მოგვარებული იყო სამეფო კარსა და ლიპარიტს შორის, ჩანს იქიდან, რომ გურანდუხტს, მიუხეავად იმისა, რომ იგი ლიპარიტ ბაღვაშთანაა, უფლება აქვს თავისი ძმა გამოიწვიოს კონსტანტინოპოლიდან და ამას კლეკარის ერისთავი არ ეწინააღმდეგება. მართალი იყო ნ. ბერძენიშვილი, როდესაც აღნიშნავდა, რომ ბიზანტიიდან ბაგრატ IV საქართველოში ლიპარიტ ბაღვაშის „თანხმობით“ გამოისტუმრესო.[55] ბუნებრივი, კლდეკარის ერისთავს შესაბამისი ნაბიჯი რომ არ

[54] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 402-403.

[55] ნ. ბერძენიშვილი. XI-XIII საუკუნეების ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VII. თბ. 1974, გვ. 21. ამ აზრს არ იზიარებს ზ. პაპასქირი. იხ. ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწი-

გადაედგა პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად, საქართველოს მეფეს კიდევ დიდხანს მოუწევდა კონსტანტინოპოლში ყოფნა. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ „აფხაზთა და ქართველთა“ სამეფოში ვითარების დარეგულირების ერთ-ერთი ინიციატორი თავად ლიპარიტი უნდა ყოფილიყო. ის მშვენივრად ხედავდა ქართველი ფეოდალების და კერძოდ, მესხი დიდებულების მისდამი განწობას, რაც გამჟღავნდა კიდეც ბაგრატ IV სამშობლოში დაბრუნებისთანავე. მოგვიანები, როგორც ცნობილია კლდეკარის ერისთავი მისავე „თანაგუნდელებმა“ შეიპყრეს. ამდენად, არსებული ვითარებიდან რისი მიღებაც ლიპარიტს შეეძლო, მან კონსტანტინოპოლის შეთანხმებიდან მიიღო. საქართველოს სამეფო კარიც მაქსიმალურ დათმობაზე წავიდა. ამ რელობაში ბაგრატ IV-ს კონსტანტინოპოლში ყოფნა არაფერს იძლეოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ სანამ კონსტანტინე IX მონომახი ცოცხალი იყო შეთანხმების შედეგად არსებული „სტატუს ქვო“ არ შეიცვლებოდა. ამიტომაც ლიპარიტმა ხელი არ შეუშალა გურანდუხტ დედოფლს ეზრუნა ბაგრატის კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებაზე. კლდეკარის ერისთავის ტრაგედია მაშინ დაიწყო, როდესაც თავად ბიზანტიაში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, კონსტანტინე IX მონომახის გარდაცვალებამ სრულიად ახალი რეალობა შექმნა. სწორედ ამით ისარგებლა ბაგრატ IV-მ და მისმა მომხრეებმა. მოვლენების ასე სწრაფად განვითარებას არავინ არ ელოდა და, უპირველესად, თავად ლიპარიტ ბაღვაში.

1054 წ. ბაგრატ IV საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო.[56] იგი მართლაც აფხაზეთისა და ქართლის გარკვეულ ნაწილს ფლობს, მხოლოდ ლიპარიტი, ძირითადად, სამხრეთ საქართველოს აკონტროლებდა. გიორგი ბაგრატის ძე, საქართველოს მეფის სახელით კლდეკარის ერისთავთან იზრდება. ეს მოდუსი, ჩვენი აზრით, თავიდანვე უნდა ყოფილიყო ჩადებული კონსტანტინოპოლის შეთანხმებაში.

„მატიანე ქართლისაში“ მოიპოვება ერთი მეტად საყურადღებო მინიშნება, რომელიც პირდაპირ ეხმიანება ზემოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას. იქ სადაც ჩვენი ავტორი საუბრობს ბაგრატ IV საქართველოში დაბრუნებაზე, კერძოდ აღნიშნავს: „ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძსა დაუკლებელად, და იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დედ-

ფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1990, გვ. 206-207.

56 ჯ. სამუშია. XI საუკუნის ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისათვის. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. №4. თბ. 1997, გვ. 242-249.

ლუბეგ სულტანი და საბერძნეთს – ბერძენთა მეფე, და ზრდიდა ბაგრატის ძესა, გიორგის მცირესა, სახელითა მეფობისა თა. ხოლო ბაგრატს აქუნდა ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყობით“.[57] კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სწორედ ეს რეალური ვითარება უნდა ყოფილიყო დოკუმენტირებულად გაფორმებული კონსტანტინოპოლში.

ბაგრატ IV-ის ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. როგორც ჩანს, კონსტანტინე IX მონომახის გარდაცვალების შემდეგ, ბიზანტიელთა დამოკიდებულება ლიპარიტ ბაღვაშისადმი კარდინალურად შეიცვალა. ახალ იმპერატორი დედოფალი ზოია კეთილგანწყობით იყო ქართველი ბაგრატიონებისადმი. როგორც ცნობილია, მან ბაგრატ IV-ის ასული მართაც კი მიიწვია ბიზანტიაში აღსაზრდელად. ამან კი ხელი გაუხსნა საქართველოს მეფეს და თავისი ურჩი ყმა ადვილად დაამარცხა. ლიპარიტის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მთავარი მოქმედი პირები ბაღვაშის ძველი მოკავშირეები იყვნენ. ის მესხმა აზნაურებმა შეიპყრეს თავის ვაჟ ივანესთან ერთად და მეფეს მიჰგვარეს. სამეფო კარმა თვისი ძალაუფლება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოზე უწინდებურად განავრცო. ლიპარიტისა და მისი ოჯახის დაპატიმრებისას გიორგი უფლისწული და მისი „პატრონი“ გურანდუხტ დედოფალი ჯავახეთში იმყოფებოდნენ. შეთქმულების დაწყებისთანავე, მეფე და მისი მამიდა, უსაფრთხოების მიზნით ახალქალაქში გახიზნეს. ბაგრატ IV სასწრაფოდ სამხრეთ საქართველოში გადმოვიდა და თავად ჩაუდგა ლიპარიტ ბაღვაშის მომხრეებთან ბრძოლას სათავეში. მალე კლდეკარის ერისთავის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია სამეფო კარმა უკლებლივ შემოიმტკიცა.

[57] მატიანე ქართლისა, გვ. 287.

*Jaba Samushia*

# BAGRAT IV'S THREE YEAR OF CAPTIVITY IN CONSTANTINOPLE AND PEACE TREATY OF GEORGIA-BYZANTIUM IN 1055

Summary

Article examines the strain relationship of Bagrat IV (1027-1072) and Liparit Baghvashi, Eristavi (duke) of Kldekari (In Eastern Georgia). The relationship of Byzantine Emperor Constantine IX Monomachus (1042-1055) and Liparit is also the case of special research. King Bagrat and his mother Queen Mariam went to visit the Emperor in Constantinople for the arrengment of Georgian-Byzantine strained relationship which was deteriorated bacause of Liparit Baghvashi. Article includes description of Bagrat's journey to Byzantium and the outcome of that visit.

After three year of Bagrat's delay in Constantinople, in 1055 the treaty was signed between Georgian and Byzantine officials. According to this treaty, Bagrat was confirmed as king of Eastern Georgia and Western Georgia. Liparit affirmed Bagrat's supremacy. Liparit's authority over Meskheti was officially recognized by king.

In 1055 Bagrat returned to Georgia. After king's arrival, the events changed rapidly. Constantine IX Monomachus died in 1055 and attitude of Byzantine sovereigns towards the Liparit Baghvashi was changed dramatically and Bagrat took a chance of that situation in his favour. Soon after that event Liparit was arrested and Bagrat assumed his sovereignity over the entire country.

*ლერი თავაძე*

# სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში

შუა საუკუნეების პოლიტიკურ რეალობაში შეგვიძლია გამოვყოთ ორი ძირითადი ჯგუფის წოდებულება (intitulatio): საიმპერატორო ტიტულატურა, რომელითაც იწოდებოდა იმპერატორი და საიმპერატორო კარის ე.წ. საკარისკაცო წოდებულება. უკანასკნელს ხშირად სენატორულ წოდებებადაც მოიხსენიებენ და მათი გაცემა იმპერატორის პრივილეგია გახლდათ.

ბიზანტიაში ერთ-ერთი საიმპერატორო ტიტული სევასტოსი (Σεβαστός) იყო, რომელიც მოგვიანებით საკარისკაცო წოდებად დაემცრო. აღნიშნულ სტატიაში, ჩვენ სწორედ ტიტულ სევასტოსის დამკვიდრების, ფუნქციისა და ქრონოლოგიის საკითხებს შევეხებით შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში.[1]

[1] აღნიშნული პრობლემის დამუშავება, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, ჩვენ ჯერ კიდევ 2005 წელს, თსუ-ს პროფ. თედო დუნდუამ შემოგვთავაზა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი, სევასტოსის ტიტულის ფუნქციური რაობის შესახებ შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. თ. დუნდუამ ეს პრობლემა წამოჭრა 1999 წელს, ათენში მიმდინარე კონფერენციაზე – „ხმელთაშუაზღვისპირეთი და კავკასია“, ამჟამად უკვე განსვენებულ მკვლევართან ნიკოლას ოიკონომიდისთან. გამოითქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ ტიტული სევასტოსი, საქართველოში დამკვიდრების დროს (1060 წელს) მეფე ბაგრატ IV-ს შეიძლებოდა მიეღო, არა როგორც საკარისკაცო წოდება, არამედ როგორც საპატიო საიმპერატორო ტიტული. ნიკოლას ოიკონომიდისის შრომებიდან, ბიზანტიური წოდებულების შესახებ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ნაშრომები: N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. Paris, 1972; მისივე. L'évolution de l'organisation administrative de l'empire byzantin au XI$^{e}$ siècle (1025-1118). Travaux et Mémoires. 6. 1976, გვ. 125-152; იხ. ასევე ელისავეტ ზახარიადუს რედაქციით გამოსული მისი სტატიების რამდენიმე კრებული, მათ შორის: N. Oikonomides. Social and Economic Life in Byzantium. Ed. by E.

სევასტოსი ავგუსტუსის ბერძნული შესატყვისი გახლდათ. ბერძნულად ის გაბრწყინებულს, აღზევებულს ნიშნავს და I-II სს. ბერძნულენოვან ტექსტებში ლათინურ ტერმინ ავგუსტუსს აღნიშნავდა.[2]

## სევასტე

ქალი ვინც აღნიშნული პატივით სარგებლობდა სევასტედ (Σεβαστή) იწოდებოდა. მათ შორის იყვნენ იმპერატორის მეუღლეები და ისინიც, ვინც იმპერატორის ოფიციალურ ცოლს არ წარმოადგენდა, მაგრამ პატივით თითქმის გათანაბრებულები იყვნენ დედოფალთან. ასეთი ქალი ითვლებოდა მონარქის *de facto* ცოლად და ატარებდა სევასტეს ტიტულს.[3]

პირველი მათ შორის, ვინც ოფიციალურად არ იყო ბიზანტიის დედოფალი, მაგრამ სევასტეს ტიტული მიენიჭა გახლდათ, იმპერატორ რომანოზ III არგიროსის (1028-1034 წწ.) ყოფილი მეუღლე ელენა.[4] ელენამ დიდი სამსახური გაუწია მის მეუღლეს, როდესაც ქმარს გაეყარა და მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად იმისთვის, რომ მეუღლე გადაერჩინა პატივის აყრასა და დაბრმავებას.[5] მადლიერმა რომანოზმა, რომელსაც არასდროს ჰყვარებია ძალით თავსმოხვეული მეუღლე –

Zachariadou. Aldershot. 2004; N. Oikonomides. Society, Culture and Politics in Byzantium. Ed. by E. Zachariadou. Aldershot. 2005. ქართული მასალებიდან XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულატურის შესახებ ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი შრომები: ჯ. სტეფნაძე. XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. ძსკი. თბ. 1976, გვ. 156-165; დ. მუსხელიშვილი. დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა. დავით აღმაშენებელი – სტატიების კრებული. თბ. 1990, გვ. 66-83.

[2] ODB. Vol 3, გვ. 1862.

[3] აღნიშნული ტიტულის შესახებ იხილეთ შემდეგი ნაშრომები: N. Oikonomides. St. George of Mangana, Maria Skleraina, and the “Malyj Sion” of Novgorod. DOP. Vol. 34/35. 1980/1981, გვ. 239-241; L. Stiernon. Notes de titulature et de prosopographie byzantines: sébaste et gambros. REB 23. 1965, გვ. 222-242.

[4] L. Garland. Byzantine Empresses: Women and Power in Byzantium, AD 527-1204. 1st pub. in 1999. Routledge: London and New York. 2002, გვ. 137.

[5] ეს იყო მომაკვდავი იმპერატორის კონსტანტინე VIII-ს ბრძანება გაყროდა მეუღლეს და ცოლად მისი ქალიშვილი მოეყვანა, რითაც ის უზრუნველყოფილი იქნებოდა იმპერატორის ტიტულით. სხვა შემთხვევაში რომანოზს მძიმე სასჯელი ელოდა.

დედოფალი ზოია, ყოფილი კანონიერი ცოლი ელენა გარდაცვალებისას დიდი პატივით დაკრძალა და საიმპერატორო – სევასტეს ღირსებით შეამკო.[6]

სევასტედ იწოდებოდა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) საყვარელი მარია სკლერინა,[7] რომელიც იმპერატორის მმართველობის დასაწყისში მისი *de facto* ცოლის ფუნქციას ასრულებდა. დედოფალი ზოიას თანხმობით, მარიას ნება დართეს ეცხოვრა დედაქალაქში და იმპერატორის კარზე დიდი პრივილეგიით სარგებლობდა.[8] მარია სკლერინა 1044 (ან 1045) წელს გარდაიცვალა.[9] ის იყო მეორე მათ შორის, ვინც აღნიშნული წოდება მიიღო მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ბიზანტიის დედოფალად არ იწოდებოდა.

მესამე ქალბატონი ვინც, ასევე იწოდებოდა სევასტედ ოფიციალურ მიღებებსა და ცერემონიებზე, გახლდათ კონსტანტინე მონომახის რიგით მეორე ოფიციალური საყვარელი, რომელსაც მიხაელ ფსელოსი ახალგაზრდა ალან გოგონად მოიხსენიებს. ქალწული იმპერატორის კარზე, მძევლად იყო მოყვანილი ალანიიდან. მიხაელ ფსელოსი წერს:

*„გოგონა იყო ქალიშვილი იქაური (ალანიის – ლ.თ.) ხელმწიფისა (βασιλεύοντοντος). ის არ იყო განსაკუთრებული სილამაზით გამორ-*

[6] G.N. Sola. Giambografi sconosciuti del sec. XI. “Roma e l’Oriente” 11. 1916, გვ. 149-53; L. Garland. Byzantine Empresses, გვ. 137; A.E. Laiou. Mariage, amour et parenté à Byzance aux XIe-XIIIe siècles. Paris 1992, გვ. 113-126. ზოგადად ბიზანტიაში არსებული ქორწინების ტრადიციისა და კანონიკის შესახებ, იხ.: P. Karlin-Hayter. Furhter Notes on Byzantine Marriage. DOK. Vol. 46. 1992, გვ. 133-154.

[7] ODB. Vol. 3, გვ. 1862; ნიკოლას ოიკონომიდისის მსჯელობით, ეს ტიტული საგანგებოდ შეიქმნა კონსტანტინე IX მონომახის მიერ 1042 წლის ახლო ხანებში მისი საყვარლისთვის – მარია სკლერინასთვის, რაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ არის მართებული. იხ.: N. Oikonomides. St. George of Mangana, Maria Skleraina, and the “Malyj Sion” of Novgorod, გვ. 240.

[8] W. Treadgold. A History of the Byzantine State and Society. Stanford University Press. 1997, გვ. 591-592.

[9] M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204: A Political History. First pub. 1987. London, New York, Longman. 1997, გვ. 68; N. Oikonomides. St. George of Mangana, Maria Skleraina, and the “Malyj Sion” of Novgorod, გვ. 240.

*ჩეული და ცოტა მთხოვნელი ეძიებდა მის ხელს ქორწილისათვის. მხოლოდ ორი ატრიბუტი გააჩნდა რაც აძლევდა მას განსაკუთრებულ შარმს – მისი კანის სითეთრე და მისი ძალიან მშვენიერი თვალების ბრწყინვალება. თუმცა მას მერე, რაც იმპერატორი ერთხელ მოექცა მისი გავლენის ქვეშ მიავდო ყველა დანარჩენი მისი საყვარლები. ის ცხოვრობდა მხოლოდ ამ გოგოსთან და მას უძღვნიდა მის უმძაფრეს ლტოლვას“.*[10]

მიხაელ ფსელოსი აქვე დასძენს, რომ ალანთა სამეფო არ იყო რაიმეთი გამორჩეული, მას არ გააჩნდა რაიმე სახის პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე, სამაგიეროდ რეგულარულად აგზავნიდა მძევლებს და ამით გამოხატავდა ლოიალობას ბიზანტიის იმპერიისადმიო. ფსელოსი ამით ხაზს უსვამს, იმ ფაქტს, რომ იმპერატორ კონსტანტინეს არ ჰქონია, რაიმე პოლიტიკური დაინტერესება იმ ინტიმური ურთიერთობიდან, რაც მას აკავშირებდა ალან პრინცესასთან. ამის შემდეგ ის წერს, რომ გოგო იყო ქალიშვილი იქაური ხელმწიფისა.[11]

იმპერატორისა და ალანი ქალწულის ურთიერთობაზე ბევრი არაფერია ცნობილი, მათი ურთიერთობა კონსტანტინე IX-ს გარდაცვალებამდე – 1055 წლის იანვრამდე გაგრძელდა.[12] ურთიერთობის დასაწყისის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ დედოფალ ზოიას სიცოცხლეში კონსტანტინე საიდუმლოდ ინახავდა ამ ინფორმაციას, ხოლო მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (1050 წლის ივნისი) ის ღიად იწყებს საყვარელთან ურთიერთობას და ახლად მოწყობილ საიმპერატორო მოსასვენებელში, გადაჰყავს ეს უკანასკნელი, თითქოს ის მართლაც მისი ცოლი ყოფილიყო.[13] მიხაელ ფსელოსის შენიშვნით ორი ძირითადი მიზეზი არსებობდა, რამაც რეალურად ხელი შეუშალა იმპერატორს ცოლად მოეყვანა მისი საყვარელი. ერთი ის, რომ ეკლესია არ დართავდა

[10] Michael Psellus. Chronographia. Trans E.R.A Sewter. Yale University Press. 1953, VI, 151 (მიხაელ ფსელოსის ტექსტის შემთხვევაში ვუთითებთ თავსა და პარაგრაფს).

[11] Michael Psellus. Chronographia, VI, 151.

[12] Michael Psellus. Chronographia, VI, 155.

[13] Michael Psellus. Chronographia, VI, 152.

მას უფლებას მეოთხედ მოეყვანა ცოლი, ხოლო სხვა მხრივ ჯერ კიდევ, ავგუსტად წოდებული დედოფალი თეოდორა წინააღმდეგი იყო ამგვარი გარიგების.[14] მიუხედავად ამისა, კონსტანტინემ, ფსელოსის განცხადებით ყველა საიმპერიო პატივით შეამკო მისი სატრფო, მასვე მიუჩინეს საიმპერიო დაცვა, ხოლო იმავე ალანი ქალბატონის საპატიოდ, მის სამშობლოში იგზავნებოდა უზარმაზარი ქონება, ოქროულობა და ძვირფასი ნივთები. ყველაფერი ეს მიხაელ ფსელოსის თქმით ძალიან ძვირად უჯდებოდა იმპერიას:

*„კონსტანტინემ ნება დართო მას გაეზიარებინა მასთან ერთად მისი (საიმპერატორო – ლ. თ.) ტიტული და უწოდა მას სევასტე (σεβαστή – ლათ. აუგუსტა)...პირველად ისტორიაში ალანიის მიწა აღივსო ძვირფასი ნივთებით, რომლებიც მოდიოდა ჩვენი რომიდან (იგულისხმება ბიზანტია – ლ. თ.)...ეს მამწუხრებდა მე, რადგან ვხედავდი ყველა ჩვენს სიმდიდრეს, რომელიც ამგვარად იქნა განიავებული და სწორედ როგორც მე ვარ საშინელი ტკივილით შეპყრობილი დღეს ამაზე ფიქრით, რამეთუ არავინ ადიდებს რომაელებს ან უყვარს მისი ქვეყანა იმაზე მეტად ვიდრე მე. მე ჯერ კიდევ მრცხვენია ჩემი ბატონისა და იმპერატორის გამო. გოგოს მამისგან ალანიიდან წელიწადში ორჯერ და სამჯერ იგზავნებოდა ელჩობა ამ ავგუსტა (სევასტე – ლ. თ.) გოგოსთან, და კონსტანტინე წარადგენდა მას მათთვის (როგორც გამოფენას სცენაზე), გამოაცხადებდა რომ ის იყო მისი მეუღლე და იმპერატრიცა (დედოფალი – ლ. თ.), და ფაქტობრივად მას ყველა ამ პატივით მოიხსენიებდა. ის თავადაც გადასცემდა მათ (ელჩებს – ლ. თ.) გარკვეულ საჩუქრებს და სხვებისთვის მის მშვენიერ „ცოლს“ აძლევდა იმის უფლებას გადაეცა, რომ მათთვის ძღვენი“.*[15]

კონსტანტინე IX მონომახის საყვარლის შესახებ არსებული ინფორმაცია, ჩვენთვის ორი ძირითადი მიმართულებით არის საინტერესო:

1) გვიჩვენებს სევასტეს ტიტულის რაობას, მის გარდაქმნასა და ფუნქციის ცვალებადობას ბიზანტიის პოლიტიკურ ცხორებაში.

[14] Michael Psellus. Chronographia, VI, 152-153.
[15] Michael Psellus. Chronographia, VI, 153-154.

2) აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება კავკასიას და ქართულ პოლიტიკურ რეალობას. ამასთან, არსებობს სერიოზული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ალანიაში უნდა იგულისხმებოდეს, არა უშუალოდ ალან-ოსეთის სამეფო, არამედ საქართველო.[16]

კირილ თუმანოვის აზრით, „ალან" პრინცესაში უნდა იგულისხმებოდეს საქართველოს სამეფო ოჯახის წევრი, ბაგრატ IV-ის ნახევარ-ძმის უფლისწულ დემეტრეს ასული ირინე, რომელიც მოგვიანებით ისაკ კომნენოსის (იმპერატორ ალექსი I-ის უფროსი ძმა) მეუღლე გახდა.[17] თუმანოვის მოსაზრება სამართლიანად არ გაიზიარეს ლინდა გარლანდმა და სტივენ რაპმა – მათი აზრით ირინე, რომელმაც შვიდი შვილი გააჩინა ისაკ კომნენოსისგან, რომელთა შორის ერთ-ერთი 1096 წელს დაიბადა, ასაკის გათვალისწინებით ვერ იქნებოდა იმპერატორ კონსტანტინე IX-ის საყვარელი.[18] კონსტანტინეს საყვარელი, 1050 წლისთვის საკმაოდ ზდასრული უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ იმპერატორის სრულფასოვანი პარტნიორი გამხდარიყო, რაც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ოთხი ათეული წლის შემდეგ, მას შვილი გაეჩინა. უფრო მეტიც, ირინე უნდა იყოს არა მართას ბიძაშვილი მამის მხრიდან (უფლისწულ დემეტრეს ასული, როგორც ამას

[16] L. Garland. Byzantine Empresses, გვ. 165; L. Garland, S. Rapp. 'Mery of Alania': Woman and Empress Between Two Worlds. კრ. Byzantine women: varieties of experience 800-1200. Ed. by L. Garland. Aldershot 2006, გვ. 98; C. Toumanoff. Les dynasties de la Caucasie chrétienne de l'Antiquité jusqu'au XIXe siècle. Rome. 1990, გვ. 135. ლ. გარლანდისა და კ. თუმანოვის მსგავსად, სხვა მრავალი მკვლევარი მას ქართველად მიიჩნევს. ასეთი ეჭვის საბაბი ბიზანტიური წყაროების ბუნდოვანი ინფორმაციებიდან გამომდინარეობს. აღნიშნული ძირითადად ეხმაურება იმ ცნობებს, რომელიც კავკასიას შეეხება, რასაც XI-XII სს-ის ბიზანტიელი ავტორები მაინცდამაინც კარგად არ იცნობენ. ამასთან, ბიზანტიელი ავტორები აბაზგებს, იბერებს და ალანებს ერთი წარმოშობის ხალხად წარმოადგენენ, ამდენად მათი ერთმანეთში არევა არ უნდა გაგვიკვირდეს. იხ.: იოანე ცეცე. გეორგიკა VII. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1967, გვ. 22-23.

[17] C. Toumanoff. Les dynasties de la Caucasie chrétienne de l'Antiquité jusqu'au XIXe siècle, გვ. 135.

[18] L. Garland, S. Rapp. 'Mery of Alania': Woman and Empress Between Two Worlds, გვ. 103.

კირილ თუმანოვი წერს), ან მისი ღვიძლი და, როგორც ანა კომნენას „ალექსიადას“ უცხოენოვანი მთარგმნელები და კომენტატორები მიუთითებენ, არამედ მისი ბიძაშვილი დედის მხრიდან.[19]

მიხაელ ფსელოსის და სხვა ავტორთა ცნობები მართა (ბერძ. მარია) დედოფლისა და კონსტანტინეს IX მონომახის საყვარლის წარმოშობის შესახებ, ბევრ კითხვას ბადებს, და რომ არა ქართული წყაროების ცნობები მართას შესახებ, დღემდე საკამათო იქნებოდა მისი ეთნიკური წარმომავლობა. ზუსტად ისე, როგორც საკამათოა სევასტედ წოდებული ალანი პრინცესას ეროვნული კუთვნილება.

საინტერესოა ვინ არის ბიზანტიელ ავტორებთან მოხსენიებული ალანი სევასტე?! მიხაელ ფსელოსის ინფორმაციას შედარებით მოკლედ იმეორებს იოანე ზონარა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის მას ერთ-ერთი ალანი მმართველის ქალიშვილად მოიხსენიებს.[20] ზონარას მიხედვით ის შეიძლება, მართლაც ერთ-ერთი რიგითი ალანი მმართველის (ἀρχηγετοῦντες) ქალიშვილად მოგვეჩვენოს, თუმცა უპირატესობა მაინც ფსელოსის ცნობას ენიჭება. მიხაელ ფსელოსის ინფორმაცია უფრო ვრცელი და დეტალურია. გარდა ამისა, იოანე ზონარას ტექსტი მთლიანად მიხაელ ფსელოსის „ქრონოგრაფიას“ ეყრდნობა. ყველაფერ ამასთან ერთად, მიხაელ ფსელოსი ამბების უშუალო თვითმხილველი და იმპერატორის დაახლოებული პირი იყო, ეს მაშინ როდესაც იოანე ზონარას, კონსტანტინე მონომახთან არანაირი შეხება არ ჰქონია.

მიხელ ფსელოსის მიხედვით ალანი სევასტე, ალანთა მბრძანებლის შვილია, რომელსაც ის საკმაოდ აღმატებულად ხელმწიფის (βασιλεύοντοντος) ტიტულით მოიხსენიებს. მიუხედავად ამისა, ფსელოსის განცხადებით ალანთა სამეფოს არ გააჩნია განსაკუთრებული პრესტიჟი და არც რაიმეთი ყოფილა გამორჩეული; მისი თქმით, ამ

[19] Anna Comnena. The Alexiad. Edited and translated by E. A. Dawes. London. 1928, გვ. 44; Анна Комнина. Алексиада. Пер. и комм. Я. Н. Любарского. М. 1965, გვ. 95; ანნა კომნენე. ალექსიადა. გეორგიკა VI. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966, გვ. 48-49.

[20] А. Алемань. Аланы в древних и средневековых письменных источниках. Пер. К. К. Кочиев, Д. Н. Медоев. М. 2003, გვ. 299-300.

ქვეყნის მესვეურები, ბიზანტიის საიმპერატორო კარს სხვადასხვა ფორმით უდასტურებდა ლოიალობას[21] (ამის ერთ-ერთი გამოხატულება უნდა ყოფილიყო მეფის ქალიშვილის მძევლად გაგზავნა). სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით ლინდა გარლანდი და სტივენ რაპი არ გამორიცხავენ, რომ მართა ბაგრატიონის ბუნდოვანი მოხსენიება ძველი და მდიდარი ოჯახის წარმომადგენლად და მისი მშობლიური ქვეყნის მიჩქმალვა მიხაელ ფსელოსის ტექსტში, ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული,[22] ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მართა/მარია ბიზანტიურ წყაროებში, როგორ წესი ალანად მოიხსენიება, ყველაფერი ეს თითქოს იმისკენ გვიბიძგებს, რომ კონსტანტინე IX მონომახის სევასტეს წოდებით სახელდებული საყვარელი, მართლაც საქართველოს მეფის შვილად გამოვაცხადოთ. თუმცა აქვე ჩნდება, არაერთი წინააღმდეგობა, კერძოდ 1050-1055 წლებში, როდესაც კონსტანტინე IX მონომახი ღიად და დაუფარავად იწყებს მის საყვარელთან ურთიერთობას, საქართველოში ბაგრატ IV მეფობს. ამასთან, სწორედ 1051-1054 წლებში ბაგრატი კონსტანტინოპოლში იმყოფება იმპერატორის კარზე, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ბაგრატს მისი ქალიშვილისთვის წელიწადში ორი-სამჯერ ელჩობა გაეგზავნა საქართველოდან.[23]

სხვა მსჯელობით, ალანი სევასტე შეიძლება იყოს ალან-ოსეთის მეფის დორღოლელ დიდის (1030-იან – 1070-იანი წწ) ასული, ვინაიდან XI საუკუნის 50-იან წლებში ალან-ოსეთის მეფე სწორედ ის

[21] Michael Psellus. Chronographia, VI, 151.

[22] L. Garland, S. Rapp. Mart'a-Maria 'of Alania'. თავი: Maria 'the Alan'. http://www.roman-emperors.org/maryal.htm (2011წ. 5 მარტი).

[23] ბაგრატ IV-ის სახლეული მეტ-ნაკლებად შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში. დადგენილია, რომ მას ჰყავდა სამი და, რომელთაგან ორი ადრე გარდაიცვალა, ხოლო მესამე – გურანდუხტი ბაგრატის კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს ახალგაზრდა უფლისწულის გიორგის რეგენტი იყო. რაც შეეხება ქალიშვილებს მეფეს უნდა ჰყოლოდა ორი ქალიშვილი მართა და მარიამი (ამ უკანასკნელს ხშირად ბიზანტიის დედოფალ მართასთან აიგივებენ), იხ.: რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II. თბ. 2003, გვ. 26-44.

არის.[24] თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დორღოლელის ასული ირინა 1071 წელს მიათხოვეს ისაკ კომნენოსს და მასთან 1096 წელს კიდევ ერთი შვილი გააჩინა (იხ. ზემოთ), ნაკლებ სარწმუნოა, რომ ღვიძლ დებს შორის ასეთი ასაკიბრივი სხვაობა ყოფილიყო. თუმცა დორღოლელის ბოლომდე გამორიცხვა მიხაელ ფსელოსთან და იოანე ზონარასთან, ცალხასად მითითებული ეთნონიმის – ალანის გათვალისწინებით ცოტა საფრთხილოა. ფსელოსთან კონსტანტინეს ფავორიტი სწორედ ალანია და არა იბერი ან აბაზგი. ამ უკანასკნელს ის საერთოდ არ ახსენებს, რაც დამატებით საფუძველს იძლევა იმისა, რომ მის ტექსტში ალანისა და აბაზგის აღრევა არ გამოირიცხოს.[25]

ამჯერად უკვე ბოლო ჰიპოთეზა კვლევის ობიექტთან დაკავშირებით,[26] უკავშირდება ლიპარიტ IV ბაღვაშს, რომელიც XI საუკუნის 50-იანი წლების პირველ ნახევარში ქართლისა და მესხეთის მბრძანებელი იყო.[27] მას თითქმის მთელი ქვეყნის გამგებლობა ჩაუარდა ხელში. „მატიანე ქართლისას" ერთი საინტერესო ცნობის მიხედვით ლიპარიტი თურქ-სელჩუკთა (ხუარასანის) სულთნის და ბიზანტიის (საბერძნეთის) იმპერატორის „მოყუარედ" გამხდარა:

---

[24] XI საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში კახეთის მეფე კვირიკემ მოკლა ოსეთის მეფე ურდურე, რის მერეც ოსეთში დორღოლელი მეფობს. ხოლო მისი სიძის ბაგრატის IV-ის მეფობის ბოლოს დორღოლელი ჯერ კიდევ ცოცხალია, იხ.: მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1955, გვ. 297, 313-314.

[25] ამ კონტექსტში საინტერესოდ გვეჩვენება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ანონიმ ავტორთან დაფიქსირებული პასაჟი „*ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი*"; ამ ცნობის მიხედვით, ალანთა ქვეყანა აფხაზეთის ანუ საქართველოს (ჩვენი აზრით ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა იგულისხმებოდეს დასავლეთ საქართველო, არამედ ზოგადად საქართველო) ნაწილია. იხ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1959, გვ. 15.

[26] აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით (თუ არ ჩავთვლით კ. თუმანოვის ვერსიას, რომელიც არ არის გაზიარებული), ეს არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა შესწავლილ იქნას, კოსტანტინე IX მონომახის მეორე ფავორიტის ვინაობის საკითხი, რაც ბუნებრივია ვერ იქნება დაზღვეული გარკვეული ლაფსუსებისგან.

[27] ქსე. ტ. 6. მთ. რედ. ირ. აბაშიძე. თბ. 1983, გვ. 247.

*„და იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღლუბეგ სულთანი და საბერძნეთს ბერძენთა მეფე“.*[28]

ცნობა თავისთავად ძალიან საინტერესოა, ავტორი ლიპარიტის საერთაშორისო არენაზე მიღწეულ წარმატებებს უსვამს ხაზს.[29] ანონიმ ავტორს ლიპარიტის ახლო დამოკიდებულების შესახებ ბიზანტიის იმპერიასთან, მანამდეც არაერთხელ აქვს გამახვილებული ყურადღება, ამდენად, ლიპარიტისა და ბიზანტიის იმპერატორის „მოყვრობაში“ თითქმის არაფერია ორიგინალური, მასში შეიძლება არა ოჯახური, არამედ უბრალოდ მეგობრობა, მოკავშირეობა იგულისხმებოდეს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მიხაელ ფსელოსის ცნობას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ანიავებდა კონსტანტინე IX მონომახი ალანი სევასტეს სასარგებლოდ იმპერიის უზარმაზარ ქონებას, ასევე „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორის ცნობას, რომ ლიპარიტს შემწეობას *„ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი“* უწევდაო[30] (რასაც კონსტანტინე მონომახის დროს სისტემატური სახე ჰქონდა მიღებული), ნათელი გახდება, თუ რა დანახარჯების გაღება უწევდა იმპერატორს ლიპარიტთან „მოყვრობის“ სანაცვლოდ.[31] ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ კონსტანტინე IX მონომახის არაოფიციალური ცოლი, რომელიც სევასტეს საიმპერატორო წოდებას ატარებდა, სწორედ ლიპარიტ IV დიდის ქალიშვილი ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ ლიპარიტს ერთგულობის სანაცვლოდ ბიზანტიაში მძევალს მოთხოვდნენ, ხოლო მისი ქალიშვილის იმპერატორთან დაახლოებით, მას ბიზანტიის მხარდაჭერას

---

[28] მატიანე ქართლისა, გვ. 304.

[29] ლიპარიტ ბაღვაშის ურთიერთობის შესახებ ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკებთან იხ.: გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში. ქდ. ტ. 5. თბ. 1998, გვ. 314-336.

[30] მატიანე ქართლისა, გვ. 298-303.

[31] ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია არაბი ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი დაუჯდა ბიზანტიის იმპერატორს ლიპარიტის განთავისუფლება სელჩუკთა ტყვეობიდან. სახელდება ისეთი ციფრი როგორიცაა 200 000 დინარი და არანაკლები ღირებულების სხვა მატერიალური სარგებელი, რაც სულთანმა თორღულ-ბეგმა მიიღო ლიპარიტ ბაღვაშის სანაცვლოდ, იხ.: გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში, გვ. 334-335.

დიდი ხნით ექნებოდა გარანტირებული. ნიშანდობლივია, ისიც რომ ლიპარიტ ბაღვაშმა ბიზანტიის მხარდაჭერა სწორედ მაშინ დაკარგა, როდესაც იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი გარდაიცვალა.[32]

ვინც არ უნდა ყოფილიყო ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის ფავორიტი, სევასტეს წოდებით სახელდებული ქალბატონი, მისი როლი საქართველოს და მისი მახლობელი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ შეიძლება უგულებელვყოთ. მიხაელ ფსელოსის ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ კონსტანტინეს ფავორიტი ქალის მამა – „ალანთა“ ხელმწიფე, უდვაოდ იმპერატორის სტრატეგიულ მოკავშირედ განიხილება, ვისთან მოკავშირეობის და მოყვრობის სანაცვლოდ, მან არც ფული, არც სიმდიდრე და არც საიმპერატორო წოდებები არ დაიშურა. ყველაფერი ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ მამის ელჩებთან მისი „ცოლი“ შესაბამისი პატივით და ღირსებით წარმდგარიყო.[33]

ამგვარად, აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ სევასტეს ტიტული მიუხედავად მისი საიმპერატორო ღირსებისა ეწოდებოდა, არამხოლოდ ოფიციალურ მეუღლეს, არამედ იმპერატორთან დაახლოებულ ვიწრო წრეს, რომელსაც უდაოდ გააჩნდათ ამბიციები წოდებულიყვნენ იმპერატორის მეუღლეებად და ოფიციალურად გაეზიარებინათ საიმპერატორო ტახტი. საიმპერატორო პორფირით შემოსვის წარუმატებელ მცდელობაში, იმპერატორის ფავორიტ მაღალი წოდების ქალებს, უფლება მიეცათ გამხდარიყვნენ, საიმპერატორო ტიტულის მფლობელები, ასევე მიეცათ უფლება ესარგებლათ საიმპერიო დაცვით და ხშირ შემთხვევებში საზეიმო თუ ოფიციალურ ცერემონიებზე, იმპერატორის მეუღლის როლშიც კი ახერხებდნენ გამოსვლას. ყველაფერი ეს მოგვიანებით გახდა იმის წინაპირობა, რომ სევასტოსი/სევასტეს (ლათ. კორესპოდენციით ავგუსტუსი/ავგუსტა) ტიტული ოფიციალურად დაემცრო და მის საფუძველზე ახალი რეფორმირებული წოდებები აღმოცენდა.

---

32 ჯ. სამუშია. XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისთვის. ქდ. ტ. 4. თბ. 1997, გვ. 249.

33 Michael Psellus. Chronographia, VI, 153-154.

აქვე უნდა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისაკ I კომნენოსმა (1057-1059 წწ.) მას მერე, რაც კონსტანტინოპოლში იმპერატორად კურთხევა მოახერხა, ოფიციალურად იწოდა სევასტოსად, ხოლო მისი მეუღლე ავგუსტად და სევასტედ გამოაცხადა. ნიკოლას ოიკონომიდისის შენიშვნით, ეს ფაქტი ამ ტერმინის საიმპერიო კონოტაციის ნათელი მაჩვენებელია.[34] ამდენად, მიუხედავად, რიგი გადახვევებისა 1057 წლისთვის სევასტოსი/სევასტე საიმპერიო წოდებაა.

## წოდებრივი სისტემის რეფორმაცია

ცნობილი ისტორიკოსის, ანა კომნენას განმარტებით, სევასტოსის ტიტულით ალექსი I კომნენოსამდე (1081-1118 წწ.) მხოლოდ იმპერატორები იწოდებოდნენ:

*„მამაჩემი (იგულისხმება იმპერატორი ალექსი, ანა კომნენას მშობელი – ლ. თ.) იყო გამომგონებელი ყველა ახალი საპატიო ტიტულისა, რომელთა ნაწილი სახელოების შერწყმის შედეგად შეიქმნა, რომელთა შესახებაც მივუთითე ზემოთ, ხოლო სხვა ტიტულებმა ახალი გამოყენება ჰპოვეს. მაგალითად ზედწოდება პანიპერსევასტოსი და სევასტოკრატორი ტიპური მაგალითია იმისა, რაც სახელოების შერწყმის შედეგად შეიქმნა, მაგრამ ტიტულ სევასტოსს მან, როგორც მე ვატყობ ახალი შესატყვისი მოუძებნა. რადგან ძველი დროიდან მოყოლებული ეპითეტი სევასტოსი ენიჭებოდათ მხოლოდ იმპერატორებს, და ზედწოდება სევასტოსი განკუთვნილი იყო მხოლოდ მათთვის, და მამა იყო პირველი, რომელმაც ის რამდენიმე რანგით დაბლა დასწია“.*[35]

როგორც აღნიშნული წყაროდან ირკვევა, იმპერატორმა ალექსიმ მოახდინა წოდებრივი სისტემის რეფორმაცია. იქმნება ახალი სისტემა დამყარებული სევასტოსის ტიტულზე.[36] სევასტოსისა და ავტოკრა-

[34] N. Oikonomides. St. George of Mangana, Maria Skleraina, and the “Malyj Sion” of Novgorod, გვ. 240.

[35] Anna Comnena. The Alexiad, გვ. 78-79; Анна Комнина. Алексиада, გვ. 122-123.

[36] Anna Comnena. The Alexiad, გვ. 78-80; Анна Комнина. Алексиада, გვ. 122-123; M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204, გვ. 128; P. Magdalino. Innovations in Government. კრ. Alexios I Komnenos. Ed. by M. Mullet and D. Smythe. I papers.

ტორის წოდებების შერწყმის შედეგად შეიქმნა სრულიად ახალი, სევასტოკრატორის ტიტული, რომელიც მიენიჭა იმპერატორ ალექსი I-ის უფროსს ძმას ისაკს, რამაც ის იმპერატორის შემდეგ, მეორე პირად აქცია ბიზანტიაში. ანა კომნენას თქმით, სევასტოკრატორი ისაკი, მეორე იმპერატორის პატივში აღზევდა. ის ე.წ. უმცროს იმპერატორად იქცა ბიზანტიის იმპერიაში. ტიტულმა კესაროსმა, იერარქიაში მესამე საფეხურზე გადაინაცვლა.[37] ხოლო ტიტულები სევასტოსი და პანიპერსევასტოსი იმპერატორის ნათესავებსა და მასთან დაახლოებულ პირებს ეძლეოდათ. ალექსის კიდევ ერთმა ძმამ – ნიკიფორემ პროტოსევასტოსის ტიტული მიიღო.[38] სევასტოსის ტიტულზე დაყრდნობით შექმნილ რანგებს ალექსანდრე კაჟდანი პირველი საფეხურის სენატორულ წოდებებში აერთიანებს, რომელსაც ალექსი I-ის დროინდელი უმაღლესი არისტოკრატია იღებდა.[39] ამდენად, ბიზანტიის თანამეგობრობის იერარქიულმა დაყოფამ შემდეგი სახე მიიღო:

1. ავტოკრატორი ანუ ბასილევსი
2. სევასტოკრატორი
3. კესაროსი
4. პანიპერსევასტოსი
5. პროტოსევასტოსი
6. სევასტოსი

ანა კომნენა, მამის ამ რეფორმას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მიუხედავად ანა კომნენას განცხადებისა, თითქოს სევასტოსებად ალექსი I კომნენოსამდე მხოლოდ იმპერატორები იწოდებოდნენო არ შეესაბამება სიმართლეს. სევასტოსის ტიტული, სანამ ალექსი კომნენოსი იმპერატორი გახდებოდა, თავად ალექსიმაც მიიღო, ამ ცნობას იმავე ანა კომნენასთან ვხვდებით:

*„როგორც ჯილდო ყველაფერი ამისთვის იმპერატორისგან მან (ე.*

Belfast. 1996, გვ. 147-148.

[37] Anna Comnena. The Alexiad, გვ. 78; Анна Комнина. Алексиада, გვ. 122-123.

[38] Anna Comnena. The Alexiad, გვ. 78-79; Анна Комнина. Алексиада, გვ. 122-123.

[39] А.П. Каждан. Социальный состав господствующего класса Византии в XI-XII вв. М. 1974, გვ. 109.

*ი. ალექსი კომნენოსმა, დიდმა დომესტიკოსმა, სანამ იმპერატორი გახდებოდა – ლ. თ.) მიიღო ტიტული სევასტოსისა და იწოდებოდა სევასტოსად საზოგადოებრივ შეკრებებზე*“.[40]

იმპერატორთან ყველაზე დაახლოებული ისტორიკოსის, ანა კომნენას ნაშრომში ურთიერთგამომრიცხავი ცნობების გაჩენა შეიძლება იმას უკავშირდებოდეს, რომ ავტორი სწორედ ალექსის თვლიდა პირველ მოხელედ, რომელმაც სევასტოსობა მიიღო, როგორც დამცრობილი წოდება. სევასტოსის ტიტული იყო ის წოდება, რომლითაც ალექსი კომნენოსი იწოდებოდა იმპერატორად კურთხევამდე (1081 წლის 4 აპრილამდე). უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი იმპერატორად კურთხევის შემდეგაც ალექსიმ დროებით შეინარჩუნა სევასტოსობა, როგორც ძველი საპატიო წოდება, რის შემდეგაც, იმავე ტიტულზე დაყრდნობით შექმნა, ახალი იერარქია წოდებულებისა, რომელიც საგანგებოდ გაიცემოდა მხოლოდ იმპერატორის ოჯახის წევრებზე და მასთან დაახლოებულ პირებზე. სხვა შემთხვევაში ჩვენ ვერ ავხსნით, მისივე ქალიშვილის, ანა კომნენას ხაზგასმულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სწორედ იმპერატორი ალექსი „*იყო პირველი, რომელმაც ის (სევასტოსის ტიტული – ლ. თ.) რამდენიმე რანგით დაბლა დასწია*“.

რაც შეეხება თარიღს – რეფორმაცია ალექსის მმართველობის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, მისი ტახტზე ასვლის ახლო ხანებში, შესაძლოა 1081 წელსაც. ანა კომნენას ცნობით, ალექსიმ, იმპერატორად კურთხევის შემდეგ, ტახტის მეორე პრეტენდენტს ნიკიფორე მელისენეს კესაროსის ტიტული უბოძა. ხოლო იმისთვის, რომ მისი უფ-

[40] Anna Comnena. The Alexiad, გვ. 26; Анна Комнина. Алексиада, გვ. 62-74. სევასტოსობა ალექსიმ მიიღო მას შემდეგ, რაც იმპერატორის ნიკიფორე ბოტანიატეს ბრძანებით ჩაახშო ჯერ ნიკიფორე ბრიენოსის აჯანყება (1077-1078 წლების მიჯნა), ხოლო შემდეგ კი ბასილაკესის გამოსვლა, იმპერატორის წინააღმდეგ. მიხაელ ატალიატეს ცნობით, ბასილაკესის აჯანყების ჩახშობის დროს (1078 წლის ზაფხული) ალექსი უკვე სევასტოსია, ამდენად, ეს ტიტული მას დაახ. 1078 წლის პირველ ნახევარში უნდა მიეღო, იხ.: Анна Комнина. Алексиада, გვ. 74, სქ. 112; იქვე, წიგნის ბოლოს, იხ. 1042-1155 წლების ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე მოვლენების ქრონოლოგიური ტაბულა.

როსი ძმა ისაკი შედარებით მაღალ რანგში აეყვანა, იმთავითვე შექმნა სევასტოკრატორის წოდება. ამას მოჰყვა სხვა წოდებრივი რანგების გაჩენაც.[41] ამდენად, ანა კომნენას მიხედვით, წოდებრივი სისტემის რეფორმაცია, ალექსი I კომნენოსის იმპერატორობის პირველივე წლით უნდა დათარიღდეს.

## ბაგრატ IV

ბიზანტიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, მიხაელ ანგოლდი შენიშნავს, რომ ალექსის იმპერატორად კურთხევამდე (1081) სევასტოსის ტიტული იშვიათად თუ ვინმეს ეძლეოდაო.[42] სწორედ, ეს იშვიათი გამონაკლისი იყო ბაგრატ IV (1027-1072 წწ.). ბაგრატს სევასტოსობა 1060 წელს უბოძეს,[43] რომელიც, მისი ვერცხლის მონეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასევე ატარებდა სევასტოსის მაღალ საიმპერიო ტიტულს. აქვე ვიძლევით ამ ტიპის მონეტების აღწერილობას, გიორგი დუნდუას და თედო დუნდუას ნაშრომის მიხედვით:[44]

*„შუბლი – ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდი ადგია. თავს ირგვლივ განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: ჰე ჰაგია თეოტიკოს – წმინდა ღვთისმშობელი.*

*ზურგი – მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, განლაგებულია ქართული ასომთავრული ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“. ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარ-*

---

[41] Anna Comnena. The Alexiad, გვ. 78-79; Анна Комнина. Алексиада, გვ. 122-123.
[42] M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204, გვ. 128.
[43] ბაგრატ IV-ის მიერ სევასტოსის ტიტულის მიღების მიზეზისა და თარიღის შესახებ იხ.: D. M. Lang. Notes on Caucasian Numismatics. NC. XVII. 1957, გვ. 140-145; Т. Г. Дундуа. Грузинские монеты X-XII вв. как исторический источник. Сок. и перераб. вариантъ 1-го изд. 2000. Тб. 2009, გვ. 20-21; Р. В. Кебуладзе. Клад из села Цихесулори. НС. Тб. 1977, გვ. 104-105; ჯ. სტეფნაძე. XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის, გვ. 159-160; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტომი II. თბ. 1965, გვ. 151.
[44] აქ და ქვემოთ მოყვანილი მონეტების აღწერილობები მოტანილი წიგნიდან: გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 2006.

*შემოვლებული სამსტრიქონიანი წარწერა: „და სევასტოსი“*.[45]

აღნიშნული სამონეტო ემისია თარიღდება 1060-1072 წწ. გამოთქმულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბაგრატ IV-მ სევასტოსის ტიტული ბიზანტიის ხელისუფლებისგან თურქ-სელჩუკების თავდასხმის საშიშროებასთან დაკავშირებით მიიღო.[46]

მონეტების გარდა ბაგრატი სევასტოსად იწოდება რამდენიმე ეპიგრაფიულ წარწერაშიც. მათ შორის მნიშვნელოვანია გრიგოლ თარხუნის ძის საამშენებლო წარწერა ატენის სიონში. იქ ბაგრატი შემდგენაირად მოიხსენიება:

*„ქ. სახელითა ღვთისათა, მე გრიგოლ-მან მირიანის ყმა-მან თარხნის ძისა-მან, ატენის ციხისთავმან, ავაგენ ატენს სახლნი ქულბაქი მას ჟამსა ოდეს, ადიდენ ღმერთმან, ძლიერ-მან მეფეთა მეფე-მან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქის აშენებაჲ გაუმარჯვა ღმერთ-მან და ბედ-მან მეფეთ მეფობისა მათისა-მან. ვითა სწადდა მეფობასა მათსა ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი... სალოცველად ჰჳიანმცა უკუნისამდე ძრიელი მეფეთა მეფე[მ] ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი*“.[47]

მირიან თარხუნის ძის ყმის, გრიგოლ ციხისთავის წარწერაში, მეფე ბაგრატ სევასტოსის პარალელურად, მისი ვაჟი გიორგი, კურაპალატის ტიტულით იხსენიება, რაც მამა-შვილის მიერ აღნიშნული წოდებების თანადროულ ფლობაზე მიუთითებს. ითვლება, რომ მამა-შვილმა ტიტულები ერთდროულად მიიღო, რაც ბაგრატ მეფის მიერ არა სევასტოსის, არამედ ნოველისიმოსის წოდების მიღების პერიოდში უნდა მომხდარიყო.[48] ანალოგიად მამა-შვილი მეფეების – გურგენის და ბაგრატ III-ის მიერ მაგისტროსისა და კურაპალატის წოდებების თანადროულად მიღება შეგვიძლია მივიჩნიოთ.[49]

---

[45] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 190-191.

[46] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 191.

[47] ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო. სსმმ. ტ. XX-B. 1959, გვ. 72.

[48] D. M. Lang. Notes on Caucasian Numismatics, გვ. 140-145; Т. Г. Дундуа. Грузинские монеты X-XII вв. как исторический источник, გვ. 20-21.

[49] გურგენის და ბაგრატის მიერ ბიზანტიის იმპერატორისგან აღნიშნული ტიტულების მინიჭების ცნობა დაცულია ბაგრატიონთა სამეფო გვარის

ბაგრატის კონსტანტინოპოლში გამგზავრება 1051 (ან 1052) წლით თარიღდება, ამგვარად მამა-შვილს ნოველისიმოსისა და კურაპალატის წოდებები თითქოს, ამავე დროს უნდა მიეღო.[50] თუმცა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, ბოლო დროს გამოვლენილი სოფელ ავლარში მდებარე, მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის წარწერა, რომელიც 1050 წლით არის დათარიღებული და სადაც მეფე ბაგრატი ნოველისიმოსად არის წოდებული.[51] გიორგი გაგოშიძის აზრით, ბაგრატის ნოველისიმოსის პატივში აღზევება, ბიზანტიის იმპერიის მთავარი მოკავშირის ლიპარიტ IV ბაღვაშის დატყვევების შემდეგ 1048 წელს უნდა მომხდარიყო. იმპერიის ხელისუფლება უფრთხოდა საქართველოს სახით ძლიერი მოკავშირის დაკარგვას, რაც მას მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნიდა აღმოსავლეთში მიმდინარე თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. იმპერატორის მოკავშირე სელჩუკების წინააღმდეგ წარმოებულ ომში ძალაუნებურად ბაგრატ IV გახდა.[52]

ბაგრატ IV-სა და გიორგის მიერ სევასტოსისა და კურაპალატის ტიტულების თანადროულ ფლობას, კიდევ ერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში, ატენის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წარწერაში ვაფიქსირებთ:

*„ქ. წმინდაო გ[იორგი ადიდე მეფეთა მეფე ბაგრატ] სევ[ასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი...ი დაოჳტკბე თუა[ლთაჲ]? თნი და მეფეთა მირიან თარხუნის ძესა ტანუტრობასა მათსა“.*[53]

ბაგრატი, მირიან თარხუნის ძის კიდევ ერთ ლაპიდარულ წარწე-

მემატიანესთან. იხ.: სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა. ტექსტი გამოსცა გ. არახამიამ. თბ. 1990, გვ. 52.

[50] ბაგრატის კონსტანტინოპოლიში გამგზავრება სპეციალისტების მიერ 1051/2 წლით არის განსაზღვრული. იხ.: ჯ. სამუშია. XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისთვის, გვ. 242-249.

[51] ნოველისიმოსობის მიღების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად 1046 წელი შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ წელს შესრულებულ სავანის წარწერაში ბაგრატი ჯერ ისევ კურაპალატად იწოდება, ამდენად ნოველისიმოსის ტიტულის მიღების ფართო ქრონოლოგიური რკალი 1046-1050 წლებია, იხ.: გ. გაგოშიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსი: 1050 წლის უცნობი წარწერა თრიალეთიდან. სსსმ – ნარკვევები IX. თბ. 2004, გვ. 50.

[52] გ. გაგოშიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსი, გვ. 51-52.

[53] ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, გვ. 74.

რაში იხსენიება სევასტოსად, ეს არის ბარმაქსიზის ხიდში გამოყენებულ ქვის წარწერა. განსხვავება ზემოთხსენებულ ძეგლებთან იმაშია, რომ ამ წარწერაში არ ვხვდებით მისი ძის გიორგის სახელს. წარწერა შემდეგი სახისაა:

*„სახელითა ღმრთისათა მე მირიან თარხონის ძემან აღვაშენე და ღირს ვიქმენ, წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, საყოფელი წმიდისა დემეტრე მოწამისაჲ, სალოცავად, აცოცხლენ ღმერთმან, საგარეოს (?) შინ[ა] ბაგრატ მეფეთა მეფე სევასტოსი ამინ“.*[54]

არცერთ ზემოხსენებულ წარწერას არ უზის თარიღი, ისინი ბაგრატის სევასტოსობის პერიოდით, ანუ დაახ. 1060-1072 წლებით თარიღდება. ერთადერთი კულალისის წარწერაში აქვს მას დასმული თარიღი – 1060 წელი. ბაგრატ IV იქ იხსენიება, როგორც – „აფხაზთა და ქართველთა მეფე, სევასტოსი“, ამავე წარწერაში, მსგავსად ატენის სიონისა და ატენის წმინდა გიორგის ეკლესიების წარწერებისა გვხვდება გიორგი კურაპალატის მოხსენიებაც.[55] ტექსტი შემდეგი შინაარსისაა:

*„იესო ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, შეეწიენ, დაუტკბენ თავი, კეთილ ექმენ უპატოს თეოდოსეს ძესა, რომელთათჳს განსაძლიერებლად ავაგე ესე ეკლესია, ქორონიკონი იყო სპ“.*[56]

ბაგრატი IV სევასტოსის ტიტულით იხსენიება კონსტანტინოპოლში მდებარე, რომანას ქართული მონასტრის ოთხთავის ანდერძში. აღნიშნული ანდერძი, იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში მეფის ძე

---

[54] ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, გვ. 76; წარწერიანი ქვა მოგვიანებით უნდა იყოს ხიდში ჩასმული, რასაც მიუთითებს, კიდეც მისი ტექსტი. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ის მოტანილი უნდა იყოს მეზობელი სოფლიდან, კერძოდ, გუნია-ყალადან, სადაც უნდა ყოფილიყო კათედრალური ტაძარი (იქვე).

[55] ა. ბაქრაძე. თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, გვ. 72-74; ფრესკული წარწერები I ატენის სიონი. ქწკ (III). გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ. თბ. 1989, გვ. 46.

[56] ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ. 1959, გვ. 39-40.

გიორგი კურაპალატის ტიტულით იწოდება, იქვეა მითითებული თარიღიც, რაც სახარების გადაწერის დროს 1070 წელს უჩვენებს. ანდერძი გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეების სიძესა და კახეთ-ჰერეთის მეფის აღსართანის ძმას, არკადიპოლის მთავარს აბაზს ეკუთვნის.[57] მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიხმოთ ნაწყვეტი აღნიშნული ანდერძიდან, რომლის ავტორია აბაზის სულიერი მოძღვარი, თეოდორე გარეჯელი:

*„ესე დავწერე და განვასრულე სანახებსა კოსტანტინეპოლლისსა, სოჴასტერსა რომანისსა, საჴელსა წ(მი)დ(ი)სა ღ(მრ)თისმშ(ობე)ლისსა, რ(ომე)ლსა მეგეთონა ეწოდების, მეფობასა ბერძ|ნთა ზ(ედ)ა დეოგენესის(ა)სა, და აფხაზთა და ქართველთა ზ(ედ)ა – ბაგრატ სევასტოსის და გ(იორგ)ი კურაპალატისა, ძისა მისისსა, და კახთა და რანთა ზ(ედ)ა – ხსართანან კურაპალატისა და ძმათა მისთა. ხ(ოლო) ეს ხსართანან ჭაბუკ იყო წლისა ოცდათერთმეტისაჲ, და სამნი ძმანი მისნი ფადლაჲ, კ(ვირიკ)ე, რედისავ თჳთოეული თჳითო წელიწდითა ურთიერთარს უმრწამე. ხ(ოლო) ესე საყუარელი ს(უ)ლ(ი)სა ჩემისაჲ აბაზ, სულიერი შვილი ჩემი, უმრწემესი იყო ძმათა თჳისთა და ჭაბუკი იყო წლისაჲ ვ(ითა)რ კზ, და მთავრობდა არკადიპოლის“.*[58]

როგორც ანდერძის თარიღიდან ვარკვევთ, ბაგრატ IV-ს (1027-1072 წწ.) სევასტოსის ტიტული თითქმის ცხოვრების ბოლომდე უტარებია, ხოლო უფლისწული გიორგი 1070 წლისათვის, ჯერ კიდევ კურაპალატის პატივშია.

## გიორგი II

მოგვიანებით ბაგრატ IV-ის გარდა, სევასტოსის ტიტულს ატარებდა მისი ვაჟი გიორგი II (1072-1089 წწ.). მეფე გიორგი II სევასტოსობის გარდა იწოდებოდა კურაპალატად, ნოველისიმოსად და კესაროსად. ახალგაზრდა მონარქი ჯერ კიდევ მამის ბაგრატ IV-ის ბიზან-

[57] დ. კლდიაშვილი. ქართული არისტოკრატია კონსტანტინოპოლში: ჰერეთისა და კახეთის მმართველები. კრ. ბიზანტინოლოგია – 2. წგნ.: I. თბ. 2009, გვ. 321-323, 331-333.

[58] დ. კლდიაშვილი. ქართული არისტოკრატია კონსტანტინოპოლში: ჰერეთისა და კახეთის მმართველები, გვ. 322-323.

ტიაში გამგზავრების შემდეგ, იყო კურთხეული საქართველოს მეფედ რუისის ტაძარში. მისი კურთხევა დიდი ფეოდალის ლიპარიტ IV ბაღვაშის პატრონაჟის ქვეშ მოხდა:

*„ვიდრელა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი, მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქვეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდელად მისი ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი გუარანდუხტ დედოფალი“.*[59]

მიიჩნეოდა რომ, ლიპარიტის მიერ გიორგის მეფედ მოყვანას ბიზანტიის ხელისუფლების რეაქციაც უნდა მოჰყოლოდა, კერძოდ საუბარია მისთვის კურაპალატის ტიტულის წყალობაზე. გამოდის, რომ ეს ტიტული გიორგიმ 1051/2 წელს მიიღო, როდესაც ის რუისში მეფედ აკურთხეს.[60] თუმცა ავლარის ეკლესიის წარწერაში (1050 წელი) მეფე ბაგრატ ნოველისიმოსის პარალელურად უფლისწული გიორგი კურაპალატის ტიტულით იხსენიება. ბაგრატისა და გიორგის მიერ აღნიშნული ტიტულების მიღება ლიპარიტ IV ბაღვაშის დატყვევების თარიღთან – 1048 წელთან უნდა იყოს დაკავშირებული (რაც ზემოთ უკვე მივუთითეთ).[61] ამდენად, გიორგი დაახლოებით 1048 წლიდან უკვე კურაპალატია და ამ ტიტულს ატარებს იმ დროსაც, როდესაც ის რუისში მეფედ აკურთხეს დიდი ფეოდალის ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივით.

ამის შემდეგ გიორგი ნოველისიმოსის ტიტულის იღებს. ეს წოდება, როგორც აღვნიშნეთ, გიორგი II-მ მისი სამეფო ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით 1072 წელს მიიღო.[62]

ნოველისიმოსად, გიორგი გამეფების შემდეგ არის მოხსენიებული,

---

[59] მატიანე ქართლისა, გვ. 304.

[60] რუისში გიორგის მეფედ კურთხევის შესახებ იხ.: რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II, გვ. 58-61.

[61] გ. გაგოშიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსი, გვ. 50-52. ვრცლად ლიპარიტ ბაღვაშის დატყვევების თარიღთან დაკავშირებით. იხ: გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში, გვ. 315-325.

[62] Е. А. Пахомов. Монеты Грузии. 1-ое изд. 1910. Ред. Д. Г. Капанадзе. Тб. 1970, გვ. 61.

მისივე პირველი ემისიის მონეტებზე. იმავე ლითონის საფასზე, გიორგი იწოდება სევასტოსად. მეფე გიორგი II-ის ჩვენთვის საინტერესო მონეტა შემდეგი სახისაა:

*„შუბლი – წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდით. შარავანდის შიგნით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: ჰე ჰაგია თეოტიკოს, „წმინდა ღვთისმშობელი“.*

*ზურგი – შერწყმულ წერტილოვან რკალის შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე“. ცენტრში, სამსტრიქონად: „და სევასტოსი“.*[63]

სევასტოსის წოდების შემდეგ გიორგიმ მიიღო კესაროსის ტიტული, ამ ტიტულით ის იხსენიება არამარტო მის მონეტებზე, არამედ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაშიც (1104 წელი).[64] ზუსტი თარიღი გიორგის მიერ სევასტოსისა და კესაროსის ტიტულების მიღებისა არ არის ცნობილი.[65]

---

[63] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 193.

[64] ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ. ქსძ. ტომი III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები. ტექსტები გამოსცა ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 125.

[65] თედო ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული ქრონიკების მიხედვით გიორგი 1081 წელს უკვე კესაროსია (ქრონიკები, გვ. 228-229). ეს წოდება, მან მიიღო ან 1076 წელს, როდესაც ბანაში ზავი დაიდო საქართველოსა და ბიზანტიას მესვეურებს შორის, ანდაც 1078 წელს – ნიკიფორე III ბოტანიატეს იმპერატორად კურთხევისას. „ქართული ნუმიზმატიკის“ (2006 წელი) ავტორების აზრით, გიორგი II-ს კესაროსის ტიტული აღმოსავლეთი მხარეების შემომტკიცების შემდეგ უნდა მიეღო, გრიგოლ ბაკურიანის ძესთან გაფორმებული ზავის შესაბამისად (გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 266). აღნიშნული ზავის დადება, უახლესი ისტორიოგრაფიული გამოკვლევების მიხედვით 1076 წელს ხდება, ქალაქ ბანაში (რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II, გვ. 87-93). ამდენად, თუ გიორგის მიერ კესაროსობის მიღების თარიღად 1076 წელს (ან 1078 წელი, არაუგვიანეს 1081 წლისა) განვსაზღვრავთ, უფრო ადვილდება მისი სევასტოსობის მიღების ქრონოლოგიური ჩარჩოს დადგენა. აღნიშნული ნიანია ქვაბულისძის მიერ ნოველისიმოსის პატივის მიღების თანადროული მოვლენა უნდა იყოს, რასაც პარალელურად მოჰყვა გიორგის აღზევება სევასტოსად. ჩვენი აზრით, ნიანის ნოველისიმოსობა ქუთაისის აღების შემდეგ (1073 წელი) უნდა მიეღო. ამ ფაქტს, აღნიშნულ

## დავით IV

ალექსი I კომნენოსის რეფორმაციის შემდეგ (XI ს. დასაწყისი), დავით IV აღმაშენებელი ჯერ სევასტოსის, ხოლო მოგვიანებით პანიპესევასტოსის ტიტულს ეუფლება.[66]

აღნიშნული ვითარება კარგად არის ასახული ქართული ნუმიზმატიკის ძეგლებში, მონეტების გარდა, დავითი სევასტოსად იწოდება რამდენიმე ანდერძ-მინაწერშიც, მათი ნაწილი გამოქვეყნებულია თედო ჟორდანიას მიერ მის „ქრონიკებში”. ამათგან ერთ-ერთი, რომელშიც დავითი სევასტოსის პატივით არის წოდებული დათარიღებულია 1085 წლით. ანდერძის ტექსტი ამგვარია:

*„ღ(მრ)თივ-გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩ(უე)ნთა – გ(იორგ)ი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მ(ა)თისა დ(ავი)თ მეფისა სევასტოსისა; საუკუნო-მცა არს კეთილი საჴსენებელი მეფობისა მ(ა)თისაჲ“.*[67]

მორიგი ანდერძ-მინაწერი დაცულია იოანე ოქროპირის „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“-ს კოლოფონში. მიუხედავად იმისა, რომ მას თარიღი არ უზის მისი დათარიღება დაახ. XI ს-ის 80-იანი 90-იანი წლებით შეიძლება. ტექსტი შემდეგი შინაარსისაა:

*„სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩუენთა სულთა განათლებულისა კურთხეულისა დედოფლისა მარიამისა და ძმისა მათისა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა. და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა, და სანატრელისა დედისა მათისა ელენე დედოფლისა“.*[68]

ამდენად, დავითი XI საუკუნის 80-იან წლებში სევასტოსის წოდებას ატარებს. ვ. სილოგავა თვლის, რომ გიორგი მეფეს დავითი თა-

---

სტატიაში აღარ მიმოვიხილავთ, რადგან ეს ცდება ნაშრომის შინაარსს, რის გამოც ამ საკითხს, სხვა, დამოუკიდებელ ნაშრომში განვიხილავთ.

[66] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტომი. I. პირველად გამოიცა 1892. თბ. 2004, გვ. 229-236; T. Dundua. Georgia within the European Integration. Tb. 1999, გვ. 18. ტაბ. X 23-24, XI 24ა.

[67] ქრონიკები, გვ. 232; ქხა. H კოლექცია. ტომი III. შედგენილი ქრ. შარაშიძის მიერ. თბ. 1948, გვ. 306.

[68] ქხა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექციისა. ტომი $I_2$. თბ. 1976, გვ. 159-160.

ნამოსაყდრედ 1083 წელს უნდა ეკურთხებინა, ანუ მაშინ როდესაც თავად გაემგზავრა მალიქ-შაჰის კარზე „დიდი თურქობის“ შესაჩერებლად და სელჩუკებთან ზავის დასადებად. აქედან გამომდინარე სევასტოსის ტიტულის მიღება ჰიპოთეტურად 1083 წლით უნდა განისაზღვროს.[69] ამავე წოდებას ატარებს ის 1089 წელს, როდესაც ხდება მისი პირველი გამოშვების მონეტების მოჭრა. აქვე იხილეთ ამ ტიპის მონეტების აღწერილობა:

*„შუბლი – წერტილოვანი რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობელის გამოსახულება წელზევით, თავზე შარავანდით. გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ უნდა იყოს შემოკლებული ბერძნული ლეგენდა, რომელიც ასე იშიფრება: მეტერ თეუ, ანუ დედა ღვთისა*

*ზურგი – მონეტები დაზიანებულია, წრიული, ქართული ასომთავრული წარწერიდან იკითხება მხოლოდ ნაწილი:...ქ/დ/თ აფხ/. ცენტრის ლეგენდიდან – და სევასტოსი. რეკონსტრუქციის შემდეგ მივიღებთ: ქე-ადე-დთ-აფხზთ-მეფე, ქრისტე ადიდე დავით აფხაზთა მეფე და – სევასტოსი“.*[70]

ამდენად, დავით XI საუკუნის 80-იან წლებში სევასტოსის წოდებას ატარებს, ხოლო თუ ზემოხსენებულ ჰიპოთეზას გავიზიარებთ, აღნიშნული პატივი მას 1083 წელს მიუღია. 1089 წლის სამონეტო ემისიის მიხედვით, დავითი იმავე ტიტულს ატარებს, ხოლო მოგვიანებით, სავარაუდოდ მონეტაზე[71] და დანამდვილებით მისი და გიორ-

[69] ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბ. 2006, გვ. 251-252. ვალერი სილოგავა დავითის პირველი ემისიის მონეტებს მისი თანამოსაყდრეობის ხანით 1083/5-1089 წლებით ათარიღებს, რაც არ არის გაზიარებული ნუმიზმატიკის დარგის სპეციალისტების მიერ, მათი უმრავლესობა ამ მონეტებს 1089 წლის მომდევნო პერიოდით ათარიღებენ, იხ.: გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 195; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 65-68; T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. Numismatica e Antichità Classichie. XXIX. 2000, გვ. 390-391; D. M. Lang. Notes on Caucasian Numismatics, გვ. 143-145.

[70] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 194-195.

[71] დავითის მიერ, სავარაუდოდ, პანიპერსევასტოსის ტიტულით მოჭრილი მონეტების შესახებ იხ.: D. M. Lang. Notes on Caucasian Numismatics, გვ. 144. დევიდ მარშალ ლენგის ამ მოსაზრების საწინააღმდეგო თვალსაზრისისათვის, იხ.: გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 195.

გი მეფის მოხსენიებით შექმნილ ერთ-ერთ ანდერძ-მინაწერში ის პანიპერსევასტოსად იწოდება.[72]

საინტერესოა, თუ როდის მიიღო დავითმა პანიპერსევასტოსობა?! აღნიშნული, ჩვენ დაგვეხმარება გავერკვეთ იმაში, თუ როდის დათმო სევასტოსობა შედარებით უფრო მაღალი სენატორული წოდების – პანიპერსევასტოსის სასარგებლოდ. ჩვენი ვარაუდით, დავითს პანიპერსევასტოსობა 1094 წელს უნდა მიეღო,[73] ანუ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაამარცხა და პატივი აჰყარა ლიპარიტ V ბაღვაშს. ორწლიანი პატიმრობის შემდეგ 1096 წელს ლიპარიტი ბიზანტიაში გაასახლეს, სადაც მოგვიანებით აღესრულა.[74] პანიპერსევასტოსობის გაცემა, ერთი მხრივ ბაღვაშების დამარცხებით, ხოლო მეორე მხრივ მართა ბაგრატიონისა და მისი ვაჟის კონსტანტინე პორფიროგენეტის ტახტიდან ჩამოშორების საკომპენსაციოდ უნდა გაეკეთებინა ბიზანტიის იმპერატორ ალექსი I კომნენოსს.[75] ბაღვაშების დამარცხებით ბიზანტიის იმპერიამ

[72] თ. ჟორდანია. ქრონიკები, გვ. 236. თედო ჟორდანია თვლის, რომ ანდერძი, სადაც დავითი პანიპერსევასტოსად იხსენიება შედგენილია 1089-1091 წლებში, თუმცა საამისო მყარი არგუმენტები მას არ მოაქვს, ამდენად ჟორდანიასეულ დათარიღებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

[73] ზურაბ პაპასქირი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სწორედ 1094 წელს მომხდარი მართა ბაგრატიონის დამცრობა უნდა გამხდარიყო საბაბი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების უარყოფისა, რაც დავითმა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა. იხ.: З. В. Папаскири. От Давида до Давида: Из истории международных отношений Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.). Тб. 2001, გვ. 104-106.

[74] ლიპარიტ V ბაღვაშის განდგომის და დამარცხების შესახებ იხ.: ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტომი I. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1955, გვ. 325; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი: ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა. თბ. 1986, გვ. 77-78; მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 180-181.

[75] კონსტანტინე პორფიროგენეტისთვის საიმპერატორო პატივის ჩამორთმევის და მართა ბაგრატიონის შეთქმულებაში მონაწილეობის საბაბით, კონსტანტინოპოლიდან გასახლების შესახებ, იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: ი. ნოდია. მარიამ დედოფალი XI ს. მეორე ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თსუშ არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა. ტომი 183. თბ. 1978, გვ. 151; M. Mullett. The “Disgrace” of the Ex-Basilissa Maria. Byzantinoslavica 45. 1984, გვ. 202-211.

საქართველოში ძლიერი, პოტენციური მოკავშირე დაკარგა, ხოლო ვინაიდან მართას დამცრობასა და მისი ვაჟისთვის საიმპერატორო წოდების აყრას შეეძლო საქართველოს ხელისუფლებასთან პოლიტიკური დაპირისპირების გამოწვევა, გართულების თავიდან აცილების მიზნით, იმპერატორმა დავითს საკარისკაცო წოდება აუმაღლა. ამან, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ურთიერთობის ნორმალიზაციას, რადგან იმავე ლიპარიტ V ბაღვაშს დავითი სწორედ ბიზანტიაში უშვებს გადასახლებაში (1096 წელი).[76] აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს 1096 წლისთვის, ჯერ ისევ ესაჭიროება ბიზანტიის პოლიტიკური მხარდაჭერა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსი I წოდებრივი სისტემის რეფორმაციის შემდეგ სევასტოსისა და მასზე დაფუძნებულ ტიტულებს მხოლოდ ნათესავებზე და უახლოეს პირებზე გასცემდა. დავითი ამ შემთხვევაში, იმპერატორ ალექსის *de jure* დედის მართა (მარია) ბაგრატიონის ძმისშვილი იყო,[77] აქედან გამომდინარე, ის კომნენოსების ნათესავად ითვლებოდა და შესაბამისად არც არის გასაკვირი, რომ მან ჯერ სევასტოსის, ხოლო შემდეგ პანიპერსევასტოსის ტიტული მიიღო. თუმცა მოგვიანებით მეფემ უარი თქვა ამ ტიტულებზე და თავი ავტოკრატორად გამოაცხადა.[78]

## სევასტოსის წოდების ფუნქცია, ფინანსური მხარე და პრივილეგიები

დავუბრუნდეთ ზემოთ დასმულ დილემას – თუ რა სახით მიიღო

---

[76] ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 325; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, გვ. 78.

[77] მართას მიერ ალექსის *de jure* შვილად აყვანის შესახებ იხ.: ა. მიქაბერიძე. მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში. ქდ. ტომი 4. თბ. 1997, გვ. 129; ი. ნოდია. მარიამ დედოფალი XI ს. მეორე ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, გვ. 148; ნიკიფორე ვრიენოსი. „საისტორიო მასალები“. გეორგიკა V. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1963, გვ. 313.

[78] დავითი თვითმპყრობლად 1104 წელს შედგენილ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში იწოდება, რაც ბუნებრივია მიუთითებს ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების ჩამოშორებაზე – ის უკვე საიმპერატორო წოდების მატარებელია. დავითი ავტოკრატორად იმავე წელს უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა ვინაიდან ეს სცილდება სტატიის ძირითად თემატიკას, ამ საკითხს მეტი სიცხადით არ შევეხებით.

ბაგრატ IV-მ სევასტოსის ტიტული?! დაზუსტებით ამ პრობლემის გადაჭრა რთულია, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ მისმა ვაჟმა გიორგიმ ჯერ სევასტოსობა მიიღო და მხოლოდ ამის შემდეგ კესაროსობა. ეს კარგად აჩვენებს კესაროსის, როგორც იმპერატორის შემდეგ მეორე პირის (სანამ სევასტოკრატოსობა იქნა შემოღებული) უპირატესობას სევასტოსთან მიმართებაში. ეს რაც შეეხება გიორგი II-ის მმართველობის პერიოდს; განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე ბაგრატის მეფობის დროს, რადგან ბაგრატს არ მიუღია კესაროსის ტიტული და მან მმართველობა სევასტოსის პატივით დაასრულა.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის მეფობის ხანაში ქართულ მონეტებზე შენარჩუნებულია ბიზანტიური ვლაქერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტების ემისია. ამ ტიპის მონეტათა გამოშვების დასასრული დავით აღმაშენებლის მონეტების მესამე ემისიის მიმოქცევაში შემოსვლას უკავშირდება. ვლაქერნის ტიპის მონეტების გაქრობა ბიზანტიის გავლენის შესუსტების ნიშანია. დავითის მესამე ემისიის მონეტათა შუბლზე საქართველოს მონარქი ბიზანტიის იმპერატორის მსგავსად იმოსება და ატარებს დაახლოებით იმავე საიმპერატორო რეგალიებს, რასაც თავად ბიზანტიის იმპერატორი ალექსი I საკუთარ საფასზე.[79] ბაგრატ IV-ის მონეტაზე კი მონარქის გამოსახულებას საერთოდ ვერ ვხვდებით, ავერსზე ქართველი მონარქის ნაცვლად, ვლაქერნის ღვთისმშობელია აღბეჭდილი, რომელიც, მართალია, საერთო ქრისტიანულ ხატს განასახიერებს, მაგრამ ამასთან ერთად ბიზანტიური ატრიბუციით არის წარმოდგენილი.[80]

ყველაფერი ეს კარგად უჩვენებს საქართველო-ბიზანტიის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს, რომელიც ბოლომდე პარიტეტულ ურთიერთობაზე არ არის აგებული. უფრო მეტიც, განსხვავებით ბიზანტი-

[79] T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography, გვ. 391; გ. დუნდუა. დავით აღმაშენებლის სპილენძის იშვიათი მონეტა. კრ. ისტორიანი – მიძღვნილი რ. მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ. 2006, გვ. 195-196.

[80] T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography, გვ. 389; Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 58-60.

ის იმპერატორისგან, ქართველი მონარქი არ ან ვერ ათავსებს ავტოპორტრეტს საკუთარ ვალიუტაზე.[81]

ბიზანტიაში, მისი რომაული წარსულიდან მოყოლებული, ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში არსებობდა ტრადიცია, იმპერატორთა ბიუსტის მონეტებზე გამოსახვისა, და თუ ქართულ საფასზე ვლაქერნის ღვთისმშობელის გამოსახულება უბრალო კომპილაციას წარმოადგენდა, ლოგიკურია, დავსვათ კითხვა: რატომ არ გადმოიღეს ქართველებმა ბაგრატ IV-ის დროს ბიზანტიური გამოცდილება, საერო ხელისუფალთა მონეტაზე გამოსახვისა?! პრობლემაც იმაშია, რომ ვლაქერნის ტიპის მონეტები არ წარმოადგენდა უბრალო კომპილაციას, ეს ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის აშკარა დადასტურებაა. საქართველოს სუვერენიტეტის ხარისხი მიუხედავად მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა,[82] ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალი იყო, იმისთვის რომ მას კონკურენცია გაეწია ბიზანტიისთვის. ამდენად, საფიქრებელია, რომ მეფე ბაგრატმა სევასტოსობა მიიღო, არა როგორც იმპერატორის ეკვივალენტი, არამედ როგორც რანგით მასზე დაბალი ტიტული.

ამგვარად, ტიტულმა სევასტოსმა 1060 წლისთვის დაკარგა მისი საიმპერატორო პატივი და უმაღლესი რანგის საკარისკაცო ტიტულად იქცა. სევასტოსობის დაქვეითება იმ წოდებრივი რანგების განახლებას უნდა უკავშირდებოდეს, რაც იმპერატორად კურთხევის შემდეგ კონსტანტინე IX დუკამ (1059-1067) დაიწყო. ამ ღონისძიებით იმპერატორმა ადგილობრივი დიდებულების ამბიციების დაკმაყოფილება და

[81] ეს შეეხება შუა საუკუნეების ყველა ადგილობრივ სამონეტო ტიპს დავით IV აღმაშენებლის ჩვენთვის ცნობილ მესამე ემისიის მონეტებამდე (სწორედ ამ მონეტაზე დაიტანეს პირველად ქართველი მონარქის ავტოპორტრეტი), რომელიც სულ ორი ეგზემპლარის სახით არის მოღწეული. ამათგან მეორე ცალი სულ ახლახანს იქნა გამოვლენილი. იხ.: გ. დუნდუა. დავით აღმაშენებლის სპილენძის იშვიათი მონეტა, გვ. 194-204.

[82] ამას თავად ბიზანტიაშიც აღიარებენ. ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე ნიკიფორე ვრიენოსი საქართველოს მეფეს დამოუკიდებელ მმართველს უწოდებს, იხ.: Никифор Вриений. Исторические записки. Перевод с греческого В. Н. Карпова. СПб. 1858, გვ. 51-52; ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ. 1969, გვ. 286.

მათი ფინანსური უზრუნველყოფა შეძლო.[83]

იმპერატორის მიერ სევასტოსისა და სხვა სენატორული წოდებებზე გაიცემოდა ყოველწლიური წყალობა, რომელსაც ბერძნულად როგა (ρογα) ეწოდებოდა. ეს იყო წოდებრივი სისტემის გარკვეული კაპიტალიზაციის მექანიზმი, რომელსაც მუდმივად შემოჰქონდა გარკვეული შემოსავალი თითოეულ წოდებაზე. ასე, მაგალითად: ერთ-ერთ ყველაზე დაბალ სენატორულ ჩინზე – პროთოსპათარზე გათვალისწინებული იყო როგა (წყალობა, ხელფასი) 72 ნომისმის ოდენობით, სხვა თანამდებობებზე აღნიშნული თანხა უფრო მაღალი იყო.[84] როგას გაცემა ხდებოდა წელიწადში ერთხელ აღდგომის წინა კვირას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იმპერატორი სააღდგომოდ დედაქალაქში არ იმყოფებოდა, როგა გაიცემოდა უფრო ადრე.[85]

950 წლის 24 მარტს, ბზობის კვირას კრემონის არქიეპისკოპოსი დაესწრო ყოველწლიური წყალობების გაცემის ოფიციალურ ცერემონიალს და მისი გარკვეული აღწერაც დაგვიტოვა. მისი თქმით, ცერემონიალი იმართებოდა დიდი სასახლის მთავარ დარბაზში, სადაც ცხრამეტი მაგიდა იყო გაშლილი ცერემონიის 228 სტუმარისთვის. მთავარ მაგიდა გაწყობილი იყო ოქროს მონეტებითა და ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილებით, რის შემდეგაც სენატორები რიგ-რიგობით იღებდნენ მათთვის კუთვნილ ყოველწლიურ როგას.[86] სენატორებზე და მთლიანად

---

[83] კონსტანტინე X დუკა არ იყო პირველი ამ წამოწყებაში, მის მმართველობამდე, იგივე პროცესს ჰქონდა ადგილი კონსტანტინე IX მონომახის დროსაც. რაც შეეხება კონსტანტინე დუკას, მის პერიოდში ყველაფერმა ამან სისტემატიური სახე მიიღო, და ფინანსური შემოსავლის წყაროდ იქცა. სენატორული წოდებების გაყიდვა თვით სავაჭრო გილდიის წევრებზეც კი დაიწყო, რამაც ტიტულები ფაქტიურად გააუფასურა. მიხაელ ფსელოსის სიტყვებით, რომ ვთქვათ კონსტანტინე დუკამ ფაქტობრივად მოსპო ტრადიციული განსხვავება სენატორსა და უბრალო მოქალაქეს შორის, რისი შედეგიც მიხაელ ანგოლდის შეფასებით იმპერატორის ავტორიტეტის შესუსტება და დედაქალაქზე კონტროლის დაცემა გახდა. იხ.: M. Angold. The Byzantine Empire 1025-1204, გვ. 95-96

[84] Н. А. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI в. СПб. 1884, გვ. 161.

[85] Н. А. Скабаланович. Византийское государство и церковь, გვ. 161-162.

[86] N. Oikonomides. Income at the Byzantine Court. კრ. Byzantine court culture from

ბიუროკრატიაზე გაცემული თანხები უზარმაზარი იყო. იმპერატორ თეოფილეს დროს (842 წელი) ბიუროკრატიის სახელფასო ფონდი იმპერიის მთლიანი დანახარჯების 16-17%-ს შეადგენდა, რაც საერთო ჯამში დაახლ. ნახევარ მილიონ ნომისმას შეადგენდა. კონსტანტინე VII პორფიროგენეტის დროს ეს იყო 15% – 600 000 ნომისმა, ხოლო ბასილ II დიდის დროს (1025 წლისთვის) 13,5% – 800 000 ნომისმას უდრიდა, ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მთლიანი ხარჯები 5 895 000 ნომისმას შეადგენდა, ხოლო სრული რეზერვები 14 400 000 ნომისმას უტოლდებოდა[87] ყველაფერი ეს უორენ ტრედგოლდის გათვლით ბასილს საშუალებას აძლევდა შეენახა დაახ. 250 000-იანი არმია.[88]

კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) დროს ბიუროკრატიის ხარჯები მისი წინამორბედისგან (ისაკ I კომნენოსი) განსხვავებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმპერატორი ხედავდა რა თუ როგორ გაანაწყენა ისაკ კომნენოსის რეფორმებმა, რომელიც ბიუჯეტის გაზრდაზე იყო ორიენტირებული კონსტანტინოპოლის არისტოკრატია, მათი გულის მოგებას შეეცადა. რის შედეგად, გაიბერა ბიუროკრატიის ხარჯები, აღდგა ძველი წოდებები, მათ მფლობელებს კი განუახლდა და გაეზარდა ხელფასები.[89] ისაკის მსგავსად, კონსტანტინე დუკაც ხედავდა სახელმწიფო შემოსავალის გაზრდის საჭიროებას, მაგრამ წინამორბედის მსგავსად, მას არ შეეძლო ყოველივე ეს გაეკეთებინა ბიუროკრატიის ხარჯზე, რის გამოც კონსტანტინემ მთლიანად დაშალა ე.წ. იბერიის თემის 50 000-იანი არმია[90] და ისინი რეგულარული სამხედრო შენაერთებიდან გადასახადის გადამხდელ მოქალაქეებად გადააქცია. ეს მნიშვნელოვანი დარტყმა იყო მცირე აზიის ბიზანტიური სამფლობელო-

829 to 1024. Ed. by Henry Maguire. Dumbarton Oaks. 1997, გვ. 200-201.

[87] W. Treadgold. A History of the Byzantine State and Society, გვ. 575-577, ტაბ. №13.

[88] W. Treadgold. Byzantium and Its Army 284-1081. Stanford University Press. 1995, გვ. 84-85.

[89] W. Treadgold. A History of the Byzantine State and Society, გვ. 600.

[90] იბერიის თემი აერთიანებდა არამხოლოდ დავით III კურაპალატის სამფლობელოებს, არამედ სომხურ და მთელ რიგ ელინიზირებულ თემებსაც, იხ.: W. Treadgold. Byzantium and Its Army, გვ. 81-83.

ებისათვის. მათ მაგიერ ხელისუფლებამ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის რაზმების მოწვევა დაიწყო.[91]

აღმოსავლეთში ახალი სახის თავდაცვის სისტემის საჭიროება გაჩნდა. დაქირავებულებს იმპერია უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში იყენებდა. ბაგრატზე 1060 წელს სევასტოსის წოდების გაცემა და გარკვეული სამხედრო ფუნქციის დელეგირება,[92] ასევე კახეთ-ჰერეთის დიდი ნაწილის შემოერთება ყოველივე ამის ლოგიკური გაგრძელებაა.[93] ბიზანტიისთვის „იბერიული არმიის“ დაშლის პირობებში, საქართველოს მოკავშირეობა აღმოსავლეთში, სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. სევასტოსობის სახით განხორციელებული გარკვეული ფინანსური დოტაციები, იმპერიის პოლიტიკას პასუხობდა. ბაგრატის სევასტოსობა ბიზანტიას გაცილებით იაფი უჯდებოდა, ვიდრე 50 000-იანი არმიის სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნა.

ამდენად, სევასტოსობა ქართველ მეფეებს ეძლეოდათ არა, როგორც საიმპერატორო წოდებულება, არამედ როგორც საიმპერიო საკარისკაცო ტიტული. უმაღლესი სამხედრო ფუნქციის გარდა, ის თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილს იკავებდა (კესაროსის შემდეგ) ბიზანტიის სენატში. სევასტოსობა უმაღლესი რიგის სენატორულ წოდებებში ერთიანდება, როგორც ალექსი კომნენოსამდე, ასევე მისი მმართველობის პერიოდში, მხოლოდ ალექსის შემდეგ (1118 წლიდან) კარგავს ძველ დიდებას და მეორე რიგის წოდებებში გადაინაცვლებს.[94] ქალების

---

91 S. Vrionis Jr. Decline of Medieval Hellenism in Asia Minor and Process of Islamization from Eleventh through the Fifteenth Century. University of California Press. 1971, გვ. 74-75.

92 ალექსანდრე კაჟდანის შენიშვნით, პროტონოველისიმოსი და ნოველისიმოსის ტიტულები მხოლოდ მაღალი რანგის მთავარსარდლებს ეძლეოდათ ბიზანტიაში, აქვე უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ალექსი კომნენოსმა სევასტოსის წოდება ნოველისიმოსობის შემდეგ, სწორედ სამხედრო სამსახურში ყოფნისთვის მიიღო, იხ.: А. П. Каждан. Социальный состав господствующего класса Византии в XI-XII вв, გვ. 106; Анна Комнина. Алексиада, გვ. 74.

93 კახეთ-ჰერეთის შემოერთების პროცესი თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ჩაშალა იხ.: მატიანე ქართლისა, გვ. 306-309; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, გვ. 150-151.

94 ასეთი რანჟირება, სპეციალური ლიტერატურის კომპლექსური დამუშა-

შემთხვევაში უმაღლეს წოდებად იმპერატორის კარზე სევასტე მიიჩნეოდა.[95] აღნიშნული წოდება ალანთა მეფის ქალიშვილს გადაეცა, რომელსაც ის ატარებდა დაახ. 1050-1055 წლებში.

სენატის სხვა წევრების მსგავსად, სევასტოსები ბიზანტიის იმპერატორისგან მნიშვნელოვან ფინანსურ დოტაციას იღებდნენ, რაც მათ ვალდებულებას ზრდიდა „უნივერსალური სამყაროს" იმპერატორის წინაშე. სევასტოსის ტიტულით იწოდნენ საქართველოს სამი მონარქი:

1. ბაგრატ IV 1060-1072 წლებში.
2. გიორგი II 1073-1076 წლებში.
3. დავით IV 1083-1094 წლებში.

ვების შემდეგ, ალექსანდრე კაჟდანმა შემოიღო, რომლის მიხედვითაც სევასტოსობა განსაკუთრებით საპატიო ტიტულია ალექსი I კომნენოსამდე, ხოლო მის შემდეგ ნელ-ნელა კარგავს ძველ დიდებას და გავლენას, რასაც, ბუნებრივია, მისი დამცრობა მოყვა. იხ.: А. П. Каждан. Социальный состав господствующего класса Византии в XI-XII вв., გვ. 106, 109, 112-115.

[95] Н. А. Скабаланович. Византийское государство и церковь, გვ. 162.

***Leri Tavadze***

# THE TITLE OF SEBASTOS IN MEDIEVAL GEORGIAN POLITICAL REALITY

Summary

Imperial title of Sebastos was Greek correspondence for Latin Autgustus. It had been specially preserved for Emperors of Byzantium. Later the Sebastos was dishonored to senatorial rank and Emperor Alexios I Komnenos (1081-1118) used that title for constructing the new system of court hierarchy that was firmly based on Sebastos.

Reformation of Alexios Komnenos occurred in the beginning of his reign. Sebastos was the derivation used for the male sovereigns and the Sebaste was female form.

At first Sebaste was imperial dignity preserved for Empresses alone, but later favorites, ex-wifes, and unofficial consorts of Emperors possessed that dignity as well. Among the first out of Imperial family who was nominated as Sebaste is Helena, ex-wife of Romanus III Argyrus (1028-1034). Later two favorites of Byzantine Emperor Constantine IX Monomachus (1042-1055) possessed the same dignity. One among them was unknown princess from Alania, daughter of Alanian sovereign. Some historians has doubted of her Alanian origin, and hypothesized that she was from Georgia. According to our research, we have supposed that Alan Sebaste was either the daughter of Dorgholel the Great (1035-1075, c.), King of Alania or the female offspring of Liparit IV Baghvashi Grand feudal of Georgia in 11$^{th}$ century. Emperor was generious in subsidizing all her household. Hence the importance of Alan princess should not be underestimated in Caucasian politics.

Among Georgian kings who used to be the bearers of title of Sebastos are: Bagrat IV (1027-1072 r.), his son Giorgi II (1072-1089 r.),

and  David IV the Restorer (1089-1125 r.), son of Giorgi II. In 1060 new Emperor of Byzantium Constantine X Dukas had granted that title to Bagrat IV. Giorgi II received the title of Sebastos in 1073. The last Georgian ruler named to be Sebastos was David IV the Restorer. He presumably was granted with that title in 1083 when David had been crowned as the co-ruler of his father.

The function of Sebastos was following: The dignity was used to be among the highest ranks of court hierarchy of Byzantine Empire; Emperor provided some financial support so-called *roga* on the behalf of Sebastos; the title also had some military functions. Before the reformation of court system, Sebastos was the highest Senatorial title after Caesar. Later the title was debased. The Chronology of Sebastos in Georgian political reality is following:

1) ‘Alan’ Sebaste – favorite of Constantine IX Monomachus 1050-1055 (presumably of Georgian or Alanian origin).
2) Bagrat IV of Georgia, 1060-1072.
3) Giorgi II of Georgia, 1073-1076/81.
4) David IV the Restorer of Georgia 1083-1094.

## შემოკლებათა განმარტება

თსუშ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

სსმმ – აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე

ქდ – ქართული დიპლომატია

ქწკ – ქართული წარწერების კორპუსი

ქხა – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

ქსძ – ქართული სამართლის ძეგლები

ძსკი – ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან

NC – Numismatic Chronicle

ODB – The Oxford Dictionary of Byzantium. 3 volumes. Oxford University Press. 1991 (Ed. by A. Kazhdan)

REB – Revue des Études Byzantines

НС – Нумизматический сборник

*ეკა კვირკველია*

# სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) ერთი მინაწერის შესახებ

სახარების ოშკური ხელნაწერი (ათონ. 62) XI საუკუნით თარიღდება. იგი ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში ინახება. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მისი ფოტოპირი და მიკროფირი ნომრით Ath. 62. ჩვენი მსჯელობა ემყარება მხოლოდ ფოტოპირს. ხელნაწერზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მასზე მუშაობდა ორი ადამიანი: გადამწერი და რედაქტორი. რედაქტორმა სახარების ტექსტი გაასწორა გიორგი მთაწმინდლის რედაქციის მიხედვით.[1] პირველადი ტექსტი[2] კი, ჩვენი აზრით, წარმოადგენს წმიდა მამის ოთხთავის ქართულ სახარებაზე მუშაობის შუალედურ ეტაპს, როცა რედაქტირების პროცესი ჯერ არ არის დასრულებული და, შესაბამისად, არც ვულგატის ტექსტია საბოლოო სახით ჩამოყალიბებული.[3]

სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) ტექსტზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა მინაწერმა, რომელიც მათეს სახარების 24-ე თავის 36-ე მუხლის გასწვრივ რედაქტორის ხელით არის დაწერილი: *„ესე სიტყუაჲ სამთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე“*[4]

[1] სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) მეორეული, რედაქტორის მიერ გასწორებული ტექსტი აღნიშნული გვაქვს o* ლიტერით.

[2] სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) პირველადი ტექსტი აღვნიშნეთ o# ლიტერით.

[3] თუ რომელი რედაქციის შემცველია სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) პირველადი და მეორეული ტექსტი უკვე შესწავლილი გვაქვს სტატიაში „სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი მათეს სახარების საფუძველზე“. ჟურნ.: „სპეკალი“. III. 2011. http://www.spekali.tsu.ge.

[4] აღსანიშნავია, რომ იმავე შინაარსს გადმოსცემს მარკოზის სახარების XIII თავის 32-ე მუხლიც: „ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, არამედ მამამან“.

[74v]. სიტყვაში ნაგულისხმებია *„არცა ძემან“* (*„ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა,* ***არცა ძემან,*** *გარნა მამამან მხოლომან“*, მათე 24,36). სახარების ოშკური ხელნაწერის (ათონ. 62) პირველად ტექსტში სინტაგმა „არცა ძემან“ ეწერა, მეორეული ტექსტის რედაქტორმა იგი წაშალა და იქვე, მინაწერში, ახსნა, თუ რატომ წაშალა.

სანამ საკითხის უშუალოდ შესწავლაზე გადავალთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სახარების ოშკურ ხელნაწერში რედაქტორის მიერ შეტანილ ცვლილებებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მან ზუსტად იცის, რა უნდა გაასწოროს, რომელი ადგილი რითი უნდა ჩაანაცვლოს. იგი ამ სამუშაოს ძალიან ზუსტად ასრულებს, ტექსტში ზედმეტი ჩარევის გარეშე. ჩვენი აზრით, მეორეული ტექსტის რედაქტორს ხელთ აქვს გიორგი მთაწმინდლის რედაქციის შემცველი დედანი, რომლის მიხედვითაც ასწორებს ტექსტს. ჩვენი აზრით, ის მინაწერი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, სავარაუდოდ, რედაქტორმა იმ დედნიდან გადმოწერა, რომელიც მას ჰქონდა ხელთ.

ბუნებრივად ჩნდება კითხვები: რატომ ამოიღეს ეს სიტყვების ოთხთავების ტექსტიდან? (ქვემოთ დავინახავთ, რომ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია), ანდა რატომ გახდა საგანგებო აღნიშვნის ღირსი ეს ცვლილება?

ქართველმა მეცნიერებმა იმთავითვე მიაქციეს ამ მინაწერს ყურადღება, რაც ქართულ ოთხთავთა ტექსტის მეცნიერულად შესწავლა და გამოცემა დაიწყო. ივ. იმნაიშვილი[5] აღნიშნავს, რომ „არცა ძემან“ ათონური რედაქციის შემცველი სამი ხელნაწერიდან (ვანი H, ეჩმიაძინი I, გელათი K) მხოლოდ გელათს მოეპოვება. ვანისა და ეჩმიაძინის ხელნაწერებში *„არცა ძემან“* არ არის, ხოლო ორივე მათგანში 36-ე მუხლის გასწვრივ აშიაზე ტექსტის ხელით წერია: „არცა ძემან“ – *„ესე სიტყუაჲ სამთა* ***ბერძულთა*** *სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე“ (HI).* ეს მინაწერი სხვაობს სახარების ოშკური ხელნაწერის

[5] ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა. თბ. 1979, გვ. 57.

(Ath. 62) მინაწერისგან იმით, რომ აქ დაკონკრეტებულია, დედნად გამოყენებული სამი სახარება **ბერძნულია**. ივ. იმნაიშვილი მიიჩნევს, რომ მინაწერის ავტორი გიორგი მთაწმინდელია და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა წმიდა მამა თავის თარგმანს. აკ. შანიძესაც მთარგმნელობითი პრინციპების შესახებ ზოგადი მსჯელობისას მაგალითად მოჰყავს ეს მინაწერი[6], მისი ავტორის ვინაობის შესახებ კი კონკრეტულად არაფერს ამბობს. აკ. შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ჯრუჭის (D), პარხლისა (E) და ადიშის (C) ოთხთავებში მათეს სახარების 24-ე თავის 36-ე მუხლი ასე იკითხება: *„ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა,* ***არცა ძემან,*** *გარნა მამამან მხოლომან“.* როგორც ვხედავთ, ამ ნუსხებში სიტყვები „არცა ძემან“ დასტურდება, ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ამ ოთხთავებში დაცული ტექსტი წინაათონური რედაქციისაა.

ცაცა ჭანკიევი[7] დაინტერესებულა ამ მინაწერით და საგანგებოდ შეუსწავლია ოთხმოცამდე XI-XVIII სს-ის ოთხთავი. მისი ვარაუდით, ეს მინაწერი გიორგისეული უნდა ყოფილიყო, ამიტომაც სწორედ ათონური რედაქციის შემცველი ხელნაწერები მოიძია. მკვლევარს ჩვენთვის საინტერესო მინაწერის განსხვავებული ვარიანტები აღმოუჩენია სამ ნუსხაში: Q 883 (XII-XIII), კალკოსისა[8] (XIII) და ართვინის[9] (XI–XII) ოთხთავებში:

**Q 883:** „არცა ძემან კიდევნად ეწერა დედასაცა“.

[6] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.). გამოსცა ა. შანიძემ. თბ. 1945, გვ. 011.
[7] ც. ჭანკიევი. ვანის, ლაბსყალდისა და ეჩმიაძინის ოთხთავთა მიმართებისათვის. ჟურნ.: „მრავალთავი“. IV. 1975, გვ. 10-11.
[8] კალკოსის ოთხთავის აღწერილობა მოცემული აქვს ე. თაყაიშვილს, იგი მას XIII საუკუნით ათარიღებს. აღწერილობაში აღნიშნულია ეს მინაწერი: არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში. თბ. 1938, გვ. 35-36.
[9] ართვინის ოთხთავი აღუწერია ნიკო მარს, იგი მას XI-XII სს. ათარიღებს, აღწერილობაში აღნიშნულია ეს მინაწერი: Н. Я. Марр. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. Тексты и разыскания по ярмяно-грузинской филологии. VIII. СПб. 1911, გვ. 189-190.

**კალკოსის ოთხთავი (XIII ს.):** „სამთა სახარებათა შინა არა ეწე-რა ბერძულთა და არცა მე დავსწერე, მთაწმიდელი იტყვის.“

კალკოსის ოთხთავის მინაწერი განსაკუთრებულად საგულისხმოა იმიტომ, რომ აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ჩვენთვის საინტერესო მინაწერის ავტორი გიორგი მთაწმინდელია. XIII საუკუნის გადამწერს ეჭვი არ ეპარება, რომ იგი ათონელ მამას ეკუთვნის.

ამას გარდა, გადასინჯულ ოთხთავთა შორის ც. ჭანკიევმა აღმოაჩინა ათონური რედაქციის შემცველი სამი ხელნაწერი: H 2070 (XI-XII), H 1782 (XII-XIII) და S 2546 (XVIIIს.), რომლებშიც „არცა ძემან“ არც ძირითად ტექსტშია ჩაწერილი და არც მინაწერია გატანილი კიდეზე, ხოლო A 99 ხელნაწერში (XIIIს.) „არცა ძემან“ ტექსტში ჩამატებულია გადამწერის ხელით.[10] რაც შეეხება ლაბსყალდის ოთხთავს, რომელიც ათონური რედაქციის შემცველი ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავის თანადროულია (XII-XIII სს.) ხელისა და შემკულობის მიხედვით, მათგან იმით განსხვავდება, რომ ტექსტში „არცა ძემან“ წერია, ხოლო მინაწერი, შესაბამისად, არ გვაქვს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზ. სარჯველაძის ინიციატივით ქართული ოთხთავის ტექსტის აკადემიურ გამოცემაზე მომუშავე ჯგუფის (ე. გიუნაშვილი, დ. თვალთვაძე, ს. სარჯველაძე, მ. მაჩხანელი) მიერ მომზადებული მასალების მიხედვით, გიორგი მთაწმინდლის რედაქციის შემცველ სინურ, იერუსალიმურ და ქუთაისში დაცული ოთხთავების ნაწილში „არცა ძემან“ არ არის ამოღებული.[11] რით შეიძლება აიხსნას ამ მუხლის ასეთი ვარიანტულობა ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის ტექსტში?

ცხრილში მოცემულია გიორგი მთაწმინდლის რეცენზიის შემცველი ნუსხების კლასიფიკაცია იმ ნიშნით, თუ რომელი ხელნაწერის 24-ე

---

10 ც. ჭანკიევი, ვანის, ლაბსყალდისა და ეჩმიაძინის ოთხთავთა მიმართებისათვის, გვ. 11.

11 გიორგი მთაწმინდლის რედაქციის შემცველი ნუსხების წაკითხვების შესასწავლად გამოვიყენეთ პროფესორ იოსტ გიპერტის მიერ შექმნილი TITUS-ის ქართული რესურსები. http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/giornt/giorn.htm.

თავის 36-ე მუხლში არის სიტყვები „არცა ძემან“ და რომელში არა:

| **არცა ძემან** | **„არცა ძემან“** არ არის |
|---|---|
| სახარების ოშკური ხელნაწერის ძირითადი ტექსტი Ath. 62 (o#) | სახარების ოშკური ხელნაწერის მეორეული ტექსტი Ath. 62 (o*) |
| გელათი K | ვანი H |
| ლაბსყალდი L | ეჩმიაძინი I |
| Sin- 19, 1074 წ. N | Q 883 (XII-XIII) |
| Sin.Geo.N.12 1075 წ. Σ | კალკოსისა (XIII) |
| Jer-93, XII ს. q | ართვინის (XI–XII) |
| Jer.-122, XIII-XIV სს. J | H 2070 (XI-XII) (მინაწერიც არ არის) |
| Jer.-103 , XIII ს. Z | H 1782 (XII-XIII) (მინაწერიც არ არის) |
| ქუთ.-74 XII- XIII სს. g | S 2546 (XVIIIს.) (მინაწერიც არ არის) |
| ქუთ.-75 XII- XIII სს. z | Jer.-49 , XI ს. Q |
| ქუთ.-182 XII- XIII სს. p | Jer.-153, XII ს. Y |
| ქუთ.-145 XIII- XIV სს. k | Jer.-102, XII-XIV სს. U |

რედაქციულად ოთხთავის ძველი ქართული თარგმანების ათონამდელი პერიოდის შემცველ ნუსხებში,[12] რა თქმა უნდა, ყველგან გვაქვს „არცა ძემან.“

რა მდგომარეობა გვაქვს ბერძნულ ხელნაწერებში? ბერძნულ ნუსხებშიც ისეთივე სიჭრელეა, როგორც ქართულში.[13] შედარებით ად-

---

[12] XOARPSVisbeBTMLhFmGacIwtr – გამოვიყენეთ ქართული ოთხთავის ტექსტის აკადემიური გამოცემის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფის (ე. გიუნაშვილი, დ. თვალთვაძე, ს. სარჯველაძე, მ. მაჩხანელი) მომზადებული მასალები მათ მიერ დათქმული ლიტერების მიხედვით: **X** – ხანმეტი ოთხთავი (VII ს.); **O** – ოპიზის ოთხთავი (913 წ.); **A** – ქსნის ოთხთავი (X ს.); **R** – Sin.-15 (975 წ.); **P** – Sin.-30, Sin.-38 (979 წ.); **S** – Sin.-16 (X ს.); **V** – ვატიკანის ოთხთავი (X ს.); **i** – ქუთ.-176 (X ს.); **s** – S-405 (X ს.); **b** – A-1699, H-1887 (X ს.); **e** – პარხლის ახალი ოთხთავი S-4927 (X ს.); **B** – ბერთის ოთხთავი (X ს.); **T** – წყაროსთავის ოთხთავი (X ს.); **M** – მარტვილის ოთხთავი S-391 (X ს.); **L** – ტბეთის ოთხთავი (995 წ.); **h** – H-1240 (XI ს.); **F** – ურბნისის ოთხთავი (XI ს.); **m** – მესტიის ოთხთავი (1033 წ.); **G** – პალესტინური ოთხთავი (1048 წ.); **a** – ალავერდის ოთხთავი (1054 წ.); **c** – S-962, ქუთ. 688 (1054 წ.); **l** – Q-645 (XI ს.); **w** – ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის №-1 ხელნაწერი (XI ს.); **t** – A-18 (XII ს.); **r** – A-411 (XVI-XVII სს.).

[13] ბერძნული ხელნაწერებში არსებული ვითარების შესასწავლად გამოვი-

რეულ ხელნაწერებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვები ჯერ კიდევ არ არის ამოღებული, ძირითადად IV, V, VI, ზოგჯერ X, XI საუკუნების ნუსხებშიც კი (სავარაუდოდ, მათ გადამწერებს ადრეული ხანის დედნები ჰქონდათ ხელთ). ხოლო „οὐδὲ ὁ υἱός“ ამოღებულია უკვე IX საუკუნის ხელნაწერებიდან და, შესაბამისად, აღარ გვაქვს X, XI, XII, XIII საუკუნის ნუსხებში.

ქვემოთ მოტანილია ცხრილი, რომელშიც დაჯგუფებულია ბერძნული ხელნაწერები იმ ნიშნით, თუ რომელ ნუსხაში არის „οὐδὲ ὁ υἱός“ წარმოდგენილი და რომელში – არა.

| Μαθ.24-36 Περὶ δὲ τῆς ἡμέρας ἐκείνης καὶ ὥρας οὐδεὶς οἶδεν, οὐδὲ οἱ ἄγγελοι τῶν οὐρανῶν οὐδὲ ὁ υἱός, εἰ μὴ ὁ πατὴρ μόνος. | |
|---|---|
| οὐδὲ ὁ υἱός | οὐδὲ ὁ υἱός არ არის |
| B – Rome: Vaticanus (IV) | $\aleph^{c-}$ London: Sinaiticus (IV) (corrector) |
| D – Paris: Bezae Cantabrigiensis (V-VI) | 𝔑 ("Family") – E (Basel VIII), F (Utrecht IX), G (Dresden: Boernerianus IX), H (Hamburg and Cambridge IX), S (London VI), Y (Cambridge IX), Ω (Athos IX). |
| ℵ* – London: Sinaiticus (IV) (original text) | K – Paris (IX) |
| Θ – Tiflis: Koridethi (IX) | L – Paris: Regius (VIII) |
| $f^{13}$ ("Family") – 124 (Vienna XI), 788 (Athens XI), 1346 (Jerusalem X, XI). | Δ – St. Gall (IX) |
| 28 – Paris (XI) | Π* – St. Petersburg and Oxford (X) (original text)<br>$\Pi^{c-}$ St. Petersburg and Oxford (X) (corrector) |
| | $f^{1}$ ("Family") – 1 (Basle XII), 118 (Oxford XIII), $1582^{c}$ (Mt. Athos X, corrector). |
| | 33 – Paris (IX) |
| | 700 – London (XI) |
| | 1424 – Maywood, III (IX, X) |
| | 565 – Leningrad (IX) |
| | 2 – Basle (XII) |
| | 69 – ($f^{13}$) Leicester (XV) |
| | 157 – Rome (XII) |
| | 579 – Paris (XIII) |

ყენეთ გამოცემა: New Tesrament Greek Manuscripts, edited by Reuben J. Swanson, Sheffield Academic Press, Sheffield, England. 1995.

| | |
|---|---|
| | 1071 – Mt. Athos (XII) |
| | M – Paris (IX) |
| | U – Venice (IX) |
| | W – Washington: Freer Gospels (V) |

როგორც ვხედავთ, ბერძნულ ხელნაწერებს შორის მეტია იმ ნუსხათა რაოდენობა, რომლებშიც „οὐδὲ ὁ υἱός“ ამოღებულია. ჩვენ მიერ შესწავლილ ქართულ ოთხთავებში კი თანაბარი სურათი გვაქვს თუმცა, ცხადია, ათონური რედაქციის შემცველ ქართულ ოთხთავთა ეს ნუსხა სრული არ არის.

ბერძნულ ხელნაწერთა ცხრილის მიხედვით, ორი ადრეული ხანის ოთხთავი, რომელებშიც **„οὐδὲ ὁ υἱός“** ამოღებულია, არის **W** ლიტერით აღნიშნული ვაშინგტონში დაცული მანუსკრიპტი (Vს.) და L ლიტერით აღნიშნული პარიზში დაცული ხელნაწერი (VIII ს.).

რა მდგომარეობაა სომხურ და სირიულ ხელნაწერებში?[14] V საუკუნის სომხურ მანუსკრიპტებში (arm – Künzle edition 1984; Zohrab edition 1805) „არცა ძემან“ გვაქვს. ოთხი სირიული ხელნაწერიდან სინტაგმა „არცა ძემან“ დასტურდება ერთ VI საუკუნის პალესტინურ ნუსხაში ($syr^{pal}$), ხოლო სამ მათგანში ამოღებულია ($syr^{s}$ – Sinaitic III-IVსს., $syr^{p}$ – Peshitta V ს. I ნახევარი, $syr^{h}$ – Harklensis 616წ). საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამივე ადრეული ხანის ნუსხაა. როგორც ჩანს, აზრთა სხვადასხვაობამ **„οὐδὲ ὁ υἱός“**-ის ოთხთავის ტექსტში ყოფნა-არყოფნის შესახებ უფრო ადრე იჩინა თავი. ჩვენთვის საინტერესოა, მაინც რა გახდა მიზეზი **„οὐδὲ ὁ υἱός“**-ის ამოღებისა მათეს სახარების ტექსტიდან ჯერ ბერძნულ და სირიულ, შემდეგ კი ქართულ ხელნაწერებში და რატომ აღნიშნა ეს ცვლილება საგანგებო მინაწერში გიორგი მთაწმინდელმა?

ამ მუხლის ეგზეგეტიკურმა განმარტებამ პასუხი გასცა ზემოთ დასმულ შეკითხვებს. ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებში ერეტიკო-

[14] სირიული და სომხური ნუსხების შესასწავლად გამოვიყენეთ გამოცემა: The Greek New Testament, Fourth Revised Edition edited by Barbara Aland, Kurt Aland, Deutsche Bibelgesellschaft, United Bible Societies. Stuttgart. 1994.

სები მას არასწორად განმარტავდნენ.

ქრისტიანული მრწამსის მიხედვით, იესო ქრისტე არის სამების ერთი ჰიპოსტასი, განკაცებული ღმერთი ღვთიური და ადამიანური ბუნებით, სრული ღმერთი და სრული კაცი, მიმღები ყველა ადამიანური თვისებისა, გარდა ცოდვისა. შესაბამისად, იესო ქრისტემ, ღვთიური ბუნების მქონემ, რა თქმა უნდა, იცის მეორედ მოსვლის ჟამის შესახებ. მაშ, რატომ არის სახარებაში ნათქვამი, რომ მეორედ მოსვლის ჟამი ძე ღმერთმაც კი არ იცის? იოანე ოქროპირი 24-ე თავის 36-ე მუხლის, „ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, **არცა ძემან,** გარნა მამამან მხოლომან“, თარგმანებისას პირდაპირ ამბობს, რომ ეს სიტყვები მრავალი ცრუ სწავლების მთავარ იარაღად ქცეულა. წმიდა მამა განმარტავს: ქრისტეს მოწაფეებს სურდათ, სცოდნოდათ მეორედ მოსვლის ჟამი, მაგრამ უფალი ეუბნება მათ, არც ანგელოზებმა იციანო და ამატებს, არცა ძემანო, რათა არ შეეწუხებინათ ზედმეტი კითხვებით. ხოლო რომ ეთქვა, არ გეტყვითო, ამის გამო მოციქულები შეწუხდებოდნენ. „ხოლო დღე იგი და ჟამი არა მიუთხრა განგებითა მით, რომელი მან მხოლომან უწყის, რამეთუ ეგრეთ ჯერ-იყო, რაჲთა განცხადებულად დღე იგი არავინ იცოდის. ხოლო სასწაულნი ყოველნი და საქმენი მათ ჟამთანი გუაუწყნა, რაჲთა ცნან ყოველთა, რომელნიცა გონებისა უფალ არიან, ვითარმედ არა თუ იგი უმეცარ იყო დღისა მისთვის, არამედ ჩუენთჳს არა ჯერ-იყო მისი ცნობაჲ“.[15]

ამ მუხლის, როგორც ედიშერ ჭელიძე წერს, ორი ერეტიკული გაგება არსებობდა, არიანული და ნესტორიანული: არიოზის სწავლებით, ძემ ნამდვილად არ იცის მეორედ მოსვლის ჟამი საღვთო ბუნებით. შესაბამისად, იგი არის არა ბუნებითი ღმერთი (რადგან ღმერთი ყოვლისმცოდნეა), არამედ **ქმნილება** (რადგან სწორედ ქმნილების ბუნებითი თვისებაა სამომავლო საქმეთა უმეცრება).

ნესტორიანული მოძღვრების მიხედვით, ძემ ნამდვილად არ იცის

[15] წმ. იოანე ოქროპირი. თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ. თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა. წ. III. თბ. 1998, გვ. 324-327.

მეორედ მოსვლის ჟამი კაცობრივი ბუნებით. ამის შესაბამისად, რადგან ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად ვერანაირად ვერ იქნება რაიმეს მცოდნეც და არმცოდნეც, საქმე უნდა გვქონდეს არა ერთ პიროვნებასთან, არამედ ორთან, არა ერთ ძესთან არამედ ორთან, რომელთაგან ერთმა, მამა ღმერთის ძემ, იცის (საღვთო ბუნებით), ხოლო მეორემ, კაცის ძემ, იესო ქრისტემ, არ იცის (კაცობრივი ბუნებით). ეს ნიშნავს, რომ ძე ღვთისა არ განკაცებულა, არამედ იგი როგორც პიროვნება, როგორც მეორე პირი ყოვლადწმიდა სამებისა მხოლოდ შეუერთდა ადამიან-პიროვნებას, იესოს.[16]

ჩვენი მიზანი არ არის ამ საკითხზე პოლემიკის გაგრძელება. ედიშერ ჭელიძეს სავსებით ნათლად და მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმიდა მამათა პოზიცია ამ საკითხის შესახებ.[17] ჩვენი კვლევის საგანი მხოლოდ ერთი მინაწერია. ვეცადეთ, დაგვედგინა, ვინ არის მისი ავტორი და რატომ იყო საჭირო მისი არსებობა.

ჩვენი აზრით, სწორედ ერეტიკული სწავლებებისა და არასწორი განმარტებების გამო გახდა ეს მუხლი საცილო. ეკლესიის მესვეურებმა წვალებებისგან თავის ასარიდებლად საჭიროდ მიიჩნიეს, მათეს სახარების 24-ე თავის 36-ე მუხლიდან სიტყვები „არცა ძემან“ საერთოდ ამოეღოთ. ბერძნული პრაქტიკა გაიზიარეს ქართველებმაც. ამიტომაც ბერძნულ და ქართულ ხელნაწერთა ნაწილში ამოღებულია სიტყვები „არცა ძემან“, ნაწილში კი დარჩა ძველი ვარიანტი. გიორგი მთაწმინდელს ჰქონდა რა ხელთ სამი სარწმუნო ბერძნული დედანი, რომლებშიც **„οὐδὲ ὁ υἱός“** უკვე აღარ იყო, მანაც ქართული ოთხთავის რედაქტირებისას ამოიღო ეს სიტყვები, მაგრამ მინაწერში აღნიშნა, რომ სამი ბერძნული ნუსხის მიხედვით ხელმძღვანელობდა და რომ ეს არ იყო მისი პირადი ინიციატივა.

16 ე. ჭელიძე, მართლაც ვის შემოაქვს შფოთი და დამღუპველი მოძღვრებანი საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში? თბ. 2004, გვ. 14.

17 ე. ჭელიძე, მართლაც ვის შემოაქვს შფოთი და დამღუპველი მოძღვრებანი საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში?

***Eka Kvirkvelia***

# ABOUT ONE COLOPHON OF THE GOSPEL'S OSHKI MANUSCRIPT (ATHON 62)

Summary

24th chapter, 36th verse from the Gospel of Matthew bears the following: "*But about that day or hour no one knows, not even the angels in heaven, nor the Son, but only the Father*". Words "*nor the son*" is omitted in the major Greek Gospels and several Georgian Manuscripts of the Athonian version.

Manuscript of Oshki (Athon 62) has a note along those words: "*those words are not written in three gospels, neither did I*" (according to some Manuscripts we have "*three Greek Gospels*"). Colophon belongs to st Giorgi Mtatsmindeli (the Athonite). In our opinion, at first, the words "*nor the son*" were omitted in the Greek Gospels (also the Syrian) for the reasons of herecy. Presumably, due to the Greek influence, Giorgi ommited it from the Georgian Athonian version, still he thought necessary to remark this in his note.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*ნესტან ბაგაური*

# გაბრასები – მცირეაზიელი ტოპარხები (ტენდენცია და ანალოგიები)

1204 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას მკვლევართა ნაწილი XIII საუკუნის დასაწყისში შექმნილი საერთაშორისო ვითარების (კონსტანტინოპოლის აღება ჯვაროსანთა მიერ) მექანიკურ შედეგად თვლის, ნაწილი კი თამარ მეფის წარმატებულ საგარეო პოლიტიკას მიაწერს.

აღნიშნული პრობლემატიკის კვლევისას, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ტრაპიზონის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნამდე ოთხი საუკუნით ადრე, იმავე ტერიტორიაზე არსებული ხალდიის თემის ნახევრადდამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესისათვის თვალის მიდევნება.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ამ საკითხის რამდენიმე ასპექტი:

- ხალდიის, როგორც ბიზანტიის პროვინციის მნიშვნელობა და მისი ავტონომიურობის ხარისხი;
- გაბრასების, როგორც ხალდიის თემის მმართველების როლი;
- გაბრასების ეთნიკური კუთვნილება და, ზოგადად ხალდიის თემის ეთნიკური შემადგენლობის მნიშვნელობა;
- მცირე აზიის სხვა პროვინციების მმართველი საგვარეულოების პოლიტიკური მდგომარეობისა, თუ მათი ორიენტაციის შესწავლის გზით გამოვლენილი ანალოგიები;
- ბიზანტიის დეცენტრალიზაცია და საქართველო.

ბიზანტიის იმპერიისთვის ხალდია პოლიტიკური და ეკონომიკური

თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროვინცია იყო. იგი IX საუკუნეში ჩამოყალიბდა, ხოლო X საუკუნეში ის აზიის 17 თემის ჩამონათვალშია მოხსენიებული.[1] იმავე საუკუნეში ეს ერთეული ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. აღნიშნული რეგიონი სელჩუკების გამოჩენის პერიოდში ბიზანტიისთვის მეტად მნიშვნელოვან, სტრატეგიულ ოლქს წარმოადგენდა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ქ. ტრაპიზონზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებდა. გზა სათავეს იღებდა თავრიზში, შავი ზღვის სანაპიროს გავლით ქალაქ ბათუმში შემოდიოდა, მოუყვებოდა ვიდრე ტრაპიზონამდე, შემდეგ კი სამსუნისკენ და სინოპისკენ მიემართებოდა.

ხალდიის მხარის ნახევრადდამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესში, მნიშვნელოვანია ამ მხარის გეოგრაფიული თავისებურებები. ამ თვალსაზრისით ხალდიის პროვინცია წარმოადგენს ბუნებრივად ჩაკეტილ რეგიონს, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, მდინარე ჭოროხის შესართავიდან, ვიდრე მდინარე ყიზილ-ირმაქამდე (ღალისი) იშლება; მას ჩრდილოეთით შავი ზღვა საზღვრავდა, ხოლო სამხრეთით პონტოს, იგივე ჩრდილოეთ ანატოლიის მთები, რომლებიც განსაკუთრებით მაღალი და ძნელადგადასალახი აღმოსავლეთ ნაწილშია აქ კლდიანი მწვერვალების სიმაღლე 3-4 ათას მეტრს აღწევს. ანატოლიის შიდა რეგიონებიდან აღნიშნულ მთათა სისტემების გადალახვა მხოლოდ რამდენიმე ძნელადგასავლელი უღელტეხილის დაძლევით შეიძლებოდა, რომლებიც, როგორც წესი, შესაძლო თავდასხმისაგან საიმედოდ იყო დაცული. ასე რომ, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ხალდიის პოზიციას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ბიზანტიის, ისე თურქ-სელჩუკებისთვის.[2]

ბიზანტიის იმპერიის ამ მნიშვნელოვანი პროვინციის მმართველები

[1] კონსტანტინე პორფიროგენეტი. De thematibus. გეორგიკა. წგნ.: VI. ნაკვეთი II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1952, გვ. 296, 300.

[2] С. П. Карпов. История Трапезундской империи. СПб. 2007, გვ. 27.

იყვნენ ადგილობრივი წარმოშობის ბიზანტიელი მოხელეები – გაბრასები, რომლებმაც ტრაპიზონში დამკვიდრების შემდეგ მტკიცე მდგომარეობა მოიპოვეს.

გაბრასების მიერ ხალდიაში პოზიციების თანდათანობით გამყარების პროცესის განმაპირობებელი ფაქტორი იყო ერთი მხრივ, გარე ძალები (სელჩუკთა'' მოძალება, ბიზანტიის დეცენტრალიზაციის პროცესი), მეორე მხრივ კი, შიდა პროცესები: სეპარატისტული ძალების ხასიათი ბიზანტიის იმპერიაში, ხალდიის თემის ეთნიკური შემადგენლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერ სამხედრო და პოლიტიკურ ადმინისტრაციაზე დამყარებულმა ბიზანტიის იმპერიამ ბრძოლებით მოპოვებული ტერიტორიების სრული ელინიზაცია ვერ შეძლო. პროვინციებში ადგილობრივი ეთნიკური მომენტები ხშირად პოლიტიკური ამბიციებისა და აჯანყებების საფუძველიც ხდებოდა. ეს პირველ ყოვლისა შეიძლება ითქვას აღმოსავლეთის, ანუ მცირეაზიურ თემებზე. ხალდიის თემში ლაზური ელემენტი ყოველთვის დომინანტი იყო.

აღსანიშნავია ხალდიის თემის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც დიდწილად განაპირობებდა ქ. ტრაპიზონი. ხალდიის თემის ცენტრის, ქ. ტრაპიზონის სავაჭრო-ეკონომიკური წრეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლებად ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი კონსტანტინოპოლზე. სწორედ ამიტომ იყო, რომ ხალდიის ვაჭარ-ხელოსანთა წრეები XI საუკუნის დასასრულისა და XII საუკუნის დასაწყისისთვის მხარს უჭერდნენ ხალდიის ნახევრადდამოუკიდებელ მმართველებს, გაბრასებს, მოგვიანებით კი – დევნილ კომნენოსებს.

პონტოში ხალდიის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი საყრდენი ადგილობრივი არისტოკრატიაა. ნიშანდობლივია, რომ ტრაპიზონის იმპერიის დიდგვაროვნები, ისეთები როგორებიც იყვნენ დორანიტისები, კომახინოსები, კავასიტისები, მიზომატისები, ჭანიხიტისები არ იყვნენ წარმოდგენილნი XI-XII საუკუნეების ბიზანტიის საიმპერატორო ელიტაში, ამიტომ ისინი ილწვოდნენ საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლება ადგილზე განემტკიცებინათ, რაც თავის თავში უკვე გულისხმობდა სეპარატისტულ მისწრაფე-

ბებს. გარდა ამისა, იგივე დიდებულები დაინტერესებულნი იყვნენ ტრაპიზონის, როგორც სავაჭრო ემპორიის შემოსავლები მაქსიმალურად ადგილზე დარჩენილიყო და არ წასულიყო კონსტანტინოპოლის ხაზინის სასარგებლოდ.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც შესაძლოა განვიხილოთ გაბრასებისთვის პოლიტიკურ საყრდენად: XI საუკუნის დასასრულისთვის პონტოს მოსახლეობა სელჩუკთა მოძალებული თავდასხმებით შეწუხებული იყო. მოსახლეობის ეს ფენა, ბუნებრივია იმ ძალის საყრდენი და მოკავშირე გახდებოდა, ვინც სელჩუკთაგან მათ ორგანიზებულ და ძლიერ დაცვას უზრუნველყოფდა. სწორედ ასეთ ძალას წარმოადგენენ გაბრასები.

გაბრასების საგვარეულო ალექსი კომნენოსის (1081-1118 წწ.) პერიოდიდან მოყოლებული, ტრაპიზონის წარჩინებულ სახლად გვევლინება. მისი პირველი წარმომადგენელი, თეოდორე გაბრასი, წყაროების მიხედვით, ადგილობრივი წარმოშობისა იყო – „ხალდიის ზემო მხარეებიდან“.[3] ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა იგი ტრაპიზონის დუქსად დანიშნა. ეს სახელო, თეოდორეს იმპერატორმა უბოძა არა იმიტომ, რომ ენდობოდა მას, არამედ იმის გამო, რომ ამ გზით „თავზეხელაღებული“ დიდებული[4] დედაქალაქიდან მოიშორა და მის მიერვე თურქთაგან გამოხსნილი ტრაპიზონის დუქსად დანიშნა. როგორც ჩანს, ეს ერთადერთი, მაგრამ არა საუკეთესო გამოსავალი იყო, რადგან თეოდორე კვლავ „თვითმპყრობელის წინააღმდეგ მოქმედებდა[5] და ტრაპიზონს ისე უყურებდა, როგორც საკუთარს“. ანა კომნენას მიხედვით, თეოდორე „თავისი გონიერებით და მამაცობით ყველას სჯობდა და ამიტომ დაიმსახურა გამოჩენილი მეომრის სახელი; მცირე საქმესაც რომ მიეკარებოდა, არასოდეს არ გაუცუდებია, არამედ მუდამ ყველა

[3] ანნა კომნენოსი. ალექსიადა. წგნ.: VI. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966, გვ. 111.
[4] ანნა კომნენოსი. ალექსიადა, გვ. 111.
[5] ანნა კომნენოსი. ალექსიადა, გვ. 110-111.

მოწინააღმდეგეს სძლევდა ხოლმე და, თვით ტრაპეზუნტი რომ აიღო და როგორც საკუთარი წილხვედრილი მიითვისა, უძლეველი გახდა“.[6]

თეოდორეს ლაზური წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. ამას გიორგი პახიმერეც აღნიშნავს, თუმცა სულ სხვა კონტექსტში, კერძოდ, როდესაც ის საუბრობს მიხეილ VIII პალეოლოგოსის მიერ 1267 წლიდან კონსტანტინოპოლის პატრიარქად გერმანეს (კონსტანტინოპოლის პატრიარქი 1267 წელს) დანიშვნაზე, აღნიშნავს, რომ უკანასკნელი იყო „ტომით სრულიად ნამდვილი ლაზი, სწორედ ისევე როგორც გაბრა“.[7]

ანა კომნენოსის თხზულებაში თეოდორეს შემდგომ დროინდელ ამბებსაც ვხვდებით. ალექსი კომნენოსს სურდა თეოდორე თავის ოჯახთან ქორწინებით დაეკავშირებინა და ამ გზით შემოერიგებინა. თეოდორეს ვაჟი გრეგორიოსი იმპერატორ ალექსის ძმის, ისაკ სებასტოკრატორის ერთ-ერთ ქალიშვილზე დაინიშნა. ქორწინება დანიშნულთა სრულწლოვანებისას უნდა შემდგარიყო. კონსტანტინოპოლში ჩასული უმცროსი გაბრასი ფაქტობრივად მძევლად იქცა, რადგან მოულოდნელად დაქვრივებულმა თეოდორემ ისაკ სებასტოკრატორის ცოლის ბიძაშვილზე ხელახლა იქორწინა. ორ საგვარეულო სახლს შორის არსებული საქორწინო შეთანხმება დაირღვა. უმცროსი გაბრასი რამდენიმე ხანს დედოფლის გარემოცვაში ცხოვრობდა. მან გაქცევაც სცადა, რაც კეისრის წინააღმდეგ შეთქმულებას დაუკავშირდა – მამამ იგი ხომალდით გაიტაცა, თუმცა, იძულებული გახდა უკან დაებრუნებინა კეისრისთვის. ალექსიმ გაქცეული საპატიო ტყვე ფილიპოპოლისში გამოკეტა.[8]

ამის შემდგომ, თეოდორე ტრაპიზონში რა კონსტიტუციური და ინსტიტუციური სტატუსით მოღვაწეობდა უცნობია. ფაქტი ისაა, რომ ის სიკვდილამდე ტრაპიზონის უდაო ბატონი იყო. ის 1098 წელს

---

[6] ანნა კომნენოსი. ალექსიადა, გვ. 111, გვ. 112.

[7] გიორგი პახიმერე. ისტორია. წგნ.: VII. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. მეორე შევსებული გამოცემა თბ. 1965, გვ. 58.

[8] J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210). München. 1974, გვ. 22-23; Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. III. М. 1948, გვ. 600.

სელჩუკებმა ერზრუმთან მოკლეს.[9]

თეოდორეს შემდეგ ტრაპიზონს მართავდა ბიზანტიელთა მიერ დასმული დაბატენოსი, რომელიც ჩვენ ამჯერად ნაკლებად გვაინტერესებს. 1103 წლის შემოდგომისთვის კი ტრაპიზონის დუქსი იყო გრეგორიოს ტარონიტესი. შეუძლებელია დაბეჯითებით იმაზე საუბარი, ეს გრეგორიოსი ზემოხსენებული თეოდორეს შვილია თუ ალექსის კარზე მყოფი იოანე ტარონიტესის ძმისშვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტარონიტესიც გაბრასებს ენათესავებოდა.[10]

გრეგორიოსის პროთურქული ორიენტაცია აშკარაა. მან დააპატიმრა ბიზანტიის მიერ დანიშნული დაბატენოსი, ასევე მისი მომხრეები და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ალექსი იძულებული გახდა 1105-1106 წლებში მის წინააღმდეგ იოანე ტარონიტესი გაეგზავნა. თურქთა მხარდაჭერის მიუხედავად, გრეგორიოსი დამარცხდა და ტყვედაც ჩავარდა, თუმცა 1107 წელს ის შეიწყნარეს და გაუშვეს.

1117 წელს გრეგორიოსი კვლავ ტრაპიზონში ჩანს. სელჩუკთა შიდაპოლიტიკურ კონფრონტაციაში მონაწილეობის საპყრობილეში გამო ის კიდევ ერთხელ აღმოჩნა. იქიდან თავის დაღწევა მას დიდ გამოსასყიდად დაუჯდა.[11] შემდეგ ტრაპიზონის დუქსი ნიჭიერი ბიზანტიელი სარდალი კონსტანტინე გაბრასი. მის შესახებ ცნობები ჩანს 1123 წელს. ნიკიტა ხონიატეს მიხედვით, იმპერატორი იოანე II კომნენოსი (1118-1143 წწ.) იძულებული გახდა მის დასამორჩილებლად გაელაშქრა. Iმპერატორია „გადაწყვიტა დაესაჯა არმენიაკთა თემში შეჭრილი ბარბაროსები და, ამავე დროს შეეპყრო კონსტანტინე გაბრა, რომელსაც უკვე კარგა ხანია დაემორჩილებინა ტრაპეზუნტი და მართავდა მას ტირანული წესებით“.[12]

---

[9] თ. დუნდუა. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებლი და თეოდორე გაბრასი. თბ. 2003, გვ. 4.

[10] J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 23-24.

[11] J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 24.

[12] ნიკეტა ხონიატე. ისტორია. წგნ.: VI. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანი-

ბიზანტიის იმპერატორი იოანე კომნენოსი ტახტზე 1118 წელს ავიდა, ხოლო კონსტანტინე ამის შემდეგ მალე გახდა „დუქს ხალდიას“. რეალურად ის ნამდვილი ტოპარხი იყო – სასაზღვრო ზონის ერთადერთი მფლობელი წლების განმავლობაში. როცა თურქ-სელჩუკები შავ ზღვამდე შეიჭრენ და მთელი რიგი ადგილები დაიკავეს (მელიტენე, ანკარა, კასტამუნი და სხვ.), გაბრასისთვის ხელსაყრელი დრო დადგა, მან თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ეს თავისუფლება 15 წელს გრძელდებოდა, ვიდრე 1139 წლამდე, როდესაც იოანე II-ის ლაშქრობის შედეგად შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო – ბითვინია, პაფლაგონია და პონტო – კვლავ ბიზანტიამ შემოიმტკიცა. გაბრასი იძულებული გახდა ბიზანტიის მორჩილება ეღიარებინა. ამიერიდან კონსტანტინე დუქსია როგორც დე ჯურე ისე დე ფაცტო, ანუ ის ბიზანტიის იმპერატორის მოხელეა – მხოლოდ ბასილევსის ნაცვალია ტრაპიზონის მხარეში.[13]

წყაროებში კონსტანტინე გაბრასის სახელი კიდევ ერთხელ 1163-64 წლების ამბებთან დაკავშირებით ჩნდება, როგორც კეისარ მანუელის (1143-1180 წწ.) ელჩისა კილიჩ-არსლან I-თან იკონიაში[14].

წყაროებში დაცულია ცნობები გაბრასთა ოჯახის წარმომადგენლებზე, რომლებსაც სრულად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდათ. ამ საგვარეულოს პოლიტიკური დიაპაზონი მხოლოდ კონკრეტული ტოპარხიით და ერთი პოლიტიკური მიმართულებით რომ არ შემოიფარგლებოდა ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზოგი გაბრასი რუმის სელჩუკთა სამსახურში ჩადგა. იოანე კინამოსის თქმით, კეისარ მანუელის თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ წარმატებული ლაშქრობის დროს ტყვედ იგდეს და სიკვდილით დასაჯეს გაბრასი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის იმპერიიდან იყო, აღზრდილი გახლდათ თურქებთან და ერთ-ერთი პროვინციის მმართველი გახდა.

თურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966, გვ. 126-127.

[13] Jürgen Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 24-25.

[14] ანნა კომნენოსი. ალექსიადა, გვ. 25.

1175 წელს ჩანს სარდალი მიხეილ გაბრასი, რომელსაც კეისარ-მა მანუელმა ამასიის ალყა დაავალა და მას ტრაპიზონის ჯარები დაუქვემდებარა.[15] ეს მიხეილ გაბრასი დაქორწინებული იყო ევდოკია კომნენოსზე, ანდრონიკე I-ის (1183-1185 წწ.) ყოფილ საყვარელზე. წყაროები მას სხვა ბრძოლებშიც იხსენიებენ.[16]

ამ საომარი მოქმედებების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ, სულთანმა კილიჩ არსლან II-მ მოლაპარაკება დაიწყო ხან ბიზანტიის იმპერატორთან, ხან სალაჰ-ად დინთან. ამ დროს მისი წარგზავნილი გახლდათ იხტიარ ად-დინ ჰასან ბენ გაბრასი. იგივე პიროვნება ჩანს ამასიის ალყის დროს, მირიოკეფალონთან მანუელი მარცხისა (1176 წ.) და იერუსალიმის აღების (1187 წ.) შემდეგ.[17]

სახელიდან გამომდინარე, გაბრასთა გვარის ეს წარმომადგენელი მუსლიმია. მეტიც, გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ჰასან ბენ გაბრასი იმ გაბრასის შვილია, რომელიც 1146 წელს ბიზანტიელებმა სიკვდილით დასაჯეს.[18] ამ პიროვნებას სულთნის კარზე დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა. შესაძლოა ის ერთ-ერთი ვეზირიც იყო. მისი სიკვდილის შესახებ სხვადასხვა ცნობებია შემორჩენილი. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, 1189 წელს კილიჩ არსლანის ვაჟმა მოახერხა სულთანსა და ბენ ჰასანს შორის უნდობლობის დათესვა და გაბრასს თავის გადასარჩენად ტრაპიზონის სამხრეთით მოუწია გადასვლა, ე. ი. თავის მამულში დაბრუნდა, თუმცა გზაში თურქებმა მოკლეს (1189 წ.).[19] სხვა წყაროს მიხედვით, გაბრასს უჩივლეს კილიჩის მოწამლვის გამო. მისმა ვაჟმა კი ის 1192 წელს სიკვდილით დასაჯა.[20]

[15] იოანე კინამოსი. ისტორია. წგნ.: VI.გეორგიკა. 151-152.
[16] იოანე კინამოსი. ისტორია. წგნ.: VI. გეორგიკა. გვ. 146-147
[17] J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 26.
[18] J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 26.
[19] J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 26.
[20] გიორგი კედრენე. ისტორიული მიმოხილვა. წგნ.: V გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ

ჰასან ბენ გაბრასის მსგავსად მაღალი თანამდებობისთვის სხვა გაბრასებს არ მიუღწევიათ თურქების კარზე, თუმცა წყაროებში ვხედავთ კიდევ ერთ გაბრასს, რომელსაც იოანე ერქვა. იგი, მართალია ქრისტიანი იყო (სახელის მიხედვით), თუმცა სულთან ქაიხობადის სამსახურში ჩანს და 1235 წელს სულთნის მიერ რომის პაპთან წარგზავნილი ელჩობის წევრია. აშკარაა, რომ ის ჰასანის შთამომავალი არაა და, სავარაუდოდ, ტრაპიზონელ ტოპარხთა შტოსთან გვაქვს საქმე.[21]

1235 წელს კიდევ ვხვდებით ერთ ქრისტიან გაბრასს მელიტენეში, რომელიც საექიმო პრაქტიკით ყოფილა დაკავებული.

პროფ. თ. დუნდუა გაბრასთა ასეთ დაქსაქსვას შემდეგნაირად ხსნის: „გაბრასების ხალდეური მამული ექსპროპირებულია, საჯარო დე ფაცტო ხელისუფლება კი „უზურპირებულია“ კომნენოსთა მიერ“.[22]

როგორც ვნახეთ, საუკუნეთა მანძილზე ტრაპიზონი გაბრასთა სამფლობელოს წარმოადგენდა. ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იყო ამ პროვინციის მმართველობა გაბრასებისთვის მიენდო, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი, მყარად დაფუძნებული საგვარეულოს მმართველობა უკვე სეპარატიზმის საფუძველი იყო. მაგრამ ბიზანტიის კეისრები სავსებით გარკვევით ხედავდნენ, რომ ეთნიკურად განსხვავებული თემა მხოლოდ ამგვარი მიდგომით შეეძლოთ ემართათ და არა მათთან კონფრონტაციის გზით.

მცირე აზიაში თითქმის დამოუკიდებელი ტოპარხიის შექმნის თვალსაზრისით, გაბრასთა საგვარეულოს მაგალითი ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, თუმცა, ეს ტენდენცია რომ გამონაკლისი არ იყო ამის საილუსტრაციოდ შევეცადეთ მოგვეხმო ანალოგიები. ბიზანტიის პროვინციულ თემებში ეთნიკური კუთვნილება ტოპარხებს მეტი სიმყარისა და დამოუკიდებლად მართვის საშუალებას აძლევდა. ერთ-ერთი, ასეთი ადგილობრივი წარმომავლობის ტოპარხი გახლათ თეოდორ მან-

ყაუხჩიშვილმა. თბ. 1963, გვ. 20).

[21] J. Hoffmann. Rudimente von Terrirorialstaaten im Byzanrinischen Reich (1071-1210), გვ. 27.

[22] თ. დუნდუა. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია: დავით აღმაშენებლი და თეოდორე გაბრასი. თბ. 2003, გვ. 6.

კაპა, რომელსაც 1188-1193 წლებში ფილადელფია და მახლობელი მდიდარი მხარეები ეკუთვნოდა. თავდაპირველად მან შეძლო თავისი მშობლიური, მამისეული ქალაქის მოსახლეობის გულის მოგება და მოახერხა მათი ერთგულებაზე დაფიცება. წყაროთა ცნობით, მან კეისრის წოდებაც კი მიითვისა.[23] ასე რომ, ჩვენ აქ აშკარა სეპარატიზმთან გვაქვს საქმე, რომელიც კონსტანტინოპოლის ფლობას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ, სრულიად გაცნობიერებულად იფარგლებოდა ლოკალური საიმპერატორო ძალაუფლებით (იგი საკუთარ ვერცხლის ფულსაც ჭრიდა).

მანკაპას აჯანყებამ ისეთი სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ისაკ II-მ (1185-1195 წწ.) საჭიროდ ჩათვალა საქმეში სამხედრო ძალით ჩარევა. იმპერატორმა ალყაში მოაქცია ფილადელფია (1189 წ.), თუმცალა, ზეწოლის გამო, იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო (იმპერატორის მდგომარეობას ასუსტებდნენ ნორმანები, ჯვაროსნები, ბულგარელები). მანკაპას მის მიერ დაკავებული ტერიტორიიდან მცირე ნაწილიც კი არ დაუთმია. ერთადერთი დათმობა, რაზეც ის წავიდა ის იყო, რომ უარი თქვა კეისრის ტიტულზე და დე ჯურე ისაკ ანგელოსის სუვერენობა აღიარა. შემდეგ წლებში „თჰემა თჰრაპესიონ“-ის დუქსმა მოახერხა ქრთამით მანკაპას მომხრეების მოსყიდვა. ასე რომ, იგი იძულებული გახდა გაქცეულიყო.

თეოდორ მანკაპას კვლავ ვხედავთ 1204 წელს ფილადელფიის მფლობელად, როცა იგი ერთხელ კიდევ ცდილობდა შანსი გამოეყენებინა, თუმცა 1205 წლის მარტში იგი დამარცხდა ჰაინრიხ ფლანდრიელთან. ამას მოჰყვა თეოდორ ლასკარისთან მარცხიც. 1205 წელს ლასკარისმა ფილადელფია ნიკეის იმპერიას შეუერთა.

სხვა ადგილობრივმა მმართველებმა გამოყოფისათვის ხელსაყრელ მომენტად 1204 წელი მიიჩნიეს. ერთ-ერთი ასეთი იყო მანუელ მაუროზომესი, რომელიც მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიწათმფლობელ ოჯახს ბიზანტიაში. იგი იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, რომ კეისარს კარნახობდა სხვა მმართველების კანდიდატურებს, ე. ი.

[23] Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. III. М. 1948, გვ. 538-539.

მას საიმპერატორო კარზე კარგი კავშირები ჰქონდა. თავის დამოუკიდებელი მდგომარეობა მაუროზომესმა იმითაც გაიმყარა, რომ ბიზანტიის საწინააღმდეგოდ, ქალიშვილი მიათხოვა იკონიის თურქ მმართველ ქეიხოსროვს. იგი მხარს უჭერდა სიძეს, რომ სელჩუკთა ყველა მხარე, რომლებიც ჯერ კიდევ ქეიხოსროვის მამამ დაიკავა, კვლავ თავის ხელში გაეერთიანებინა.

მართალია, მაუროზომესი დამარცხდა თეოდორე ლასკარისთან ბრძოლაში, მაგრამ უკანასკნელი მოლაპარაკებების შემდეგ იძულებული გახდა უკან დაეხია. 1206 წელს, თებერვალ-მარტში იკონიის სულთანთან შეთანხმება დაიდო, რომელიც მაუროზომესისთვის სასარგებლო იყო: ლასკარისი მას უთმობდა ქალაქებს ხონაისა და ლაოდიკეას და მთელ მიწებს მეანდერის შესართავამდე.

ასე დაიკავა მაუროზომესმა თავისი სამფლობელო. გასაოცარი არაა, რომ დამოუკიებლობისაკენ მიდრეკილმა მაუროზომესმა მთლიანად თურქების მხარე დაიჭირა. ამით ბიზანტიისათვის ეს მხარეც საბოლოოდ დაიკარგა.

მაუროზომესი, მაფროზომის სახელით თურქებში უმნიშვნელო როლს როდი თამაშობდა. თუ როგორ და რანაირად ბატონობდა იგი თავის სამფლობელოში, ამის შესახებ არც ბიზანტიური და არც თურქული წყაროები არაფერს მოგვითხრობენ. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ის თავის თანამდებობაზე განაგრძობდა ყოფნას, თანაც თურქული მხარის ნომინალური ძალაუფლების ქვეშ.[24]

ჩვენი კვლევისთვის საინტერესოა კიდევ ერთი მცირეაზიელი ტოპარხი ფილარეტოსი. იგი ჩნდება როგორც კეისარ რომანოზ IV დიოგენეს (1068-1071 წწ.) ქვედანაყოფის უმცროსი მეთაური. მანციკერტთან ბრძოლის შემდგომ (1071 წელი) ის, დაქირავებული ლათინი ჯარისკაცების გვერდით, თავის სომეხ თანამემამულეებზე დაყრდნობით იწყებს საკუთარი ტოპარხიის შექმნას (სირიის, მესოპოტამიის, კილიკიის დიდი ნაწილი). ფილარეტოსის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი

[24] J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 120.

პოლიტიკური ერთეული მოიცავდა ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთი სომხეთიდან ვიდრე ხმელთაშუა ზღვის ნაპირებამდე და ისეთ მნიშვნელოვან ქალაქებს, როგორებიცაა ტარსუსი, ედესა, ანტიოქია, მელიტენე და სხვა. De facto, შესაძლოა, ფილარეტოსი დამოუკიდებლად დავახასიათოთ იმ შემთხვევაშიც კი, როცა 1078 წლიდან მან იმპერატორის ნომინალური სიუზერენობა აღიარა.

ტიპიური ნიშნები, რომლებიც ფილარეტოსს, როგორც ტოპარხს ავლენს, არის ერთის მხრივ ბიზანტიის (1078 წელი) და, მეორეს მხრივ, მალიქ-შაჰის ერთგულებაზე დაფიცება, ბიზანტიის საპირისპიროდ. ორივე ფაქტი პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს: პირველი აქტით მან, როგორც ბიზანტიის სამოხელეო კარის წარმომადგენელმა ბიზანტიისვე დარჩენილი მომხრეები თავის გარშემო შემოკრება. მეორე აქტი კი უნდა განვიხილოთ, როგორც ტაქტიკური ნაბიჯი, სიფრთხილის ზომა და დაზღვევა მუსლიმთაგან.

ბიზანტიის ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული არქონტების ოჯახის პროტოტიპია ლეონ სგუროსი (ბეოტიის მთავარი ქალაქის, თებეს მფლობელი. XIII ს.).[25] მისი ამბიციები ბიზანტიის იმპერიის მცირეაზიურ ტერიტორიებზე არ ვრცელდებოდა. ეს შემთხვევა სახასიათოა XIII საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში ჩვენთვის საინტერესო პროცესების წარმოსაჩენად. ლეონ სგუროსი ყოველ ხელსაყრელ სიტუაციას თავის სასარგებლოდ იყენებდა. ის არც ცენტრის ფლოტზე თავდასხმას ერიდებოდა და თავის ხელისუფლებას უმორჩილებს შუა საბერძნეთს. ამ ალბანური წარმომავლობის სასტიკმა ტოპარხმა დაიკავა არგოსი, კორინთო, თავისი ძალაუფლება გაავრცელა ატიკაზე. მან ათენზეც კი მიიტანა იერიში, თუმცა ვერ აიღო. ლეონ სგუროსს დაუნათესავდა ბიზანტიის ყოფილი იმპერატორი ალექსი III ანგარი. მან სგუროსს მიათხოვა საკუთარი ქალიშვილი, ასევე ყოფილი იმპერატორის ალექსი მურზუფლუსის ქვრივი. ლეონმა მოახერხა კონკურენტუნარიანი მმართველობის შექმნა, რომელმაც ადგილობრივი მო-

[25] J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 130-131.

სახლეობის მხარდაჭერის და ბიზანტიის დასუსტების წყალობით, იმპერიის გარკვეულ ტერიტორიაზე უპირატესობა მოიპოვა.

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ბიზანტიის სხვა ნაკლებად ინტეგრირებულ პროვინციებშიც: როდოსზე გამყარდა კრეტელი არხონტი ლეონ გავალა, რომელიც კეისრის ტიტულს ატარებდა და საკუთარ მონეტას ჭრიდა. 1240 წელს გავალას მემკვიდრეობა მიიღო მისმა ძმამ იოანემ.[26]

ამრიგად, მცირე აზიაში ხალდიის თემისა და მისი მმართველი გაბრასთა სახლის მყარი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ბიზანტიის დეცენტრალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი იყო ამ საგვარეულოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. წყაროთა მწირ მონაცემებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, შესაძლებელია საუბარი გაბრასების ოჯახის საერთო ტაქტიკაზე. ისინი ნაკლებად თვლიდნენ თავს „ბიზანტიელებად“ ან „თურქებად“. გაბრასების ორიენტაციის საკითხი უფრო ფართო მნიშვნელობით არის განსახილველი. კონკრეტული ოჯახის პოლიტიკით განისაზღვრებოდა მთლიანად ტრაპიზონის ბედი. გაბრასთა პოზიცია კი შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე იცვლებოდა. ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად ამ საგვარეულოს ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკისა, ბიზანტიის კეისრები კვლავ მათ ანდობდნენ თემის მართვას. აქ, რასაკვირველია, საქმე გვაქვს ამ ოჯახის განსაკუთრებულ პოზიციასთან პროვინციაში.

აღსანიშნავია, რომ სწორედ განცალკევებისკენ მიდრეკილი მცირეაზიური საგვარეულო იყო კომნენოსთა სახლიც.[27]

საინტერესოა, რა კავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო გაბრასთა საგვარეულოსა და გაერთიანებულ საქართველოს სამეფოს შორის. გაბრასების ოჯახთან საქართველოს სამეფო დინასტიის რაიმე სახის კავშირზე წყაროებში პირდაპირი ცნობები არაა დაცული, თუმცა, ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ ნუმიზმატიკური მასალა. საქართველოში და ბიზანტიაში, რომ უნიფიცირებული სამონეტო ტიპები იჭრე-

[26] Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. III, გვ. 538.

[27] Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. III, გვ. 538.

ბოდა ეს ფაქტია. მეტიც, ნუმიზმატიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვისაუბროთ გაბრასებისა და ბაგრატიონებს შორის მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთ ემისიაზე, შუბლის მხარეს გამოსახულია მლოცველი ღვთისმშობელი, ვლაქერნისად წოდებული, ხოლო ზურგის მხარეს, მოცემულია ჯვარი. ვლაქერნის ღვთისმშობლის ტიპოლოგია აღებულია ალექსი კომნენოსის ფულებიდან, ხოლო სპეციფიური ფორმის ჯვარი – ხალდიის თემის დუქსის – თეოდორე გაბრასის სპილენძის ემისიებზეა დატანილი. „ვლაქერნის ღვთისმშობლის ტიპის დატანება არის არა ტრადიცია, არამედ ბიზანტიური თანადროული ტიპის პერმანენტული გათვალისწინება. დავით IV ბაძავს ალექსის 90-იან წლებში და შემდგომაც“.[28]

როგორც ჩანს, თეოდორე გაბრასის ჯვრის დავით IV-ის მონეტაზე დადასტურება იმის მეტყველია, რომ კონკრეტული ტოპარხი საქართველოს სამეფოს პოლიტიკური პარტნიორი იყო. მით უფრო, რომ ტრაპიზონის მხარეებთან საქართველოს ურთიერთობას თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო: აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთი ერთი ეკონომიკურ სისტემის ნაწილი იყო, აქ ერთი ეთნოსი ცხოვრობდა. ლოგიკური უნდა იყოს, რომ XI საუკუნეში ხალდიის მხარე საქართველოს სამეფოს მოკავშირედ გვევლინება ისე, როგორც შემდგომ – ტრაპიზონის კომნენოსთა იმპერია. ეს გამართლებულია წმინდა ეკონომიკური მოსაზრებებითაც: გენუელთა მიერ ორგანიზებული ინდური საქონლის ჩრდილოური ტრანზიტი საზღვაო მარშრუტით – კაფა-სევასტოპოლი-ტრაპიზონი-იტალია, ხომ საქართველოს ზღვისპირეთსა და განსახილველ მხარეს ერთ სატრანზიტო დერეფნად აქცევდა.[29]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ ტრაპიზონის იმპერიის შექმნა განაპირობა, ერთი მხრივ, ბიზანტიის იმპერიის თანდათანობით დაქუცმაცებამ, მეორე მხრივ კი, რომეების იმპერიის განაპირა, ნაკლებ ელინიზირებულ პროვინციებში,

[28] თ. დუნდუა. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია.., გვ. 16.
[29] თ. დუნდუა. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია.., გვ. 16.

კონკრეტულ შემთხვევაში კი ხალდიის თემის შიგნით მიმდინარე პრო-ცესებმა (ეთნიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული).

მანციკერტის შემდგომ (1071 წელი) ეს ტენენციები სულ უფრო ინტენსიური გახდა. ფაქტია, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულე-ბის – ტოპარხიების გენეზისი, რომელთაც სათავეში დუქსი უდგას, როგორც ვნახეთ, ტენდენციად იქცა – საკუთარი ტოპარხიის დაარსება ანატოლიაში არაერთმა პროვინციელმა მმართველმა მოახერხა. მით უფრო, ამას შესძლებდა ხალდიის თემის მკვიდრი თეოდორე გაბრასი.[30]

ამრიგად, ის პროცესები, რომელთაც ბიზანტია ემსხვერპლა, საკ-მაოდ გლობალური იყო და საქართველოს სამეფოს ინიციატივას საგრ-ძნობლად ამცირებს. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ ამ პრო-ცესს თამარის კარზე კარგად აუღეს ალღო და, გამოიყენეს რა უკვე არსებული კავშირები, კომნენოსებს მოკავშირეებად მოევლინენ, საჭირო დროს.

[30] J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 243.

*Nestan Bagauri*

# THE GABRADES: THE ANATOLIAN TOPARCHOI. TREND AND ANALOGIES

Summary

Some researchers consider the setting up of the Trebizond Empire in 1204 to have been a mechanical outcome of the obtaining international situation (the sack of Constantinople by the Crusaders), others attribute it to the successful foreign policy of Queen Tamar of Georgia.

The issue is discussed in the paper with an eye on the process of the formation of the Chaldian theme into a semi-independent entity in the same territory four centuries prior to the setting up of an independent political unit of Trebizond.

From this point of view the following questions are identified: the significance of the Chaldian theme as a Byzantine province and the degree of its autonomy; the role of the Gabrades as the rulers of the Chaldian theme; the ethnic affinity of the Gabrades and the significance of this factor; analogies through the study of the political status and political orientation of the local rulers of other provinces of Asia Minor (Theodore Macaphas, Manuel Maurozomes, Philaretos Brachamios, Leo Sgouros); decentralization of Byzantium.

Special significance attaches to the activity of the Gabrades, the ruling house of the Chaldian theme and the political, economic, geographic and ethnic foundations of their constitutional or institutional power. The policy of the Gabrades regarding to the Byzantine Imperial court and the Seljuk Turks is the case of special study.

Numismatic material: a cross on Georgian king David IV’s coin found on one emission by Theodoros Gabras is adduced as an indirect proof of relations between the Chaldian theme and the Georgian royal house.

The process described shows that gradual secession of the Chaldian theme was inevitable. The setting up of the independent Empire of Trebizond by the Komneni early in the 13th century was a logical outcome of these tendencies.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*მიხეილ ბახტაძე*

# კიდევ ერთხელ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ

საქართველოს ისტორიაში არსებობს მთელი რიგი მოვლენები, რომელთა დათარიღება აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება თამარის მეფობის პერიოდში მომხდარი ამბები. მაგალითად: გიორგი რუსის აჯანყება, კარის (ყარსის) აღება, ბასიანის ბრძოლა, თამარ მეფის გარდაცვალება. ამჯერად სწორედ უკანასკნელ საკითხს გვინდა შევეხოთ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ძირითადად, თამარ მეფის გარდაცვალების სამი თარიღი გვხვდება 1207, 1210 და 1213 წლები[1] (თუმცა

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: შ. დარჩიაშვილი. XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხები. ჟურნ.: „მნათობი“. 1975. №2; გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 2002; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ცდა ტექსტის დადგენისა). კ. კეკელიძის რედაქციით. თბ. 1941; ს. კაკაბაძე, როდის მიიცვალა მეფე თამარი. გაზ.: „თემი“. 1912. №56; ს. კაკაბაძე. რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. თბ. 1969; თ. კენკებაშვილი. გარდაცვალება და დაკრძალვა თამარ მეფისა. თბ. 2010; ი. ლოლაშვილი. დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება. თბ. 1971; ი. ლოლაშვილი. თამარ მეფის აკლდამა გელათში. თბ. 1989; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი. თბ. 2002; თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. ჟურნ.: „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სერია. 1974. №1-2; ჯ. ოდიშელი. მცირე ქრონიკები. თბ. 1968; ჯ. ოდიშელი. ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი. ჟურნ.: „ცისკარი. №1. 1976; თ. ჟორდანია. ქრონიკები. ტ. I. ტფ. 1892 წ; ბ. სილაგაძე. XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. კრებ.: „საქართველო რუსთაველის ხანაში“. თბ. 1966; ბ. სილაგაძე. XIII საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან. ჟურნ.: „მაცნე“. 1988. №2; ლ. ტუხაშვილი. „სოფლის ცხოვრება“. 1989. №114; ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თხზულებანი ტ. II. თბ. 1983, გვ. 280, 383; გ. ჯაფარიძე. ვახუშტი და XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი. თსუ შრომები. 1979. №206.

დასახელებულია 1212 და 1215/16 წლებიც). თითოეულ მათგანს გარკვეული არგუმენტაცია გააჩნია და ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული თუ რომელი მეცნიერი რომელ წყაროს ეყრდნობა. ჩვენი მიზანი არ არის დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული თარიღის დამადასტურებელი თუ უარსაყოფი არგუმენტები.

პირადად ჩვენ 1210 წელს ვემხრობით და შევეცდებით დამატებითი არგუმენტი მოვიყვანოთ აღნიშნული თარიღის სასარგებლოდ.

„ისტორიანი და აზმანში" მოიპოვება შემდეგი სახის ცნობა – „გააზნაურდეს ქვეყანისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი, და გახელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა, რომელი აწ ჩანს დაწერასა შინა ამისსა **ათერთმეტთა მოქცევათა** ჟამთა თამარ სამგზის სანატრელისათა, რომელმან სიმშვიდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომნიანითა, სიმხნითა და საურავთა დღესისთა ხვალისა არა მიგდებითა ალექსანდრიანითა, იპყრნა ზღვით პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკვითთამდის".[2] კ. კეკელიძემ ჩათვალა, რომ „ათერთმეტთა მოქცევათა" არის თამარის მეფობის ხანგრძლივობის აღმნიშვნელი, მაგრამ, რადგან თამარს 11 წელი არ უმეფია, ტექსტი დროთა ვითარების გამო შერყვნილად მიიჩნია, ჩაასწორა და „ათერთმეტთა" ნაცვლად „ოცდაათერთმეტთა" დაწერა[3]. სხვა არგუმენტებთან ერთად, კ. კეკელიძემ თამარის მეფობა განსაზღვრა რა 31 წლით, გარდაცვალების თარიღად 1215 წელი მიიღო, რადგან თამარის მეფობა 1184 წლიდან აითვალა (1184+31=1215).

სანამ შემდგომ მსჯელობას გავაგრძელებდეთ გვინდა „ათერთმეტთა მოქცევათა"-ს საკითხს შევეხოთ. მარიამისეულ და მაჩაბლისეურ ნუსხაში წერია „ათერთმეტთა" და ასევე გაიმეორა ს. ყაუხჩიშვილმა.[4]

[2] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. 1959.
[3] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" (ცდა ტექსტის დადგენისა). კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 17-20.
[4] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II 1959.

ა. კლიმიაშვილის მიერ აღმოჩენილ ხელნაწერში წერია „ათორმეტთა“ და „ქართლის ცხოვრების“ ბოლდროინდელ გამოცემაში ამ ნუსხის ვარიანტია დაფიქსირებული.[5] პირადად ჩვენ ვთვლით, რომ მარიამისეულ ნუსხას უფრო უნდა ვენდოთ. რაც შეეხება იმას, თუ რას ნიშნავს „ათერთმეტთა მოქცევათა“, ამ შემთხვევაში კ. კეკელიძე ალბათ მართალი იყო. ძნელია აქ სხვა რამე ვიგულისხმოთ თუ არა თამარის მეფობის ხანგრძლივობა. ისიც ცხადია, რომ თამარს 11 წელი არ უმეფია, ისევე როგორც არც 21 და 41. ამიტომ კ.კეკელიძისეული აღდგენა – „ოცდაათერთმეტთა მოქცევათა“ ჩვენი აზრით სწორია.

კ. კეკელიძის მსჯელობაში ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი სწორია. მაგრამ აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი – როდიდან უნდა დავიწყოთ თამარის მეფობის ათვლა? თითქმის ყველა მკვლევარი გამეფების თარიღად 1184 წელს იღებს ანუ იმ წელს როდესაც გიორგი III გარდაიცვალა და თამარმა მარტო, დამოუკიდებლად დაიწყო მეფობა.

ჩვენი აზრით, ეს საკითხის არასწორი დაყენებაა და ვიზიარებთ ნ. შოშიაშვილის[6] მოსაზრებას, რომ თამარის მეფობის ოფიციალური ათვლა იწყება არა 1184 წლიდან, როდესაც გიორგი III გარდაიცვალა და თამარი ერთპიროვნული მმართველი გახდა საქართველოს სამეფოსი, არამედ იმ წლიდან, როდესაც ის თანამოსაყდრედ აკურთხეს (კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს, რომ ისინი, ვინც თამარის მეფობის ათვლას 1178 წლიდან იწყებენ მეფის გარდაცვალებას 1201 წელს ვარაუდობენო.[7] სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით მეცნიერი არ ასახელებს არც კონკრეტულ პიროვნებებს და არც კონკრეტულ ნაშრომებს. ჩვენს მიერ ნანახ სამეცნიერო ლიტერატურაში კი მხოლოდ ნ. შოშიაშვილი აითვლიდა თამარის მეფობას 1179 წლიდან).

1177 წელს დაწყებული ორბელთა აჯანყება 1178 წელს დამთავრდა.[8]

[5] ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის საერთო რედაქციით. 2009, გვ. 409.
[6] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. თბ. 1984, გვ.77, 100.
[7] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ცდა ტექსტის დადგენისა). კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 41.
[8] რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, გვ. 466-467.

ქართველი მემატიანის ცნობით, „**შემდგომად ამისსა მეორესა წელი-წადსა** შეიყარა ყოვლითა სამეფოთა მისითა შემოქცეული ლაწუყით ნა-ჭარმაგევს. შემყრელმან შჳდთავე სამეფოთა მისთამან აწჳა დედოფალ-თა დედოფალი, ბედნიერი და სჳანი ცოლი მისი ბურდუხან და შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა და მანიაკი ყოველთა მეფეთა და გჳრგჳნი ყოველთა ჴელმწიფეთა. განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შა-რავანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვა-ზირთა და სპასალართა და სპასპეტთა.“[9] 1178 წლიდან „შემდგომად ამისსა მეორესა წელიწადსა“ – გამოდის 1179 წელი. სწორედ ამ თა-რიღიდან უნდა მოხდეს თამარის მეფობის ათვლა.

დავით IV აღმაშენებელი 1089 წელს გამეფდა და სწორედ აქე-დან აითვლება მისი მეფობა, მიუხედავად იმისა, რომ, ფორმალურად, გიორგი II-ის გარდაცვალებამდე (1108 ან 1112 წელი) დავით IV თა-ნამოსაყდრე იყო (ისევე, როგორც თამარი 1184 წლამდე). ის რომ გიორგი II 1089 წლის შემდეგაც მეფედ ითვლებოდა ნათლად ჩანს, თუნდაც რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერიდან“, სადაც კრების მო-ნაწილეთა ჩამოთვლა მეფეთ-მეფე გიორგით იწყება.[10] მიუხედავად იმი-სა, რომ თითქმის ყველა სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი V-ის მეფობის წლებად 1318-1346 ან 1314-1346 წლებია დასახელებული თავად გიორგი ბრწყინვალე საკუთარ მეფობას 1299 წლიდან ითვლი-და. ამის ნათელი დადასტურებაა მეფის სიგელი ივანე თორელისადმი. „მოვიდეს წინაშე ჩუენსა, ჩუენი დიდად ერთგული ივანე და გუეაჯა და მოგუახსენა, რათამცა კოჟრისა ძირსა მონასტერი ათენაგუენი მი-გუებოძა ... გქონდეს შენ თორელ ივანესა კოჟრისა ძირსა მონასტერი ათენაგუენი ... დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა **ლთ** ჴელითა კარისა მწიგნობრისა აბრაჰამ ავგარო-ზის ძისათა. ვამტკიცებ გიორგი“.[11] ინდიქტიონი „ლთ“ ნიშნავს გამეფე-

[9] ქართლის ცხოვრება, გვ. 396.
[10] ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ. 1978.
[11] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ი. დოლიძის რედაქციით. თბ. 1965, გვ. 97.

ბიდან 39-ე წელს. მეფის აღსაყდრების წლად თუ 1318 წელს ავიღებთ, საბუთი 1357 (1314+39=1357) წელს დაწერილი გამოდის, ხოლო თუ მეფობას 1314 წლიდან ავითვლი – 1353 (1318+39=1353) წელს მივიღებთ. ორივე აბსურდული თარიღია რადგან გიორგი V 1346 წელს გარდაიცვალა. ცხადია, რომ სიგელის შემდგენელი გიორგი V-ის გამეფების თარიღად 1299 წელს მიიჩნევს (სიგელი 1338 წელს არის დააწერილი. 1299+39=1338). რა თქმა უნდა ძნელი წარმოსადგენია, რომ სამეფო კარის მწიგნობარს მეფის აღსაყდრების თარიღი არ სცოდნოდა ან შეშლოდა.

ანალოგიური ვითარებაა თამარ მეფესთან დაკავშირებით. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი. ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში მოიპოვება ინფორმაცია, რომელიც, ჩვენი აზრით, პირდაპირ მიგვანიშნებს თუ რომელი წლიდან უნდა ავითვალოთ თამარის მეფობა. მემატიანე წერს, ,,ხოლო წარმოვთქვათ ესეცა, რამეთუ **ოცდამესამედ, გინათუ მეოთხედ აღმავლობასა მეფობისა მისისა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა** რამეთუ მრავლით ჟამითგან ჰბრძოდეს სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა ვერარაჲ ღონე ქნეს აღებისა, რამეთუ ზამთრის მკსინვარებისაგან და სიცივისა უღონი იყვნეს მოდგომად. ხოლო ჟამსა ყინვისასა წყლისაგან განყინულისა ვერ შეუძლებდეს ბრძოლად, გარე-შემოუხუნეს ყოველნი ციხენი და სოფელნი და იგი მხოლო მარტოჲ ჰქონდათ სპარსთა. ამისთჳს განიზრახა კეთილითა გონებითა **და წარავლინა დავით** ზემოთ ლაშქრითა. წაატანა ზაქარია და ივანე და უბრძანა, რათა დადგენ მუნ და ძლიერად ეომონ. და ხანგრძლად იქმნა ესე და თჳთ თამარ დადგა ჯავახეთს და მუნ მოელოდა ამბავსა მათსა. ხოლო იგინი მივიდეს და ებრძოლნეს უკუე შეკრულსა მას ღობესა წყლისათჳს. და მრავალთა შინა დღეთა განტეხეს ადგილი იგი. და გამოიცალა წყალი და მის თანა უმრავლესნი მოქალაქენიცა. ხოლო დაშთომილთა მათ ითხოვეს **დავითისაგან**, რათა თჳთ თამარ მივიდეს და მას მიენდვნენ, რამეთუ ეშინოდათ სიტყუათა მათთათჳს გინებისათა, რომელთა ციხით გამო იტყოდეს პირველ. მაშინ მოაჴსენეს ესე ყოველი თამარს. ხოლო იგი მივიდა და მოიხუნეს ციხოვანთა მათ კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა და

მერმე თამარის წინაშე და ითხოვდეს მშჳდობასა და ფიცსა, რათა არა განსცეს კარი, ვითარ ანისი და დვინი არამედ სამეფოდ დაიმჭიროს. ამისთჳს მისცა სიტყუა მტკიცე და უბრძანა ძესა თჳსსა გიორგის რათა შევიდეს და თჳთ მოითუალოს ქალაქი და ციხე. რომელი-ესე ესრეთ იქმნა და ესე ერთი ქალაქი და ციხე თჳსად დაიმჭირა.“[12]

მთელი ამ ნაწყვეტიდან ჩვენთვის მთავარია შემდეგი – თავისი მეფობის ოცდამესამე ან ოცდამეოთხე წელს თამარი ქალაქ კარის საკითხით დაინტერსდა. რადგან ამ დროისათვის ქალაქი კვლავ მუსლიმთა ხელში იყო, მეფემ კარის ასაღებად დავით სოსლანი გაგზავნა. საბოლოოდ ქალაქის მცხოვრებლებმა ბრძოლას ვეღარ გაუძლეს და დანებდნენ.

სანამ შემდგომ მსჯელობას გავაგრძელებთ, საჭიროა კიდევ ერთი საკითხი გავარკვიოთ – კარის აღება ბასიანის ბრძოლამდე მოხდა თუ ბასიანის ბრძოლის შემდგომ და თავად ეს ბრძოლაც რომელ წელს გაიმართა. ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით ჯერ გაიმართა ბასიანის ბრძოლა, შემდეგ ქართველებმა დალაშქრეს ტრაპიზონის მხარე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიკავეს ქალაქი კარი.[13] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიენეს მიხედვით, „მოვიდა რუქნადინი ...მიეგებნეს ბასიანის ქუეყანასა, გაიქციეს ... ამისა შემდგომად აიღეს კარი.“[14] მაგრამ „ისტორიანი აზმანის“ მიხედვით, ქართველებმა ჯერ კარი აიღეს და შემდეგ კი ბასიანის ბრძოლაში რუმის სულთანიც დაამარცხეს[15]. ქართველ მეცნიერთა შორისაც არ არის ერთიანობა იმასთან დაკავშირებით თუ პირველად რომელი მოვლენა მოხდა. თავის დროზე გ. ალასანია წერდა, „აზრი იმის შესახებ, რომ ბასიანის ბრძოლა წინ უსწრებდა ტრაპიზონის საკეისროს შექმნასა და ყარსის აღებას, ამჟამად უარყოფილია.“[16] ჩვენ მკვლევართა იმ ნაწილს ვეთანხმებით, რომლებიც თვლი-

[12] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 508.
[13] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 498-509.
[14] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 354.
[15] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 462-463.
[16] გ. ალასანია. ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის. ჟურნ.: „მაცნე“. ისტორიის სერია. 1975. №1, გვ. 89.

ან, რომ კარის აღება წინ უძღოდა ბასიანის ბრძოლას[17]. კარის (ყარსის) აღება იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რამაც რუქნადინს საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრება გადააწყვეტინა.

მიუხედავად იმისა ბასიანის ბრძოლა უფრო ადრე მოხდა თუ კარის აღება, ერთი რამ ცხადია – დროის მხრივ, ამ ორი მოვლენის ერთმანეთისაგან ძალიან დაშორება არ შეიძლება. ბასიანის ბრძოლა 1202 წლის 27 ივლისს გაიმართა.[18] კარის აღებაც 1202-1203 წლებში უნდა მომხდარიყო.

თუ თამარის მეფობას 1184 წლიდან ავითვლით, ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობაზე დაყრდნობით გამოვა, რომ ქართველების მიერ კარის აღება 1207 (1184+23=1207) ან 1208 (1184+24=1208) წელს განხორციელდა. ეს კი შეუძლებელია, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ამ დროს დავით სოსლანი ცოცხალი აღარ არის. დავითი 1204-1205 წელს გარდაიცვალა,[19] თუ უფრო ადრე არა.[20]

ჩვენი აზრით, ყველაფერი თავის ადგილზე დგება თუკი თამარ მეფის ზეობის ათვლას 1179 წლიდან დავიწყებთ. ასეთ შემთხვევაში გამოდის რომ ქართველებმა კარი 1202 (1179+23=1202) ან 1203 (1179+24=1203) წელს აიღეს.

მთელი ეს მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა – ჩვენი აზრით, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში დაცული ცნობა თავად მიგვანიშნებს, რომ თამარის მეფობის ათვლა 1179 წლიდან უნ-

[17] რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, გვ. 573.

[18] გ. ალასანია. ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის, გვ. 89-92; 1202 წლით არის დათარიღებული ბასიანის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ნარკვევებში (შ. ბადრიძე. საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIII ს. 10-20-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III. თბ. 1979, გვ. 331) და ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევებში (რ. მეტრეველი. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დამდეგს. თამარ მეფის დიპლომატია. ქართული დიპლომატიის ისტორია. ტ. I. თბ. 1998, გვ. 331).

[19] ბ. სილაგაძე. XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი აბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, გვ. 125; ჯ. ოდიშელი. მცირე ქრონიკები გვ. 122.

[20] ნ. შოშიაშვილი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. III. თბ. 1979, გვ. 341: დავითის გარდაცვალება 1203/04 წლით თარიღდება.

და დავიწყოთ.

ეხლა კი მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ. როდის გარდაიცვალა თამარ მეფე? თუ გამეფების თარიღად 1179 წელს ავიღებთ, მაშინ თავად კ. კეკელიძის დასაბუთებიდან გამომდინარე ვიღებთ 1210 (1179+31=1210) წელს, როგორც მეფის გარდაცვალების თარიღს. გვიჩნდება კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი 1210 წლის სასარგებლოდ.

რაც შეეხება 1213 წელს და ივანე ჯავახიშვილისეულ არგუმენტაციას ამ თარიღისა, შეიძლება ითქვას შემდეგი – ივ. ჯავახიშვილმა 1213 წელი აიღო ერთადერთი მიზეზის გამო. „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით თამარი გარდაიცვალა ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ. ზაქარიას გარდაცვალების თარიღი კი 1212 წელია და აქ სადავო არაფერია. მაგრამ მართლაც ისე განვითარდა მოვლენები როგორც ამას ქართველი მემატიანე წერს? შ. დარჩიაშვილმა ბაგავანის წარწერასა და კირაკოს განძაკეცის ცნობაზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით, დამაჯერებლად უჩვენა, რომ თამარ მეფე ზაქარია მხარგრძელზე ადრე გარდაიცვალა.[21] მოვლენათა ასეთ თანმიმდევრობას მხარს უჭერს ე.წ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც. ეს უკანასკნელი პირდაპირ წერს, რომ გიორგი IV-ს „გამგედ და განმზრახად“ ყავდნენ მხარგრძელი ზაქარია, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი და ივანე ათაბაგი.[22]

ჩვენი აზრით, თამარი ზაქარიაზე ადრე გარდაიცვალა. ასეთ შემთხვევაში ასახსნელია თუ რატომ არის „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტში დაცული ინფორმაცია, რომ ზაქარია მხარგრძელი თამარ მეფეზე ადრე გარდაიცვალა. ბ. სილაგაძის აზრით, „თხზულება თამარის მეფობიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არის დაწერილი, როცა მის ავტორს არათუ ამა თუ იმ ამბის თარიღი, არამედ თვით ამბების თანმიმდევრობაც აღარ სცოდნია“.[23] რა თქმა უნდა, ნებისმიერ მემატია-

[21] შ. დარჩიაშვილი. XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხები, გვ. 153.
[22] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 356.
[23] ბ. სილაგაძე. XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი აბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე.

ნეს შეიძლება მოსვლოდა შეცდომა. შესაძლოა არეოდა ლაშქრობებისა ან ქალაქების დაკავების თანმიმდევრობა, ისევე როგორც ამა თუ იმ პიროვნებათა გარდაცვალების თანმიმდევრობაც. მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – საქმე ეხება საქართველოს მეფისა და იმ პერიოდის ყველაზე უფრო გავლენიანი ფეოდალის, ამირსპასალარ-მანდატურთუხუცეს ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების საკითხს. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შეცდომა ნაკლებად მოსალოდნელია.

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორს, ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ აღწერილი აქვს ორად-ორი კონკრეტული ფაქტი და ორივე ივანე მხარგრძელს ეხება. ერთია ივანესთვის ათაბაგობის ბოძება და მეორე – დიდოელთა და ფხოველთა ამბოხი, რომელიც ათაბაგმა ჩაახშო.[24]

ძალიან საინტერესოდ არის აღწერილი ივანესათვის ათაბაგობის ბოძების სცენა. ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ მეფემ გადაწყვიტა ამირსპასალარობა ივანესთვის გადაეცა, რაზეც ამ უკანასკნელმა მიუგო, „პატივი ესე, რომლითა პატივგიცემიეს ჩემდა, დიდად დიდი არს და მე უღირს ვარ. ესრეთ შემიწყალე, ძმისა ჩემისა სახელსა ჩემ ზედა არა ახსენებდნენ, რათა არა მრცხუენეს ნაცვლად მისა დგომად, არამედ ათაბაგობითა პატივ-მეც. **საქართველოსა არა არს წესად და ჰელად თქუენ მეფეთა წინაშე ათაბაგობა** და ამით განადიდე წყალობა შენი ჩემ ზედა, რომე ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს მყო და **ათაბაგობა მიბოძო**.“[25] ძალიან უცნაური სიტუაციაა აღწერილი. ქვეშევრდომი მეფეს უბედავს, რომ უარი უთხრას მისთვის შეთავაზებულ საჰელოზე და მანამდე სამეფოში არ არსებული და ეხლა საგანგებო მისთვის შესაქმნელი თანამდებობა – ათაბაგობა[26] ითხოვოს. პირადად

[24] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 477-479.

[25] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 477.

[26] ათაბაგობა ქართული სახელმწიფოს მართველობის სისტემისათვის სავსებით ზედმეტი თანამდებობა იყო. უფრო მეტიც, როგორც მართებულად არის აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, ათაბაგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის „კონკურენტი“ გახდა და დიდად შეუწყო ხელი ამ მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო თანამდებობის „დამცრობასა“ და საერთოდ გაქრობასაც.

ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენი და დასაჯერებელი ფაქტია, რომ ივანე მხარგრძელს ასეთი თავხედობა გაებედა მეფისათვის. მემატიანეს თუ ვენდობით ივანემ თამარ მეფეს განუცხადა, რომ „საქართველოსა არა არს წესად და ხელად თქუენ მეფეთა წინაშე ათაბაგობა“. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა იმავე „ისტორიანი და აზმანში“ დაცული შემდეგი ცნობა, „აქამომდე კარი თურქთა ჰქონდა. წარავლინნა ლაშქარნი გარედგომად და ცნეს თურქთა, დააგდეს კარი და ივლტოდეს. ხოლო მეფემან აიღო და მიითუალა კარი და დაუტევა კარისა მცველად **ახალციხელი ივანე** და აჩინა მონაპირედ **და უბოძა ათაბაგობა** და ამირთამირობა.“[27] ჩნდება საინტერესო კითხვა, ვინ იყო პირველი ათაბაგი ივანე ახალციხელი თუ ივანე მხარგრძელი?

თავის დროზე ლ. ტუხაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ათაბაგობა საქართველოში შემოღებულ იქნა დაახლოებით 1205-1206 წელს,[28] ივანე მხარგრძელმა ათაბაგობა მიიღო მხარგრძელთა და თორელ-ახალციხელთა საგვარეულო ურთიერთბრძოლაში გამარჯვების შემდეგ პირველი ათაბაგისაგან, ივანე ახალციხელისაგან განსხვავებული შინაარსით. საუფლისწულო მამულების მართვას დაემატა მხარგრძელთა (თმოგველებისა და გაგელების გამოკლებით) სამმართველო ოლქების კოლეგიალური მმართველობის გაფორმებაც. ივანე გახდა არა მთელი საქართველოს, არამედ მხოლოდ ერთი რეგიონის ათაბაგი. ათაბაგობის მიღებით დასრულდა მხარგრძელთა სამოხელეო მფლობელობის სამამულო მფლობელობად გადაქცევის ევოლუცია. XII-XIII საუკუნების საქართველოსათვის ეს უაღრესად ტიპიური მოვლენა შედარებით გაამძაფრა თამარის ნაადრევმა სიკვდილმა (1207) და ლაშას კურთხევის დაგვიანებამ (1210), რამაც ხელი შეუწყო ივანე ათაბაგის „მამობრივი“ ზრუნვის მითის შექმნასა და მხარგრძელთ პანეგერიკას.[29]

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ პირველად ათაბაგო-

---

[27] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 462

[28] როგორც ჩანს მეცნიერი თვლიდა, რომ ქართველებმა კარი 1205 ან 1206 წელს აიღეს.

[29] ნ. ბერძენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ჟურნ.: „მაცნე“. ისტორიის სერია. 1975. №3, გვ. 164.

ბა სწორედ ივანე ახალციხელს ებოძა. რამ გამოიწვია ახალი თანამდებობის შემოღება და რა უფლება-მოვალეობები გააჩნდა მას უცნობია. ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ მეტად საინტერესო საკითხის კვლევა. ივანე მხარგრძელმა ათაბაგობა მართლაც ივანე ახალციხელის შემდგომ მიიღო. თუმცა ჩვენ არ ვიზიარებთ დებულებას ივანე მხარგრძელის საქართველოს მხოლოდ ერთი კუთხის ათაბაგობის შესახებ, ის საქართველოს სამეფო კარის ათაბაგი იყო.

ძნელი სათქმელია, თუ რატომ ჩამოართვეს ათაბაგობა ივანე ახალციხელს და გადასცეს ივანე მხარგრძელს. შესაძლოა მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა. ჩვენი აზრით, სამეფო კარზე სამოხელეო ცვლილებების განხორციელება 1210 წელს უნდა მომხდარიყო, როდესაც ტახტზე ახალგაზრდა მეფე გიორგი IV ავიდა. ეს ის პერიოდია, როდესაც მემატიანეს ცნობით, „და იყუნეს გამგედ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან მხარგრძელი ზაქარია, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი და ივანე ათაბაგი“.[30] ალბათ, ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა მთელი თავისი გავლენა გამოიყენეს და ახალციხელთა საგვარულოს ათაბაგობა ჩამოართვეს. ცხადია ეს დაძაბავდა ურთიერთობას ამ ორ საგვარეულოს შორის, თუ საერთოდ მტრობას არ ჩამოაგდებდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამის მერე დაიწყო დაპირისპირება ამ ორ საგვარეულოს შორის (თუმცა შესაძლოა მანამდეც არსებობდა). ამიტომ იყო ალბათ, რომ 1225 წელს გარნისის ბრძოლაში ივანე მხარგრძელმა დამხმარე ძალა არ გაუგზავნა ძმებ ახალციხელებს და ეს უკანასკნელები სასიკვდილოდ გასწირა. აკი პირდაპირ წერს ჟამთააღმწერელი, „იტყვიან **შურითა ყო** ახალციხელთა შალვა და ივანესითა“.[31] ჩვენი აზრით, „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტში საგანგებოდ იქნა ჩართული გამოგონილი, არარეალური სიუჟეტი – ივანე მხარგრძელისათვის ვითომდა თამარ მეფის მიერ ათაბაგობის ბოძების შესახებ – რათა შექმნილიყო მხარგრძელთა მიერ ათაბაგობის მიღების „კარგი“ ვერსია. ამისთვის კი საჭირო იყო, რომ თამარ მეფე

[30] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 356.
[31] ქართლის ცხოვრება. თბ. 2009, გვ. 536.

ზაქარიაზე გვიან გარდაცვლილიყო. დიდოელთა და ფხოველთა წინააღმდეგ ლაშქრობაც სწორედ ივანეს განდიდებისა და წარმოჩენის მიზნით არის ასე დაწვრილებით და მაღალფარდოვნად აღწერილი.

ჩვენი აზრით, „ისტორიანი და აზმანის“ ინფორმაცია თამარ მეფის ზაქარია მხარგრძელზე გვიან გარდაცვალების შესახებ საგანგებოდ, კონკრეტული მიზნით, არის შეთხზული, თხზულებაში ჩართული და რეალობას არ შეესაბამება.

ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში დაცული ცნობა დამატებითი არგუმენტია იმისათვის, რომ თამარის მეფობის ათვლა 1179 წლიდან დავიწყოთ. რადგან „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით თამარის მეფობა 31 წელი გრძელდებოდა, მეფის გარდაცვალება 1210 წელს უნდა ვივარაუდოთ.

***Mikheil Bakhtadze***

# ONCE MORE AGAIN ABOUT THE DATE OF QUEEN TAMAR`S DEATH

Summary

Mainly, in Georgian historiography, we meet the following dates of death of Queen Tamar – 1207, 1210 and 1213 (however, 1212 and 1215/1216 are also mentioned). K. Kekelidze took year 1215 as date of Queen Tamar`s death. He counted that she was ruling over the country for 31 years and he began calculating from year 1184. (1184+31=1215). Here we should take into account one very important fact – which year should we take as a date of Queen Tamar`s coronation? Almost every historian takes year 1184 as date of her coronation, the year when King George III died and Tamar began ruling country alone. We agree with the opinion of N.Shoshiashvili, that date of Tamar`s coronation is year 1179. In this case we get year 1210 (1179+31=1210), as date of Queen`s death.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*ანდრო გოგოლაძე, გიორგი ჟუჟუნაშვილი*

## ტახტის მემკვიდრეობის საკითხისათვის საქართველოში

უძველესი დროიდან სამეფო ხელისუფლების კონცეფცია შედგებოდა რამდენიმე ნაწილისაგან: წარმომავლობა (ღვთიურობა, ღვთისმიერობა),[1] გვარის ხანდაზმულობა, ლეგიტიმურობა, მემკვიდრეობა, საერო და სასულიერო ფუნქციათა სიმბიოზი, ტიტულატურათა იერარქია.

მემკვიდრეობითობა[2] არის მონარქიული, დინასტიური ხელისუფ-

[1] ერთმმართველობა, თვითმპყრობელობა და მემკვიდრეობითობა – ეს არის ის, რაზეც დამყარებულია სამეფო ხელისუფლება დედამიწაზე, რომელიც ზეციურის მსგავსად არის მოწყობილი. ბიბლიის მიხედვით: უფალმა გამოარჩია დავითი და ჩაუყენა სამწყსოს სათავეში რკინის კვერთხით, რათა დაიცვას თავისი ხალხი და მემკვიდრეობა. დავით წინასწარმეტყველი – ზოგადად მირონცხებული მეფის სიმბოლოა. შედეგად მიწაზე დამკვიდრდა ერთმმართველობა, უფლის მსგავსად მეფე უნდა ყოფილიყო თვითმპყრობელი (ყოვლისმპყრობელი) და მისი ხელისუფლებაც „შეუცვალებელი“ (მემკვიდრეობითი): „ქ. ხელმწიფემ რაც სამართალი ქნას, იმას ვერავის მოშლის, თვითანვე თუ მოშლის...“ (სამართალი ბერძნული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 163). ამის თაობაზე ასევე განმარტებას იძლევა ამბროსი მედიოლანიუმიდან (მილანელი – IV საუკუნის მოღვაწე, წმინდანი). მისი თქმით – იმპერატორი არ უნდა ემორჩილებოდეს არც ერთ კანონს. მას შეუძლია კანონების დარღვევა, მაგრამ იგი უნდა ემორჩილებოდეს უფალს (В. И. Кузищин. Амвросий Медиоланский – человек, политик, епископ. www/biblicalstudies.ru/ books/Kazak40.html; Е. Хаула. Православная концепция царской власти. www.fondiv.ru/articles/2/272).

[2] ხელისუფლების გადაცემის სამი წესია ცნობილი: „კანონიერი“, როდესაც ქონება (მემკვიდრეობა) გადადის კანონით დადგენილი წესის მიხედვით; „ანდერძისმიერი“, როდესაც სამკვიდროს უფლება ეძლევა ანდერძში მითითებულ პირს (იხ.: ი. გველესიანი. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ევოლუციური გზა ქართული საისტორიო წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით. თსუ ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I. თბ. 2011.

ლების ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი სვეტი. მემკვიდრეობით წინასწარ განსაზღვრული ხელისუფლება და ხელისუფალი მიიჩნევა გარკვეული სიმშვიდის, მუდმივობის და ხელისუფლების უცვალებლობის გარანტიად. ასეთი დინასტიიდან მომდინარე ხელისუფალი ითვლება ერის სიღრმიდან, ტრადიციიდან, ისტორიიდან ამომდინარე თილისმად, ერის მცველად. მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობითობა შეიძლება შეწყდეს, იდეაში ეს წყვეტა ერისათვის მიუღებელია. დაქუცმაცებულობის ხანაში მძაფრდება დინასტიური (ბაგრატიონთა სამი შტო, ასევე პროვინციის მეფეები და სხვა) შუღლი, მაგრამ საბოლოო ჯამში გვარის ერთიანობა შენარჩუნებულია გარკვეული სულიერი ერთობის ხარჯზე.[3]

როგორც აღვნიშნეთ, დინასტიურობის აუცილებელი თანამდევია მკაცრად განსაზღვრული მემკვიდრეობითობის წესი.

ამ საკითხების კვლევას საგანგებოდ აწარმოებდა ივანე ჯავახიშვილი. მის ნაშრომთა შორის უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ქართული სამართლის ისტორია (ორი წიგნი), სადაც მკვლევარი განი-

---

გვ. 167-175); ცნობილია ასევე მესამე – „არჩევითი“ სახეც (მაგ. რუსეთში: ბორის გოდუნოვი, რომანოვთა დინასტია). უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში დასტურდება ძირითადად მეორე სახეობა.

[3] ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაგრატიონთა დინასტია ერთ-ერთი გამორჩეულია სხვა სამეფო დინასტიათა შორის:

– *უძველესი გვარეულობაა – ბიბლიურ პერსონაჟებთან მისტიური ერთობის გარდა გასათვალისწინებელია ადრეული ეპოქებიდან მომდინარე დინასტიურობა* (თ. დუნდუა. ბაგადატი, ძე ბივრატისა. თბ. 2001);

– *გარდატეხის პერიოდში (უმეფობის ხანა, დაქუცმაცებულობა) სწორედ ამ გვარეულობის ხელმძღვანელობით იწყებდა შემოკრებას ქართველი ერი და საქართველო, მათთან ერთად ყალიბდება ახალი ერთობა; ბაგრატიონები არიან (ინდივიდი, ოჯახი, სახლეული, გვარი) ამ ერთობის შემოქმედნიც და წინამძღოლნიც, ახალ ერთობაში ჩამოყალიბებული წესისა და რიგის დამფუძნებელნიცა და შემსრულებელნიც;*

– *ამ გვარის ფიზიკურ არსებობას ბევრჯერ დაემუქრა საფრთხე, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ სხვა ვერ იგუა. სახასიათოა დიდებულთა მიმართვა მონღოლი ნოინისადმი: „...ჩუენ ურთიერთს დაუმორჩილებელ ვართ, და არა ეგების თუმცა დავმორჩილდეთ ვისმე, უკუეთუ არა იყო ნათესავი მეფეთა...“* (ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 218).

ხილავს ძირითადად I-VI და IX-XIII საუკუნეების მდგომარეობას[4].

იგი აღნიშნავდა: *„ქართული სამართლის ისტორიის შემსწავლელს კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ის ძირითადი განსხვავება, რომელიც I-VI სს-ისა და IX-XIII სს-ის საქართველოს სამეფოს შორის იყო: თუ I-VI სს-ში სამეფოს მთელი წესწყობილება და მეფისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების ხელისუფლება გვაროვნული წყობილების ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მამასახლისობიდან წარმოიშვა და განვითარდა, IX-XIII სს. მეფის ხელისუფლება ერისმთავრობის ნიადაგზე აღმოცენდა და აღორძინდა. ამგვარად აქ ორი სხვადასხვა სამყაროა, ცხოვრების სხვადასხვა პირობებით წარმოშობილი“.*[5]

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით ქართულ სამეფო-სამთავროებში მემკვიდრეობითობის წესი[6] ასეთი იყო:

I-VI სს-ში – როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში წესად ყოფილა უხუცესობით ტახტის გადაცემის ტრადიცია: „დაჯდა მეფედ ძე ვარაზ ბაქარისი... სახელით ფარსმან, რამეთუ იგი უხუცესი იყო ძმათა მისთა“.[7] მკვლევარი მიუთითებს არსებული წესი-

[4] რეალურად ამ ნაშრომში უფრო ფართო პერიოდია განხილული.

[5] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. I. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VI. თბ. 1982, გვ. 164.

[6] ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში ტახტის მემკვიდრეობის გადაცემის გარკვეული წესი (ჩვეულებითი საოჯახო სამართლის მსგავსად) ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზევე უნდა შემუშავებულიყო, თუმცა მკაცრად გაწერილი, კანონის სახით ჩაწერილი არსად გვხვდება.

[7] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა და ნათესავთა მათთა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955, გვ. 137: ივანე ჯავახიშვილი ამ მოსაზრების დასტურად ყურადღებას ამახვილებს პეტრე იბერის ცხოვრებაში არსებულ ცნობაზე არჩილ მეფის მოხუცებულობაზე: „...ასურული ცხოვრების ავტორს აღნიშნული აქვს, არჩილი მოხუცებული იყო, როცა მეფობა მიიღო“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. I. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VI, გვ. 163). დ. გოგოლაძეს მიაჩნია, რომ სტრაბონის ცნობა, პირველ გენოსში მემკვიდრეობის უხუცესობით გადაცემის შესახებ, ასახავს სამეფო ტახტის მონარქიული მემკვიდრეობითი უფლების იურიდიულ ნორმას – მამიდან უფროს ვაჟზე გადაცემის ტრადიციას და ეხება ძვ. წ. I და ახ. წ. I-II საუკუნეებს (დ. გოგოლაძე. სტრაბონის ცნობა იბერიის (ქართლის) მოსახლეობის პირველი გენოსისა და სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის შესახებ. ჟურნ.: „მნათო-

დან რამდენიმე გადახვევაზე: პრისკე პანიონელის ცნობა მამა-შვილის ერთობლივი მეფობის შესახებ. მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს არის არა ტრადიცია (ჩვეულება), არამედ ლაზიკის მეფეთა მცდელობა დაამკვიდრონ მემკვიდრეობითობის პირმშოობის პრინციპი; კიდევ ერთი საკითხია საინტერესო: *„რაკი აღმოსავლეთიცა და დასავლეთ საქართველოც I ს-ით ქ. წ. რომაელების პოლიტიკური გავლენის სფეროდ იქცნენ, მათი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ..., ხოლო შემდეგ მათი ადგილი ბიზანტიამ დაიკავა. IV ს-ითგან მოყოლებული სპარსეთი თანდათან აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებას ცდილობს... ცხადია, რომ ასეთ პირობებში მემკვიდრეობის კანონის უხუცესობის პრინციპი არა ერთხელ დაირღვეოდა“.*[8]

IX-XIII სს-ში *„არსებობდა თუ არა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის დაკანონებული რიგი საბუთებიდან ჯერ არა ჩანს“.*[9] ივანე ჯავახიშვილი გიორგი მერჩულეს ცნობაზე დაყრდნობით ამბობს, რომ პრიმოგენიტურა ჭარბობს. მოგვიანებით დამკვიდრდა თანამოსაყდრეობის წესი, თუმცა, როგორც ადრევე აღნიშნავდა, ეს არ იყო ტრადიციული და ეჭვი შეაქვს, რომ ლაზიკიდან გავრცელდებოდა. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი საინტერესო მოსაზრებას აყენებს: *„... საქართველოს მეფეებს ჰსურდათ, რომ თანამოსაყდრეობის წესის წყალობით თავიანთ მემკვიდრეებისათვის „მეფის კურთხევის წესის“ იმ ზოგიერთი მოქმედების ასრულება თავიდან აეცილებინათ, რომელნიც დიდგვარიან აზნაურთაგან მეფისადმი ხელისუფლების გარდაცემას სიმბოლურად გამოჰხატავდნენ“.*[10]

---

ბი“. №11-12. 2002, გვ. 106-107). ამ საკითხის გარშემო ასევე იხ.: თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1957; მისივე. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ. 1976; ვ. ვაშაკიძე. ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიიდან. თბ. 1991.

[8] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. I. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VI, გვ. 164.

[9] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VII. თბ. 1984, გვ. 146.

[10] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VII, გვ. 146.

ამრიგად, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით საქართველოში სამეფო ტახტის გადაცემის ძირითადად ორი წესი არსებობდა: უხუცესობის (სენიორული), მოგვიანო ხანაში კი პირმშოობის (პრიმოგენეტურა) მიხედვით.[11]

ამ ძირითადი საკითხების განხილვისას ივანე ჯავახიშვილი არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ მემკვიდრეობის უხუცესობის მიხედვით გადაცემის არსებული წესი ქართული ჩვეულებით დასტურდება; თანამოსაყდრეობის წესი არ უნდა იყოს ტრადიციული ლაზიკაში, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო შემოიტანეს; მრავალი შემოსევების შედეგად არსებული წესი განიცდიდა ცვლილებას; პირმშოობის წესი დაინერგა ერთიანობის ხანაში, რომ „თანამოსაყდრეობისა წესი და თვით ხელმწიფის მიერ თავის ტახტის მემკვიდრის დანიშვნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბიზანტიაში, მაგრამ იქ ეს გარემოება სხვა მიზეზით აიხსნება“ და სხვა. ერთი სიტყვით ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ჩვეულებაზე ამახვილებს, რადგან სხვა დამადასტურებელი არ იძებნებაო.[12]

---

[11] მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია მემკვიდრეობითობის 3 წესი: ***სენიორული***, როდესაც ტახტზე ადის გვარში უფროსი მემკვიდრე; ***მაიორატი,*** გარდაცვალების მომენტისათვის მონარქის უფროსი ვაჟი; ***პრიმოგენეტურა – პირმშოობის*** წესი, რომელიც გულისხმობს მემკვიდრეობის გადაცემას პირდაპირი დაღმავალი გზით, უფროს შტოზე (უფროსი ვაჟი ...), ასეთი შტოს შეწყვეტის შემდეგ მომდევნო უფროს შტოზე და ა.შ. ეს უკანასკნელი წესი კლასიკური ფორმით დასტურდება აშურში, სადაც „ლეგიტიმაციის ნიშანი იყო ხანგრძლივი გენეალოგია, მამაპაპური ტრადიციული დინასტია, რითაც ყოველი მონარქი ამაყობდა“ (ზ. კიკნაძე. ფარნავაზის სიზმარი და მეფობის ლეგიტიმაციის ტიპოლოგია. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები. VIII. 2008, გვ. 48). ასევე საინტერესოა დარიოს I-ის წარწერები ბიჰისტუნიდან: „მამა ჩემი იყო ვიშთასპა, ვიშთასპას მამა არშამა, არშამასი არიარამნა, არიარამნასი ჩიშპიში, ჩიშპიშისა აქამენი. ამიტომაც ვიწოდებით აქამენიანებად“ (Хрестоматия по истории древнего Востока. Под. ред. акад. В. В. Струве и Д. Г. Редера. М. 1963, გვ. 358; http:/loxus-hotel.com/history/koncepcia-vlasti/34??-concepciya-cars.koy-vlasti-u-kushan.html).

[12] ახალი დროების დადგომამდე კანონისმიერი მემკვიდრეობა თითქმის არსად გვხვდება. რუსეთში მემკვიდრეობის წესი პირველად 1797 წელს პავლე I-ის მმართველობისას შემოიღეს, საბოლოო სახე მან 1906 წელს მიიღო. ჩვენში ცნობილია 1790 წლის კანონი მემკვიდრეობის შესახებ.

გვინდა დავეთანხმოთ მას, მაგრამ ჩვენი მხრიდან გვაქვს რამდენიმე შენიშვნა და დამატება:

1. როგორც ითქვა, მემკვიდრეობის საკითხი ძირითადად რეგულირდებოდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებით და, ცალკეულ შემთხვევებში, ანდერძით – ანუ სამეფო ხელისუფლების ნება არის გადამწყვეტი. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ მონარქის ნება არის სამართლის წყაროც და სამართლებრივ ურთიერთობათა უმაღლესი რეგულატორიც.

ა) მრავალმხრივ საინტერესოა უკვე ნახსენები „მირის ანდერძი“. ამ მონაკვეთს მოვიტანთ სრულად: „ხოლო მირ დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ, და რქუა ძმასა თჳსსა არჩილს: „მე ესერა, ძმაო, მამათა ჩუენთ თანა; არამედ წარმეც და დამფალ საფლავსა მამათავე ჩუენთა თანა. და შენ გაუწყო ადგილი საგანძურთა ჩუენთა ნამალავთა სადა არს. და არა მივის ძე-წული შვილი მკჳდრად, არამედ მისხენ შჳდნი ქალნი. აწ შენ ხარ მკჳდრი სახლისაგან მეფობისა ჩუენისა, მირიან მეფისა. და შენ თჳთ უწყი, ვითარმედ ქალი, შვილი ჩუენი, არა მივსცით ერისთავთა ჩუენთა ცოლად. ანუ მივსცით მეფეთა, ანუ მოვინმე-ვიდის სპარსთაგან ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული მისი ცოლად. და ჩუენ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო, და მე ვარ უძეო. აწ რათგან მოიყვანნიან მამათა ჩუენთ ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩუენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცია შენდა, და გქონდეს საუხუცესოდ...““.[13]

ამ წყაროში დასმულია ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე საკითხი: პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათლად ჩანს მემკვიდრეობითობის გადაცემის ჩვენში არსებული ყველა ხერხი და საშუალება – მამა-პაპეული ტრადიციაც და ანდერძით, საგანგებო შემთხვევაში ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვა; მეორეც, დადასტურებულია მემკვიდრეობითობის ორი სახე – უფროსი ძეობით (მკჳდრობით) და უხუცე-

---

[13] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 240-241.

სობით. ასევე მოტანილია ქალის ხაზით მემკვიდრეობის გადაცემის შესაძლო ვარიანტები შეჯერებული ტრადიციებთან: „და შენ თუთ უწყი, ვითარმედ ქალი, შვილი ჩუენი, არა მივსცით ერისთავთა ჩუენთა ცოლად. ანუ მივსცით მეფეთა, ანუ მო-ვინმე-ვიდის სპარსთაგან ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული მისი ცოლად... აწ რათგან მოიყვანნიან მამათა ჩუენთ ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩუენთანი...“.

ბ) ყურადღებას იპყრობს დავით აღმაშენებლის ანდერძი,[14] რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გელათისადმი დაწერილ ანდერძად იწოდება და 1125 წლით თარიღდება.[15]

თუმცა აქ სხვა რამ არის საინტერესო, რაც ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: როგორც ვიცით, ანდერძში არის ერთი ფრაგმენტი, სადაც მეფე თავის მემკვიდრეს დემეტრეს სთხოვს, რომ „მივანდუჱნ შჳილნი და დედოფალიცა, შუამდგომლობით ღმრთისაჲთა, რაჲთა ძმაჲ მისი გაზარდოს და, თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა შემდგომად მისსა მეფეჰყოს მამულსა ზედა“.[16] აქ საუბარია დემეტრეს ნახევარძმაზე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცუატა-ვახტანგის სახელით არის ცნობილი. იგი არის დავითის უმცროსი ვაჟი, შობილი ყივჩაღთა მთავრის ასულის გურანდუხტისაგან. მკვლევართა ნაწილი[17] თვლის, რომ არამარტო ანდერძის ეს პასაჟი, არამედ

[14] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. წ. I. თბ. 1984, გვ. 60. ანდერძის დედანი დაკარგულია. მოგვეპოვება XIX საუკუნის ოთხი პირი.

[15] როგორც ვიცით, დავითი 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა და ანდერძი საწყისი ფრაზების მიხედვით იმქვეყნად წარმავალი კაცის დანაბარებია, რომელიც უკვე გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას. ამიტომაც ეს ანდერძი თარიღდებდა 1125 წლით.

[16] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 62.

[17] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 60-61; ზ. კუდავა ეთანხმება ნ. შოშიაშვილის მოსაზრებას ანდერძის ნაყალბევობის შესახებ და დამატებით არგუმენტებსაც გვთავაზობს: თუ დავით აღმაშენებელი თავად დემეტრეს უზარებს უმცროსი ძმის გამეფებას, მაშინ გაურკვეველი რჩება, ვის უნდა გადასცემოდა ტახტი ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ? ასევე ბუნდოვნად მიაჩნია ანდერძის ბოლოს დართული პასაჟი მეფის შეწირულობის შესახებ: ზ. კუდავა. კიდევ ერთხელ დავით აღმაშენებლის ანდერძის ნაყალბევობის შესახებ. იხ. „ქართული ხელნაწერი“. I საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებათა თეზისები. თბ. 2009, გვ. 103-105.

მთლიანად ანდერძია ნატყუარი. ნ. შოშიაშვილის აზრით, ტექსტს ეტყობა, რომ იგი „ღვთის კარნახის“ საფუძველზე კი არა, არამედ დემეტრეს ნახევარძმის მომხრეთა ინიციატივით არის შედგენილი.

ნ. შოშიაშვილი საკუთარ მოსაზრებას ამყარებს საინტერესო არგუმენტებით:

1. ანდერძის ტექსტიდან – „ვერ უძლე დატევებად საწუთოჲსა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთომან და დამძიმებული ცოდუათა სიმრავლითა, მწუხარედ განმიყუანა წინაშე მსაჯულისა“.[18] ჩანს, რომ ის დაწერილია დავითის გარდაცვალების შემდგომ, რომელსაც ადგენს „მლოცველი ბერი“. რა ძალა უნდა ჰქონოდა ანდერძს, თუ ის დაიწერებოდა მეფის სიკვდილის შემდგომ.

2. ტექსტში მოხსენიებულნი არიან ერისთავნი. თუმცა დავითის შესახებ არცერთ წყაროში (დავითის ისტორიკოსი, დავითის 1123-1124 წლის ანდერძი) ერისთავნი მოხსენიებულნი არ არიან.

3. ანდერძს არ ახლავს მეფის ხელრთვა, როგორც ეს ახლავს შიომღვიმისადმი დაწერილს.

4. ანდერძში მეფე ცვლის მემკვიდრეობის წესს. არავითარი „ცუატა“ დავითს არ ჰყოლია. ეს არის დემეტრეს ძმა ვახტანგი. „ცუატა“ მოხსენებულია იმ კონტექსტში, სადაც საუბარია, რომ თუ ივარგოს მისმა ძმამ ვახტანგმა ცუატა-ცოტა. ისეთი ძლიერი და ერთპიროვნული გამგებლისათვის, როგორიც იყო დავით აღმაშენებელი, ასეთი ახალი, შეუფერებელი მემკვიდრეობითი წესის დადგენა წარმოუდგენელი იყო.[19]

მართალია, აქ მოყვანილი მოსაზრებები საინტერესოა, მაგრამ მაინც ეჭვი გვაქვს, რომ საბუთი არ არის ნაყალბევი:

მიუხედავად იმისა, რომ ანდერძის გვიანდელი სათაურიდან და მისი პროლოგიდან ჩანს, რომ საბუთის დაწერის დროისათვის მეფე გარდაცვლილია, ჩვენი აზრით, დოკუმენტის ეს პასაჟი ანდერძის დამტოვებლის ფიგურალური გამოთქმაა, იმქვეყნად წარმავალი კაცის და-

[18] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 62.
[19] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 60-61.

ნაბარები, რომელიც მან „წარმოუთხრა მოძღუარსა თჳსსა არსენის ჟამსა გარდაცუალებისა თჳსისასა ყოველთათჳს დიდებულთა თჳსთა“.[20]

სწორედ ბერი არსენია ამ დოკუმენტის „ბოლო რედაქტორი“ და მასვე უნდა ეკუთვნოდეს სიტყვები: „გიბრძანებს და მოგაჴსენებს მეფეთა-მეფე დავით, დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსვლისა მისისათა, ჩემ მიერ უნდოჲსა და უღირსისა მლოცუწლისა მათისა ბერის პირითა“.[21]

თუ ანდერძი შედგენილია დემეტრეს ნახევარძმის მომხრეთა დასის მიერ, მაშინ საეჭვოა, რომ დოკუმენტში დემეტრე შეემკოთ აღმატებული ეპითეტებით. დავითი მის შესახებ ამბობს, რომ „მომცა პირუწლი შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნით, სიწმინდით, ახოვნებითა და სიმჴნითა უმჯობესი ჩემსა“.[22] მეფე თხოვს დემეტრეს დაუსრულებელი საქმეების შესრულებას, მემკვიდრეობისა და ოჯახის დაცვას[23]. საბუთის ბოლოში მეფე თავის მემკვიდრეს ანდერძად უბარებს გელათის კომპლექსის დასრულებას და კურთხევას. საეჭვოა, რომ ვახტანგის მომხრეებს, თუ ისინი თავისი ფავორიტის მომავალზე ზრუნავდნენ, დემეტრე, დავითის უპირობო მემკვიდრედ და ანდერძის შემსრულებლად გამოეყვანათ.

მართალია, ანდერძის სიტყვები: „თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა“ თითქოს ამოვარდნილია საერთო კონტექსტიდან, მაგრამ ვეჭვობთ, რომ იგი მოგვიანო ჩანართი იყოს – ჯერ ერთი, ძალიან საეჭვოა, რომ ტექსტის ცვლილება მოეხდინათ; მეორე, დავითი ამ ანდერძს დემეტრეს უბარებდა და რა თქმა უნდა, მამის დანაბარები ცნობილი იქნებოდა მისთვის[24].

---

[20] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 61.
[21] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 61.
[22] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 62.
[23] ჩვენი ვარაუდით იგულისხმება დავითის მეორე ოჯახი.
[24] მართალია, ტექსტში არ არის ნახსენები, რომ დემეტრე ესწრებოდა ამ ანდერძის შედგენას (როგორც სხვა საბუთებში გვხვდება – თანადგომითა შვილთა და ძმათა) და ანდერძს ადგენს მლოცველი ბერი არსენი. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დემეტრე ინფორმირებული იქნებოდა აუცილებლად დავითის სურვილების შესახებ. აქედან გამომდინარე, ცუატას მომხრეთა მცდელობას, შეეტანათ საბუთში ცვლილება, აზრი ეკარგებოდა.

ჯ. სტეფნაძის აზრით, დავითის ანდერძის აღნიშნული მონაკვეთი უნდა იყოს მომაკვდავი კაცის არაადეკვატური სურვილი. ავტორი ცდილობს გაამართლოს მეფის ზრუნვა თავის მეორე მცირეწლოვან შვილზე. მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ დავითის ეს სურვილი გარკვეულწილად შეიძლება განპირობებულია ყივჩაღთა ფაქტორით[25]. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ „მკვლევარებს, რომლებიც ანდერძის ნაყალბევობაზე მსჯელობენ, გარდა სიტყვიერი მსჯელობისა სხვა საბუთი ვერ მოაქვთ“.[26]

ჯ. სტეფნაძის ეს მოსაზრება გარკვეულწილად დამაფიქრებელია: სავარაუდოდ ყივჩაღებს დავითის მეფობის ბოლო პერიოდში გარკვეული გავლენა ექნებოდათ როგორც სამხედრო საქმეებში, ისე სამეფო კარზე (დედოფალი ხომ მათი თანამემამულე იყო). აღსანიშნავია, რომ დემეტრეს გამეფების პირველ ხანებში ყივჩაღთა დიდი ნაწილი ათრაქა შარაღანის ძის მეთაურობით სამშობლოში დაბრუნდა.[27] მათი დაბრუნება ხომ არ იყო მიზეზი „ცუატას შეთქმულების“ ჩახშობის შემდეგ დემეტრეს მხრიდან ზეწოლისა?!

ვახტანგს, რომ ნამდვილად სურდა ტახტის მიღება, მალე გამოჩნდა. 1130-1131 წლებით თარიღდება მისი გამოსვლა დემეტრე მეფის წინააღმდეგ.[28] სცენაზე უკვე მისი მომხრეები გამოდიან. კერძოდ, აბულეთისძეები – მამა-შვილი აბულეთი და ივანე – ცნობილი სარდლები. დავითის თანამებრძოლნი. აბულეთი ჯერ კიდევ სამშვილდის აღების დროს ჩანს მეფის მოხელეთა რიცხვში. აბულეთი მეფის უახლოესი თანამებრძოლი იყო. დავითმა მას ანისის გამგებლობა ჩააბარა. მაგრამ უკვე მისი ძე ივანე აშკარად მტრობდა დემეტრეს. მართალია, მამა უშლიდა შვილს მეფის წინააღმდეგ გამოსვლას, მაგრამ ივანემ არ დაიშალა. როგორც ჩანს, დემეტრე ინფორმირებული იყო შეთქმულთა გეგმების შესახებ. შეთქმულებმა ვერც კი მოასწრეს გამოსვლა.[29]

---

[25] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე. თბ. 1999, გვ. 17-20.
[26] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 18.
[27] ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, გვ. 250.
[28] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. 1965, გვ. 223-224.
[29] ვარდან არეველეცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან

მსგავსი სიტუაცია შეიქმნა XII საუკუნის 50-იან წლებში. ამჯერად მემკვიდრეობის წესის შემცვლელად უკვე დემეტრე I გამოდის. ტახტის არა უფროსი ვაჟის – დავითისათვის, არამედ უმცროსის – გიორგისთვის აპირებდა გადაცემას: *„დიმიტრისა, მჴნესა ჴდომათა შინა და მძლესა ბრძოლასა შინა, ორ ძე ებადასა, რომელთა დავით და გიორგი ეწოდებოდა სახელად. მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწვე-ლი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემსმენელმან ღმერთმან დავით დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მამასა. და მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა – მზე მნათობთა შორის“.*[30]

ამ სურვილს კიდევ უფრო დიდი ამბები და მძიმე შედეგები მოჰყვა ქვეყნისათვის. საქართველო შიდაპოლიტიკური, სამოქალაქო ომების სისხლიან მორევში ჩაიძირა და ეს შფოთი თითქმის საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა.

სამწუხაროდ, არ შემონახულა დემეტრეს ხელიდან გამოსული რაიმე დოკუმენტი, რითაც იგი აპირებდა მემკვიდრეობის წესის შეცვლას. მეფის ეს სურვილი მხოლოდ მოგვიანო ხანის ისტორიკოსებს აქვთ გახმოვანებული, მაგრამ არავინ დაობს დემეტრეს „ანდერძის“ ნატყუარობაზე.

აქედან ნათლად ჩანს, რომ მემკვიდრეობის საკითხის გადაჭრისას მეფის ნება იყო გადამწყვეტი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მეფეებს თავიანთი მემკვიდრეები სიცოცხლეშივე იმიტომ აჰყავდათ თანამოსაყდრედ, რომ აეცილებინათ ხელდასმის პროცესში დიდებულთა თანამონაწილეობა, რათა ნაკლებად ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი მათზე.[31]

თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ. თბ. 2004: Вардан Великий. Всеобщая история. Пер. с арм. Н. Эмина. М. 1961, გვ. 147-148 (ვსარგებლობთ ამ გამოცემით).

[30] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბ. 1959, გვ. 3.

[31] „დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა, /მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა“ (შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეფეთა კურთხევის წესში მკაცრად არის გაწერილი თუ ვინ, რომელი მხარის, გვარის, სამოქალაქო და სასულიერო პირი იღებდა მონაწილეობას კურთხევის პროცედურაში. ასევე გვაქვს ფაქტები და ვიზუალური მასალაც, როცა თანამოსაყდრედ ნაკურთხნი ხელმეორედ იქნენ ხელდასმულნი. ეს ეხება დემეტრე I-ის და თამარის მეფედ კურთხევას.

2. ივანე ჯავახიშვილი განიხილავს მემკვიდრის სრულ „ჰასაკოვნებისა" და აღზრდის საკითხებს, ცალკე გამოაქვს საუფლისწულო სახლის (სასახლის) არსებობის შესაძლებლობა და სხვა. მაგრამ არის რიგი საკითხებისა, რომელთაც ან გვერდს უვლის, ან დღემდე გადაუჭრელია და დაკონკრეტებას მოითხოვს.

ა) ივ. ჯავახიშვილის აზრით უფლისწულის „სრულჰასაკოვნება" სხვადასხვა ნიშნით განისაზღვრებოდა: პოლიტიკური – 16 წლიდან, სამხედრო – 21 წლიდან, სქესობრივი – 16 წლიდან. სამწუხაროდ, ვარაუდიდან ზუსტად არ ჩანს, თუ რა ასაკი ითვლებოდა სრულასაკოვნებად. ავტორი მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამს.[32]

ბ) აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით გვინდა დავეთანხმოთ დ. სართანიას, რომელიც აღნიშნავს: „სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილის მსჯელობაში ვერ ვხვდებით მასალებს თუ როგორი წესები იყო გავრცელებული საქართველოში აღზრდის პროცესის წარსამართავად".[33]

გ) ივანე ჯავახიშვილმა დასვა საუფლისწულო სახლის არსებობის შესაძლებლობის საკითხი, მაგრამ კვლევა არ დაუსრულებია.[34]

არადა, ამ თემას შესაძლოა ჰქონდეს საინტერესო გაგრძელება: ვეფხისტყაოსანში ნესტან-დარეჯანს ფარსადანმა აუგო სასახლე:

---

თბ. 1992, გვ. 16. სტრ. 45).

[32] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VII, გვ. 146.

[33] დ. სართანია. ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, გვ. 204.

[34] „დგეს დარბაზნი საუფლისწულონი მეტად დიდნი წვანითა ქვითა ნაშენები, მაღალნი და მშვენიერნი (მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. მშენებლობის ხელოვნება საქართველოში. თბ. 1946, გვ. 124).

„მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა...“.[35]

ამ საკითხზე მსჯელობისას ივ. ჯავახიშვილი გვერდს უვლის აპოლონიოს როდოსელის მონაცემებს აიეტის სასახლესთან დაკავშირებით:

„...აქ (აიეტის სასახლის გალავანში – ავტ.) იდგა სასახლე, რომელსაც მრავალი, კარგად შეკრული ორმაგი კარი და მოსასვენებელი ოთახი ჰქონდა სხვადასხვა მხარეს... პირდაპირ იდგა [ორი] მაღალი სრა-სახლი; ამათგან ერთში, რომელიც უმაღლესი იყო, მბრძანებელი აიეტი ცხოვრობდა თავისი მეუღლით, მეორეში კი აიეტის ვაჟი აფსირტოსი ბინადრობდა... დანარჩენი დარბაზები ეკავათ მხევალ ქალებსა და აიეტის ორ ასულს – ქალკიოპესა და მედეას“.[36]

დ) განსაკუთრებული განხილვის ღირსია ქალის ხაზით ხელისუფლების გადაცემის წესი. ამ საკითხს ავტორი მხოლოდ თამართან და რუსუდანთან დაკავშირებით მოიხსენიებს, არადა, საქართველოს ისტორიის რამდენიმე მომენტში მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, მირის ანდერძის თანახმად, *„...და არა მივის ძე-წული შვილი მკჳდრად, არამედ მისხენ შჳდნი ქალნი. აწ შენ ხარ მკჳდრი სახლისაგან მეფობისა ჩუენისა, მირიან მეფისა. და შენ თჳთ უწყი, ვითარმედ ქალი, შვილი ჩუენი, არა მივსცით ერისთავთა ჩუენთა ცოლად. ანუ მივსცით მეფეთა, ანუ მო-ვინმე-ვიდის სპარსთაგან ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული მისი ცოლად.* ***და ჩუენ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო, და მე ვარ უძეო. აწ რათგან მოიყვანნიან მამათა ჩუენთ ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩუენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ***“.[37]

3. სამეფო ხელისუფლების წარმომავლობისა და განვითარების საკითხების კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხელისუფლის ქცევა ხშირად განისაზღვრებოდა წინარე თაობათაგან შეთვისებული კულტურულ-ისტორიული წარმოდგენების საფუძველზე. თავის მხრივ ეს

[35] შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბ. 1992, გვ. 72, სტრ. 329.

[36] აპოლონიოს როდოსელი. ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია. ტ. I. თბ. 2010, გვ. 176-177.

[37] ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, გვ. 240-241.

წარმოდგენები განისაზღვრება უნივერსალური გადმოცემებით – კანონებით (ჩაწერილი – ადგილობრივი, ანუ გადმოღებული, ან პირდაპირი – ვერბალიზებული. ან ისეთი, რომლის ვერბალიზაციაც შეიძლება[38]), ასევე წეს-ჩვეულებებით, თქმულებებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსახილველ წყაროთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ არა მარტო კოდიფიცირებული კანონები, არამედ ვერბალიზებული წეს-ჩვეულებები და რიტუალები. ამის გარდა ყურადღება უნდა მიექცეს დოკუმენტურ მასალას: ანდერძებს, სიგელებს (ადგილობრივი დანიშნულებისათვის თუ უცხოელი მმართველებისადმი), ეპიგრაფიკულ ძეგლებს. განსაკუთრებულ წყაროთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ფრესკები და მინიატურები.[39]

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მემკვიდრეობის საკითხი ძირითადად რეგულირდებოდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებით და, ცალკეულ შემთხვევებში, ანდერძით – ანუ მონარქის ნება არის გადამწყვეტი, ის არის სამართლის წყაროც და სამართლებრივ ურთიერთობათა უმაღლესი რეგულატორიც.

[38] ასეთი „გადმოღებული“ უცხოური სამართლებრივი ნორმების მაგალითად მოვიტანთ ვახტანგ VI-ს სამართალში დადასტურებულ ჩანართებს და დავსძენთ, რომ მსგავსი ნორმები ადრიდანვე ჰქონდა შეთვისებული ქართულ სამართლებრივ პრაქტიკას: ***სამართალი მოსესი***, ***სამართალი ბერძნული, სამართალი სომხური (სირიულ-რომაული)*** (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ვახტანგ VI-ის წიგნთა კრებული).

[39] იხ.: ლ. თავაძე. საქართველოს სამეფო ოჯახის სოციალური სტატუსი XI-XVI საუკუნეებში ფრესკული მხატვრობის მიხედვით. თსუ საქართველოს ისტორიის შრომები. I. თბ. 2011; О. В. Погожева. Институализация монархической власти в допетровской России. www.history.vuzlib.net/ book-o064-page-333.html).

***Andro Gogoladze, Giorgi Zhuzhunashvili***

# ABOUT ORDER OF SUCCESSION TO THE ROYAL THRONE IN GEORGIA

Summary

Hereditary succession is one of the major characteristics of the dynastic rule. According to Ivane Javakhishvili, Georgian Kingdom used to have two typesof order of succession: at first, while existing the royal clan, it was seniorian order, and later, while existing royal family, primogeniture. As he states (and we agree to his opinion), royal succession in Georgia was regulated according to traditional customs and for the exceptional circumstances, the will of King was decisive. The will of King was the source for the legislation and it acted as the highest regulator of juridical order.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა*

# XV საუკუნის ქართული მონეტები*

XV ს. ტრაგიკული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ XV ს-ში დაიშალა საბოლოოდ ერთიანი საქართველო ცალკე სამეფო-სამთავროებად და ამის შემდეგ ქვეყნის ინტეგრირება დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ მოხერხდა. ცხადია, პოლიტიკურ კონიუნქტურასთან უნისონშია XV ს-ის საქართველოს ნუმიზმატიკური ძეგლებიც.

ამ ბილონის, ან, უკეთეს შემთხვევაში, დაბალი ხარისხის ვერცხლის ფირფიტების, პირით საქართველო ღაღადებს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კატასტროფას. XV ს-ის ქართული მონეტები საბოლოოდ დაკნინდა, მათი წონა 0.50 გრამამდე და უფრო დაბლაც კი დაეცა. მეტად დაბალი ხარისხის არის მათი დიზაინი, გაფორმების მხატვრული დონე. მონეტებს თარიღი არ უზის, საშინლად დამახინჯებულია არა მარტო მუსლიმური, არამედ ქართული წარწერებიც კი. ყოველგვარი ცდა პალეოგრაფიული ანალიზისა გამორიცხულია. ლეგენდები მხოლოდ მეფეთა სახელების დაქარაგმებას შეიცავს მამის სახელების აღუნიშნავად. ამით კიდევ უფრო რთულდება მონეტის ზუსტი განსაზღვრა. განძების კომპლექსების ანალიზის გარეშე ბევრი მათგანის სწორი ატრიბუცია ვერც კი მოხერხდებოდა. მაგრამ თუკი ამ დამახინჯებულ წარწერებიან მონეტათა მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრა მაინც შესაძლებელია, სინქრონული ანეპიგრაფიკული

* 2006 წელს გამოვიდა გიორგი დუნდუას და თედო დუნდუას მონოგრაფია – ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. წინამდებარე სტატია, გარკვეულწილად, მისი დამატებაა. ამასთან, ის სრულად შევა „ქართული ნუმიზმატიკის“ II ნაწილში, რომელიც გამოსაცემად მზადდება.

მონეტები დღესდღეობით ამოუხსნელ ამოცანად რჩება მეცნიერებისათვის. არის შემთხვევები, როდესაც მონეტა მხოლოდ და მხოლოდ „მეფის“ სახელით არის მოჭრილი და ამ ინკოგნიტო „მეფის“ მიგნება ისტორიკოსის ძალ-ღონეს აღემატება. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, XV ს. შექმნილ რთულ ისტორიულ სიტუაციასთან მიზეზობრივ კავშირშია.

იყო პერიოდი, როდესაც XV ს. ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერებისათვის „თეთრ ლაქას“ წარმოადგენდა იმის გამო, რომ არ არსებობდა შესაბამისი პერიოდის მასალა. ეს „ვაკუუმი“ 1935 წ. გორში აღმოჩენილმა განძმა შეავსო, რომლის შემადგენლობაში, მიახლოებითი გამოანგარიშებით, 10000-მდე მონეტა შედიოდა. ამან საშუალება მისცა დ. კაპანაძეს ძირითადად მოეხაზა XV ს. ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები. მაგრამ მაინც მის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოს ფარგლებს არ სცილდებოდა. მისივე სიტყვებით, მან „მხოლოდ მასალა მოამზადა მომავალი გამოკვლევისათვის“.[1] 1964 წ. გამოვიდა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი გ. დუნდუას ნაშრომი – სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964, გვ. 3-109, ხოლო 1965 წ. ავტორმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი XV საუკუნის საქართველოში (ისტორიულ-ნუმიზმატიკური ნარკვევები), იხ. ავტორეფერატი რუსულ ენაზე. თბ. 1965, გვ. 3-17. ქვემოთ ჩვენ ძირითადად ამ ნაშრომებს ვეყრდნობით.

დავუბრუნდეთ გორის განძს.

1935 წ. გორში, ყოფილი სემინარიის ქუჩას და სასაფლაოს შორის მიწის დამუშავების დროს, აღმოჩნდა დაბალხარისხოვანი ვერცხლის და ბილონის დაკნინებული წონის მონეტების განძი. მიახლოებითი გამოანგარიშებით, ის შეიცავდა 10000 ცალს. გორის განძის მნიშვნელობა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისათვის უაღრესად დიდია, ვინაიდან მისი წყალობით მეცნიერებისთვის ცნობილი გახდა XV ს-ის

[1] იხ. დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი. სსმმ. ტ. X-B. 1940, გვ. 279-299.

ქართველ მეფეთა, თუ ცალკეულ ფეოდალთა მონეტების უმრავლესობა და მოხერხდა მათი ზუსტი ატრიბუცია. განძის მონეტები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: I ჯგუფი – მონეტები ქართული ზედწერილებით; II ჯგუფი – მონეტები არაბული ზედწერილებით; III ჯგუფი – ანეპიგრაფიკული მონეტები სხვადასხვა გამოსახულებებით (მაგ. მხეცის), ან მონეტები უაღრესად დამახინჯებული ზედწერილებით. გარდა ამისა, მონეტების გარკვეული რაოდენობა ცალმხრივად სიქანაკრავია. განძის მონეტების დათარიღება მოხერხდა იმის საშუალებით, რომ მის შემადგენლობაში შემავალ ერთ-ერთ თურქულ ახჩაზე (ან მის მინაბაძზე) მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: ,,ისახელოს ძლევა მისი, მოჭრილია – ადრიანოპოლში – წელსა [8]86 = 1481 წ.“ ამრიგად, განძის დაფლობა XV ს-ის 80-იან წწ-შია სავარაუდო და მის შემადგენლობაში შემავალი მონეტები XV ს-შია მოჭრილი. განძის ქართული მონეტები მიეკუთვნება შემდეგ მეფეებს და ფეოდალებს: ალექსანდრე I (1412-1442 წწ.), ვახტანგ IV (1442-1446 წწ.), გიორგი VIII (1446-1466 წწ.), ვიდრე ის ერთიანი საქართველოს მეფე იყო, ბაგრატ VI (1466-1478 წწ.), სამცხის ათაბაგი ყვარყვარე (1451-1498 წწ.), კონსტანტინე II (1478-1505 წწ.). მისი სახელით მოჭრილი მონეტები განძის შემადგენლობაში ყველაზე მრავალრიცხოვანია და გამოირჩევა ვარიანტული მრავალფეროვნებით. განძი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში. გფ. №№ 743-1213, 1683-1863, 7183 – 7482.[2]

აქვე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი სამონეტო კომპლექსი, კერძოდ, ყაზბეგის რ-ნის სოფ. მნაში 1924 წ. აღმოჩენილი განძი, რომელიც 926 ც. ბილონის და სპილენძის მონეტას შეიცავს. მნას განძის შემადგენლობა თითქმის იდენტურია გორის განძის კომპლექსისა. ის ორ წყებად შევიდა აკად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში (გფ. №№ 3142 – 3481, 16293-16868). განძი შედგება XV-XVI სს-ის დაკნინებული მონეტე-

[2] მოკლე ინფორმაციისთვის გორის განძის შესახებ იხ. გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009, გვ. 41-42.

ბისგან და მოჭრილია შემდეგი მეფეების სახელით: 1. ვახტანგ IV, 2. გიორგი VIII, 3. კონსტანტინე II და 4. დავით X (1505-1525 წწ.). გარდა ამისა, განძის შემადგენლობაში შედიოდა თურქული ახჩების მინაბაძები, მონეტები მხეცის, თევზის და გეომეტრიული ორნამენტის გამოსახულებით.[3] გადავდივართ XV ს-ის ქართული მონეტების აღწერილობაზე.

გიორგი VII-ის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ძმამ კონსტანტინე I (1407-1411 წწ.). საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართული მონეტების ძირითად ფონდში დაცულია ერთადერთი მონეტა (№ 3202), რომელსაც დ. კაპანაძე კონსტანტინე I აკუთვნებდა. მას ასეთი სახე აქვს:

ვერცხლი. წ. – 0.40 გრ.

შუბლი – კვადრატში ჩასმული მთავრული ასოები,

Ⴒ

Ⴉ Ⴌ – კონსტანტინე.

Ⴑ

ზურგი – ორსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული წარწერა (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 124, № 147) (ტაბ. I, № 1).

იდენტური მონეტა ჯერ კიდევ ვ. ლანგლუამ გამოაქვეყნა XIX ს-ის 80-იანი წწ. დასაწყისში და შეცდომით კონსტანტინე II მიაკუთვნა. მაგრამ, როგორც მის მიერ არც თუ ისე ზუსტად დასახელებული თარიღიდან ჩანს (1407-1414 წწ.), ის კონსტანტინე I გულისხმობდა.

ეს მონეტა უცილობლად კონსტანტინე I ეკუთვნის. ამის დასამტკიცებლად სამი საბუთის მოტანა შეიძლება: 1. აღწერილი მონეტა ტიპოლოგიურად ახლოს დგას გიორგი VII-ის მონეტასთან, 2. მიუხედავად იმისა, რომ გორის და მნას განძებში, რომლებიც XV ს-ის შუა ხანების და XVI ს-ის დასაწყისის მონეტებს შეიცავს, კონსტანტინეს

[3] ინფორმაციისთვის მნას განძის შესახებ იხ. გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 113.

სახელით აღბეჭდილი მონეტები მრავალი ვარიანტით არის წარმოდგენილი, ანალოგიური მონეტა იქ არ გვხვდება, დაბოლოს, 3. ეს მონეტა შედიოდა 1832 წ. ლორეში აღმოჩენილ ფულად განძში, რომლის უკიდურესი ქრონოლოგიური ზღვარი 1426 წელია (განძის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ).

ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) მონეტები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში არ ინახება. მართალია, გორის განძში ერია ერთადერთი ცალი (გფ. № 7183, წ. – 0.38 გრ.), რომელსაც დ. კაპანაძე ალექსანდრეს აკუთვნებს, მაგრამ ეს მონეტა იმდენად გაცვეთილია, რომ გადაჭრით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. მონეტის შუბლზე თითქოს უნდა იკითხებოდეს შებრუნებული მთავრული ასო Ⴖ. თუ ეს ასეა, მაშინ ის ნამდვილად ალექსანდრე I ეკუთვნის, რადგან, როგორც ჯერ კიდევ ვ. ლანგლუამ მიუთითა, ეს ასო ქორონიკონს აღნიშნავს და ალექსანდრე I-ის გამეფების წელს ემთხვევა (100 = 1412 წ.).

ვ. ლანგლუა, მართალია, სწორ გზაზე იდგა, როდესაც Ⴖ-ში ქორონიკონის აღმნიშვნელი დაინახა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ეს მონეტა შეცდომით კონსტანტინე I მიაკუთვნა.[4]

ალექსანდრე I ჯერ კიდევ ვერცხლის მონეტის აღწერილობა ასეთია:

შუბლი – მონეტის ცენტრში ხაზოვან რკალში ჩასმული მთავრული ასო Ⴖ (ხშირ შემთხვევაში შებრუნებული), წრიული წარწერა, რომელიც, ე. პახომოვის ცნობით, კარგად შენახულ ცალებზე იკითხება ასე: „მეფეთ მეფე ალექსანდრე“.

ზურგი – ორსტრიქონიანი ქართული წარწერა: „სახელითა ღვთისათა“ (ტაბ. I, № 2).

ამ სტრიქონების ერთ-ერთმა ავტორმა თავის დროზე შეამოწმა სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის საცავში დაცული ალექსანდრე I მონეტები და დარწმუნდა ე. პახომოვის წაკითხვის სისწორეში. განსაკუთ-

[4] V. Langlois. Essai de Classificaton des Suites Monétaires de la Géorgie. Paris. 1860, გვ. 95.

რებით კარგად იკითხება მონეტის ზურგის ზედწერილი: ႱႲႧ/ႶႱႧ (სახელითა ღვთისათა). მონეტის შუბლის წარწერის ამოკითხვა კი მოხერხდა რამდენიმე მონეტის ლეგენდის ფრაგმენტების შეერთებით, რადგან სრული ზედწერილი არც ერთ მათგანზე შერჩენილი არ არის. სულ ერმიტაჟში ალექსანდრე I მონეტები 73 ცალის რაოდენობითაა დაცული.[5]

ალექსანდრე ტახტზე მისმა ვაჟმა ვახტანგ IV (1442-1446 წწ.) შეცვალა. დ. კაპანაძეს გამოქვეყნებული აქვს ვახტანგ IV-ის მონეტების ერთი ტიპი, რომელიც გორის განძში აღმოჩნდა (გფ. № 7184), მაგრამ ისინი ისე ცუდად არის დაცული, რომ მნას განძის იდენტური ცალები რომ არა, მისი მიკუთვნება ვახტანგისადმი გაძნელდებოდა.

ბილონი. წ. – 0.65, 0.85 გრ.

შუბლი – სამსტრიქონიანი ქართული წარწერა: ႶႧ/ႢႫႰ/ႿႭႱ – „ღმერთო, გაუმარჯოს“.

ზურგი – ასევე სამსტრიქონიანი წარწერა, რომელიც შუბლის ლეგენდას აგრძელებს: ႫႴႤ/ႱႥ႞Ⴒ /ႬႢႱ – „მეფესა ვახტანგს“ (ტაბ. I, № 3).

სოფ. მნას მეტად საინტერესო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელი განძის შემადგენლობაში აღმოჩნდა ვახტანგ IV-ის მონეტის ახალი ტიპი (გფ. №№ 7185-7187).

ბილონი. წ. – 0.88 გრ.

შუბლი – ორსტრიქონიანი ქართული წარწერა: ႫႴႤ/႞ႲႬ – „მეფე ვახტანგი“.

ზურგი – ცხოველის გამოსახულება, ძლიერ წააგავს სახედარს.

ცხადია, აღწერილი მონეტა ვახტანგ IV ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ის XVI ს-ის პირველ მეოთხედში ჩამარხული განძის შემადგენლობაში შედიოდა. სხვა ვახტანგი ამ ხანაში არ მოიძებნება. ამაზე ნათლად მეტყველებს თვით მნას განძის შემადგენლობის ანალიზიც. დასახელებული განძი შედგება ვახტანგ IV-ის I ტიპის, გიორგი VIII-

[5] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964, გვ. 56-57.

ის, კონსტანტინე II-ის და დავით X-ის მონეტებისგან. სავსებით ნათელია, რომ ქართველ მეფეთა ასეთი თანმიმდევრობა შემთხვევითი არ არის და აღწერილი მონეტაც ვახტანგ IV უნდა მიეკუთვნოს.

გორის განძში გიორგი VIII-ის (1446-1466, 1466-1476 წწ.) ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სამონეტო ტიპი აღმოჩნდა. მათი აღწერილობა ასეთია:

ბილონი. წ. – 0.47-0.70 გრ.

შუბლი – ოთხსტრიქონიანი ასომთავრული ქართული წარწერა: ႫႤႴႤ/ႫႤႴႧ/ႫႭႬႶႨ/Ⴑ ႢႨႢႨ – „მეფე მეფეთა, მონა ღვთისა, გიორგი“.

ზურგი – თანაბარტოტებიანი ჯვარი (ტაბ. I, № 4).

ბილონი.

შუბლი – ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი – [ႫႴႤ]/ႢႨႢႨ – „მეფე გიორგი“.

ზურგი – რომელიღაც ცხოველის კონტურები, ხშირ შემთხვევაში კი გამოსახულების გარეშე (ტაბ. I, №5).

დ. კაპანაძის აზრით, მონეტა, რომლის ზედწერილში გიორგი მოხსენებულია უბრალოდ „მეფედ“ და არა „მეფეთ მეფედ“, უნდა ეკუთვნოდეს მისი კახეთში მეფობის პერიოდს (1466-1476 წწ.), როდესაც მას, ბაგრატ VI-ის მიერ შევიწროებულს, არ შეეძლო რაიმე პრეტენზია ჰქონოდა „მეფეთ მეფის“ ტიტულზე. შეიძლება ეს ასეც იყოს.

გიორგი VIII-ის მეტოქეს, ბაგრატ VI-ს (1466-1478 წწ.) უნდა ეკუთვნოდეს შემდეგი მონეტა:

ბილონი. წ. – 0.64 გრ.

შუბლი – ორსტრიქონიანი ქართული წარწერა – ႫႴႤ/ႡႢႲ – „მეფე ბაგრატ“.

ზურგი – ფრთოსანი მხეცის გამოსახულება (ტაბ. I, № 6).

გორის განძში ასეთი მონეტა ერთადერთ ცალად აღმოჩნდა.

ამ ორი ისტორიული პირის მონეტების სინქრონულია ათაბაგ ყვარყვარეს მონეტაც.

ვერცხლი. წ. – 0.66 გრ.

შუბლი – ხაზოვან ოთხკუთხედში ორსტრიქონიანი ზედწერილი მხედრული ასოებით – ყრ/ყრ (ზედწერილი შესრულებულია შებრუნებულად), „ყვარყვარე“.

ზურგი – თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ რვაქიმიანი ვარსკვლავი (ტაბ. I, № 7).

ფეოდალურ მონეტებს თავდაპირველად მ. ბარათაევი შეეხო, მაგრამ მსგავსი მონეტა შეცდომით რუსუდანს (1222-1245 წწ.) მიაკუთვნა. ათაბაგ ყვარყვარეს სახელის ასოებში მან 450 (=1230 წ.) ქართული ქორონიკონი დაინახა, რომელიც რუსუდანის დირჰემებზე გვხვდება.[6]

შემდეგში იდენტური მონეტა, რომელიც გორის განძში აღმოჩნდა, ოღონდ **ასომთავრული** ზედწერილით, დ. კაპანაძემ მიაკუთვნა ბაგრატ VI-ის და კონსტანტინე II-ის თანამოსაყდრეობის (1466-1478 წწ.) პერიოდს. უკვე მაშინვე ავტორი თავის განსაზღვრას ეჭვის ქვეშ აყენებდა. ამიტომ იყო, რომ ზედწერილის საკუთარ წაკითხვას (ႱႬ/ႷႪႻ...?) კითხვის ნიშანი დაუსვა.[7] ზემოთ აღწერილი ცალის აღმოჩენამ კი მას საშუალება მისცა სწორად ამოეხსნა ამ თევზის გამოსახულებიანი მონეტების მომჭრელის ვინაობა.[8] ეს არის სამცხის ათაბაგი ყვარყვარე (1451-1498 წწ.), ცნობილი თავისი პარტიკულარიზმით. მისი მონეტების სხვადასხვა ვარიანტი მოწმობს, რომ სამცხის ზარაფხანა, რომელიც, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ახალციხეში იყო, საკმაო პროდუქციას უშვებდა. ყვარყვარეს მონეტების ვარიანტებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ის, რომ ც. ღვაბერიძემ მიაკვლია ისეთ ცალს, რომლის შუბლზე ათაბაგის სახელი **არაბულად** არის დაქარაგმებული, ხოლო

[6] М. П. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства. СПб. 1844, გვ. 129, № 14, ტაბ. VI, № 14.

[7] დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი, გვ. 292.

[8] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის. სსმ მ. XI-B. 1941, გვ. 150.

ზურგზე ისევ და ისევ თევზია გამოსახული.[9] სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ანეპიგრაფიკულ მონეტებზე, რომელთა ემისია ახალციხის ზარაფხანაში არავითარ ეჭვს არ იწვევს (დ. კაპანაძე, გ. დუნდუა). ვიძლევით მათ აღწერილობას ც. ღვაბერიძის მიხედვით:

1. გფ. № 7200. ვერცხლი. წ. – 077 გრ. ზ. – 14/16 მმ.

შუბლი – წრეში მოთავსებულია მარჯვნივ მიმართული თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ წერტილები.

ზურგი – წრეში მოთავსებულია თევზის სქემატური გამოსახულება მიმართული მარცხნივ. ზემოთ და ქვემოთ წერტილები.

2. ქმძფ. № 603. ვერცხლი. წ. – 0.48 გრ. ზ. – 13/14 მმ.

შუბლი – წრეში გამოსახულია ჯვარი.

ზურგი – წრეში მოთავსებულია თევზის სქემატური გამოსახულება, მიმართული მარცხნივ.

3. ქმძფ. № 3215. ვერცხლი. წ. – 0.73 გრ. ზ. – 13/14 მმ.

შუბლი – წრეში მოთავსებულია თევზის გამოსახულება, მიმართული მარცხნივ.

ზურგი – ხაზოვან ოთხკუთხედში სუნიტური რწმენის ფორმულა სამ ხაზზე არაბულად ,,არ არს ღმერთი, გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია მისი“.[10]

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, თევზის გამოსახულებიანი ქართული მონეტები ანონიმურია. მიუხედავად ამისა, დ. კაპანაძემ სავსებით მართებულად ეს მონეტები მესხეთის ზარაფხანას დაუკავშირა.[11] მას მხარი დაუჭირა გ. დუნდუამ.[12] მეტიც: გ. დუნდუამ სპეციალურად განიხილა თევზის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტების ატრიბუ-

[9] ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV-XVI სს.). ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. № 19. თბ. 2010, გვ. 225, № 5, ტაბ. 1.

[10] ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV-XVI სს.), გვ. 225-226, №№ 6-8.

[11] დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 150-151, 154-155.

[12] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 105.

ცია-დათარიღების საკითხი და, განძების კომპლექსების ანალიზისა და ამ მონეტების დიდი მსგავსების საფუძველზე ყვარყვარეს წარწერიან მონეტებთან, დაასკვნა, რომ მათი ემისია ათაბაგს ეკუთვნის, ოღონდ მისი მოღვაწეობის შედარებით ადრეულ პერიოდს, ვიდრე ის მეფე გიორგის ტყვედ აიყვანდა 1465 წ., ვიდრე სამცხე-საათაბაგო ფორმალურად ჯერ კიდევ შედიოდა ერთიანი საქართველოს ფარგლებში.[13] გაუგებარი მიზეზების გამო, ც. ღვაბერიძემ ამ მოსაზრებას დუმილით აუარა გვერდი და ანონიმური მონეტების ემისია, არც თუ ისე დამაჯერებელ არგუმენტებზე დაყრდნობით, ყვარყვარე II-ის მემკვიდრეებს – ქაიხოსროს (1498-1500 წწ.), მზეჭაბუკს (1500-1515 წწ.) და ყვარყვარე III (1515-1535 წწ.) მიაწერა. ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, რომ ასეთი დათარიღება შეუძლებელია, არამედ იმას, რომ ასეთი ატრიბუციისათვის მარტო ავტორის „დაკვირვება“ საკმარისი არ არის.[14]

გორის და მნას განძებში ყველაზე მრავლად წარმოდგენილია კონსტანტინე II-ის (1478-1505 წწ.) მონეტები. ისინი ორ დიდ ჯგუფად იყოფა, როგორც ტექნიკური შესრულების, ასევე მონეტაზე კონსტანტინეს სახელის გადმოცემის თვალსაზრისითაც. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ორმხრივად სიქანაკრავი მონეტები, რომლებზედაც კონსტანტინეს სახელს თან ახლავს ტიტული „მეფე“. მეორე ჯგუფს ცალმხრივად სიქანაკრავი მონეტები შეადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში კონსტანტინეს სახელს თან ახლავს ტიტული „მეფე“, ზოგიერთ შემთხვევაში კი არა.

პირველი ჯგუფის მონეტების აღწერილობა ასეთია:

ბილონი. წ. – 0.43-0.62 გრ.

შუბლი – ორსტრიქონიანი ასომთავრული ზედწერილი – ႫႴႤ/ႩႱႤ, „მეფე კონსტანტინე“, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით (ზოგჯერ – ႫႴ/ႩႤ).

[13] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 101-106.

[14] ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV-XVI სს.), გვ. 226.

ზურგი – მარცხნივ მიმავალი უცნობი მხეცი, გრძელი, აშვერილი და ზურგისკენ გადახრილი კუდით (ზოგჯერ გამოსახულების ქვემოთ ან ზემოთ – ჯვარი) (ტაბ. I, № 8).

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება გორის განძში აღმოჩენილი ოთხი მონეტა.

ბილონი. წ. – 0.57 გრ.

შუბლი – მზის გამოსახულება

ზურგი – ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა – ႫႴ/ႩႲ – „მეფე კონსტანტინე“, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით.

ოთხივე მონეტა გაცვეთილია.

ცალმხრივად სიქანაკრავ მონეტებზე კონსტანტინეს სახელის სხვადასხვა შემოკლებები გვხვდება: ႫႴႤ/ႩႲႬႤ, ႫႤ/ႩႤ, ႫႤ/ႩႱ, „მეფე კონსტანტინე“, ან ტიტულის გარეშე – ႩႱ/ႲႬႤ, „კონსტანტინე“. დ. კაპანაძეს ეს მონეტები ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელად მიაჩნია. წარწერები ამ მონეტებზე, როგორც ორმხრივად სიქანაკრავ მონეტებზე, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით (ბილონი, წ. – 0.47-0.64 გრ.).

გარდა ქართული მონეტებისა, გორის განძის საშუალებით დადგინდა აგრეთვე ის უცხოური ფულიც, რომელიც მიმოიქცეოდა საქართველოში XV ს. II ნახევარში. ესენი უნდა ყოფილიყო შირვანული თანგები და ოსმალური ახჩები, რომელთა მიხედვით ადგილობრივ მოუჭრიათ ცალმხრივად სიქანაკრავი მინაბაძები.[15]

XV ს-ში ფართო გავრცელება ჰქონია ანეპიგრაფიკულ მონეტებსაც, განსაკუთრებით მათ, რომლებზედაც ექვსქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული. ასეთი მონეტები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი გორის და მნას განძებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სამონეტო ტიპები, ისევე როგორც XV ს-ის ქართული მონეტების ტიპოლოგია საერთოდ, ოსმალეთის ნუმიზმატიკური ძეგლების გავლენას განიცდის.

---

[15] Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М. 1955, გვ. 111.

ასეთია, ძირითადად, XV ს-ის ქართული მონეტების აღწერილობა. მათი უმეტესობა მეცნიერებისათვის გორის განძის წყალობით გახდა ცნობილი. ბუნებრივია დაისვას კითხვა: რამდენად მართებულია ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი განძის XV ს-ით დათარიღება? ეს საკითხი თავის დროზე სავსებით მართებულად გადაჭრა დ. კაპანაძემ.[16] როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ განძის შემადგენლობაში, გარდა ქართული მონეტებისა, ერია აგრეთვე უცხოური ფულადი ნიმუშების მიხედვით მოჭილი ცალები და, შესაძლებელია, დედნებიც კი. ერთ-ერთი მათგანის ზედწერილი გარკვეული იქნა ცნობილი რუსი და ქართველი ორიენტალისტების – ა. ბიკოვის, გ. წერეთლის, ს. ჯიქიას და ვლ. ფუთურიძის დახმარებით. არაბული ლეგენდა ასე გაიშიფრა: „ისახელოს ძლევა მისი, მოჭრილია/ადრიანოპოლში/წელსა 86“.[17]

მონეტა ცალმხრივია და სავსებით იმეორებს ადრიანოპოლში მოჭრილი ახჩას ტიპს. ასეულების აღმნიშვნელი ციფრი გამოტოვებულია. დ. კაპანაძე სავსებით მართალი იყო, როდესაც წერდა, რომ ამ მონეტაზე 886 წ. უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი. საქმე ის არის, რომ ადრიანოპოლში პირვანდელ მოჭრილ ფულად ტიპად ცნობილია ჰიჯრ. 813 წ. (1410-1411 წწ.) დათარიღებული ახჩა.[18] ეს ადრეული ახჩები ეკუთვნის ბაიეზით I-ის (1389-1402 წწ.) შვილებს – სულეიმანს და მუსას. ადრიანოპოლშივე უნდა იყოს მოჭრილი სულეიმანის (1403-1410 წწ.) უფრო ადრეული მონეტებიც, რომელთა ზედწერილი არ შეიცავს ზარაფხანის სახელს. ყველაზე ადრეული მათ შორის მოჭრილია ჰიჯრ. 806 წ. (= 1403-1404 წწ.). მაშასადამე, გორის განძის შემადგენლობაში შემავალი მონეტის თარიღიც ამ საუკუნეში უნდა ვეძიოთ.[19] ჰიჯრ. 886 წ. = 1481 წ. ეს წელი კი შედის კონსტანტინე II-ის მეფობის ხანაში.

[16] დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი, გვ. 296 და სხვ.

[17] დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი, გვ. 296.

[18] А. А. Быков. Первый османский монетный двор. Труды отдела нумизматики ГЭ. т. I. 1945, გვ. 120.

[19] А. А. Быков. Первый османский монетный двор, გვ. 120.

მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, განძის XV ს-ის II ნახევრით დათარიღება მაინც იქნებოდა შესაძლებელი. თავი რომ დავანებოთ მონეტის წონას, ზომას, ფაქტურას და მოჭრის ტექნიკას, რომელთაც ამ შემთხვევაში განძის ასაკის ზოგადი თარიღისათვის შეიძლება ვენდოთ, არსებობს სხვა საბუთიც. გორის განძის ძირითადი ნაწილი, მოჭრილი კონსტანტინეს სახელით, არ შეიძლება სხვა ვინმეს მიეკუთვნოს, თუ არა კონსტანტინე II-ს. შეუძლებელია კონსტანტინე I-ს თავისი მეფობის ოთხიოდე წელიწადში ფულის ამდენი ნიშანი გამოეშვა და თანაც ასეთი ნაირნაირი ვარიანტებით. XVI ს-ის პირველი მეოთხედის მნას განძში კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ანალოგიური მონეტების დიდი რაოდენობით აღმოჩენა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ისინი კონსტანტინე I-ს არ მიეკუთვნება, რადგან საეჭვოა რომ ამ უკანასკნელის მონეტებს მიეღწია XVI ს-ის პირველი მეოთხედისთვის. ალექსანდრე, ვახტანგი, გიორგი, ბაგრატი, ყვარყვარე, კონსტანტინე, აი ის სახელები, რომლებიც გორის განძის მონეტებზე გვხვდება. ამის საფუძველზე, ჩვენი აზრით, დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს გორის განძის ქრონოლოგიური ჩარჩოების მოძებნა.

XV ს-ის ქართულ მონეტებს ოსმალური ნუმიზმატიკის დიდი გავლენა ემჩნევა. ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი ამაში დარწმუნ-და არა მარტო ლიტერატურის, არამედ მოსკოვის ისტორიული მუზე-უმის და სახელმწიფო ერმიტაჟის ოსმალური მონეტების ფონდების გადათვალიერების დროს. განსაკუთრებით თვალში საცემია ის გარემო-ება, რომ ოსმალური ტრადიციების გავლენა ქართულ მონეტებზე ოს-მალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამდეც შეიმჩნევა. როგორც ცნობილია, ოსმალური მონეტების თარიღი შეესატყვისება არა მონეტის მოჭრის წელს, არამედ ამა თუ იმ სულთნის ტახტზე ასვლის დროს.[20] ამავე წესის მიხედვით უნდა იყოს მოჭრილი ალექსანდრეს მონეტებიც. ალექსანდრეს დღემდე ცნობილი ყველა მონეტა მოჭრილია „ჟ“ ქორო-ნიკონს, რაც მისი გამეფების წელს ემთხვევა („ჟ“ = 100 = 1412

[20] А. А. Быков. Первый османский монетный двор, გვ. 9.

წ.). XV ს-ის მეორე ნახევრის ქართული მონეტების ტიპები კი პირდაპირ აღებულია სინქრონული ოსმალური საფასეებიდან.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ XV ს-ის ქართული მონეტების მოჭრის ტექნიკას, რაც თავის დროზე სპეციალურად იქნა შესწავლილი ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორის მიერ.[21] გამოირკვა, რომ XV ს-ის ქართული მონეტების მოჭრის ტექნიკის პრონციპი იგივეა, რა პრინციპითაც ჭრიდნენ მონეტებს ოქროს ურდოში, რუსეთში, ყირიმის სახანოში და, შესაძლებელია, სხვა ქვეყნებშიც. ის დამყარებულია ე.წ. **მავთულურ (ან მავთულის) ტექნიკაზე**. მისი არსი, მოკლედ, შემდეგში მდგომარეობს: ნაცვლად იმისა, რომ ხელოსნებს მოეხდინათ ლითონის (ვერცხლის) გამოკვერვა (კვერში გამოყვანა, ჭედვა) ფურცლებად და აქედან გამოეჭრათ მრგვალი ფირფიტები, როგორც ეს საერთოდ იყო მიღებული, მას (ე.ი. ლითონს) ჭიმავდნენ და ღებულობდნენ მავთულს, რომელსაც შემდეგ ყოფდნენ თანაბარი ზომის ნაწილებად. მათი გადაჭრის და გაბრტყელების შედეგად მიღებულ ოდნავ ოვალური ფორმის ნამზადებს ურტყამდნენ სიქას. მართალია, ასეთი ტექნიკით დამზადებული მონეტების ესთეტიური მხარე საგრძნობლად აგებდა, მაგრამ მას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა: ჯერ ერთი, ნაკლები იყო მონეტათა წონითი რემედიუმი და მეორეც, ამით აღწევდნენ ლითონის და დროის ეკონომიას, რადგან ასეთი მეთოდით მუშაობისას ნაკლებია ლითონის დანაკარგი და ნარჩენები აღარ მოითხოვს დამატებით დამუშავებას.[22] ეს ტექნიკა, როგორც ჩანს, მონღოლური წარმოშობისაა და არა რუსული, როგორც ამას რუსული ნუმიზმატიკის მკვლევარები ფიქრობდნენ.[23]

---

[21] საკითხის შესახებ იხ გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 21-24.

[22] იხ. И. Г. Спасский. Русская монетная система. Л. 1962, გვ. 89.

[23] იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 23, აქვე სათანადო ლიტერატურა.

* * *

XV ს-ის ქართული მონეტების აღწერის შემდეგ, გავეცნოთ სინქრონული უცხოური მონეტების აღმოჩენის ფაქტებს საქართველოში და ამის საფუძველზე, აგრეთვე, წერილობითი წყაროების ცნობების მოშველიების გზით, აღვადგინოთ სამონეტო ცირკულაციის სურათი ჩვენს ქვეყანაში შესაბამის პერიოდში. მაგრამ ჯერ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

XV ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფულად სისტემაში ახალი გარდატეხა მოხდა. საბოლოოდ დაკნინებულ ჯალაირულ დირჰემს ცვლის თემურ-ლენგის მაღალხარისხოვანი ვერცხლის თანგა, რომლის წონა 6.2 გრ. უდრიდა.[24] თანგა, როგორც ფულის ძირითადი ერთეული, მიღებულ იქნა მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. საქართველოს ფულად სისტემას, როგორც ფაქტობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, ეს რეფორმა არ შეხებია. XIV ს-ის დასასრულს და XV ს-ის დასაწყისში ჩვენში საბოლოოდ დაკნინებული წონის მონეტები იჭრება და მათ ტიპოლოგიურადაც არაფერი აქვს საერთო თემურ-ლენგის თანგებთან. ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას საშუალება არ ჰქონდა ასეთი სრულფასოვანი მონეტის მოჭრისა, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ უნდა შეეშალა თემურ-ლენგის თანგების გავრცელებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე. სინამდვილეში კი სულ სხვა სურათი გვაქვს. ჩვენში თემურის მონეტების (მაგრამ არა რეფორმის შემდგომ დროინდელი სრულფასოვანი თანგების, არამედ XIV ს-ის წვრილი ფულის) აღმოჩენის სულ რამდენიმე შემთხვევაა აღრიცხული.[25]

თემურ-ლენგის მონეტებთან დაკავშირებით კიდევ ერთ ფაქტზე უნდა შევჩერდეთ.

---

[24] Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и Закавказья. I. Баку. 1926, გვ. 30.
[25] მათი ჩამონათვალი იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 75-76.

თემურის ისტორიკოსის შერეფ ედ-დინ ალი იეზდის ცნობის თანახმად, როდესაც მასა და გიორგი VII-ს შორის შეთანხმება მოხერხებულა, ამ უკანასკნელს მრისხანე მეტოქისათვის სხვა საჩუქრებთან ერთად გაუგზავნია **ათასი ოქროს მონეტა შემკული თემურ-ლენგის სახელით.**[26] XVII ს-ის ქართველ ისტორიკოსს ფ. გორგიჯანიძეს კი ნათქვამი აქვს, რომ გიორგი VII-მ თემურს **ათასი თეთრი გაუგზავნაო.**[27] რომელ ცნობას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა?

ჯერ ერთი, სავალდებული არ არის ფ. გორგიჯანიძის მიერ ნახმარ ტერმინში „თეთრი" აუცილებლად ვერცხლის მონეტები ვიგულისხმოთ, რადგან, როგორც ეს ჯავახიშვილს აქვს გამორკვეული, „თეთრი" ფულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინადაც იხმარებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში მის ქვეშ ოქროს მონეტებიც იგულისხმებოდა.[28] მაგრამ თუკი ფ. გორგიჯანიძის მიერ ნახმარ ტერმინში ნამდვილად ვერცხლის მონეტები იგულისხმება, მაშინ მის ცნობას შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ შემდეგი მიზეზების გამო:

შერეფ ედ-დინ ალი იეზდის თხზულება „ზაფარ-ნამე" სამეცნიერო ლიტერატურაში თემურის მოღვაწეობის შესახებ ყველაზე კომპეტენტურ წყაროდ არის მიჩნეული.[29] ის ისეთ წყაროებს იყენებს, რაც არც ერთ სხვა ისტორიკოსს არ გამოუყენებია. გარდა ამისა, შერეფ ედ-დინ ალი იეზდი XV ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოსია და მისი ცნობები ამდენად უფრო სარწმუნოა, ვიდრე XVII ს-ის ქართველი ისტორიკოსის ვერსია. მართალია, ალი იეზდის ნაშრომი სრულებით არ არის დაზღვეული ნაკლისგან, რაც, უპირველეს ყოვლისა, თემურის გადაჭარბებულ აპოლოგიაში გამოიხატება, მაგრამ ამ შემთხვევაში არავითარ გადამეტებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ბოლოს და ბოლოს,

---

[26] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925, გვ. 8.

[27] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე. თბ. 1925. II, გვ. 312.

[28] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 12.

[29] А. Ю. Якубовский. Тимур (опыт краткой характеристики). ВИ. 1946. 8/9, გვ. 44.

რას წარმოადგენდა **ათასი ვერცხლის თანგა** მოჭრილი გიორგის მიერ, რომ ის განსაკუთრებით აღენიშნა ისტორიკოსს. თემურის წინაშე თითქმის მთელი მაშინდელი აღმოსავლეთი იხრიდა ქედს და სპეციალურ ლიტერატურაში ჩამოთვლილი საჩუქრების ფონზე, რასაც დაპყრობილი ქვეყნების მესვეურები უგზავნიდნენ მას, ათასი ვერცხლის თანგა იმდენად უმნიშვნელოა, რომ საეჭვოა, ვინმეს ეკადრებია მათი გაგზავნა მრისხანე დამპყრობლისათვის.

ფ. გორგიჯანიძის ისტორია ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეში, მისი სანდოობის თვალსაზრისით, არც თუ ისე მაღალ შეფასებას იმსახურებს.[30] თემურ-ლენგის შემოსევების ამბავიც მას თავისებურად და ზოგჯერ შემცდარი გაშუქებით აქვს გადმოცემული.[31] კონკრეტულ შემთხვევაშიც, მის ცნობას ვერ მივცემთ უპირატესობას შემდეგი მოსაზრებების გამო: 1. ფარსადან გორგიჯანიძე XVII ს-ის ისტორიკოსია და ასეული წლებით არის მოცილებული თემურის ეპოქას, ალი იეზდი კი თითქმის თემურის თანამედროვეა; 2. ფარსადან გორგიჯანიძე თავისი ისტორიისათვის, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იყენებს არა პირველხარისხოვან წყაროებს (შერეფ ედ-დინ ალი იეზდის და ნიზამ ედ-დინ შამის „ზაფარ-ნამეს“), არამედ კომპილაციურ თხზულებებს და ამდენადაც არც ამ მხრივ ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც მის თხრობას, როგორც თემურის არათანამედროვე პირისას, გააჩნდა.[32]

ამრიგად, ფაქტად უნდა ჩაითვალოს გიორგი VII-ის მიერ თემურისთვის მისი სახელით აღბეჭდილი ათასი ოქროს გაგზავნა. რა მონეტები უნდა ყოფილიყო ისინი?

[30] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ. 1945, გვ. 284-298.

[31] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 198.

[32] დ. კაციტაძე. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები. აღმოსავლური კრებული. I. 1960, გვ. 156-157.

ივ. ჯავახიშვილი და ს. კაკაბაძე მათ უცილობლად გიორგი VII-ის მიერ მოჭრილ მონეტებად მიიჩნევენ.[33]

თუ არ ჩავთვლით ანტიკურ პერიოდს, საქართველოს ზარაფხანებში ოქროს მონეტების ემისია ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება (ანტიკური ხანის მასალაც რამდენადმე სადავოა). მართალია, მეცნიერების განკარგულებაში შერეფ ედ-დინ ალი იეზდის ზემოთ მოყვანილი სიტყვების გარდა სხვა ცნობებიც არსებობს, რომლებიც თითქოს ადასტურებს საქართველოში ოქროს მონეტების მოჭრის ფაქტს, მაგრამ ასეთი ფული ჯერჯერობით არავის უნახავს. ამასთან დაკავშირებით დ. კაპანაძე აღნიშნავს: „მაღალ წრეებში სასაჩუქროდ ოქროს შაურიანებიც უჭრიათ. ექვთ. თაყაიშვილმა თავის დროზე ვახტანგ VI დროინდელი შემდეგი შინაარსის საბუთი გადაწერა: „ქ. ნასყიდა თავლადარს ასლანის აწონილი შვიდი მისხალი ოქრო გავუგზავნე ხალასი **ოქროს შაურების მოსაჭრელად. ოცდათვრამეტი შაური გამოგზავნა.** ესეც ავწონე. შვიდს მისხალს აკლდა ნახევარი მისხალი და ხუთი მუხუდო“. მაშასადამე, ოქროს შაურის წონა იმ დროს დაახლოებით 0.70 გრ. ყოფილა. 1789 წლით ერთ-ერთ საბუთში წერია, რომ „ოქრო შაურებადაც მოჭრილა სანავრუზოდ“ (ე.ი. საახალწლო საჩუქრის გასაცემად). თუმცა ასეთი ოქროს შაურიანები ჩვენ არ შეგვხვედრია“.[34]

გამომდინარე ზემოთქმულიდან, თუკი ივ. ჯავახიშვილის და ს. კაკაბაძის მოსაზრება გამართლდება, მას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისათვის. სამწუხაროდ, მათ თავიანთი აზრი მხოლოდ შერეფ ედ-დინ ალი იეზდის ცნობაზე აქვთ დამყარებული და ის სხვა საბუთით არ შეუმაგრებიათ. ეს კი დამაჯერებელი არ არის, რადგან გიორგი VII თემურისთვის შეეძლო მისივე მოჭრილი ოქროს ფულიც გაეგზავნა.

---

[33] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა..., გვ. 8-10; ს. კაკაბაძე. საფასის ისტორიისათვის საქართველოში. საისტორიო მოამბე. I. 1925, გვ. 15.

[34] დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 142.

პირველი საბუთი ივ. ჯავახიშვილის და ს. კაკაბაძის აზრის სასარგებლოდ თვით შერეფ ედ-დინ ალი იეზდის მიერ ფაქტის აღნიშვნაში უნდა ვეძიოთ. როგორც ჩანს, ისტორიკოსი ამ ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მასზე ასე რიგ გაამახვილა ყურადღება. შემდეგი საბუთი ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თემურ-ლენგის თანგების აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის აღრიცხული. სავარაუდოა, რომ ისინი საერთოდ არ შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე. მით უმეტეს, არ უნდა შემოსულიყო ოქროს მონეტები, რომლებიც აღმოსავლეთში განსაზღვრული რაოდენობით იჭრებოდა. ე. პახომოვმა თავის დროზე ამ სტრიქონების ერთ-ერთ ავტორს წერილობით შეკითხვაზე უპასუხა, რომ თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მას ამიერკავკასიის განძებში არ შეხვედრია არც ერთი ოქროს მონეტა, მოჭრილი თემურ-ლენგის სახელით. მაგრამ, როგორც ცნობილია, თემურს საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, რამდენჯერმე ეპყრა ხელთ. ადვილი დასაშვებია, რომ თბილისის აღების აღსანიშნავად მან აქვე მოაჭრევინა ოქროს მონეტები, რომლებიც შემდეგ გიორგი VII-ს ჩაუვარდა ხელთ. თავის დროზე ამ წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა გულდასმით შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის და ერმიტაჟის აღმოსავლური მონეტების ფონდები, მაგრამ თემურ-ლენგის სახელით თბილისში მოჭრილი ოქროს, ან, თუნდაც, ვერცხლის მონეტა ვერ მოიძია. მისივე თხოვნით, პროფ. დ. ლანგმა შეამოწმა ბრიტანეთის მუზეუმის აღმოსავლური მონეტების საცავი და უპასუხა მას, რომ საინტერესო მონეტები არც იქ აღმოჩენილა. იგივე პასუხი მიიღო მან შუა აზიის რესპუბლიკებში მომუშავე ნუმიზმატებისგან (ე. დავიდოვიჩის და მ. კაპლუნოვასაგან): დუშანბეს, ტაშკენტის და სამარყანდის მუზეუმებში თემურის სახელით თბილისში მოჭრილი მონეტები დაცული არ არის და არც ოდესმე ყოფილა მათი აღმოჩენის შემთხვევა აღრიცხული შუა აზიის ტერიტორიაზე. თბილისში მოჭრილი თემურის მონეტები ცნობილი არ არის ლიტერატურიდანაც. და საერთოდ, თემურის სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები საკმაოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

შუა აზიის და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მათი აღმოჩენის შემთხვევები აღრიცხული არ არის.

ასეთია ის საბუთები, რომლებიც ივ. ჯავახიშვილისა და ს. კაკაბაძის მოსაზრებას მისაღებად ხდის.

მაგრამ შეიძლება მათი აზრის საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანაც. პირველი ასეთი არგუმენტი ზოგადი ხასიათისაა. სავსებით სამართლიანია საყოველთაოდ მიღებული შეხედულება, რომ აღმოსავლეთში ოქროს მონეტები მცირე რაოდენობით იჭრებოდა, მაგრამ ოქროს მონეტების ემისიას მაინც ჰქონდა ადგილი და მათი გარკვეული ნაწილი მიმოქცევაშიც კი ირთვებოდა.[35] საქართველოში კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ანტიკური ხანის გამოკლებით, ოქროს მონეტები არ იჭრებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მონეტები ჯერჯერობით არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ ოქროს მონეტების ემისიის ტრადიცია საქართველოში არ ყოფილა. მით უფრო დაუჯერებელია, რომ ეს განხორციელებულიყო თემურ-ლენგის შემოსევების პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად უკიდურესად იყო დასუსტებული. მეორეც, მართალია, თემურის ოქროს მონეტები დიდ იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ ისინი მაინც ცნობილია. სამი ცალი ინახება ერმიტაჟში, რომლებიც ა. მარკოვს აქვს გამოქვეყნებული[36], და შვიდი ცალი დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, ისინი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე გამოუქვეყნებელია.[37] მეტად სიმპტომატურია, რომ ათივე მონეტა მოჭრილია თემურის საქართველოში ლაშქრობამდე

[35] Г. А. Федоров-Давыдов. К вопросу о денежном курсе золота в Иране и Средней Азии в XIV в. КСИИМК. вып. 66. М. 1956, გვ. 54.

[36] А. Марков. Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа. С.-Петербург. 1897, გვ. 566, №№ 335-336, 339; № 335 მოჭრილია 781 წ. = 1379/80 წწ., № 336 – 781 წ. = 1379/80 წწ., № 339 – 783 წ. = 1381/82 წწ.).

[37] მოსკოვის ისტორიული მუზეუმის აღმოსავლური მონეტების ფონდი №№ 91560/B – 1029-1030, თემური და სიურღათმიში, მოჭრილია ჰიჯრ. 781 წ. = 1379/80 წწ. – 2 ც, 91560/ B – 1031-2, თემური და სიურღათმიში, მოჭრილია ჰიჯრ. 781 წ. = 1379/80 წწ. – 2 ც, 91560/ B – 1034-6, თემური და სიურღათმიში, მოჭრილია ჰიჯრ. 782 წ. = 1380/81 წწ. – 3 ც.

და საფინანსო რეფორმის წინა ხანებში. თემურის ვერცხლის სინქრონული მონეტები კი, როგორც თავის ადგილზე მივუთითეთ, საქართველოში, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შემოდის. დასაშვებია, რომ სხვადასხვა არხებით საქართველოში მოეღწია თემურის სახელით მოჭრილ ოქროს მონეტებსაც.

ზემოთქმულის გამო, ჩვენ უყოყმანოდ ვერ გავიზიარებთ ივ. ჯავახიშვილის და ს. კაკაბაძის აზრს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ თემურის სახელით სიქაშემკული ათასი ოქროს ფული გიორგი VII-მ მოაჭრევინა, როგორც **დონატური მონეტა**, მაგრამ ამ მოსაზრების კატეგორიული მტკიცების მომხრე ჩვენ არ ვართ.

დავუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა მონეტები მიმოიქცეოდა XV ს-ის საქართველოში ადგილობრივ მოჭრილ ფულთან ერთად.

უპირველეს ყოვლისა, მივმართოთ წერილობით ცნობებს.

კონსტანტინე I-ის (1407-1411 წწ.) და ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) სახელთან დაკავშირებული რამდენიმე ცნობა მოგვეპოვება. კონსტანტინე I-ის დროის საბუთებში ნახსენებია **თეთრი**: ,,...თქუენთვის **თეთრი** მოეჴსენა ოთარს, ვარაზსა, რომემცა ვენაჴ გეყიდა და მცხეთას მათისა სულისათუის ალაპი დაედვა ნიკოლოზობის დღესა“.[38]

ალექსანდრე I-ის ეპოქაში საფასის აღმნიშვნელი ორი ტერმინი იხმარება: **თეთრი და თანგა.** ქვათახევის მონასტრის სიგელში ნათქვამია: ,,მერმე მან ვენახი მომყიდა **სამასი თანგა** მივეც“-ო. როდესაც ალექსანდრე I-ს ლორე აუღია და ქართული ტაძრების აღდგენისათვის მიუყვია ხელი, ვინაიდან ,,...მას ჟამსა შემოსავალი არსაით იყო სახლისა მისისათვის და ამით საქართველოს კუამლსა ზედა **ორმეოცი თეთრი მალად** განაჩინა“. **თანგა** იხსენიება აგრეთვე ალექსანდრე I-ის მიერ

[38] XV ს-ის საბუთებში მოხსენიებული ერთად თავმოყრილი ფულის აღმნიშვნელი ტერმინები სათანადო ბიბლიოგრაფიით იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 8-19.

1433 წ. გაცემულ ერთ-ერთ სიგელში, რომელიც შემდეგ მის მემკვიდრეს, ვახტანგ IV განუახლებია.

გიორგი VIII-ის რამდენიმე საბუთში ასევე **თანგა** ფიგურირებს.[39]

ამრიგად, წყაროების ცნობების მეშვეობით დასტურდება, რომ 1440 წლამდე (და შემდეგაც) საქართველოში გავრცელებული მონეტა **თანგა** ყოფილა. გარდა ამისა, დასტურდება ისიც, რომ ალექსანდრეს მეფობის ხანაში როგორც სახელმწიფო ხაზინა, ასევე ხალხი ფულის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის სიტყვებით, მოსახლეობას **1000 თანგის** საფასურად თავისი ახლობლების ტყვეობიდან დახსნა არ შეეძლო.[40] გარდა ამისა, საბუთებში **თანგის** და **თეთრის** მონაცვლეობა გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს თეთრში თანგა იგულისხმებოდა.

მაგრამ რომელი ქვეყნის თანგაა ქართულ საბუთებში ნაგულისხმევი? ამაზე პასუხი ფაქტობრივმა მასალამ, საქართველოში აღმოჩენილმა სამონეტო კომპლექსებმა უნდა გაგვცეს. ქვემოთ მოგვყავს მათი სია:

1. 1830-32 წწ. ლორეში აღმოჩნდა ფულადი განძი. ეს კომპლექსი თავის დროზე პეტერბურგის აზიურ მუზეუმში მოხვდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წწ. ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი ამაოდ შეეცადა აღედგინა ამ განძის ერთიანი კომპლექსი. საქმე ის არის, რომ განძში შემავალი მონეტები, მათი სადაურობის მიხედვით, სათანადო დოკუმენტაციის გარეშე, სხვადასხვა ფონდებში გაუტარებიათ. მაგრამ ლორეს განძი რომ ნამდვილად პეტერბურგის აზიურ მუზეუმში შევიდა, ეს არ უნდა იყოს საეჭვო. ლორეს განძში 67 ქართული მონეტა იყო.[41] ყოფილი აზიური მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდებში დღესაც ამდენივე ქართული მონეტა არის დაცული.

39 გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 9-10.

40 გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 10.

41 Е. А. Пахомов. Монетные клады... I, გვ. 59, № 165.

განძის აღმოსავლური მონეტების ემისიის უკიდურესი თარიღებია 1343-1426 წწ. 1426 წ. არის კომპლექსის დაფლობის terminus post quem. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ განძი კიდევ უფრო გვიან უნდა იყოს ჩამარხული. ამას გვაფიქრებინებს ლორეს განძში 67 ქართული მონეტის აღმოჩენა. ალექსანდრე I ლორე 1431 წ. აიღო.[42] ძნელი დასაჯერებელია, XV ს-ის გაუფასურებული და, ფაქტობრივად, არავითარი ღირებულების მქონე ქართული მონეტა ასეთი რაოდენობით გასულიყო საქართველოს ფარგლებს გარეთ და სრულფასოვან მონეტებთან ერთად მოხვედრილიყო განძში. ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება განძის დაფლობა 1431 წ. შემდეგ ვივარაუდოთ, როდესაც ლორე საქართველოს შემოუერთდა და, ბუნებრივია, ქართულმა მონეტებმა იქ იწყო ტრიალი.

ლორეს განძის 503 მონეტიდან 13 ჯუჩიდურია, 22 – ჰულაგუიდური, 9 – ჯალაირიდული, 16 – თემურის და სხვადასხვა პირის (სიურღათმიში, მაჰმუდი) მიერ მოჭრილი, 47 – თემურიდების, 50 – შირვანშაჰების, 8 – ოსმალების, 3 – მამლუქების, 90 – ყარა-ყოინლუს და 9 – აყ-ყოინლუს.[43] რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან? უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია ის, რომ ამ განძის შემადგენლობაში მოხვედრილი არ არის თემურის 6.2 გრ. წონის მქონე თანგა. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ამ თანგის აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის ფიქსირებული საქართველოს ტერიტორიაზე, რაც გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ ქართულ წყაროებში მოხსენიებულ **თანგაში არ უნდა იგულისხმებოდეს თემურის თანგები.** ისინი, როგორც ჩანს, საერთოდ არ შემოდის საქართველოში. სამაგიეროდ, კვლავ მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი თემურ-ლენგის და სხვადასხვა პირის სახელით XIV ს. 80-90-იან წწ. მოჭრილი მონეტები. შემდეგი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ამ ნაწილში კვლავ ტრიალებს (მართალია, უკვე შემცირებული მასშტაბით) ჯუჩიდური, აგრეთვე ჰულაგუიდური და ჯალაირიდული მონეტები.

[42] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. IV. თბ. 1948, გვ. 35.
[43] Е. А. Пахомов. Монетные клады... I, გვ. 59, № 165.

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ ადარბადაგანს თურქმანები ეუფლებიან. საქართველოს მეზობლად ახალი ძალა ჩნდება. ყარა-ყოინლუს წინააღმდეგ ომს საქართველოს ორი მეფე (გიორგი VII და კონსტანტინე I) შეეწირა მსხვერპლად. ყარა-ყოინლუს მონეტების თავმოყრას ლორეს განძში ადვილად ავხსნით ამ ისტორიული მომენტების გათვალისწინებით.

ლორეს განძის შემადგენლობა გვაფიქრებინებს, რომ თემურიდების და შირვან-შაჰების მონეტებს საკმაოდ ფართო გავრცელება უნდა ჰქონოდა საქართველოში. ძნელი სათქმელია, რამდენად იყო ჩვენში ამ დროს გავრცელებული ოსმალების და მამლუქების მონეტები, მაგრამ განძის შემადგენლობაში მათი მოხვედრა უკვე თავისთავად იმსახურებს დიდ ყურადღებას.

ცხადია, ლორეს განძი დიდ დახმარებას გვიწევს, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია სრულად წარმოგვიდგინოს ფულის ტრიალის სურათი ჩვენში XV ს-ის 30-40-იან წწ-ში, რადგან ლორე საქართველოს ახლადშემოერთებული სამხრეთის საზღვარი იყო, რომელსაც უშუალო შეხების წერტილი ჰქონდა აღმოსავლეთთან. დამატებითი ცნობების უქონლობის პირობებში, გაძნელდება იმის თქმა, იყო თუ არა ანალოგიური მდგომარეობა ქვეყნის სიღრმეშიც. საბედნიეროდ, ჩვენ მოგვეპოვება ასეთი დამატებითი მასალა, და არა ერთი.

2. 1964 წ. აპრილში სოფ. ახალი საქობოს (ლაგოდეხის რ-ნი) მახლობლად შემთხვევით იპოვეს თიხის ქოთანი, რომელშიც მოთავსებული იყო ვერცხლის მონეტები. მონეტები გაიფანტა, გადარჩა მხოლოდ 46 ც., რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში – გფ. №№ 11415-11460. განძის ყველა მონეტა შირვანული ანონიმური თანგაა და მიეკუთვნება ჰალილულაჰ I-ის (ჰიჯრ. 820-867 წწ. = 1417-1462 წწ.) მმართველობის პერიოდს. განძის 46 მონეტიდან 44 მოჭრილია შემახიაში, 2 – ბაქოში. მონეტებზე მოთავსებული თარიღის მიხედვით, განძის ჩამარხვა 1426-1427 წწ. შემდეგ არის სავარაუდო.[44]

[44] დაწვრილებითი ინფორმაცია ამ და შირვანული მონეტების სხვა განძე-

3. 1951 წ. შემოდგომაზე სოფ. თამარაშენში (ცხინვალის რ-ნი) შემთხვევით იპოვეს თიხის კოჭობი ვერცხლის მონეტებით. კომპლექსი მპოვნელებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს. ცხინვალის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ამ განძიდან მომდინარე 37 მონეტა არის დაცული, ხოლო საქართველოს ეროვნულ მუზეუმში – 8 (გფ. №№ 11414, 12140-12146). განძის შემადგენლობაში შემავალი სპილენძის ერთი მონეტა მოჭრილია საქართველოს მეფის დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) სახელით. განძის 44 **შირვანული თანგა** მიეკუთვნება ჰალილულაჰ I-ის ეპოქას. კომპლექსი ჩამარხული უნდა იყოს 1462-1463 წწ-ის შემდეგ. თანგები ძალიან გაცვეთილია და ზარაფხანები ცუდად იკითხება. 18 ეგზემპლარი შეიძლება შემახიაში იყოს მოჭრილი.

4. 1928 წ. სოფ. დიდხორხში (დუშეთის რ-ნი) აღმოჩნდა თიხის ქოთანი ვერცხლის მონეტებით. ე. პახომოვს განძის აღმოჩენის არც თუ ისე ზუსტი კოორდინატები აქვს მითითებული და არც განძის შემადგენლობაში შემავალი მონეტების ზუსტი რიცხვი აქვს დასახელებული: „...около 68 тенег начало XV в. ...“.[45] სინამდვილეში, განძი შეიცავს **66 შირვანულ თანგას** და 20 ქართულ მონეტას (ეს რიცხვი ე. პახომოვს სწორად აქვს დაფიქსირებული). შირვანული თანგები მიეკუთვნება ჰალილულაჰ I-ის ხანას, რომელთაგან ყველაზე გვიანდელის ემისიის წელია ჰიჯრ. 834 (= 1430-1431 წწ.). ისინი მოჭრილია შემახიაში, ბაქოსა და დარუბანდში. მაგრამ შირვანული მონეტების მიხედვით განძის დაფლობის თარიღს ვერ დავადგენთ. ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული თევზისგამოსახულებიანი ანონიმური ქართული მონეტების ატრიბუციასთან, რომელთა ემისია, თავის დროზე,

ბის შესახებ იხ. Г. Ф. Дундуа. Монетное обращение и торгово-экономические связи Грузии XV века. Автореферат диссертации на соискание ученной степени кандидата исторических наук. Тб. 1965, გვ. 12-13; Ир. Л. Джалагания, Г. Ф. Дундуа. Обращение ширванских монет XV века в Грузии. Статья первая и вторая. Известия Академии наук Азербайджанкой ССР. Серия истории, философии и права. Б. 1973. № 4, გვ. 53-69; 1974. № 1, გვ. 56-68. ამ უკანასკნელ ნაშრომში ამომწურავად არის განხილული საქართველოში შირვანული მონეტების მიმოქცევის და საქართველო-შირვანის ურთიერთობის საკითხები XV ს..

[45] Е. А. Пахомов. Монетные клады. вып. III. 1940, გვ. 54, № 876.

სამცხის ათაბაგს ყვარყვარეს მიეწერა. ოღონდ, მიახლოებით, მისი მოღვაწეობის იმ პერიოდს, როდესაც მან საქართველოს მეფე გიორგი VIII დაატყვევა.[46] ამრიგად, განძის ჩამარხვის ხანად XV ს-ის მეორე ნახევარი უნდა ვიგულისხმოთ.

5. 1971 წ. ხაშურის რ-ნის სოფ. ალში, გომიდან (ქართლი) საჩხერისაკენ (იმერეთი) მიმავალი გზის მონაკვეთის სიახლოვეს, ვენახში მუშაობის დროს, შემთხვევით აღმოჩნდა თიხის კოჭობი ვერცხლის მონეტებით. განძი გაიფანტა. 55 ც. ხაშურის მუზეუმში შევიდა, ხოლო 4 – სოფ. ქორეთის (საჩხერეს რ-ნი) სასკოლო მუზეუმში. განძი შეიცავს ჰალილულაჰ I-ის დროის ანონიმურ თანგებს, 6 ც., და ფარუხიასარის (ჰიჯრ. 867-906 წწ. = 1462-1500 წწ.) წვრილ მონეტებს – 53 ც. განძის ყველაზე ადრეული მონეტა მოჭრილია ჰიჯრ. 834 წ. (= 1430-1431 წწ.), გვიანდელი – ჰიჯრ. 898 (1492-1493 წწ.). განძი, როგორც ჩანს, ჩამარხულია XV ს-ის დასასრულს. ალის განძის მონეტები გაცვეთილია, მხოლოდ ზოგიერთ ცალზე იკითხება ზარაფხანის სახელი – შემახია.

ამრიგად, ზემოთ მოხსენიებული განძების შემადგენლობის ანალიზი სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ XV ს-ის მთელ სიგრძეზე აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში პრევალირებული ადგილი შირვანულ **თანგებს** ეკავა, რომ ქართულ წყაროებში მოხსენიებული თანგების ქვეშ უცილობლად ამ ქვეყნის მონეტებია ნავარაუდევი.

შირვანული მონეტების შემოსვლის გზებს საქართველოში თვით განძების აღმოჩენის ადგილები გვკარნახობს. დავიწყოთ დიდხორხის განძით.

სოფ. დიდხორხი თავისი მდებარეობით ერთგვარ ჩიხს წარმოადგენს. ის მდინარეებით და მთებით არის შემოფარგლული. ერთადერთი შესაძლებელი პუნქტი, საიდანაც განძში შემავალი მონეტები ამ სოფელში უნდა მოხვედრილიყო, ჟინვალია.

[46] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 105-106.

ვახუშტის მიხედვით, „...ჟინვანი არს შავისა და თეთრის არაგვის შესაკრებელოს შორის ციხე შენი და მაგარი და იყო ქალაქი და აწ უქმ არის“.[47] ვახუშტის სიტყვების გარდა, ჟინვალის მნიშვნელობას სხვა ცნობებიც ადასტურებს. თამარის დროინდელი წყარო გვაუწყებს, რომ „...ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა“.[48] როდესაც დავით VIII-ს და ყაზან ყაენს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, დავითმა სწორედ ჟინვალს შეაფარა თავი: „...და მოვიდა მთიულეთს, უკუდგა ჟინვანს, შეკრა სიბა, და მცველნი დაუდგინნა“[49] – გვაუწყებს ჟამთააღმწერელი. თ. ლომოური ჟინვალში ზარაფხანის არსებობასაც ვარაუდობს, სადაც, მისი აზრით, მთებში გახიზნულ დავით VIII-ს თავისი სპილენძის მონეტები უნდა მოეჭრა.[50]

როგორც ჩანს, პოლიტიკურად ჟინვალი კახეთს უკავშირდება. აქ კახთა მეფის სასახლე ყოფილა. კახეთის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილად სტეფანწმინდაა მიჩნეული.[51] ფუძნარის ეკლესიას, რომელიც ჟინვალის ახლოს მდებარეობდა, აკად. გ. ჩუბინაშვილი კახეთის არქიტექტურულ ძეგლებში ათავსებს.[52]

ჟინვალზე გადიოდა მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალები, რომლებიც ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა. ერთ-ერთი მათგანი, გადაჭრიდა რა მთელ კახეთის სამეფოს (გიში – კახი – ბელაქანი – ლაგოდეხი – ყვარელი – გრემი – ბახტრიონი – ჟინვალი – სტეფანწმინდა – არაგვისკარი), მას, ერთი მხრივ, ჩრდილოეთთან აკავშირებდა, ხოლო, მეორე მხრივ, შაქთან და შირვანთან. ჩვენი აზრით, სწორედ ამ გზით უნდა მოხვედრილიყო ჟინვალში (ხოლო შემდეგ სოფ. დიდხორხში) შირვანული მონეტები.

---

[47] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 93.

[48] ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ. 1959, გვ. 55.

[49] ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 302.

[50] თ. ლომოური. დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები. სსმმ. ტ. XV-B. 1948, გვ. 74.

[51] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თბ. 1948, გვ 41.

[52] Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тб. 1959, გვ. 423.

XV ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან კახეთის სამეფო საქართველოს სხვა კუთხეებზე მეტად დაწინაურდა პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც. ქალაქები – ზაგემი, გრემი, თელავი – მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, დიდხორხის განძი, ერთგვარად, კახეთის სამეფოში სამონეტო მიმოქცევის სურათის ანარეკლი უნდა იყოს. სრულიად აშკარაა, რომ XV ს-ში კახეთის სამეფო ეკონომიკურად მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული შირვანთან, რომელიც აბრეშუმის წარმოების და მისით ვაჭრობის მნიშვნელოვანი მხარე იყო.[53] უნდა ვიფიქროთ, რომ ამავე არხებით და ამავე გზით არის შემოსული შირვანული განძის მონეტები სოფ. საქობოში (ლაგოდეხის რ-ნი).

ასევე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო სოფ. ალი (ხაშურის რ-ნი), სადაც საბაჟო მდებარეობდა, და რომელიც უკვე XII ს-ში ქალაქს წარმოადგენდა.[54] ალზე გადიოდა გზა, რომელიც ქართლს იმერეთთან აკავშირებდა. საბაჟოს მიდამოებში სამონეტო განძების კონცენტრაცია (ჯუჩიდური და შირვანული მონეტების კომპლექსები) სავსებით კანონზომიერია და ისინი ადეკვატურად ასახავს ფულადი მიმოქცევის სურათს ქართლის ტერიტორიაზე.

გარდა შირვანული თანგებისა, XV ს-ის ქართული საბუთების მიხედვით, **ვენეციური დუკატების** გავრცელება საქართველოში უცილობელი ფაქტია.[55] გარდა წერილობითი ცნობებისა, ამას ადასტურებს ფაქტობრივი მასალაც.

1947 წ. ლეხურის ხეობაში (ახალგორს და მეჯვრისხევს შუა) აღმოჩენილ XVI ს-ის ოსმალურ ალთუნებს და ვენეციურ დუკატებს შორის XV ს-ის სამი ვენეციური ოქროს მონეტაც იყო, მოჭრილი

---

[53] И. П. Петрушевский. Государства Азербайджана в XV в. сб. статей по истории Азербайджана. вып. I. 1949, გვ. 182-183.

[54] შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1959, გვ. 44.

[55] ამ საკითხის შესახებ იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 85-88; აგრეთვე რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. თბ. 1971, გვ. 19-26.

შემდეგი დოჟების სახელით: ფრანჩესკო ფოსკარი (1423-1457 წწ.), პასკუალე მალიპიერო (1457-1462 წწ.) და ქრისტოფორო მორო (1462-1471 წწ.).[56] ეს ფულები, შესაძლოა, საქართველოში იტალიური სავაჭრო ფაქტორიებიდან – კაფა და ტანა – შემოდიოდა.

გარდა ამისა, სრულიად უდავოა, რომ რომ XV ს-ში ცირკულაციას განაგრძობს, განსაკუთრებით ინტენსიურად დასავლეთ საქართველოში, კირმანეული თეთრი, რაც დასტურდება კოპიტნარის განძის შემადგენლობით.

გიორგი VIII-ის მეფობის ბოლო წლებში და ბაგრატ VI-ის მეფობის დროს სამცხე-საათაბაგოში, შესაძლოა, მის ფარგლებს გარეთაც, როგორც ჩანს, მიმოიქცევა **ოთმანური ფული**, როგორც **ფლური** (ე.ი. ოქროს მონეტები), ასევე **თეთრიც**. ოთმანური, ცხადია, ოსმალურს ნიშნავს.[57] საქართველოში ოსმალური მონეტების გავრცელების ფაქტს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ადასტურებს თუნდაც ის, რომ XV ს-ის მეორე ნახევრის ქართულ მონეტებს ოსმალური ნუმიზმატიკის ძლიერი გავლენა ემჩნევა. ამაზე მიუთითებს აგრეთვე გორის და მნას განძების შემადგენლობა, სადაც ოსმალური მინაბაძების გარდა ორიგინალებიც ურევია.

[56] ლეხურის განძის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 25-30.

[57] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 89.

# ტაბულები

ტაბულების აღწერილობა

## ტაბულა I

№ 1. ვერცხლი. კონსტანტინე I.
№ 2. ვერცხლი. ალექსანდრე I.
№ 3. ბილონი. ვახტანგ IV.
№ 4. ბილონი. გიორგი VIII.
№ 5. ბილონი. გიორგი VIII.
№ 6. ბილონი. ბაგრატ VI.
№ 7. ვერცხლი. ყვარყვარე.
№ 8. ბილონი. კონსტანტინე II.

## ტაბულა I



1



2



3



4



5



6



7



8

*Giorgi Dundua, Tedo Dundua*

# THE 15$^{TH}$ C. GEORGIAN COINS

Summary

Small silver pieces of about 0.5 gr. show unhappy picture of the Georgian economics in the 15$^{th}$ c., accompanied by gradual political disintegration. They are struck by the Georgian kings and princes as follows: Constantine I (1407-1411), Alexander I (1412-1442), Vakhtang IV (1442-1446), Giorgi VIII (1446-1466), Bagrat VI (1466-1478), Kvarkvare (1451-1498), prince of Samtskhe (Southern Georgia), Constantine II (1478-1505). And they are concentrated into two main hoards: Gori and Mna in Eastern Georgia. Inscriptions are mostly Georgian.

Gori hoard reveals also tangas of Shirvan and the Ottoman akhchas, being in circulation in Georgia. And influence of the Ottoman numismatics can be well traced on the coins struck in Georgia.

Still, tangas of Shirvan form the most prominent influx into money circulation of Eastern Georgia in the 15$^{th}$ c., strengthened by the Ottoman gold and Venetian ducats. Imitations to the aspers of Trebizond are struck in Western Georgia even now.

## შემოკლებათა განმარტება

სსმმ – აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე

ВИ – Вопросы истории

КСИИМК – Краткие сообщения Института истории материальной культуры

*ალექსანდრე ბოშიშვილი*

# „ოსმალობის“ გავლენა სოლაღაშვილების სამფლობელო სოფლების დემოგრაფიულ მდგომარეობაზე (1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერისა და 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით)

1723 წლიდან ქართლში და კავკასიის დიდ ნაწილზე ოსმალების ბატონობა დამყარდა, ამავე დროს ოსმალეთმა დაიკავა კასპიის ზღვისპირა პროვინციები. 1724 წელს რუსეთმა და ოსმალეთმა სტამბოლში შეთანხმება გააფორმეს, რომლის ძალითაც ოსმალეთი რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაპყრობას ცნობდა, ხოლო პეტრე I-მა ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ სომხეთის დამორჩილება აღიარა. რუსეთს ქართლი მხოლოდ ოსმალეთთან ომის თავიდან ასაცილებლად სჭირდებოდა.[1] დასუსტებულმა ირანმა კავკასიაში ოსმალეთის გაბატონებას წინააღმდეგობა ველარ გაუწია, არც ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს შესწევდა ამის ძალა. 1724 წელს პეტრე I-ს დახმარების იმედზე მყოფი ვახტანგი იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო.[2]

ქართლში კი ოსმალური ადმინისტრაცია შეიქმნა. ქართლის სამეფოს, თბილისის ვილაიეთი უწოდეს, რომელიც უფრო მცირე ერთეუ-

[1] დ. კაჭარავა, ქართული სამეფო სამთავროების დიპლომატია XVIII ს-ში. ქართული დიპლომატიის ისტორია. თბ. 2003, გვ. 459.
[2] ვახტანგს იმედი ჰქონდა რომ უკან რუსული ჯარით დაბრუნდებოდა და სამშობლოს საბოლოოდ გაანთავისუფლებდა ოსმალების და ყიზილბაშების ბატონობისგან. მაგრამ იმედგაცრუება ელოდა, რუსეთის იმედად მყოფი, 1737 წელს გარდაიცვალა.

ლებად: ნაჰიეებად, ლივებად და ყაზებად იყოფოდა.[3] ვილაიეთის გამგებელი ანუ ვალი ისაყ ფაშა იყო.[4] ქართლში ოსმალების ბატონობის პერიოდი „ოსმალობის“ სახელით არის ცნობილი.

კვლევის მიზანია სოლაღაშვილების სათავადოს სოფლების მაგალითზე გამოვარკვიოთ, „ოსმალობის“ პერიოდში ქართლის მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა.

XVIII საუკუნის I ნახევრის დემოგრაფიული სიტუაციის შესახებ, უმთავრეს წყაროებს წარმოადგენს, ფისკალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ხასიათის ორი დოკუმენტი, რომლებიც სწორედ აღნიშნულ პერიოდშია შედგენილი და ორივე სანდო და ზუსტ მონაცემებთან მიახლოვებული უნდა იყოს. ერთი 1721 წელს ანუ „ოსმალობამდე“ არის შედგენილი, მეორე 1728 წელს ანუ „ოსმალობის“ შემდეგ.

1721 წელს ვახტანგ VI-ის ბრძანებით მეწინავე სადროშოს, ანუ ქვემო ქართლის მოსახლეობის აღწერა ჩატარდა. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღწერა პირადად მეფის ძემ, მეწინავე სადროშოს სარდალმა ვახუშტი ბატონიშვილმა და ქართლის მდივანბეგმა გივი თუმანიშვილმა ჩაატარეს.[5] ვახუშტის, როგორც სადროშოს სარდლის, ინტერესებში მოსახლეობის მონაცემების დაფარვა ნამდვილად არ შედიოდა, მათი საერთო რიცხვის დაკლებით, ან რაიმე სახის გაყალბებით, როგორც მოლაშქრეები ისე გადასახადების გადამხდელები მოაკლდებოდა. აღწერის შესავალში აღნიშნულია, რომ „აღვსწერეთ ამა დავთართა შინა, რომელ ძალედვა აბჯართა და ცხენთა ჭმარებანი, გი-

---

[3] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ. წ. I. თბ. 2009.

[4] ისაყ ფაშა (1701–1748) წარმოშობით ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოდან იყო. პირველი გამაჰმადიანებული ათაბაგის საფარ ფაშას შთამომავალი, ახალციხის ფაშა და თბილისის ვალი. „მპყრობელი და განმგებელი ყოვლისა საქართველოსი.“ ოსმალეთის სამთუღიანი ვეზირი.

[5] აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა. შედგენილი ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა. ე. თაყაიშვილის გამოც. თბ. 1907.

ნა სამეფოთა ხარჯთა და ბაგარათა გამოღებანი“.[6]

მეორე ფისკალურ-ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტი 1728 წელს, ანუ ქართლში ოსმალების გაბატონებიდან რამდენიმე წლის შემდეგ არის შედგენილი.[7] დავთარში აღწერილია ქართლის ყველა დასახლებული სოფელი, დაბეგრილია ყველა ფეოდალი, აზნაური, გლეხი, აზატი, ბოგანო... დავთარის მიხედვით შეიძლება გაირკვეს წარმოდგენილი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრული სურათი. ოსმალეთში იმ დროს ოცამდე სახის გადასახადი არსებობდა, ამიტომ ქართლის მოსახლეობა მრავალი გადასახადით და ვალდებულებით დაიბეგრა. ოსმალებისთვის არ არსებობდა საზოგადოების სხვადასხვა ფენა, მათთვის თავადიც და აზნაურიც გადასახადის გადამხდელ გლეხობასთან იყო გათანაბრებული. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში გაყალბებული მონაცემები იყოს.

რადგან ორივე დოკუმენტი, მეტნაკლებად დაზუსტებულ მონაცემებს უნდა გვაძლევდეს, ამიტომ მათი შედარების შედეგად მიღებული დასკვნებიც რეალობასთან ყველაზე ახლოს უნდა იყოს.

1721 წლის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით მებატონეები არიან იესე, ზურაბ, გიორგი, ასლამაზ, შიოშ, ყაფარ, ავთანდილ და იოთამ სოლაღაშვილები, რომლებიც ფლობენ სოფლებს: ასურეთი, გუდელისი, დრე, ვეძისი, კუმისი, მამისდაბა, მონასტერი, საღორისი, ტაბახმელა, ტაგნაგეთი, ღოუბანი, შინდისი, ჭაპალა.[8] საერთო ჯამში, სოლაღაშვილები 13 სოფელში 191 კომლის და 55 ბოგანოს პატრონები იყვნენ. ამის გარდა, მათ ჰყავდათ აზნაურებიც (ქრისტესიაშვილი, ტურიაშვილი, დათუნაშვილი, იარალაშვილი, ამილრბოქაშვილი, ხარშილაძე, არღუთაშვილი, დივანიშვილი).[9]

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის მიხედვით,

---

[6] აღწერა მეწინავე დროშისა, გვ. IX.

[7] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ. თბ. 2010.

[8] აღწერა მეწინავე დროშისა, გვ. 140–149, 156.

[9] აღწერა მეწინავე დროშისა, გვ. 140–149, 156.

სოლაღაშვილების სოფლებში დაახლოებით იგივე რაოდენობა ცხოვრობს, რამდენიც 1721 წელს.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოცემულია სოფლის მოსახლეობის აღწერის მასალები. ორ პარალელურ სვეტში 1721 წლის და 1728 წლის აღწერებია წარმოდგენილი.

| 1721 წლის აღწერა | 1728 წლის დავთარი |
|---|---|

### *ღოუბანი*

| *ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ღოუბანს* | **სოფელი ღოუბანი ექვემდებარება საბარათიანოს ნაჰიეს** |
|---|---|
| მახუაშვილი ივანე *კომლი ა თავი ა* | იასე ძე გივისა |
| აბულაშვილი კაცია *კომლი ა თავი ა* | ლაზარე ძე მისი |
| აბულაშვილი ოქრუა *კომლი ა თავი ა* | გიორგი ძე ბაბირასი |
| აზარიაშვილი ივანე *კომლი ა თავი ა* | იასე ძმა მისი |
| ციუაშვილი იესე *კომლი ა თავი ა* | ზუზა ძე სულხანასი |
| ყელბერაშვილი იესე *კომლი ა თავი ა* | იასე ძე მისი |
| ვარამაშვილი ლომიტა *კომლი ა თავი ა* | იოსებ ძე ბირიასი |
| ვარამაშვილი ებალა *კომლი ა თავი ა* | ბერუკა ძე მისი |
| უსეფაშვილი თამაზა *კომლი ა თავი ა* | ივანე ძე გელიასი |
| კენკებაშვილი იორდანე *კომლი ა თავი ა* | ბერუა ძე მისი |
| პეტრიაშვილი ბერუა *კომლი ა თავი ა* | იასე ძე ბაბუნასი |
| პეტრიაშვილი თევდორე *კომლი ა თავი ბ* | ლაზარე ძე ბესიკასი |
| ჯანგებაშვილი ზურაბა *კომლი ა თავი ა* | ბერუა ძე მისი |
| გულუაშვილი იესე *კომლი ა თავი ა* | დუდანა ძე ქიტესასი |
| დოდიაშვილი იორდანე *კომლი ა თავი ა* | იორდანე ძე მისი |
| ბოგანო ბერუა მოლაშქრე | თამაზა ძე იოსებისა |
| ბოგანო ლაზარე მოლაშქრე | იოსება ძე ოსიკასი |
| ბოგანო იესე მოლაშქრე | ბერუა ძე მისი |
| ბოგანო დათუნა მოლაშქრე | საკუა ძე დოვლათასი |
| ქ. აქავ ამისი აზნაურშვილი **ქრისტესიაშვილი** | დავით ძე მისი |

**ბეჟან**

ამისი ყმა ბოგანო შიაუა

**ქ. აზნაურშვილი იესე მღვდელი** [10]

***ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა***

ახალკაციშვილი გიუა *კომლი ა თავი ა*

ბარამიშვილი ბერუა *კომლი ა თავი ა*

გოგიაშვილი იესე *კომლი ა თავი ა*

სულხანაშვილი რევაზა *კომლი ა თავი ა*

პეტრიაშვილი იოსება *კომლი ა თავი ა*

ვარამაშვილი იესე *კომლი ა თავი ა*

ბეჟიაშვილი ლაზარე *კომლი ა თავი ა*

მირაქაშვილი ბეჟანა *კომლი ა თავი ა*

მანჩალაშვილი დათუნა *კომლი ა. თავი ა.*

დოღიაშვილი საქუა *კომლი ა. თავი ა.*

გულუაშვილი ბეჟუა *კომლი ა. თავი ა.*

ქიტესაშვილი ქიტესა *კომლი ა. თავი ა.*

ახალკაციშვილი ბერაძე *კომლი ა. თავი ა.*

სვიმონაშვილი ბერი ბოგანო *კომლი ა. თავი ა.*

ბოგანო ბეჟუა მოლაშქრე

ბოგანო კურდღელა მოლაშქრე

ბოგანო ივანე მოლაშქრე (გვ.43)

**ქ. აქავ ამისი აზნაურშვილი ქრისტესიაშვილი გივი**

ამისი ბოგანო იესე მოლაშქრე[11]

***ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა***

აბულაშვილი გიორგი *კომლი ა. თავი ა.*

ბოგანო ბერუა

ბოგანო მამულა

ბოგანო შიუა

**ჯამი: კომლი 30, ბოგანო 12.**

ნასურა ძე გაბუასი

გივა ძე მისი

ათალა ძე ივანესი

ივანე ძე მისი

ივანე ძე მარდანასი

გივა ძე მისი

გიორგი ძე აბაგასი

ბერუა ძე მისი

გითუა ძე მანგიასი

ბერუა ძე მისი

ბერუა ძე კობიანისა

შიო ძე მისი

არუთინ ძე ჯანგილასი

მარტინა ძე მისი

დათუნა ძე მარტინასი

<u>ოთარა ძე ედიშერისა თავადია</u>

**სახლი 20**

**კაცი 36**

**მიწის დღიური მფლობელობა 20**

**მიწის თავისუფალი მფლობელობა 20**[12]

---

[10] აღწერა მეწინავე დროშისა, გვ. 140.

[11] აღწერა მეწინავე დროშისა, გვ. 144.

[12] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 82.

## *მამისდაბა*

*ქ. სოლაღაშვილის გიორგის ყმა მამისდაბას*

შაღამბარაშვილი თევდორე *კომლი ა თავი ა*

ბოგანო ზურაბა[13]

**ჯამი: კომლი 1, ბოგანო 1.**

**სოფელი მამირდაბა[14]**
**ექვემდებარება საბარათიანოს ნაჰიეს**

მამისიმედ ძე დათიასი

თედორე ძე ელიზბარისა

იასე ძე მისი

გიორგი ძე ბათასი

**კაცი 4**

**მიწის დღიური მფლობელობა 20[15]**

## *ტაგნაგეთი*

*ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ტაგნაგეთს*

მურადაშვილი ბეჟუა *კომლი ა თავი ა*

მიქელაშვილი იობ *კომლი ა თავი ა*

ვარსიმაშვილი პაპა *კომლი ა თავი ა*

დემუაშვილი დემურა *კომლი ა თავი ა*

ვარსიმაშვილი აბრამა *კომლი ა თავი ა*

ჯანვერდაშვილი გოდერძა *კომლი ა თავი ა*

**ქ. ტურიაშვილი ასლამაზა აზნაურშვილი**

ბოგანო ოანა

ბოგანო ბერუა მოლაშქრე

ბოგანო გიორგი მოლაშქრე

ბოგანო საფარა მოლაშქრე

**ქ. აქავ ამისი აზნაურშვილი ტურიაშვილი ბეჟან**

ამისი ბოგანო ხუგაზა[16]

*ქ. სოლაღაშვილის ქაიხოსროს ყმა ტაგნაგეთს*

**სოფელი ტაგნაგეთი ახლოსაა სათესველ იურბალასთან**
**ექვემდებარება საბარათიანოს ნაჰიეს**

იასე ძე სულაკასი თავადია[17]

დათია ძე ქაიხოსროსი თავადია[18]

მეჰმედ ძე აბდალლაჰისა ახლად გამუსლიმებულია

თანდილა ძე ასლამაზისა

ფარემუზ ძე მისი

ბაბუნ ძმა მისი

თარლა ძე ყულისა

ფარემუზ ძე მისი

კაზარ ძმა მისი

ავთანდილ ძე ბერუასი

---

13 აღწერა მეწინავე დროშისა, გვ. 147.

14 უნდა იყოს მამისდაბა.

15 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 69.

16 აღწერა მეწინავე დროშისა, გვ. 141.

17 იგულისხმება თავადი იესე სოლაღაშვილი.

18 თავადი დავით ქაიხოსროს ძე სოლაღაშვილი.

ზურაბაშვილი დავითა *კომლი ა თავი ა*
ალიხანაშვილი მელქუა *კომლი ა თავი ა*
სუხიაშვილი შერმაზანა *კომლი ა თავი ა*
მატიაშვილი ყაზუა *კომლი ა თავი ა*
ფირუაშვილი საქუა *კომლი ა თავი ა*
სუხიტაშვილი ბეჟუა *კომლი ა თავი ა*
ბოგანო ბერუა მოლაშქრე
ბოგანო ესტატე მოლაშქრე
ბოგანო ხეჩუა მოლაშქრე
ბოგანო გიორგი მოლაშქრე
ბოგანო ბერუა მოლაშქრე

**ქ. აქავ უყმო აზნაურშვილი ავთანდილი ამისივ ყმა**

**ჯამი: კომლი 12, ბოგანო 9.**

ბაბა ძე მისი
კაზარა ძე ბაბუნასი
ბაბუნ ძე თადეოზისა
მახარა ძე შერმაზანისა
ბერუა ძე მისი
აგრემალი ძე სარკიასი
ზურაბ ძე მისი
კარკუმ ძმა მისი
იოსებ ძე რუკასი
ბერუა ძე მისი
ბერუა ძე ბერუკასი
დიმიტრი ძმა მისი
ბერუა ძე აბრამისა
დიმიტრი ძე მისი
მამუკა ძე დერიასი
ოჰან ძე აკუასი
ოსითა ძე მისი
ბერუა ძმა მისი
ბირა ძე გიორგისა
ქიტესია ძმა მისი
მელქონ ძე ალიხანისა
შერმაზან ძე მისი
შაკო ძე ბერისა
ბაბა ძე მისი
ბერუა ძე შოშოტასი
ბერო ძე მისი
შერმაზან ძე მისი
ზურაბ ძე ესტატესი
იასე ძე მისი
ბერუა ძე სუხიასი
ღადუა ძე კაზარასი
იმორე ძე დაჯუასი
არუთინ ძე მისი
ბერუა ძე კუბადასი
ბაბა ძე მისი
სეხნია ძე დირიმისა
ყანდური ძე ჰარსეთისა

სეხნია ძე მისი
ბერო ძე ხვაჯისა
გიორგი ძე ბაბუნისა
გიორგი ძე მისი
ზურაბ ასატურის ძე
შუქურა ძე ბერუკასი
**კაცი** 53
**მიწის დღიური მფლობელობა**
130
**ჯამი მარცვლეულისა**[19]

მსგავსი სურათია სოლაღაშვილების ყველა სოფლის სტატისტიკურ მონაცემებშიც. მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვან ცვლილებებს, მითუმეტეს კატასტროფულ დანაკლისს ნამდვილად არ განიცდის.

| № | სოფელი | 1721 წელი | 1728 წელი |
|---|---|---|---|
| 1. | **ასურეთი** | კაცი – 11[20] | კაცი – 17[21] |
| 2. | **გუდელისი** | კაცი – 10[22] | კაცი – 5[23] |
| 3. | **დრე** | კაცი – 7 | კაცი – 3[24] |
| 4. | **ვეძისი** | კაცი – 25 | კაცი – 35[25] |
| 5. | **კუმისი** | კაცი – 46 | კაცი – 49 |
| 6. | **მამისდაბა** | კაცი – 2[26] | კაცი – 4[27] |
| 7. | **მონასტერი** | კაცი – 37[28] | კაცი – 29[29] |

[19] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 85-86.
[20] რაოდენობა გამოთვლილია, კომლში გაერთიანებული შრომისუნარიანი მამაკაცების, ანუ „თავების,“ ბოგანოების, მოლაშქრე ბოგანოების და აზნაურების დაჯამებით. იასე ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. XVIII საუკუნის I მეოთხედში. ნაწ. III-IV. მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკა. თბ. 1938, გვ. 28.
[21] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 85.
[22] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. III-IV, გვ. 30.
[23] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 90.
[24] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 70.
[25] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 100.
[26] იასე ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. III-IV, გვ. 34.
[27] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 69.
[28] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. III-IV, გვ. 35.

| | | | |
|---|---|---|---|
| 8. | **საღორისი** | კაცი – 10[30] | კაცი – 16[31] |
| 9. | **ტაბახმელა** | კაცი – 20[32] | კაცი – 10[33] |
| 10. | **ტაგნაგეთი** | კაცი – 22[34] | კაცი – 53[35] |
| 11. | **ღოუბანი** | კაცი – 42[36] | კაცი – 36[37] |
| 12. | **შინდისი** | კაცი – 6[38] | კაცი – 4 |
| 13. | **ჭაპალა** | კაცი – 10 | ?[39] |

ოსმალობის დროს ქართველ გლეხს ბეგარა და სამსახური „საკუთარი“ მებატონისაგან უცვლელად დარჩა. ასე რომ, ამიერიდან მას ორმაგი ექსპლოატაცია აჩანაგებდა. ქართული ფეოდალური ურთიერთობების უჩვეულო გარემოება იყო აგრეთვე, ის რომ ეს ოსმალური გადასახადები მწარმოებელი მოსახლეობის ყველა ფენას აწვა. ოსმალობა არ სცნობდა თარხანს, აზატს, რომლებიც ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალი იყვნენ სხვადასხვა გადასახადისგან. არ არჩევდა ნასყიდს უსყიდისაგან, ყველა და ყველაფერი დაბეგრილი იყო მძიმე გადასახადებით. გლეხები ორმაგ ხარკს (ოსმალურს და საბატონოს) ვეღარ უძლებდნენ და სამკვიდრო ადგილებიდან გარბოდნენ.[40] „ოსმალობის“ დროს დამძიმებული

[29] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 84.
[30] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. III-IV, გვ. 37.
[31] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 83.
[32] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. III-IV, გვ. 37.
[33] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 90.
[34] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. III-IV, გვ. 38.
[35] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 85.
[36] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. III-IV, გვ. 39.
[37] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წ. II, გვ. 82.
[38] ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი. III-IV, გვ. 39.
[39] ჭაპალას მოსახლეობის შესახებ 1728 წლის დავთარში ცნობებს ვერ მივაგენით, სავარაუდოდ სხვა სახელით არის შეტანილი. რადგან დავთარში ნასოფლებიც არის აღნიშნული. სოფლის დაცარიელების შემთხვევაში აუცილებლად იქნებოდა აღნიშნული, რომ „ცარიელია მოსახლეობისგან“.
[40] ნ. ბერძენიშვილი. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. II. თბ. 1955, გვ. 155.

ვალდებულებების გამო ხშირი იყო მიწების, ვენახების, საკუთარი ყმების და შვილების გაყიდვაც კი.[41]

ქართლში „ოსმალობის“ დამყარების შემდეგ, რა თქმა უნდა, ბეგარა მოემატათ ქართველებს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ფაქტია ისიც, რომ დამპყრობლებმა ფეოდალებიც დაბეგრეს. ოსმალური ადმინისტრაცით ყველაზე უკმაყოფილო სწორედ ფეოდალთა კლასი იყო. „ოსმალობის“ დასაწყისში ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ს სწერდა, რომ ოსმალებმა *„ქვეყანა ...გააოხრეს ხუთ აღაჯ ზედ[42] ქალაქის გარემოში, სოფლები, სულ ხალხი გააოხრეს და შენობა მოშალეს, ტყვე მრავალი დაატყვევეს, ენით არ მოიხსენიება აქაური ჭირი.‘*[43] რა თქმა უნდა ოსმალების შემოსვლას დიდი მსხვერპლი და აოხრება მოჰყვებოდა. როგორც ჩანს, ვახტანგი ცდილობს უფრო მძიმედ აღწეროს მოვლენები, ვიდრე რეალურად იყო, რადგან ამით მეტ დახმარებას ელოდა რუსეთისგან.

1728 წელს, **„**ოსმალობის**“** დროს ჩატარებული აღწერიდან ჩანს, რომ ქალაქიდან „ხუთ აღაჯზედ“ არსებული სოფლები ოსმალობის პირობებშიც არსებობს და მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები არ განუცდია. აღწერის მასალებიდან გარკვევით ჩანს, რომ ხალხი ისევ თავის ადგილზე ცხოვრობს.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ მიუხედავად ოსმალების მიერ დაწესებული მრავალი გადასახადისა და ბეგარისა, სოლაღაშვილების კუთვნილ სოფლებში დემოგრაფიული სიტუაცია არ შეცვლილა და სოფლებში ხალხის თითქმის იგივე (რამდენადმე მომატებულიც) რაოდენობა იყო.

---

[41] უფრო ვრცლად იხ. თ. ოთხმეზური. აღმოსავლეთ საქართველო 1720-1735 წწ. („ოსმალობა“). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1975, გვ. 121.

[42] აღაჯი – მანძილის საზომი ერთეული ახლო აღმოსავლეთ ქვეყნებსა და გვიან შუასაუკუნეების საქართველოში. მისი ზომა სხვადასხვა დროს 5,7-6,7 კმ ფარგლებში მერყეობდა.

[43] Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г. СПб. 1861, გვ. 163.

*Alexander Boshishvili*

# INFLUENCE OF THE OTTOMAN RULE OVER DEMOGRAPHIC SITUATION IN SOLAGHASHVILI HOUSE ESTATES (ACCORDING TO CENSUS OF KVEMO KARTLI IN 1721 AND THE GREAT DEFTER OF TBILISI VILAYET OF 1728)

Summary

Kartli came under the Ottoman rule in 1723, Russians conquered the coastal regions of Caspian Sea, and weak Safavid Iran was unable to resist the presure from Russian and Ottoman Empires. King of Kartli Vakhtang VI (1703-1712; 1716-1724) emigrated to Russia. The Ottoman administration was established in Kartli. Kingdom of Kartli was renamed to Vilayet of Tbilisi which was divided into small administrative districts: Nahies, Livas and Kazis. Governor of Vilayet or Vali of Tbilisi was Isaac Pasha.

According to dominated opinion in Georgian historiography, during the Ottoman rule ('Osmanoba' – as it was referred to in Georgia) population of Kartli was obliged to pay heavy taxes and for this reason the inhabitants were diminished or annihilated, and the part of population was forced to leave the areas of their settlement.

After comparative study of the census of 1721 ordered by King Vakhtang VI and the cadastral tax census of the Ottoman administration carried out in 1728, we came to conclusion that the demographic situation in Kartli during the Ottoman Eve was not changed and the population in villages had remained the same (in several villages population was even increased).

| № | *Vilages* | *1721* | *1728* |
|---|---|---|---|
| **1.** | **Asureti** | 11 | 17 |
| **2.** | **Gudelisi** | 10 | 5 |
| **3.** | **Dre** | 7 | 3 |
| **4.** | **Vedzisi** | 25 | 35 |
| **5.** | **Kumisi** | 46 | 49 |
| **6.** | **Mamisdaba** | 2 | 4 |
| **7.** | **Monasteri** | 37 | 29 |
| **8.** | **Saghorisi** | 10 | 16 |
| **9.** | **Tabakhmela** | 20 | 10 |
| **10.** | **Tagnageti** | 22 | 53 |
| **11.** | **Ghoubani** | 42 | 36 |
| **12.** | **Shindisi** | 6 | 4 |
| **13.** | **Chapala** | 10 | |

Numbers in the columns correspond to the legal aged males.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*აპოლონ თაბუაშვილი*

# სტატისტიკური ცნობები XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლის მოსახლეობის შესახებ (ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის მიხედვით)

„საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ (წიგნი I) პირველ კარში აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიმოიხილავს საქართველოს ეკონომიკური ისტორიის წყაროებს, მათ შორის დემოგრაფიული ხასიათის ძეგლებსაც. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა სტატისტიკურმა ამონარიდმა, სადაც საყურადღებო ცნობებია დაცული. მასში, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „10 თემისა და საგამგეო ერთეულის – არაგვისა, ქსნისა, პატარა ლიახვისა, საციციანოს, საამილახვროს სასარდლოს, როსტომის, სამცხეთოს, მუხრანბატონისა, დავით სარდლის სასარდლოს და „ქალაქის“ – მცხოვრებთა კომლებისა და თავების (ანუ სრულწლოვანი მამაკაცების ა. თ.) რიცხვია აღნიშნული“.[1] ავტორი მხოლოდ, სხვა სტატისტიკური ხასიათის წყაროებთან ერთად, ამ ცნობების მოკლე მიმოხილვით შემოიფარგლება. მოგვიანებით, 1967 და 1974 წლებში გამოიცა „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლების“ ორი ტომი, სადაც განთავსებული იქნა ივ. ჯავახიშვილის მიერ მოძიებული და დამუშავებული მასალები, მათ შორის, დემოგრაფიული ძეგლებიც.[2]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა. ტფ. 1930, გვ. 41-42.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. I. გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახ. კაბინეტში დ. მეგრელაძის და ნ. ჯავახიშვილის მიერ. თბ. 1967; ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. II. გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახ. კაბინეტში დ. მეგრელაძის და ნ. ჯავახიშვილის მიერ. თბ. 1974.

ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტი არც ზემოთ დასახელებულ გამოცემებში არ გამოქვეყნებულა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არქივებში აღნიშნულ ცნობის დედანს ვერ მივაკვლიეთ (შესაძლოა, ის დაკარგულიცაა), აღმოჩნდა, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივში ინახება ავტორის მიერ გადაწერილი ამ დოკუმენტის პირი. აღნიშნულ დოკუმენტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მკვლევარს გადაწერის დროს სრულად დაუცავს დედნის სპეციფიკა, ამიტომ მის სანდოობაში ეჭვის შეტანა წარმოუდგენელია და მისი პუბლიკაცია მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

დოკუმენტი, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის 10 პროვინციის მოსახლეობის შესახებ ცნობებს შეიცავს. ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის" I წიგნში ძეგლის დათარიღებასაც ეხება და აღნიშნავს: „ამ ძეგლის უკანასკნელ სტრიქონში „დავით სარდლის სასარდლო" იხსენიება. რაკი დავით ციციშვილი სარდლად თავის თავს, როგორც აღნიშნული გვქონდა (იხ. გვ. 34), მხოლოდ 1780 წ. შემდგომ იხსენებს, ამიტომ ეს სტატისტიკური ამონაკრებიც შესაძლებელია მხოლოდ 1780 წ. შემდგომი დროის აღწერის დავთრებზე იყოს დამყარებული. თუმცა ამ ძეგლს თარიღი თვითონ არა აქვს, მაგრამ ზურგზე იმავე ხელით, მაგრამ უფრო წვრილად სწერია : „ქ~კს უობ (472) : ამ წლის მარიამობისა : ა : დაწერილი ქ~კს უოვ (476) ამ წლ (sic) მდ თუმანი და ამ მარტის გასულს იქნება თვე : მდ / ამდენი სარგებელი იქნება"-ო. პირველი თარიღი 1784 წ. უდრის, მეორე 1788 წელს. თუმცა ამ სარგებლის გამოანგარიშების ცნობას სტატისტიკურ ამონაკრებთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ რაკი ორივე ერთი-დაიმავე ხელით არის დაწერილი, ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ სტატისტიკური ამონაკრები 1788 წლისა უნდა იყოს.

მაგრამ ამ ამონაკრების თავში მარცხენა კიდეზე გეზად ფანქრით ვიღაცის ხელით სწერია: „1797 წ." ასეთი თარიღის საფუძველი ამ საბუთში არსად ჩანს და ძნელი სათქმელია, მცდარ გამოანგარიშებასთან გვაქვს აქ საქმე, თუ მის დამწერს ხელთ სხვა რაიმე უცილობელი ცნობა მოეპოვებოდა, რომლის მიხედვითაც ამ ძეგლის 1797 წ. დაწე-

რილობა ცხადი ხდება?

ამ სტატისტიკურ ამონაკრებში – აგრძელებს ივ. ჯავახიშვილი – მოყვანილ რიცხვთა შედარება ამ ძეგლის დათარიღებისათვის ჯერ გადამწყვეტ ცნობებს ვერ გვაწვდის. თუ, ერთი მხრით, არაგვსა და ქსანში დასახელებულ მეკომურთა რაოდენობა 1781 წლის ცნობებს უახლოვდება, სამაგიეროდ „ქალაქის" მცხოვრებთა რიცხვი იმდენად არის 1781 წლის ცნობას დაშორებული, რომ მის ამ დროისად მიჩნევა, განსხვავების ასეთი მიზეზისათვის რაიმე დამაჯერებელი განმარტების გარეშე, სრულიად შეუძლებელია".[3]

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი ძეგლის დათარიღებასთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნას არ იძლევა, თუმცა საგულისხმო მინიშნებებს აკეთებს. უპირველესად აღვნიშნავთ, რომ ივ. ჯავახიშვილი დავით ციციშვილის დავით სარდალთან იდენტიფიკაციის დროს შეცდომას უშვებს – დოკუმენტში, საციციანოს და „ქალაქის" მოსახლეობის ცალკე მოხსენება გამორიცხავს, რომ „დავით სარდალში" „მეუკანე" სარდალი დავით ციციშვილი ივარაუდებოდეს, რადგან სწორედ ამ პროვინციებს მოიცავდა ციციშვილის საგამგეო, ეგრეთწოდებული მეფის, ანუ „მეუკანე" სადროშო.[4] გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დავით ციციშვილი 1783 წლის შემდგომ ყველა საბუთში არა სარდლად, არამედ „სარდალ-ქალაქის მოურავად" იწოდებოდა, რადგან ამ უკანასკნელ თანამდებობასაც ფლობდა.[5] ამიტომაც, ჩვენი აზრით, დავითი სარდლის სასარდლოში ნაგულისხმევია, არა დოკუმენტში ცალკე პუნქტად გატანილი „მეუკანე", არამედ მეწინავე სადროშო ანუ სომხით-საბარათიანო, რომლის სარდალი დავით ყაფლანიშვილი იყო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დავით სარდლის სასარდლოში 1515 კომლი ცხოვ-

---

[3] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი I, გვ. 42.

[4] იხ. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 333.

[5] საქართველოს სიძველენი. რედ. ე. თაყაიშვილი. ტ. III. ტფ. 1910, გვ. 11; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. სასამართლო არზა-ოქმები და კერძო სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1985, გვ. 115.

რობდა. ეს ციფრი კი ერთგვარ ეჭვს ბადებს, რადგან ქართულ ისტორიოგრაფიაში ცალსახად დადასტურებულია, რომ სომხით-საბარათიანო XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ და „ლეკიანობის“ გამო მოსახლეობისაგან დაცლილი იყო,[6] რაც 1770 წლის სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება.[7] მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, წყაროებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ XVIII საუკუნის 80-90-იანი წლებისთვის მდგომარეობა ერთგვარად შეცვლილა. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის სამხრეთით მდებარე სოფლების აღწერის დავთრის ნაწყვეტში დაფიქსირებული მონაცემები, სადაც აღნიშნულია, რომ მხოლოდ თბილისის მახლობლად მდებარე სოფლებში – წყნეთში, წავკისში, შინდისში, ტაბახმელაში, ვაშლოვანში, ერტში, ბორბალოში, დურნუკში, მარაბდაში, ეკლესიაში, ნაზარქათში, კოდაში, კუმისში, წალასყურში, თელეთსა და ხატის თელეთში – 700-ზე მეტი კომლი ცხოვრობდა. ეს სოფლები კი მეწინავე სადროშოში შედიოდა. აღწერაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეს რეგიონი ახლად დასახლებულია, რადგან, აღნიშნულია კომლთა ძველი საცხოვრებელი ადგილებიც.[8] სომხით საბარათიანოს ხელახლა დასახლების შესახებ სხვა წყაროებიც გვაწვდიან ინფორმაციას. მაგალითად 1778-1781 წლებში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი გვამცნობს, რომ სომხითი „შედგება ბევრი დიდი სამფლობელოსაგან, როგორიცაა კოტა, ზემო და ქვემო ბოლნისი. ოცდაათი წელი ეს ნაყოფიერი და მშვენიერი მხარე იყო უდაბური და მხოლოდ ერეკლეს ზრუნვით კვლავ დასახლდა“.[9] დარეჯან დედოფალს დაუსახლებია წინწყარო, შუა ბოლ-

---

[6] გ. აკოფაშვილი. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 519.

[7] იხ. ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. ჟურნ.: „მაცნე.“ თბ. 1973. №1, გვ. 144-155.

[8] იხ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. I, გვ. 157-182.

[9] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 159.

ნისი, ქოლაგირი და ქვემო ქართლის სხვა სოფლები.[10] პლატონ იოსელიანის ცნობით კი თავად სარდალ დავით ყაფლანიშვილსაც მიუღია აქტიური მონაწილეობა დაცარიელებულ სომხით-საბარათიანოში მოსახლეობის ხელახლა დასახლებაში.[11] საინტერესოა ორბელიანების 1803 წლის „მორიგების წიგნი“, სადაც ხაზგასმულია, რომ იმ დროისათვის ქვემო ქართლში მათი კუთვნილი სოფლებიდან რამდენიმე ათეული სოფელი დასახლებული ყოფილა.[12] ერთი სიტყვით, 1788 წლისათვის მეწინავე სადროშოში 1515 კომლის არსებობა სრულიად შესაძლებელია.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დავით ყაფლანიშვილი გარდაიცვალა 1796 წელს,[13] გამორიცხულია, რომ განსახილველი დოკუმენტისთვის სხვა ხელით, ფანქრით მიწერილი თარიღი, 1797 წელი, რაიმე სახით ანგარიშგასაწევი იყოს.[14] ამ შემთხვევაში, მართლაც მცდარ დაანგარიშებასთან გვაქვს საქმე. ერთი სიტყვით, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემი 1796 წელზე ადრე ვერ შედგებოდა.

დოკუმენტში აღნიშნულია ერთ-ერთი მემამულე როსტომი, რომლის იდენტიფიკაცია საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ მისი შედგენის თარიღი. საქმე ის არის, რომ მსხვილი მემამულე როსტომი უდავოა ქსნის ერისთავია, რადგან XVIII საუკუნის სხვა საგვარეულოების არცერთ როსტომს, აღნიშნული რაოდენობის ყმები (248 კომლი) არ ჰყოლია. მას შემდეგ, რაც ერეკლე II-მ ქსნის საერისთავო გააუქმა, 1778 წლის 20 იანვარს შემდეგი ბრძანება გამოსცა:

---

[10] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია. თბ. 1958, გვ. 361.

[11] პლ. იოსელიანი. ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა. რედ. აკაკი გაწერელია. თბ. 1978, გვ. 249.

[12] გ. ჯამბურია. მასალები ქართლის სათავადოების ისტორიისათვის (XVII-XVIII სს.). ჟურნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკვ. 33. თბ. 1960, გვ. 138-140.

[13] პლატონ იოსელიანი. ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა, გვ. 249.

[14] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1796 წელს უკვე გარდაცვლილია სარდალ-ქალაქის მოურავი დავით ციციშვილიც, რაც იქიდან ჩანს, რომ იმავე წლის 22 თებერვლის ერთ-ერთ საბუთში ქალაქის მოურავად დაფიქსირებულია, არა დავითი, არამედ მისი ვაჟი ევსტათი ციციშვილი. იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. თბ. 1985, გვ. 358-359.

„მერმე ჩვენ ქსანი და ლიახვი, ორსავ წილი, ჩვენს სახასოთ დავდევით... რაც როსტომ ერისთავს მამის წილი ერგებოდა, ჩვენ გვერდის ძირზე და ქართლში მივეცით. და თუ იმისთვის სხვა მამულის მიცემა გვენებება, სხვას ალაგს მივცემთ. ამას ფიცით გწერთ, რომ ქსანსა და ლიახვზე ჩვენგან ერთის კომლის კაცის სხვის მიცემა აღარ იქნება“.[15] როსტომს გადაეცა შემდეგი სოფლები: ქსუისი, აპუთი, ტყვიავი, მარანა, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი, შაქათ გორი, სათემო, კუმისი და ნავთლუღი, გორში და ცხინვალში ერისთავების ქონება.[16] ამ საბუთიდან გამომდინარე, როსტომ ერისთავისშვილი აღნიშნული მამულების მფლობელი 1778 წლიდან გახდა. 1786 წელს კი ერეკლე II-მ მას მეჯვრისხევი და ზოგიერთი სხვა სოფელი ჩამოართვა, ხოლო 1790 წელს მთელი მისი ქონება სახასო მამულებად გამოაცხადა.[17] ამდენად, აღნიშნული სტატისტიკური ამონარიდის შედგენის ყველაზე ადრეულ თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1778 წელი, ხოლო ზედა ზღვარი 1790 წლით დათარიღდება. 1778-1790 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოში ორჯერ, 1781 და 1788 წლებში, ჩატარდა მოსახლეობის აღწერა.[18] როგორც ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, იმავე ხელით დოკუმენტზე შესრულებული „სარგებლის“ მინაწერის უკანასკნელი თარიღი 1788 წელს მიანიშნებს, აღნიშნული სტატისტიკური ამონარიდი, სწორედ, 1788 წლით უნდა დავათარიღოთ.

ჩვენი მსჯელობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს 1781 წლის აღწერის მონაცემებთან „ქალაქის“ მცხოვრებთა რიცხვის აშკარა განსხვავება. 1781 წლის აღწერის მიხედვით თბილისში 3500-მდე კომლი ცხოვრობდა, ხოლო აღნიშნულ ცნობაში მხოლოდ 1288 კომლია დაფიქსირებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ დოკუმენტის 1788 წლით დათარიღება შეუძ-

[15] საქართველოს სიძველენი. რედ. ე. თაყაიშვილი. ტ. II, ტფ. 1909, გვ. 457.
[16] დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან. თბ. 1955, გვ. 329.
[17] დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს..., გვ. 330.
[18] ა. თაბუაშვილი. შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი. თბ. 2010, გვ. 14.

ლებელია „განსხვავების ასეთი მიზეზისთვის რაიმე დამაჯერებელი განმარტების გარეშე". თბილისის მოსახლეობის ასეთი ცვლილება შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევით და ამ შემთხვევაში სრულებით მისაღები იქნებოდა დოკუმენტზე მიწერილი თარიღი – 1797 წელი, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ეს ცნობა 1790 წელზე გვიანი პერიოდით ვერ დათარიღდება. წინააღმდეგობის ახსნა, ვფიქრობთ, იმავე საბუთზე დაკვირვებით არის შესაძლებელი. კერძოდ, თუ ჩვენ განსახილველ დოკუმენტში არაგვისა და ქსნის ხეობის მოსახლეობის შესახებ არსებულ მონაცემებს შევუდარებთ 1781 წლის აღწერის მონაცემებს,[19] აღმოჩნდება, რომ ჩვენს ცნობაში შეტანილია არა ამ რეგიონების სრული მოსახლეობა, არამედ მხოლოდ ე.წ. „მემკვიდრე" და „ხიზანი", რომლებიც სურსათისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადებს იხდიდნენ. ამ ცნობაში არ უნდა იყოს ჩანს შეტანილი თავადები, აზნაურები, „ბოგანოები" და „ობლები", რომლებიც სასოფლო გადასახადებს არ იხდიდნენ. თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნული სტატისტიკური ამონარიდის მიზანი პროვინციების მიხედვით სასოფლო გადასახადების გადამხდელთა რაოდენობის განსაზღვრას წარმოადგენს, მაშინ გასაგები ხდება „ქალაქის" მოსახლეობის ასეთი სიმცირე – დოკუმენტში აღნიშნულია თბილისის მცხოვრებთა მხოლოდ ის ნაწილი, რომლებიც სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებულნი და იხდიდნენ სასოფლო გადასახადებს.[20] ქალაქის მოსახლეობის ძირითად ნაწილს – ვაჭარებსა და ხელოსნებს კი სხვა

[19] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. I, გვ. 247.

[20] XIX საუკუნის დასაწყისის სურსათის გადასახადის ნუსხაში თბილისის გადამხდელთა რაოდენობა მართალია აღნიშნული არ არის, თუმცა რუსეთის ერთ-ერთი მოხელე აღნიშნავს, რომ მათ არ ჰქონდათ გადამხდელთა სრული მონაცემები და იქვე ხაზს უსვამს, რომ ასეთი ცნობები არც თბილისის შესახებ გააჩნდა, რაც ცალსახად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თბილისელთა ნაწილი სასოფლო გადასახადებსაც იხდიდნენ. იხ: შ. ხანთაძე. სახელმწიფო პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-კახეთში მე-19 საუკუნის დამდეგს. ჟურნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასის ისტორიისათვის" (მსკი). ნაკვ. 32. თბ. 1955, გვ. 153.

ტიპის გადასახადები ეთხოვებოდათ.[21] მართლაც, თუ დავაკვირდებით 1781 წლის თბილისის აღწერის მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ 3500 კომლიდან საკუთრივ „ქალაქში" 2314 კომლი სახლობდა. დანარჩენი მოსახლეობა, კი დაახლოებით 1200 კომლი, „გარეთ ავლაბარში", „ავლაბარში", „გარეთუბანში" ანუ თბილისის გარეუბნებში ცხოვრობდნენ[22] და ისინი, სავარაუდოდ, სხვა საქმიანობასთან ერთად, სოფლის მეურნეობასაც მისდევდნენ. სწორედ მათი აღრიცხვა მოხდა აღნიშნულ საბუთში.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის დოკუმენტზე, რატომ უნდა ყოფილიყო კერძო ხასიათის კომერციული სახის მინაწერი. ამ ფაქტის ახსნა მარტივად შეიძლება: ჩვენთვის ცნობილია, რომ აღწერის ჩატარებასა და გადასახადების შეწერის საკითხები ექვემდებარებოდა მეფის მდივნებს.[23] აღნიშნულ თანამდებობაზე კი მუდმივად ინიშნებოდნენ თუმანიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები, რომლებიც ამავე დროს კომერციული საქმიანობით აქტიურად იყვნენ დაკავებულნი.[24] ამ ფაქტის გათვალისწინებით, ცხადი ხდება თუ როგორ შეიძლება აღმოჩენილიყო სახელმწიფო მნიშვნელობის საბუთზე კერძო ხასიათის მინაწერი.

ერთი სიტყვით, აღნიშნული სტატისტიკური ხასიათის ამონაკრები შედგენილია 1788 წელს და მისი შედგენის მიზანს სასოფლო გადასახადების გადამხდელთა რაოდენობის განსაზღვრა წარმოადგენდა. სულ, ცნობაში არსებულ ათივე პროვინციაში 7800 კომლი სასოფლო გადასახადების გადამხდელი ყოფილა. აღნიშნულ პროვინციებში სრული მოსახლეობის მიახლოებითი გაანგარიშებისათვის საჭიროა ზემოთმოტანილ ციფრს დაემატოს თავადების, აზნაურების, ბოგანოების, ობლების და ქალაქების მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც სასოფლო-

[21] საქალაქო გადასახადების შესახებ იხ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 50-99.

[22] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, გვ. 140.

[23] იხ. ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 133.

[24] მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს-ის პირველ მესამედში. თბ. 1980, გვ. 92.

სამეურნეო საქმიანობით არ იყვნენ დაკავებულები. საერთოდ კი აღნიშნულ სტატისტიკურ ამონაკრებში არ არის შეტანილი 1770 წლის მონაცემებში დაფიქსირებული ქართლის შემდეგი პროვინციების მცხოვრებნი: ყაზახ-ბორჩალოს, ბამბაკის და შამშადილუს მოსახლეობა (10 000 კომლი), თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობა (3500 კომლი), ქსნის და არაგვის ხეობებში მცხოვრები ოსები (4000 კომლი).[25]

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ერეკლე II-ს, როგორც ეგნატე თუმანიშვილი აცხადებდა, ქართლ-კახეთის სამეფო სამ საგადასახადო ერთეულად გაუყვია და სურსათის შეწერის ორგანიზება 3 მდივანისთვის მიუნდვია,[26] სწორედ ერთ-ერთ საგადასახადო ერთეულის შესახებ უნდა იყოს ცნობები აღნიშნულ სტატისტიკურ ამონაკრებში. დოკუმენტში კომლების რაოდენობის გარდა დაფიქსირებულია „თავების" ანუ სრულწლოვან მამაკაცთა რაოდენობაც.

---

[25] იხ. ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 144-155.

[26] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. გვიანფეოდალური ხანა. წიგნი III. აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1955, გვ. 146.

**ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი № 644, ფურც. 217.**

ქ~კს 472 – 1784
ქ~კს 476 – 1788

1586 არაგვის კუამლი, თავი 2878
692 ქსანი კუამლი, თავი 1134
85 პატარა ლიახვი კუამლი, თავი 118
418 საციციანო კუამლი, თავი 599
1436 სა[ა]მილახვროს სასარდლო კუამლი, თავი 2145
248 როსტომისა კვამლი, თავი 316
425 სამცხეთო კვამლი, თავი 593
105 მუხრან ბატონისა კვამლი, თავი 252
1515 დავით სარდლის სასარდლო კვამლი, თავი 1824
1288 ქალაქის კომლი, თავი 1821

---

7800 11660
ჳყ იაჩქჲ

*Apolon Tabuashvili*

# STATISTIC DATA ABOUT POPULATION OF KARTLI IN THE 2ND HALF OF THE 18TH C. (ACCORDING TO PRIVATE ARCHIVE OF IVANE JAVAKHISHVILI)

Summary

Personal archive of Academician Ivane Javakhishvili preserves statistic information about population of Kartli region – end of the 18th century. Materials are employed from original manuscript and completely recorded by Ivane Javakhishvili in his diary. Information contains accounts about ten provinces of Kartli. Those provinces are as follows: Aragvi Gorge, Ksani Gorge, Little Liakhvi Gorge, Satsitsiano, Saamilakhvro, and fiefs of Rostom, of David *Sardali* (general and governor of particular district of Kartli), of Mtskheta Patriarchate and the lands of "town" (Tbilisi). Document has defined number of folks, among them are the legal age male members of family (so-called "tavebi" in Georgian). According to those persons named in this document, we can conclude that above mentioned statistic account wos composed in 1788. Statistic material comprises information about 7800 families with 11660 legal aged males included.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*ნიკო ჯავახიშვილი*

## პირველი ქართველი ჰერალდიკოსი და ნუმიზმატი მეფე

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიელ ხალხთა სამხედრო-პოლიტიკურ ლიდერებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ქართლ-კახეთის მონარქი – ერეკლე II (1745-1798 წწ.). მან თავდადებული ბრძოლით მოიპოვა სუზერენული უფლებები სამხრეთკავკასიურ სამფლობელოებზე.

ერეკლე II-ის, როგორც სტრატეგისა და რეფორმატორი გვირგვინოსნის შესახებ საკმაოდ ბევრია ცნობილი, თუმცა მისი დაინტერესება ჰერალდიკითა და ნუმიზმატიკით უკანასკნელ დრომდე არ ქცეულა საგანგებო კვლევის ობიექტად. არადა ფაქტია, რომ ხსენებული პიროვნება იყო პირველი მონარქი ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიიდან, რომელიც მონეტებს აგროვებდა და რომლის უშუალო ინიციატივითაც დაიხვეწა და თვისებრივად ახალ, ევროპულ საფეხურზე ავიდა ქართული სახელმწიფოს ჰერალდიკური სიმბოლიკა. ამ საკითხის შესწავლას მივუძღვენით საგანგებო ნაშრომი, რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყნდა.[1]

წინამდებარე სტატია წარმოადგენს ზემოხსენებული გამოკვლევის გადამუშავებულ ვარიანტს.

[1] Н. Г. Джавахишвили. Первый кавказский монарх – геральдик и нумизмат. Материалы международной научной конференции: «Археология, этнология, фольклористика Кавказа». (Тбилиси, 25-27 июня 2009 года). Организаторы конференции: «Фонд Кавказа», «Комиссия по научному сотрудничеству со странами Кавказа» Национальной Академии Наук Грузии. Центр археологии имени Отара Лордкипанидзе Национального Музея Грузии. Тб. 2010, გვ. 416-418.

* * *

ქართული ჰერალდიკის (გერბთმცოდნეობის) ძეგლთა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და სრულქმნილ ნიმუშად ითვლება ერეკლე II-ის მეფობის პერიოდის ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი.[2]

1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში, რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო ტრაქტატი, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა. აღნიშნული ტრაქტატი რატიფიცირებულ იქნა ჯერ რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ის, ხოლო მომდევნო წლის 24 იანვარს – ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის მიერ.

სარატიფიკაციო სიგელზე დასმულ ქართლ-კახეთის სამეფოს დიდ სახელმწიფო ბეჭედზე სრული სახით არის დაფიქსირებული ზემოხსენებული გერბი, ხოლო ქართველი მეფის ტიტულატურა ასეა წარმოდგენილი დოკუმენტში:

**„ირაკლი მეორე,** წყალობითა ღმრთისათა და კეთილნებობითა მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა“.[3]

იმდროინდელი ევროპის მოწინავე სახელმწიფოების ჰერალდიკურ სიმბოლიკაში არსებული წესის თანახმად, სადაც მთავარი გერბის გარშემო მცირე გერბებს გამოსახავდნენ (მონარქის ტიტულატურის შესაბამისად), ბაგრატიონთა გერბის გარშემო გამოსახულია უპირველესად ქართლისა და კახეთის გერბები, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის ერთიან სამეფოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სამხრეთკავკასიური სამფლობელოების გერბები. დიდი სახელმწიფო გერბის გაფორმების ამგვარი სტილი ევროპულმა ჰერალდიკამ შეითვისა ქრისტიანუ-

---

[2] თ. ასათიანი, ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბ. 2002, გვ. 17.
[3] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვალერიან მაჭარაძისა. თბ. 1983, გვ. 153.

ლი ხატწერიდან, სადაც უფლის გარშემო წმიდანებს გამოსახავდნენ.[4]

ქართლ-კახეთის დიდ სახელმწიფო გერბზე აღბეჭდილი ცენტრალური ფარის გარშემო შემდეგი თანამიმდევრობით წარმოდგენილია:

1. **ქართლის გერბი** (ცხენოსანი წმ. გიორგი ლახვრავს გველეშაპს);

2. **კახეთის გერბი** (ალმოდებული მთა, ორი ისრით ჯვარედინად გახვრეტილი);

3. **ერევნის გერბი** (არარატის მთაზე შემდგარი ნოეს კიდობანი. ეს სიმბოლო გამოსახულია სომხეთის რესპუბლიკის თანამედროვე გერბის ცენტრში);

4. **განჯის გერბი** (ქრისტეშობის სცენა: ღვთისმშობელი ყრმითა და სამი მოგვი. ერეკლე II-ის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, აქ გამოსახული უნდა ყოფილიყო სამი ალმოდებული მწვერვალი, რომელიც შემდეგ ბაქოს გუბერნიის გერბი იყო, ხოლო ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის გერბია);

5. **სამცხე-საათაბაგოს გერბი** (მონასტერი ტბის პირას);

6. **ყაზახის გერბი** (ხელი, რომელსაც შუბი უპყრია);

7. **ბორჩალოს გერბი** (გაშიშვლებული მახვილი);

8. **შამშადილოს გერბი** (თოფი);

9. **შირვანის გერბი** (მგელი);

10. **შაქის გერბი** (მელია).

ამ გერბზე დაკვირვება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მეფე ერეკლე II მოგვევლინა ჭეშმარიტ ნოვატორად, ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკის რეფორმატორად, რომლის გადაწყვეტილებითაც ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი იმდროინდელი ევროპული ჰერალდიკური სტანდარტების შესაფერის დონეზე გაფორმდა.

ზემოხსენებული ტრადიციის გადმოტანით მეფემ სცადა, რომ ქართულ გერბს თავისი კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ევროპულ სახელმწიფოთა გერბებს შორის, რაც უდავოდ პროგრესულ მოვლენას წარ-

[4] დ. კლდიაშვილი. ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო ბეჭედი. ჟურ.: „ომეგა", თბ. 2000, № 12, გვ. 87.

მოადგენდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო გერბი საფუძვლად დაედო რუსეთის იმპერიის დიდ სახელმწიფო გერბში XIX საუკუნიდან შეტანილ „საქართველოს სამეფოს გერბს“ (რუსულ ოფიციალურ დოკუმენტში – «герба Царства Грузинского»).[5]

ამ გერბზე, ქართული სამეფოების გერბებთან ერთად, გამოსახული იყო საქართველოს შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შემავალი კავკასიური სამფლობელოების აღმნიშვნელი სიმბოლიკაც, კერძოდ: „ყაბარდოს მიწების გერბი“ (დოკუმენტში – «герб Кабардинских земель»); „სომხეთის გერბი“ (დოკუმენტში – «герб Армении») და „ჩერკასკებისა და მთიელი თავადების გერბი“ (დოკუმენტში – «герб Черкасских и Горских князей»).[*]

ზემოხსენებული მრავალსახოვანი გერბი, რომელიც დამშვენებულია ბაგრატიონთა სამეფო გვირგვინით, – უნიკალური ჰერალდიკური ნიმუშია. იგი სიმბოლურად განასახიერებს ბაგრატიონთა ათასწლოვანი

[5] Дворянские роды Российской империи. т. I. Князья. под редакцией *С. Думина*. СПб. 1993. გვ. 39.

[*] აქვე განვმარტავთ, რომ გერბის დასახელებაში – **«Черкасских»** იგულისხმება არა ჩერქეზი ერი (რუსულ ენაზე – «Черкесы»), არამედ ჩერქეზული წარმომავლობის წარჩინებულ რუს ფეოდალთა – ჩერკასკების («Черкасские») საგვარეულო, რომლის შესახებაც ვკითხულობთ: «Черкасские, княжеский род, сложившийся в России во 2-й пол. 16 в. преим. из выезжавших на рус. службу правителей Кабарды – потомков Идара-мурзи. Фамилия Ч. происходит от распространённого в ср.-век. лит-ре наименования сев.-кавк. адыгских племён... В России Ч. принадлежали к верхушке правящего класса... Существовали также ветви князей Ч., не принадлежавших к потомкам Идара» (იხ.: «Большая советская энциклопедия», третье издание. т. 29. 1978, გვ. 79-80). იმ შემთხვევაში, თუ სახელწოდების «Черкасских» ქვეშ ვიგულისხმებთ არა ჩერკასკების საგვარეულოს, არამედ ჩერქეზ ერს, როგორც ეს არასწორად მიაჩნია ზოგიერთ მკვლევარს, მაშინ გამოდის სავსებით გაუმართლებელი თეზა, რომლის მიხედვითაც ჩერქეზები არ ყოფილან მთიელები (?!), რადგანაც აღნიშნული გერბის ოფიციალურ დასახელებაში («герб Черкасских и Горских князей») ისინი სრულიად მკაფიოდ არიან გამიჯნულნი მთიელი თავადებისაგან. ეს გამიჯვნა კი იმან განაპირობა, რომ იმ დროისათვის თავადი ჩერკასკები იყვნენ არა მთიელი, არამედ უკვე რუსი არისტოკრატები (დიდი ხნის წინათ რუსიფიცირებულნი)

სამეფო გვირგვინის ქვეშ გაერთიანებულ სრულიად კავკასიას. ამით რუსეთის იმპერიის მესვეურებმა თავიანთ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოზე – დიდ სახელმწიფო გერბზე ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ კავკასიაში საქართველო ტრადიციულად ჰეგემონ სახელმწიფოს წარმოადგენდა.[6]

ერეკლე II-მ ხელი შეუწყო ქართული საგვარეულო ჰერალდიკის განვითარებასაც. ის თავადის წოდების ბოძებასთან ერთად, საგვარეულო გერბებსაც გასცემდა.[7]

მეფე ნოვატორად მოგვევლინა ასევე იმდროინდელი ქართული ფულის ნიშნების გარეგნული სახის რეფორმირებაშიც.

ჯერ კიდევ 1754-1755 წლებიდან თბილისის სამეფო ზარაფხანაში მოჭრილ სპილენძის მონეტებზე გაჩნდა ქართულენოვანი წარწერა: „თეიმურაზ, ერეკლე“.

ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის გარდაცვალების (1762 წ.) შემდეგ, თბილისურ მონეტებზე გაჩნდა წარწერა: „ერეკლე“, რომელიც ამის შემდეგ, აღიბეჭდებოდა ერეკლე II-ის გარდაცვალებამდე მოჭრილ სპილენძის ფულის ყველა ნომინალზე.

ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში ბაგრატიონთა საგვარეულო გერბმა უკვე სრულად იტვირთა ქართლ-კახეთის მთავარი სახელმწიფო სიმბოლოს როლი.

1765-1766 წლებში თბილურ სპილენძის მონეტებზე: შაურიანზე, ბისტიანსა და ნახევარბისტიანზე, ქართული ნუმიზმატიკის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად დაფიქსირდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის საგვარეულო სიმბოლიკა: გვირგვინი, სასწორი, სფერო, სკიპტრა და მახვილი.

1776-1777 წლებიდან თბილურ სპილენძის მონეტებზე გაჩნდა თევზის, 1781 წლიდან – ორთავიანი არწივის, ხოლო 1796 წელს – ერთთავიანი არწივის გამოსახულებანი.

[6] ნ. ჯავახიშვილი. კავკასიური სიმბოლიკა საქართველოს სამეფოს გერბზე. წელიწდეული „ქართული დიპლომატია“. ტ. 13. თბ. 2007, გვ. 140.
[7] თ. ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), გვ. 38.

არსებობს ვარაუდი, რომ 1788-1796 წლებში თბილისში სანავ-რუზოდ მოჭრეს ოქროს შაურიანები ერთთავიანი არწივის გამო-სახულებით, წონით – 7, 14 გრამი.

ქართლ-კახეთის სამეფოსთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ კავკასიურ სახანოებში ზოგჯერ იჭრებოდა თბილური ვერცხლის „სირ-მა-აბაზის“ ტიპის მონეტები. მაგალითად, ასეთი ტიპის აბაზები იჭრე-ბოდა ქალაქ ნუხაში (შაქის სახანო), ხოლო 1786-1791 წლებში – ქ. განჯაში (განჯის სახანო).[8]

1798 წლის 11 იანვარს, როდესაც ერეკლე II გარდაიცვალა, მი-სი პირადი ნივთების ნუსხა შეადგინეს. ვფიქრობთ, ეს ნუსხა საფუძ-ველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მეფე აგროვებდა მონეტებს, ვინაი-დან მის საკუთრებაში აღმოჩნდა სხვადასხვა პერიოდისა და ტიპის ათასამდე (უფრო ზუსტად – 962 ცალი) ოქროს მონეტა, რომლებიც მოჭრილი იყო სხვადასხვა სახელმწიფოში, მათ შორის ბიზანტიაში, სპარსეთში, ოსმალეთში, რუსეთში, საფრანგეთში და სხვ.

იოანე მდივნის მიერ შედგენილი ნუსხიდან ნათელი ხდება, რომ ქართლ-კახეთის მეფის საკუთრებაში ყოფილა შემდეგი ტიპის ოქროს მონეტები: 11 ცალი – „კონსტანდინე ხელმწიფის ფოსო ოქრო“, 438 – ბაჯაღლოსი, 39 – რუსული იმპერიალი, 10 – ძველი ფრანგული, 191 – ოსმალური, 2 – თავრიზული, „ხუთის მინალთუნის ნოურუზის შაურები“ (შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს თბილისური ოქროს შაურები), 4 – „საბყრანი ოქრო“; 40 – „იალდუზის“(?!); 120 – „რა-შის“ (?!) და სხვ.[9]

ზემოთ მოხსენიებულ ტერმინში „საბყრანი“ იგულისხმება სპარ-სეთის შაჰინშაჰების ტიტული – „საჰებყერანი“, რომელიც ნიშნავდა: „ვარსკვლავთა ბედნიერი თანხვედრის მფლობელს“. ეს ტერმინი თვით

---

[8] დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 151-159; გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქარ-თველოში. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბ. 2003, გვ. 91-94.

[9] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გვიანფეოდალუ-რი ხანა. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება). მა-სალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნიკო ბერძენიშვილმა. თბ. 1955, გვ. 277-278.

მონეტებზეც ფიქსირდებოდა.[10]

1798 წლის 8 თებერვალს აღწერილ მეფის პირადი ნივთების დამატებით ნუსხაში ასევე იხსენიება შემდეგი ტიპის მონეტები: „ერთი დიდი კონსტანტინეს ოქრო, ერთი სხვა ძველი ოქრო, – ერკემლის სახე ზის, ოთხი ოქროს შაური... ერთი სხვა პატარა ოქრო“.[11]

ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მონეტები წარმოადგენდა ერეკლე II-ის პირად ქონებას, თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს არა ოქროს ფულის ჩვეულებრივ მასასთან, რომელიც მეფეს თავისუფლად შეეძლო შეენახა სამეფო ხაზინაში, არამედ საკმაოდ მდიდარ ნუმიზმატიკურ კოლექციასთან.

ამრიგად, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II დიდ დაინტერესებას იჩენდა ჰერალდიკისა და ნუმიზმატიკის მიმართ და იმავდროულად, მონეტების საყურადღებო კოლექციასაც ფლობდა.

[10] გ. დუნდუა, თ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). ფული საქართველოში, გვ. 76.
[11] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის..., გვ. 282.

*Niko Javakhishvili*

# FIRST GEORGIAN HERALDIST AND NUMISMATIST KING

Summary

Quite a lot is known about Erekle II (1745-1798) as a strategist and a reformer king, but his interest in heraldry and numismatics had not been studied until recently.

In this article, for the first time in Georgian historiography, we have concluded, that Erekle II was the first king from centuries-old Bagrationi royal dynasty, who collected coins and was a heraldist. With his personal contribution, Georgian state heraldic symbols were modified and advanced to the new, European level.

*ქეთევან ნადირაძე*

## მეფე ერეკლეს მესაიდუმლე – მირზა გურგინა

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროპულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა ახალი მიმართულება – მიკროისტორიული ანალიზი, რომელიც თავის კვლევებში გულისხმობს კონკრეტული ადგილით, სოციალური ჯგუფით, მოვლენითა თუ ერთი ინდივიდით დაინტერესებასა და დეტალურად შესწავლას. რა მოუტანა ამ მიმართულებამ ისტორიულ მეცნიერებას? ვფიქრობთ, ის ბევრად მრავალფეროვანი, ღრმა და კიდევ უფრო საინტერესო გახადა. რადგან ერთია, როდესაც ისტორია სწავლობს თუ როგორ ვითარდებოდა წარსულში საზოგადოება, როგორია მისი აწმყო და როგორ ხდება საზოგადოების განვითარება სივრცესა და დროში და მეორეა ის, რომ თავად საზოგადოება, მისი ისტორია სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული მიკროელემენტებისგან შედგება, რომელთა შესწავლაც გვეხმარება, ცოდნა ჩვენს წარსულზე უფრო სრულყოფილი გავხადოთ. გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორია აინტერესებს ნებისმიერი პროფესიის ადამიანს, რადგან მას სურს ფლობდეს ცოდნას საკუთარ წარსულზე და თუ ამ წარსულში უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი ინდივიდი ან ესა თუ ის სოციალური ჯგუფი, მაშინ ისტორია, როგორც მეცნიერება საბოლოოდ მოიხსნის „ბრალდებას“, რომელიც ჯერ კიდევ ცნობილმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჰ. სპენსერმა (1820-1903 წწ.) XIX საუკუნეში წამოაყენა. იგი წერდა: ადრეულ ისტორიებში მეფის მოღვაწეობა ავსებდა მთელ სურათს, ხოლო ხალხის ცხოვრება წარმოადგენდა სურათის მუქ ფონს. მეფე იყო ყველაფერი, ხალხი არაფერი. ისტორიკოსთა შრომები მხოლოდ მას შემდეგ გახდება განსაკუთრებულად ფასეული, როდესაც მათ აზროვნებაში ადგილს საბოლოოდ დაიკავებს

ხალხთა კეთილდღეობა და საფუძვლიანად დაინტერესდებიან სოცია-ლური პროგრესის კონცეფციით.[1]

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ ინტერესმოკლე-ბული არ უნდა იყოს ერთი ადამიანის, მირზა[2] გურგინას ბიოგრაფია, რომელიც ერეკლე II (1744-62-1798 წწ.) მდივანი იყო და რომელსაც ერეკლეს მიერ გაცემულ საბუთში მეფის მესაიდუმლედ იხსენიებენ.[3] მისი ცხოვრებისეული გზის გადმოსაცემად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლე ისტორიული ექსკურსი.

როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, მამა-შვილის თეიმურაზ II (1744-1762 წწ.) და ერეკლე II მოღვაწეობამ ქართლისა და კახეთის სამეფოებისათვის დადებითი შედეგები მოიტანა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი სამეფო ამიერკავკასიაში ერთპიროვნული ლი-დერი გახდა. XVIII ს. 60-იანი წლებისათვის, ერეკლეს უზენაესობა აღიარეს შაქის, შამახიის, ყარაბაღის, განჯისა, ნახიჭევანის და ერევ-ნის სახანოებმა. უფრო მეტიც, ერეკლემ დაატყვევა ირანის შაჰობის ერთ-ერთი სერიოზული პრეტენდენტი და თავისი მოწინააღმდეგე აზატ-ხანი, რომელიც ირანის შაჰის ვექილს ქერიმ ხანს გადასცა. მად-ლიერმა ქერიმ-ხანმა ერეკლე II გაერთიანებული ქართლ-კახეთის მე-ფედ აღიარა[4] და შეურიგდა ქართველი მეფის გავლენას ამიერკავკა-სიის სახანოებზე. მან ამიერკავკასიის ხანებს ბრძანებები დაუგზავნა, რომ ერეკლეს დამორჩილებოდნენ და მისთვის ხარკი ეძლიათ.[5]

ასეთი ვითარების პარალელურად, საქართველო რუსეთისთვისაც

---

[1] Е. А. Каминский. Историография средних веков. М. 1963, გვ. 322; ქ. ნადირა-ძე. ისტორიოგრაფია – ისტორიული მეცნიერების ისტორია. თბ. 2007, გვ. 13.

[2] მირზა – სპარსული სიტყვაა (მირზადე), რომელსაც მრავალი მნიშვნე-ლობა აქვს. მათ შორის: მწერალი, მოხელე, მდივანი.

[3] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1798 წწ. თბ. 2008. საბუთი №649.

[4] თეიმურაზ II გარდაცვალების შემდეგ 1762 წ. ერეკლემ თავი ქართლ-კა-ხეთის მეფედ გამოაცხადა.

[5] ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამ-ზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ. 1989, გვ. 59.

განსაკუთრებულად აქტუალური გახდა, რადგან ის ოსმალეთთან ომს იწყებდა. ეკატერინე მეორის (1762-1796) მთავრობა რუსეთ-თურქეთის ომში (1768-1774) მიზნად ისახავდა შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობას და იქ თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებას. რუსეთს თურქეთთან ომში ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ქრისტიანების ბრძოლას ანიჭებდა. რუსეთი გეგმავდა თურქეთის წინააღმდეგ ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყებას ბალკანეთში და საქართველოს ომში ჩაბმას, რათა თურქეთის სამხედრო ძალა კავკასიაში დაეკავებინა.[6] ამ გეგმის განსახორციელებლად კანცლერმა ნ. პანინმა 1763 წელს პორუჩიკ ქობულაშვილის ხელით იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784 წწ.) წერილი გამოუგზავნა, სადაც მოუწოდებდა მას რუსეთ-თურქეთის ომში ჩაბმას და ერეკლე II დარწმუნებას ამ ომში მიეღო მონაწილეობა.[7] ქართველმა მეფეებმა თანხმობა განაცხადეს ერთი პირობით. ისინი მოითხოვდნენ რუსეთიდან დამხმარე ჯარის გამოგზავნას საქართველოში. სოლომონს იმედი გაუჩნდა ოსმალთა უღლის გადაგდების, ხოლო ერეკლემ, როგორც ჩანს შექმნილი ვითარება ხელსაყრელად მიიჩნია, იმისათვის, რომ რუსეთის დახმარებით ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი დაებრუნებინა, ჭარ-ბელაქანი დაემორჩილებინა და ლეკთა თარეში აღეკვეთა.[8] შესაბამისად მის კარზე მისული თურქეთის ელჩები, რომლებიც მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რომ ამ ომში საქართველო არ ჩარეულიყო, უპასუხოდ გაისტუმრა და უყოყმანოდ რუსეთს მიემხრო.[9] რუსეთი ქართველი მეფეების მოთხოვნას დათანხმდა და 1770 წ. ეტაპობრივად საქართველოში ჯარის შემოყვანა დაიწყო. სოლომონი და ერეკლე თურქეთის

[6] გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 648-650.

[7] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი. ტ. XII. თბ. 1998, გვ. 406-407.

[8] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. თბ. 1965, გვ. 217.

[9] П. Г. Бутков. Материалы для первой истории Кавказа с 1722 по 1803 год. т. I. СПб. 1869, გვ. 278.

წინააღმდეგ ომში ჩაებნენ. საქართველოში შემოსულმა რუსეთის ჯარმა გენერალ ტოტლებენის ხელმძღვანელობით ერეკლეს საწინააღმდეგო მოქმედებები დაიწყო,[10] ხოლო 1774 წელს რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავის საფუძველზე რუსეთმა საქართველოდან ჯარი მთლიანად გაიყვანა. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა შავი ზღვის სანაპიროზე. საქართველო კი უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა.

1768-1774 წ. წ. ომში რუსეთის მხარეზე გამოსვლით ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. ომის შედეგად ერეკლეს სამეფომ არა მარტო ვერაფერი მიიღო, მატერიალური ზარალი განიცადა, ოსმალეთი გადაიმტერა, ირანის ნდობა დაკარგა და ამიერკავკასიის, ერეკლეს მორჩილმა სახანოებმა მას ალმაცერად დაუწყეს ყურება. აუცილებელი გახდა გადამჭრელი ზომების მიღება, რათა ერეკლეს ახლო აღმოსავლეთში ძველი სახელი აღედგინა.

განრისხებული თურქეთის სულთანი, ახალციხის ფაშას სულეიმან ჯაყელს დიდძალ ფულს უგზავნიდა, რათა ლეკები დაექირავებინა და პერმანენტულად დაერბია და აეოხრებინა ქართლ-კახეთი. მართალია ერეკლეც არ აკლებდა ხელს ფაშას და საკმარისად დიდ ზიანს აყენებდა, მაგრამ ერეკლე გრძნობდა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს მხოლოდ ეს არ წარმოადგენდა. საჭირო იყო დიპლომატიური მოლაპარაკებების გამართვა თურქეთთან. სულთანთან მან ელჩობის გაგზავნა გადაწყვიტა. ბუნებრივია ამ მოლაპარაკების დადებით შედეგს ერეკლესათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. ამისათვის კი საჭირო იყო დესპანად ნიჭიერი, ჭკვიანი და მისი სრული ნდობით აღჭურვილი პირი გაეგზავნა. როგორც ჩანს, ასეთად მან საკუთარი მდივანი ენაკოლოფაშვილი გურგინა მიიჩნია, რომელიც წყაროებში მირზა გურგინად იხსენიება. ომან ხერხეულიძე მის შესახებ წერს: „...ხონთქართან (ერეკლემ) წარავლინა კარის თვისისა მირზა გურგინა, სომეხი ვინმე ყარაბაღით მოსრული, გარნა მრავალთა ენათა მეცნიერი და ცნობათა გონი-

[10] გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო, გვ. 648-675.

ერი“.[11] ხოლო ისტორიოგრაფიაში აღნიშნავენ: ენაკოლოფაშვილი გურგენა – ერეკლე II საგანგებო ელჩი ოსმალეთში 1776-1778 წლებში.[12]

შევეცდებით იმ მწირი მონაცემებით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, აღვადგინოთ ერეკლე II ერთგული მოხელისა და მესაიდუმლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფრაგმენტები.

მირზა გურგინას პაპა, ენაკოლოფაშვილი თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ მტრის შემოსევის გამო იძულებით ყარაბაღში გადასახლდა. იგი სპარსეთში ხშირად დადიოდა, ალბათ საქმიანი ვიზიტებით, რადგან მას ძირითადად ადგილობრივ არისტოკრატიასთან ჰქონდა ურთიერთობა. გურგინას ბებია, თამარი, რომელიც „ქრისტიანი სომხის სარწმუნოებას“ ატარებდა, როგორც ჩანს, დაქვრივების შემდეგ სპარსეთში წავიდა, ხოლო თავისი შვილი ოჯახით ყარაბაღში დატოვა. თეიმურაზ II ასულმა ქეთევანმა, რომელიც ნადირ-შაჰის (1736-1747 წწ.) ძმისშვილის ადილშას მეუღლე იყო, თამარი ნადირ-შაჰის ცოლებს გააცნო. თამარ-ხანუმი მათ ძალიან დაუახლოვდა, ისინიც დიდი პატივით ექცეოდნენ. შედეგად თამარს ნადირ-შაჰმა ჯამაგირი დაუნიშნა და სასახლეში დატოვა. როდესაც თეიმურაზ II და დედოფალი თამარი ნადირ-შაჰის კარზე იმყოფებოდნენ, თამარ-ხანუმი მათ თარჯიმნობას უწევდა. დედოფალი მის სამსახურს ძალიან აფასებდა. ყარაბაღში მცხოვრები თამარის შვილიშვილები გურგინა და მისი ორი ძმა მშობლების გარდაცვალების შემდეგ სპარსეთში წავიდნენ. არ ვიცით ისინი შეხვდნენ თუ არა თავის ბებიას ან იმ დროისათვის იყო თუ არა თამარი ცოცხალი. ძმებმა სპარსეთი მოიარეს, ენები შეისწავლეს. სპარსულ საკრავებზე დაკვრა და სპარსული სიმღერებიც ისწავლეს. გარკვეული დროის შემდეგ კი საქართველოში დაბრუნდნენ. გურგინა გიორგი ბატონიშვილთან, ერეკლე II-ის ძესთან სამსახურისთვის მივიდა. იგი თავისი განსწავლულობისა და გონიერების გამო გიორგიმ საკუთარ მდივნად

[11] ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 68.

[12] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე. საქართველს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 681; ენაკოლოფაშვილი გურგენა. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი. ტ. I. თბ. 1997.

აიყვანა. გურგინას ცოდნია სპარსული, თურქული და არაბული ენები.[13] მიუხედავად იმისა, რომ ის საქართველოში ზრდასრული ჩამოვიდა, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, გურგინას ქართული თავიდანვე კარგად უნდა სცოდნოდა. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ მან ქართული ენა ოჯახში შეისწავლა. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, გურგინას ოჯახს ქართულ სამეფო ოჯახთან გარკვეული სიახლოვე უნდა ჰქონოდა. რადგან, გიორგი ბატონიშვილთან მოხვედრას თბილისში ჩამოსული შემთხვევითი სტუმარი ვერ შეძლებდა. საგულისხმოა ერთიც: ჩვენამდე მოღწეულია ნაზარალი-ხანის[14] მიერ გაცემული წყალობის წიგნები და საბუთები 1688-1693 და 1696-1699 წლებში, რომლებიც მისი მდივანმწიგნობრების ბეჟან და ფარემუზ ენაკოლოფაშვილების მიერ არის დაწერილი.[15]

გურგინა ალბათ კარგი სამსახურისათვის მეფე ერეკლემ თავის მდივნად დანიშნა, ხოლო ბოლო ჟამს ვეზირობის ხარისხიც უბოძა.[16] 1776 წლის დეკემბერში მირზა გურგინა სტამბოლში ჩავიდა ახალციხის ფაშასა და სოლომონ I წარმომადგენლებთან ერთად. ეს წარმომადგენლობა გულისხმობდა დიპლომატიური გზით, ოსმალეთის მფარველობის აღიარებით, სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას. რაც შეეხება თურქეთს, იგი დიდი სიხარულით შეხვდა ერეკლეს ინიციატივას, რადგან მას ეს საშუალებას მისცემდა რუსეთისათვის საქართველოსკენ მიმავალი გზები ჩაეკეტა. ამავე დროს, ეს ალიანსი გულისხმობდა ერეკლეს ანტიირანული კურსის აღებას დროებით მაინც.[17] თუმცა, სულთანთან ერეკლეს მიერ გაგზავნილ ამ მისიას ომან ხერხეულიძე ქერიმ

---

[13] თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებები – იხ. ო. ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 90-91.

[14] ნაზარალი-ხანი – ერეკლე I, ქართლის მეფე 1688-1703 წწ.

[15] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI–XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ. ტ. II. თბ. 1993.

[16] თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებები – იხ. ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 91.

[17] О. П. Маркова. Россия, Закавказье международные отношения в XVIII веке. М. 1966, გვ. 135-158.

ხანთან შეთანხმებულად მიიჩნევს.[18] არ არის გამორიცხული ომან ხერხეულიძისეული ვერსიის რეალობა, რადგან ერეკლემ ირან-ოსმალეთის საომარი ოპერაციების დროს ანატოლიის ლაშქარს ნება არ დართო საქართველოსა და მისი მორჩილი სახანოების ტერიტორიებზე გაევლო და ქერიმ-ხანის სამფლობელოში ზურგიდან შეჭრილიყო. ასეა თუ ისე, როგორც ომან ხერხეულიძე გადმოგვცემს, სულთნის ვეზირმა მირზა გურგინა დიდი პატივით მიიღო და ყველა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა. თბილისიდან და გორიდან ახალციხეში გაყვანილი ტყვეები დააბრუნეს და ქართლ-კახეთის დასარბევად გამზადებული ლეკის ლაშქარი დაშალეს. გურგინა 1778 წელს სულთნის მიერ ერეკლესადმი გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრებით თბილისში დაბრუნდა. „ბატონი“ მას დიდი ზეიმით შეხვდა, აღნიშნავს იესე ბარათაშვილი.[19]

მირზა გურგინამ კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს 1776-1778 წლებში გაიცნო, საკმაოდ ავანტიურისტული ბუნებისა და ცხოვრების წესის მქონე, იაკობ რაინეგსი, რომელმაც შემდეგ ერეკლეს სამეფო კარზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, სერიოზული როლი ითამაშა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში და დაწერა წიგნი „მოგზაურობა საქართველოში“. როგორც ერეკლეს შვილიშვილის დავით ბატონიშვილის წერილიდან ირკვევა,[20] მირზა გურგინა მოხიბლა ექიმ რაინეგსის განსწავლულობამ და იგი საქართველოში ჩამოსვლაზე დაითანხმა. ორმხრივი შეთანხმებით მათ კონსტანტინოპოლიდან ქ. თოხთამდე ერთად იმგზავრეს, მაგრამ შემდეგ რაინეგსმა რაღაც საქმეების გამო საქართველოში ჩამოსვლა ექვსი თვით გადადო. იგი საქართველოში ჩამოსვლამდე ეჩმიაძინში იმყოფებოდა და სწორედ იქ გააგზავნა ერეკლე II-მ ამალა

[18] ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 69.

[19] იესე ბარათაშვილის მითითებით გურგინა 1777 წელს ჩამოვიდა თბილისში და „ბატონს ხონთქრის ქურქი და ცხენი მიუყვანა“. იესე ბარათაშვილი. ცხოვრება-ანდერძი. ქართული მწერლობა. ტ. 8. თბ. 1990, გვ. 256.

[20] დავით ბატონიშვილი წერილს წერს ცნობილ მეცნიერს მუსინ-პუშკინს. იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 38-39 (წერილი 1800 წლით თარიღდება).

თბილისში მის ჩამოსაყვანად. მგზავრობის ხარჯები თვითონ გაიღო.[21]

რაინეგსის საქართველოთი დაინტერესება გასაგებია. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, ის ჯერ კიდევ 1770 წლიდან ემზადებოდა აღმოსავლეთში სამოგზაუროდ. ამიტომ სერიოზულად ეცნობოდა და სწავლობდა სათანადო ქვეყნების ისტორიას, მაგრამ საინტერესოა რატომ მოინდომა ასე მირზა გურგინამ რიგითი მოგზაურის, თუნდაც მომხიბვლელი პიროვნების ჩამოყვანა საქართველოში და კიდევ უფრო საკვირველია ერეკლე მეორისგან რაინეგსისადმი ასეთი პომპეზური დამოკიდებულება. ვფიქრობთ, საქართველოს სამეფო კარის ასეთი ინტერესი მისდამი, გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი ცოდნით მინერალოგიაში. ეს ის პერიოდია, როდესაც ერეკლე II-მ სამთამადნო წარმოებას სერიოზულად მოკიდა ხელი. თუმცა რაინეგსს ამ დარგში არაფერი გაუკეთებია და ის საქართველოში ძირითადად პოლიტიკური ავანტიურით იყო დაკავებული.

1778 წლიდან ერეკლემ ახლო აღმოსავლეთში ძველი სახელი აღიდგინა. ომან ხერხეულიძის გადმოცემით, ერეკლეს მოკრძალებით უყურებდნენ რუსეთი, ოსმალეთი და ირანი. მაგრამ გამოჩნდა ახალი ძალა, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მმართველი ფათალი-ხანი ყუბელი, რომლის კარნახით ერეკლეს განჯა განუდგა. 1778 წელს ერეკლემ განჯაზე ილაშქრა და იქ თავისი მმართველი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი დაადგინა.[22] ერეკლეს ხარკი ერევნის ხანმა უსეინ ყულიმაც შეუწყვიტა. ერეკლემ 1779 წელს ერევანზეც ილაშქრა და დაიმორჩილა. უსეინ ყულის გარდაცვალების შემდეგ ხანად მისი ძე ყულამალი დაადგინეს. რადგან ყულამალი „გონება მსუბუქი“ იყო, ერევნელებმა ის მოკლეს. ერევნის სახანოში არეულობა დაიწყო. შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, ერეკლემ ერევანში ისევ მირზა გურგინა მიავლინა. გურგინამ მოლაპარაკებები წარმატებით აწარმოა. ხალხი დაამ-

[21] ი. რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 10.
[22] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იანი წლების მიჯნაზე, გვ. 681.

შვიდა და ერეკლეს ბრძანებით ერევანს ახალი ხანი მაჰმადი დუნიშნა.[23]

ერეკლე მეფემ გურგინა ენაკოლოფაშვილს ერთგული სამსახური დაუფასა, რაც კარგად ჩანს ერეკლეს მიერ გაცემულ საბუთებში. მას ერეკლეს ბრძანებით გადაეცა 20 კომლი, სახასო აზნაურიშვილობისა და შალიკაშვილების ნაქონი ნასოფლარები და „განჯის ბაღი“.[24] მირზა გურგინა 1792 წლისთვის უკვე ცოცხალი აღარ არის, რადგან 1792 წლის 26 მაისის ოქმის მიხედვით, ერეკლე ავალებს ეშიკაღასბაშს[25] გურგინას ქონება მის ქვრივსა და შვილებს შორის სამართლიანად გაიყოს. როგორც ჩანს, ერეკლე გურგინას ოჯახს ბოლომდე პატრონობს. 1797 წელს გაცემულ ბრძანებაში ომარ მელვინეთუხუციშვილს აკისრებს, სასწრაფოდ დაუბრუნოს გურგინას ქვრივს წართმეული სახლი ან სამგებლო ფული.[26]

ვფიქრობთ, ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმ ადამიანის ბიოგრაფიული ცნობები, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ერეკლე II მიერ წარმოებულ დიდ პოლიტიკაში.

[23] თეიმურაზ ბატონიშვილი. ახალი ისტორია. ლ. მიქიაშვილის რედ. თბ. 1983, გვ. 58.
[24] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1798 წწ. საბუთები: №517 (გ. 1778 წ.), №218, (გ. 1782 წ.), №621 (1782 წ.).
[25] ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი ხელმწიფის კარზე.
[26] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წწ. საბუთები: №900, №1100.

***Ketevan Nadiradze***

# MIRZA GURGINA – CONFIDANT OF KING EREKLE

Summary

Article offers details and data on activities of Gurgina Enakolopashvili, the political figure of the second half of 18th century, the secretary of King Erekle (1744-62-1798), as well as his biographical data. Article relies on Georgian historical sources, correspondences and documents. Gurgina Enakolopashvili participated in such significant negotiations as meetings organized in Constantinople in 1776-1778 between the representatives of the governments of the Ottomans and Georgia.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*ვლადიმერ კეკელია*

# XIX საუკუნის უცნობი ქრონიკა A-439 ხელნაწერის საცავი ფურცლებიდან*

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული A კოლექციის №439 ხელნაწერი კრებულია. გადაწერილია XVIII საუკუნეში მღვდელ დავით ინაშვილს მიერ (109v). ტექსტი ნაკლულია. ხელნაწერის რესტავრაციის დროს მისი ძველი ყდიდან ამოღებულია I–IX ფურცლები, რომლებიც ისევ ხელნაწერში ჩააკერეს. აღნიშნული ფურცლების IIIr-Vv და IX r-v გვერდებზე მოთავსებულია ტექსტი, რომელიც A კოლექციის აღწერილობაშია შეტანილი, როგორც ისტორიული ცნობები.[1] IIIr გვერდი წაშლილია და ცუდად იკითხება. დანარჩენი გვერდების შესწავლამ ცხადყო, რომ ეს ტექსტი ხელნაწერისაგან განსხვავებული ხელით შესრულებული ერთიანი ქრონიკაა. ტექსტი ზოგან გადახაზულია მელნით. ქრონიკა ნაკლულია, ამდენად, მისი ავტორი ჩვენთვის უცნობია. ავტორის საქმიანობის შესახებ გარკვეულ მითითებებს საკუთრივ ქრონიკის შინაარსიდან ვიგებთ. ერთ ადგილას იგი მღვდელმთავარ მოსეს გარდაცვალების შესახებ შემდეგ ცნობას გვაწვდის: *„მოსე არქიერი გარდაიცვალა ივლ/ის ივ, წელსა ჩყლდ, პარასკევს დღესა, / შუადღიდამ მერვეს სა[ა]თში, სანთლების / ანთების წინა, ჯერ ვახშმობა არ იყო. ამან / იცხოვრა ტფილისში მღუდელმთავრად / ორი წელიწადი და თვრამეტი დღე“*. ჩვენი აზრით, მოსეს გარდაცვალების ასეთი დეტალები, შეიძლებოდა ეგზარქოსის კართან დაახლოებულ, ან იქვე მომსახურე პირს სცოდნოდა. ამაზე მითითებას ტექსტის სხვა ადგილასაც ვხედავთ: *„ქ. ახალციხე და აწყუერი აიღეს / რუსებმა ავვის-*

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. A კოლექცია. ტ. $II_1$. თბ. 1986, გვ. 112.

*ტოს კბ, წელსა ჩყკჱ. / დიდი ღვთის ვედრება და პარაკლისი / და სიხარული იყო. აქ ქალაქში მც//ხოვრებთ [დიდი] წირვა, ლოცვა / და ...ავება სიო/ნში იონა მიტროპოლიტისაგან / აგვისტოს კბ, დღესა ოთხშაბათსა. / მეორეს დღეს აგვისტოს კგ, შე/იქმნა ზარბაზნის სროლა წირვის / დროს. და შამოიტანეს ახალცი/ხიდამ გამარჯვება, ორმოცდა/ათი ბაირაღი და მეჩითის თავი / და ციხის გასაღებები ორი თავის / კლიტით, ქალაქში რუსის ყა/ზახებმა და სიონის კარზედ დადვ/ნენ“.* მოხმობილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ავტორმა ეს ამბავი ღვთისმსახურების დროს შეიტყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი დეტალების აღნიშვნა აზრს მოკლებული იქნებოდა. შესაძლოა, ავტორი დაბალი რანგის, საშუალო განათლების სასულიერო პირი იყო. მის დაბალ რანგსა და განათლების დონეზე ტექსტის ისეთი ორთოგრაფიული შეცდომები მიუთითებს, როგორიცაა: *მამულიში (მამულში), იაღო (აიღო), მეჩითის (მეჩეთის), და მოკლევდა (მოკლავდა).* ქრონიკის ავტორი, ძირითადად, საკუთარი თვალით ნანახს გადმოგვცემს, თუმცა მას ხელთ გარკვეული წყაროებიც უნდა ჰქონოდეს – Vr გვერდზე თხრობა XVIII საუკუნის ამბებით იწყება, შემდეგ კი რუსეთში მიმდინარე მოვლენებით გრძელდება. საინტერესოა ავტორის დამოკიდებულება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასთან დაკავშირებით. მისი სიტყვებით: *„დასრულდა საქართველოს მეფობა [რუს]]ეთის ჴელმწიფისაგან ალექსა[ნ]დრესაგან / და დაიპყრეს საქართველო რუსებმა / წელსა ჩყბ“.* იმას, რომ XIX საუკუნის ავტორი საუკუნის დასაწყისში მომხდარ მოვლენას რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობად აღიქვამს, მიუთითებს იმაზე, რომ იმდროინდელი საზოგადოების საშუალო ფენა რუსეთის იმპერიის საქართველოსადმი განხორციელებულ აქტს ადეკვატურად აფასებდა. ამისდა მიუხედავად, ავტორის ხედვაზე მუსლიმური აღმოსავლეთისადმი საუკუნეების მანძილზე არსებულმა დამოკიდებულებამ თავისი კვალი დატოვა, რაზეც მიუთითებს ქრონიკის ის მონაკვეთი, სადაც რუსეთ-სპარსეთის ომზეა საუბარი: *„და შემდგომად, რამდენსამე ხანს უკან, აიშალა / სპარსეთი რუსეთზედ და მივიდნენ / ჩუმათ განჯას დიდის ძლიერებით / და აქ იყო მთავრად. ერმოლაოზის / დროსავე შეყარა*

*ქართლი, კახეთი / და, რაც რუსეთის ჯარები ყვანდა, / შეუტივა. და ღმერთმან მისცა / შეწევნა და გააქცია სპარსეთის // მხედრობა და მრავალი ტყვე და სა/შოვარი მოიტანა ტფილისში ალ/ექსანდრე პეტ-როვიჩმა ერმოლაოზმა“.* აღნიშნულ ამონარიდში სპარსეთ-რუსეთის დაპირისპირება და უკანასკნელის გამარჯვება პომპეზურად არის გად-მოცემული. აშკარად ჩანს ავტორის სიმპათია მთავარმართებელ ერ-მოლოვის მიმართ.

რაც შეეხება ქრონიკის დაწერის დროს. ყველაზე გვიანი თა-რიღი, რომელიც ქრონიკაშია მოხსენებული, არის 1835 წელი. იქიდან გამომდინარე, რომ ტექსტი ნაკლულია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრონიკა XIX საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული. მიუხედა-ვად იმისა, რომ ქრონიკის ტექსტი მცირეა, ის ქართული ისტორიოგ-რაფიის განვითარების ერთი ეტაპის შესწავლისათვის საინტერესო მა-სალას წარმოადგენს.

## *ტექსტი*

„...ბრძანება მოვიდა ტფილისში წა|სვლისა ხვანთქრის საბ-
რძოლველ|ლად მაისის ა, წელსა ჩყკ<u>ზ</u>. | ქ. ტფილისიდამ წავიდა
პასკევიჩი ხვა|ნთქრის მამულიში,[2] ყარსის ქალაქში, | საომრად
ივნის[ის] ე, წელსა ჩყკზ. | ქ. იაღო[3] ყარსის ქალაქი და ციხე |
IIIv პასკევიჩმა წელსა ჩყკზ, თვესა | ივლისსა კთ, გარდაიხადეს
მოვლმა|ნა დღესა პარასკევსა.

ქ. ახალციხე და აწყუერი აიღეს | რუსებმა აგვისტოს კბ,
წელსა ჩყკზ. | დიდი ღვთის ვედრება და პარაკლისი | და
სიხარული იყო აქ. ქალაქში მც‖ხოვრებთ [დიდი] წირვა, ლოცვა |
და ...აგება სიო|ნში იონა მიტროპოლიტისაგან | აგვისტოს კბ,
დღესა ოთხშაბათსა. | მეორეს დღეს, აგვისტოს კგ, შე|იქმნა
ზარბაზნის სროლა წირვის | დროს და შამოიტანეს
ახალცი|ხიდამ გამარჯვება, ორმოცდა|ათი ბაირაღი და მეჩითის[4]
IVr თავი | და ციხის გასაღებები ორი თავის | კლიტით, ქალაქში
რუსის ყა|ზახებმა და სიონის კარზედ დადგ|ნენ. და ხედვიდენ[5]
ქალაქში მცხ|ოვრები, და იონა არქიერიცა გა|მობრძანდა თავის
სახლიდამ და|ჩხრიკა და ხედვიდა და ქონდა ‖და ქონდა სი-
ხარული ... და | წაიღეს მეტეხში ციხეში ოსმ|ალთ საჭურველი
წელსა ჩყკზ. | ამ დროს იყო მთავარმართებლად პასკევიჩი |
საქართველოსა შინა.

ქ. ტფილისში შემოვიდა სნეულება, ვითამ, | ამბობდენ, სამო-
IVv ელის ქარიაო ექიმები და სწ|რაფად მოკლევდა[6] კაცს. ამ
სნეულებისაგან | შეშინდა ხალხი. გახშირდა ეს [ს]ნეულება, |
მარიამობის თვის ა პირველიდგან იწყო | და მარიამობის თვის დ
აიყარა ქალაქი, | ორშაბათს დღეს, და წავიდნენ გარეთ, |

---

[2] მამულში.
[3] აიღო.
[4] მეჩეთის.
[5] დახვდნენ.
[6] მოკლავდა.

სოფლათ და მთა-ბარად, მაგრამ ყოველ|გ[ა]ნით მოედვა ეს ხორელა წელსა ჩყლ ‖

მეფე დავით იმამყულიხან იმეფა წელი ... |

მეფე კოსტანტილ იმეფა წელი ... |

მეფე თეიმურაზ იმეფა წელი ი ... |

მეფე ირაკლი იმეფა წელი მბ |

მეფე გიორგი იმეფა წელი გ |

დასრულდა საქართველოს მეფობა [რუს]|ეთის ჴელმწიფისაგან
Vr ალექსა[ნ]დრესაგან | და დაიპყრეს საქართველო რუსებმა | წელსა ჩყბ. |

ჩყიბ. ამ წელს ბონაპარტე შამოვიდა რუსეთ[ში] | და მოსკოვი წა[ა]ხდინა. |

პეტრებურღის ვითარება: 1825. წყალ[ი] | შემოვარდა ზღვი-დამ, სამი ნაწილი დაიჭ[რა] | პეტრებურღისა, ორი საჟენი მაღლა... | ქუჩიდამ ეს წყალი. ასეთი დიდი ქარი და | ...ვა იყო, რომ არ თქმულა. დიდი ზიანი მი[აყენა]. | სამი მილიონის ნივთი წახდინა... ‖

მოსე არქიერი გარდაიცვალა ივლ|ის იგ, წელსა ჩყლდ, პარასკევს დღესა, | შუადღიდამ მერვეს სა[ა]თში, სანთლების | ანთების წინა, ჯერ ვახშმობა არ იყო. ამან | იცხოვრა ტფილისში მღუდელ-მთავრად | ორი წელიწადი და თვრამეტი დღე. | ქ. უქაზი მოვიდა ე[ვ]გენი არქიერისა ტფი|ლი[ს]ში
Vv ოკდომბრის იზ, გამოცხადდა იჱ, | ხუთშაბათს დღეს, წელსა ჩყლდ. | ეს ევგენი არქიერი მოვიდა ტფილ[ის]ში | დეკემბერში საშობაოთ, კვირას დღეს, წირვის დროს. |

ქ. ოდიშის არქიერათ აკურთხეს კუხია|ნიძე გიორგი, არ-ხიმანდრიტი ჭოინდლის[7] | მაგიერათ დასვეს წელსა ჩყლე, მაისის ით. | ეს იყო სამეგრელოისა მცირე კაცის შვილი, | მოხნიერებული, სიონში აკურთხეს, იყო | ოთხი მღუდელმთავარი:

[7] ჭყონდიდელის.

ევგენი – რუსეთისა, | სოფრონიოზ – იმერეთისა, ბოდბელი ... | და სხვანი ‖

ქ. ამისა შ[ემდგომა]დ ალექსანდრე პეტროვიში[8] | საქართველოში მთავარმართებლ|ად, რომელმან მიართვა ფეშქაში | პირველ მოსვლაშივე საქართველო|სა შინა რუსეთიდამ გაგზავნილი | სპარსეთად. და შერიგდნენ ალექსან|დრე ჴელმწიფე
IXr და სპარსეთის ყეინი. | და შემდგომად, რამდენსამე ხანს უკან, აიშალა | სპარსეთი რუსეთზედ და მივიდნენ | ჩუმათ განჯას დიდის ძლიერებით | და აქ იყო მთავრად. ერმოლაოზის | დროსავე შეყარა ქართლი, კახეთი | და, რაც რუსეთის ჯარები ყვანდა, | შეუტივა. და ღმერთმან მისცა | შეწევნა და გააქცია სპარსეთის ‖ მხედრობა და მრავალი ტყვე და სა|შოვარი მოიტანა ტფილისში ალ|ექსანდრე პეტროვიჩმა ერმოლაოზმა. | და ამისა შემდგომა[დ] მრავალი მოცი|ქულობა ყო ყეინმა შერიგებისა, | მაგრამ ერმოლაოზმა ვერა ყო შერ|იგება უხელმწიფოდ და მისწერა | რუსეთის ჴელმწიფეს. ესე საქმე ერ|მოლაოზმა აუწყა თავის ჴელმწიფეს | წელსა ჩყკვ, სეკდემბრის იდ. |

ქ. ამისა შე[მდგომა]დ მოვიდა პასკევიჩი იოანე პე|ტროვიჩი
IXv მთავა[რ]მმართებლად. და გარდმოვიდა მრავალი | მხედრობა რუსეთის ჴელმწიფისა | ალექსანდრესი და შეუტივა სპარსეთს.

***Vladimer Kekelia***

# ABOUT UNKNOWN CHRONICLE OF THE 19TH C. FROM THE FORZATZ LEAF OF A-439 MANUSCRIPT

Summary

On the forzatz leaf of the manuscript №439 kept at the National Centre of Manuscripts is placed text written supposedly in the first half of the 19th century. The cronicle is not preserved fully. The text contains not only local stories, but also current events of the Russian Empire. It is worth to mention an author`s attitude on the abolishment of Kartli-Kakheti kingdom. He writes: „Russian king Alexander intended to abolish kingdom of Kartli-Kakheti and the Russians conquered Georgia in 1802.“

The author thinks about this event, which took place in the 19th c., to be a conquest of Georgia by Russia. This fact indicates that middle class society of that time adequately estimates this undesirable event. In spite of that text of the cronicle is short, it presents an interesting material for studying the development of the stages of Georgian historiography.

*ქეთევან პავლიაშვილი*

# წმინდა ნინოს ბოდბეს დედათა მონასტრის იღუმენია ნინო ვაჩნაძე და მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ეპოქა (XIX საუკუნის 70-იანი - XX საუკუნის 20-იანი წლები)

ნებისმიერი ერის ისტორიული მისიის გასარკვევად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მისი სახელმწიფოებრივი იდეის ჩამოყალიბებას, სარწმუნოების არჩევანს, მსოფლმხედველობრივ ორიენტირს. ყოველივე ეს კი განაპირობებს ისტორიული განვითარების მანძილზე ეროვნულ ცნობიერებას, სახელმწიფოებრივი კულტურის შემუშავებას. აღნიშნულ კონტექსტში თავსდება ქართველი ერის განვითარებაც, ქართული მსოფლხედვის დაბადებაც, როდესაც ერმა შეგნებულად გაიაზრა მართლმადიდებლობის რაობა, დაუკავშირა ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეას და მის ბაზისად ჩამოყალიბდა.

მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ დააჩქარა ქართველთა სულიერ-კულტურული პროგრესი. მისი მეშვეობით შეძლო შიდა და გარე პრობლემების დაძლევა, დაიხვეწა და თანამედროვეობამდე მოაღწია. საუკუნეების მანძილზე, მართლმადიდებლობა ქართულმა მენტალიტეტმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე დააყენა და მას მტკიცე საფუძველი შეუქმნა.[1]

მას შემდეგ, რაც ქართული სახელმწიფოს იდეოლოგია მართლმადიდებლობა გახდა, ბუნებრივად ქართველთა წინაშე ეროვნული ეკლესიის დაცვა-გაძლიერების საკითხიც დადგა როგორც შიდა განხეთქილებებისაგან, ისე ანტიეროვნული დამანგრეველი ძალებისაგან. ამ

[1] ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. I. თბ. 1996, გვ. 134-135; 142-143.

დროიდან, ქართველი კაცის უპირველესი ზრუნვის საგნად იქცა ეროვნული ეკლესიის ფუნქციის აღსრულებაში დახმარების გაწევა, კერძოდ, ეკლესიის თანადგომა სამონასტრო მოძრაობის გაშლით სამუშაოებში, ბერ-მონაზვნული სკოლის აღორძინებაში, მისიონერულ საქმიანობაში და ა.შ.

ეროვნული ხელისუფლების თანადგომით წახალისებული საქართველოს ეკლესია თავდაუზოგავად იღწვოდა საქართველოში დამკვიდრების მოსურნე გარე კონფესიების, მწვალებლობების, ანტიეროვნული ძალების წინააღმდეგ.[2]

ოდითგან, ქართული სახელმწიფოს სიძლიერეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ საეკლესიო ადმინისტრაციულ ერთეულებს – ეპარქიებს. რაც უფრო პოლიტიკურ-სამხედრო მნიშვნელობით განსაკუთრებული დატვირთვის იყო ქვეყნის ესა თუ ის რეგიონი, მით უფრო საპასუხისმგებლო მისი ეკისრებოდა მის ეპარქიას სახელმწიფოსა და ეკლესიის წინაშე. ასეთ ეპარქიას იდეოლოგიურად უნდა დაეცვა სახელმწიფო, რადგან ის სასაზღვრო ეპარქიას წარმოადგენდა. აღნიშნულ იდეოლოგიაში მოიაზრებოდა ქართული მართლმადიდებლური ორიენტაციის, კულტურის დაცვითი მუშაობა ეთნიკურად ჭრელ მოსახლეობაში. ისტორიულად, ამგვარი იყო აფხაზეთის, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიები. მათ შორის იყო სასაზღვრო ცხელი რეგიონი ქიზიყი, იგივე კახეთ-ჰერეთი, ისტორიული მხარე კამბეჩოვანი და მისი საეკლესიო კათედრალი-წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი.[3]

ბოდბეს მონასტერს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ხან ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების, განაპირა საზღვრის დაცვის, ეროვნულ-კულტურული ორიენტაციის შენარჩუნების, გარე მტრის მოგერიების და, ხანაც პოლიტიკური ჰეგემონობისათვის ბრძოლის მისია ეკისრებოდა. აღნიშნული ფუნქცია ქვეყნის ისტორიული განვითარების

---

[2] ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. I, გვ. 128.

[3] ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1800-1945 წლებში. ნაწ. I. თბ. 2008, გვ. 201-204.

ეპოქათა შესაბამისი იყო: 1) ქართული მართლმადიდებლობის დაბადების სავანე და მართლმადიდებლური სახელმწიფოს ჩამომყალიბებელი (IV ს.); 2) მართლმადიდებლობის ქომაგი კახეთ-ჰერეთში (V-VII სს.); 3) ქართული მონარქიზმის გაძლიერებისათვის მოღვაწე (X-XI სს); 4) ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს პოლიტიკური იდეის ფორმირების მონაწილე (XI-XII სს.); 5) ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამომყალიბებელი (XII ს.); 6) ქართული ცნობიერებისა და კულტურის დამცველი (XV-XVIII სს); 7) რუსიფიკატორული პოლიტიკის მოწინააღმდეგე (XIX-XX სს-ის 10-იანი წლები); 8) მენშევიკურ ხელისუფლებასთან საქართველოს ეკლესიის ურთიერთობის მარეგულირებელი (1918-1921) და 9) საბჭოურ საეკლესიო პოლიტიკასთან მებრძოლი (XX საუკუნის 20-30-იანი წლები).

ისტორიულად, საქართველო განებივრბული იყო ქრისტეს მოციქულთა და მოციქულთა სწორთა მოგზაურობით.[4] საქართველოში განისვენებენ მსოფლიო საქრისტიანოს წმინდანები, მოციქულები: სვიმონ კანანელი და მატათა, აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვეენბელი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დიდმა მუშაკმა – ნინო კაპადოეკიელმა. მისი წმინდა ნეშტი, სწორედ კახეთში, მისივე სახელობის მონასტერში განისვენებს. აქედან გამომდინარე, ქართველი ერისთვის მუდმივი ზრუნვისა და პატივისცემის ადგილად იქცა წმინდა ნინოს სავანე.

ბოდბეს წმინდა ნინოს სახელობის მონასტერში მოღვაწეობდნენ დიდად განსწავლული, ქვეყნისთვის დამაშვრალი სასულიერო პირები. მათი ძალისხმევით საქართველოს ძირძველი რეგიონი – ქიზიყი გადაურჩა მუსლიმური და სექტანტური აგრესიით შექმნილ ეროვნული გადაგვარების საფრთხეს. ისტორიამ შემოგვინახა ბოდბელ დედათა და მამათა სახელები: იოანე ბოდბელი (თავადი ჯორჯაძე), დავით ბოდბელი (თავადი ვაჩნაძე), იუვენალია II ბოდბელი (თამარ მარჯანიშვი-

[4] მ. მამულაშვილი. ქრისტიანობა და სახელმწიფობრივი აზროვნების ისტორია საქართველოში (IV-XII სს.). თბ. 2001, გვ. 100-102.

ლი), ნინო ბოდბელი (ელენე ვაჩნაძე) და სხვ.[5]

როგორც საქართველოს ყველა ეპარქიის სასულიერო დასს, ბოდბელებსაც ქვეყნის მძიმე ეპოქებში უხდებოდათ მოღვაწეობა. ყველა ეპოქა შესაბამის პრობლემებს ჰქმნიდა და მონასტრის წინამძღვრებსაც ამ პრობლემების შესატყვისი მოღვაწეობა უხდებოდათ. სხვა მრავალ ეპოქათა შორის განსაკუთრებული სირთულეებით ხასიათდება რუსეთის სახელმწიფო გადატრიალების (1917 წ.) შემდგომი ხანის საქართველოს ცხოვრება. ამ პერიოდში, ქართველ სამღვდელოებას და მის ეკლესიას მრავალმიმართულებიანი ამოცანების გადაწყვეტა მოუხდა. საქართველოს რამდენიმე სახეწლმწიფო მმართველობის სისტემაში მოუხდა ლავირება: 1) 1917 წელი – კავკასიის ოზაკომისა და ამიერკავკასიის სეიმის მმართველობის პერიოდი, რომელიც არ ითვალისწინებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და საეკლესიო დამოუკიდებლობას და მას „ახალი ბურჟუაზიული რუსეთის“ საზღვრებში მოიაზრებდა; 2) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეპოქა (1918-1921 წწ.) როდესაც სოციალ-დემოკრატიული იდეებით გაჯერებული მენშევიკური ხელისუფლება არ ცნობდა ეროვნული ეკლესიის როლს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში; 3) საბჭოთა ხელისუფლების ეპოქა, რომლის ანტისაეკლესიო ათეისტური იდეოლოგია ზოგადად რელიგიის და ქართული ეკლესიის ლიკვიდაციის პოლიტიკას მისდევდა.[6]

1917 წლის სექტემბრის მოვლენებმა დაასრულა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლების აღდგენისათვის ბრძოლის ერთი ეტაპი (საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა), რომლის შემდგომაც მისმა ცხოვრებამ ახალ განზომილებაში გადაინაცვლა – დაიწყო საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაციისთვის ბრძოლის ახალი ეტაპი. ამავდროულად, დღის წესრიგში დადგა ეროვნული სა-

---

[5] ზ. ჭვანია. საქართველოს პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან. ქუთ. 1994, გვ. 59; Епископ Кирион. Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата в XIX веке. Тиф. 1901, გვ. 111.

[6] ქ. პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში. თბ. 2000. გვ. 58-60; ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1800-1945 წლებში. ნაწ. I. თბ. 2008, გვ. 301-309.

ხელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხიც. საქართველოში გაჩაღდა მუშაობა საზოგადოებრივი ცხოვრების და კულტურის ნაციონალიზაციის, დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის მიმართულებით. ამ საქმეში საქართველოს ეკლესიას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ ქვეყნის სათავეში მდგომმა მენშევიკურმა ძალამ ისტორიის რადიკალურად საწინააღმდეგო პოლიტიკური არჩევანი გააკეთა და ნაცვლად ქვეყნის მშენებლობაში ეროვნული ეკლესიის ჩართვისა, მას დაუპირისპირდა და ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარებას შეუდგა. ასეთ მძიმე ვითარებაში ქართველი სამღვდელოება აგრძელებდა ბრძოლას რუსეთის მხრიდან ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის. ხელისუფლების ზეწოლას განიცდიდა წმინდა ნინოს დედათა მონასტერიც, რომლის ნაციონალიზაციის პროცესს აბრკოლებდა სამთავრობო ანტისაეკლესიო პოლიტიკა. მიმდინარე გარემოება კიდევ უფრო დამძიმდა საქართველოს გასაბჭოების დროიდან; დაიწყო ტაძრის უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევის ღონისძიებების გატარება, ბოდბელი სამღვდელოების შევიწროვება-რეპრესიები და ა.შ. ბოდბეს ტაძარი თავისი არსებობის მანძილზე პირველად რჩებოდა ფუნქცია დაკარგულ მდგომარეობაში. მიმდინარე პროცესებს ესაჭიროებოდა სამღვდელოების გონივრული პოლიტიკა, ლავირების მეთოდ-ხერხებით მოქმედება.[7]

ზემოაღნიშნულ მძიმე გარემოებაში ჩაიბარა ბოდბეს დედათა მონასტერი ელენე ვაჩნაძემ (იღუმენია ნინო). ის მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ჯერ რუსეთის ოზაკომ-სეიმს, მენშევიკური ხელისუფლების, ხოლო შემდგომ საბჭოური მთავრობის ანტისარწმუნოებრივ პოლიტიკას. ის აღუდგა წინ ჯერ „ახალი რუსეთის" (ოზაკომ-სეიმი) მცდელობას ქართული ეკლესიის გარუსებისა და რუსული ეკლესიის იურისდიქციაში მოქცევის პოლიტიკას, შემდგომ მენშევიკური მთავრობის ძალისხმევას ეროვნული ეკლესიის ისტორიული როლის დაკარგვისათვის და ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან გონივრული პოლიტიკით შეძლო შეენარჩუნებინა წმინდა ნინოს ტაძარი და ლიკვიდაციისაგან

[7] ქ. პავლიაშვილი. საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში. თბ. 1995, გვ. 211.

დაეცვა მასში მოღვაწე დედები.[8]

ელენე ვაჩნაძე კახეთის თავად ვაჩნაძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. ის დაახლოებით 1877 წელს უნდა დაბადებულიყო. მშობლებმა ელენე ბავშვობის ასაკიდან განათლების მისაღებად ბოდბეს დედათა მონასტერთან ახლადგახსნილ გოგონათა სასწავლებელში მიაბარეს, რომელიც 1893 წელს დაასრულა. ელენემ ყმაწვილქალობაში გადაწყვიტა ღვთის სამსახურისათვის მიეძღვნა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება. 1893 წელსვე მან წარმატებით გაიარა სამონაზვნედ გამოსაცდელი ვადა და 1893 წლიდან ის მონასტრის მონაზვნად გვევლინება. ამ დროიდან, ელენე ვაჩნაძე ნინოდ წოდებული მონასტრის სკოლის პედაგოგად და მგალობლად მოღვაწეობს. 1917 წლის 27 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ბრძანებულებით ნინო ვაჩნაძე ბოდბეს წმინდა ნინოს დედათა მონასტერში იღუმენის ხარისხში იქნა აღსაყდრებული. საარქივო მონაცემების თანახმად, ნინო ვაჩნაძე ბოდბეში კათოლიკოს-პატრიარქმა თეკლათის დედათა მონასტრიდან გადაიყვანა, სადაც მონასტრის იღუმენის თანამდებობა ეკავა. ამ დროს დედა ნინო 40 წლის უნდა ყოფილიყო. ახალგაზრდა დედას ერთობ მძიმე მისია დაეკისრა და გაუსაძლის პირობებში მოუხდა მოღვაწეობა.[9]

1917 წლის მეორე ნახევარში მტკივნეულად მიმდინარეობდა ქართული და რუსული საეკლესიო ქონების გაყოფის პროცესი. რუსი სამღვდელოება პრეტენზიას აცხადებდა ქართულ საეკლესიო ქონებაზე, თავის კუთვნილებად, მის მიერ შექმნილად მოიაზრებდა და ქართული ტაძრების დათმობაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა. საქართველოს ეკლესიის მიერ დაწყებული ნაციონალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევდა რუსი სამღვდელობის რეპრესიებს. ამ პროცესმა მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა წამყვანი მონასტერი, რომელთა შორისაც წმინდა ნინოს მონასტერიც იყო. მონასტრის საქმე ერთობ გახმაუ-

[8] ქ. პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში. თბ. 2000, გვ. 33-39.

[9] საქართველოს ცენტრალური საიტორიო არქივი. ფონდი 448, საქმე 42-15. ფურ. 31-33.

რებული იყო მთელი ათწლეულის მანძილზე, რამეთუ მისმა წინამძღვარმა (რუსი იღუმენია ანასტასია ვისოცკაია) საკათალიკოსოს რეფორმებს კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია. ქ. სიღნაღის კომისარი ტარასი მჭედლიშვილი 1917 წლის 25 აპრილს ოზაკომის კომისარს, ხარლამოვს ატყობინებდა სიღნაღის მაზრაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, რომლის მიზეზადაც წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის იღუმენიას ანასტასიას (ვისოცკაია. ის იყო მონასტრის უკანასკენლი რუსი წინამძღვარი) ასახელდებდა. მონასტრის დედებს ანასტასია იღუმენობისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ და მას ერთა შორის სიძულვილის მთესველად თვლიდნენ. ანალოგიური განწყობა ჰქონდა მრევლს ანასტასიასადმი. მიუხედავად იმისა, რომ ოზაკომის რუსული მმართველობა ყველანაირად ცდილობდა ანასტასიას სახით ბოდბეზე რუსული საეკლესიო გავლენის შენარჩუნებას. შემდგომში დამძიმებულმა მოვლენებმა, ოზაკომის ხლისუფლება აიძულა რუსეთის უწმინდესი სინოდისთვის მოეთხოვა ანასტასიას გაწვევა ვითარების დარეგულირების მიზნით.[10]

ბოდბეს დედათა მონასტერის იღუმენის საკითხის გადაწყვეტას კიდევ უფრო ამძიმებდა თავად მონასტრის კუთვნილების საკითხი. ამ მხრივ, ერთის მიმართულებით პრეტენზიას აცხადებდა რუსეთის ეკლესია და მასზე უწმინდესი სინოდის კომპეტენციას ითხოვდა, ხოლო ქართული საკათალიკოსო კი მონასტრის თავისზე დაქვემდებარებას. ეს საკითხი მას შემდეგ გადაწყდა, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ მონასტერი საკათალიკოსოს დაუმორჩილა და მის წინამძღვრად 1917 წლის 27 IX № 9959 ბრძანებულებით ნინო ვაჩნაძე განაწესა.[11]

საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების მმართველობის სისტემა ეროვნული ეკლესიის საწინააღმდეგოდ იყო მომართული. მან არ გაიზიარა და გაითავისა ქართული ეკლესიის ფუნქცია სახელმწიფოში.

[10] ქ. პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, გვ. 79-81.

[11] საქართველოს ცენტრალური საიტორიო არქივი. ფონდი 448, საქმე 42-20, ფურ. 11-13.

ხელისუფლების პირველი სერიოზული ანტისაეკლესიო ღონისძიება იყო სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის პროექტის შემუშავება (1920 წ. 22 IX-19 XI), რომლის ძალითაც ეკლესია განთავისუფლდა სახელმწიფოს ფუნქციებისგან და მის ერთადერთ მოვალეობად მორწმუნეთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გახდა. მთავრობა ასევე განთავისუფლდა ეკლესიის დახმარებისაგან. ეკლესიას სახელმწიფო ბიუჯეტში არ გამოეყო არანაირი ფინანსები, სამაგიეროდ, ბიუჯეტის შევსება ოფიციალურად დააკისრა ეკლესიას და მისი შეუსრულებლობა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდა. ამ გადაწყვეტილებამ განსაკუთრებით იჩინა თავი 1920 წლის მიწურულს, როდესაც საქართველოს რუსეთის მხრიდან აშკარა საფრთხე შეექმნა: ეკლესიებს შეუდგინეს გამოსაღები სახსრების ნუსხა. აღნიშნული შეეხო წმინდა ნინოს მონასტერსაც. მთავრობამ მოითხოვა მონასტრის უძრავი ქონების ხაზიანში გადაცემა, 3 600 მანეთი საომარი აღჭურვილობის შესაძენად, ვენახებისა და სახნავ სათესი მიწებით სარგებლობისათვის 120 თუმანი. აღნიშნული ბრძანება იღუმენია ნინომ 1920 წლის 5 იანვარს მიიღო. სწორედ ამ მოვლენით გამოაშკარავდა პირველად ნინო ვაჩნაძის ბრძნული პოლიტიკა ხელისუფლების გადაწყვეტილებებისადმი. მონასტრის გადარჩენის მიზნით, ნინო ვაჩნაძემ 1920 წლის 20 თებერვალს თხოვნით მიმართა სახალხო კომისარიატს, რომ ქვეყნის თავდაცვის მიზნით ბოდბეს დედათა მონასტერი მზად იყო თავის შენობაში გაეხსნა საავადმყოფო, რომლის განმგებლობაშიც იქნებოდა 45 ოთახი, 140 საწოლით. დედა ნინო ხელისუფლებას სთავაზობდა 30 მონაზვნის მედდებად უანგარო სამსახურს.[12]

საქართველოს გასაბჭოებამ ეროვნულ ეკლესიას კიდევ უფრო სერიოზული პრობლემები შეუქმნა, რაც ზოგადად ქვეყნის პოლიტიკურ ფონზე გაიშალა. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდანვე დაიწყო ახლად შექმნილი საბჭოური იმპერიის დიდი გარდატეხების ხანა: დასრულდა სამოქალაქო ომით განადგურებული სახალხო მეურ-

[12] ქ. პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, გვ. 40-42.

ნეობის აღდგენა; დაისახა სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები, შემუშავდა მოქმედების ახალი მეთოდები და ხერხები. სხვა ორგანიზაციებს შორის ეკლესია მთავრობისათვის განსაკუთრებულად საინტერესო და რთული ასათვისებელი აღმოჩნდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მიზან-მიმართულად დაიწყო ეკლესიის ავტორიტეტის სალიკვიდაციო და მისი ქონების ხელთგდების სამუშაოები. 1922 წლის დეკრეტი საეკლესიო ქონების ამოღებისა და მითვისების შესახებ არაჩვეულებრივი საშუალება იყო ისტორიული ქონების მითვისებისათვის.[13]

სამთავრობო ბრძანების საფუძველზე, საქართველოში მასიური ხასიათი შეიძინა ეკლესია-მონასტრების ძარცვამ. ასეთ შემთხვევაშიც, ნინო ვაჩნაძე მონასტრის გადარჩენის სადარაჯოზე დადგა. მისთვის ცნობილი გახდა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური დაძაბუნების ლიკვიდაციისათვის ხელისუფლება სამეურნეო არტელებსა და ე.წ. ამხანაგობებს ქმნიდა. აღნიშნული, ნინო ვაჩნაძემ კარგად გამოუყენა და საეკლესიო ქონების გადარჩენის მიზნით გადაწყვიტა მონასტერთან ამხანაგობა დაეარსებინა. მან საამისო პროექტიც შეიმუშავა და საბჭოთა ხელისუფლებას გაუგზავნა. იღუმენია მთავრობას თხოვდა მონასტრისათვის მშრომელ მწარმოებელთა ორგანიზაციის დაარსების უფლება მიეცა, რათა იქიდან ამონაგები ხასხრებით ახალშექმნილი სახელმწიფოს ბიუჯეტი შეევსო. სამთავრობო საგანგებო კომისიამ განიხილა აღნიშნული პროექტი და ის მოიწონა. 1922 წლის აპრილში ბოდბეს დედათა მონასტერთან დაარსდა სასოფლო-სამეურნეო მშრომელ-მწარმოებელთა ამხანაგობა „ჯვარი ვაზისა“, სადაც იწარმოებოდა: სასოფლო პროდუქტი, ტანისამოსი, ნედლი აბრეშუმი, თეთრეული, ცვილის სანთელი და ა.შ. ამხანაგობა 20-იან წლებში ყველაზე წარმატებული იყო მთელ საქართველოში.

ნინო ვაჩნაძის მიზანი იყო გაუსაძლისი ანტისაეკლესიო პოლიტიკის მიუხედავად მონასტრის ცხოვრება ეროვნული მიმართულებით წა-

[13] ქ. პავლიაშვილი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, გვ. 213-215.

რემართა.[14] აღნიშნული გამოვლინდა მონასტრის სკოლის ნაციონალიზაციაში, კერძოდ, ქართულ ენაზე სწავლების პროცესის წარმართვაში, ეროვნული საგალობლების დადგინებაში, ქართველი ქალის სასულიერო განათლების ამაღლებაში. ნინო ვაჩნაძის ძალისხმევით ბოდბეს დედათა მონასტერში კვლავ ფუნქციონირებდა სამხატვრო კლასი, მდიდარი ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავი, სადაც დაცული იყო ძველი ქართული ხელნაწერი ლიტერატურა.[15]

საისტორიო წყაროები დუმან ნინო ვაჩნაძის მოღვაწეობის დასრულებაზე; არ მოიძიება ისტორიული ცნობები მისი გარდაცვალების ადგილის, დროისა და გარემოების ირგვლივაც, მაგრამ ფაქტია, რომ მას საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს ხანაში მოუხდა მოღვაწეობა და ეროვნული ეკლესიის დაცვა-გადარჩენის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა.

14 ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია 1800-1945 წლებში. თბ. 2008, გვ. 301.

15 ქ. პავლიაშვილი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია 1800-1945 წლებში, გვ. 271-280.

*Ketevan Pavliashvili*

# THE LIFE OF NINO VACHNADZE – THE MOTHER SUPERIOR OF SAINT NINO'S NUNNERY IN BODBE (1870'S – 1920'S)

Summary

The life of mother superior of Saint Nino's Nunnery in Bodbe Nino Vachnadze is studied in this article. She was mother superior from 1917. Her purpose was to save monastic life during terrible anti-religious policy. For example, nationalization of the school of the monastery, restoration of Georgian church-servis in Georgian language, recovery of spiritual education. By the efforts of Nino Vachnadze, painting-class and very rich library with old manuscripts operated in the nunnery.

There is nothing know about Nino Vachnadze's death in the historical sources. Still, living in complicated epoch, she did much to preserve Georgian ecclesiastic life.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*დიმიტრი შველიძე*

# სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია „რევოლუციის ლიკვიდაციის“ პერიოდში (1907-1910 წწ.)

1908 წლის I იანვარს, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ორგანომ „ისარმა“ გასული, 1907 წლის სავალალო შედეგები შეაჯამა. ერთ-ერთი მთავარი მოვლენა იყო 3 ივნისის გადატრიალება, რომელმაც რევოლუციურ მოძრაობას წერტილი დაუსვა. „ამ დღეს თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ თავისი უკანასკნელი სიტყვა უთხრა რუსეთის ხალხებს, ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვა შერიგებაზე და მტკიცედ განაცხადა, რომ ნებაყოფლობით იგი თავის ბატონობაზე ხელს არ აიღებს“. „დიდმა ფალსიფიკატორმა“ – სტოლიპინმა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით, მეფის მიერ ნაბოძები შედარებით დემოკრატიული საარჩევნო კანონი, რეაქციული საარჩევნო კანონით შეცვალა. ფართო დემოკრატიულ მასებს და პოლიტიკურ ძალებს გზა გადაეკეტათ სახელმწიფო სათათბიროსკენ. ”ახალმა საარჩევნო კანონმა უზრუნველყო მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულე თავადაზნაურობის პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნება. სწორედ მათ ბატონობას განასახიერებდა პეტერბურგში, თავრიდის სასახლეში 1907 წლის 20 ოქტომბერს გახნილ III სახელმწიფო სათათბიროში – ოქტიაბრისტებისა და მემარჯვენე პარტიების ბლოკი. ახალ სათათბიროში ოპოზიციური ძალები – მასში „ისარი“ რევოლუციურ პარტიებთან ერთად კადეტებსაც გულისხმობდა – მესამედსაც აღარ შეადგენდნენ.

რევოლუციური მოძრაობა რუსეთში დამარცხდა. მაგრამ კიდევ უფრო მწარე იყო იმპერიის განაპირა მხარეებში – ეროვნული მოძრა-

ობების დამარცხება. ქართველი ფედერალისტების მთავარი სატკივარი სწორედ ეს იყო.”იმპერიის გამარჯვებულმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო შეუზღუდა პოლიტიკური უფლებანი პოლონელებს, რომლებსაც დაუხურეს სასკოლო-საგანმანათლებლო საზოგადოება „მატიცა“; ფინელებს, ებრაელებს და მათთან და სხვებთან ერთად ქართველებს.

ის, რაც ფედერალისტებს ყველაზე მეტად აწუხებდათ, რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული მძიმე მდგომარეობა იყო საქართველოში. ასეთი მარცხიანი წლისათვის ყველაზე დამახასიათებელი ის იყო, რომ რევოლუციურ მოძრაობას ჩამოშორდა „ადრე განახლების იდეით გამსჭვალული და განახლებისთვის საბრძოლველად დარაზმული ქართველი ხალხი.“ საერთო განწყობილება მოიშალა. კოლექტიური ნება და ერთიანობა დაიქსაქსა და ინდივიდუალისტურ-ეგოისტურმა სულისკვეთებამ შთანთქა. ყველა ცალ-ცალკე ცდილობდა თავისათვის ეშველა, საკუთარ ნაჭუჭში ჩამალულიყო. „საზოგადოებრივმა უბედურებამ პიროვნული გამოსახულება მიიღო“, განსხვავებით 1905-1906 წლებისგან, როცა საერთო უბედურება „მთელი ქვეყნის საერთო გლოვის საგანი იყო“. საზოგადოებრივი ნების დაქუცმაცება, დაქსაქსვა, შიმშილი, ზნეობის დაცემა, „ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა, ცეცხლის წაკიდება, შანტაჟი“,[1] – აი, როგორი იყო 1907 წელი და ყველაფერი ეს სულ უფრო მატულობდა.

ყოველივე ზემოთქმულს თან დაერთო ხელისუფლების რეპრესიები, დევნა, გადასახლება რევოლუციური და ეროვნულ-პოლიტიკური ძალებისა, ტერორი. სიმბოლო დამარცხებისა, უიმედობისა და ზნეობის დაცემისა – ილია ჭავჭავაძის მკვლელობა: „აგერ დიდებულ პოეტის უსულო გვამიც, მხცოვან პოეტის დანაოჭებული, მაგრამ უსულო შუბლი. ნაძირალების თავხედობამ ბოროტების უმწვერვალეს საფეხურზე შესდგა ფეხი და იქიდან თავხედურად ემუქრება ყველაფერს“. განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების სავალალო სურათს სამწუხარო შტრიხებით ხატავდა „ისარი“, გაზეთი იხსენებდა, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის და უახლოესი მეგობრის, ცნობილი მოღ-

[1] რუსეთი 1907 წელს. გაზ.: „ისარი“. 1 იანვარი. 1908 წელი.

ვაწის ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობასაც. „აგერ ისტორიკოსის და პუბლიცისტის ხიზანიშვილის სისხლში ამოსვრილი გაცივებული სხეული როდემდის? როდემდის? ნუთუ დასასრული არ ექნება ჩვენის ცხოვრების ამ შავბნელ სარტყელს?“.[2]

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დიდი ეროვნულ-პოლიტიკური და ტრაგიკული დანაკარგი იყო. ფედერალისტური პრესა ფართოდ გამოეხმაურა სამწუხარო ფაქტს. ქართულ პრესაში მწვავე პოლემიკა ატყდა ეროვნულ-პოლიტიკურ და სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებს შორის. სოციალ-დემოკრატებს პირდაპირ ადანაშაულებდნენ ილიას მკვლელობაში. ასეთ ვითარებაში ფედერალისტურმა პრესამ საკუთარი აზრი გამოთქვა: იგი სოციალ-დემოკრატებს არ მიიჩნევდა ილიას უშუალო მკვლელებად, მაგრამ ბრალს სდებდა ქართველ მარქსისტებს, რომ ილიას წინააღმდეგ წლების მანძილზე წარმოებული ცილისმწამებლური კამპანიით მათ იდეოლოგიური ნიადაგი მოუმზადეს, ფაქტობრივად, წიწამურის ტრაგედიას.

სამსონ ფირცხალავამ აღშფოთება გამოხატა ერთი მართლაც სამწუხარო, ფაქტის გამო, რომელიც ქართველი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებას გამოხატავდა ილია ჭავჭავაძის პიროვნების მიმართ. 1907 წლის ოქტომბრის თვეში შედგა ქართველი სტუდენტების კრება პეტერბურგში. საკამათო საგანი გამხდარა, გამოეთქვათ თუ არა დეპეშით მწუხარება ილია ჭავჭავაძის სიკვდილის გამო. კრებაზე დამსწრე 72 სტუდენტიდან 35 სოციალ-დემოკრატიულად განწყობილმა სტუდენტმა ეჭვი გამოთქვა, იყო თუ არა ღირსი ილიას პიროვნება, რათა მის ტრაგიკულ აღსრულებას დეპეშით გამოხმაურებოდნენ. კამათი იმდენად გამწვავებულა, რომ კენჭისყრა გადაწყვიტეს. 45 სტუდენტმა მხარი დაუჭირა დეპეშის გამოგზავნას, 2 წინააღმდეგი წავიდა, დანარჩენი კი „გაჩუმდა“, ე. ი. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ესენი, ს. ფირცხალავას მწარე ირონიით, ცხოვრებაში „ღრმად ჩახედული“ სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების მიმდევარნი იყვნენ.

ამ მოვლენით შეძრული ფედერალისტი პუბლიცისტი სიტყვებს

[2] 1907 წელიწადი საქართველოში. გაზ.: „ისარი“. 1 იანვარი. 1908 წელი.

ვერ პოულობს აღშფოთების გამოსახატავად. „ილია მემამულე იყო, განა ტოლსტოი მემამულე არაა? ან გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთი მეთაურთაგანი ზინგერი მილიონების პატრონი არაა? არ მოგწონდათ ილიას პოლიტიკური შეხედულება? მერე განა განსვენებული გოგოლისა და დოსტოევსკის მსგავსი მონარქისტი და აბსოლუტისტი იყო?“.[3]

„აღარ გაჩუმდებით?“ – ამ შეძახილით დაასათაურა თავისი წერილი მიხეილ ჯავახიშვილმა. ავტორი უშუალოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ სდებდა ბრალს ილიას მკვლელობის ფაქტში, არ მიიჩნევდა, რომ ამ პარტიამ მოაწყო საზარელი ტერორისტული აქტი. „ასჯერ გავიმეორეთ და ერთხელ კიდე გავიმეორებთ, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, როგორც ერთეულს, ილიას სიკვდილში ბრალი არ უდევს“.

მაგრამ ეს არ ხსნიდა ქართველ მარქსისტებს ბრალდებას, რადგან მათი წილი დიდი იყო მკვლელობაში, მის მომზადებაში. „ჩვენ ვამბობდით და ეხლა უფრო მკაფიოდ ვიმეორებთ, რომ სოციალ-დემოკრატიის ბელადმა აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ისეთი ფსიხიური ატმოსფერო შექმნეს ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომ ერთი ნაწილი სოციალ-დემოკრატიისა ხმამაღლა და გულწრფელად თანაუგრძნობდა ილია ჭავჭავაძის მოკვლას, მეორე ნაწილი გულგრილად დაუხვდა მას და მხოლოდ უმცირესობა – სულ რამდენიმე კაცი აღაშფოთა ამ საზიზღრობამ“.

ავტორი ამტკიცებდა, რომ ქართველი მარქსისტების უმრავლესობას ილიას მკვლელობა „რევოლუციურ აქტად მიაჩნდათ“. ამიტომ იყო, რომ მაშინ როცა არჩევნების დროს მიმდინარე დემონსტრაციის თუ თავყრილობისას სოციალ-დემოკრატები „ქუჩებს დააბნელებდა ხოლმე“, განსვენებული ილიას კუბოს ასიოდე სოციალ-დემოკრატი მიჰყვებოდა მხოლოდ.

მიხეილ ჯავახიშვილის მონაცემებით ილიას დასაფლავების წინა

[3] სიტყვა /სამსონ ფირცხალავა/. ვინ მოჰკლა ილია? გაზ.: „ისარი“. 10 ოქტომბერი. 1907 წელი.

დღეებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კოლექტივმა კრება მოიწვია. მას უნდა გადაეწყვიტა საკამათოდ გამხდარი საკითხი: როგორი პოზიცია დაეკავებინათ ილიას დასაფლავების დღეებში? კრებამ უმრავლესობის ხმით გადაწყვიტა, რომ პარტია ვერც გვირგვინით შეამკობდა განსვენებულის კუბოს და ვერც მის დაკრძალვას დაესწრებოდა, თუმცა კრებამ თავის პარტიულ გაზეთს „უფლება მისცა გლოვისა და განსვენებულის პატივისცემისა“. კრების გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მარქსისტები „მთელი კვირის განმავლობაში ცხარე აგიტაციას ეწეოდნენ ჭავჭავაძის დასაფლავებას ნუ დაესწრებითო“.

„აი ეს არის ჩვენი ბრალდება, რომელიც მგონი ნათლად და მკაფიოდ არის გამოთქმული“, – აზუსტებდა მიხეილ ჯავახიშვილი და ბოლოს ეკამათებოდა რა ნოე ჟორდანიას, ქართველი მარქსისტის წერილის ბოლო პასაჟიდან მოჰქონდა ამონაწერი-დასკვნა: „ამიერიდან ბანაკები ჩამოყალიბებულია: ერთის მხრივ, დგას ყველა გაბატონებული კლასი და ყველა პარტია ფედერალისტების მეთაურობით, მეორეს მხრივ, კი – ერთადერთი სოციალ-დემოკრატია“.[4]

ილია ჭავჭავაძის სიკვდილი ორმაგად მძიმე იყო ქართველი ფედერალისტებისთვის. პირველ რიგში, მათთვის ილია დიდი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ეროვნული მოძრაობის უგამოჩინებულესი თავკაცი გახლდათ. ამასთან ერთად, ილია ჭავჭავაძე მხარს უჭერდა საქართველოს ავტონომიას, რაც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისათვის ამოსავალ ლოზუნგად რჩებოდა. ავტონომიის იდეას კი დიდი რეზონანსი მოუპოვა ილია ჭავჭავაძემ და მისი მოღვაწეობა ამ მხრივ, სახელმწიფო საბჭოში, კიდევ უფრო გააძლიერებდა ავტონომიის მომხრეთა ბანაკს საქართველოში და მის თანამგრძნობებს რუსეთის იმპერიაში.

პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-პოლიტიკურმა საქმიანობამ. ილიას დიდმა ავტორიტეტმა და აქტიურმა პოზიციამ მნიშვნელოვ-

---

[4] მ. ად-ლი /მიხეილ ჯავახიშვილი/ აღარ გაჩუმდებით? გაზ.: „ისარი“. 11 ოქტომბერი. 1907 წელი.

ნად განაპირობა ავტონომიის მომხრე ეროვნული ძალების კონსოლიდაცია საქართველოში.

ილიას მკვლელობამ ქართველ ფედერალისტებზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. „იმდენად მოულოდნელი და საშინელი იყო ეს ამბავი, – წერს გიორგი ლასხიშვილი, რომ პირველი წაკითხვით ვერაფერი გავიგე, არ მჯეროდა და მეორედ წავიკითხე (იგულისხმება დეპეშა – დ.შ.), თავბრუ დამესხა, ძალზე გაფითრებულს მომვარდნენ იქ მყოფი თანამშრომლები და დეპეშა ხელიდან გამომტაცეს. იმდენად დიდი იყო ჩვენი მწუხარება, რომ მისი აღწერა მე არ შემიძლია. ახლაც, ოცი წლის გასვლის შემდეგ ტანში ჟრუანტელი მივლის ამ წუთების გახსენებაზე“.[5]

განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხებაც ორმაგი დარტყმა იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისათვის. დამარცხდა რევოლუცია, რომელიც მიზნად ისახავდა დემოკრატიის დამყარებას. მაგრამ მეტროპოლიისაგან განსხვავებით, საქართველოში დამარცხდა ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობაც – ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და ეს განსაკუთრებით მტკივნეული იყო ფედერალისტთა პარტიისათვის, რომელიც ეროვნული მოძრაობის თავკაცობას იჩემებდა.

განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მოსახლეობაზე, საზოგადოებაზე, ადრინდელი ენთუზიაზმი უიმედობამ შეცვალა. ჯერ მოძრაობის პერიოდში და მისი დამარცხების შემდეგ გამეფებულმა საყოველთაო უწესრიგობამ, ძალმომრეობამ, ორივე სახის-წითელმა და თეთრმა ტერორმა, ხელისუფლების რეპრესიებმა და საერთოდ კი – სამი წლის მანძილზე მიმდინარე საყოველთაო არეულობამ მოსახლეობა დაღალა.

ასეთ პერიოდებში მოსახლეობის უმრავლესობა მოთმინებით და გულგრილადაც კი შესცქერის ხელისუფლების ნებისმიერი სახის ღონისძიებებს, ოღონდ კი ადრინდელ არასტაბილურობას მოღებოდა ბო-

[5] გ. ლასხიშვილი. მემუარები. უშანგი სიდამონიძის წინასიტყვაობით. თბ. 1992, გვ. 119.

ლო. ახლაც ასე მოხდა. დამარცხებულ-შეშინებული მოსახლეობისათვის თითქოს სულ ერთი გამხდარიყო ვინ აღზევდებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ნანგრევებზე – იმპერიის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე სტოლიპინი თუ რომელიმე სხვა დიქტატორი და რა სახის საარჩევნო კანონს მიიღებდა იგი; ვინ გაიმარჯვებდა ახალი სათათბიროს არჩევნებში: სოციალისტები, კადეტი ლიბერალები თუ მემარჯვენე ოქტიაბრისტები და შავრაზმული პარტიები. მოსახლეობის უმრავლესობა მეტნაკლები სტაბილურობის დამყარებას მიელტვოდა. საზოგადოების მაშინდელი კონფორმისტული სულისკვეთება კარგად გამოხატა სახელმწიფო სათათბიროს ოქტიაბრისტმა დეპუტატმა პლევაკომ, როცა განაცხადა: „ყველანაირი მთავრობა გვირჩევნია, დღევანდელ აურზაურსო“.

მაგრამ ის, რისი უფლებაც ჰქონდათ ჩვეულებრივ მოქალაქეებს, საზოგადოების გარკვეულ ფენებს, იმის უფლება არ ჰქონდათ რევოლუციურ და ეროვნულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია პასუხისმგებლობას გრძნობდა, როგორც იმხანად საქართველოში არსებული ჯერ კიდევ ერთადერთი ეროვნულ-რევოლუციური პოლიტიკური ორგანიზაცია და ცდილობდა შეენარჩუნებინა მოქმედი ძალები.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ რეაქციის პირველ წლებში ძირითადად შეინარჩუნა თავისი ორგანიზაციის სიმტკიცე და მეტ-ნაკლები აქტიურობით აგრძელებდა თავის საქმიანობას. პარტიამ სწორედ რევოლუციის დამარცხების პირველ თვეებში ჩაატარა III კონფერენცია და მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები – პროგრამა და წესდება.

იმის შესახებ თუ რა ტაქტიკას უნდა დასდგომოდა პარტია ახალი ვითარებაში, ფედერალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ერთი ნაწილი, რევოლუციის დამარცხებიდან გამომდინარე, ფიქრობდა, რომ შედარებით მშვიდობიანი ბრძოლის ფორმებზე უნდა გადასულიყვნენ. ამ პოზიციას ერთ ხანს დაუპირისპირდა თბილისის კომიტეტი, რომლის უმრავლესობა რევოლუციის დამარცხების პირველ

ხანებში, არ იზიარებდა თვითმყრობელობასთან ბრძოლაში უკან დახევის საჭიროებას და რადიკალიზმის გზას ადგა.

1908 წ. 8 ივლისს თბილისის კომიტეტმა არალეგალურად გამოსცა გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი" და „შეიარაღებული აჯანყების" მომზადებისკენ მოუწოდა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს.[6] რამდენად რეალური იყო შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდება იმ დროს, ეს სხვა საკითხია. მისი მომხრეები პარტიის ანარქისტულად განწყობილი წევრები იყვნენ. ასეა თუ ისე, რევოლუციის დამარცხების შემდგომ პერიოდში, ფედერალისტები ორგანიზებულად, როგორც ჩანს კარგად იდგნენ ფეხზე. 1909 წლისათვის ჟანდარმერიის აგენტურაც შენიშნავდა, რომ ფედერალისტების საქმიანობა „შესამჩნევად გაძლიერდა".

ამ პერიოდში ფედერალისტთა პრესა, მართალია ირწმუნებოდა, რომ პარტიამ უმთავრესი ყურადღება ლეგალურ, კულტურულ-იდეოლოგიურ მუშაობას მიაქცია, მაგრამ პარალელურად და საკმაოდ აქტიურად მოქმედებდნენ ფედერალისტები არალეგალურადაც.

1908 წლის 20 მაისს, თბილისში მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი. კავკასიის ადმინისტრაციას მკვლელობა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტი ეგონა, ხოლო ჟანდარმერიას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მკვლელობა „ფედერალისტებმა ჩაიდინეს". სწორედ იმ ხანებში ფედერალისტთა თბილისის კომიტეტმა გამოსცა არალეგალური ორგანო „სოციალისტ-ფედერალისტი", რომელშიც დაბეჭდილი იყო სტატია – „საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შესახებ". მასზე დაყრდნობით, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილებისა და პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთი ცირკულარი დაასკვნიდა: „მართალია, პარტიული განცხადება იმის შესახებ, რომ ეს საზიზღარი დანაშაული ჩადენილია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიერ, არ არსებობს, მაგრამ თბილისის კომიტეტის არალეგალურ ორგანოში, 1908 წლის 28 ივლისის №I-ში გამოქვეყნებული სტატია სათაურით „საქართვე-

[6] თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს ფონდი. სცსა. ფ. 153. ან. I. ს. №1835, გვ. 8.

ლოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შესახებ“ ნათელ მითითებას იძლევა, რომ ეს დანაშაული სოციალისტ-ფედერალისტთა ხელითაა ჩადენილი“.[7]

უშუალოდ, მკვლელობაში ეჭვმიტანილი იყო ვინმე ალექსანდრე მარანელი, გორის მაზრის გლეხი.[8] გორის მაზრა ფედერალისტთა პარტიის გავლენის სფეროში შედიოდა. მეორე ცნობით, „მკვლელობა განხორციელდა ქართველების მიერ, ავტოკეფალისტებისაგან მკვლელის მოსყიდვის შედეგად.“

ტერორისტული აქტის შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ „თბილისის ანარქისტ-კომუნისტთა ორგანიზაციის „მიწა და თავისუფლების“ ჯგუფის წევრები“.[9]

გიორგი ლასხიშვილი კატეგორიულად უარყოფდა ფედერალისტთა მიერ ნიკონის მკვლელობას. „პირველ დღეებში ტფილისში ვიღაც პროვოკატორებმა ხმა გაავრცელეს, ეგზარქოსი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ მოჰკლაო. ეს ნამდვილი ჭორი იყო: ჩვენს პარტიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია სამღვდელოების მაშინდელ მოძრაობასა და სამღვდელოების საქმეებში და ფიქრადაც არავის მოგვსვლია ამგვარი ტერორისტული აქტის მოხდენა“.[10]

გიორგი ლასხიშვილი თავის „მემუარებს“ მომხდარი მოვლენებიდან 26 წლის შემდეგ წერდა და შესაძლოა რაიმეს უმატებდა ან ზოგიერთი ფაქტის აღიარებისგან თავს იკავებდა. ყოველ შემთხვევაში, იგი ნამდვილად ცდება, როცა ირწმუნება, თითქოს ფედერალისტები არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ „სამღვდელოების მაშინდელ მოძრაობასა და საეკლესიო საქმეებშიო“. პირიქით, ფედერალისტები უაღრესად აქტიურად უჭერდნენ მხარს იმხანად მიმდინარე ავტოკეფალისტურ მოძრაობას. პარტიის ძირითადი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქარ-

[7] თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწის ფონდი. სცსა. ფ. 156, ან 3. საქმე №49, გვ. 67.

[8] კავკასიის პოლიციის განყოფილების ფონდი. სცსა. ფ. 95. ან I. საქმე №35, გვ. 72.

[9] სცსა. ფ. 153 ან. I. საქმე №1835, გვ. I.

[10] გ. ლასხიშვილი. მემუარები, გვ. 300.

თული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის საერთო ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო და ამდენად, აუცილებელი იყო ავტოკეფალისტთა მხარდაჭერაც. საკითხს, იმდენად აქტუალურად თვლიდნენ, რომ ფედერალურმა კომიტეტმა – პარტიის ხელმძღვანელმა ორგანომ მომავალ კონფერენციაზე, მისი სპეციალური განხილვა გადაწყვიტა. ეკლესიასთან დამოკიდებულების საკითხზე მოხსენების მომზადება ვლადიმერ ლორთქიფანიძეს დაევალა. ეს III კონფერენციაზე მოხდა.

მანამდე კი, როგორც რევოლუციის, ისე მისი დამარცხების შემდეგაც ფედერალისტური პრესა აქტიური თანაგრძნობით და სისტემატურად აშუქებდა ქართველი სამღვდელოების მოქმედებას ავტოკეფალიის მოსაპოვებლად.

1906 წლის ივნისში, ქართლ-კახეთის საეკლესიო კრებაზე შექმნილმა კომისიამ დაადგინა, დაბალ და საშუალო სასულიერო სასწავლებლებში სწავლის ქართულ ენაზე შემოღება. ამ გადაწყვეტილებამ „სასულიერო მთავრობა“ დააფიქრა. სინოდმა თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას შეკითხვა გაუგზავნა. გამგეობის პასუხის შემდეგ, სინოდის ნებართვით, სასულიერო სასწავლებლებში „შემოღებული იქნა ამ წლიდანვე საქართველოს ისტორიის და ქართული სიტყვიერების სწავლება“. სავალდებულოდ აღარ ითვლებოდა საეკლესიო სლავური ენის და გალობის სწავლება. ქართულ ენაზე უნდა ესწავლებინათ, სემინარიის მაღალ კლასებში საღვთისმეტყველო საგნებიც.

ფედერალისტების ორგანო „ისარი“, არცთუ კმაყოფილების გარეშე წერდა ქართული საეკლესიო და ეროვნული ძალების მნიშვნელოვან წარმატებაზე. მაგრამ იგი შიშობდა, რომ ის, რასაც განმათავისუფლებელი მოძრაობის წლებში მიაღწიეს, არ დაკარგულიყო რევოლუციის დამარცხების შემდეგ „რეაქციის ფარფაშის“ პირობებში. საშიშროება კი რეალური იყო. სინოდის ზემოაღნიშნულ ბრძანებას „მეორე დღესვე“ მოჰყვა წარმატების გამანეიტრალებელი ბრძანება, რომ სანამ ქართულ ენაზე სწავლებას შემოიღებდნენ, ამის შესახებ უნდა „ჯერ სამღვდელოებას შეკითხებოდნენ“ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებოდა

ქართულად სწავლება.

ფედერალისტთა გაზეთი „ისარი“ მოუწოდებდა ქართველ სამღვდელოებას „მონური სილაჩრე“ არ გამოეჩინა“. საამისო ნიშნები არსებობდა. გარკვეულმა ძალებმა უკვე დაიწყეს უკანდახევა და მოიმიზეზეს, რომ ქართულ ენაზე სწავლების შემოღებისთვის ჯერ ნიადაგი მომზადებული არ იყო, რადგან არ არსებობდა ქართულ ენზე სახელმძღვანელოები. „ისარში“ გამოქვეყნებული სტატიის — „საყურადღებო საკითხის“ უცნობი ავტორი „ნებოძირელი“ მოუწოდებდა ქართველ სამღვდელოებას, რომ სახელმძღვანელოების უქონლობას არ უნდა შეეფერხებინა ქართულ ენაზე სწავლების შემოღება. ჩვენი ძირითადი სურვილი უნდა იყოს, — წერდა ფედერალისტური „ისარი“, რომ სადაც ეს შესაძლებელია, მთლიანი ეროვნული სასწავლებელი დავაარსოთ... ყველა საგნების მშობლიურ ენაზე სწავლებით“.[11]

განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების შემდეგ ავტოკეფალისტური მოძრაობა საქართველოში მინელდა. ამის შესახებ შეშფოთებით წერდა სამსონ ფირცხალავა: „რამდენად გავრცელებულია ჩვენში თავისუფალი ეკლესიის საჭიროების შეგნება და რამდენად მომზადებულნი ვართ ავტოკეფალიის მისაღებად“ — სვამდა კითხვას ფედერალისტი პუბლიცისტი. მისი აზრით, ქართველი სამღვდელოების დიდი ნაწილი გატაცებული იყო „პირადი დაწინაურების“ და „საკუთარი კეთილდღეობის“ სურვილით. რევოლუციის დროს გარემოებანი ხელს უწყობდნენ ქართველ სამღვდელოებას ავტოკეფალიის მისაღწევად, მაგრამ მან არ გამოიყენა შესაძლებლობა. ნიკო მარი და ალექსანდრე ცაგარელი სინოდში იცავდნენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უფლების კანონიერებას, მაგრამ მათ წინ გადმოულაგეს „ქართველი მღვდლების მაბეზღარი განცხადებანი“, რომელთა მიხედვითაც ავტოკეფალიას ქართული სამღვდელოება კი არ თხოულობდა, არამედ „რამდენიმე ნაციონალისტი პოლიტიკოსი“.[12]

[11] ნებოძირელი. საყურადღებო საკითხი. გაზ.: „ისარი“. 30 ოქტომბერი. 1907 წელი.

[12] სიტყვა /ს. ფირცხალავა/. ჩვენი სამღვდელოება. გაზ.: „სახალხო გაზეთი“. 12 იანვარი. 1914 წელი.

„რევოლუციის ლიკვიდაციის“ პირველ ხანებში ჯერ კიდევ ძლიერი იყო სურვილი ავტოკეფალიის აღდგენისა, რის გამოც ქართველი სამღვდელოების პატრიოტულ ნაწილსა და რუსულ საეკლესიო ადმინისტრაციას შორის ურთიერთობა დაძაბული იყო. ეგზარქოსი ნიკონი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სასტიკი წინააღმდეგი გახლდათ. ჟანდარმერიის ერთი საქმიდან ცნობილი ხდება, რომ ქართულ საეკლესიო კრებას გამოუტანია გადაწყვეტილება, არ მიეღო სინოდის მიერ საქართველოში ეგზარქოსად მოვლინებული ნიკონი. ამ უკანასკნელმა ყურადღება არ მიაქცია ამ გადაწყვეტილებას და მაინც ჩამოვიდა თავის „სამწყსოში“.[13] ახალი ეგზარქოსის წინააღმდეგ, რომ ტერორისტული აქტი მზადდებოდა უკვე იცოდა კავკასიის ადმინისტრაციამ. 1908 წლის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორი აფრთხილებდა თავის თბილისელ კოლეგას, რომ „ქუთაისიდან თბილისისკენ გამოვიდა რამდენიმე ტერორისტი, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის მოსახდენად“.[14]

როგორც აღვნიშნეთ, ჟანდარმერიას ეჭვი არ ეპარებოდა ფედერალისტების მიერ ტერორისტული აქტის განხორციელებაში. ჯერჯერობით საფუძველი არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ჟანდარმერიის ვერსიაში. ფაქტია, რომ ქართველი ფედერალისტები აქტიურად უჭერდნენ მხარს ავტოკეფალისტურ მოძრაობას და მოუწოდებდნენ სამღვდელოების კონფორმისტულ ნაწილს, პატრიოტულ საქმიანობაში „მონური სილაჩრე“ არ გამოეჩინათ. ის გარემოებაცაა აღსანიშნავი, რომ რევოლუციის დამარცხების პირველ პერიოდში ფედერალისტთა პარტიაში მებრძოლი სულისკვეთება იყო შენარჩუნებული.

საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოწადინე ფედერალისტებისათვის კვლავინდებურად ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად მიიჩნეოდა ქართული ტერიტორიის დაცვის საკითხი. XX საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოსახლეობის ჩამოსახლება-დასახლება საქართვე-

[13] სცსა. ფ. 153, ან. I. საქმე №1834, გვ. 4.
[14] კავკასიის მეფისნაცვალის კანცელარიის ფონდი. სცსა, ფ. 13, ან. 27, საქმე №36, გვ. 4.

ლოს რიგ რეგიონებში. რუსთა მიერ კავკასია-საქართველოს კოლონიზაციის პრობლემას შეშფოთებით ადევნებდა თვალს ფედერალისტთა პარტიული ორგანო „ისარი“.

1906-1907 წლებში, როგორც ჩანს, განმათავისუფლებელი მოძრაობის გამო, კავკასიაში გადმოსახლებულთა რიცხვმა იკლო. ამ დროს გამოსცა მეფისნაცვალმა ბრძანება, გადმოსახლების დროებითი შეჩერების შესახებ. ამით შეშფოთებული შოვინისტური გაზეთი „ნოვოე ვრემია“ მიუთითებდა „რუსი ხალხის სისხლით მორწყულ კავკასიაზე“, რომელიც კანონიერად ეკუთვნოდათ ჩამოსახლებულებს. რუსთა ჩამოსახლების საჭიროებას დაუღალავად ქადაგებდა სათათბიროს დეპუტატი ტიმოშკინი. „ისარი“ შიშობდა, რომ ტიმოშკინის მოთხოვნას მხარს დაუჭერდნენ სათათბიროში და შესაბამის კანონსაც მიიღებდნენ, რის შედეგადაც გადმოსახლების ტალღა ახალი ძალით განახლდებოდა. კავკასიის ხელისუფლება მართლაც ამზადებდა ნიადაგს კოლონისტთა ჩამოსახლებისათვის. საამისოდ ბევრს საქმიანობდნენ საქართველოში ამ მიზნით შექმნილი სპეციალური დაწესებულებები: გადმოსახლების სამმართველო, საგლეხო ბანკი, მიწის მომწესრიგებელი სამმართველო, საგლეხო საქმეთა საკრებულო და სხვ.

„ისარის“ სამართლიანი რწმუნებით, რუსი კოლონისტებისათვის განკუთვნილ რეგიონებში, კავკასიის ადმინისტრაცია უარს ეუბნებოდა ქართველ გლეხებს დასაქმების თხოვნაზე. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთ რეგიონად მიჩნეული იყო შირაქი, დასავლეთში – მთელი შავი ზღვის სანაპირო. 1908 წელს ფედერალისტების მეორე ორგანო „ამირანი“ იუწყებოდა, რომ გლეხებს, რომლებსაც აუკრძალეს შირაქში დასახლება, „შეურაცხყოფილნი“, მთავრობის წინაშე შუამდგომლობას აპირებდნენ „რათა დაცული იქნას მათი ისტორიული უფლება შირაქში დასახლებისა“.[15]

საქართველოს სამხრეთითაც, „ისარის“ ცნობით, ხელისუფლება ხელს უწყობდა არაქართველი მოსახლეობის ინტენსიურ დამკვიდრებას

[15] ფშაველა ვეფხვაძე. მთის ვითარება. გაზ.: „ამირანი“. 3 ივნისი. 1908 წელი.

ბორჩალო-ახალქალაქის მაზრებში. „ინოროდცების“ გარუსებისა და გადაშენების პოლიტიკამ“ 100 წლის განმავლობაში ის შედეგები გამოიღო, რომ „საქართველო ბუნებრივ საპყრობილეში მოექცა. იგი გადაიქცა ტუსაღად, რომელსაც ყოველი მხრიდან დარაჯად უდგას კანონი.“

ფედერალისტური გაზეთი „ისარი“ მტკიცედ იდგა ქართველი ხალხის ეკონომიკურ-ტერიტორიული ინტერესების სადარაჯოზე. ხელმოუწერელი წერილის „გადასახლება და გადმოსახლება“ – ავტორი, კატეგორიულად დაასკვნიდა: „უმიწაწყლობის და გადმოსახლების საქმე ქართველთა ერთი უპირველესი საქმეთაგანია. დაე ყველამ ვისაც კი ხალხისათვის გული შეტკივა, უნდა იზრუნოს, იფიქროს რამ“. გაზეთი ურთიერთსოლიდარობისაკენ მოუწოდებდა პოლიტიკურ პარტიებს, ძალებს და საზოგადოებას რუსული კოლონიზაციის საშიში მასშტაბების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის. „საჭიროა ამ შემთხვევაში საერთო მუშაობა და საერთო ძალ-ღონით გამკლავება კარზე მომდგარ უბედურებასთან“.[16]

გარდა მეფისნაცვლის ზემოაღნიშნული ბრძანებისა, გადმოსახლების დროებითი შეჩერების შესახებ, გადმოსახლების პროცესი უპირველესად შეასუსტა განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ და კავკასია-საქართველოში შექმნილმა არასტაბილურმა მდგომარეობამ. რუსული გაზეთების ცნობით 1907 წელს ამიერკავკასიაში რუსეთიდან გადმოასახლეს 3535 სული, მაგრამ ამ რიცხვს სჭარბობდა კავკასიიდან რუსეთში გაბრუნებულთა რიცხვი – 4521 სული.[17]

რევოლუციის დამარცხების შემდეგ კვლავ განახლდა გადმოსახლების პროცესი. 1909 წელს ფედერალისტური გაზეთის „დროების“ რწმუნებით, მთავრობას განზრახული ჰქონდა რუსეთიდან 3 000 000 მილიონი გლეხის ჩამოსახლება, თუმცა კავკასიაში თუ საქართველოში მითითებული არაა. შავი ზღვის სანაპირო ადგილებში მეორე წელია მუშაობდა ინჟინერთა და აგრონომთა მთელი ჯგუფი, რომლებიც გეგ-

[16] გადასახელება და გადმოსახლება (ხელმოუწერელი – დ.შ.). გაზ.: „ისარი“. 28 ოქტომბერი. 1907 წელი.
[17] გაზ.: „ისარი“. 1 ნოემბერი. 1907 წელი.

მავდნენ და ამზადებდნენ ადგილებს კოლონისტებისათვის.[18] მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ გაღატაკების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის ნაწილი თავის მიწებს უცხოელებზე ჰყიდდა.

ასეთ ვითარებაში ფედერალისტების ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ლეგალური გზებით ქართველი საზოგადოების მცდელობანი ვერ დაიცავდა ქვეყნის ტერიტორიას უცხოელთა მიერ მიტაცებისაგან. საჭირო იყო უფრო ენერგიული ზომები. ასეთ ზომად მიჩნეულ იქნა ტერორის გზით ბრძოლა, როგორც კოლონისტთა წინააღმდეგ, ისე იმ ქართველ მემამულეთა მიმართაც, ვინც მიწას უცხოელებს მიჰყიდდა.

ჟანდარმერიის ცნობებითაც, ფედერალისტთა პარტიაში 1909 წელს წინ წამოიწია აგრარულმა – ქართული მიწების დაცვის საკითხმა. ამ საკითხს მიეძღვნა პარტიის ფედერალური კომიტეტის სპეციალური სხდომა, რომელიც 1909 წლის დეკემბრის დასაწყისში გაიმართა. აქ წარმოიშვა იდეა, დაეარსებინათ სამიწათმოქმედო ფონდი – ლეგალური ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართველი გლეხების მიერ მიწების შესყიდვას, ხოლო მისი საქმიანობა ფარულად წარმართული იქნებოდა პარტიის მიერ.

სწორედ ფედერალური კომიტეტის ამ სხდომაზე გადაწყდა: ჯერ გაეფრთხილებინათ ის ქართველი მემამულენი, რომლებიც მიწების მიყიდვას დააპირებდნენ უცხოელი კოლონისტებისათვის, ხოლო თუ გაფრთხილება არ იკმარებდა, ტერორით დამუქრებოდნენ. კომიტეტმა გადაწყვიტა აგრეთვე ქართველ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაეტარებინათ, რა საშიშროება ელოდა საქართველოს ტერიტორიას, თუ ქართველი მემამულეების მიწებს უცხოელები მასობრივად დაეპატრონებოდნენ. ამ მიზნით ფედერალურმა კომიტეტმა პროპაგანდისტები გამოყო და სოფლებში გაგზავნა.[19]

ფედერალური კომიტეტი ამით არ დაკმაყოფილებულა. იგივე საკითხი დაისვა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მეოთხე კონფერენციაზე. აქ საკითხის მასშტაბი უფრო გაფართოვდა და კონფერენ-

[18] გაზ.: „დროება“, 6 ნოემბერი. 1909 წელი.
[19] სცსა, ფ. 153, ან. I, საქმე №1835, გვ. 4.

ციამ მიიღო გადაწყვეტილება ტერორის შესახებ, უკვე არამარტო უცხოელებისათვის მიწების გაყიდვის მოსურნე ქართველი მემამულეების წინააღმდეგ, არამედ რუსეთიდან ჩამოსახლებულებისა და ადმინისტრაციის წინააღმდეგაც.[20]

ეს გადაწყვეტილება ფედერალისტებს, როგორც ჩანს, სისრულეში მოჰყავდათ. 1910 წელს დაპატიმრებულ ფედერალისტს, დიმიტრი გელიაძეს, ჩხრეკისას უპოვეს პარტიის მიერ გამოცემული მოწოდება, „თავგანწირვა". მოწოდება აფრთხილებდა ქართველ მემამულეებს, რომელნიც რუსებისათვის მამულების მიყიდვას აპირებდნენ. ჟანდარმერიის ცნობით, ასეთი მუქარა მისვლიათ სიღნაღის მაზრის მემამულეებს, თავად ანდრონიკაშვილებს. თავადები მამულის გაყიდვას სწორედ ჩამოსახლებულ რუსებზე აპირებდნენ. მუქარის ავტორები ანდრონიკაშვილებს ჯერ „სთხოვდნენ" მამული ქართველებისთვის, ან უარეს შემთხვევაში ოსებისათვის მაინც მიეყიდათ და თანაც ფასსაც უთითებდნენ – არა უმეტეს 50 მანეთისა. არ ვიცით ანდრონიკაშვილებმა შეუსრულეს თუ არა „თხოვნა" ქართული ტერიტორიის დამცველებს. ამ „თხოვნის" შესრულების შემთხვევაში ანდრონიკაშვილებს, საკმაო თანხა უნდა ეზარალათ. სიღნაღში დამკვიდრების მსურველი რუსები მათ, დესიატინაში 65-80 მანეთს სთავაზობდნენ. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, პარტიულ კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილების შესრულებას სოციალისტ-ფედერალისტები საქმით შესდგომიან, რაც კავკასიის ადმინისტრაციას არ ესიამოვნებოდა.

გიორგი ლასხიშვილი ადასტურებს, რა დიდ მუშაობას აწარმოებდა თბილისის სადგილ-მამულო ბანკი, რომელიც ცდილობდა დახმარებოდა ქართველ გლეხებს მიწების შეძენაში. ამ მიზნით სპეციალურად დაარსდა „საადგილ-მამულო კომისია". მისი თავმჯდომარე იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი ალექსანდრე ყიფშიძე, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა ფედერალისტებთან. „პირველსავე წლებში, – წერს ლასხიშვილი, – საადგილ-მამულო კომისიამ ამგვარის დახმარებით მოახერხა საკმაოდ დიდი მა-

[20] სცსა, ფ. 153, ან. I, საქმე №1835, გვ. 4.

მულების გადაცემა ქართველი გლეხობის ხელში“. კომისია მოლაპარაკებას მართავდა საადგილ-მამულო ბანკთან, სათანადო დოკუმენტაციას უმზადებდა გლეხებს, სესხს აძლევდა მათ შეღავათიან პირობებში და ა.შ.[21]

რაც მთავარია, საადგილ-მამულო კომისიის საქმიანობას ფარულად წარმართავდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. პარტიაში შექმნილი იყო ამ მიზნით, „სამიწათმოქმედო სექცია“, რომლის ხელმძღვანელი იყო ქაიხოსრო ქავთარაძე.[22] როგორც აღვნიშნეთ, ეს ღონისძიება განხორციელდა 1909 წლის დეკემბრის ფედერალური კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ფედერალისტთა პარტიის გააქტიურება სახეზე იყო და თითქოს დისონანსადაც მოსჩანდა რეაქცის გაძლიერების საერთო ფონზე.

რევოლუციის დამარცხების შემდგომ, მართალია, ფედერალისტების პარტია გაიწმინდა ეროვნულ-დემოკრატებისა და ანარქისტებისგან, მაგრამ მასში გარკვეული გავლენა ერთმა მიმართულებამაც დატოვა და მეორემაც. რეაქციის ან როგორც მაშინ უწოდებდნენ „რევოლუციის ლიკვიდაციის“ ხანაში, ფედერალისტურ პარტიაში წინააღმდეგობამ იჩინა თავი. ერთმანეთს დაუპირისპირდა რადიკალურად და მეორე მხრივ, ზომიერად განწყობილი მიმართულებები. რადიკალურ მიმართულებას მოანარქისტო ან ეროვნულ-დემოკრატიულად განწყობილი ახალგაზრდობა წარმოადგენდა, ხოლო ზომიერნი – პარტიის ძველი და ხელმძღვანელ პოსტებზე მდგომი პარტიული მოღვაწენი იყვნენ.

გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1908 წლის აპრილში თბილისის გუბერნიის ორგანიზაციების შეკრებაზე, მონაწილეთა ერთი ნაწილი, მიუთითებდა, პარტიული მუშაობის მოდუნებაზე და საყვედურობდა თანაპარტიელთა მეორე ნაწილს, რომ მუშაობის აქცენტი საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაზე გადაიტანეთო.

გავიხსენოთ, რომ იმავე წლის მაისში, ფედერალისტების პარტიის თბილისის კომიტეტმა, გამოსცა არალეგალური გაზეთი „სოცია-

[21] გ. ლასხიშვილი. მემუარები, გვ. 250.
[22] სცსა, ფ. 156, ან. 3, საქმე №49, გვ. 105.

ლისტ-ფედერალისტი“. მეტიც, ფედერალისტთა ერთმა ნაწილმა შეიარაღებული გამოსვლების მომზადებისკენ მოუწოდა პარტიას. საინტერესოა, რომ გაზეთის მოწინავე ასე იყო დასათაურებული: „რეაქცია შიგნიდან, რეაქცია გარედან“, რაც გულისხმობდა პარტიაში არსებულ წინააღმდეგობას. „სოციალისტ-ფედერალისტის“ ერთადერთი ნომერი იყო პარტიის „თბილისის კომიტეტის ორგანო“ – ე. ი. რადიკალურად განწყობილი ძალები, როგორც ჩანს თბილისის კომიტეტში იყვნენ მოკალათებულნი.[22]

წინააღმდეგობა უფრო გაღრმავდა 1909-1910 წლებში. ამას მოწმობს პარტიის გახშირებულ შეკრებებზე გამოხატული აზრთა განსხვავებანი. მთავარმა წინააღმდეგობამ თავი იჩინა იმპერიის შიდა გუბერნიებიდან ჩამოსახლებულთა მიმართ, ტერორის წარმოების საკითხში. თუ ჩავთვლით, რომ 1909 წლის დეკემბერში მართლაც ჩატარდა პარტიის IV კონფერენცია, ჟანდარმერიის ცნობით, სწორედ აქ მიიღეს გადაწყვეტილება ტერორის შესახებ. მონაწილეთა უმრავლესობა კონფერენციაზე რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდობა იყო. ჟანდარმერიის საქმეებში პირდაპირაა მითითებული, რომ ტერორის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს: შ. ამირეჯიბმა, შ. ბილანიშვილმა, გ. „მაჭაროვმა“, ქუთათელაძემ და ალბათ სხვებმაც.[23] ყურადღება მივაქციოთ, რომ კონფერენციის ზემოაღნიშნულ მონაწილეთა შორის პარტიის არც ერთი ძველი ხელმძღვანელი – მოღვაწე არაა დასახელებული.

ეს გარემოება და ე. წ. IV კონფერენციის შემდგომი მოვლენები, გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული კონფერენციის ინიციატივა ეკუთვნოდათ ფედერალისტური პარტიის რადიკალურად განწყობილ წევრებს, მონაწილეების უმრავლეობასაც ისინი წარმოადგენდნენ. რაც შეეხება პარტიის ძირითად ხელმძღვანელობას, რომელსაც პარტიის დიდი ნაწილი უჭერდა მხარს, ამ კონფერენციაზე არ გამოცხადდნენ და მისი მუშაობა უკანონოდ ჩათვალეს ან უგულებელყვეს.

ამას მოწმობს შემდგომი მოვლენები.

1910 წლის იანვარში შედგა პარტიის მთავარი კომიტეტის თათ-

[23] სცსა. ფ. 153. ან. 3. საქმე №1834.

ბირი. თათბირზე გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, ილია ალლაძე და სხვანი, აგრარული ტერორის წინააღმდეგ გამოვიდნენ, რაც თითქოს, კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების უარყოფას და მის ანულირებას უნდა მოწმობდეს.

იმხანად დაპირისპირება პარტიაში მეტად აღარ გამწვავებულა, რადგან 1910 წლის აპრილ-მაისში ფედერალისტთა დიდი დარბევა-დაპატიმრებანი მოაწყო ხელისუფლებამ და პარტიის ორივე მიმართულებას, ერთმანეთთან კინკლაობის ხალისიც დაუკარგა და შესაძლებლობაც.

რაც არ უნდა ძლიერი ყოფილიყო ფედერალისტთა პარტიაში მიდრეკილება აქტიური პრაქტიკული ეროვნულ-რევოლუციური საქმიანობისაკენ, რეალური ვითარება, „რეაქციის ფარფაში“, ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტის“ მოწოდება „შეიარაღებული აჯანყებისაკენ“, ეპიზოდურ მოწოდებად დარჩა. ფედერალისტები იძულებულნი გახდნენ თანდათან აქტიური თავდაცვის ტაქტიკაზე გადასულიყვნენ. „რევოლუციის ლიკვიდაციის“ ხანაში პარტიის ხელმძღვანელობამ გეზი პრინციპულად აიღო ეროვნულ-კულტურული საქმიანობისაკენ. ფედერალისტები ადრეც ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა რეაქციის პერიოდში.

სოციალისტ-ფედერალისტთა გააქტიურება და ენერგიული მოღვაწეობა, როგორც არალეგალური ფორმით, ისე ლეგალურად, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური და კულტურული აღორძინება-თავისუფლებისათვის კარგა ხანია ძილს უფრთხობდა იმპერიის ცენტრალურ და კავკასიის ადგილობრივ ხელისუფლებას. ჟანდარმერია ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს ფედერალისტთა საქმიანობას და გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადებოდა, ასეთი დროც დადგა. 1910 წლის აპრილში ჟანდარმერიამ სოციალისტ-ფედერალისტთა თითქმის მთელი ფედერალური კომიტეტი და რამდენიმე ათეული, ყველაზე თვალსაჩინო წევრი დააპატიმრა მოულოდნელად და სამართალში მისცა. გადამჭრელი ღონისძიება მიზნად ისახავდა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ლიკვიდაციას, რომელსაც ხელისუფლების აზრით, უნდა მოჰყოლოდა

მთლიანად სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის პარალიზება, ფედერალისტური პარტიის ამოგდება ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის ავანგარდიდან.

1910 წლის 19 თებერვალს შედგა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ფედერალრური კომიტეტის სხდომა. ჟანდარმერიისათვის ცნობილი გახდა, რომ კომიტეტმა განიხილა „რუსეთის, თურქეთისა და სპარსეთის ქართველთა კონგრესის ორგანიზაციის„ საკითხი. მასალებიდან ირკვევა, რომ ფედერალისტთა პარტიაში წარმოიშვა აზრი, ყველა სარწმუნოების ქართველების გაერთიანებისა, ერთ ფედერაციულ კავშირში. ამ მიზნით, კერძოდ, ქართველთა ერთიანი ფედერაციული კავშირის იდეის დასმისა და მისი განხორციელების გზების ძიების მიზნით, გადაუწყვეტიათ მოეწყოთ რუსეთის, სპარსეთისა და თურქეთის ქართველი მოსახლეობის წარმომადგენელთა კონგრესი.

ეს აზრი, როგორც ჩანს, 1907 წელს საქართველოში ფერეიდნელი ქართველების ონიკაშვილის და ხუციშვილის ჩამოსვლის დროს უნდა წამოჭრილიყო. ირანელმა ქართველებმა სოციალისტ-ფედერალისტებთან ახლო ურთიერთობა დაამყარეს, ონიკაშილი ფედერალისტთა პარტიაშიც შესულა.

ჟანდარმერიისათვის ცნობილი გახდა, რომ ონიკაშვილი, რომელიც 1910 წელს კვლავ ჩამოვიდა საქართველოში, ფედერალისტთა პარტიის სხვა წევრებთან ერთად უნდა წასულიყო „კონსტანტინეპოლში“ – თურქეთის ქართველობასთან ურთიერთობის დასამყარებლად და მოსალაპარაკებლად კონგრესის მოწვევის თაობაზე.[24]

ფედერალური კომიტეტის ზემოაღნიშნულ სხდომაზე, დამსწრეთა შორის დასახელებულნი არიან: ქ. ქავთარაძე, ი. ალლაძე, ს. ფირცხალავა. უკანასკნელის შესახებ ჟანდარმთა სამმართველოს საქმეში ხაზგასმულია, რომ იგი ყოფილა სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის ქართველთა ფედერაციული კავშირის შექმნის „მხურვალე მომხრე“. მართალია, ჯერჯერობით, ამ საინტერესო იდეის შესახებ ცოტა რამ ვიცით, მაგრამ თვით ასეთი მისწრაფების არსებობა ფედერალისტთა

[24] სცსა, ფ. 153, ან. I, საქმე №1835, გვ. 13. 15.

პარტიაში, კავკასიის ხელისუფლებას უთუოდ დააფიქრებდა. აქამდე სოციალისტ-ფედერალისტები ავტონომიის დროშის ქვეშ საქართველოს პოლიტიკური ძალების შეკავშირებას ცდილობდნენ. ახლა მათ, საქართველო-რუსეთის ფარგლები არ იკმარეს და მეზობელ – მტრული სახელმწიფოების ქვეშევრდომებს უნდა დაკავშირებოდნენ. იმ ვითარებაში, როცა მსოფლიო ომის სუნთქვა უკვე იგრძნობოდა, ხელისუფლებას არ შეიძლებოდა ქართველი ფედერალისტების საზღვარგარეთული კონტაქტებისათვის მშვიდად ეცქირა. სხვა მრავალთან ერთად ესეც ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო იმისა, რომ იმპერიის ხელისუფლებამ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დასჯა გადაწყვიტა.

1910 წლის 30 აპრილ-მაისის ღამეს ჟანდარმერიამ მოახდინა „ჩვენი პარტიის სათავის – ტფილისისა და მთავარი კომიტეტების ლიკვიდაცია“, – წერს გიორგი ლასხიშვილი.[25] დაპატიმრებულთა შორის იყვნენ: ალექსანდრე ჯაბადარი, გიორგი ლასხიშვილი, სიმონ (სისიკო) მდივანი, სამსონ ფირცხალავა, მიხეილ ჯავახიშვილი, ილია აღლაძე, იოსებ ბარათაშვილი, ქაიხოსრო ქავთარაძე, ალექსანდრე დიასამიძე, ვახტანგ მუსხელიშვილი, მიხეილ ხუციშვილი... სულ 32 კაცი. ცოტა მოგვიანებით დააპატიმრეს გერონტი ქიქოძე, სვიმონ მაჭავარიანი, ფერეიდნელი ქართველი ონიკაშვილი. დაპატიმრებულთა შორის არაფედერალისტებიც იყვნენ, თუმცა პარტიასთან ახლო მდგომნი: შალვა ამირეჯიბი, ივანე ზურაბიშვილი, შაქრო ბილანიშვილი, შალვა დადიანი და სხვანი.[26]

ეს ნამდვილი „ჩავარდნა“ იყო. გამოძიებას არაერთი „სიურპრიზი“ ელოდა – ფედერალისტთა საქმიანობის მათთვის უცნობი ფაქტები. გამოძიების დროს ამოტივტივდა ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი და მასთან ქართველი ფედერალისტების მჭიდრო ურთიერთობის ფაქტი. ჩერქეზიშვილის დევნა მეფის ხელისუფლებამ განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით შეწყვიტა, ძიება შეწყდა. 1906 წლის 20 ივნისის პოლიციის დეპარტამენტის ცირკულარით. ახლა კი, 1910 წელს პოლიციამ კვლავ განაახლა ქართველი ანარქისტის მიმართ ძიება.

[25] გ. ლასხიშვილი. მემუარები, გვ. 232.
[26] სცსა. ფ. 153. ან. I. საქმე №1835, გვ 8. 9.

საქმე იმაშია, რომ ალექსანდრე ჯაბადარს ჩხრეკისას აღმოაჩნდა ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ მასთან გამოგზავნილი წერილები. ალექსანდრე ჯაბადარის დოსიეში მოყვანილია ნაწყვეტი ერთ-ერთი იმ წერილიდან, რომელმაც გამოძიების ყურადღება მიიქცია. „ეს ძალიან კარგია, რომ თქვენ კომიტეტი შეგიდგენიათ – წერს ჩერქეზიშვილი ჯაბადარს, – უბედურება არაა, რომ ხელი ცოტამ მოაწერა. კარგი იქნებოდა, რომ ასეთივე კომიტეტი ყოფილიყო ქუთაისში და იმერეთში დავით მიქელაძისა და მისი მეგობრების სახელით. დავითი გაბედული კაცია და ჩემი თხოვნით ამას გააკეთებს. სამწუხაროა, რომ შენ და გვაზავას არ გილაპარაკიათ მასთან. იცოდე, სახელები ინგლისური კომიტეტისათვის საიდუმლოდ დარჩება. 2 ასეთი უფლებამოსილება აქ ეფექტს მოახდენს.“

ამის შემდეგ, ლონდონელი ემიგრანტი ჯაბადარს ურჩევდა „ჩვენი პეტიცია“ ხალხში გაევრცელებინათ. ალბათ, ცნობილი მემორანდუმი იგულისხმებოდა, რომელიც 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას წარუდგინეს ქართველმა პატრიოტებმა. ჩერქეზიშვილი ადრესატს ატყობინებდა, რომ „მინისტრებისა და პარლამენტებისადმი მიმართვასაც ინგლისური კომიტეტი დააგზავნიდა, ფიქრობენ, რომ ვილჰელმსაც კი გაუგზავნონ საჩივარი და საქართველოს დაცვა სთხოვონ.“[27]

ხელისუფლების წინაშე გადაიშალა ქართული პატრიოტული ძალებისა და მათ შორის, სოციალის-ფედერალისტთა პარტიის ფართო საერთაშორისო მოქმედების სურათი, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკურ წრეებში საქართველოს კანონიერი ისტორიული უფლებით კუთვნილი პოლიტიკური თავისუფლების საკითხის დაყენებას. რუსეთის ხელისუფლების შეშფოთება უნდა გამოეწვია იმასაც, რომ ქართული ეროვნულ-პოლიტიკური წრეები ცდილობდნენ იმპერიის წინააღმდეგ მტრულად დაპირისპირებულ სახელმწიფოებს გერმანიას და თურქეთს დაკავშირებოდნენ.

დაპატიმრებული ფედერალისტები ბეჯითად უარყოფდნენ ბრალდებებს, უსაფუძვლოსაც და საფუძვლიანსაც. ღიმილსაც კი იწვევს მა-

[27] სცსა. ფ. 153. ან. I. №1835, გვ. 128. 129.

გალითად ის, რომ გიორგი ლასხიშვილი არამც თუ ფედერალური კომიტეტის, თვით ფედერალისტთა პარტიის წევრობასაც კი უარყოფდა. ასევე მოიქცა ალექსანდრე ჯაბადარიც, რომელიც იმ დროს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თავმჯდომარე იყო. იგი ამასაც უარყოფდა და პარტიის წევრობასაც.

დაპატიმრებულთაგან, უმეტესობას სასჯელად ერგო რამდენიმე წლით რუსეთის შიდა გუბერნიებშიო გადასახლება და კავკასიის სამეფისნაცვლოში ცხოვრების აკრძალვა. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას ხელმძღვანელი ბირთვის გარეშე, აქტიური მოქმედების პარალიზების საშიშროება დაემუქრა.

*Dimitri Shvelidze*

# THE SOCIALIST-FEDERALIST PARTY IN THE PERIOD OF "LIQUIDATION OF REVOLUTION" (1907-1910)

Summary

After the defeat of revolution, the Socialist-Federalist party still remained as a leader of national-poliitical movement. Some newspapers were published on behalf of the party: “Isari”, “Megobari”, “Amirani”, “Droeba”. Federalists actively participated in the activities of cultural society. They struggled to defend national rights of people.

At the same time, the Socialist-Federalist party led illegal activities. It tried to prevent Georgia from settlement of foreign population from Russian provinces.The party published illegal editions and opposed the policy of government with radical methods.

In 1910 Russian government tried to suppress the activity of Federalist party with repressions, mass arrests and banishment. The reprezentation of mentioned events in our work are based on archival documents and periodical press materials.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*ოთარ ჯანელიძე, გოჩა მამაცაშვილი*

# მოკავშირეთა არმია კავკასიაში და საქართველოს დამფუძნებელი კრება

პირველ მსოფლიო ომში განცდილმა მარცხმა კაიზერული გერმანია იძულებული გახადა, საქართველოში მყოფი თავისი ჯარის ნაწილები უკანვე გაეწვია. გამარჯვებულ მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სამხრეთ კავკასიაში დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული შენაერთები გამოიგზავნა. ადგილობრივი მოსახლეობისადმი მიმართვაში ამ ჯარების სარდალი, გენერალი ტომსონი აღნიშნავდა: მოკავშირეთა არმიის კავკასიაში გამოგზავნას მიზნად აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება კასპიისა და შავ ზღვათა შორის მდებარე რუსეთის ტერიტორიაზეო.[1]

უფრო მოგვიანებითაც, 1919 წლის შემოდგომაზე, იგივე აზრს ანვითარებდა ტომსონის შემცვლელი გენერალი კორიც. მისი სიტყვით: სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ვიცავთ წესიერებას, სანამ, რუსეთი არ გაჯანსაღდება, არ დადგება საკუთარ ფეხზე და სრულიად ადვილად არ შემოიერთებს ყველა იმ კუთხეს, რომელიც მას ჩამოშორდა.[2]

„ინგლისელ და ფრანგ სამხედროებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა მოხდა რუსეთის იმპერიაში. ისინი თვლიდნენ, რომ კიევი, ოდესა, თბილისი თუ ბაქო რუსული ქალაქებია. ოდესაში მყოფმა ინგლისელმა ოფიცერმა ხმამაღლა განაცხადა: მე ვიცოდი, რომ მოვდიოდი რუსეთში, აქ კი რაღაც უკრაინა ყოფილაო. ეს ოფიცრები ბოლშევიკე-

[1] ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ. 1925, გვ. 259.
[2] გაზ.: „ერთობა“. 1919 წ. 21 ოქტომბერი.

ბად ან გერმანიის აგენტებად მიიჩნევდნენ ეროვნულ მთავრობებს და მათთან ულტიმატუმის ენით ლაპარაკობდნენ“, — შენიშნავს უკრაინელი მკვლევარი პ. პოლტავა.[3]

ზურაბ ავალიშვილის მოწმობითაც, „კავკასიაში ჩამოსული ინგლისის გენერლები ორ ცეცხლ შუა ჩავარდნენ; რევოლუციის მიერ წარმოშობილ ახალი დემოკრატიების პოლიტიკურ მანერებს ისინი ვერ ეგუებოდნენ, ხშირად შეცდომაში შედიოდნენ და მიზანს ხან გადააცილებდნენ და ხან ვერ უწვდებოდნენ; საერთოდ მოქმედებდნენ კავკასიაში... ორმაგი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ორნაირი ინგლისური პოლიტიკის მიხედვით“.[4]

ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, იმხანად ინგლისის სამხედრო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი მიუთითებდა: „კავკასიის ოკუპაცია ...ითვლება გერმანიასთან ომის მემკვიდრეობად, რადგანაც ჩვენ შევედით იქ იმისათვის, რომ გამოგვედევნებია გერმანელები და თურქები“.[5]

1918 წლის 23 დეკემბერს ნოე ჟორდანიასათვის გადაცემულ ინგლისის სამხედრო მისიის ნოტაში აღნიშნული იყო: „გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მოკავშირეთა ჯარების მოსვლა თქვენს დედაქალაქში ხდება საერთაშორისო მშვიდობის სქემის თანახმად, რაც ახლა წარმოადგენს ყველა მეომარი ქვეყნის სურვილს და რომ მოკავშირე ქვეყნების მთავარი მისწრაფების მიზანია წესრიგისა და ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენა კავკასიაში“.[6]

როგორც ვხედავთ, მოკავშირეთა სამხედრო კონტიგენტი ჩვენში საქართველოს მთავრობის სურვილით არ შემოსულა და იგი პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა ნებით განხორციელდა. საქართველოს ხელისუფლებას სხვა გზა არ ჰქონდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, ბრიტანელებს ჯარების დისლოკაციისათვის ფორმა-

[3] ნ. თევზაძე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს საგარეო პოლიტიკა 1918-1921 წლებში. საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1999 (ხელნაწერი), გვ. 64.

[4] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ. 259.

[5] გაზ. «Борьба». 1919. №192.

[6] საისტორიო მოამბე. 1953. №7, გვ. 626-427.

ლური თანხმობა მისცა და ოფიციალურად განაცხადა: ჩვენი პატარა რესპუბლიკა მზად არის დადგეს შეთანხმების სახელმწიფოთა სახელოვანი დროშების ქვეშ; რომ საქართველოს მთავრობა გამსჭვალულია სურვილით, იმუშაოს მოკავშირეებთან შეთანხმებით, რათა განახორციელოს მათ მიერ აღიარებული სამართლიანობის პრინციპები და თანხმობას იძლევა, შემოყვანილ იქნას ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე.[7] ასევე მოიქცნენ აზერბაიჯანისა[8] და სომხეთის რესპუბლიკების ხელისუფალნიც. ბაქოსა და ერევანშიც უცხო სახელმწიფოთა ჯარების შემოსვლა, რომელთა რიცხვი რეგიონში 20 ათასს კაცს შეადგენდა, მათ „მოწვევად" გაფორმდა.[9]

როცა 1919 წლის მარტში, როდესაც საქართველოს დამფუძნებელი კრება მუშაობას შეუდგა, თბილისსა და რესპუბლიკის სხვა სტრატეგიულ პუნქტებში უკვე განლაგებული იყვნენ მოკავშირეთა არმიის სამხედრო ქვედანაყოფები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები დიდ ბრიტანეთს „დემოკრატიის აკვნად", „კულტურის, დიდი წარმოებისა და თავისუფალი მმართველობის სამშობლოდ" მიიჩნევდნენ, მასთან, როგორც დაწინაურებული და ცივილიზებულ სახელმწიფოსთან, მჭიდრო კონტაქტების აუცილებლობასაც აცნობიერებდნენ, თუმცა ამ ქვეყნის ჯარების სარდლობასთან ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბება ვერ შეძლეს. უნდა ითქვას, რომ საამისო მზადყოფნას არც ხსენებული სარდლობა ამჟღავნებდა. მისი ინტერესები კავკასიაში ძირეულად განსხვავდებოდა გერმანიის მიზნებისაგან ამავე რეგიონში. გერმანელთაგნ დიდად განსხვავებული იყო მოკავშირეთა წარმომადგენლობის დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმიც. თუ გერმანიამ იმთავითვე ცნო ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფო

[7] ა. სურგულაძე. საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI. თბ. 1972, გვ. 617.

[8] Газ. «Азербайджан». 1918 წ. 18 ნოემბერი.

[9] С. З. Юсиф-заде. Азербайджано-британские отношения в начале XX века. Баку. 2008, გვ. 21-25.

და მის არსებობას გარანტადაც დაუდგა, ინგლისის პოლიტიკა, მაგალითად, ამ მხრივ დიდხანს ბუნდოვანი და სრულიად გამოურკვეველი იყო. უ. ჩერჩილიც ადასტურებს, რომ კავკასიის ფრონტის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან მიმართებაში იგრძნობოდა მოკავშირეთა მკაფიო კურსის უქონლობა, რომ „აქ მოკავშირე სახელმწიფოთა პოლიტიკა მერყეობდა აღიარებასა და თავაზიან გულგრილობას შორის“.[10]

ქართული მხარე კარგა ხანს ინარჩუნებდა იმედს, რომ ინგლის-საქართველოს ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა. ამ სულისკვეთებით იყო განმსჭვალული საქართველოს მთავრობის დეკლარაცია, რომელიც ევგენი გეგეჭკორმა დამფუძნებელ კრებას 1919 წლის 21 მარტს წარუდგინა. მასში აღნიშნული იყო: „დიდმა ბრიტანეთმა, რომელმაც ჩვენში ფეხი შემოდგა და რომელთანაც ჩვენ ვესწრაფვით ურთიერთ ინტერესების უზრუნველყოფით დაახლოებას, უკვე აღგვითქვა ჩვენი დამოუკდებლობის აღიარება“.[11] საქართველოს ხელისუფლების იმედი ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ 1918 წლის 31 დეკემბერს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს წარმომადგენლებს ზურაბ ავალიშვილსა და დავით ღამბაშიძეს ლონდონში გადასცა ნოტა, რომელშიც ხაზგასმულია: ინგლისის მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას და მზად არის დაიცვას მისი ცნობა სამშვიდობო კონფერენციაზე.[12]

მიუხედავად ამისა, ინგლისის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა იგვიანებდა.

ისტორიოგრაფიაში სავსებით მართებულად მითითებულია, რომ ინგლისის მთავრობას სამხრეთ კავკასიაში მოქმედების გამოკვეთილი ხაზი არ გააჩნდა, განიხილებოდა სხვადასხვა პროექტი, მათ შორის: 1. ამ მხარის რუსეთთან შეერთება 1914 წლის საზღვრების ფარგლებში;

[10] С. З. Юсиф-заде. Азербайджано-британские отношения в начале XX века, გვ. 30.

[11] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 21 მარტის სხდომა, გვ. 13.

[12] ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ. 209.

2. აქაური რესპუბლიკების დამოუკიდებულების აღიარება და 3. კავკასიის შეერთებული შტატების შექმნა, რომელიც იქნება: ა) დამოუკიდებელი; ბ) შევა რუსეთის შემადგენლობაში ფედერციულ საწყისებზე.[13]

ამგვარ ფონზეც კი აშკარად თვალშისაცემი იყო განსხვავება ინგლისის მთავრობის ოფიციალურ პოზიციასა და კავკასიაში ამ ქვეყნის სამხედრო მისიის პრაქტიკულ მოქმედებებს შორის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციურ პარტიებში საფუძვლიანად გაჩნდა კითხვა: რამდენად უფლებამოსილია მოკავშირეთა სარდლობა საქართველოსთან სახელმწიფოებრივი ურთიერთობის სფეროში? არის კი დიდი ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლობა კავკასიაში თავისი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრის გამტარებელი, თუ იგი მოქმედებს მისგან დამოუკიდებლად?

პრობლემურ კითხვებზე კონკრეტული პასუხი არსად ჩანდა, გაჭიანურებული გაურკვევლობა კი ქართულ პოლიტიკურ წრეებში ბრიტანელთადმი უნდობლობას ასაზრდოებდა. გაუარესდა ურთიერთობა ინგლისელ სამხედროებსა და საქართველოს მთავრობას შორის, რისი მიზეზი უმთავრესად ჩვენი ქვეყნისადმი ინგლისელი გენერლების არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება იყო.

საქართველოში მოკავშირეთა სამხედრო ყოფნის პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის 3 მთავარსარდალი შეიცვალა. ესენი იყვნენ ფორესტიე-უოკერი, ტომსონი და კორი.[14] არც ერთ მათგანს საქართველოს სახელმწიფოსადმი სიმპათია არ გამოუხატავს. მეტიც, ისინი საკუთარ თავს უფლებას აძლევდნენ, ზოგჯერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებშიც ჩარეულიყვნენ. ინგლისელები განსაკუთრებული თვითნებობით გამოირჩეოდნენ ბათუმის ოლქში.

---

[13] ნ. თევზაძე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს საგარეო პოლიტიკა 1918-1921 წლებში, გვ. 83; С. З. Юсиф-заде. Азербайджано-британские отношения в начале XX века, გვ. 29; დ. ჭუმბურიძე. ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში. 1918-1921 წლები. თბ. 2003, გვ. 145.

[14] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1919-1921 წწ. თბ. 1999, გვ. 36.

ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია ამ ოლქზე არ გავრცელებულა. ჯერ ბრესტლიტოვსკის ზავით და შემდეგ 1918 წლის 4 ივნისს ოსმალეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებით (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მისი რატიფიკაცია არ მოუხდენია), ბათუმი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა. იმავე წლის ოქტომბერში პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთი იძულებული გახდა, ეს კუთხე დიდი ბრიტანეთისათვის დაეთმო. მუდროსის ზავით, ინგლისელებმა ბათუმის დაკავების, მისი ოკუპაციის უფლება მოიპოვეს, აქ საგენერალგუბერნატორო ჩამოაყალიბეს და ისე იქცეოდნენ, „როგორც მბრძანებელი და ბატონი“.[15]

ქართველ პოლიტიკოსთათვის მიუღებელი იყო აგრეთვე ინგლისელ გენერალთა დამოკიდებულება ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ანუ ყარსის რესპუბლიკისა და მისი მეთაურის სერვერ ბეგ ათაბაგის მიმართ. ბრიტანელი სამხედროები ვარაუდობდნენ, რომ ამ პოლიტიკური წარმონაქმნის შემადგენლობაში მოექცეოდნენ ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები.[16] ნოე ჟორდანიას სიტყვით, „სამუსულმანო საქართველო გახდა ინგლისელთა საინტრიგო ასპარეზი“.[17]

ოფიციალურად მოკავშირეთა არმიის სარდლობის პოზიცია ამ მხარეში ნეიტრალური იყო, მაგრამ მათი ზოგჯერ საქმეში ჩაურევლობა და ზოგჯერ ზედმეტად ჩარევა, ქართული სახელმწიფოს საზიანოდ მოქმედებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის მარტივი არ იყო ამგვარი პოლიტიკის მიმდევარ სამხედროებთან ურთიერთობა. ინგლისელი გენერლები, მართალია, თანამშრომლობდნენ

---

15 ე. მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1918-1921 წწ. სადოქტორო დისერტაცია (ავტორეფერატი). თბ. 2004, გვ. 17-19.

16 ა. ბენდიანაშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ). თბ. 2001, გვ. 298.

17 ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. თბ. 1990, გვ. 99.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან, მაგრამ არ ცნობდნენ ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტს, გაურბოდნენ ჩვენს ქვეყანასთან ეკონომიკურ კონტაქტებსა და სხვ. აქედან გამომდინარე მათ არაფერი გაუკეთებიათ საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცება-გაძლიერებისათვის. პირიქით, მოკავშირეთა სარდლობამ ხელი შეუშალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, როცა შეაჩერა ქართული ჯარისა და გვარდიის წარმატებული საბრძოლო მოქმედებები სომხეთისა თუ სერვერ ბეგ ათაბაგის წინააღმდეგ. ამერიკაში მოღვაწე ისტორიკოსი სტივენ ჯოუნსი შენიშნავს, რომ ბრიტანელმა სამხედრო ნაწილებმა კავკასიაში 1918-1920 წლებში შეასრულეს მშვიდობის დამცველის როლი, მაგრამ ეს იყო შემთხვევითი და არ გამიზნული პოლიტიკა.[18]

ცნობილი სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების წევრი რაჟდენ არსენიძე საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნიდან ჯერ კიდევ 1919 წლის 10 მაისს მიუთითებდა: „მთელი პოლიტიკა ინგლისელებისა არის არა პოლიტიკა ხელშეკრულებისა და იურიდიული ფორმალობისა, არამედ უბრალო პოლიტიკა ფაქტიური მდგომარეობის შექმნისა... თუ გერმანიის შემოსვლის დროს ჩვენ შეგველლო დაგვედო რაიმე ხელშეკრულება, ერთგვარი პირობები, რომლებიც მეთოდური სისწორით, რაინდულად უნდა შეესრულებინა ერთსა და მეორე მხარეს, ამით თქმა შეუძლებელია ინგლისის მიმართ“.[19]

ინგლისისა და ზოგადად მოკავშირეთათვის იმხანად უმთავრესი ამოცანა ბოლშევიზმთან ბრძოლა, მისი დამარცხება იყო. ისინი წინა პლანზე სწორედ ამ საკითხს აყენებდნენ და შესაბამისად, იმ ძალებს თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ, ვინც რუსეთის საბჭოთა რეჟიმს იარაღით ხელში უპირისპირდებოდა. ბრიტანელთა კავკასიაში გამოჩენის პერიოდში ყველაზე ძლიერი ასეთი ძალა დენიკინის თეთრგვარდი-

[18] ს. ჯოუნსი. საქართველოს დამოუკიდებლობის საერთო პრობლემები წარსულში და დღეს. ქართული დიპლომატია (წელიწდეული). ტ. II. თბ. 1995, გვ. 54.

[19] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 10 მაისის სხდომა, გვ. 26.

ული მოხალისეთა არმია იყო. ინგლისის მთავრობაც ყველაფერს აკეთებდა ამ არმიის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა თუ საბრძოლო სულისკვეთების განსამტკიცებლად... ლოიდ ჯორჯს იმედი ჰქონდა, რომ დენიკინი შეძლებდა ბოლშევიკთა ძლევას, ამიტომ მოხალისეთა არმიის დასაფინანსებლად სახსრებს არ იშურებდა და ამ ფაქტს არც მალავდა.[20]

ენზელში შეხვედრისას გენერალი ტომსონი ცდილობდა დაერწმუნებინა მოხალისეთა არმიის სარდლობა, რომ ის, და მისი სახით ინგლისის მთავრობა, მხარს უჭერენ რუსეთის აღდგენას 1914 წლის საზღვრებში და არ ცნობს ახლად წარმოშობილ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს სამხრეთ კავკასიაში.[21]

დენიკინისა და საქართველოს პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. რუსეთისაგან გამოყოფილი საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ ცხოვრებას ესწრაფოდა, მონარქისტი გენერალი კი რუსეთის იმპერიული მთლიანობის აღდგენას უმიზნებდა და ცდილობდა საქართველო კვლავ ამ იმპერიის ფარგლებში მოექცია. დენიკინი ვერ ურიგდებოდა სუვერენული ქართული სახელმწიფოს არსებობას, ეწეოდა მის დისკრედიტაციას ანტანტის ქვეყნების, უპირველესად კი ინგლისელების თვალში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ხლართავდა ათასგვარი ინტრიგის ქსელს, ხელს უწყობდა ურთიერთობის დაძაბვას საქართველოსა და ინგლისის სამხედრო წარმომადგენლობას შორის. თეთრგვარდიელი გენერალი და მისი აგენტები ევროპაში ავრცელებდნენ ცილისმწამებლურ მასალებს საქართველოს შესახებ, არწმუნებდნენ მოკავშირე სახელმწიფოებს, რომ საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმი ბატონობს, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს არ შეუძლიათ სახელმწიფო მოაწყონ, ვერავითარი უნარი, ვერავითარი ნიჭი ვერ გამოიჩინეს ადმინისტრაციული აპარატის შექმნაში, მთელ დროს ერთმანეთის მტრობას ანდომებენ და სხვ.[22]

---

20 http://www.elibrary.az/docs/yusfzd.pdf

21 С. З. Юсиф-заде. Азербайджано-британские отношения в начале XX века, გვ. 21.

22 საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919

ერთ-ერთ წერილში დენიკინის წარმომადგენელი ბრიტანეთის ხელისუფლებას იმაშიც არწმუნებდა, რომ საქართველოსთვის მხარდაჭერა ზიანს მოუტანდა ინგლისის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. იგი აღნიშნავდა: „ინგლისელებმა უნდა შეიგნონ, რომ საქართველოში დამყარებული სოციალისტური რეჟიმი ძალზე ახლოს დგას თავისი არსით ბოლშევიკურთან. მისი ევოლუცია ბოლშევიზმის მხარეს ადრე თუ გვიან ამა თუ იმ ფორმით გარდუვალია. შესაბამისად, გაიზრდება საფრთხე ბოლშევიზმის გავრცელებისა ირანში, ინდოეთში და მთელ აღმოსავლეთში. ერთადერთი ძალა, რომელსაც ძალუძს ამისათვის ხელის შეშლა, არის მოხალისეთა არმია, რომელიც აღადგენს წესრიგს და რუსულ სახელმწიფოს“.[23]

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სხვადსხვა საშუალებით ცდილობდა გაეფანტა ეს ხმები. თავის მემორანდუმებში ქართული მხარე აღწერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ისტორიას, განმარტავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების დემოკრატიულ ხასიათს, რომ საქართველომ შეძლო მოეწვია დამფუძნებელი კრება, შექმნა შეიარაღებული ძალები, სასამართლო, ცხოვრებაში გაატარა დიდი აგრარული რეფორმა, დემოკრატიულად გადაიჭრა მუშათა საკითხი და სხვ. მაგრამ მისი ეს ძალისხმევა საკმარისი არ იყო. დიდი შედეგი ამ მხრივ არც კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებთან თუ ამ მიმდინარეობის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ფართო კონტაქტებს მოჰქონდა. მათ II ინტერნაციონალსაც შეატყობინეს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, მისი რევოლუციური მონაპოვარი საფრთხის წინაშეა. მას წალეკვით ემუქრება დენიკინის მოხალისეთა არმია, რომელსაც მფარველობენ მოკავშირეები. ინგლისი და საფრანგეთი თითქოს ებრძვიან ბოლშევიკურ ანარქიას, მაგრამ სინამდვილეში „მხარს უჭერენ ცარიზმის უბადრუკ მსახურებს

წლის 10 მაისის სხდომა, გვ. 10.

[23] ნ. თევზაძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს საგარეო პოლიტიკა 1918-1921 წლებში, გვ. 85.

თავიანთ ხარბ მისწრაფებაში – ყოფილი იმპერიის საზღვრისპირა ქვეყნების დამონებაში“.[24] ინტერნაციონალის ლიდერებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს ქართველ ხალხს, მაგრამ მათ არ შეეძლოთ გადამჭრელი გავლენა მოეხდინათ ანტანტის სახელმწიფოთა მესვეურებზე.

საქართველოს ხელისუფლებამ სხვა ღონისძიებებსაც მიმართა. დამფუძნებელმა კრებამ საგარეო საქმეთა სამინისტროს 3 მილიონი მანეთი გამოუყო ევროპაში სპეციალურად უცხოენოვანი ჟურნალ-გაზეთების გამოცემისათვის.[25] პრესის ამ ორგანოებს საქართველოს შესახებ დასავლეთში გავრცელებული ყალბი ცნობების უარყოფა და ევროპის საზოგადოებრივი აზრის საქართველოს სასარგებლოდ განწყობა უნდა უზრუნველეყო.

საქართველოში მყოფ ინგლისის სამხედრო მისიის ხელმძღვანელობას უკეთ შეეძლო გაეფანტა ეჭვები საქართველოს ირგვლივ, მიეწოდებინა თავისი მთავრობისათვის სწორი, სინამდვილის ამსახველი ინფორმაცია, მაგრამ ამას შეგნებულად თავს არიდებდა.

მოკავშირეთა სარდლობის ალიანსი დენიკინთან აშკარა და დაუფარავი იყო. რადგან ბრიტანეთის ფინანსებით თუ სამხედრო აღჭურვილობით უზრუნველყოფილი გენერალი დენიკინი საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს უბოდიშოდ ლახავდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თეთრგვარდიელთა მოკავშირე ინგლისს თავის კეთილისმყოფად ვერ მიიჩნევდა. ნოე ჟორდანია იგონებდა, რომ ყველა მეზობელს და უცხო მისიებს ვეწყობოდით, ვერაფერი მოვუხერხეთ ინგლისელებს და თეთრ რუსებს, რომლებიც „ერთად ხნავდნენ“. იძულებული ვხდებოდით ინგლისელებსაც დავპირისპირებოდით, მათთან ბრძოლა ორი მხრით და ორი მეთოდით გვიწევდაო – დიპლომატიუ-

24 ი. ტაბაღუა. მოხალისთა არმია გენერალ დენიკინის მეთაურობით საქართველოს წინააღმდეგ. კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“. ტ. IV-V. თბ. 1999, გვ. 44; ასევე, ნ. ჯიქია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (1918 წ. 26 მაისი) და მისი პირველი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები. საკანდიდატო დისერტაცია. (ხელნაწერი). თბ. 2001, გვ. 87.

25 საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 23 ნოემბრის სხდომა, გვ. 10.

რად, ვერსალის კონფერენციაზე და აქტიურად – საქართველოში. „ეს მეორე ბრძოლა იყო მეტად სახიფათო, მეტად დასაფიქრებელი და სათუთი. ის უნდა გვეწარმოებინა ისე, რომ არ გადავვარდნილიყავით მეორე უკიდურესობაში, არ გადაგვემტერებია საბოლოოდ ინგლისის მთავრობა და იმავე დროს მიზანს მივეღწია“.[26]

ინგლისელებთან ურთიერთობა არა მხოლოდ პარიზის კონფერენციაზე, საქართველოშიც დახვეწილ დიპლომატიას მოითხოვდა. საქართველოს ახლგაზრდა რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რა თქმა უნდა, აკლდა ევროპული დიპლომატიის ნიუანსების ცოდნა. თავიანთი იდეური მრწამსიდან გამომდინარე, ქართველი სოციალ-დემოკრატები ეჭვითაც უყურებდნენ ამ „ბურჟუაზიულ დიპლომატიას“ და აცხადებდნენ, რომ დემოკრატიისათვის თვალთმაქცობის, ინტრიგების ორმაგი პოლიტიკის პრინციპები უცხოა და მიუღებელი. ქართული სახელმწიფოს მესვეურების – ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორის, აკაკი ჩხენკელისა და თუ სხვათა სიტყვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატია დამყარებულია მხოლოდ სიმართლეზე, არის გულწრფელი, ღია და პირდაპირი. ისტორია ცხადყოფს, რომ ზნეობრივ-მორალური თვალსაზრისით უნაკლო ეს „პატიოსანი დიპლომატია“ სახელმწიფოებრივი საზომით ყოველთვის შედეგიანი არ იყო.

მაგალითად, როდესაც მოკავშირეთა კავკასიური არმიის სარდლობამ გენერალ დენიკინსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით, 1918 წლის ბოლოს მოხალისეთა არმიას სოჭში შესვლა აუკრძალა და პრობლემის უსისხლოდ განმუხტვის მეტნაკლებად რეალური შესაძლებლობა გამოიკვეთა, საქართველოს პარლამენტმა ბრიტანელთა სამხედრო მისიას მადლობა გამოუცხადა.[27]

ეს სწორი დიპლომატიური სვლა ქართველმა პოლიტიკოსებმა ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე, გულწრფელად მოიმოქმედეს და ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ არც ინგლისელები გატეხდნენ

---

[26] ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული, გვ. 99. 109.

[27] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 17 აპრილის სხდომა, გვ. 32.

სიტყვას, დენიკინს სოჭში შესვლის უფლებას ნამდვილად არ მისცემდნენ. სინამდვილეში, მოხდა პირიქით.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. აქ კიდევ ერთ ფაქტს დავიმოწმებთ. მუდროსის ზავის შესაბამისად, 1919 წლის დამდეგს ოსმალეთის ჯარებმა დატოვეს მათ მიერ ოკუპირებული სამცხე-ჯავახეთი. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ამ კუთხეზე აღადგინა თავისი სუვერენული უფლებები. მაგრამ თებერვალში, როცა ახალციხის მაზრაში მდგარი ქართული სამხედრო კონტიგენტი დემობილიზაციის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა, ოსმალთა წაქეზებით, პანისლამისტებმა აჯანყება წამოიწყეს. ხელთ იგდეს ახალციხე, ფოცხოვი და ზოგიერთი სხვა დასახლებული პუნქტი. ქართული ადმინისტრაცია მოშალეს, ხალხი გაძარცვეს და დაარბიეს. ამ ამბების მოთავე სერვერ ბეგმა სამცხე-ჯავახეთი სამხრეთ-დასვლეთ კავკასიის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა.[28]

მოკავშირეთა კავკასიური არმიის სარდლობამ საქართველოს დემოკრატიული რესბუბლიკის მთავრობას თანხმობა მისცა, რეგიონში წესრიგის აღდგენისა და ვითარების სტაბილიზაციის მიზნით ჯარი ფოცხოვ-არტაანშიც შეეყვანა. ქართულმა ნაწილებმა გენერალ გიორგი კვინიტაძის წინამძღოლობით ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ მაზრაში საქართველოს სრული იურისდიქცია აღადგინეს. ქართული ჯარი ისტორიულ ტაოში დაბანაკდა.

ინგლისელმა სამხედროებმა თავიანთი სიტყვა დაივიწყეს და საქართველოს ხელისუფლებას რეგიონიდან ჯარის უკანვე გამოყვანა მოსთხოვეს, რისი განხორციელებაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ახალ საფრთხეს შეუქმნიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა ამ შემთხვევაში მეტი პრინციპულობა გამოიჩინეს, ბრიტანელთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს და არტაანის მხარე ბოლომდე რესპუბლიკის ფარგლებში შეინარჩუნეს.[29]

[28] ა. ბენდიანაშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ), გვ. 299.

[29] ნ. მირიანაშვილი. საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან. 1918-1938 წლებში. საკანდიდატო დისერტაცია

ინგლისის სამხედრო წარმომადგენლობის არათანმიმდევრობა და საქართველოს ღირსების შემლახველი მოქმედება აღიზიანებდა ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, იწვევდა ქართულ საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილებას. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1919-1920 წწ. გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში ამ უკმაყოფილების ამსახველი მრავალი მასალაა შემორჩენილი.

გაზეთ „სახალხო საქმის“ 1919 წლის 7 მაისის ნომერში აღნიშნულია: „ჩვენთვის რამდენადმე გარკვეული იყო ინგლისის პოლიტიკა ევროპაში, მაგრამ დღემდე ვერაფერი გავიგეთ ინგლისის პოლიტიკისა ჩვენში... უბედურება ის არის, რომ ჩვენ აქამდე დანამდვილებით არ ვიცით, რანაირი განზრახვა აქვთ მოკავშირეებს ამიერკავკასიაში. ინგლისელები მოვიდნენ აქ მდუმარედ და დღემდე მდუმარედ არიან. მათ სულ არაფერი უთქვამთ თავიანთი მიზნების შესახებ... ხალხმა უნდა იცოდეს, რაშია საქმე. ბოლოს და ბოლოს უნდა ისიც ვიცოდეთ, აქაური წარმომადგენლები მოქმედებენ ინგლისის ცენტრიდან მოწოდებულ დირექტივების მიხედვით, თუ ისინი აწარმოებენ ერთგვარ პირად პოლიტიკას? ჩვენ აქ ეჭვი გვებადება, რადგან ჩვენი დელეგაციისაგან რამდენიმე ცნობა მივიღეთ ისეთი, რაც ინგლისის აქაური წარმომადგენლების გეზს თითქოს არ ეთანხმება... ყველაფერს ამას დამაკმაყოფილებელი პასუხი უნდა გასცეს მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ“.[30]

ცნობილი ქართველი ეროვნული მოღვაწე ქრისტეფორე რაჭველიშვილი ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში წერდა: „ინგლისის სარდლობის ზოგიერთმა წევრმა იმდენად დასცა პრესტიჟი თავის ქვეყნისა, იმდენად გაუტეხა სახელი, რომ მათგან გაკვირვებული არიან ის ადამიანებიც, რომლებიც შორით ეტრფოდნენ და ცის მანანასავით მოეკიდნენ მათს მობრძანებას...

ცუდ სამსახურს უწევენ თავის თავს, თავის სახელმწიფოს და მის სახელს ინგლისელი გენერლები. დროა ამას შესაფერისი ანგარიში გაუწიოს ჩვენმა მთავრობამ და შესაფერისი სიმტკიცით დაიცვას ჩვენი

(ხელნაწერი). თბ. 2001, გვ. 36.

[30] გაზ. „სახალხო საქმე“. 1919 წ. 7 მაისი.

სუვერენობა. დროა გამოირკვეს, ვისთან გვაქვს საქმე; არის ეს პოლიტიკა ინგლისისა, თუ ადგილობრივ მისი აგენტებისა. ცუდ კომედიას თამაშობენ გენერლები... ეს კომედია იწერება არა იუმორისტის კალმით, არამედ საქართველოს და ამიერკავკასიის ერების ოფლით და სისხლით“.[31]

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თვალსაჩინო წევრის, გრიგოლ გველესიანის თანაპარტიელთა შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვითაც, „დიდი ბრიტანეთის აქაურ წარმომადგენელთა პოლიტიკა ეს მთელი წყებაა ერთი მეორის საწინააღმდეგო ნაბიჯებისა. ეს რაღაც უსისტემო, მიზანშეუწონელი აქტებია განსაზღვრულ გეგმას მოკლებული“.[32]

გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ მოწინავეში „ჩვენ და ინგლისი“, ვკითხულობთ: „ინგლისის აქ ყოფნა გადაიქცა მუდმივ ომიანობისა და ანარქიის გამეფების ხანად. ანარქია მოდის ყველა იმ ადგილიდან, რომელიც ინგლისის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება“.[33]

ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული: „ინგლისი გვემუქრება“, „გენერლების პოლიტიკა“, „კიდევ გენერლებზე“, „პასუხი ინგლისს“ და ა.შ. ეს და ბევრი მსგავსი მასალა გამოქვეყნებულია არა მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის ოპოზიციურ პრესაში, არამედ თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის პერიოდულ გამოცემებში. კარგად ჩანს, რომ ინგლის-საქართველოს რთული ურთიერთობის შეფასებაში ქართველი პოლიტიკოსები საერთო პოზიციაზე იდგნენ.

ქართველი ხალხის თავდაპირველი ლოიალური, ფრთხილი და იმედიანი განწყობილება ინგლისის მიმართ, ბრიტანელ სამხედროთა არაადექვატურმა ქცევამ თანდათან უარყოფითად შეცვალა. საზოგადოების ცალკეულმა წარმომადგენლებმა, მათ შორის დამფუძნებელი კრების დეპუტატებმა, სიტყვით თუ კალმით ხმა აღიმაღლეს მოკავშირეთა კავკასიური სარდლობის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ.

„ჩვენ აფრიკის ველურები არა ვართ, რომ შიშვლებს ტანისამოსი

[31] გაზ. „სახალხო საქმე“. 1919 წ. 13 მაისი.
[32] გაზ. „სახალხო საქმე“. 1919 წ., 13 მაისი.
[33] გაზ. „ერთობა“. 1919 წ., 9 თებერვალი.

ჩაგვაცვან და სხვადსხვა ფასი დააწესონ თავიანთი სიცოცხლისა და ჩვენ, უბრალო მოკვდავთათვის. ეს უნდა ვაგრძნობინოთ ყველას და ისიც უნდა გავაგებინოთ, რომ თავისუფალი საქართველო ვერავის საჯირითო მოედნად ვერ გახდება და რევოლუციონურ მონაპოვარს ფეხით არავის გაათელვინებს", – ხაზგასმულია ფედერალისტური „სახალხო საქმის" სარედაქციო წერილში.[34]

„ინგლისის ფართო მასამ არ იცის, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებენ საქართველოში ინგლისის გენერლები, თორემ ყოვლად შეუძლებელია, რომ მან არ დაგმოს ინგლისის სარდლობის პოლიტიკა ჩვენში. წარმოუდგენელია, რომ ინგლისის დემოკრატიამ საქართველოში თავისუფლების განმტკიცებას რეაქციის გაბატონება ამჯობინოს", – აცხადებდა დამფუძნებელი კრების წევრი, ესერი იოსებ გობეჩია.[35]

როდესაც საქართველოს მოხალისეთა არმიის შემოჭრის საფრთხე დაემუქრა, სპირიდონ კედია დამფუძნებელი კრების დეპუტატებს მიმართავდა: თქვენ იცით, რომ დენიკინი ფულსა და იარაღს ინგლისის სარდლობისაგან ღებულობს. თეთრგვარდიელი გენერალი ახლა საქართველოზე ილაშქრებს. „მე მწამს, რომ ლოიდ ჯორჯის მაღალი შუბლი და მისი მსოფლიო პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია. ის ამ სათაკილო საქმეში არ ურევია. ჩვენის რწმენით, არც ლონდონის კაბინეტის, არც პარიზის კაბინეტის და არც, მით უმეტეს, მსოფლიო მოქალაქის ვილსონის პოლიტიკა ინტრიგებს და ომს არ დაუწყებს პატარა საქართველოს, იმისთვის, რომ მან თავისი დამოუკიდებლობა დაიბრუნა და დღეს ამ დამოუკიდებლობას მედგრად და ხარბად იცავს. ლოიდ ჯორჯის კაბინეტის სასახელოდ, ისე, როგორც მთელი ინგლისისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი ეს აქ ითითხნება, რომ ყოველივე ეს ადგილობრივი სარდლობის საქმეა. ადგილობრივი სარდლობა, მსხვერპლი გაუგებრობის და ინსინუაციების, ხელს უწყობს დენიკინს ავაზაკურ მისწრაფებაში" და სხვ.[36]

---

[34] გაზ.: „სახალხო საქმე". 1919 წ. 7 მაისი.

[35] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 17 ივნისის სხდომა, გვ. 36.

[36] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წ. 1 ივნისის სხდომა, გვ. 15-16.

აღსანიშნავია, რომ უკმაყოფილების ტალღა თანდათან ინგლისის მთავრობისაკენ მიიმართა. 1919 წლის ივნისში მოკავშირეთა გადაწყვეტილებით საქართველო-აზერბაიჯანსა და მოხალისეთა არმიას შორის დაწესებულ იქნა სადემარკაციო ხაზი. ამ ფაქტს ერთ-ერთი ქართული გაზეთი ასე გამოეხმაურა: „ჩვენ მთავრობას გენერალ კორისაგან მოუვიდა წერილი, საცა ნათქვამია, რომ ბრიტანეთის მთავრობამ გამიჯნა დენიკინი და ამიერკავკასიის რესპუბლიკები... ვინ მიანდო ლონდონის მთავრობას ასეთი საკითხების გადაწყვეტა? ისეთი საკითხები, რომელნიც ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება ჩვენს უკითხავად, ჩვენს გარეშე არ უნდა სწყდებოდეს სხვაგან, სხვათა მიერ, თუნდაც ეს სხვა ლონდონის მთავრობა იყოს... ჩვენ ვიცით, რომ ასეთ საკითხებს წყვეტს საზავო კონფერენცია და არა სეპარატულად რომელიმე სახელმწიფოს მთავრობა... ჩვენი საზღვრების საკითხი მხოლოდ და მარტოოდენ საქართველოს კითხულია და სხვა არავისი. ყოველივე სხვა ნაბიჯი უნდა დაფასებულ იქნეს, როგორც დარღვევა, ჩვენი სუვერენობისა“.[37]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ვერ დარჩებოდა პასიური მაყურებლის როლში, როდესაც ჩვენში მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად წარმოგზავნილი ინგლისის სამხედრო წარმომადგენლობა აბუჩად იგდებდა ქართული სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს.

1919 წლის 9 და 10 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ სპეციალურად იმსჯელა საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და უმთავრესი ყურადღება სწორედ ინგლისთან ურთიერთობის პრობლემას დაუთმო.

მთავრობის სახელით მოხსენებით გამოსულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა აღნიშნა: „7 თვეა, რაც მოკავშირეთა ძალების შემოსვლა ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში გახდა რეალურ ფაქტად ჩვენი პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ეხლანდელი დრო, როდესაც ყოველი დღე წლებს უდრის, 7 თვე ხალხის ცხოვრებაში ეს მთელი ხანაა. ამიტომაც ჩვენ სამართლიანად ვრაცხთ იმ გუ-

[37] გაზ.: „სახალხო საქმე“. 1919 წ. 27 ივნისი.

ლისწყრომას, რომელიც ჩვენმა პრესამ, პოლიტიკურმა წრეებმა, ჩვენმა საზოგადოებამ გამოსთქვა იმის გამო, რომ დღემდის არ არის გამორკვეული ჩვენი ურთიერთობა და ჩვენ დღემდის ნათლად არ გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა ასულდგმულებს მოკავშირეთა ადგილობრივ პოლიტიკას. რა სარჩული უდევს მას და რა არის იმათი მიზნები...

თავიდანვე ჩვენს შორის დადებული იყო ხელშეკრულება, ხელმოწერილი ინგლისის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ, სადაც არის ნათქვამი, რომ მოკავშირეთა წარმომადგენელნი ჩვენ შინაურ საქმეში არ ჩაერევიან, ჩვენ თავისუფლებას არ შებღალავენ... საქართველოს მთავრობამ ხალხის სახელით პირველ შეხვედრისთანავე გამოუცხადა მოკავშირეთა წარმომადგენელს, რომ მას სურს კეთილსინდისიერი მოკავშირეობა მათთან, რომ ის მზად არის შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს მათ აქ მუშაობას... საქართველოს მთავრობამ თავის დაპირება პირნათლად შეასრულა... ვერ დაგვისახელებენ ვერც ერთ შემთხვევას, ვერც ერთ მომენტს, რომ ჩვენ გვეღალატოს ჩვენს მიერ არჩეულ ლოიალობის გზისთვის. სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი ცდისა, ჩვენ დღესაც არა გვაქვს სასურველი დამოკიდებულება მოკავშირეებთან...

ჩვენ გვესმის ჩვენი მოვალეობა, ის მოვალეობა, რომელიც იკისრა საქართველოს მთავრობამ მოკავშირეთა წინაშე, ამ მოვალეობას შევასრულებთ, მაგრამ იმავე დროს, ჩვენ გვესმის ჩვენი უფლების პატივისცემა“.[38]

სოციალ-დემოკრატმა გრიგოლ გიორგაძემ ყურადღება ინგლისთან საქართველოს ურთიერთობის საერთო საფუძველზე გაამახვილა და ასეთად საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით ინგლისის დაინტერესების გარდა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა მიიჩნია. თქვა, რომ ჩვენ გვსურს კავშირი ყველა იმ კულტურულ ერთან, ვინც არ გაურბის ასეთ კავშირს. მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ კავშირი ამა თუ იმ ხალხთან არ შეიძლება იყოს აგებული მარტო პლატონურ სა-

[38] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 9 მაისის სხდომა, გვ. 33-37.

ფუძველზე. ამ კავშირს უნდა ჰქონდეს რაიმე რეალური ინტერესები.[39]

ესერთა პარტიის წარმომადგენელმა იოსებ გობეჩიამ ინგლისელთა მოქმედებას გაგრა-სოჭთან და ფოცხოვთან პროვოკაცია უწოდა. განაცხადა: „ინგლისის სარდლობას უნდა შევაგნებინოთ, რომ ჩვენ ვერც ერთ მათ სიტყვას ვერ დავუჯერებთ და პატივისცემით ვერ მოვეპყრობით, თუ ის თავის დაპირებებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაარღვევს და თავის ოფიციალურ განცხადებას, რომ ის ჩვენ შინაურ საქმეებში არ ჩაერევა, თვითონვე უარყოფს“.[40]

სპირიდონ კედიამ მიმოიხილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების საწინააღმდეგოდ გადადგმული ინგლისის სამხედრო მისიის თითქმის ყველა ნაბიჯი და მკაცრი შეფასება მისცა მათ. აღნიშნა: „საქართველოში შემოსულმა მოკავშირემ რომ ქართველი ხალხის ეროვნული უფლების შეგნება და სუვერენობა შელახა, ეს ცხადია... მთელი რიგი მოქმედებით ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში მოკავშირეთა წარმომადგენლობამ მოგვცა აუარებელი საბუთი, რომ ის არ სცემს თავის სიტყვას პასუხს და სტეხს მას ძალიან ხშირადაც... მოკავშირეთა პირველი შემოსვლა საქართველოში იმით აღინიშნა, რომ საქართველო იძულებული გახდა, ხელი მოეწრა ისეთ ხელშეკრულებაზე სომხეთთან ომის დამთავრებისას, რომელიც მიუღებელია ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. ეს ფაქტი, რომელიც მოხდა მაშინ ინგლისის ჩარევით და ძალდატანებით, – რასაკვირველია, საქართველოს მთლიანობისა და მისი სუვერენობის შემკვეცელი ფაქტია. მეორე ფაქტი... შმაგაილოვისა და კომპანიის (1918 წლის ნოემბერში ძეგვის ხიდის ამფეთქებლები ინგლისის წარმომადგენლობამ თავის აგენტებად გამოაცხადა და მათი ციხიდან განთავისუფლება მოითხოვა – ო.ჯ., გ.მ.) აგრეთვე იმას გვიმტკიცებს, რომ შემოსული ინგლისის წარმომადგენლობა პატივს არ სცემს დამოუკიდებელ ქვეყანას და მის სასამართლოს...

---

[39] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 10 მაისის სხდომა, გვ. 12.

[40] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 10 მაისის სხდომა, გვ. 25.

ინგლისის მისიის თანხმობით და ნებართვით შევედით არტაანში – განაგრძო ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერმა – აუარებელი მსხვერპლი გავიღეთ და დღეს იგივე მისია გვეუბნება – ეს მხარე უნდა დასტოვოთო. აქ არის სხვისი მსხვერპლის აბუჩად აგდება, სხვისი ინტერესისა და თავმოყვარეობის გათელვა, რასაც მოურიდებლად ჩადის ინგლისის მისია... ინგლისის მისიის ნაბიჯები და მოქმედებანი კანონიერად აჯანყებს და ამხედრებს მთელ ქართველ ხალხს... აქ მოსული ინგლისის წარმომადგენლობა მაინც და მაინც ჩვენ მეგობრულად არ გვეპყრობა და იქცევა ისე, როგორც ეს არ შეშვენის ვითომდა წესიერების დასაცავად მოსულ სახელმწიფოს...“.[41]

უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ერთხმად დაუჭირა მხარი აღმასრულებელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსს. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „დამფუძნებელი კრება სავსებით იზიარებს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საქართველოს სუვერენული უფლებების და მისი არსებითი, სასიცოცხლო ინტერესების დაცვისაკენ...

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ეს ინტერესები ჩვენი რესპუბლიკის არ ეწინააღმდეგება ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო ომის შემდეგ შემოსულ ”შეთანხმების სახელმწიფოთა, და უპირველეს ყოვლისა ინგლისის არსებით ინტერესებს. იგი დაიმედებულია, რომ ამ ნიადაგზე შესაძლებელია განხორციელება ჩვენი ახალაღორძინებული დემოკრატიის თანამშრომლობისა მსოფლიოს უძველეს დემოკრატიულ სახელმწიფოებთან.

დამფუძნებელ კრებას სწამს, რომ ჩვენი მთავრობის ზრუნვა ამ მხრივ მიმართული, შეხვდება სრულ თანაგრძნობას აქ ჩამოსულ უცხო ძალის მხრივ, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდება იმაში, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას... სურს და შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა და რომ მხოლოდ ამ პრინციპის ცნობით შეიძლება საქართველოს დემოკრატიის მეგობრული განწყობილების მოპოვება. დამ-

[41] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 10 მაისის სხდომა, გვ. 20-21.

ფუძნებელი კრება მთელი ერის სახელით აღიარებს, რომ ქართველი ხალხი მთელი თავისი ძალ-ღონით დაუჭერს მხარს მთავრობას რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვაში, რომლის უფლებები საქართველოს დემოკრატიის ბრძოლით და სისხლით არის მოპოვებული“.[42]

ამრიგად, დამფუძნებელმა კრებამ კიდევ ერთხელ საქვეყნოდ აჩვენა: საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული რეალური საფრთხის ჟამს ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს უნარი შესწევთ, პარტიული ინტერესები სახელმწიფოებრივს დაუქვემდებარონ, სიტყვით თუ საქმით მხარში დაუდუდგნენ ხელისუფლებას და განამტკიცონ მისი პოზიცია.

ისე მოხდა რომ, ზუსტად იმ დღეს, 1919 წლის 10 მაისს, როდესაც დამფუძნებელ კრებას ზემოაღნიშნული რეზოლუცია გამოჰქონდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას კავკასიაში ბრიტანეთის არმიის სარდლის, გენერალ ტომსონისაგან მიუვიდა შეტყობინება: ინგლისელები რეგიონს ტოვებენ და მათ ადგილს აქ იტალიელები დაიკავებენო.[43] ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს ორი მოვლენა შემთხვევით არ დაემთხვა ერთმანეთს, რომ ინგლისელთა გადაწყვეტილება თითქოს ქართველ პოლიტიკოსთა ერთსულოვნებას განეპირობებინოს. მაგრამ ეს ასე არ არის. დოკუმენტური მასალით ირკვევა, რომ ინგლისის მთავრობამ თავისი ამ განზრახვის შესახებ პარიზის სამშვიდობო კონფერენციას ჯერ კიდევ 1919 წლის მარტში აცნობა. ხოლო აპრილის დამდეგს გაირკვა, რომ კავკასიაში ინგლისელთა სანაცვლოდ იტალიის სამხრეთ ნაწილები გამოიგზავნებოდნენ.[44]

კავკასიიდან ჯარების ევაკუაცია ბრიტანეთის მთავრობამ და პარლამენტმა ხანგრძლივი დებატების შემდეგ, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფაქტორთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე გადაწყვიტეს და საქართველოს ხელისუფლების პოზიცია აქ არაფერ შუა-

[42] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 10 მაისის სხდომა, გვ. 28.
[43] საისტორიო მოამბე. 1953. №7, გვ. 69.
[44] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1919-1921 წწ., გვ. 59.

შია. საქართველოს მთავრობა, მსგავსად სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობისა, მომხრე იყო, დროებით, ვიდრე პარიზის კონფერენცია ამ რესპუბლიკების საკითხს საბოლოოდ გაარკვევდა, ინგლისელები დარჩენილიყვნენ კავკასიაში. ამის თაობაზე სამხრეთ კავკასია სახელმწიფოთა მესვეურებმა ბრიტანეთის სამხედრო მისიას წერილობითაც მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. აი, რას წერდა ამ ფაქტის გამო იმ დროინდელი ქართული პრესა:

„ინგლისელებისადმი მიმართვას აქვს არა სამხედრო ან პოლიტიკური ინტერვენციის აზრი, არამედ წმინდა დიპლომატიური ხასიათი... ინგლისის წასვლა ნიშნავს ამ ცოცხალი მეთვალყურის, ევროპული მოწმის აქედან წასვლას. აი, ჩვენ სწორედ ევროპული მოწმე გვჭირიან დღეს, რათა ევროპის დიპლომატია საკუთარის გზით და ცნობებით დარწმუნდეს საქართველოს სიცოცხლის და ბრძოლის სამართლიანობაში“.[45]

კავკასიაში თავისი კურსის რადიკალურ ცვლილებასთან დაკავშირებით, ინგლისის მთავრობამ გააძლიერა პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოში. აქ გამოიგზავნა მისია ცნობილი ქართველოლოგის, დიპლომატიური მოღვაწის ჯონ ოლივერ უორდროპის მეთაურობით. მკვლევარ რამაზ ცუხიშვილის სიტყვით, „უორდროპის ფაქტორი სჭირდებოდა ინგლისის დაცემულ პრესტიჟს საქართველოში და ამავე დროს ქართველების მიმქრალ იმედს“.[46]

ოლივერ უორდროპი საქართველოში მანამდეც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ ახალ ამპლუაში იგი განსაკუთრებული პატივისცემით იქნა მიღებული. 1919 წლის 29 სექტემბერს ინგლისის ოფიციალური წარმომადგენელი ესტუმრა საქართველოს დამფუძნებელ კრებასაც. დეპუტატები გულითადად მიესალმნენ საპატიო სტუმარს. სხდომის წამყვანმა, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ალექსანდრე ლომთათიძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა უორდროპს: „საქართველოს, მის ხალხს, დემოკრატიას სურს შეინარჩუნოს და განამტკიცოს დამოუკი-

[45] გაზ. „სახალხო საქმე“. 1919 წ. 9 აგვისტო.
[46] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1919-1921 წწ., გვ. 71.

დებლობა; მას უნდა თავისი ხალხის ბედი თვითვე გამოჭედოს და ის შეიყვანოს სწორ და ნამდვილ გზაზე. ეს არის გზა ევროპის ცივილი-ზაციის კულტურის ჩვენში გადმონერგვის და ჩვენი პატარა საქართვე-ლოს ხალხის ევროპის ხალხთა ოჯახში შეყვანისა – მას სურს ის კულტურა, რომელიც მიუღია საუკუნეთა განმავლობაში და დღემდე შეუნარჩუნებია განავითაროს, გააღვივოს და მით თავისი მცირე წვლი-ლი მიუძღვნას ევროპის დემოკრატიას.

ჩვენი სალამი დიდ ბრიტანეთს და მის წარმომადგენელს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, და ამის საბუთიც გვაქვს, რომ დიდი ბრიტანეთი დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით ეპყრობა ჩვენს დამოუკიდებლო-ბას და ის ფაქტი, რომ ჩვენ ბრიტანეთის წარმომადგენლად მოგვევლი-ნა თვით ბატონი უორდროპი, ბევრ რამეს გველაპარაკება. დიდ ბრიტა-ნეთს უნდა, რომ მთელ ამ აზიაში მდებარე პატარა საქართველო აყ-ვავდეს, განვითარდეს; მას დაეხმარება დიდი ბრიტანეთი და ჩვენ ვი-ცით, თუ რას ნიშნავს მისი დახმარება... საქართველო გადარჩება, რაც ევროპის დემოკრატიას ათქმევინებს, რომ იქ, აზიის კუნჭულში ყოფი-ლა ხალხი, რომელმაც არა თუ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, არამედ შეუდგა რევოლუციურ მონაპოვართა განმტკიცებას და ბევრი რამ განა-ხორციელა. ამის თავდებია ის, რომ მან ასეთი ანარქიის და ქაოსის დროს მოიწვია დამფუძნებელი კრება, რომელიც განაგრძობს მუშაობას და თუ ვინმემ მისი ხელის შეშლა მოინდომა ამას წინ აღუდგება დიდი ბრიტანეთი“.[47]

კავკასიიდან ჯარების გაყვანის შემდგომ საქართველომ ბრიტანე-თის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში ცხოველმყოფლობა დაკარგა. დე-ნიკინ-ვრანგელის მარცხმა წითელ არმიასთან, საქართველოს, როგორც ბოლშევიზმის საწინააღმდეგოდ ინგლისის ერთგვარი პლაცდარმის რო-ლიც მნიშვნელოვნად დააკნინა. მართალია, 1920 წ. ივლისამდე ინგლი-სელები რჩებოდნენ ბათუმის ოლქში, მაგრამ მას მერე, რაც აზერბაი-ჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა (ბაქო მოსკოვის გავლენის

[47] საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში. 1919 წლის 29 სექტემბრის სხდომა, გვ. 7-8.

ქვეშ მოექცა), ხოლო, მეორეს მხრივ, ბრიტანეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური დაახლოების პერსპექტივა თვალნათლივ გამოიკვეთა, ინგლისმა თავი მიანება ბათუმსაც და სამხედრო კონტიგენტი აქედანაც გაიწვია.

1920 წლის 4 ივლისს ბათუმი საქართველოს სრულ იურისდიქციაში გადავიდა. ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, ინგლისელთა მიერ ბათუმის დაცლა „დროებით დაჭერილის მეპატრონისათვის კუთვნილებისამებრ დაბრუნებას ნიშნავდა... ბათუმის ოლქის შემოერთება დიდ ზნეობრივ და პოლიტიკურ დაკმაყოფილებას აძლევდა საქართველოს. მაგრამ ამასთანავე ეს იყო, თუ გნებავთ, დანაელების საჩუქარი... საქართველო განცალკევებული დარჩა მიყრუებულ ჯვარედინზე, ევროპასა და აზიას შუა, უშუალო მეზობლად საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთისა. ეს ორი ფილაკვანი კი ემზადებოდა საფუძვლიანად ამოეგდოთ კავკასის შუა კედელი".[48]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების არც ერთ შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) საქართველოში ინგლისის ჯარების შემოსვლისა და ყოფნისათვის არ მიუცია არც სამართლებრივი კვალიფიკაცია და არც პოლიტიკური შეფასება. როგორც ჩანს, ამგვარ ფორმალურ მხარეს იმხანად დიდ ყურადღებას არც აქცევდნენ. პირველი რესპუბლიკის წლებში საქართველოს მიმდინარე თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრების ამსახველი სამეცნიერო ნაშრომი, სადაც ხსენებული პრობლემა ჩვენთვის საინტერესო კუთხით იქნებოდა გაშუქებული — არ შექმნილა.

საბჭოური ისტორიოგრაფია მოკავშირეთა არმიის სამხედრო ყოფნას ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაშიც, ინტერვენციას უწოდებდა. ამ შეხედულებას საფუძვლად პოლიტიკური და იდეოლოგიური მოტივები ედო, მაგრამ საბჭოთა ისტორიკოსები არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ 1918-1920 წლებში მოკავშირეთა მიმართება სხვა იყო რუსეთისადმი და სხვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი.

ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ რუსეთში კომუნისტური რეჟიმის დამხობისა და ძველი წესრიგის აღდგენის მიზნით, უცხოეთის სახელმწიფოებმა, მათ შორის ინგლის-საფრანგეთმაც, ამ ქვეყანაში მარ-

[48] ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ. 356.

თლაც გაგზავნეს მრავალრიცხოვანი არმიები და სამოქალაქო ომში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თეთრგვარდიელთა მხარეზე. ეს აშკარად ინტერვენცია იყო და ამის უარყოფა არ შეიძლება. რაც შეეხება საქართველოს, აქ მოკავშირეთა ჯარები ძალით არ შემოჭრილან. როგორც ზემოთ ვნახეთ, უინსტონ ჩერჩილი კავკასიაში მოკავშირეთა არმიის შემოყვანას „გერმანიასთან ომის მემკვიდრეობად" მიიჩნევდა. ამ ჯარის მიზანი იყო რეგიონიდან გერმანელებისა და თურქების გამოძევებაო".[49]

ჩვენი ქვეყნის ფარგლებში სამხედრო ნაწილების დისლოკაციისათვის მოკავშირეთა სარდლობას საქართველოს მთავრობის ფორმალური თანხმობაც გააჩნდა.[50] ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული არმიის კავკასიაში ყოფნის პერიოდში ინგლისი ოფიციალურად არ ცნობდა საქართველოს სუვერენიტეტს, მისი სამხედრო წარმომადგენლობა თანამშრომლობდა რესპუბლიკის ლეგიტიმურ მთავრობასთან. ბრიტანელებს არ უცდიათ ამ მთავრობის არც ძალადობრივი გზით ჩამოგდება და არც სხვა ფორმით შეცვლა.[51]

ვერ ვუარყოფთ ფაქტს, რომ ინგლისელმა გენერლებმა არაერთგზის შელახეს საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლება, მაგრამ მათ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში პრაქტიკული მონაწილეობა არ მიუღიათ. მოკავშირეთა ჯარების ყოფნა საქართველოში არსებითად არ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს. მეტიც, იგი შემაკავებელი ფაქტორიც კი იყო სხვადასხვა მხრიდან საქართველოსაკენ მომდინარე აგრესიისა, რის გამოც, საქართველოში მოკავშირეთა სამხედრო ყოფნის ინტერვენციად შეფასება ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება.[52] ამგვარი დასკვნის უტყუარ საფუძველს იძლევა 1918-1920 წლებში ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა თვალსაზრისი, რომელიც ყველაზე მკაფიოდ და ნათლად დამფუძნებელ კრების წინაშე მათ სიტყვებსა და გამოსვლებში აისახა.

---

[49] გაზ. «Борьба». 1919 წ. № 192.

[50] ა. სურგულაძე. საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, გვ. 617.

[51] ო. ჯანელიძე. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია. თბ. 2009, გვ. 138.

[52] რ. ცუხიშვილი. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1919-1921 წწ., გვ. 71.

***Otar Janelidze, Gocha Mamatsashvili***

# ALLIED ARMY IN THE CAUCASUS AND THE CONSTITUENT ASSEMBLY OF GEORGIA

Summary

The prezent article considers the presence of Allied Army in the Democratic Republic of Georgia in 1918-1920 and the attitude of the Georgian political spectrum towards the military command of Allied Army.

The article discusses that according to the decision made by Allied Supreme Council, mostly the British military units entered Georgia, they were under the command of the British army generals (G. T. Forestier-Walker, William Thomson and Corr).

The Social Democratic Party of Georgia which was the major political power of the Democratic Republic of Georgia did not meet with approval the entrance the of British Army into the country. But on the basis of the existing political situation, they could not make any resistance against them. The political position of the Georgian right and left opposition towards the current political situation was loyal as well. Unauthorized conduct of the British Army generals irritated the political spectrum of Georgia; it also caused discontent among the public opinion on current issues.

In general, there was negative attitude towards Allied Army in the Constituent Assembly of Georgia. The Constituent Assembly of Georgia was established on Murch 12, 1919 and it consisted of the Social Democratic Party (dominant party), Social-Federalist Party and Socialist-Revolutionary Faction. The supreme legislative body of the country had begun to doubt, they wondered if the representative of the British army in the Caucasus Region the executor of the British government opinion

itself or he was acting independently.

Despite the Allied Army in the Caucasus Region, UK. did not recognize the independence and sovereignty of the Democratic Republic of Georgia, but her military representative was collaborating with legitimate government of Georgia. The Great Britain did not try to overthrow forcibly the government of Georgia or to change it by another illegal form.

The entrance of Allied Army in Georgia did not contradict the vital interests of the country at all, moreover, it was a barrier on the way of the aggression forces that were approaching to Georgia from different directions, that is why we cannot evaluate the presence of Allied Army in the country as military intervention.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*დიმიტრი სილაქაძე*

# დეზერტირობის პრობლემა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) რეგულარულ არმიაში

დეზერტირობა (ჯარის ნაწილებიდან თვითნებური გაქცევა) საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიის შექმნის პროცესში დიდ სირთულეს ქმნიდა. საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის 27 ივნისს გამოცემული დეკრეტით, მშვიდობიანობის დროს ჯარის ნაწილების ექვს დღე-ღამეზე მეტით მიტოვება, ან დაგვიანება საპატიო მიზეზის გარეშე, ხოლო ომის, ან აჯანყების დროს კი, ერთ დღე-ღამეზე მეტით ნაწილის მიტოვება – ითვლებოდა სამსახურიდან გაქცევად. ამდენი ან უფრო ნაკლები დროით დატოვება ნაწილებისა, ითვლებოდა ნებადაურთავ წასვლად.[1] მშვიდობიანობის დროს სამსახურიდან გაქცევისათვის ოფიცრები და სამხედრო მოხელენი ისჯებოდნენ ოთხიდან ექვს წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნითა და სათანადო უფლებების ჩამორთმევით. ჯარისკაცები ანალოგიური ქმედებისათვის – პირველად ორიდან ოთხ თვემდე სამხედრო საპყრობილეში დაპატიმრებით, ხოლო განმეორების შემთხვევაში ოთხიდან ექვს წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნითა და სათანადო უფლებების ჩამორთმევით. ომიანობის დროს იგივე დანაშაულისათვის ყველა რანგის სამხედრო პირი ერთნაირად ისჯებოდა – კატორღით ოთხიდან ოც წლამ-

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. თბ. 1990, გვ. 280.

დე, ან უვადოდ, ან დახვრეტით.[2] ნაკლები სიმძიმის სასჯელი იყო გათვალისწინებული ნაწილებიდან უნებართვოდ წასვლისათვის. ასევე დიდ პრობლემას ქმნიდა სამხედრო სამსახურისთვის საერთოდ თავის არიდება.

ჩვენ ხელთ არსებული მასალებით ვეცდებით დავადგინოთ დეზერტირობის მასშტაბები და მისი შემაფერხებელი როლი რეგულარული არმიის მშენებლობის პროცესში, ასევე ამ სენის გამომწვევი მიზეზები. აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობისას აქცენტი გავაკეთეთ არასაომარ მდგომარეობაში რეგულარულ არმიაში მიმდინარე მოვლენებზე.

კვლევის პროცესში ძირითადად ვიხელმძღვანელეთ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებში დაცული დოკუმენტებითა და სამხედრო სამინისტროს ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარის“ ნომრებში არსებული ინფორმაციით.

დეზერტირობის მასობრიობაში საარქივო საქმეების ერთი გადახედვაც კი იოლად დაგვარწმუნებს, რადგანაც თითქმის ყველგან ამ პრობლემაზე არის საუბარი, იქნება ეს სამხედრო მინისტრის ბრძანებები, მიმოწერა გენერალური შტაბის სხვადასხვა სექციებსა და სამხედრო ნაწილების შორის, რეგიონალური სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსების მოხსენებებში და ა.შ. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს. ზუგდიდის სააღრიცხვო ნაწილის უფროსი გენშტაბის სამობილიზაციო განყოფილებას 1920 წლის 16 სექტემბერს წერდა, რომ მის მიერ ჯარში გაწვეული 1209 კაციდან გაიქცა 275, ანუ გაწვეულთა 22%.[3] 1921 წლის 3 იანვარს გენერალური შტაბიდან სამხედრო ნაწილებში გაიგზავნა კითხვა, თუ რამდენი კაცი გაიქცა ამ შენაერთებიდან 10 ნოემბრის შემდეგ, როგორც გაირკვა 1920 წლის ნოემბრიდან – 1921 წლის იანვრამდე რეგულარული არმიის ნაწილებიდან (სამხედრო სკოლის გამოკლებით) გაიქცა 2707 ჯარისკაცი.[4]

[2] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებლივი აქტების კრებული 1918-1921. თბ. 1990, გვ. 280-281.
[3] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. (შემდეგში სცსა). ფონდი 1969. აღწერა 2. საქმე 58, ფურც. 122
[4] სცსა. ფონდი. 1969. აღწ. 2. საქმე. 173, ფურც. 87. დოკუმენტში დეზერტი-

ერთი წლით ადრე 1920 წლის 21 იანვრის მოხსენებაში, სამხედრო მინისტრის მოადგილე გენერალი გედევანიშვილი პირდაპირ წერდა: „ეხლა ჯარს ვადგენთ და ვავსებთ იმავე დეზერტირებიდან, რომელნიც ჯარიდან გაიქცნენ, მაგრამ სამართალში არ იყვნენ მიცემულნი, ვინაიდან მიიმალნენ“.[5] რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი ან მიზეზები, არმიიდან ჯარისკაცების ასეთი მასობრივი გაქცევისა?

ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო ჯარში არსებული უმძიმესი მატერიალური მდგომარეობა. ჯარისკაცებს მოუწყობელ ყაზარმებში ამყოფებოდნენ, რომელთა ნაწილი ზამთარში თითქმის არ თბებოდა. პეტრე გელეიშვილი 1920 წლის 26 ოქტომბერს მთავრობის თავმჯდომარეს მოახსენებდა, რომ ბათუმში განთავსებული ჯარები დიდ განსაცდელშია, რომ ისინი ცხოვრობენ ყაზარმებში, რომელთაც არც კარები აქვს და არც ფანჯრები, შენობებში არ არის არც ნარები და არც საწოლები, ხოლო ჯარისკაცები პირდაპირ იატაკზე დაყრილ თივაზე წვანან. ასეთ პირობებში მცხოვრები და ცუდად ჩაცმული ჯარისკაცები საშინელ ციებ-ცხელებას განიცდიდნენ და იშვიათად თუ შეხვდებოდით ჯარისკაცს რომელსაც ადამიანის ფერი ედო. კიდევ უფრო ცუდ დღეში იყვნენ ოლქის ტერიტორიაზე პოსტებზე გაბნეული ჯარისკაცები, პოსტების უმეტესობაზე ჯარისკაცებს არ ჰქონდათ თავშესაფარი და ღია ცის ქვეშ ათევდნენ ღამეს, სიცივის გამო კი ჯარისკაცები ხშირად ადგილობრივ მცხოვრებთა ღობეებს ამტვრევდნენ და გასათბობად ცეცხლს ანთებდნენ. ამ მიზნით სახლების დაწვის შემთხვევებიც კი ყოფილა.[6] არა მხოლოდ სასაზღვრო პოსტებზე, არამედ დედაქალაქშიც კი რთული იყო ყაზარმების გათბობა, მაგალითად, არსენალის საგუშაგოს ყაზარმა თბებოდა ერთი რკინის „ფეჩით“, რაც შენობას ვერ ათბობდა და ამასთანავე დღეში მხოლოდ სამ ღერ შეშას აძლევდნენ ჯარისკაცებს. ამავე ნაწილში ჯარისკაცთა შორის გავრცელებული იყო ბღერი, რასაც შენობაში არსებული ანტისანიტარია იწვევდა.[7] ხშირად

---

რთა რაოდენობა, მოცემულია ცალკეული ნაწილების მიხედვით.

[5] სცსა. ფონდი. 1969. აღწ. 2. საქმე. 58. ფურც. 4.

[6] სცსა. ფონდი 1969. აღწ. 2. საქმე. 56, ფურც. 153.

[7] სცსა. ფონდი 1969. აღწ. 2. საქმე. 69, ფურც. 88.

პრობლემას წარმოადგენდა საკვების დაგვიანებით, ან კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში საერთოდ არმიღება. ქართული არმიის ყოველდღიურ ღარიბულ რაციონს თავის მოგონებებში იხსენებდა მსახიობი აკაკი ვასაძეც, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში სამხედრო-სავალდებულო სამსახურს გადიოდა: „დილის ექვსზე – ვარჯიში, ჩაი სახარინითა და გაფიცხებული მჭადით, რომელსაც გაუცრელი ფქვილისგან ფურნეში აცხობდნენ. შემდეგ – მეცადინეობა იარაღზე, მწყობრი. პირველ საათზე – სადილი: ლობიო და გაუცრელი ფქვილისაგან გამომცხვარი მჭადი, საღამოს – ისევ ჩაი სახარინით".[8] მესამე ბრიგადის მეთაური გენერალი წულუკიძე გენერალური შტაბის უფროსს ალექსანდრე ზაქარიაძეს წერდა, რომ ხშირად არის შემთხვევები როდესაც მეთორმეტე ათასეულის ჯარისკაცები სამი დღე პურს არ იღებენ, ასევე მათ თავის დროზე არ აწვდიან შეშას, სურსათს, ტანისამოსს, ყოველივე ამის გამო კი ჯარისკაცები გარბიან ნაწილიდან.[9]

ნაწილებისათვის სურსათ-სანოვაგის დაგვიანებით ან საერთოდ არმიღება და ამის გამო ნაწილებიდან ჯარისკაცების გაქცევა, ზოგიერთ შემთხვევაში, განპირობებული იყო ტრანსპორტის არქონის გამო.[10]

მთლიანობაში არმიაში არსებული მძიმე მატერიალური მდგომარეობა უფრო მეტად ასახავდა ქვეყანაში არსებულ სიდუხჭირეს, ვიდრე არმიისადმი ქვეყნის ხელისუფლების გულგრილობას, 1919-1920 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი შეადგენდა 1 960 490 798 ბონს, აქედან რეგულარულ არმიას (სახალხო გვარდიის გამოკლებით) გადაეცემოდა – 379 176 786 ბონი,[11] რაც შეადგენდა მთელი ბიუჯეტის 19.3%-ს. 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში სახელმწიფო დაწესებულებებს დამატებით გადაეცათ 1 029 389 804 ბონი, აქედან რეგულარულ არმიას (სახალხო გვარდიის გამოკლებით) გადაეცა – 239 073 066 ბონი,[12] მთლიანი თანხის 23.2%. ორივე შემთხვე-

[8] აკაკი ვასაძე. მოგონებები, ფიქრები. თბ. 1977, გვ. 101.
[9] სცსა. ფონდი 1836. აღწ. 1. საქმე. 193, ფურც. 271.
[10] სცსა. ფონდი 1836. აღწ. 1. საქმე. 193, ფურც. 397; სცსა. ფონდი 1988. აღწ. 1. საქმე. 33, ფურც. 35.
[11] სცსა. ფონდი 1891. აღწ. 1. საქმე. 491, ფურც. 9. 12-13.
[12] გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №264, 1920 წელი. 20 ნოემბერი, გვ. 2.

ვაში საკმაოდ მაღალ პროცენტულ მაჩვენებელთან გვაქვს საქმე.

ჯარისკაცთა ისედაც დუხჭირ ყაზარმულ ცხოვრებას კიდევ უფრო ამძიმებდა ზოგიერთ ნაწილში ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა რიგითებისადმი ცუდი მოპყრობა. მეშვიდე ათასეულის მესამე გუნდის (ასეული – დ.ს) ზემდეგი ჩიტაია, არც მცირე სამხედრო კომისიის სტუმრობას მორიდებია და მათი თანდასწრებით აგინებდა ჯარისკაცებს. ამავე ათასეულის სხვა ზემდეგ სანიკიძეს ისე უცემია ერთ-ერთი რიგითი, რომ ეს უკანასკნელი ავად გამხდარა.[13] ამავე კომისიას სხვა ნაწილებშიც აღმოუჩენია ამ ტიპის დარღვევები. მეორე საარტილერიო დივიზიონის მე-2 ბატარეის ჯარისკაცები შეუკრებია მაიორ ქარუმიძეს და უთქვამს, რომ მინისტრის ბრძანებას ყურადღებას არ მიაქცევს და თუ დაიმსახურებენ ბატარეაში ჯარისკაცთა ცემა არ შეწყდება. ჯარისკაცები უცემიათ მესანგრეთა ათასეულის ლეიტენანტებს: აღლაძეს, ბულულაშვილს და თათუხაშვილს, სადარაჯო ათასეულის ზემდეგებს გოთოშიასა და კახიანს.[14] ამასთანავე, ჯარისკაცებს არ აძლევდნენ უფლებას წარედგინათ საჩივარი ასეულის უფროსთან, ხოლო საარტილერიო შენაერთში კი – ბატარეის მეთაურთან. სადისციპლინო წესდების 58-ე მუხლის მიხედვით საჩივარი სწორედ ასეულის (ბატარეის) უფროსს წარედგინებოდა და თუ საჩივარი უშუალოდ ამ მეთაურებს ეხებოდა, მაშინ უნდა გადასცემოდა ასეულის სხვა უფროს ოფიცერს.[15] ამ პრობლემის აქტუალობაზე (ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა დამოკიდებულება რიგითებისადმი) მეტყველებს სამხედრო სამინისტროს ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარის" პირველივე ნომერში დაწერილი სტატია – „მოკლე რჩევა ახალი ჯარის-კაცების მასწავლებელ ოფიცრებს". სტატიის ავტორი ავქსენტი აბესაძე აღნიშნავდა ოფიცრების როლს ჯარისკაცებისათვის ნორმალური მოპყრობის აუცილებლობაში, რათა მათი წარმოდგენა ყაზარმაზე, როგორც საფრთხობელაზე, გაფანტვოდათ: „მოვლენ თუ არა, ახალი ჯარის-კაცები ყაზარმაში, მაშინვე შეხვდით

[13] სცსა. ფონდი 1833. აღწ. 1. საქმე. 368, ფურც. 408.
[14] სცსა. ფონდი. 1836. აღწ. 1. საქმე. 193, ფურც. 251-252.
[15] სცსა. ფონდი. 1836. აღწ. 1. საქმე. 193, ფურც. 251.

და თბილის გულით მიიღეთ ისინი. ხამი ჯარის-კაცებისათვის ყაზარმა რაღაც საფრთხობელაა, მათ სამხედრო სამსახურზე ანუ ,,სალდათობა-ზე" როგორც თითონ ეძახიან და აგრეთვე ყაზარმაზე მეტად ცუდი წარმოდგენა აქვთ. თქვენი მოვალეობა არის ეს წარმოდგენა პირველ დღესვე გაუქარწყლოთ მათ და დაარწმუნოთ ისინი, რომ ყაზარმა არ არის ციხე ანუ ისეთი სახლი, სადაც ჯარისკაცები საწვალებლად მოჰ-ყავთ და ,,სალდათობა" ანუ ჯარის კაცობა საპატიო წოდებაა, ეს სამ-შობლოსადმი სავალდებულო სამსახურია ყველა ახალგაზრდა ქართვე-ლისათვის" (სტილი დაცულია – დ.ს).[16]

სტატიის ავტორი აქვე ოფიცრების დარიგებასთან ერთად ეხება კიდევ ერთ დიდ პრობლემას – თვითონ ჯარისკაცების დამოკიდებულე-ბას სამხედრო სამსახურისადმი, რომელთათვისაც სამხედრო სამსახური ,,სალდათობასთან", ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე რუსულ არმიაში სავალდებულო სამსახურთან ასოცირდებოდა მთელი თავისი ,,სიკეთეებით". ჟურნალის ამავე ნომერში დაიბეჭდა პროპაგან-დისტული ტიპის მოთხრობა ,,დაბრაკული", რომლის მიზანსაც წარ-მოადგენდა მკითხველს განესხვავებინა ერთმანეთისაგან რუსულ არმია-ში და ქართულ არმიაში სამსახური. ამ ნაწარმოების შინაარსის თხრობით თავს არ შეგაწყენთ, რადგან მისი მთელი აზრი და მიზანი მთავარი გმირების, ძმების – ზაქრო და სოსოს მშობლების მიერ, სა-კუთარი შვილების ომში (ჯარში) წასვლასთან დაკავშირებით ორ გან-სხვავებულ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. როდესაც ძმებს რუსე-თის არმიაში იხმობენ გერმანიასთან საომრად, მშობლები ამბობდნენ: ,,ვინ არის გერმანიე, რა აქ იმას ჩვენთან საჩხუბარი, ან ჩვენ რა გვაქვს მასთან საქმე. მინახავს, საზღვარზე წავჩხუბებივარ, ერთი თუ მეორე? იქინა უნდა გავგზავნოთ აგი სიმწრით გაზრდილი ბალღები და დავხოცოთ?"[17] მშობლები ყველა ხერხს მიმართავდნენ, რომ მათი შვი-

[16] ავქსენტი აბესაძე. მოკლე რჩევა ახალი ჯარისკაცების მასწავლებელ ოფიცრებს. ჟურნ.: „რესპუბლიკის ჯარი". (სამხედრო სამინისტროს გან-კარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილე-ბით). თბ. 1918. №1. 1 დეკემბერი, გვ. 5-6.

[17] ი. ბუკისციხელი. დაბრაკული (ნამდვილი ამბავი). ჟურნ.: „რესპუბლიკის

ლები არ წასულიყვნენ საომრად. გავიდა დრო და შვილებს უკვე საკუთარი სამშობლოსა და რევოლუციისათვის უწევდათ ბრძოლა, მამა კი შვილებს ბრძოლის ველზე შემდეგი სიტყვებით აცილებდა: „წადი შვილო, წადი ნეტავი მეც შემეძლოს, მეც გამოგყვები, რაღა ჯანდაბათ მინდა თავი, თუ ასეთ გასაჭირში ქვეყანას ვერ წავადგები... მაგრამ რაღაი, მუხლებში ღონე აღარ მაქვს და თვალები აღარ მიჭრის... შვიდობით დაგაბრუნოს ღმერთმა სახლში“.[18] ამავე ჟურნალის სხვადასხვა ნომერში იბეჭდებოდა ივანე გომართელის სტატიების ციკლი – „საუბარი ჯარისკაცთან“.

ივანე გომართელი ჯარისკაცებს უხსნიდა ჯარისკაცის როლს დემოკრატიულ სახელმწიფოში. თუ ის მეფის არმიაში წარმოადგენდა ზარბაზნის საზრდოს, რომელსაც „ტოჩნო ტაკ“ და „ნიკაკ ნეტ“-ის აძახებინებდნენ, დედ-მამას აგინებდნენ და თავპირში ურტყამდნენ, ახლა ის საკუთარ სამშობლოს სჭირდებოდა, მთავრობა კი მუდამ იმას ფიქრობს, რომ მისი ცხოვრება უკეთესად იყოს მოწყობილი. ადრე თუ ჯარისკაცს ცხრა მთას იქით გზავნიდნენ საომრად, ახლა მას არ გაგზავნიან სხვების დასაჩაგრად და დასარბევად, არამედ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის დასაცავად გამოიყენებდნენ. გომართელი ჯარისკაცებს უხსნიდა, რომ ქვეყნის ნათელი მომავალი სწორედ მათზე იყო დამოკიდებული. წინათ თუ ის დახვრეტის შიშით მოქმედებდა, ახლა მის შეგნებას და ადამიანობას უნდა მიეცა მისთვის ძალა. ავტორს ესმოდა, რომ არმიაში ცუდი მატერიალური მდგომარეობა იყო. ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ მთავრობას ჯარისკაცთათვის არ ემეტებოდა რამე, არამედ ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო. სამხედროები, რომელთაც რუსეთის იმპერიის არმიაში, არანაირი უფლება არ გააჩნდათ, ითმენდნენ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში არსებულ გაჭირვებას. ავტორი ეხლაც იგივეს გაკეთებას ითხოვდა მათგან, მითუმეტეს ისინი უკვე დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფალ ადამიანებს წარმოადგენდნენ.[19]

ჯარი“. თბ. 1918. №1. 1 დეკემბერი, გვ. 9.

[18] ი. ბუკისციხელი. დაბრაკული (ნამდვილი ამბავი), გვ.16.

[19] ივ. გომართელი. საუბარი ჯარისკაცთან. ჟურნ.: „რესპუბლიკის ჯარი“. თბ. 1918. №3. 15 დეკემბერი, გვ. 5-8; №4. 22. დეკემბერი, გვ. 7-11; თბ. 1919.

რეგულარული არმიაში სამსახურის ტრადიციის არქონასთან ერთად, ჯარისკაცებში სამხედრო სამსახურისადმი ანტიპათიას ამძაფრებდა პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის მტკივნეული შედეგები. რევოლუციური გარემო განსაკუთრებით ამძაფრებდა ოფიცრებსა და ჯარისკაცებში ისედაც არსებულ ანტაგონისტურ დამოკიდებულებას. ასევე, არმიაში ადგილი ჰქონდა ბოლშევიკების მხრიდან ანტისამთავრობო აგიტაციასაც.

ზოგიერთ შემთხვევაში ჯარისკაცების არმიიდან გაქცევას კურიოზული მიზეზები ჰქონდა. ცხენოსანი პოლკის მეთაური, გენერალური შტაბის უფროსს წერდა: „მე გავარკვიე დაჭერილ დეზერტირების გამოკითხვით, ის ახალ მოწვეულნი რომელნიც იყვნენ გაპარულნი, ამბობენ, რომ ეშინიათ ძლიერ დიდი ცხენების და მიდიოდენ ქვეით ათასეულებში გადასარიცხავათ. ამითი მაქვს ეჭვი, ათასეულებშიდ ალბათ იღებენ გაპარულ ახალ ჯარის კაცებს. მათი მოპოვება ძნელდება რათა ზოგი ერთი თავის სახლშიდაც არ იმყოფება გაქცევის შემდეგ. ზოგიერთი მართლაც ცხენზე შეჯდომის დროს სტირიან და თხოულობენ ცხენზე შეუჯდომლობას".[20] იგივე ცხენოსანი პოლკის მეთაური სხვა მოხსენებაში გენშტაბს საყვედურობს ძალიან დაბალი სიმაღლის ჯარისკაცების გამოგზავნას, რადგანაც ისინი უზანგებსაც კი ვერ წვდებიან და საბოლოოდ ცხენების შიშის გამო გარბიან ნაწილიდან.[21]

კანონის მიხედვით როგორც ისჯებოდა დეზერტირობა ზემოთ უკვე გაგაცანით, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯარიდან გაქცეულთა მიმართ ლმობიერ პოლიტიკას აწარმოებდა, ერთეული გამონაკლისების გარდა. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, დეზერტირთა ნაწილის განთავისუფლებაზე, სოფლებისა და ერობების წარმომადგენელნი, ზოგიერთ შემთხვევაში კი დამფუძნებელი კრების წევრები შუამდგომლობდნენ. მათი შუამდგომლობა უმრავლეს შემთხვევაში კმაყოფილდებოდა.[22] გენერალი გედევანიშვილი

№7. 15 იანვარი, გვ. 5-8; №8. 26 იანვარი, გვ.3-6.

[20] სცსა. ფონდი. 1988. აღწ.1 საქმე. 45 ფურც. 45.

[21] სცსა. ფონდი. 1969. აღწ.2 საქმე.144. ფურც. 22.

[22] სცსა. ფონდი. 1969. აღწ. 2. საქმე. 58, ფურც. 4.

აყენებდა შუამდგომლობას სამხედრო მინისტრის წინაშე, რათა „უპატრონო" დეზერტირებიც შეეწყალებინათ, რადგანაც მათაც იგივე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, რაც შეწყალებულებს. მისი აზრით, ეს ყოველივე შეწყალებულებზე დიდ ზნეობრივ გავლენას იქონიებდა, ამასთანავე საპყრობილეში გატარებული დრო ამ ჯარისკაცებს დააფიქრებდა მათ მიერ ჩადენილი საქციელის სიგლახეზე. ხაზინა გათავისუფლდებოდა მუქთამჭამელებისაგან, დაუბრუნდებოდა ჯარს მეომარი, სოფელს მუშა და დაწესებულებებსაც აღარ მოუწევდათ აუარებელი მიწერ-მოწერა ამ საკითხზე.[23] როგორც ამის შემდეგი დოკუმენტებიდან ირკვევა, რეგიონალური სამხედრო სააღრიცხვო სამსახურები და ერობები დაკავებულნი იყვნენ არმიიდან გამოქცეული დეზერტირების მოგროვებით და უკან ნაწილებში გაგზავნით. ეს კიდევ ცალკე პრობლემას ქმნიდა. სამხედრო ნაწილების მეთაურები ერობებს ადანაშაულებდნენ ამ საკითხისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, თავის მხრივ კი ეს უკანასკნელნი ჩიოდნენ ბადრაგის ნაკლებობის და გაღებული ზედმეტი ხარჯების გამო.[24] როგორც ირკვევა, გავრცელებული ყოფილა არმიიდან გაქცეულების უკან დაბრუნების ორიგინალური ხერხი, კერძოდ, დეზერტირების მამების შეპყრობა, რაც ევალებოდა ადმინისტრაციულ ორგანოებს.[25]

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დეზერტირობის პრობლემა მწვავედ იდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიის შექმნის პროცესში და მას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. სამხედრო ნაწილებიდან სამხედრო მოსამსახურეების გაქცევას იწვევდა მრავალ მიზეზთა ერთობლიობა და მთავრობის მიერ ამ პრობლემის მოსაგვარებლად გადადგმული ნაბიჯებიც არაეფექტური გამოდგა.

---

[23] სცსა. ფონდი. 1969. აღწ. 2. საქმე. 58, ფურც. 4-5.
[24] სცსა. ფონდი. 1836. აღწ. 1. საქმე. 193, ფურც. 392.
[25] სცსა. ფონდი. 1969. აღწ. 2. საქმე. 144, ფურც. 54.

*Dimitri Silakadze*

# PROBLEM OF DESERTION IN THE REGULAR ARMY OF THE FIRST DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921)

Summary

Desertion created severe complications in founding the regular army of the first democratic republic of Georgia (1918-1921). A slight cast of a glance over the archival materials makes us sure in it. As many as 2707 soldiers fled from the army from November 1920 till the beginning of January 1921. What were the reasons of all these? Initially it was a complex social environment in the country which used to find its reflection on the army too. There were problems of ill-equipped barracks, food and various diseases in Georgian army. In some units, it was followed by the brutal treatment of private soldiers from the side of officers and under-officers. Also should be considered that the horrible results of WWI and the revolution aggravated negative public sentiment towards military service. It was accompanied by Bolsheviks' antigovernment agitation in the army units.

The liberal approach of the government of Georgian democratic republic to the resolution of desertion problem turned out to be ineffective.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

*ქეთევან გოჩიტაშვილი*

# შემეცნებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართულში

ადამიანი სამყაროს შესაცნობად უამრავ შემეცნებით ოპერაციას ახორციელებს. შემეცნება/კოგნიცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხდება ნებისმიერი ინფორმაციის გადამუშავება. სწორედ აღქმა, შემეცნება და მათთან დაკავშირებული მენტალური, ფიზიოლოგიური და ფიზიკური პროცესები არის გონიერი, მოაზროვნე ადამიანის არსებობის ფუნდამენტი. ბუნებრივია, ენაში, როგორც ადამიანთა კულტურული გამოცდილების ერთგვარ „საწყობში", შენახულია ის ცოდნა, რომელიც ამა თუ იმ ენობრივი სამყაროს წარმომადგენლებს დაუგროვდათ ამ თვალსაზრისით. რადგან ადამიანური არსებობა განუხრელად არის დაკავშირებული სამყაროს აღქმა-შეფასებასთან, ბუნებრივია, კოგნიტურ პროცესებთან დაკავშირებულ გამონათქვამთა რიცხვი მაღალგანვითარებულ ენებში (მათ შორის ქართულშიც) საკმაოდ დიდია. შემეცნებითი პროცესების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესზე ისიც მიუთითებს, რომ რომ შემეცნება-აზროვნება და მასთან დაკავშირებული პროცესები საკმაოდ დიდი ხანია შედის ფუნდამენტური, ბიო-სამედიცინო, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ინტერესების სფეროში. კერძოდ, განსხვავებული ასპექტების მიხედვით მას შეისწავლის ფსიქოლოგია, ნევროლოგია, კომპიუტერული მეცნიერებები, ანთროპოლოგია, ფილოსოფია, ლინგვისტიკა და ა. შ. ქართულ ენაში ეს საკითხი დღემდე ლინგვისტური თვალსაზრისით არ დამუშავებულა.

როგორც ცნობილია, ტერმინი კოგნიცია თავის თავში გულისხმობს ორ ლათინური ტერმინს, cognitio და cogitatio, რაც გულისხმობს როგორც შემეცნებას, ისე აზროვნებას, განსჯას. თანამედროვე მეცნიე-

რებებში კოგნიციაში იგულისხმება სხვადასხვა შემეცნებით-აზროვნებითი პროცესები – აღქმა, დაკვირვება, კატეგორიზაცია, აზროვნება, მეტყველება და ა.შ.

ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა იწყება შეგრძნების, აღქმის, ანუ სენსომოტორული გამოცდილებით, რომელსაც ნერვული სისტემა გარდაქმნის სხვადასხვა ტიპის კონცეპტად, რომელიც ილექება მეხსიერებაში და საჭიროების შემთხვევაში ერთვება კომუნიკაციურ-შემეცნებით პროცესში. შემეცნებითი პროცესების შედეგად იქმნება კონცეპტთა სისტემა – კონცეპტოსფერო, როგორც ცალკეული ადამიანებისა, ისე მთელი ხალხისა. კონცეპტების „კოდირებისა“ და აქტუალიზაციის საშუალებად შეიძლება გამოვიდეს სხვადასხვა ენობრივი ერთეული, მათ შორის იდიომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები.

ახალი ერთეულების წარმოქმნისას, ან უკვე არსებულის გამოყენების შემთხვევაში, ადამიანი მიმართავს თემატურ, სემანტიკურ, და უფრო ვრცლად, ასოციაციურ ველებს და ამ ფუნქციურ-სემანტიკური ეკვივალენტების „შერჩევის“ გზით ცდილობს კომუნიკაციური სიტუაციის შესაფერისი ერთეულის მოძებნას. შემეცნებითი და სხვა ასოციაციური ველები გამოდიან შემეცნებით ყუთად, რომლებშიც სისტემატიზებული და შენახულია მოსაუბრის ცოდნა გარე სამყაროზე, რომელიც მას პრაქტიკული და შემეცნებით-მაკლასიფიცირებელი საქმიანობისას დაუგროვდა.[1]

ადამიანის შემეცნების პროცესს თან ახლავს ემოციები – დადებითი ან უარყოფითი. ამდენად, ადამიანის ემოციური მოქმედება შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც ფსიქიკური და კოგნიტური სფეროების შერევა.

კოგნიტურ იდიომატურ გამოთქმებს მიეკუთვნება იდიომები, რომლებიც სხვადასხვა კოგნიტურ პროცესს აღწერს: შეგრძნებებს, აღქმას, მეხსიერებას, წარმოსახვას, აზროვნებასა და მეტყველებას. ქართული

[1] А. М. Эмирова. Некоторые актуальные вопросы современной русской фразеологии (Опыт семантического анализа фразеологических единиц). Самарканд. 2003, გვ. 46-48.

ენა საკმაოდ მდიდარია ამგვარი ფრაზეოლოგიური ერთეულებით.

ქართულ ენაში არსებული კოგნიტური პროცესების ამსახველი ფრაზეოლოგიზმები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: 1. სხვადასხვა შეგრძნების გადმომცემი ფრაზეოლოგიზმები. 2. აღქმის პროცესის გადმომცემი ფრაზეოლოგიზმები. 3. მეხსიერების პროცესისის ამსახველი ფრაზეოლოგიზმები. 4. ინტერესის ამსახველი ერთეულები. 5. წარმოსახვის პროცესის გადმომცემი ფრაზეოლოგიზმები. 6. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აფასებს ადამიანის მენტალურ ქმედებასა და გონებრივ შესაძლებლობებს. 7. რომლებიც აფასებს სამეტყველო შესაძლებლობებს.

1. შეგრძნებებს თან ახლავს ემოციები, რაც ქმნის კოგნიტიური საქმიანობის ფუნდამენტს.[2] ამიტომაც იდიომებში, რომლებიც სხვადასხვა გარეგნულ, შინაგან ან შერეული ხასიათის (შინაგან-გარეგანი) შეგრძნებებს გადმოსცემს, შესაძლებელია მითითება იყოს გარკვეულ ემოციაზე. ამ ჯგუფში შედის ისეთი გამოთქმები, რომლებიც გადმოსცემენ უხერხულობის განცდას, სიცხეს, შეციებას, შიშს და ა. შ. ერთი იდიომი ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელობას გადმოსცემს.

1. ***ალმურის აკვრა*** – გაწითლება უხერხულობისაგან.

2. ***სიცივისგან გალურჯდა; კბილს კბილზე ურტყამს; სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა*** – სიცივე.

3. ***სიცხისგან ტვინი ამიდუღდა*** – სიცხე.

4. ***ავი ქარი აქვს ნაცემი; სახე დაემანჭა*** (ტკივილისგან); ***სული მეხუთება*** – ტკივილი.

5. ***თვალები შუბლზე აუვიდა*** – გაოცდა, ეტკინა, შეეშინდა.

სხვადასხვა შინაგანი (ვიბრაციული, კუნთოვანი და სტატიკურ-დინამიკური) შეგრძნებები გადმოიცემა შემდეგი იდიომებით: ***თავბრუ ეხვევა***; ზედმეტი გადაღლილობისაგან გამოწვეული დაღლილობა: ***თვალებზე ბინდი გადაეკრა; თვალთ დაუბნელდა.***

ქართული იდიომატური ერთეულების ერთი ჯგუფი გადმოსცემს

---

[2] Л. М. Васильев. Семантические классы глаголов чувства, мысли и речи. Очерки по семантике русского глагола. Уфа. 1971, გვ. 38-310.

დაღლილობისაგან, სისუსტისაგან, ავადმყოფობისაგან ფეხებში, ხელებში, თავში სიმძიმის, უსიამოვნო შეგრძნებას – ***ფეხები რუმბივით გაუხდა; ხელებს ველარ გრძნობს; თავი გაუსივდა; თავი გაუსკდა*** და ა. შ.

ქართულ ენაში დასტურდება ერთი ჯგუფი ფრაზეოლოგიური ერთეულებისა, რომლებიც გადმოსცემს გარეგნულ შეგრძნებებს – მხედველობით, გემოვნებით, ყნოსვით, შეხებით, სმენით: ***მზერა სტყორცნა; თვალი თვალში გაუყარა, თვალი დაადგა; თვალი დაასო***; ამათგან ზოგო დადებითი კონოტაციის შემცველია, ხოლო ზოგი უარყოფით შინაარსს შეიცავს.

***ყურები გამოეჭედა, ყურები გახვრიტა; ყურები დაეცო*** – გამოხატავს სმენითი ორგანოს მიერ აღქმულ განსხვავებულ დამოკიდებულებას მოვლენებისადმი.

ქართულ ენაში გვხვდება ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ადამიანის მიერ სურნელების აღქმას გადმოსცემს: ***ცხვირში ეცა; ცხვირი წამძრო –*** განსაკუთრებით მძაფრი სუნის აღსაწერად.

გემოს (კარგი, ცუდი) გადმოსაცემად ქართული ენა იყენებს შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს: ***თითებს ჩაიკვნეტ; პირში არ გადადის*** (ეს უკანასკნელი პოლისემურია და გადმოსცემს მადის დაკარგვასაც).

შეხება – ***ხელი არ დაეკარება; ხელი არა აქვს დადებული; კანით გრძნობს*** (ეს უკანასკნელი თავისი სემანტიკით ახლოს არის შეხებასთან, თუმცა ზუსტი ანალოგი არ არის).

სემანტიკურ-პრაგმატული კუთხით განხილული მაგალითები მიეკუთვნება პრედიკატულ და ზმნურ ერთეულებს და აწყობილია შემდეგ სემანტიკურ მოდელზე: „ვიღაც განიცდის რაღაც შეგრძნებას.“

2. ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც გადმოსცემს სხვადასხვა ტიპის აღქმას, იძლევა საგნის შესახებ მთლიან წარმოდგენას და და მისი თვისებების ერთიანობის წარმოჩენას. აღქმის აქტივიზაცია დაკავშირებულია ყურადღებასთან – მობილიზება და ცნობიერების მიმართვა აღქმული საგნისაკენ, ამიტომ ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმებში მრავლადაა წარმოდგენილი ყურადღებასთან დაკავშირებული ელემენტები.

ამ სემანტიკურ ველში შემავალ ფრაზეოლოგიზმების ძირითად ბირთვს ქმნის იდიომები, რომლებიც მხედველობით აღქმას უკავშირდება. მიზანმიმართული მხედველობითი აღქმა გადმოიცემა სინონიმური ზმნური ერთეულების საშუალებით. ეს ზმნური ერთეულები გადმოსცემენ შემდეგ სემანტიკას: „დაჟინებით, ყურადღებით, თვალმოუშორებლად უყურო ვინმეს ან რამეს": ***თვალს არ აშორებს; თვალებით ჭამს.***

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ანტონიმური მნიშვნელობის ფრაზეოლოგიზმების განხილვა: ***თვალთახედვიდან დაკარგა; მხედველობიდან გაუქრა; თავი დაიბრმავა.***

ამ სემანტიკური ველის პერიფერიაზე ჩანს ერთეულები, რომლებიც ბირთვისაგან განსხვავდება ნიუანსურად ან მოცულობით. მაგალითად, ***ბუნდოვნად მოჰკრა თვალი; თვალი შეავლო; თვალი ჰკიდა; თვალი მოჰკრა.***

სმენითი ორგანოებით მიერ აღქმული სინამდვილე გადმოცემულია შემდეგ ზმნურ ფრაზეოლოგიზმებში: ***ყურებდაცქვეტილი უსმენდა; სმენად გადაიქცა; ყურს უგდებს; ყური მოჰკრა.***

ქართულ ენაში ამ შემთხვევაშიც აქვს საოპოზიციო ცალები: ***ცალ ყურში შეუშვა, მეორიდან გამუშვა; თავი დაიყრუა.***

ენათმეცნიერი ე. ემიროვა მიუთითებს, რომ რუსულ ენაში გვხვდება მხედველობითი და სმენითი აღქმის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმების ლექსიკურ-სემანტიკური და სტრუქტურულ-გრამატიკული პარალელები, რაც გამოწვეული უნდა იყოს ანალოგიის კანონის გამოვლინებით ერთდროულად ლექსიკურ-სემანტიკურ და გრამატიკულ დონეზე, ხოლო განპირობებული უნდა იყოს ადამიანის აღქმითი ორგანოების მჭიდრო კავშირით.[3] ასეთი მოვლენა ქართული ენისათვისაცაა დამახასიათებელი, კერძოდ, თვალი მოკრა — **ყური მოკრა, თვალი მოარიდა — ყური მოარიდა** და ა. შ. ქართული ენისათვის ემიროვას სრულიად გასაზიარებელი თვალსაზრისის განსამტკიცებელ დამატებით არგუმენტად გამოდგეს კიდევ უფრო ღრმა პლასტში არსებული ერთიანობა

[3] А. М. Эмирова. Некоторые актуальные вопросы современной русской фразеологии, გვ. 50.

დანახვასა და სმენას შორის. კერძოდ, ყურება (პირდაპირი კავშირი სმენის ორგანოსთან სრულიად აშკარაა) ცქერის მნიშვნელობით.

3. ვფიქრობთ, სააზროვნო-შემეცნებით პროცეში ინტერესი ერთ-ერთი ძლიერი მოტივატორია. სწორედ ინტერესი უბიძგებს ადამიანს აზროვნებისკენ, შემეცნებისკენ. ქართულ ენაში დაცულია რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი, რომლებიც სხვადასხვა ინტენსივობის ინტერესს აღწერს: ***ნეტა მის ტვინში ჩამახედა; იმის ეშმაკი გამხადა ............. რა იქნება; იმის მკითხავი გამხადა....................... რა იქნება; მის გულში ჩამსვა; (ნეტავ) ცალი თვალით ჩამახედა*** და ა. შ.

4. მეოთხე ჯგუფში ერთიანდება ადამიანის მეხსიერების (და მასთან ურთიერთდაკავშირებული) პროცესების გადმომცემი ფრაზეოლოგიზმები. ბუნებრივია, რომ ადამიანის მიერ აღქმული ან შეგრძნობილი სინამდვილე (უფრო ზუსტად, მისი გარკვეული ნაწილი), მეხსიერებაში ინახება და შესაბამის პირობებში აქტიურდება. მეხსიერება კოგნიტური პროცესების ხერხემალია. მასთან არის დაკავშირებული ყველა დანარჩენი შემეცნებითი პროცესი.

ამ ჯგუფში შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ქვეჯგუფი:

1. სამუდამოდ, მყარად დამახსოვრება: ***ტვინში ჩაჭედვა; გულში ამოჭრა; თავიდან არ ამოსდის; გონებიდან არ ამოსდის.***

2. ამავე სემანტიკური ველის პერიფერიულ უბანზე გვხვდება შეფასება ადამიანის მეხსიერების ხარისხისა რომელიმე ნიშნის მიხედვით: ***ფოტოგრაფიული მეხსიერება აქვს; ზუსტი მეხსიერება აქვს; ცუდი მეხსიერება.***

3. ქართულ ენაში გვხვდება მეხსიერების პარალელურად გამოყენებული გონება/ტვინი-ს შემცველი ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომლებიც პრედიკატულ ფრაზეოლოგიზმებში გამოიყენება: ***საღი გონება; ნათელი გონება; კარგი ტვინი, და ა. შ.*** თავისი ანტონიმური ცალებით: ***გონებაშეზღუდული; ბატისტვინა;***

მეხსიერების/დამახსოვრების პარალელურად ქართულ ენაში გვხვდება ჯგუფი ფრაზეოლოგიზმებისა, რომლების დავიწყებას გადმოსცემს. ასეთი ფრაზეოლოგიზმები მრავალფეროვნებით გამოირჩევა, თუმცა

გრამატიკულად ყველა მათგანი ზმნურ ფრაზეოლოგიზმებს წარმოადგენს: ***ტვინიდან ამოუვარდა; თავიდან ამოუვარდა***.

ძალიან საინტერესო ჯგუფს ქმნიან ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ადრე, წინათ დამახსოვრებულის შესახებ ინფორმაციას გადმოსცემს: ***თავში უტრიალებს; ტვინში უტრიალებს; ბუნდოვნად ახსოვს.*** სურვილი, რომ დავიწყებული ინფორმაცია გაახსენოს: ***ღმერთო, გამახსენე.***

აქვე გვინდა შევეხოთ ქართულის ერთ თავისებურებას, კერძოდ, ***გულის*** (ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ ერთგვარი „ემოციური ცენტრის"; თავისთავად ემოცია კი ინტერესისა და შესაბამისად, შემეცნების მოტივატორი) კავშირი მეხსიერებასთან. ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში აშკარად იკვეთება ეს ერთიანობა. კერძოდ, ***გულის ფიცარზე აქვს ჩაწერილი; გულში აქვს ამოკვეთილი*** – კარგად ახსოვს; ***გულიდან ამოირეცხა; გულიდან ამოიჭრა*** – დაივიწყა, საინტერესო ვითარებას ასახავს.

5. წარმოსახვის გადმომცემი ფრაზეოლოგიური ერთეულები, ძირითადად გადმოსცემენ უტოპიურ, განუხორციელებელ ოცნებებს: ***ოცნების კოშკებს აგებს; ღრუბლებში დაფრინავს.***

ქართულ ენაში მოიპოვება წარმოსახვის შინაარსის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ამ თვალსაზრისით თითქოს ნეიტრალურია, ანუ მყარი შესიტყვების დონეზე არ განირჩევა, რამდენად ახლოსაა რეალობასთან, განხორციელებადია ესა თუ ის წარმოსახვა: ***თვალწინ წარმოუდგა; წინ იხედება*** (ცდილობს, წინასწარ განსაზღვროს მომავალი)***; მომავალს ჭვრეტს*** (წინასწარ აფასებს მოსალოდნელ ფაქტებს, მოვლენებს).

რეალობის არასწორად აღქმას გადმოსცემს შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები: ***ბუზს სპილოდ აქცევს; ცხოვრებას ვარდისფერი სათვალით უყურებს; სხვა განზომილებაში ცხოვრობს; უცხო პლანეტელივით იქცევა.***

6. ქართულ ენაში მრავლად წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სააზროვნო პროცესს გადმოსცემს. აზროვნება წარმოადგენს

ვასილ დავითის ძე გაბაშვილი – რუსეთის არმიის ქართველი სამხედრო მეთაური. მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. 1908 წლის 28 ნოემბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება, ხოლო 1913 წელს – გენერალ-ლეიტენანტის. 1914 წლის სექტემბრიდან 1915 წლის ივლისამდე იყო კავკასიის სროლელთა III ბრიგადის მეთაური. 1915 წლის 17 მაისის უმაღლესი ბრძანებით დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით. 1915 წლის ივლისიდან 1916 წლის აგვისტომდე იყო კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაური. 1916-1917 წლებში იყო თბილისის სამხედრო კომენდანტი, რის შემდეგაც ის დაინიშნა ახლადშექმნილი ქართული სამხედრო კორპუსის მეთაურად, შექმნა საფუძველი მომავალი საქართველოს ეროვნული არმიისათვის. შეინარჩუნა უმაღლესი სამხედრო პოსტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში.

1914 წლის 11 დეკემბერს კავკასიის მსროლელთა მესამე ბრიგადა (6 ბატალიონისა და 4 ქვემეხის შემადგენლობით, სარდალი ვ. გაბაშვილი) გადაისროლეს ოლთისის რაზმის დასახმარებლად. 16 დეკემბერს ამ შენაერთს მოუწია სამჯერ აღმატებულ ძალებთან ჭიდილი და შეძლეს მტრის დამარცხება, თუმცა მალევე გამოიძახეს ყარსის მიმართულებით X თურქული კორპუსის წინააღმდეგ. 18 დეკემბერს გენერალი გაბაშვილის დასახმარებლად სარიყამიშის რაზმიდან გაიგზავნა გენერალ ბარათაშვილის დამრტყმელი რაზმიც. ამ რაზმებმა ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მე-3 თურქული არმიის გადარჩენილი ნაწილების განადგურებაში.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი – კავალერიის გენერალი. დაიბადა ვლადიკავკაზში. 1912 წლის ნოემბერში დაინიშნა პირველი კავკასიური დივიზიის ხელმძღვანელად. ამ დივიზიასთან ერთად ჩაება ომში. თავი გამოიჩინა სარიყამიშის ბრძოლაში. მოგვიანებით მისი შენაერთი მონაწილეობას იღებს ე.წ. ევფრატის ოპერაციაში, მონაწილეობს ირანში პროგერმანული ძალების წინააღმდეგ ოპერაციაში. 1918 წლიდან სამხრეთ რუსეთის მოხალისეთა არმიაშია. 1920 წლი-

დან მიდის ემიგრაციაში. I მსოფლიო ომში მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები: წმ. გიორგის სახელობის IV ხარისხის (1916 წ.) და საპატიო ლეგიონის (1916 წ.) ორდენები.

სარიყამიშთან ბრძოლებში თავი გამოიჩინა საქართველოს ეროვნულმა გმირმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმაც. ომის დაწყებისთანავე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი მოქმედ არმიაში გაიწვიეს. ის იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე. იგი მძიმედ დაიჭრა და სამშობლოში დააბრუნეს. მოგვიანებით, თავისივე სურვილით, კავკასიის ფრონტზე გადაიყვანეს. ჩოლოყაშვილმა თავი გამოიჩინა სარიყამიშის ბრძოლაში. ციხე-სიმაგრე „არწივის ბუდეზე", რომელსაც ქაქუცა იცავდა, თურქების შეტევის შემდეგ ის კვლავ დაიჭრა. ამ ბრძოლაში ჩადენილი გმირობისთვის ის ოქროს ხმლით დააჯილდოვეს.

განკურნების შემდეგ, 1915 წელს, ქაქუცა ჩაეწერა ახალდაარსებულ ქართველ ცხენოსანთა რაზმში, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელმძღვანელობით იბრძოდა ირანში.

და ბოლოს, „როდესაც ჩვენს შტაბს მივუახლოვდით, ისხან ფაშასთან მივედი და ვუთხარი: გენერალო, მე თქვენი კორპუსი ერთი ასეულით დავატყვევე.

ისხან ფაშა (მოგვიანებით მას ისტორიკოსები თურქ კორნილოვს დაარქმევენ – ავტ.) შეცბა, გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა (მისი სახე არასოდეს დამავიწყდება), ხელი შუბლზე მიირტყა და წამოიძახა: „შაითან კაპიტან, შაითან კაპიტან"[11].

ეს მოხდა 22 დეკემბერს.

მოულოდნელი ამბისაგან ყველა (მტერიცა და მოყვარეც) გაკვირვებული დარჩა:

გენერალი იუდენიჩი იტყვის – „ეს ხომ შეუძლებელია!!!"; ხოლო გენერალი ბერხმანი თავის მოხსენებაში წერდა: „უსაზღვროდ მოხარული ვარ ჩემ ხელქვეით მყოფი ყველა წოდების სამხედროს სახელით მოვულოცო თქვენ მაღალკეთილშობილებას ესოდენ დიდი და სახელო-

[11] ტარასი ვაშაკიძის მოგონებებიდან (იხ.: დ. დათუაშვილი. სარიყამიშის გმირი ტარასი დავითის ძე ვაშაკიძე. საისტორიო მოამბე. ტ. 29-30. თბ. 1974, გვ. 534).

ვანი გამარჯვებაო“.

საქმე ეხებოდა 154-დერბენტის ქვეით კაზაკთა („Пластунский“) ათასეულის (პოლკის მეთაური – პოლკოვნიკი თავადი ნიჟარაძე) მე-14 ასეულის მებრძოლებისა და პირადად ასმეთაურის, კაპიტან ტარასი ვაშაკიძის მიერ თურქეთის III არმიის IX კორპუსის მთელი ხელმძღვანელობის დატყვევების ამბავს, რის შემდეგაც ამ ოპერაციის ბედი პრაქტიკულად გადაწყდა – რუსულ არმიებს რამდენიმე დღე დასჭირდათ IX და X საარმიო კორპუსების დარჩენილი ნაწილების გასანადგურებლად.

ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ ცნობებს ტარასი ვაშაკიძის მოგონებებიდან:

1915 წლის 22 ივლისს დერბენტის 154-ე პოლკის მე-14 ასეულის მეთაური, კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე პოლკოვნიკ ს. ესაძეს წერდა: „1914 წლის 22 დეკემბერს ასეული ათეულებად დავყავი და თურქების ბანაკისაკენ დავძარი. ვუბრძანე, სროლა არ აეტეხათ, რათა თურქები ცეცხლის მიხედვით ჩვენს რიცხობრივ სიმცირეს არ მიმხვდარიყვნენ. თავად კი მარტო გავემართე მტრის პოზიციებისკენ. როდესაც მათგან ორასიოდე ნაბიჯიღა მაშორებდა, დამტვრეული თურქულით შევძახე: „დაგვნებდით, დაყარეთ იარაღი, თორემ ყველას ამოგხოცავთ“. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან თურქი ოფიცერი მოვიდა და დამტვრეული რუსულით მითხრა: „ბატონო ოფიცერო, ყველაფერი გადაწყვეტილია. კორპუსის მეთაური გთხოვთ, რომ სისხლი არ დაიღვაროს, გნებდებით“.

ვხედავთ, ისინი ძალზე ბევრნი არიან, ყველა შეიარაღებულია, მარტო ოფიცერი 100-ზე მეტი იქნება. საჭიროა მათი განიარაღება, მე კი საკმარისი რაოდენობის ხალხი არა მყავს. მიხვდებიან ცოტანი რომ ვართ. გამოსავალს ეშმაკობაში ვხედავ, ვუახლოვდები გენერალს (როგორც შემდგომ გამოირკვა, კორპუსის სარდალს ისხან ფაშას) და ხმამაღლა ვეუბნები: – ბატონო ოფიცრებო, იარაღი შეგიძლიათ დაიტოვოთ.

გენერალი ფრანგულად მეკითხება. ვპასუხობ, რომ ვარ რუსეთის არმიის კაპიტანი, რომელსაც მათი დატყვევება აქვს დავალებული. რუსეთის არმიის ნაწილები პასუხს დაუყოვნებლივ ელიან.

– რა ძალები გყავთ? – მეკითხება გენერალი.

– აქეთ დივიზია დგას, იქით მზვერავთა ბრიგადა, აქვე კი ორი ბატალიონია ჩასაფრებული.

ამის შემდეგ მკითხა:

– საიდან ბრძანდებიო.

მეც ვუპასუხე:

– ქართველი ვარ, ქუთაისიდან[12].

– ვიცი, ვიცი ქუთაისიო. დაამატა.

– სად არიან თქვენი ოფიცრები?

– გორაკის მიღმა – გულში კი ვფიქრობ, რომ ასეულში სულ ორი პრაპორშჩიკი მყავს.

ამით ჩვენი მოლაპარაკება დასრულდა. ყველას ცხენებზე შესხდომა შევთავაზე. მე კი თავად ფეხით გავეშურე. თურქებს ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ და გენერალმა თავის სამარქაფო ცხენი შემომთავაზა. გზაში სულ ვფიქრობდი ეშმაკობა არ შემიტყონ თორემ სულ ჯოხებით გაგვრეკავენ-თქო.

ბედმა გამიღიმა. როგორც კი ხეობიდან გამოვედით, რუსეთის არმიის ჩამორჩენილი ნაწილები დავინახე.

როდესაც ჩვენს შტაბს მივუახლოვდით, ისხან ფაშასთან მივედი და ვუთხარი:

გენერალო, მე თქვენი კორპუსი ერთი ასეულით დავატყვევე.

ისხან ფაშა შეცბა, გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა (მისი სახე არასოდეს დამავიწყდება), ხელი შუბლზე მიირტყა და წამოიძახა:

– შაითან კაპიტან, შაითან კაპიტან.

ამ სიტყვების მნიშვნელობას ვერ მივხვდი და იქვე მდგომ სომეხს ვკითხე: რას ამბობსო და მანაც მითარგმნა: „შაითანი“ ეშმაკს ნიშნავსო“.

ამ ოპერაციის შედეგად ტარას ვაშაკიძის ასეულმა დაატყვევა თურქეთის III არმიის IX კორპუსის სარდალი ისხან ფაშა, სამი დივიზიის

---

[12] ტარასი ვაშაკიძე დაიბადა 1873 წლის 8 ივნისს ქუთაისის გუბერნიის ხონის უზნის სოფელ დიდ გუბში. მოგვიანებით მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქუთაისში.

მეთაური, ორი დივიზიის მეთაურის თანაშემწე, 107 ოფიცერი და 1306 ჯარისკაცი; ნადავლის სახით ხელთ იგდო 8 ბარბაზანი, 24 ტყვიამ-ფრქვევი, დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი და სხვა სახის ნადავლი.

ერთ-ერთ მოხსენებაში ტარასი ვაშაკიძე აღნიშნავდა, რომ მის ასეულს ნახევარი საათით რომ დაეგვიანებინა, თათბირზე შეკრებილი შტაბები დაიშლებოდნენო.

პირველი მსოფლიო ომის მკვლევარი, გენერალ-მაიორი ნ. კორსუნი ამ ამბების თხრობის შემდეგ აღნიშნავს, რომ „შაითან კაპიტანის" მოქმედებების შემდეგ სამხედრო სტრატეგიის სახელმძღვანელოებში შევიდა პუნქტი, რომ შტაბების მოწყობა მთიან ადგილებში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების გარეშე დაუშვებელიაო.

ამ გმირობის გარდა, ტარასი ვაშაკიძის სახელს უკავშირდება, 1914 წლის 19 დეკემბერს („შაითანობამდე" სამი დღით ადრე) 1 პოლკოვნიკის, 2 პოდპოლკოვნიკის, 3 კაპიტნის, 4 უმცროსი ოფიცრის და 182 ჯარისკაცის დატყვევებაც.

ყოველივე ამის გამო პოლკოვნიკმა ნიჟარაძემ ფრონტის სარდლობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ვაჟკაცობითა და მოხერხებულობით გამორჩეული კაპიტან ვაშაკიძის წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით დაჯილდოვების შესახებ; 1915 წლის 31 ივლისს კი ტარასი ვაშაკიძეს წერდა კავკასიის მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი, რომ ანტანტის წევრი ქვეყნის – საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის – რაიმონ პუანკარეს ბრძანებით მას მიენიჭა საფრანგეთის სამხედრო მედალი: medaille militaire.

ამ ჯილდოების გარდა, პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას სხვა ოპერაციების დროს გამოჩენილი გმირობისათვის ტარასი ვაშაკიძე დაჯილდოებული იყო წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენით ხმლითა და ბაფთით, წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით, წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით ხმლითა და ბაფთით.

1915 წლის 18 ნოემბერს ტარასი ვაშაკიძეს გიორგობის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ქ. მოგილოვში გაგზავნეს, სადაც ნიკოლოზ II-ც იმყოფებოდა. 26 ნოემბერს ამ უკანასკნელმა ქართველი კაპიტანი პირადად მიიღო და გამოჩენილი მამაცობისთვის

პოდპოლკოვნიკის ჩინი უბოძა.

1917 წლის თებერვალში რუსეთში რევოლუცია მოხდა, ნიკო-ლოზ II ტახტიდან გადადგა, ხელისუფლებაში დროებითი მთავრობა მოვიდა. რუსეთის არმია კი ბრძოლას კვლავ განაგრძობდა.

იმავე წლის მარტში ტარასი ვაშაკიძე დერბენდის 154-ე პოლკის მეთაურად დაინიშა. მალე პირველი ქართული მსროლელთა პოლკი შე-იქმნა და ტარასი უკვე მისი მეთაურის რანგში გვევლინება. 1917 წლის ნოემბრამდე იგი კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდა. ამის შემდეგ რუსეთის ჯარმა დაშლა დაიწყო. ჯარისკაცების უმეტესობა რუსეთში დაბრუნდა. თურქებთან ომს კი უკვე ამიერკავკასიის კომისარიატი განაგრძობდა.

1918 წლის 1 აპრილს ოსმალებმა ბათუმი აიღეს. მათ ბევრი სამხედრო პირი, მათ შორის პოლკოვნიკი ვაშაკიძეც დაატყვევეს[13]. რამდენიმე დღის შემდეგ თურქებმა ტყვეები ხოფას მიმართულებით წაიყვანეს. ტარასი ვაშაკიძე იცნო ერთ-ერთმა მებადრაგემ. ხმლის ქარქაში ზურგში ჩაჰკრა და შეუძახა ისხან ფაშას სიტყვები: „შაითან კაპიტან“. პატიმრებს 5-6 კილომეტრი არ ექნებოდათ გავლილი, როდე-საც კოლონას ცხენოსნები დაეწივნენ და ისინი უკან დააბრუნეს. ბა-თუმში ჩასულები კი კომენდანტმა მოულოდნელად გაათავისუფლა.

ოსმალთა ტყვეობიდან ტარასი ვაშაკიძე 24 აპრილს გათავისუფ-ლდა, 8 მაისს კი მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1918 წლის აგვისტოში, ტარასი პირველი ქართული დივიზიის მეთაურის თანაშემ-წედ დაინიშნა. ქართულ ჯარში იგი ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობამდე მსახურობდა. მეთაურობდა შენაერთებს აფხაზეთსა და სოჭის რეგიონში; ერთ ხანს იყო ტუაფსეს გენერალ-გუბერნატორი. საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ (1921 წ.) ვაშაკიძე გადადგა სამხედრო სამსახურიდან, თუმცა ქვეყანა არ დაუტოვებია და მუშაობდა ფინანსთა სახალხო კომისარიატში (1922-1932 წწ.). გარდაიცვალა 1937 წელს. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

[13] იხ. გ. საითიძე. ლეგენდარული „შაითან კაპიტანი“. ჟურნ.: „ომეგა“ – საზოგადოებრივი ჟურნალი. № 4 (აპრილი). 2001, გვ. 76.


სამხედრო ოპერაციები კავკასიაში. 1914–1918 წლებში
შავი ზღვა
კასპიის ზღვა
რუსეთის იმპერია
ოსმალეთის იმპერია
ირანი
1915
1916
1917



მარცხნიდან მეოთხე გენერალი გაბაშვილი ადიუტანტებთან ერთად








სარიყამიშის ბრძოლა.
ილუსტრაცია ა. პროხინის არქივიდან





სარიყამიშის ბრძოლა.
ილუსტრაცია ა. პროხინის არქივიდან



სარიყამიშის ბრძოლა.
ილუსტრაციაა პროხინის არქივიდან



„შაითან კაპიტანი“ - ტარასი ვაშაკიძე



მეორე რიგში მარცხნიდან მესამე კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე
ყარსი, 1914 წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

**რეცენზია**

*თედო დუნდუა*

# რეცენზია სურენ აივაზიანის ნაშრომზე – „სომხეთის ისტორიული რუკების ატლასი“*
# (С. Айвазян. Исторические карты Армении. Атлас. Ред. С. Еремян. Ереван. 2003)

ავტორის ფორმალური მიზანია V ს. სომეხი მემატიანის, მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ გეოგრაფიული ილუსტრირება. აკად. ს. ერემიანი, ამ წიგნის რედაქტორი, შედგენილ რუკებს „სომხეთის ისტორიასთან“ მიმართებაში დადებითად აფასებს. ჩვენი კომენტარი ასეთია: 1. ინფორმაცია V ს. მოღვაწე ისტორიკოს მოვსესის შესახებ წმინდა წყლის ქიმერაა, „სომხეთის ისტორიის“ ავტორი VII ს. (VI და VIII სს. ალტერნატიული ვარიანტებია) მცხოვრები ფსევდო მოვსეს ხორენაცია, მის ფალსიფიცირებულ ისტორიას კი პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნისთვის წარსულის შეთხზული სიდიადის ჩვენებით ზეენერგია უნდა შთაებერა. ანტიკური ხანის სომხეთის პროირანული პოზიცია, არშაკიდთა პართული დინასტია აქაც და იქაც, პონტოს სამეფოსთან რეალურად არსებული ალიანსი და ის, რომ პონტო-კაპადოკიასთან ერთად ნაწილობრივ ისტორიული არმენული მიწებით დაკომპლექტებულ ბიზანტიურ აღმოსავლურ პროვინციებს ადმინისტრაციულ ნომინალად უწოდეს არმენია I, II, III, IV ან თემა არმენიაკონი, ფსევდო მოვსეს ხორენაცისთვის შემდეგი დამახინჯების თეორიული საფუძველი გახდა – აზიაში არსებობდა ერთადერთი ზესახელმწიფო, არმენია, რომელიც აზიური იმპერიების პერმანენტული

* აღნიშნული ნაშრომი 2004 წ. მარტში სარეცენზიოდ გადმოგვცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

ბირთვი იყო, ირანელ და პონტოელ აქემენიდთა მსოფლიო დაპყრობები კი სომეხ მეფეებს არტაშესს და ტიგრანეს მიეწერა. სამხრეთ საქართველოს რიგი პროვინციებისა გარკვეული დროის განმავლობაში არმენიაში შედიოდა, ეს ფაქტია და ამ ფაქტს გუგარქის საპიტიახშო ერქვა, მაგრამ ის, რომ ამ ერთეულს სათავეში ედგა დარიოსის სატრაპ მითრიდატესგან მომდინარე დინასტია, უკვე ტყუილია. პონტოს სამეფოს ისტორიული დინასტია, თვით მითრიდატე ევპატორიც კი, ხორენაცმა ქართულ ეთნოკულტურაში გადმოაგდო, მათი საქმეები და რეალური სამფლობელოები კი არმენიას მიაკუთვნა. ე. ი. არმენია დიდების დღეებში აკონტროლებდა ირანს, პონტოს, კაპადოკიას, მისი გემები სერავდა ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვებს, სომხური არმიები ათენს არტყამენ ალყას და აშ. ასეთი ისტორიისთვის რუკების შედგენა თავისთავად უკვე აბსურდია. 2. ს. აივაზიანმა კი თვით ხორენაცსაც გადააჭარბა, მისთვის ხორენაცი მხოლოდ საფარია, რეალურად კი მას სურს აბსურდული ისტორიული კონიუნქტურის ვიზუალური დამკვიდრება. აკად. ს. ერემიანმა ყველაფერი ეს კარგად იცოდა, ის თავის სამეცნიერო პრესტიჟს მხოლოდ ზედაპირული განცხადებით იცავს – რუკები კარგია „სომხეთის ისტორიასთან“ მიმართებაში.

ის რომ შესრულებული სამუშაო აბსურდია და ყველა კატეგორიის წყაროებს უპირისპირდება, შემდეგი ფრაზებით აშკარაა:

გვ. 108: სომხეთი მცირე აზიაშია. აქედანვე ასულან ზემოთ რუსები და სლავური ნაციებისთვის ჩაუყრიათ საფუძველი. რუსების და სომხების ენა (მისი ზუსტი ატრიბუცია აქ მოცემული არ არის) გავრცელდა მიდიასა და ინდოეთში, მათვე შექმნეს ელინური, ლათინური, ანგლო-საქსური, ესპანური და პორტუგალიური ცივილიზაციები.

გვ. 111: სევანის ტბის მიდამოები ძველი რუსული ცივილიზაციის გენეზისის არეალია. ხორენაცმა, რა თქმა უნდა, არაფერი იცის რუსების შესახებ, ეს ეთნოკულტურა მაშინ უბრალოდ არ არსებობდა.

რუკა 12. იხ. უკან ტაბულები. ჰიქსოსი ფარაონიც კი სომეხია. თურმე ძვ. წ. XVIII ს. სომხები და რუსები ეგვიპტეში შეჭრილან, და მათ ჰიქსოსები ერქვათ. ევსევი კესარიელიც კი, „საეკლესიო ისტო-

რიის“ ავტორი, არა ბერძენი, არამედ სომეხია.

არმენო-რუსული ისტორიული პოლიტიკური ალიანსის იდეა სარეცენზიოდ წარმოდგენილ ნაშრომს წითელ ხაზად გასდევს.

ახლა უფრო დეტალურად ს. აივაზიანის ნაშრომის შესახებ. ის შესავალშივე აღნიშნავს, რომ დიდი არმენიის, მცირე არმენიის და სომხური კილიკიის ფარგლებში სომხეთი, როგორც ერთიანი ეკონომიკური და ეთნოკულტურული სივრცე, არსებობდა უკვე ძვ. წ. XIX ს. ეს არ არის სწორი. ძვ. წ. VI ს. დასუსტებული ურარტუს ტერიტორიას, რომლის ბირთვიც ვანის ტბის მიდამოებშია, დასავლეთიდან წამოსული ფრიგიული ტომები იკავებენ და აქედან იწყება არმენული სტილის და ენის, როგორც ფრიგიულისგან განსხვავებული კატეგორიის, ფორმირება. რუკების უკან მოთავსებულ ტაბულებზე ხურიტული, სემიტურ-მესოპოტამიური და თვით ელინური არტეფაქტებიც კი ტრაპეზუნტიდან სომხურად არის შერაცხული. თვით ურარტუს რეალობის კონცეფცია, რაც ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალით არის შემაგრებული, ავტორს სისულელედ მიაჩნია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. აქ თურმე თავიდანვე სომხები ყოფილან, ისევე როგორც უფრო ჩრდილოეთით, ისტორიული კოლხეთის და იბერიის ტერიტორიაზე.

მაშ, საიდან მოვიდნენ ქართველები? ამაზეც ორიგინალური პასუხია (იხ. გვ. 112). თურმე ტიგრან I გადმოუსახლებია ისინი ესპანეთიდან სომხურ პროვინცია ვირქში (სომხ. „ზემო“) დედაქალაქით ტეპლიცე („ტპხის“). ქართველებს შეუქმნიათ თავისი სოციალური და ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც იმართებოდა შორაპნიდან (!) დადიანების მიერ (!). ასეთი რამ არსად წერია. რაც შეეხება ტერმინს „ვირქ“, მისი დიალექტიკა კი ასეთია: ქართ. სპერ-ი – ბერძ. ჰესპერ – ბერძ. იბერ (იბერია) – სომხურ-ირანული ვირქ/ვირკაინა. ტრაპეზუნტი ბერძნული პოლისია. ქართული კულტურული სივრციდან მას სპერი ემიჯნება. ეს ნომინალი ელინებმა მთელ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ სისტემაზე განავრცეს. თბილისი კი წყაროებში მხოლოდ და მხოლოდ IV ს. ჩნდება. კიდევ ერთი საინტერესო ტერმინის დიალექტიკა ასეთია: მტკვარი – ბერძ. კირნოს – კურა უამრავ ეთნოკულტურაში ფონეტი-

კური ტრანსფორმაცია-რეცეპციის გზით. ს. აივაზიანმა კი ამ კონკრეტული ტერმინისთვის სომხური ეტიმოლოგია დაძებნა, ის სომხურად „დას“ უდრის. მაგრამ აქ მთავარია „მტკვარი“ და არა „კურა“, ეს უკანასკნელი დერივატია (ნაწარმოებია). რუკებზე არსად ფიგურირებს ძვ. წ. II-I ათასწლ. მიჯნაზე არსებული პირველი ქართული მცირე პოლიტიკური გაერთიანებები – დიაოხი (ტაო), კოლხა, ზაბახა (ჯავახი), ქათარზა (კლარჯი), ვიტერუხი (ოძრხე), სწორედ ესენი იყვნენ ურარტუს პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორები.

ჰიქსოსებიც და არიელებიც თურმე სომხურად საუბრობდნენ (რუკა 2. იხ. უკან ტაბულები), სომხებს მსოფლიო ცივილიზაციისთვის უჩუქებიათ ცხენი და ანბანი (რუკა 11. იხ. უკან), ურარტული ლურსმული ეპიგრაფიკული ძეგლები სომხურია, ურარტუელი დიდი მეფეები – მენუა, არგიშთი, სარდური, რუსა სომხები არიან, უფრო სწორად სომეხ-რუსები (იხ. რუკები 18-20), ქართველები სომხებს ესპანეთიდან გადმოუსახლებიათ ძვ. წ. VI ს. (იხ. რუკები 27-28), და ლამისაა მთელი მსოფლიო მათია (იხ. რუკა 33). უკვე ხორენაცის გავლენით, სომხური არტაშესიდური დინასტია (ძვ. წ. II-ახ. წ. I სს.) არშაკიდულად არის შერაცხული (იხ. რუკები 30-32), არშაკიდები კი ქვეყანას ეუფლებიან 63 წ., თანადროული კლასიკური მწერლობა ყოველივე ამას მკაფიოდ აფიქსირებს. რა საჭიროა საერთოდ ასეთი ცდომილი რუკები?! ქალაქი ტიგრანაკერტი ძვ. წ. I ს. დასაწყისში დაარსდა, ის კი რატომღაც ფიგურირებს ძვ. წ. IV-II სს. რუკაზე (იხ. რუკა 29). არმაზი კი სომხების მთავარი არსენალი ყოფილა (იხ. გვ. 114).

ასეთი აბსურდის რეცენზირება და რეცენზიის ბიბლიოგრაფიით შემაგრება დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. მას უპირისპირდება მთელი მსოფლიო აკადემიური პუბლიკაციები. სჯობს ისევ და ისევ პროსომხური ლიტერატურით მანიპულაცია კონტრარგუმენტების თვალსაზრისით.

მოვსეს ხორენაცის ფალსიფიცირებულ ისტორიასთან დაკავშირებით იხ. Г. Халатьянц. Армянские Аршакиды в «Истории Армении» Моисея Хоренского. ч. 1. Исследование. М. 1903.

საკუთრივ ს. აივაზიანის ურარტუს კატეგორიის იგნორირების და სომხური ანბანის ადრეული გენეზისის იდეის კრიტიკისთვის იხ. Акад. Б. Пиотровский. Письмо в Редакцию. Историко-Филологический Журнал. АН Арм. ССР. № 3. 1971, стр. 302-303.

ქართული ისტორიოგრაფიიდან ამ კუთხით ხორენაცის ნაშრომი განხილულია შემდეგ ნაშრომში – თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1994.

საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიისთვის კი იხ. Г. А. Меликишвили. К Истории Древней Грузии. Тб. 1959.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

## რეცენზია

*მარიკა ჯიქია*

# ქართული თურქოლოგიის ახალი ფურცელი

თურქოლოგიური ლიტერატურის სოლიდური შენაძენია გიული ალასანიას ნაშრომი – ქართველები და ისლამამდელი თურქები.

ამ საკითხით წყაროთმცოდნენი არ დაინტერესებულანო, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუმცა მონოგრაფიული კვლევის ობიექტად იგი გ. ალასანიას შესაშური ალღოთი და გულმოდგინებით იქცა: ისლამამდელ თურქულ ეთნოსებთან ქართველთა ურთიერთობა პირველად იქნა კომპლექსურად შესწავლილი, რის შედეგადაც მივიღეთ დინამიკაში მოწოდებული საქართველოს ისტორიის თითქმის ცხრასაუკუნოვანი მონაკვეთი.

ისლამამდელი თურქული ეთნოსების შემოსვლა სამხრეთ კავკასიაში არც ერთდროული იყო და არც მხოლოდ ერთი ტრაექტორიის. სამი მიგრაციული ტალღის კვალობაზე – ჰუნების, ხაზარებისა და ყივჩაყების – კვლევა სამი მიმართულებითაა გაშლილი და ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო, შესაბამისად, მოიცავს განსახილველი მოვლენის სამ ეტაპს, ხოლო ნაკვეთები მათ შესახებ თავებად აღიქმება. დასაწყისშივეა მოცემული *ქართული წერილობითი წყაროების ბუნთურქები* (თვალში ხშირად მომხვედრია ამ წერილის ციტირება). გ. ალასანია არ ექცევა გამოქვეყნებულ ნაშრომთა ავტორების გავლენის ქვეშ, და მის მიერვე მოძიებული დამატებითი წყაროების დამოუკიდებელ ინტერპრეტაციას იძლევა. ავტორის არგუმენტირებული და მართებული დასკვნა – ალექსანდრე მაკედონელამდე მოსული ბუნთურქნი გულისხმობს სკვითებს და არაფერი აქვს საერთო თურქულენოვან მასივთან (გვ. 16) – ფრიად უსიამოვნო დაურჩათ საკუთარი მოდგმის ხელოვნურად „დაძველების" მოსურნე თანამედროვე თურქ ისტორიკო-

სებს, რომლებიც ხან პელაზგებს სახავენ თავიანთ წინაპრებად, ხან – ეტრუსკებს, ხანაც – შუმერებს.

წიგნში უმთავრესია ციკლი *ქართველებისა და ისლამამდელი თურქების ურთიერთობის ისტორიიდან* (გვ. 21-86), რომელშიც შედის შემდეგი წერილები:

1. ქართველები და თურქულენოვანი ტომების პირველი გაერთიანებები კავკასიაში;
2. ვახტანგ გორგასლის ურთიერთობა ჰუნებთან: მისი გარდაცვალების თარიღი;
3. მეფობის გაუქმება ქართლში; ურთიერთობა თურქებთან VI საუკუნეში;
4. ქართველების ურთიერთობა ხაზარებთან VII-VIII საუკუნის პირველ ნახევარში.

III საუკუნიდან მოყოლებული ჰუნები არაერთხელ შემოჭრილან საქართველოს ტერიტორიაზე. ეს გახშირდა V საუკუნის პირველ ნახევარში. მათი გამოჩენის მიზეზი არცთუ იშვიათად აჯანყებული სამხრეთკავკასიელების მხარდაჭერა იყო, თუმცა იყო განსხვავებული შემთხვევებიც. ნიშანდობლივია, რომ მკვლევარი დღევანდელობის თვალსაწიერიდან ეგოდენ აქტუალური გეოპოლიტიკური ტერმინით მოიხსენიებს აჯანყებულთ (გვ. 34).

წერილებში – *საქართველო, ჰერაკლე კეისარი და მისი მოკავშირე თურქები, ქართველებისა და ბიზანტია-ხაზარების ურთიერთობა „აფხაზთა სამეფოს“ შექმნის წლებში (ლეონი), ქართველთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და ხაზართა როლი საქართველოს VIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის მოვლენებში („ქართველთა სამეფოს“ შექმნის სათავეებთან) და ყივჩაყები საქართველოში* (გვ. 87-188) – მოძიებული ფაქტების სწორი ანალიზი სავსებით სარწმუნოს ხდის დასკვნებს, ხოლო კვლევის შედეგები სხვა, შინაარსობრივად მომიჯნავე საკითხებზე მომუშავე ისტორიკოსებსაც გამოადგებათ. ვფიქრობ, ბოლო, თავისთავად საინტერესო წიაღსვლების შემცველი, წერილი – *ორბელების კავშირი თურქულ სამყაროსთან: მითი თუ რეალობა? (ბა-*

*რათაშვილების წარმომავლობისათვის)* შედარებით ნაკლებად ესადაგება წიგნის სათაურად გამოტანილ საკითხს.

წარსულის ამა თუ იმ ფურცლის შესავსებად საისტორიო კვლევა-ძიების წარმმართველი ინტერესი იყო და არის უცხოენოვანი ცნობები საკუთარი ქვეყნის შესახებ. ამ ფონზე შთამბეჭდავია ნაშრომის თითოეული ნაკვეთის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა.

ავტორმა შეძლო, მრავალი წყაროს გამოყენებისა და სპეციალური ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე, სწორად გაეშუქებინა 15 საუკუნის წინანდელი მოვლენები. ეს მოხერხდა ამ საკითხის შესახებ ქართული, ოსმალური, ებრაული, სირიული, არაბული, ბერძნული, სპარსული, სომხური, რუსული, ლათინური, აზერბაიჯანული, გერმანული, თურქული მასალის შეჯერებით. ამ მხრივ ნაშრომი სამაგალითოა მსგავსი კვლევა-ძიებისთვის.

ავტორს შეუსწავლელი არ დარჩენია ქართველებისა და ისლამამდელი თურქების ურთიერთობათა მცირე სფეროც კი.

მეცნიერი კრიტიკულად უდგება ტენდენციურ მსჯელობებს და იყენებს მხოლოდ ჭეშმარიტად სამეცნიერო პოზიციის მქონე რელევანტურ მასალას. სწორედ ამიტომ ავტორმა თავის 200-გვერდიან ნაშრომში იუნუს ზეირექი ერთხელაც არ დაიმოწმა. სხვა შემთხვევაა თურქი წყაროთმცოდნე, ფაჰრეთინ კირზიოღლუ. იგი კარგად ფლობს ოსმალურ მასალას (თუმცა – მხოლოდ ოსმალურს) და ცისფერთვალება, ქერა ყივჩაყების (!!!) სამშობლოდ სამცხეს ასახელებს იმ იმედით, რომ ეგებ ოსმალთა მიერ ძირძველი ქართული მიწების მიტაცება თურქთა (ყივჩაღთა) პირველსაცხოვრისში დაბრუნებად იქნეს აღქმული...

ავტორი ტიპოლოგიურ რაკურსში წარმოაჩენს ახალ და დღემდე ნაკლებად ცნობილ მონაცემებს და მოპოვებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე მართებულ დასკვნებს აკეთებს. საერთოდაც, გიული ალასანიას ახასიათებს გამოკვლეული მასალის ახლებურად და უაღრესად საინტერესო კონცეპტუალური სვლებით მოწოდება.

ნაკვეთების ბოლოს მოცემული დასკვნები ინგლისურ რეზიუმეშია

დაფიქსირებული.

რადგან წიგნში, ფაქტობრივად, დაუნჯებულია დიდძალი ბიბლიოგრაფიული მასალა, კარგი იქნებოდა, მასში ჩართული ყოფილიყო: ნ. ბაღათურიას, თუმცა საენათმეცნიერო შინაარსის, მაგრამ აგრეთვე ისლამამდელ თურქებთან ურთიერთობის ამსახველი სტატიები; მ. ბელთაძის წერილი – *ხაზარული ტიტულები და საკუთარი სახელები „ქართლის ცხოვრებაში“*, ვ. გოილაძის სტატია – *ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებული „თურქთა მეფე საბა“ და „ჯიბღა ერისთავი“*. ორივე წერილი ეხება ისლამამდელი თურქების უმაღლეს ხელისუფალს, ხაზართა ხაკანად წოდებულ იაბღუ//ჯაბღუ//ჯიბღას. მ. ბელთაძე მას იხსენიებს ხაზართა ამიერკავკასიაში ლაშქრობების მიმოხილვისას. ვ. გოილაძემ კი ჯუანშერისეული ჯიბღა თურქთა ერისთავის ვინაობა გაარკვია.

გიული ალასანიას ნაშრომის ფუნქციურ-ინფორმაციული სპეციფიკით არის განპირობებული ის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში შეივსო ლაკუნა: თურქ-სელჩუკების, ოსმალების, ანატოლიელი თურქების შესახებ სპეციალურ ლიტერატურას გვერდში ამოუდგა ისლამამდელი თურქების – ჰუნების, ხაზარებისა და ყივჩაყების – სამხრეთ კავკასიელებთან, უპირველესად კი ქართველებთან, ურთიერთობის ამსახველი სანიმუშო წიგნი.

**რეცენზია**

*გიორგი ჟუჟუნაშვილი*

## რეცენზია აპოლონ თაბუაშვილის ნაშრომზე – „ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის“. თბ. 2010

ჩვენ წინაშეა საინტერესო ნაშრომი, რომელიც ეძღვნება ერთი შეხედვით არაერთხელ განხილულ, თითქოსდა მრავალჯერ „ბეჭედდასმულ“ საკითხს – XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობის შესახებ.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად ყურადღება ექცევა ერეკლე II სამხედრო მოქმედებებსა და საგარეო პოლიტიკური კურსის მიმოხილვას. მეცნიერები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სოციალურ და ეკონომიკურ მიღწევებსა თუ წარუმატებლობებს. არადა, სწორედ ამ სფეროებში არსებული მდგომარეობაა ძირითადი ტენდენციების განმსაზღვრელი. ჩვენი აზრით, ნაშრომის აქტუალობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი, მრავალრიცხოვან საარქივო მასალასა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, შეეცადა აღედგინა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილი მდგომარეობა. წარმოაჩინა იმ პერიოდში, რუსეთის მიერ ამ სამეფოთა შეერთების წინ, აღმოსავლეთ საქართველოში პოლიტიკური და კულტურული განვითარების ძირითადი ნიშნულები, რითაც სცადა ჩვენს (და არა მარტო ჩვენს!) ისტორიოგრაფიაში ფესვგადგმული საქართველოს უძლურებისა და ქართველ პოლიტიკოსთა უუნარობა-უსუსურობის შესახებ არსებული მოსაზრებების გაქარწყლება. ჩვენი აზრით, ავტორმა სრულად შეძლო ჩანაფიქრის შესრულება.

რაც შეეხება თავად ნაშრომს, იგი შედგება: შესავლის, 4 თავის, მათში შემავალი 17 პარაგრაფის, დასკვნის და დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომში გამოქვეყნებულია 6 სქემა, სადაც შეჯამებულია კვლევის შედეგად ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მიღებული დასკვნები.

ნაშრომში ცალკეულ თავებად თუ პარაგრაფებად გამოტანილია მეტად საჭირბოროტო საკითხები: ცენტრალური ხელისუფლების მიერ ვაჭრობის (საშინაო და საგარეო) განვითარებისათვის გატარებული ღონისძიებები, საბაჟო შემოსავლებისა თუ სხვა ოპერაციების შედეგად მიღებული სხვა სახელმწიფო შემოსავლების შესახებ საკითხები, მანუფაქტურული წარმოებისა და ხელოსნობის განვითარება, სამეფო კარის ღონისძიებები ინტენსიური მეურნეობების განვითარებისთვის, სახასო მამულების გაფართოებისათვის. ასევე განხილულია XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს განვითარების ძირითადი პარამეტრები, ქვეყნის მოდერნიზაციისათვის გატარებული ღონისძიებები (აღწერის საქმის მოწესრიგება, საგადასახადო სისტემის, სამხედრო საქმის, სასამართლო და საპოლიციო-ადმინისტრაციული სისტემების მოწესრიგება). ავტორის ყურადღებას არ გამოპარვია სათავადოთა შიდა მფლობელობის მიმდინარე ცვლილებები.

ქართლის და კახეთის სამეფოები თეიმურაზ-ერეკლეს მეფობის დაწყებამდე ტიპურ ფეოდალურ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. ქვეყანა ფაქტიურად ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი სათავადოების კრებული იყო მხოლოდ. სუსტ სამეფო ხელისუფლებას არ გააჩნდა ძალა პროვინციებში უშუალოდ, თავადის ძალაუფლების გვერდის ავლით, განეხორციელებინა თავისი პოლიტიკა. სახელმწიფო მოუმზადებელი აღმოჩნდა ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისადმი. არსებული სიტუაციიდან თავის დაღწევის მიზნით სამეფო კარმა დაიწყო ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება. უპირველესად ყურადღება გამახვილდა ეკონომიკის განვითარებაზე. ამ საქმეში ქვეყანაში არსებული კერძო კაპიტალის პოტენციალი არასაკმარისი აღმოჩნდა. ამის გამო სამეფო კარი იქცა ამ სფერო-

ში წარმმართველ ძალად. თავის დროზე ასეთი გზა გაიარა აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანამ (რუსეთმა, პრუსიამ და სხვ.). ავტორის ჩანაფიქრით, სწორედ ამ ქვეყნებში განხორციელებული რეფორმების ანალოგიები უნდა ვეძიოთ ერეკლესეულ რეფორმებში. ქართლ-კახეთის მეფის ეკონომიკური განვითარების მოდელი სწორედ ამ სახელმწიფოთა გამოცდილებას ეყრდნობოდა.

სამეფო კარმა ვაჭრობის დონის ასამაღლებლად მრავალი ღონისძიება გაატარა. მოკლე ხანში სამეფო ხელისუფლების ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ირან-რუსეთის სავაჭრო ოპერაციებში ერეკლე II-ის ქვეშევრდომმა ვაჭრებმა წამყვანი პოზიციები დაიკავეს. ვაჭრობის განვითარება, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებას, მეორე მხრივ, ზრდიდა სახელმწიფოს შემოსავლებს.

ვაჭრობის მფარველობის პარალელურად, სამეფო ხელისუფლებამ მრეწველობის განვითარებისთვისაც დაიწყო ზრუნვა. ხელოსნური წარმოების ხელშეწყობის პარალელურად, შეიქმნა მრავალი სახელმწიფო მანუფაქტურული საწარმო – ახტალის და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის სადნობი ქარხნები, თოფხანა, ზარაფხანა, სტამბა და სხვა.

ამ და სხვა ღონისძიებების შედეგად სახელმწიფო შემოსავლები მკვეთრად გაიზარდა. პარალელურად წარმოიქმნა „ახალი ტიპის თავადაზნაურობა“, ჩნდებიან თარხანი გლეხები და სხვა სოციალური ელემენტები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მთავარ დასაყრდენად იქცნენ. ეს შესაძლებელი გახდა არა მარტო ეკონომიკური, არამედ ადმინისტრაციული და სხვა რეფორმების შედეგად:

1) ერეკლე II-მ ძირეული ცვლილება განახორციელა ქვეყნის ადმინისტრირების ისეთ საკვანძო სფეროში, როგორიც იყო აღწერა. აღწერის ცენტრალიზება აიოლებდა ქვეყნის ადმინისტრირებას, მოწესრიგდა საგადასახადო სისტემა და დაირღვა სათავადოთა ჩაკეტილი სივრცე.

2) სამხედრო რეფორმების შედეგად შეიქმნა მცირე, მაგრამ სტაბილური სამხედრო ქვედანაყოფები – „მორიგე ჯარი“, საარტილერიო

შენაერთი, მეფის მცველთა რაზმი. ამით გაიზარდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი და, იმავდროულად, სათავადოებს ჩამოართვა ჯარის განკარგვის ტრადიციული ფუნქცია.

3) XVIII საუკუნის 70-იან წლებში სათავადოებმა დაკარგეს საპოლიციო-ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტი. ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული ,,შინაგან საქმეთა უწყება‘‘ მდივანბეგებისა და ეშიკაღასბაშების მეთაურობით.

ყოველივე ამის შედეგად აზრი დაკარგა ძველი, ტრადიციული, განუყოფელი სათავადო ოჯახების არსებობამ. ხელოვნურად შენარჩუნებული საერთო მფლობელობის მიუხედავად (საამილახვრო და სამუხრანბატონო), დაიწყო დიდი სახლების მასიური რღვევა.

ჩვენ ვეთანხმებით ავტორის მოსაზრებებს. მოსაწონია ახალგაზრდა მკვლევარის შემართება და საქმისადმი მიდგომა. ნაშრომი შესრულებულია კარგი, გამართული ქართულით, ტექნიკურად თითქმის უზადოა.

თუმცა, ამის მუხედავად ავტორთან გვაქვს რამდენიმე შენიშვნასურვილი:

უპირველესად, მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნებზე გავამახვილებთ ყურადღებას – ავტორი შესავალშივე გვიცხადებს, რომ საუბარი იქნება ერეკლე მეორის კონცეფციებზე და, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები შეედარება სხვა ქვეყნებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებს, მაგრამ, შესაძლო მსგავსებაზე მინიშნებების გარდა, სამწუხაროდ, ვერაფერს ვხვდებით. მაგალითად, ნაშრომში ხშირად არის მოტანილი ინფორმაცია რუსეთში მიმდინარე რეფორმებთან მსგავსების შესახებ (ლვოვის ცნობა რუსულ უნიფორმასთან მსგავსების შესახებ, და სხვ.), მაგრამ რეალურად ეს შედარებები ზედაპირულია.

შენიშვნა გვაქვს ისტორიოგრაფიულ ნაწილთანაც: კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის, ან ზოგადად იმპერიის თუ საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსთა მიღწევების შეფასებისას ხშირად იყენებს ფრაზებს – ,,იმპერიული, იდეოლოგიური დაკვეთა‘‘. შესაძლოა ბევრგან დაეთანხმო, მაგრამ ხელაღებით და უაპელაციოდ ამის გაცხადება, ცოტა

არ იყოს, უხერხულად გვეჩვენება მაშინ, როდესაც ნაშრომში სათანადო საკითხების განხილვისას მიღებული დასკვნების დიდი ნაწილი სწორედ ამ მეცნიერთა მიღწევებს ეყრდნობა.

ვერ დავეთანხმებით ავტორს რამდენიმე საკითხში: რომ ერეკლე II რეფორმების გზას მხოლოდ რუსეთისგან იმედგაცრუების გამო დაადგა; რომ რუსეთის იმპერიის ინტერესებში არ შედიოდა ქართული ფაბრიკა-ქარხნების მფარველობა, ამიტომაც წარმოება დაეცა სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ.

არ აკონკრეტებს თოფჩების დაკომპლექტების წესს, სოციალურ საფუძველს. ალბათ, შესადარებელია თოფჩიშვილებისა და თოფჩიევების წარმოშობა-განსახლების საკითხები.

ავტორი არ იძლევა ხალვათხანისა და არმის ეშიკაღასბაშის თანამდებობების ზუსტ აღწერილობას. ასევე არამართებულად არის მოწონებული ეშიკაღასბაშთა ოდენობის ზრდა; უაპელაციოდ აქვს მიღებული ივ. სურგულაძის განმარტება კახეთში ,,ეშიკასბაშის“ (მე-6) თანამდებობის არსებობის შესახებ. ჩვენი აზრით, აქ დამატებითი განმარტებაა საჭირო.

დაბოლოს, კვლავ დავძენთ, რომ ამ შენიშვნების მიუხედავად, აპოლონ თაბუაშვილის ნაშრომი საინტერესო შენაძენია ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის და, რომ იგი კარგ მეგზურობას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ, ასევე აღიშნულ პერიოდზე მომუშავე მკვლევარებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

**რეცენზია**

*ქეთევან ნადირაძე*

# დროული წიგნი

ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვანი ფაქტორია ზოგადად ისტორიის სწორად გააზრების საქმეში, რადგან ქალაქის წარმოშობასთან, მის განვითარებასთან და ყოფასთან მრავალი საკითხია დაკავშირებული: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული.

ქალაქი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში, ეს იქნება ანტიკური, შუასაუკუნოვანი, ახალი თუ უახლესი პერიოდი. ქალაქის წარმოქმნა უშუალოდ სახელმწიფოს წარმოშობასთანაა დაკავშირებული. ქალაქს აქვს თავდაცვითი ფუნქცია, ამიტომ მასში წარმოდგენილია საერო და საკულტო ნაგებობათა მთელი კომპლექსი, რაც თავისთავად მშენებლობისა და არქიტექტურის განვითარებას უწყობს ხელს. ქალაქზე გადის მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარდა აკისრია გარე სამყაროსთან კულტურული კავშირების ფუნქციაც, რაც თავის მხრივ ქალაქს კულტურის ცენტრად აყალიბებს. ქალაქში ვითარდება ხელოსნობა, ვაჭრობა, მრეწველობა. იგი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს.

ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლის გარეშე გაჭირდება მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენების გააზრება.

ქალაქს აქვს თავისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, გააჩნია საკუთარი სამართლებრივი ბაზა, თვითმართველობა. გასათვალისწინებელია ერთიც — პირველად ქალაქში ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგა-

დოება, წარმოიშვა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რაც თანამედროვე, ბუნებრივია ფართო გაგებით, დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ამრიგად, ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიის შესწავლა აუცილებელი პირობაა ქვეყნის ისტორიის სრულყოფილი რეკონსტრუქციისათვის. ხოლო როდესაც ქალაქის ისტორიით ინტერესდები, თავის მხრივ მისი სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი გარეუბნების ისტორიის ცოდნა. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში ყოველ მსხვილ ქალაქს საკუთარი აგლომერაცია გააჩნია, რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო ინტენსიურად იზიდავს მოსახლეობას. ეს კი, თავის მხრივ, აქტიურად მოქმედებს ახლომდებარე ტერიტორიებზე. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს დედაქალაქი თბილისი წარმოადგენს. ქალაქს რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს და იგი ამ მთელი ისტორიის მანძილზე თავისი გარეუბნებით არსებობს, რომელთა დანიშნულება საუკუნეების მანძილზე ძირითადად საგარაკო ზონებს წარმოადგენს. ეს გარეუბნებია: კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, წავკისი, წყნეთი. სწორედ ამ გარეუბნების განხილვას ემსახურება ახალგაზრდა მკვლევარის ალექსანდრე ბოშიშვილის წიგნი „თბილისის გარეუბნების ისტორია“, რომელიც 2010 წელს დაისტამბა.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, გასაგები ხდება ამგვარი თემატიკის მქონე წიგნების საჭიროება. მართალია, სხვადასხვა დროს გარკვეული ნაშრომი თუ სტატია მიეძღვნა ზემოთ ჩამოთვლილი დაბების შესწავლას, მაგრამ ასე თავმოყრილად და ასეთი მრავალფეროვანი მასალის გამოყენებით პირველად ქვეყნდება. სწორედ ამიტომ, ამ პროექტის დაფინანსება ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დროულად და გამართლებულად მიგვაჩნია.

ასევე მიგვაჩნია, რომ ნაშრომი სტრუქტურულად სწორად არის აგებული. ცალკე პარაგრაფებადაა გამოყოფილი თითოეული გარეუბნის ტოპონიმები, ისტორიული ძეგლები, საკუთრივ ისტორია და ამა თუ იმ გარეუბნის მფლობელთა საგვარეულო ისტორია. აგრეთვე წარმოდგე-

ნილია აქ მოსახლე გვარების სიები. საკმაოდ ზედმიწევნით და კეთილსინდისიერად არის გამოყენებული საკითხის შესახებ არსებული მასალა: ნარატიული წყაროები, ისტორიული საბუთები, ლაპიდარული წარწერები, სამართლის ძეგლები, პრესა, საარქივო მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა. წიგნს ერთვის როგორც ინგლისური, ასევე რუსული რეზიუმე.

**რეცენზია**

*ქეთევან მანია, ნატო სონღულაშვილი*

# რეცენზია ჟურნალზე – „ქართული წყაროთმცოდნეობა“. XII. თბილისი. 2010. გამომცემლობა „უნივერსალი“. რედ. გიული ალასანია, მარიამ ჩხარტიშვილი

საქართველოში წყაროთმცოდნეობით ძიებებს ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს. „ამ მიმართულებით წარმართული საქმიანობა განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ღებულობს, როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში იქმნება საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილება. განყოფილების შექმნის თანადროულად 1965 წელს გამოდის ქართული წყაროთმცოდნეობის პირველი წიგნი და აქედან მოყოლებული სპეციალისტთა ძალისხმევით გამოცემულ იქნა „ქართული წყაროთმცოდნეობის“ თერთმეტი ტომი. კრებულში იბეჭდებოდა წყაროთმცოდნეობითი, წყაროთმცოდნეობით-ისტორიული, ისტორიოგრაფიული გამოკვლევები. 2010 წელს გამოცემული XII ტომიც აგრძელებს ამ ხაზს იმ განსხვავებით, რომ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ეს გამოცემა უკვე ჟურნალია. და შესაბამისად გამოვა გარკვეული პერიოდულობით.

ჟურნალს აქვს შემდეგი ძირითადი განყოფილებები: წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, ისტორიოგრფიული და მეთოდოლოგიური ძიებანი, სამეცნიერო თარგმანი და წყაროს პუბლიკაცია, წიგნების მიმოხილვა, ქრონიკა. ტრადიციული განყოფილებების გარდა, ჟურნალში ქვეყნდება კოლეგების და მეგობრების (მ. ჩხარტიშვილი, მ. ქადაგიძე, ე. კვაჭანტირაძე, მ. თორია, ნ. ჩიქოვანი) მოგონებები მკვლევარ ლ. პატარიძეზე, რო-

მელიც ნაადრევად გამოაკლდა სპეციალისტთა რიგებს და რომლის გამოკვლევები ახლებური მეთოდოლოგიური მიდგომით, საკითხების საინტერესო დასმით და მნიშვნელოვანი დასკვნებით გამოირჩეოდა. ჟურნალში ქვეყნდება თავად ლ. პატარიძის სტატიაც და მის ძირითად ნაშრომთა ბიბლიოგრაფია.

ჟურნალის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები იხსნება ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი გორგონა მედუზას გამოსახულებიანი ანტეფიქსების გაჩენის გარემოებებზე მსჯელობით. *ე. ავალიანი* სტატიაში „გორგონა მედუზა ვანის ნაქალაქარის კონტექსტში“ მიმოიხილავს ათენურ ვარიანტებს და მათი ვანში აღმოჩენილ ვარიანტებთან შედარებით ასკვნის, რომ ეს უკანასკნელი არ ტოვებს რაფინირებული ხელოვნების ნიმუშის შთაბეჭდილებას და პერიფერიულ ვარიანტს მოგვაგონებს. მკვლევრის თვალსაზრისით, საზოგადოდ მედუზას იკონოგრაფიის გავრცელების არეალი არ მოიცავს ელინისტური საქართველოს ტერიტორიას, ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი არტეფაქტი მხოლოდ კერძო შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური საკითხების ანალიზი ისევ და ისევ აქტუალურია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამას მოწმობს ჟურნალში გამოქვეყნებული საინტერესო სტატიები მიძღვნილი აღნიშნული ძეგლის შემადგენელი თხზულებების შესწავლისადმი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა *გ. ალასანიას* ნაშრომი „თურქ-სელჩუკებთან ქართველების ურთიერთობის ადრეული გამოცდილება“, რომელიც შეეხება „მატიანე ქართლისას“ ტექსტში გაპარული უზუსტობების კვლევას. ინფორმაციის შემოწმებას და დაზუსტებას მკვლევარი ახდენს მათ უცხოურ წყაროებთან შედარებითი ანალიზით, რის საფუძველზეც მნიშვნელოვანი დეტალებით ავსებს XI ს-ის საქართველოს ისტორიას. გ. ალასანიას დაკვირვებით, ბაგრატ IV იმდენად იმყარებს პოზიციებს, რომ აღარ ასრულებს ხარაჯის გადახდის ვალდებულებას და ახერხებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

„ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ერთ-ერთი თხზულების „ფარნავაზის ცხოვრების“ სოციოლინგვისტური საკითხების განხილვას გვთავაზობს *თ. ბოლქვაძე* წერილში „სოციოლინგვისტური ხასიათის ცნობები „მეფეთა ცხოვრებაში“: ფარნავაზ მეფე“. სახელმწიფო ენის არჩევა, რომელიც დასტურდება „ფარნავაზის ცხოვრებაში“ – ფარნავაზმა ავტორის თვალსაზრისით, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რასაც განაპირობებს ექსტრალინგვისტური ფაქტორები – ქართულ ენაზე მეტყველთა რაოდენობა იმდროინდელ ქართლში და ქართული ენის გამოყენების ხარისხი. ამას გარდა ფარნავაზის გადაწყვეტილებაში ჩანს მისი მიზანიც, ქართლში სხვა ენაზე მეტყველთა ინტეგრაცია ქართულენოვან კულტურაში. ეს არის ქართველი მეფის არქეტიპული სახე, რომელიც საფუძველს უყრის ნაციისათვის დამახასიათებელი ატრიბუტების შეძენას.

„ქართლის ცხოვრების“ მონაცემებზე მსჯელობა გრძელდება ჟურნალში გამოქვეყნებულ მომდევნო წერილშიც, რომელიც ეძღვნება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი პრობლემის, კერძოდ, ტოპონიმ „ეგრისის“ მნიშვნელობის გარკვევას. ნაშრომში “ეგრი და ეგრისი „ქართლის ცხოვრებაში“ *ვ. გოილაძე* ტრადიციული შეხედულებისაგან განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოგვიდგენს ტოპონიმ „ეგრისის“ მნიშვნელობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მკვლევარი მიჯნავს ტოპონიმის ქვეყნის და ქალაქის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს.

ქართული დიპლომატიკური ძეგლების, კერძოდ, სპეციალურ ლიტერატურაში სასისხლო სიგელებად მიჩნეული XIV-XV სს. ზოგიერთი დოკუმენტის სახეობრივი კვალიფიკაციის გადასინჯვის მცდელობა მოცემულია *ვ. არახამიას* სტატიაში „ქართული დიპლომატიკის შესწავლისათვის“. გამოკვლევაში გამოთქმულია მოსაზრება განსახილველად წარმოდგენილი მიქელაძეთა, გელაძეთა და კოტრიძეთა სიგელების სასისხლო სიგელებად მიჩნევის არამართებულობის შესახებ. მკვლევრის შეხედულებით, ეს სიგელები თავიანთი მიზანდასახულობითა და ფუნქციით იურიდიული აქტების სულ სხვა სახეობას – სასის-

ხლო საქმის გარდაწყვედილობის სიგელთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

ჟურნალის მომდევნო სტატიაში „შენიშვნები შუა საუკუნეების ბულგარეთში ძალაუფლების თაობაზე“ წარმოდგენილია ბულგარეთში სამეფო ხელისუფლების აღქმის საკითხის გარკვევა. მკვლევარი ი. ბილიარსკი მრავალფეროვან წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით წარმოაჩენს ბულგარეთში არსებულ ვითარებას ბიზანტიურ გამოცდილებასთან შეპირისპირებით, რადგან ბულგარეთი (ისევე როგორც საქართველო), როგორც ცნობილია, განეკუთვნებოდა ბიზანტიური კულტურული წრის ქვეყნებს. მისი მითითებით, გაქრისტიანების შემდგომ ბულგარეთი ძალაუფლების მემკვიდრეობის საკითხში მისდევს კონსტანტინეპოლის გზას.

ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ერთი ჯგუფი ეძღვნება ქართული იდენტობის ისტორიის წყაროების ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში შესწავლას. ”ამ ნაშრომების კვლევის ფოკუსს წარმოადგენს ქართული ერთობა ნაციონალური დადგინების სტადიაზე, კერძოდ, XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში. დღემდე ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პრობლემის შესწავლამ არაერთ ნაშრომში ჰპოვა ასახვა. გამოკვლევები უმეტესად მარქსისტულ სოციოლოგიას ემყარებოდა და, შესაბამისად, ნაციის ჩამოყალიბებაში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ობიექტივისტურ ფაქტორებს, სუბიექტივისტური ფაქტორები კი თითქმის უყურადღებოდ იყო დარჩენილი. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები არის ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსების მცდელობა: მათში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია სუბიექტივისტურ ფაქტორებზე ანუ ისტორიული მახსოვრობის, ღირებულებებისა და სიმბოლოების საზოგადოებრივ პერცეფციაზე. ნაშრომებში მოცემულია დაკვირვება ქართული ნაციონალური ნარატივის ჩამოყალიბებაზე, სოციალური ჰომოგენიზაციის პროცესის განცდაზე ერთობის წევრების მიერ და ავტონომიურობის იდეალის ფორმირებისა და ქართულ ერთობაში მის გავრცელებასა და დანერგვაზე. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს *ჩხარტიშვილისა* და *ქ. მანიას* სტატია „ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის“ ორი

თვე ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის „ივერიის“ 10 ნომრის მაგალითზე“, რომელშიც წარმოდგენილია „ივერიის“ 1878 წლის ნომრების ანალიზი; *ქ. მანიას* წერილი „ქართული ერთობა „ივერიის“ 1897 წლის ნომრების მიხედვით“, რომელიც, როგორც სათაურიდანაც ჩანს, „ივერიის“ 1897 წლის ნომრებს შეეხება და *ნ. სონღულაშვილის* სტატიაში „ბეჭდური მედია და ქართული ერთობის იდენტობის ფორმირება“. ეს უკანასკნელი 1901 წლის ნომრების ანალიზს წარმოადგენს. აღნიშნულ პუბლიკაციებში სპეციალურად შერჩეული ინდიკატორების მიხედვით „ივერიიდან“ ამოკრებილი მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია თუ როგორ ვითარდებოდა ქართული ნაციის ფორმირების პროცესი..

*ზ. კიკნაძის* სტატიაში „სამი ეტიუდი თამარის მითოსიდან“ გაანალიზებულია ხალხის ცნობიერებაში ანდრეზულად მომდინარე ცნობები თამარის შესახებ. აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით მკვლევარი გაიაზრებს თამარის როგორც პიროვნების, ასევე მისი მეფობის განმაზოგადებელ შტრიხებს. მკვლევრის შეხედულები , თამარი წარმოგვიდგება როგორც დემიურგი და ბუნების ძალთა განმგებელი, მისი ანდრეზული სამეფო მემკვიდრის შობამდე წარმოსახულია – ედემად, კაცობრიობის არსებობის სრულყოფილ ხანად, მომდევნო პერიოდი კი დროჟამის ყოვლის დამამხობელის ნიშნით, ეს იქნება ისტორიული ეპოქა თავისი უკულმართობის, თანდათანობითი ზნეობრივი და ფიზიკური დაღმასვლით.

ანასეულ „ქართლის ცხოვრებას“ დართულ „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ დაცულ ტოპონიმ „გარეშეთის“ იდენტიფიკაციის საკითხი განხილულია *დ. მერკვილაძის* სტატიაში „გარეშეთის“ გაგებისათვის „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“. „ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ მოკლე და მეტაფრასული რედაქციების ანასეული ხელნაწერის მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე მკვლევარი ვარაუდობს, რომ აღნიშნულ წყაროში ტოპონიმი „გარეშეთი“ ქართლის სამეფოს უკიდურესი აღმოსავლეთი მხარის, კამბეჩოვანის აღსანიშნავად იქნა გამოყენებული.

მომდევნო *ლ. მირიანაშვილის* წერილიც „წერილობითი წყაროები წმ. დოდო გარეჯელის თავდაპირველი განსასვენებლისა და მისი წმინდა ნაწილების გადასვენების შესახებ“ ასურელ მამათა მოღვაწეობის ისტორიის პრობლემატიკის კვლევას შეეხება. მკვლევრის მითითებით, ასურელ მამათაგან გარეჯის მონასტერში მოღვაწე წმ. დოდოს განსასვენებლის ლოკალიზაციის შესახებ წერილობით წყაროებში დაცულია წინააღმდეგობრივი მონაცემები. თავდაპირველად წმ. დოდოს ნაწილების განსასვენებელი დოდორქის მონასტერი ყოფილა, საიდანაც 1881 წელს დავითის ლავრაში დაუბრძანებიათ. მიუხედავად სასულიერო პირთა მხრიდან წმ. დოდოს ფერისცვალების ეკლესიაში დაკრძალვისათვის წინააღმდეგობის გაწევისა, წმ. დოდო გარეჯელის საბოლოო განსასვენებელი წმ. დავითის ლავრის ფერისცვალების ეკლესიაში ჰპოვეს. აღნიშნულ წინააღმდეგობრივ მონაცემებს ლ. მირიანაშვილი ხსნის იმ გარემოებით, რომ ფერისცვალების ეკლესია წმ. დავით გარეჯელის საფლავის ეკლესიაა და ამ სივრცეში სხვა წმინდანის შებრძანება მიზანშეუწონლად მიიჩნიეს.

წყაროთა წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანი ადგილების გაანალიზებით საქართველოს ისტორიის კონკრეტული პრობლემის, კერძოდ, ბაკურ იბერიელის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი დეტალებით შევსების მცდელობა მოცემულია *ნ. ნიკოლოზიშვილის* წერილში „თემისტიოსი და ბაკურ იბერიელის რომაული სამხედრო კარიერის დასაწყისი“. მკვლევარი IV ს-ის II ნახევრის პერიოდის რომის და ქართლის სამეფოს ისტორიის განხილვის და შესაბამისი წყაროების დამატებითი კვლევის საფუძველზე ადგენს, რომ IV ს-ის რომაელი ფილოსოფოსის და ისტორიკოსის თემისტიოსის მიერ ვალენტინის ზეობის ხუთი წლისთავთან დაკავშირებით 368 წელს წარმოთქმულ სიტყვაში ნახსენები უსახელო უფლისწული უნდა იყოს ბაკურ იბერიელი. მისივე მითითებით, სპარსეთის მეფეს შაპურ II-ს კავკასიაში წარმოებული საომარი მოქმედებების დროს (367-368 წლის ზამთარში) ქართლიდან გაძევებული მეფე სავრომაკეს ნაცვლად, ხელმწიფება

უნდა შეეთავაზებინა სავრომაკეს უმცროსი ძმისთვის, რაზეც უარი განუცხადებია ბაკურს და რომაელთა სამსახურში ჩამდგარა.

ჰაგიოგრაფიული თხზულების „წმ. ნინოს ცხოვრების" ერთ-ერთი აღმწერის პეროჟავრ სივნიელის ვინაობის დადგენას ეძღვნება *ლ. პატარიძის* სტატია „პეროჟავრ სივნიელის ვინაობისათვის". პეროჟავრის შესახებ ინფორმაცია დაცულია მხოლოდ და მხოლოდ „წმ. ნინოს ცხოვრების" ჭელიშური ვარიანტის შენაზარდ თავში. აღნიშნული თავის ტექსტოლოგიური ანალიზით მკვლევარი მიიჩნევდა, რომ თხზულებაში მოხსენიებული სოჯი დედოფალი და პეროჟავრ სივნიელი ერთი და იგივე პიროვნებაა, თავად ტექსტი გვიანდელია (არაუადრეს V ს-ის მიწურულისა), მაგრამ აქ გამოყენებულია უფრო ადრეული წერილობითი ტრადიცია, რომელიც სავარაუდოდ პაროჟავრ სივნიელის კალამს ეკუთვნის. ლ. პატარიძის თვალსაზრისით ტექსტში ორგზის მოხსენიებული დაბა ბოდი – ერთი ნინოს გარდაცვალების ადგილია, მეორე – პეროჟავრის მიერ შეწირული ადგილი ჰერეთში.

ქართული დოკუმენტური ძეგლის ქრონოლოგიური საკითხის განხილვა არის მოცემული *ნ. ჟღენტის* სტატიაში „მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის". ავტორი იზიარებს ს. კაკაბაძისეულ თვალსაზრისს სიგელის გაცემის თარიღის ზედა ქრონოლოგიური ზღვრის შესახებ. მაგრამ არ ეთანხმება მკვლევრის შეხედულებას ქვედა ქრონოლოგიურ ზღვართან დაკავშირებით. იგი სიგელის ტექსტოლოგიური და ისტორიული მონაცემების ურთიერთმიმართებითი ანალიზით მიიჩნევს, რომ მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი ბაგრატ VI-ის მიერ ბოძებული საბუთი 1465-1467 წლებში უნდა იყოს გაცემული.

საქართველოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილი საკითხის – პაატა ბატონიშვილის შეთქმულების უცნობ დეტალებზე არის ყურადღება გამახვილებული *ნ. ჯავახიშვილის* სტატიაში „პაატა ბატონიშვილის შეთქმულება: ისტორიის უცნობი ფურცლები". შეთქმულების მიზანი იყო ქართლის სამეფოს აღდგენა და ტახტზე უფლისწულ პაატა ვახტანგის ძის დასმა. საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის

მიმოხილვის საფუძველზე გამოკვლევაში მითითებულია, რომ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში გაცილებით მეტი ღებულობდა მონაწილეობას, ვიდრე დღემდე იყო ცნობილი. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, მონაწილე თავად-აზნაურობა მკაცრად დაისაჯა: ნაწილი ფიზიკურად მოსპეს, ნაწილი – დაასახიჩრეს, ხოლო ნაწილს წოდებები და მამულები ჩამოართვეს და გარეკახეთში გადაასახლეს.

საინტერესო ნაშრომებია წარმოდგენილი ჟურნალის ისტორიოგრაფიულ და მეთოდოლოგიური ძიებების განყოფილებაში. *ე. კვაჭანტირაძის* სტატიაში ,,სომხური მედიევალური ისტორიოგრაფიის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლები“, განხილულია შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაში ისტორიული თხზულების სტრუქტურის, მასში დაცული ისტორიული ფაქტების განლაგების თავისებურებათა განსაზღვრა. აღნიშნული თვალსაზრისით სომხური ისტორიოგრაფიის გაანალიზების შედეგად მკვლევარი ასკვნის, რომ სომხური თხზულებების ჟანრული კუთვნილება ძირითადად განაპირობებს მის სტრუქტურულ მახასიათებლებს და მიჰყვება ბიზანტიური საისტორიო მწერლობის ხაზს. ამავე რუბრიკაში დაბეჭდილ მომდევნო წერილში ,,ისტორიული მეხსიერების ცნება და სამეცნიერო პრობლემა ევროპულ ისტორიოგრაფიაში“ *ე. კვაჭანტირაძე* მიმოიხილავს ისტორიული მეხსიერების შესწავლის დარგში ევროპულ მიღწევებს. იგი აღნიშნავს, რომ საკითხის ამგვარად დასმის შემთხვევები თითქმის არ გვხვდება ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი თვალსაზრისით, ევროპული მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით ქართული წყაროების საფუძველზე ისტორიული მეხსიერების შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიას მიანიჭებს უფრო მეტად ანალიტიკურ ხასიათს და კომპარატულობასაც შესძენს მას.

ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი ახალი მიდგომის – ჰიეროტოპიის განმარტებას ისახავს მიზნად *ა. ლიდოვის* ნაშრომი ,,ჰიეროტოპია. საკრალური სივრცეების შექმნა როგორც კულტურის ისტორიის ახალი მიმართულება“. ტერმინი ჰიეროტოპია წმინდა ადგილს ნიშნავს. ეს არის, როგორც წმინდა ადგილის შემოქმედების აქ-

ტის, ისე ამ აქტის შემსწავლელი მეცნიერების აღმნიშვნელი ტერმინი. იგი ტერმინ ჰიეროფანიის ანალოგიით არის შექმნილი. ორივე შემთხვევაში წმინდა ადგილი ყურადღების ცენტრშია, მაგრამ ჰიეროფანია არის საკრალურის შემოჭრა პროფანულ სივრცეში და ამით პროფანულის საკრალიზაცია, რომელიც უფლის ჩარევით ხდება. ამ ფაქტის დამახსოვრებას ემსახურება წმინდა ადგილის დიზაინი. ამ დიზაინის ხელოვნებაა ჰიეროტოპია. წმინდა ადგილი მრავალი კომპონენტისაგან იქმნება: ფერწერა, სკულპტურა, არქიტექტურა, ლანდშაფტი. თითოეულს ცალ-ცალკე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იკვლევენ. ჰიეროტოპია ამ ყველაფერს ერთიანობაში სწავლობს. აღნიშნული მიმართულებით კვლევების ფუძემდებელი გახლავთ თავად სტატიის ავტორი.

*ნ. ჩიქოვანისა და ქ. კაკიტელაშვილის* ერთობლივ სტატიაში „1918-1921 წლების რეპრეზენტაციის დინამიკა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში“ წარმოჩენილია სასკოლო სახელმძღვანელოებში დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის საბჭოური, პოსტსაბჭოური და თანამედროვე ინტერპრეტაცია. ნაშრომში გამოკვეთილია, რომ საბჭოთა პერიოდში შემუშავებული ვერსიის მიზანი იყო საბჭოთა იდენტობისა და მეხსიერების ფორმირება. პოსტსაბჭოურ პერიოდში სახელმძღვანელოები რადიკალურად უპირისპირდებიან საბჭოთა სახელმძღვანელოებს, მკაფიოდ ვლინდება ფაქტებისა და მოვლენების შეფასებათა შეცვლა. თანამედროვე პერიოდში, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, საქართველოს წინაშე დადგა ახალი მიზანი – ქვეყნის ინტეგრაცია და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. შეიცვალა ისტორიის ზოგადი კონცეფცია, ცალკეული ნაწილების შინაარსი და სტილი. ისტორიული საფუძვლების ძიებისას, კერძოდ, 1918-21 წლების ისტორიის გადმოცემისას აქტუალური გახდა იმ ასპექტების აქცენტირება, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და სხვა თანამედროვე საკითხების ისტორიულ საფუძველს წარმოადგენდა.

ჟურნალის განყოფილებაში *სამეცნიერო თარგმანი და წყაროს პუბლიკაცია წარმოდგენილია რ. ლაბაძის* პუბლიკაცია „ეველინ პატლაჟანის ნაშრომი ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის შესახებ“, რომელშიც მოცემულია ფრანგი ბიზანტინისტის ეველინ პატლაჟანის სტატიის „ძველი ბიზანტიური ჰაგიოგრაფია და სოციალური ისტორია“ თარგმანი ქართულ ენაზე სათანადო კომენტარებით. ავტორის მიერ ნაშრომის შერჩევა სათარგმნელად ნაწილობრივ განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ეველინ პატლაჟანი ძველი ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებს იკვლევს, რომელთა ქართული თარგმანები ჩვენში უძველესი დროიდანვე არსებობდა.

აქვე გამოქვეყნებულია საგვარეულო ისტორიის ამსახველი მასალები. *მ. ქადავიძეს* სტატიაში „დეკანოზ მაკარ გაჩეჩილაძის საარქივო მასალები“ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოაქვს ცნობები მისი დეკანოზ მაკარ გაჩეჩილაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

წიგნების მიმოხილვის განყოფილებაში წარმოდგენილია რეცენზიები ახლახან გამოცემულ მონოგრაფიებზე. კერძოდ, ჟურნალში ქვეყნდება *გ. არახამიას* „გამოხმაურება ქეთევან მანიას ისტორიოგრაფიულ ნაშრომებზე“ *და ლ. ახალაძის „წყაროთმცოდნეობითი კვლევები, ისტორიოგრაფია და მეცნიერული ორიენტირები“* რეცენზიები *ქ. მანიას* ნაშრომებზე *„წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში XX ს-ის 60-იანი წლებიდან 2007 წლამდე“,* თბ., 2008; *„წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში, დოკუმენტური წყაროები“,* თბ., 2009., რეცენზენტები მიუთითებენ ისტორიოგრაფიული გამოკვლევების აუცილებლობაზე, რაც განპირობებულია ისტორიული მეცნიერების განვითარებით. სწორედ ამიტომ ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიების ფოკუსს წარმოადგენს ქართული წყაროთმცოდნეობის ისტორიის ანალიზი.

სამეცნიერო საზოგადოებისთვის წარმოდგენილი მრავალმხრივ საინტერესო მონოგრაფიების — ლ. პატარიძის „პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყარო“, ზ. კიკნაძის „ქართლი გაქრისტიანების

გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები“, მ. ჩხარტიშვილიის „ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში“ – განხილვა მოცემულია თ. ბოლქვაძის სარეცენზიო წერილში.

აღნიშნული მონოგრაფიები გაერთიანებულია სამეცნიერო სერიაში *„ქართული ერთობა და მისი იდენტობა: იდეები, სიმბოლოები, პერცეფციები“*. როგორც სერიის დასახელება მიუთითებს, ნაშრომთა კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქართული იდენტობა. რეცენზენტი აღნიშნავს სერიის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მნიშვნელოვან შედეგებს:. კერძოდ, როგორც რეცენზენტი მიუთითებს, ლ. პატარიძის მონოგრაფიაში შესწავლილია „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით IV-VIII სს. პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ვითარება, წარმოჩენილია კრებულში ასახული იდეოლოგია: ქართველთა განსხვავებული კულტურული ნიშნები, ლოიალობის ძირითადი ასპექტები, მეფობის კონცეპტის ძირითადი იდეები, კულტურული იდენტობები გაქრისტიანების კონტექსტში, ტერიტორიული კონცეფცია;

ზ. კიკნაძის ნაშრომში განხილულია კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური იდენტობები და მათი ჩართულობა ახალი ჟამის მშენებლობაში. მითითებულია ქართლის ქრისტიანიზაციის პროცესში სამი ნაკადის არსებობა – ქვეყნის წარჩინებული საზოგადოების წარმომადგენლები, ებრაული დიასპორა და „სიმრავლე ერისა“.

მ. ჩხარტიშვილის გამოკვლევაში წარმოდგენილია ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში. ნაშრომში ნაცია და მასთან დაკავშირებული ფენომენი – ეთნიე გაანალიზებულია ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია თვითსახელწოდებაზე, რომელიც კოლექტიური კულტურული იდენტობის სრულიად განსაკუთრებული მარკერია, რამდენადაც მასში აისახება ერთობის შიდა სოციალური ბმები და განხილულია ქართველთა მომაქცევლისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულება „წმ. ნინოს ცხოვრება“ ეთნიკური მარკერის მიხედვით – შიდა ჯგუფური კავშირების რაობა, ენა, რელიგია, ტერიტორიულობა, საერთო ბედი, უცხოთა პერცეფცია ჩვენ-ჯგუფის წევრების მიერ.

მომდევნო რეცენზია, კერძოდ, *მ. ქადავიძის* წერილი „ახალი იერუსალიმები. საკრალური სივრცეების ჰიეროტოპია და იკონოგრაფია. რედაქტორ-შემდგენელი ა. ლიდოვი (მოსკოვი, 2009)“. შეეხება ჰუმანიტარული მეცნიერების ზემოთ უკვე აღნიშნული ახალი მიმართულების – ჰიეროტოპიის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომების კრებულის მიმოხილვას. როგორც რეცენზიიდან ვგებულობთ, კრებულში გამოქვეყნებული რუსი და უცხოელი მკვლევრების ნაშრომები ეძღვნება კულტურის ისტორიის სრულიად ახლებური კუთხით გააზრებას. რეცენზენტისავე მითითებით, აქ წარმოდგენილი თემატიკა – შუა საუკუნეების ძეგლების შესწავლა, ბიზანტიისა და ძველი რუსეთის გამოცდილების დასავლეთ ევროპულ პრაქტიკასთან ურთიერთშეჯერებითი ანალიზი, ახალი იერუსალიმების შექმნის განხილვა ჰიეროტოპიის თეორიის კონტექსტში – უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე მეცნიერული მათოდოლოგიის განვითარებისა და მრავალი ისტორიული ფაქტის გააზრებისათვის.

*გ. არახამიას* ნაშრომის მონოგრაფიის განხილვა მოცემულია *მ. ჩხარტიშვილისა და ქ. მანიას* ერთობლივ რეცენზიაში „გონელი არახამიას „ბიჭვინტის იადგარი“ – ქართული წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენი“. ავტორთა მითითებით, სარეცენზიო ნაშრომი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა დოკუმენტური მასალის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში. წერილში გ. არახამიას ნაშრომის უმთავრეს მიღწევად მითითებულია ისტორიოგრაფიაში ნაყალბევად მიჩნეული დოკუმენტების სანდოობის საკითხის გარკვევა. როგორც რეცენზიიდან ჩანს, ამ მიზნით მონოგრაფიაში წარმოდგენილია, დოკუმენტის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი: ტექსტის სტრუქტურის, შედგენის დროსა და მიზნის წარმომავლობის კვლევა. ამ პრობლემების წარმატებით გადაჭრა მკვლევრის მიერ, რეცენზენტთა აზრით, წარმოადგენს ქართული წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვან შენაძენს, რომლის შედეგები გვეხმარება, როგორც განსახილველი ძეგლის წყაროთმცოდნეობითი შეფასებისათ-

ვის, ასევე კონკრეტული პერიოდის დასავლეთ საქართველოს საერო და საეკლესიო ისტორიის პრობლემების გადასაჭრელად.

ჟურნალის ქრონიკის განყოფილება დაინტერესებულ მკითხველს წარმოუდგენს ინფორმაციას ქართულ სინამდვილეში უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული სიმპოზიუმებისა და კონფერენციების შესახებ. 2009 წლის 21-23 ნოემბერს თბილისში ჩატარებული IV საერთაშორისო კონფერენციის „ვია ეგნატიას" შესახებ, ცნობებს გვაწვდიან მ. ჩხარტიშვილი და ს. ქადაგიშვილი. კონფერენცია ინტერდისციპლინურ ხასიათს ატარებდა. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები – ისტორიკოსები, ანთროპოლოგები, ეკონომისტები. შესაბამისად, წარმოდგენილი იყო პრობლემათა ფართო სპექტრი და მრავალფეროვანი მეთოდები. კონფერენცია "ვია ეგნატია" რეგულარულ ხასიათს ატარებს და მოიცავს ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვის აუზების, ბალკანეთის, კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონებს და ქმნის საფუძველს საერთაშორისო მრავალპროფილიანი კვლევითი და სასწავლო პროექტების მომზადებისათვის.

2010 წლის 12-13 აპრილს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმის „ბალკანეთი და კავკასია. პარალელური პროცესები ისტორიულ ბედში, მენტალობაში, კულტურაში და მომავლის ტენდენციები შავი ზღვის მოპირდაპირე სანაპიროზე" (2010 წლის 12-13 აპრილი, ბუქარესტი) შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ს. ქადაგიშვილი. სიმპოზიუმის მუშაობაში ჩართული იყვნენ მკვლევრები სხვადასხვა ქვეყნებიდან – აზერბაიჯანიდან, ამერიკიდან, ბულგარეთიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, სომხეთიდან, საბერძნეთიდან, კანადიდან. სიმპოზიუმზე იმყოფებოდნენ ქართველი მეცნიერებიც (მ.ჩხარტიშვილი, ზ. კიკვიძე, ზ. ანდრონიკაშვილი, ქ. კაკიტელაშვილი) რომლებიც საინტერესო მოხსენებებით წარდგნენ სამეცნიერო საზოგადოების წინაშე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი მწვავე პრობლემის – პოლიტიკური ამბიციების სამსახურში ჩამდგარი ისტორიული კვლევებისათვის თავისი დანიშნულების დაბრუნების საკითხებზე მსჯელო-

ბისადმი მიძღვნილი ,,ვორქშოფის ისტორიული კვლევების განვითარება საქართველოში – რა არის საჭირო“ შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან მ. ჩხარტიშვილი და გ. მაჭარაშვილი. აღნიშნული ვორქშოფი ჩატარდა შვედეთის კავკასიური სამეცნიერო ქსელის მიერ თბილისის ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში. ქრონიკა იუწყება, რომ ვორქშოფის მონაწილეების განსჯის საგანი იყო ისეთი პრობლემები, როგორიცაა ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი ტენდენციები, მთავარი გამოწვევების განსაზღვრა, უმთავრესი საჭიროებების იდენტიფიკაცია და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა.

ასეთია მოკლედ ,,ქართული წყაროთმცოდნეობის“ XII ნომრის შინაარსი. როგორც ვნახეთ, ჟურნალში წარმოდგენლი სტატიების თემატიკა და ჟანრი მრავალფეროვანია, აქ გამოქვეყნებული უცხოელ სპეციალისტთა ნაშრომები საქართველოს ისტორიის ვრცელ კონტექსტში გააზრებას უწყობს ხელს. საკმაოდ დიდია წარმოდგენილოი მასალის ქრონოლოგიური ჩარჩო. ტრადიციული მეთოდოლოგიის გვერდით ვხვდებით განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომის დანერგვის მცდელობასაც. ეს ყველაფერი, ვფიქრობთ, იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ჟურნალი ,,ქართული წყაროთმცოდნეობა“ დიდად შეუწყობს ხელს საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

**რეცენზია**

*დიმიტრი შველიძე*

## ახალი სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი
## (საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომების“ გამოქვეყნების გამო)

უკანასკნელ წლებში ჩვენს საისტორიო-სამეცნიერო სივრცეში გაიზარდა ნაბეჭდი პროდუქციის რაოდენობა. ეს გარემოება მხოლოდ იდეოლოგიური წნეხისაგან მეცნიერული აზრის განთავისუფლებას და ისტორიისადმი სიყვარულის აფეთქებას არ გამოუწვევია. იგი იმანაც განაპირობა, რომ სამსახურეობრივი თუ საგრანტო კონკურსების მოლოდინში, მეცნიერ-თანამშრომელთა შორის გაიმართა ნამდვილი მარულა ნაშრომების გამოქვეყნებაში. მიზეზი ის არის, რომ კონკურსების დროს, ხშირ შემთხვევაში, ყურადღება ექცევა ნაშრომების რაოდენობას: X-მა Z-ზე ორი ნაშრომით მეტი გამოაქვეყნა, ე. ი. X უნდა გავიდეს კონკურსში.

ამგვარი პრაქტიკის მანკიერებაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. ეს თემა იმიტომ გავიხსენეთ, რომ კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ — რა არის სამეცნიერო ნაშრომი და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი ანუ რის მიხედვით ვაპირებთ წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ნაშრომების ავკარგიანობის შეფასებას. ჩამოვთვალოთ:

I. მეცნიერული სიახლე, ახალი წყაროს, ფაქტის, მოვლენის შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში;

II. პრობლემის ახლებური ინტერპრეტაცია, ძველი შეხედულების გადასინჯვა, რაიმე პოზიციის უარყოფა და ახლის დადგენა-დასაბუთება;

III. რაიმე ზოგადი ან კონკრეტული ისტორიული მოვლენის ანალიზი და სისტემატიზაცია;

IV. ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ორგვარია თავისი ხარისხით. ერთ შემთხვევაში ხდება მეცნიერული სიახლის პრეზენტაცია, ხოლო მეორე შემთხვევაში – კარგად ცნობილი ისტორიული მოვლენის წარდგენა უცხო აუდიტორიის წინაშე, მისი პოპულარიზაცია. უკანასკნელ შემთხვევაში, პუბლიკაციის მეცნიერული ღირებულება მეორეხარისხოვანია;

V. სამეცნიერო-პოპულარული თემატიკა, რომელიც ნებისმიერი ისტორიული მოვლენის ვიწრო სამეცნიერო მნიშვნელობას საზოგადოებრივ და ხან კი პოლიტიკურ მასშტაბს აძლევს.

წინამდებარე ჟურნალში კრიტერიუმების ყველა ეს ხარისხი წარმოდგენილია. ნაშრომთა აბსოლუტური უმრავლესობა რომელიმე აღნიშნულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს და, ამდენად, წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების პირველი ნომერი წარმატებული პროექტი აღმოჩნდა. კრებულის შინაარსი მრავალფეროვანია, როგორც თემატიკის, ისე პერიოდიზაციის მიხედვით.

პირველ რიგში აღვნიშნავთ ჟურნალის საჭირო და სასარგებლო რუბრიკას: ,,საერთაშორისო პრეზენტაცია“. მასში გამოქვეყნებულია თეიმურაზ პაპასქირის (რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი: მიზეზები, შედეგები, პერსპექტივები); მარიამ ჩხარტიშვილის (წმინდანი და ქართული იდენტობის წრთობა); თედო დუნდუას (ქართული ისტორიოგრაფია: რეალობა და პერსპექტივები. ქართული თვალსაზრისი); ნათია ფიფიას (ისტორიული მეხსიერება და ქაშქების მიგრაცია დასავლეთ საქართველოში); ელენე გოგიაშვილის (ფოლკლორი და იდეოლოგია. პოლიტიზირებული ნარატიული კვლევა საქართველოში. XIX-XX საუკუნის I ნახევარი) და ქეთევან ნადირაძის (,,ქართლის ცხოვრება“ და XVIII საუკუნის ქართული წერილობითი წყაროები აზერბაიჯანის ისტორიის შესახებ) პუბლიკაციები.

იმ ნაშრომთა შორის, რომლებშიც სისტემატიზირებულია გარკვეული ნიშნის ისტორიული ეპიზოდები და უკვე გამოქვეყნებული წყაროების საფუძველზე დასაბუთებულია ესა თუ ის თვალსაზრისი, აღვნიშნავთ ანდრო გოგოლაძისა და თემურ თოდუას ერთობლივ პუბ-

ლიკაციას (ალექსანდრე მაკედონელი და კავკასია. ბერძნულ-ქართული წყაროების შედარებითი ანალიზი). ისტორიოგრაფიაში ადრე გამოთქმული ზოგადი მოსაზრების მაგიერ, ავტორები ბერძნულ-ქართული წყაროების სპეციალური კვლევისა და ანალიზის საფუძველზე გამოთქვამენ დასაბუთებულ აზრს, რომ ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის წყაროდ გარდა ფსევდოკალისთენეს რომანის „ალექსანდრიანისა" შეიძლება ვივარაუდოთ სხვა მემატიანეთა მონაცემები.

ნათია ფიფიას, ლერი თავაძის, ელენე გოგიაშვილის, ჯაბა სამუშიას, ალექსანდრე ბოშიშვილის, მიხეილ ბახტაძის, ნიკო ჯავახიშვილის, ქეთევან გოჩიტაშვილისა და გიული შაბაშვილის კვლევების შედეგად მიღებულია დასაბუთებული და საინტერესო დასკვნები, რომლებსაც ისტორიოგრაფიული ღირებულება გააჩნია, მაგალითად ის, რომ:

იპოლიტე რომაელისა და ევსევი კესარიელის ცნობებში, რომლებშიც აღწერილია ამ ავტორთა თანამედროვე რეალობა – სანიგებისა და კოლხების სახელები ფარავს სხვა ტომთა, კერძოდ, აფშილების, აბაზგების, ლაზებისა და სხვების სახელებს (ნათია ფიფია – ევსევი კესარიელისა და იპოლიტე რომაელის ცნობები I-II საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეთნოპოლიტიკური ისტორიის შესახებ);

ის რომ: ქართულ ფრესკებზე გამოსახულ მეფე-დედოფალთა მხატვრობაში საინტერესოდ აისახა სამეფო პერსონაჟთა სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა (ლერი თავაძე – საქართველოს სამეფო ოჯახის სოციალური სტატუსი XI-XVI საუკუნეების ფრესკული მხატვრობის მიხედვით);

ის რომ: ვაც-კაცის გამოსახულება XII საუკუნის თხზულების ხელნაწერში ქართული მითოლოგიის პერსონაჟთა კომპლექსურ ილუსტრაციად უნდა მივიჩნიოთ, რაც თავისთავად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა შუა საუკუნეების ქართული ფოლკლორული მასალის სიმწირის ფონზე (ელენე გოგიაშვილი – დემონური არსების („ვაც-კაცის") გამოსახულება XII საუკუნის ერთ ქართულ ხელნაწერში);

ის რომ: გარნისის ომის შესახებ ქართულ-უცხოური ცნობების მოკვლევა-შეჯერების ანალიზი ადასტურებს ივანე ათაბაგ-მხარგრძელის

კონკურენტულ ინტრიგას შალვა და ივანე ახალციხელების მიმართ, რაც ძვირად დაუჯდა მაშინდელ საქართველოს (ჯაბა სამუშია – გარნისის ბრძოლა);

ის რომ: გორულის 1615 წლის წარწერაში მოხსენიებული პირები, ახალგაზრდა მკვლევარის ალექსანდრე ბოშიშვილის მიერ მოძიებული მასალებისა და დასაბუთების მიხედვით, ადგილობრივი მფლობელები – მირიმანიძეები ანუ სომხითის მელიქის შვილები (თავადი მელიქიშვილები) უნდა იყვნენ (ალექსანდრე ბოშიშვილი – გორულის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხისათვის);

ის რომ: საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის ხელშეკრულება მნიშვნელოვანი ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენა იყო და ამ ხელშეკრულების ფონზე მართლაც ეჭვქვეშ დგება პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სამხედრო-საგარეო პოლიტიკის პრაგმატულობის საკითხი, როგორც ამას მიხეილ ბახტაძე ასაბუთებს (საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის თავდაცვითი ხელშეკრულება);

ის რომ: პრობლემის ,,ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის დროს“ კვლევა ეს ის შემთხვევაა, როდესაც ისტორიული მოვლენის შესწავლას ერთაშორისი და ამდენად გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობაც ახლავს; ამ ურთიერთობის დაფიქსირებული ეპიზოდები ამდიდრებს ქართველი და ბალტიისპირელი ხალხების ისტორიულ თანაზიარობას და კარგ გარემოს უქმნის მათ დღევანდელ სიახლოვეს (ნიკო ჯავახიშვილი – ქართულ-ბალტიური ურთიერთობა II მსოფლიო ომის დროს. 1939-1945 წწ).

დაბოლოს, ისიც რომ შედარებით ნაკლებად შესწავლილი ქართული სოციალური რეკლამის განხილვის შედეგად ირკვევა მისი თანამედროვე პროცესებთან ადეკვატურობა, რაც საფუძველს აძლევს ავტორებს, დაასკვნიან, რომ რეკლამა ასრულებს თავის ფუნქციას და გარკვეულ გავლენასაც ახდენს მოსახლეობაზე (ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი – ქართული სოციალური რეკლამა).

როგორც აღვნიშნეთ, კრიტერიუმების კატეგორიზაციის უფრო მაღალი ხარისხითაა შესაფასებელი ნაშრომები, რომლებისთვისაც და-

მახასიათებელია პრობლემის დასმა, წყაროების ან მოვლენების კონკრეტული ან თეორიული ანალიზი-განზოგადება, რაიმე თვალსაზრისის უარყოფა-დადგენა-დასაბუთება, უმეტესწილად გამოქვეყნებული წყაროების საფუძველზე და ა. შ. მხედველობაში გვაქვს ნიკოლოზ სილაგაძის, მარიამ ჩხარტიშვილის, გიორგი და თედო დუნდუას და ქეთევან პავლიაშვილის ნაშრომები. პირველი ორი ავტორის პუბლიკაცია უფრო თეორიული ანალიზისა და დასაბუთების ხასიათს ატარებს. ნიკოლოზ სილაგაძის ნაშრომი – „ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხისათვის," ცხადია, აქტუალურ და რთულ პრობლემას ეძღვნება. ამ საკითხს არაერთი გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მეცნიერი იკვლევდა. ახალგაზრდა მკვლევარი განგვიმარტავს, რომ მას ქართველური ენების თავდაპირველი გავრცელების არეალის საკითხი აინტერესებს, რომლის შესწავლაც კვლევის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებას მოითხოვს.

სტატიაში, კვლევის სხვადასხვა მიმართულების შეჯერებით, ავტორი შემდეგ დასკვნებამდე მიდის: ქართველური ენების თავდაპირველი გავრცელების არეალი შუამდინარეთის ჩრდილოეთ და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ინდოევროპელებისა კი – ჩრდილოეთ ირანსა და სამხრეთ შუა აზიაში. აქ მეზოლით-ნეოლითენეოლითის ხანაში მიმდინარეობდა ქართველურისა და ინდოევროპულის „ნოსტრატული" ენობრივი სივრციდან გამოყოფის პროცესი, რასაც მეტ-ნაკლებად დასრულებული სახე ბრინჯაოს ხანის დასაწყისისთვის მიეცა. ადრე ბრინჯაოს ხანაში იწყება ინდოევროპელების ანატოლიური ფრთის დასავლეთით გადანაცვლება, რაც მტკვარ-არაქსის კულტურის (უფრო სწორედ მისი შიდა ქართლური ვარიანტის) ფორმირების საფუძველი ხდება. ამავე პერიოდში ქართველური ტომები ჩრდილოეთ კავკასიისკენ ინაცვლებენ და მაიკოპის კულტურას ქმნიან.

მოვლენათა ამგვარი ლოგიკით, ავტორის თქმით, ადვილი გასაგები ხდება ქართველურ-შუმერული, ქართველურ-სემიტური და ქართველურ-ინდოევროპული პარალელები რამდენად გასაზიარებელია ავტორისეული წიაღსვლები ენათმეცნიერული სივრცისთვის მომავალი გვიჩ-

ვენებს. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია ის, რომ კვლევა განსახილველი „შრომების“ კრებულში წარმოსდგა და მეცნიერულ მიმოქცევაში შევიდა.

საყურადღებო კვლევა-ანალიზია განხორციელებული მარიამ ჩხარტიშვილის ნაშრომში: „ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი“. იდენტობის შესწავლა ავტორს მხოლოდ ამ ნაშრომში არ დაუწყია. მარიამ ჩხარტიშვილის პუბლიკაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პრობლემის კვლევა მიმდინარეობს ე. წ. ეთნოსიმბოლიზმის თეორიული კონცეფციის საფუძველზე. საკვლევი მასალა ავტორისათვის კარგად ცნობილი შუა საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა და ლიტერატურაა. ნაშრომი საინტერესო სურათს იძლევა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ისტორიისა და იდენტობის შესწავლისას სულ უფრო აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული დასავლურ მეცნიერებაში აპრობირებული თეორიული მიდგომები. დავამატებთ, რომ, ამ მხრივ, გასათვალისწინებელია 1900-იანი წლების ქართული პოლიტიკური აზრი, თუნდაც არჩილ ჯორჯაძის ნაწერები, რომელიც ქართული თვითცნობიერებისა და ეროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს სახელმწიფოს ანიჭებდა და დასაბუთებას ძველ წყაროებში ეძიებდა.

გიორგი და თედო დუნდუას ერთობლივ ნაშრომში – „იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი?“ – კვლევა ავტორებისათვის დამახასიათებელი საკითხის დასმის სიცხადით და კონკრეტულობით არის განხორციელებული. ნაშრომში, მრავალრიცხოვანი ქართულ-უცხოური წყაროების ანალიზის შედეგად, დასაბუთებულია, რომ გიორგი V ბრწყინვალის მეფობის პერიოდში, საქართველოში იჭრებოდა არა ეროვნული მონეტა, არამედ ილხანთა მმართველების სახელებით აღბეჭდილი მონეტები. როგორც ავტორები ასკვნიან: „იმის გამო, რომ საქართველო არ მოქცეულიყო ეკონომიკურ ბლოკადაში... მისი მესვეურები იძულებულნი იყვნენ გადაედგათ ეს ნაბიჯი. გიორგი ბრწყინვალე, როგორც თავისი დროის შესანიშნავი პოლიტიკოსი, მით უმეტეს არ დაადგებოდა საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთისაგან ეკონომიკუ-

რად მოწყვეტის გზას. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მის დროს საქართველოს ზარაფხანებში არც ერთი წელი არ შეწყვეტილა ილხანების სახელით მოჭრილი მონეტების ემისია.“

საინტერესო ცნობებია გამოვლენილი ქეთევან პავლიაშვილის ნაშრომში, რომელშიც განხილულია ასტრახან-მოზდოკის ქართული საეკლესიო ახალშენების ისტორიისათვის დამახასიათებელი ერთი საყურადღებო ტენდენცია. ირკვევა რომ ჩრდილო კავკასია-ასტრახან-მოზდოკში მცხოვრები ქართველი სამღვდელოებისადმი რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება თავდაპირველად ლოიალური იყო, მაგრამ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ის სულ უფრო უცერემონიო გახდა და ბოლოს დევნა-შევიწროებაში გადაიზარდა. (ქეთევან პავლიაშვილი — საისტორიო ცნობები რუსეთის იმპერიის დამოკიდებულებაზე ასტრახან-მოზდოკის ქართული საეკლესიო ახალშენებისადმი. XVIII საუკუნის პირველი ნახევარი).

დასასრულს, გვინდა განსაკუთრებით გამოვყოთ ჟურნალში გამოქვეყნებული ორი ნაშრომი, რომელნიც ჩვენი აზრით, მეცნიერული კვლევისათვის ზემოაღნიშნულ თითქმის ყველა ძირითად კრიტერიუმს აკმაყოფილებენ. კერძოდ, მათში მოძიებულ-გაანალიზებულია დღემდე გამოუქვეყნებელი წყარო ან წყაროები; აქედან გამომდინარე, მათზე დაყრდნობით, განხილულია და დადგენილი მეცნიერული სიახლის შემცველი ისტორიული ფაქტი-მოვლენები და ამავდროულად, საკვლევი პრობლემებიც გამოირჩევა მეცნიერული აქტუალობით. პირველ რიგში გვინდა დავასახელოთ ახალგაზრდა მკვლევარის დიმიტრი სილაქაძის ნაშრომი: „ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი)“. 1921 წლის ომის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი „სრულიად შეუსწავლელი“ იყო დღემდე. დიმიტრი სილაქაძის დამსახურებაა, რომ მან ამ ბრძოლის შესახებ შეისწავლა არა მარტო ტრადიციად ქცეული მემუარული ლიტერატურა, არამედ მოვლენის შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტები, ქართულ-რუსული არმიების გენერალთა ბრძანებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს არქივში მიკვ-

ლეული საქმე №287, რომელშიც ინახება რუსეთის XI წითელი არმიის ნაწილების საბრძოლო მოქმედებათა ჟურნალები. ყოველივე აღნიშნულმა ავტორს საშუალება მისცა ჩამოყალიბებული მეცნიერ-მკვლევარის უნარით, აღედგინა XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ამ დრამატული ეპიზოდის დეტალური სურათი.

ასეთივე წესით, მის მიერ მიკვლეული ერთ-ერთი დოკუმენტის, კერძოდ, ერეკლე მეორის ბრძანებისა და სხვა მასალების ანალიზის საფუძველზე, აპოლონ თაბუაშვილი საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ კრწანისის ბრძოლაში, ქართლ-კახეთის ლაშქრის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა ,,მორიგე ჯარი“. გარდა ამისა, ნაშრომში გამოთქმულ რამდენიმე ავტორისეულ მოსაზრებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს კრწანისის ბრძოლის მიმდინარეობისა და შეფასების საკითხისათვის (აპოლონ თაბუაშვილი – კრწანისის ბრძოლაში მონაწილე ქართული ჯარის შემადგენლობის საკითხისათვის).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ: საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ,,შრომების“ პირველი ნომერი მრავალფეროვანი თემატიკის შემცველი მნიშვნელოვანი მეცნიერული პუბლიკაციების კრებულია. მასში აღძრულია, შესწავლილია და დადგენილ-დასაბუთებულია ჩვენი ქვეყნის წარსულის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მადლობა უნდა მოვახსენოთ კრებულის შემდგენლებს, სარედაქციო კოლეგიასა და რედაქტორებს: თედო დუნდუას, მარიამ ჩხარტიშვილს და ალექსანდრე ბოშიშვილს. განსაკუთრებით გვინდა გამოვკვეთოთ ბ-ნ თედო დუნდუას დამსახურება. სწორედ იგია გამოცემის იდეის ავტორიც, ინიციატორიც და ორგანიზატორიც, რის შედეგადაც ქართველმა სამეცნიერო-საისტორიო საზოგადოებამ და მკითხველმა საინტერესო კრებული მიიღო. გზა დავულოცოთ და აღიარება ვუსურვოთ ახალ გამოცემას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

**პოლემიკა**

*მერაბ კალანდაძე*

# ივანე ჯავახიშვილის ისტორიის ფილოსოფიური ძიებების შესწავლა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ერთ საკითხს. როგორ აფასებდა ქართული ისტორიოგრაფია ივანე ჯავახიშვილის ისტორიის თეორიულ, ისტორიის ფილოსოფიურ ძიებებს. თემა არის აქტუალური და საინტერესო. აღნიშნული პრობლემა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არ ყოფილა შესწავლილი და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მასზე ორიოდე სიტყვის თქმა. ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქოს არაფერი იყოს გაკეთებული. ეს უმადურობა იქნებოდა. ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიას ჩატარებული აქვს გარკვეული სამუშაო, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ მემკვიდრეობის შეუფასებლობა ანდაც აპოლეგეტიკური მიდგომა არ ივარგებდა. ამ თემით უნდა დავიწყოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ფილოსოფიური შეხედულებების შესწავლა. წინამდებარე ნაშრომს ამ პრობლემის სრულყოფილი წარმოჩენის პრეტენზია არ გააჩნია და მხოლოდ მის ერთ ფრაგმენტს წარმოადგენს. ნიშანსვეტად, ცხადია, ავიღებთ 90-იანი წლების დასაწყისს, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი. დასრულდა ერთია მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლიის ხანა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ აღიდგინა სუვერენობა. ახლა მას შეეძლო თავისუფალი არჩევანი გაეკეთებინა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.[1]

[1] მ. კალანდაძე. ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის შესწავლის ძირითადი ეტაპები – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-

მოდით, მოკლედ გადავავლოთ თვალი წინა ისტორიას. აკად. ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობით, ისტორიულ კონცეფციით, დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 1936 წლის 23 მარტიდან – 2 აპრილამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული დისკუსია, რომლის კრიტიკული ისრები უმთავრესად მიმართული იყო აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიული კონცეფციის, მსოფლმხედველობის, წინააღმდეგ.[2] მათ არსებითად სწორედ დასვეს საკითხი, მაგრამ მარქსისტული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ვერ შეძლეს მისი მეცნიერული გადაწყვეტა. ყველაფერი თავდაყირა იქნა დაყენებული. ეს იმით გამოიხატა, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის ისტორიული კონცეფციის ძლიერი მხარეები, მის სისუსტედ იქნა გამოცხადებული. ფაქტობრივად ეს იყო დიდი ივანე ჯავახიშვილისათვის წაყენებული პოლიტიკური ბრალდება, რომელსაც არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა. ეს იყო ერთი ეტაპი.

ამის შემდეგ ამ თემისადმი ინტერესები მინელდა და ახალი გამოცოცხლება იწყება 50-იანი წლების შუა ხანებიდან ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ. კომუნისტური იდეოლოგიის ძალისხმევით აკად. ივ. ჯავახიშვილს შეექმნა იმიჯი, რომ ის იყო დიდი ერუდიტი, ბრწყინვალე ფაქტოლოგი, ემპირიკოსი, ხოლო მეთოდოლოგიის, ისტორიის ფილოსოფიის საკითხები მას თითქოსდა ნაკლებად აინტერესებდა და ძირითადად კრიტიკული მეთოდით შემოიფარგლებოდა. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში უმთავრესად ასეთი მიდგომა დომინირებდა. ივანე ჯავახიშვილის თეორიული, ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, უფრო პერიფერიულ თემად რჩებოდა, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი შეეხო ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის საკითხს,

---

მწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტი. მეორე ყოველწლიური კონფერენცია. 29 დეკემბერი. 2009.

[2] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 471. აღწერა 19. საქმე №4 და 5. ივ. ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. გამოსაცემად მოამზადეს შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა. თბ. 2004.

მაგრამ ეს მცდელობა მარქსისტული ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებს არ სცილდებოდა. განსხვავებული აზრი იდევნებოდა. არჩევანი არ არსებობდა. დღევანდელი გადასახედიდან ამ შრომების მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ,,ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს. იმ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში, რაც ამ მიმართულებით შეძლო გაეკეთებინა საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ, ალბათ, ურიგო არ უნდა ჩანდეს.

* * *

მკვეთრ ფერისცვალებას ადგილი აქვს 90-იანი წლების დასაწყისში. ასეთი სახეცვლილება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ მომხდარა და უპირატესად პოლიტიკური კატაკლიზმების ლოგიკურ შედეგად გვევლინება. ფაქტობრივად, სწორედ, აქედან იწყება აღნიშნული პრობლემებით დაინტერესების მესამე ეტაპი, რომელიც დღესაც გრძელდება. აკად. ივ. ჯავახიშვილის თეორიული ძიებების შესწავლა თვისებრივად განსხვავებულ ხასიათს იძენს და სცილდება ერთი მარქსისტული იდეოლოგიის თეორიულ ჩარჩოებს. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემატიკით დაინტერესებამ უფრო ლაღად გაშალა ფრთები და ინტენსიური გახდა. ეს ხელსაყრელი შანსი ქართულმა ისტორიოგრაფიამ ხელიდან არ გაუშვა და კარგად გამოიყენა. ეს კი მისასალმებელი უნდა იყოს.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის ისტორიის თეორიული, ისტორიის ფილოსოფიური ძიებებისადმი, ინტერესის გამოღვიძების ინიციატორად პროფ. ედუარდ კოდუა გვევლინება. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს მისი მონოგრაფია ,,ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“. ,,გადავწყვიტე მეჩვენებინა, რომ ბ-ნი ივანე არ იყო ფაქტოგრაფი, რომ მისი ისტორიული შრომები, ფაქტების დადგენასა და აღწერასთან ერთად, მათ ახსნას, გაგებას და სისტემატიზაციას მოიცავს, რომ იგი არ ყოფილა ისეთ მკვლევარი, რომელსაც არ ჰქონოდა გაცნობიერებული

ისტორიის ფილოსოფიური პრობლემატიკის მნიშვნელობა“.[3] ეს იყო თვისებრივად წინგადადგმული ნაბიჯი საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე.

პროფ. ედ. კოდუას წიგნის დადებითი მომენტებია: 1. მან წამოჭრა ფრიად საინტერესო და აქტუალური საკითხი. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი. ამით მან ფაქტობრივად დაამსხვრია ის სტერეოტიპი, რომელიც ივ. ჯავახიშვილს, როგორც ისტორიკოსს, შეექმნა კომუნისტური რეჟიმის ძალისხმევით. ხაზი გაუსვა, რომ ივანე ჯავახიშვილი სულაც არ იყო მხოლოდ კარგი ფაქტოლოგი და ემპირიკოსი და ისტორიის თეორიულ საკითხებს გულგრილად როდი ეკიდებოდა. ეს იყო ახალი მიდგომა. ამით მან სცადა გაეგრძელებინა ის ხაზი, რომელიც მონიშნულია პროფ. სერგო ჯორბენაძის წიგნში „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“.[4] 2. პროფ. ედ. კოდუას წიგნში არსებითად სწორედაა გადმოცემული ამ სფეროში ივანე ჯავახიშვილის ნააზრევი. ეს ამ მიმართულებით ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებულ კოლოსალურ შრომაზე ადეკვატურ წარმოდგენას გვიქმნის. 3. სავსებით ვეთანხმებით პროფ. ედ. კოდუას, როდესაც ის ეკამათება პროფ. ლევან სანიკიძეს,[5] რომ ივ. ჯავახიშვილი არ იყო მხოლოდ შესანიშნავი ფაქტოლოგი, დიდებული ემპირიკოსი ისტორიკოსი და ის დიდ დაინტერესებას იჩენდა ისტორიული მეცნიერების თეორიული საკითხებისადმი. მისი ნაშრომების სერია „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“[6] ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია“. 4. უნდა დავეთანხმოთ, პროფ. ედ. კოდუას, რომ „ივანე ჯავახიშვილი არასოდეს არ ყოფილა შეზღუდული ერთი რომელიმე მიმართულე-

[3] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი. თბ. 1997, გვ. 3.

[4] ს. ჯორბენაძე. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. თბ. 1984.

[5] ლ. სანიკიძე. ისტორია ნაშრომი თუ ნაწარმი. გაზ.: „სახალხო განათლება“. 19 ივლისი. 1990.

[6] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. VIII. თბ. 1977.

ბით“.[7] ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხების სიღრმე – სიფართოვით გადმოცემა გარკვეულ უკმარობის გრძნობას გვიჩენს და, ალბათ, არა მარტო ჩვენ.[8]

სავსებით მართლზომიერია, რომ ივ. ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში თავისი საქმიანობა დაიწყო წყაროების კრიტიკული განხილვის მეთოდის დანერგვით. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი. ამით მან ფაქტობრივად ქართულ სინამდვილეში დანერგა ის მოწინავე მეთოდი, რომელსაც ევროპულ ისტორიულ მეცნიერებაში საძირკველი ჩაუყარეს ბარტოლდ გეორგ ნიბურმა და ლეოპოლდ ფონ რანკემ. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი ჰიპერკრიტიკული ხომ არ იყო ეს მეთოდი. სადღეისოდ ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ გამორკვეული ჩანს. „მართალია, ივ. ჯავახიშვილი შეიძლება ზოგი ქართველი ისტორიკოსის თხზულების მიმართ ზედმეტად კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს, მაგრამ იმ დროს ისტორიოგრაფიაში გაბატონებული, საისტორიო წყაროებისადმი აბსოლუტურად უკრიტიკო დამოკიდებულების პირობებში, საისტორიო თხზულების ასეთი მკაცრი კრიტიკული დამოკიდებულების დანერგვა, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების აუცილებელი და ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო“[9] – დასძენს აკად. მარიამ ლორთქიფანიძე. ამიტომ, პროფ. ედ. კოდუას მიერ ამ თემის რეანიმაცია გამართლებული არ ჩანს და ძალიან ჰგავს ღია კარის მტვრევას.[10]

საინტერესოა, ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ადამიანის

---

[7] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 68.

[8] გ. ყორანაშვილი. ნაშრომი ივანე ჯავახიშვილის თეორიული აზროვნების შესახებ. გაზ.: „სალიტერატურო გაზეთი“. მაისი. 1998. ეს რეცენზია შევიდა მის წიგნში – „ივანე ჯავახიშვილი“ (ახლებური წაკითხვის ცდა). თბ. 1999. შემდგომში ციტირებას მოვახდენ აღნიშნული წიგნიდან.

[9] მ. ლორთქიფანიძე. რედაქტორისაგან. ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. VIII. თბ. 1977, გვ. 13.

[10] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 10.

პრობლემისადმი, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ისტორიის ქიმს იქეთ გააძევა და კლასობრივი ბრძოლის და სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების ჩრდილში მიუჩინა ადგილი. ამ საკითხის დასმა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთ დამსახურებას წარმოადგენს და მას ევროპული ისტორიოგრაფიის დონეზე ამაღლებს. აქ, მხედველობაში გვყავს ფრანგი ისტორიკოსი მარკ ბლოკი. ის თავის წიგნში „ისტორიის აპოლოგია" წერდა. „ჭეშმარიტი ისტორიკოსი ჰგავს ზღაპრულ კაციჭამიას და მან იცის, რომ იქ, სადაც ადამიანის სუნია, მას ელოდება თავისი ულუფა".[11]

სავსებით ვიზიარებთ პროფ. გ. ყორანაშვილის მოსაზრებას, რომ პროფ. ედ. კოდუა კრინტს არ ძრავს იმის თაობაზე, რომ ამ საკითხში მას ყავდა წინამორბედი და არსად არ ახსენებს პროფ. შალვა კაკულიას წიგნს „ადამიანის პრობლემა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში". ამით მას სურს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს ამ თემის წამოჭრის ინიციატორად ის გვევლინება, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა.[12] პროფ. ედ. კოდუა ასევე დუმილით უვლის გვერდს პროფ. მამია დუმბაძის და პროფ. პროკოფი რატიანის შრომებს, რომლებიც შეეხნენ ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის საკითხს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ პროფ. ედ. კოდუას წიგნს ლაიტმოტივად გასდევს წინამორბედებისადმი არაკორექტული დამოკიდებულება. ამგვარი არაკორექტული დამოკიდებულების ნიმუშად პროფ. გრ. ნათაძის ნაღვაწისადმი პროფ. ედ. კოდუას დამოკიდებულება მიგვაჩნია. როგორც ჩანს, ეს მომენტი მხედველობიდან გამორჩა პროფ. გურამ ყორანაშვილს[13]. წინამორბედებისადმი არაკორექტული დამოკიდებულება საკითხის ისტორიოგრაფიაზე ამომწურავ, სრულყოფილ, წარმოდგენას როდის გვიქმნის და პროფ. ედ. კოდუას წიგნის სერიოზულ მინუსად გვევლინება. პროფ. ედ. კოდუა თავის წიგნში საერთოდ თავს არიდებს საკითხის ისტორიოგრაფიის განხილვას, რაც ამ თემაზე მისი

[11] М. Блок. Апология истории. М. 1986, გვ. 18.
[12] გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებური წაკითხვის ცდა), გვ. 348.
[13] გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებური წაკითხვის ცდა), გვ. 349.

მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ამ პრობლემის წინ წამოწევა კარგი იქნებოდა და შინაარსობრივად გაამდიდრებს მის მონოგრაფიას.

ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს წიგნის სატიტულო ფურცელზე პროფ. ედ. კოდუას მიერ გაკეთებული განცხადება, თითქოს მისი ნაშრომი წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური შეხედულებების გაშუქების პირველ ცდას ქართულ ისტორიოგრაფიაში. რეალობა ცოტა სხვაგვარია. ივ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური ძიებებს პირველად ყურადღება მიაპყრო არა პროვ. ედ. კოდუამ, არამედ პროფ. გრიგოლ ნათაძემ. ის 1931 წელს გამოცემულ თავის წიგნში „საზოგადოებთამცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხები“[14] წინ წამოწევს ამ თემას და შეძლებისდაგვარად განიხილავს მას. უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ივ. ჯავახიშვილის ნაღვაწისადმი გრ. ნათაძის დამოკიდებულება მეტად თავისებურია. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი გასაღები პროფ. გრ. ნათაძის მსოფლმხედველობაში ძევს. პროფ. გრ. ნათაძე ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრედ გვევლინება და დიდ ივანე ჯავახიშვილის ნაღვაწს უმთავრესად ეკონომიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან განიხილავს. პროფ. გრ. ნათაძე ცდილობდა ეკონომიკური მატერიალიზმიდან მარქსიზმისაკენ ევოლუციას. აღნიშნულ თემაზე ივ. ჯავახიშვილის შეხედულებების ამგვარი ინტერპრეტაცია ცალმხრივია და მიუღებლად მიგვაჩნია.[15] შესაძლოა, პროფ. ედ. კოდუას არ მოეწონა პროფ. გრ. ნათაძის მსჯელობა, რაც, უდაოდ, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, მაგრამ ეს არ ამართლებს მის მოქმედებას და გრ. ნათაძის ნააზრევისადმი გვერდის ავლა, წაყრუება, სრული უგულვებელყოფა, მართებული არ იქნებოდა. ამ საკითხში ედ. კოდუას წინამორბედად,

[14] გრ. ნათაძე. საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხები. თბ. 1931, გვ. 82, 84.

[15] მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში. XX საუკუნის I ნახევარში. თბ. 1999, გვ. 123-126.

სწორედ, პროფ. გრ. ნათაძე გვევლინება. ამიტომ ის ვალდებული იყო განეხილა და შეეფასებინა გრ. ნათაძის შეხედულებები. ეს შინაარსობრივად გაამდიდრებდა მის წიგნს, ხოლო ავტორი მომგებიან ქულებს ჩაიწერდა. ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული. ეს ედ. კოდუას წიგნის კიდევ ერთი ნაკლია.

ვფიქრობთ, სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს პროფ. ედ. კოდუას მოსაზრება, თითქოს ისტორიის თეორიული საკითხებით დაინტერესების საქმეში „გიგო ნათაძის გვერდით, გარკვეული წვლილი ჰქონდა ივანე ჯავახიშვილსაც“[16]. ალბათ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. საკითხის ასეთი დასმა მიუღებლად მიგვაჩნია და ფაქტობრივად ყველაფერს თავდაყირა აყენებს. ასეთი მსჯელობა ნებსით თუ უნებლიეთ განაპირობებს ამ სფეროში გრ. ნათაძის წვლილის უსაშველოდ გაზვიადებას და შესაბამისად, სრულიად დაუმსახურებლად, აკნინებს ივ. ჯავახიშვილის ღვაწლს. ასეთი მიდგომა ამავე დროს ალოგიკურია. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომების სერიის – „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ – პირველი წიგნი 1916 წელს გამოვიდა, ხოლო გრ. ნათაძის წიგნი „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხები“ კი გამოიცა 1931 წელს. პროფ. ედ. კოდუა აშკარად წინააღმდეგობაში ექცევა. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, თუ ასეთი დიდი იყო გრ. ნათაძის წვლილი ისტორიული მეცნიერების ამ დარგში, რატომ არაა მითითებული გრ. ნათაძის წიგნი გამოყენებულ ლიტერატურაში და სათანადოდ არაა გარჩეული ედ. კოდუას წიგნში. ის ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო. სადაა აქ ლოგიკა?

ამ სფეროში გრ. ნათაძის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ ის დაინტერესდა ისტორიის თეორიული პრობლემებით და შეძლებისდაგვარად სცადა თავისი წვლილი შეეტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემატიკის გაშუქების საქმეში, თუმცა აქვე დავსძენთ, რომ ივ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით პროფ. გრ. ნათაძე სულ სხვა გზით წავიდა, რაზედ პროფ. ედ.

[16] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 6-7.

კოდუა კრინტს არ ძრავს.[17]

ჩვენი ღრმა რწმენით, ედ. კოდუას წიგნი აღნიშნულ საკითხზე გრ. ნათაძის მსჯელობის შემდეგ, არ წარმოადგენს სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს. თუ პროფ. გრ. ნათაძეს ივ. ჯავახიშვილის თეორიულ ნააზრევთან მიმართებაში გააჩნია საკუთარი პოზიცია, თუნდაც მიუღებელი, ედ. კოდუაზე ამას ვერ ვიტყვით. საფიქრებელი იყო, რომ ივ. ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებების გადმოცემის შემდეგ ედ. კოდუა შეეცდებოდა გამოეკვეთა, თუ როგორი იყო მისი დამოკიდებულება ივ. ჯავახიშვილის ნააზრევისადმი. ასე ლოგიკური იქნებოდა. ხაზი უნდა გაესვა, თუ რაში მდგომარეობდა ივ. ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებების ძლიერი მხარე და აეხსნა ამის მიზეზები და მიეთითებინა, თუ რა იყო, მისი თვალსაზრისით, ივ. ჯავახიშვილის კონცეფციის სუსტი მხარე და რით იყო ის გამოწვეული. პროფ. ედ. კოდუას მკაფიოდ უნდა გამოეკვეთა თავისი პოზიცია ივ. ჯავახიშვილის კონცეფციასთან მიმართებაში, მაგრამ იგი რატომღაც გაურბის ამის გაკეთებას. სავარაუდებელია, რომ მას უბრალოდ არ გააჩნია აღნიშნულ პრობლემებზე საკუთარი პოზიცია.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პროფ. გ. ყორანაშვილის მოსაზრებას: 1. ედ. კოდუას წიგნში სუსტად არის გაშუქებული ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის საკითხი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ საინტერესო თემას, სულ რაღაც ხუთი გვერდი აქვს დათმობილი, რაც, ცხადია, ძალიან ცოტაა. 2. განხილული უნდა ყოფილიყო ისტორიზმის საკითხი ივ. ჯავახიშვილის ნააზრევში. 3. ივ. ჯავახიშვილის მეთოდი არ ამოიწურებოდა მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-ფილოლოგიური მეთოდით. იგი წარმატებით იყენებდა სხვა მეთოდებსაც.[18]

დასკვნის არქონა პროფ. ედ. კოდუას წიგნის აქილევსის ქუსლია. ფაქტობრივად ღიად რჩება საკითხი, თუ რა შედეგებს მიაღწია ედ. კოდუამ ივ. ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებების შესწავლის

[17] მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში. XX საუკუნის I ნახევარში. თბ. 1999, გვ. 123-126.
[18] გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებური წაკითხვის ცდა), გვ. 346-347.

დროს. სხვათა შორის, ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე პროფ. ედ. კოდუას სხვა წიგნებში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, პროფ. გურამ ყორანაშვილის დასკვნა, ედუარდ კოდუას წიგნზე რბილად მიგვაჩნია და ჩვენ სრულიად განსხვავებული მოსაზრება გაგვაჩნია. ჩვენი ღრმა რწმენით, პროფ. ედ. კოდუას წიგნი „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი" ძლიერი ისტორიკოსის შესახებ დაწერილი სუსტი ნაშრომის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ. მას ნაკლი გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე ღირსებები. პროფ. ედ. კოდუას ცდას, შეევსო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზი, ძნელი იქნებოდა წარმატებული ვუწოდოთ.

* * *

აკად. ივანე ჯავახიშვილის თეორიულ ნააზრევს, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა პროფ. გურამ ყორანაშვილის წიგნში „ივანე ჯავახიშვილი", თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ პროფ. ედ. კოდუასაგან განსხვავებით, გ. ყორანაშვილის მიზანს არ წარმოადგენს აღნიშნული პრობლემის საგანგებოდ, სპეციალურად შესწავლა. ის ღვაწლმოსილი მეცნიერის ცხოვრებას და მოღვაწეობას იკვლევს და მრავალ საკითხს საინტერესოდ წარმოაჩენს. ეს, ცხადია, მისასალმებელი უნდა იყოს, თუმცა ახლებურად წაკითხვის პრეტენზია ამბიციურად გვეჩვენება. ეს წიგნის შინაარსში უნდა იყოს ჩადებული და არა სატიტულო ფურცელზე იქნას გამოტანილი.

პროფ. გ. ყორანაშვილის მონოგრაფიის მეორე ნაწილი სულ მთლიანად ივ. ჯავახიშვილის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ნააზრევს შეეხება. აქ ავტორი წამოჭრის ფრიად საინტერესო და აქტუალურ საკითხებს: ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის და მეთოდოლოგიის საკითხებისათვის, ისტორიულ შედარებითი მეთოდი, რეტროსპექტული მეთოდი, ობიექტივიზმი ივ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში, ინდივიდუალიზაციის საკითხი.[19] რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მისასალმებელია და პროფ. გ. ყორანაშვილის მონოგრაფიის დადებით მხარეს წარ-

[19] გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებური წაკითხვის ცდა), გვ. 151-216.

მოადგენს. აქ ეს საკითხი გაცილებით უფრო ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი, ვიდრე პროფ. ედ. კოდუას წიგნში. ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა გაცილებით მეტი ყურადღება დათმობოდა ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულებას ისტორიის ეპისტემოლოგიის (შემეცნების) პრობლემებისადმი. როგორია ისტორიის შემეცნების შესაძლებლობა და ის შემეცნებითი, ეპისტემოლოგიური, ინსტრუმენტალიები, რომლებიც ადამიანის ტვინშია მოთავსებული და როგორ შეიძლება მათი რეალიზება, გამოყენება. იყო თუ არა, რანკეს და პოზიტივისტების მსგავსად, ივ. ჯავახიშვილი პანლოგიზმის მიმდევარი, რომელიც აღიარებს წარსულის აღქმის უპრობლემობას? და თუ არ იყო, მაშინ რა პოზიცია ეკავა მას ამ საკითხში. ამ თემების გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მათი განხილვა ნაშრომს შინაარსობრივად გაამდიდრებდა და ძალიან კარგი იქნებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ალბათ, მასალის სიმცირის გამო შეიკავა ავტორმა თავი ამ პრობლემის უფრო დეტალური განხილვისაგან. როგორ უყურებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი ისტორიის მეცნიერულ სტატუსს. ეს საინტერესოა. ბევრი მკვლევარი ისტორიის მეცნიერულ სტატუსს უარყოფითად ეკიდებოდა და არ ცნობდა ისტორიის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სკეფსისი უცხო იყო დიდი ქართველი ისტორიკოსისთვის. ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა, მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, ისტორიული მეცნიერებისადმი უსაზღვრო პატივისცემის და სიყვარულის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და თავისებურ ისტორიის აპოლოგიად გვევლინება.

მისასალმებელია, რომ ავტორი ცდილობს მოძებნოს ივ. ჯავახიშვილის ადგილი ისტორიული აზროვნების ისტორიაში. თემა არის ფრიად საინტერესო და აქტუალური. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არასოდეს არ ყოფილა ერთსულოვნება და გამოთქმულია დიამეტრალურად განსხვავებული თვალსაზრისი. ერთნი ამტკიცებენ, რომ ივ. ჯავახიშვილი მიეკუთვნებოდა რანკეს სკოლას. მეორენი მასში ნეოკანტიანელების მიმდევრებს ხედავდნენ და ხაზს უსვამდნენ მის „რიკერტიანელობას“. მესამენი უფრო იმ აზრისაკენ იხრებიან, რომ ის პოზიტივისტურ ისტორიოგრაფიას მიეკუთვნებოდა. სავ-

სებით ვეთანხმებით პროფ. ედ. კოდუას, რომ „სინამდვილეში ივ. ჯავახიშვილის არასოდეს არ ყოფილა შეზღუდული ერთი რომელიმე მიმართულებით“.[20] მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის არ სარგებლობდა ევროპული ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევებით, მოწინავე მეთოდებით. რა თქმა უნდა, ივ. ჯავახიშვილმა აიღო ყველაფერი დადებითი, რაც, მისი თვალსაზრისით, ამ სკოლებს გააჩნდათ და ცადა მისი დანერგვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ისტორიული წყაროებისადმი მკაცრი მეცნიერული მეთოდის მომარჯვება ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. უსათუოდ მისასალმებელია, რომ ამ ნოვაციებისადმი ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება არ გამოირჩეოდა მიმბაძველობით და შემოქმედებით ხასიათს ატარებდა. ივ. ჯავახიშვილი თავის შემოქმედებაში დიდ ყურადღებას უთმობდა არა მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის გადმოცემას, არამედ სამართლის ისტორიას, კულტურას, სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს, მუსიკას, მევენახეობას. ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის საქართველოში დამხმარე ისტორიული დისციპლინების ჩამოყალიბების და განვითარების საქმეში. სავსებით კანონზომიერია, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ამაღლება იმდროინდელი ევროპული და რუსული ისტორიოგრაფიის დონეზე, სწორედ, დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება.

პროფ. გურამ ყორანაშვილის მოსაზრებები ივ. ჯავახიშვილის ადგილზე ევროპულ ისტორიულ აზროვნებაში საინტერესოა. ამ თემის წინ წამოწევა მისასალმებელი უნდა იყოს და მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება, მაგრამ აქ გამოთქმული შეხედულებების შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. საჭიროა, კიდევ უფრო მეტი სიაშკარავე, გამჭვირვალობა. ცხადია, მათ შეხედულებებს შორის არსებობს პრინციპული ხასიათის განსხვავება, პირველ რიგში, ეს ეხება მათ პოლიტიკურ მრწამსს, მაგრამ შეხების წერტილები გაცილებით უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია.

[20] ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 68.

რანკემ და პოზიტივისტებმა რაც გააკეთეს მსოფლიო ისტორიისათვის, უზარმაზარი ფაქტობრივი მასალის შეგროვებისა და წყაროების კრიტიკული მეთოდის დანერგვის თვალსაზრისით, იგივე გააკეთა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიისათვის. ის ფაქტი, რომ ივ. ჯავახიშვილი იმარჯვებდა კვლევის ობიექტურ მეთოდს, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და რანკეს და პოზიტივისტების გავლენის ლოგიკური შედეგია.

რანკე იმ მარადიულ იდეებს შორის, რომელიც საფუძვლად უდევს ისტორიულ პროცესს გამოყოფს სამ ფაქტორს: რელიგიას, ეკლესიას და სახელმწიფოს. განა ასე არ იქცევა დიდი ივანე ჯავახიშვილი?

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილი არ იყო რანკეს ბრმა მიმდევარი და არასოდეს არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის თხრობით.[21] როგორც ცნობილია, ის დიდ ყურადღებას უთმობდა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სხვა სფეროს.

ამგვარი მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ის, პირველ ყოვლისა, გერმანიაში ივ. ჯავახიშვილის მივლინების კეთილისმყოფელი გავლენის შედეგად მიგვაჩნია. აქ ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე: 1. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, საკითხისადმი ამგვარ მიდგომაში იმ დისკუსიის ანარეკლი მოჩანს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანულ ისტორიოგრაფიაში მე-19 საუკუნის 90-იან წლებში. მისი თავკაცი გერმანელი ისტორიკოსი კარლ ლამპრეხტი იყო. მან თავის მთავარ ნაშრომში „გერმანელი ხალხის ისტორია“ სცადა განეხორციელებინა გრანდიოზული კულტურულ-ისტორიული სინთეზი, სადაც პოლიტიკური ისტორიის თხრობასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა საზოგადოების განვითარების მრავალ სხვა უბანს: ეკონომიკა, სოციალური ყოფა, კულტურა, სულიერება. ეს იმ-

---

[21] Н. Растиславлева. От Шлоссера к Ранке. Истина или мнимая прерывность исторического знания. Диалог со временем – альманах интеллектуальной истории. вып. 4. М. 2001.

დროინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო.[22] 2. კ. ლამპრეხტის გავლენა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებების ფორმირებაზე გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ხომ არ იყო ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ კ. ლამპრეხტის „გერმანელი ხალხის ისტორიის“ ანალოგია? ამ კუთხით საკითხის შესწავლა, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და მიზანშეწონილი იქნებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გერმანიაში მივლინების დროს ივანე ჯავახიშვილი კარგად გაეცნო ამ დისკუსიას და შეეცადა გარკვეულიყო მასში. ის, რაც ევროპულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა სკოლებმა გააკეთეს, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მძიმე ჭაპანის გაწევა ერთ ადამიანს არგუნა ბედმა. მისი სიდიადე, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. რას იზამ. ასეთია პატარა ქვეყნის დიდი შვილის ხვედრი.

ჩვენ ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის სახით საქმე გვაქვს რანკეს მიმდევართან, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ კორიფესთან, რომელმაც ევროპულ დონეზე აამაღლა ქართული ისტორიოგრაფია. მისი შრომები სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ევროპული ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს.

პროფ. გურამ ყორანაშვილის წიგნში განხილულია აკად. ივ. ჯავახიშვილის ნააზრევში სოციოლოგიის საკითხები. ვფიქრობთ, გ. ყორანაშვილის წიგნში ეს თემა შედარებით ფართოდ და საინტერესოდაა განხილული, ვიდრე პროფ. ედ. კოდუას მონოგრაფიაში „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“.[23] სავსებით ვეთანხმებით პროფ. გ. ყორანაშვილს, რომ ივ. ჯავახიშვილის მეთოდი არ ამოიწურებოდა დიდი მეცნიერის და მამულიშვილის მიერ ანკეტების შედგენით ქართული სოფლებისა და სტუ-

[22] Н. Растиславлева. Рецепция творчество К. Лампрехта в Германии и в России. Диалог со временем – альманах интеллектуальной истории. вып. 14. М. 2005.

[23] შეადარეთ ედ. კოდუა. ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი, გვ. 11-35; გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებური წაკითხვის ცდა), გვ. 216-285.

დენტების შესახებ, როგორც ამას ხაზს უსვამს პროფ. ედ. კოდუა.[24]

პროფ. გ. ყორანაშვილი ჩერდება შემდეგ თემებზე: გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა, ისტორიული დემოგრაფიის საკითხები, რასის ფაქტორი, ეკონომიკური ფაქტორი, სახელმწიფოს წარმოშობა, სოციალური ფსიქოლოგიის საკითხი ივანე ჯავახიშვილის საისტორიო შემოქმედებაში. შესაძლოა, ამ თემებზე ავტორის ყველა მსჯელობა მთლად დამაჯერებელი როდი იყოს, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ამ აქტუალური საკითხების წინ წამოწევა მისასალმებელია და ღირებული უნდა ჩანდეს.

ამრიგად, პროფ. გურამ ყორანაშვილის მონოგრაფიას ივანე ჯავახიშვილზე თავისი წვლილი შეაქვს დიდი ქართველი მეცნიერის თეორიული ნააზრევის, მსოფლმხედველობის, შესწავლის საქმეში, რაც ამ სფეროში თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

* * *

საკითხის ასეთი დასმა, ივ. ჯავახიშვილი ევროპული ისტორიოგრაფიის კონტექსტში, არ არის ახალი და მან პირველად ჯერ კიდევ 30-იანი წლების შუა ხანებში იმ ავადსახსენებელი დისკუსიის დროს გაიჟღერა. ამ საკითხისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება კონიუნქტურულ ხასიათს ატარებდა და იმ დროის პოლიტიკური და იდეოლოგიური ყოფის გამოძახილს წარმოდგენდა. ივ. ჯავახიშვილის თეორიული ნაღვაწისადმი ამგვარი მიდგომა ძლიერ პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და ფაქტობრივად პოლიტიკურ ბრალდებად გვევლინებოდა. ივ. ჯავახიშვილის გამოცხადებას რანკეანელად, პოზიტივისტად და „რიკერტიანელად“ ერთი მიზანი გააჩნდა – გაეშავებინა დიდი მეცნიერი და მისთვის ბურჟუაზიული ისტორიკოსის მანტია მოესხა. ეს იმ დროისათვის დიდი ცოდვა იყო და მეტად საშიშ ბრალდებას წარმოადგენდა. „ფარა შებრუნდა და კოჭლი

[24] გ. ყორანაშვილი. ივანე ჯავახიშვილი (ახლებური წაკითხვის ცდა), გვ. 345.

ცხვარი თავში მოექცა“. „დრო იყო კოჭლი და ღირსება ნაკლად იყო გადაქცეული“. ცნობილი რუსი მწერლის, მიხეილ ბულგაკოვის თქმით „შეურაცხყოფა არის საუკეთესო ჯილდო კარგად შესრულებული სამსახურისათვის“.

დღეს აშკარად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მოხდა ამ პრობლემის რეანიმაცია და მისი შესწავლა თვისებრივად ახალ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი. მან მკვეთრად გამოკვეთილი მეცნიერული ხასიათი მიიღო და აშკარად ცილდებოდა ერთი მარქსისტული იდეოლოგიის თეორიულ ჩარჩოებს. იკვეთება საკითხისადმი მრავალვარიანტული მიდგომის პირველი სიმპტომები. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ვფიქრობთ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილი კარგად იქნებოდა გაცნობილი მის თანადროულ ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე პროცესებს, სიახლეებს, ნოვაციებს, ყოვლად წარმოუდგენელია, იმ რანგის ისტორიკოსს, როგორიც ივ. ჯავახიშვილი იყო, არ სცოდნოდა რა ხდებოდა მის თანადროულ ისტორიულ მეცნიერებაში. ივ. ჯავახიშვილის შემოქმედება იზოლირებული არ გახლდათ და მჭიდრო კავშირში იყო იმ ეპოქის ისტორიული აზროვნების განვითარების ძირითად ტენდენციებთან.

ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს პროფ. ნათელა ვაჩნაძის ნაშრომი „ივანე ჯავახიშვილი მისი დროის ევროპული საისტორიო აზროვნების კონტექსტში“.[25] ავტორი გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას, რომ ივ. ჯავახიშვილი იცნობდა ფრანგი ისტორიოსების შარლ ლანგლუას და შარლ სენიობოსის წიგნს „ისტორიული მეცნიერების შესავალი“ და მასზე დადებითი აზრის იყო. ისტორიკოსების დამოკიდებულება ამ წიგნისადმი ერთგვაროვანი არასოდეს ყოფილა და სე-

[25] ნ. ვაჩნაძე. ივანე ჯავახიშვილი მისი დროის ევროპული საისტორიო აზროვნების კონტექსტში. კრებ.: მიძღვნილი თამარ გამსახურდიას 70 წლისთავისადმი. თბ. 2007.

რიოზული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. პოზიტივისტების მომხრეები ამ წიგნისადმი კეთილგანწყობილი ჩანან, ხოლო მოწინააღმდეგეები პირიქით, მასზე მეტად დაბალი აზრის არიან. როგორც ერთი რეცენზენტი აღნიშნავდა „ეს იყო პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ბიბლია“.[26] ცნობილმა ინგლისელმა სწავლულმა რობინ ჯორჯ კოლინგვუდმა ამ წიგნს პირდაპირ სასტიკი განაჩენი გამოუტანა და მასში „მეცნიერული აზროვნებამდელი პროდუქტი“ დაინახა. როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილი ამ წიგნის მომხრეების რიგებს უნდა მივაკუთვნოთ. ასეთი თვალსაზრისი საკამათო შეიძლება იყოს, მაგრამ მას აქვს არსებობის უფლება და იმდროინდელ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მრავალი მომხრეები ყავდა.

ძალიან ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ ივ. ჯავახიშვილი გაცნობილი არ ყოფილიყო ისტორიული მეცნიერების ამ თვალსაჩინო მიღწევას. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ კარგად იყო ჩახედული ივ. ჯავახიშვილი მის თანადროულ ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე პროცესებში. ამან მისცა მას საშუალება ქართული ისტორიოგრაფია მიეახლოებინა ევროპული ისტორიული აზროვნებისათვის. მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

* * *

ამრიგად, პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ უახლესმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეძლო გაექარწყლებინა კომუნისტური იდეოლოგიის ძალისხმევით ჩამოყალიბებული მარქსისტული სტერეოტიპი თითქოსდა ივანე ჯავახიშვილი იყო შესანიშნავი ემპირიკოსი, ფაქტოლოგი ისტორიკოსი, რომელსაც ისტორიის თეორიული საკითხები ნაკლებად აინტერესებდა. ამგვარი შეხედულება საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. წინსვლა, პროგრესი აშკარაა და ეს ცხადია, ძალიან კარგია. უსათუოდ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ თბილი-

[26] О. Вайнштеин, Очерки развития буржуазной философии и методологии истории в. XIX-XX веках. Л. 1979.

სის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისი პირველი ლექციის თემად მან აირჩია არა საქართველოს ემპირიული ისტორიიდან, არამედ ისტორიის ფილოსოფიის რთულ პრობლემას შეეჭიდა, ,,ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო და საფილოსოფოსო მწერლობაში". საინტერესოა აღინიშნოს, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილი საკმაოდ მაღალი აზრის ჩანდა ისტორიის ფილოსოფიაზე და ისტორიის მეთოდოლოგიაზე და მიზანშეწონილად მიაჩნდა საისტორიო დარგებისათვის ამ საგნების უცილობლად სწავლება.[27] ივ. ჯავახიშვილს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ამ დარგების შესწავლის მნიშვნელობა ისტორიკოსის პროფესიული ფორმირების საქმეში. მისთვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. საკმაოდ ფართო გეგმები ჰქონდა მას წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით და, როგორც ჩანს, ამ დარგში საკმაოდ სერიოზული ჩანაფიქრი გააჩნდა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მან ამ განზრახვას ბოლომდე განხორციელება ვერ მოასწრო. ,,ივ. ჯავახიშვილს, როგორც ჩანს, ჩაფიქრებული ჰქონდა ,,ისტორიის მეთოდოლოგიის და ფილოსოფიის" დაწერა, რისთვისაც საგანგებო განკუთვნილ ყდაში აგროვებდა ამ საკითხებთან დაკავშირებულ მასალას. დაწერილი დარჩა მხოლოდ ,,ზოგადი შესავალი" და შედარებითი მეთოდის შესახებ"[28]. მიუხედავად ხარვეზებისა, სირთულეებისა, სიძნელეების შეიძლება ითქვას, რომ ყინული ნელ-ნელა დაიძრა. ეს, ცხადია, მისასალმებელი უნდა იყოს. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება და გაღრმავება მიზანშეწონილი იქნებოდა.

---

[27] რ. მეტრეველი. ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი. თბ. 1975.

[28] ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა. თბ. 1976, გვ. 13.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

## პოლემიკა

*ჯაბა სამუშია*

# კიდევ ერთხელ თამარ მეფის საფლავის შესახებ

2011 წლის 17 თებერვალს ტელეკომპანია „რეალ TV"-ს ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომელშიც ახალგაზრდა მკვლევარი თ. კენკებაშვილი და პროფ. იულონ გაგოშიძე ბრალს მდებდნენ სამეცნიერო ეთიკის დარღვევაში. თითქოსდა 2010 წელს გამოსულ ჩემს წიგნში „თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება"-ში ის აზრია გატარებული, რაც მანამდე დაბეჭდილ, თ. კენკებაშვილის ბროშურაში ყოფილა დაფიქსირებული. საქმე ეხება თამარის საფლავის სავარაუდო ადგილმდებარეობას. სიუჟეტში იულონ გაგოშიძე აღნიშნავს: „თ. კენკებაშვილი ამბობს, რომ თამარი წმინდანად შერაცხვის შემდეგ ამოიღეს საფლავიდან და საკურთხეველში გადაასვენეს. ამას კი ჯაბა სამუშია თავის წიგნში აღარ უთითებსო." თ. კენკებაშვილმა კი დასძინა: „ჯ. სამუშია ჩემს მსგავსად ამბობს, რომ თამარი უნდა გადაესვენებინათ წმინდანად შერაცხის შემდეგ საკურთხეველში ან საკურთხეველთან ახლოს."[1]

ამ მოვლენის შემდეგ გაზეთ „რეზონანსში" დაიბეჭდა ბატონ კენკებაშვილის სტატია „სამეცნიერო დავად ქცეული გაუგებრობა". თავად სათაურის ამბიციურობაზე არაფერს მოგახსენებთ (რა სამეცნიერო დავაზეა საუბარი?! ახალგაზრდა კაცმა თავის გამოჩენა მოიწადინა და ამას „სამეცნიერო დავა" დაარქვა), მხოლოდ ავტორისეულ განმარტე-

[1] ამ საკითხზე ქვემოთ საგანგებოდ ვისაუბრებთ, მაგრამ აქ მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ დეტალზე. თ. კენკებაშვილმა თამარის საკუთხეველში დაკრძალვის შესახებ პირველად თავისი პოზიცია დააფიქსირა „რეალ TV"-ს ეთერში. მანამდე ყველგან ახალგაზრდა მკვლევარი საუბრობდა საკურთხეველთან ახლოს (ადგილის დაუკონკრეტებლად) წმ. ნაწილების გადასვენების თაობაზე.

ბებზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. სტატიაში აღნიშნულია: გადაცემაში „მე ვისაუბრე ჩემს ნაშრომთან დაკავშირებით, შემდეგ მოვიხსენიე ჯაბა სამუშია და ვთქვი, რომ ჩემი წიგნის გამოქვეყნებიდან ექვსი თვის შემდეგ გამოვიდა მისი ნაშრომი, რომელშიც ავტორი ჩემსავით მიიჩნევდა, რომ თამარი დაკრძალეს გელათში და მხოლოდ წმინდანად შერაცხვის შემდეგ გადაასვენეს საკურთხეველთან (მკითხველს ვთხოვ მიაქციოს ყურადღება სიტყვა – „საკურთხეველთან“, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს!)

ბატონმა იულონმა (იულონ გაგოშიძე, რომელიც მონაწილეობდა „რეალ TV“ მიერ მომზადებულ სიუჟეტში თ. კენკებაშვილთან ერთად – ჯ. ს.) სამართლიანად ბრძანა, რომ შეიძლება ორ ადამიანს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაუჩნდეს ერთი და იგივე აზრი, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, სამეცნიერო ეთიკის თანახმად, მოგვიანებით გამოსულ ნაშრომში სერიოზულად უნდა მოიხსენიებოდეს მასზე წინ გამოქვეყნებული გამოკვლევა და არა უბრალო მითითების სახით. აგრეთვე აღვნიშნეთ, რომ ბატონ ჯაბა სამუშიას უნდა მიეთითებინა ისიც, რომ მეც ვფიქრობდი თამარის საკურთხეველთან გადასვენების შესახებ“.[2]

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ყმაწვილ კაცს, გამოუცდელს, ნაშრომში გაპარულ შეცდომებზე, მაინც და მაინც რეცენზია არ უნდა დაუწერო. ამის გაკეთება სიტყვიერადაც შეიძლება. არ დავმალავ და მეც ასე ვფიქრობ. ამიტომაც იყო, რომ ჩემს წიგნში ბატ. კენკებაშვილის ბროშურაში არსებულ უზუსტობაზე კი არ გავამახვილე ყურადღება, არამედ აღვნიშნე: „წიგნი უკვე აწყობილი და დაკაბადონებული იყო, როდესაც დაიბეჭდა ახალგაზრდა მკვლევარის თემურ კენკებაშვილის ნაშრომი „გარდაცვალება და დაკრძალვა თამარ მეფისა.“ ავტორი ეთანხმება თამარის გელათში დასაფლავების ფაქტს. თ. კენკებაშვილი სკოლის მოწაფეა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკვლევი თემა მაღალპროფესიონალურ დონეზეა შესრულებული.“ ჩვენ ამ პოზიციას დღესაც ვიზიარებთ. თავის ასაკთან შედარებით თ. კენკებაშვილმა, მართლაც, საინტერესო კვლევა შემოგვთავაზა.

[2] გაზ.: „რეზონანსი.“ 2011 წელი. 20 თებერვალი. გვ. 4.

მაგრამ ამბიციურობას და ამპარტავნებას რომ შეამჩნევ ადამიანს, ბუნებრივია, მისი სიყმაწვილე უკვე არაფრად ჩასაგდებია, მითუმეტეს, როდესაც ეს ახალგაზრდა კაცი „პლაგიატს“ დაგწამებს, თანაც „მოწმედ“ სხვა ჩინოსან მეცნიერს მოუხმობს. თემას კი პიარად გამოიყენებს. როგორც „რეალ TV“ გადაცემაში, ასევე საგაზეთო სტატიაში ერთი აზრი იყო გატარებული, რომ თითქოს მე მივითვისე თემურ კენკებაშვილის მოსაზრება. მეტიც, ჯერ ბატონ იულონ გაგოშიძემ, ხოლო შემდეგ თემურ კენკებაშვილმა „დიდსულოვნად“ მიმითითეს და ამით „ამარიდეს“ ბრალდება „პლაგიატზე,“ როდესაც აღნიშნეს: „შეიძლება ორ ადამიანს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაუჩნდეს ერთი და იგივე აზრი, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, სამეცნიერო ეთიკის თანახმად, მოგვიანებით გამოსულ ნაშრომში სერიოზულად უნდა მოიხსენიებოდეს მასზე წინ გამოქვეყნებული გამოკვლევა და არა უბრალო მითითების სახით.“ ეს პოზიცია „რეალ TV“ სიუჟეტში დააფიქსირა იულონ გაგოშიძემ (მოგვიანებით იგივე გაიმეორა თ. კენკებაშვილმა).

მოხარული ვარ, ბატონებო, სამეცნიერო ეთიკის ელემენტარული ნორმის შეხსენებისათვის. სასურველია თავადაც, რომ იცავდეთ ამ დაუწერელ კანონს. ვწუხვარ, მაგრამ ერთი საიდუმლო უნდა გავანდო მკითხველს. ბატონებო, რაოდენ საოცარია, მაგრამ არცერთ „ოპონენტს“ ჩემი წიგნი წაკითხულიც კი არ აქვს. აღარ ვამბობ იმაზე, რომ ამ ნაშრომში სულ მცირე 7-8 წლის წინ გამოთქმული მოსაზრებებია განმეორებული.

მთლიანად წიგნის წაკითხვას არავინ ითხოვდა, „ოპონენტებს“ თუნდაც მეორე გვერდი, რომ ენახათ თვითონაც არ შეწუხდებოდნენ და არც საზოგადოებას მიაწვდიდნენ მცდარ ინფორმაციას. ჩვენ შესავალშივე აღვნიშნავთ, რომ „ქართველ მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ თამარი გელათშია დასაფლავებული. ბევრი ისტორიკოსისათვის ეს უტყუარი ფაქტია. მეტიც, სახელდება კონკრეტული ადგილები, თუ სად უნდა იყოს მეფე-ქალის აკლდამა – ეს არის გელათის მონასტრის საკურთხეველი (რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება მთლიანად საკურთხეველი, სამკვეთლოთი და სადიაკვნოთი). არის მცდელობა და-

საფლავების კიდევ უფრო დაზუსტებისა – საკურთხეველი, ტრაპეზის ქვის ქვეშ. ამ მოსაზრებათა არსებობას თავისი ახსნა გააჩნია: თამარის თანამედროვე თუ შემდეგდროინდელი მემატიანენი ყველა ერთხმად აღნიშნავენ, რომ სახელოვანი მეფე ქალი გელათში, სამეფო საძვალეში დაასაფლავეს. თამარის წმიდანად შერაცხის შემდეგ კი მისი ნაწილები, ყველაზე სავარაუდოა, საკურთხეველში გადაესვენებინათ“.[3]

ამდენად, თამარის საკურთხეველში დასაფლავების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია არსებობს. „ოპონენტების“ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ეს არ არის ჩემი აღმოჩენა, მით უმეტეს თ. კენკებაშვილის. ახალგაზრდა მკვლევარის პათოსი კი საერთოდ გაუგებარია. თურმე მე ვალდებული ვიყავი მიმეთითებინა, რომ საკურთხეველში თამარის გადასვენება ერთპიროვნულად თ. კენკებაშვილის მოსაზრება ყოფილა. მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ეს ვარაუდი საუკუნენახევარზე მეტია არსებობს. ახალგაზრდა მკვლევარი დაბადებული არ იქნებოდა, პირადად ამ აზრს რომ ვიზიარებდი და შესაბამისად, მასალებს ვაგროვებდი. ყოველივე ეს „რეალ TV“ ეთერში განვმარტე და, როგორც ჩანს, თ. კენკებაშვილისთვის ეს ახსნა-განმარტება არ აღმოჩნდა სრულყოფილი, რისი დასტურია მისი სტატია გაზეთ „რეზონანსში“, რომელშიც თითქმის იგივეს იმეორებს „პლაგიატის“ გამოკლებით.[4]

ვინაიდან ჩემს „ოპონენტებს“ დაეზარათ ჩემი წიგნის სრულად წაკითხვა და ასევე თამარ მეფის საფლავის გარშემო არსებული ლიტერატურის სრულყოფილი შესწავლა, მათ შევთავაზებ მცირე ნარკვევს, რომელშიც თამარის გელათში დაკრძალვისა და საკურთხეველში გადასვენების ირგვლივ არსებული წყაროები და ლიტერატურა იქნება მიმოხილული (სტატიის მოცულობიდან გამომდინარე ეს მიმოხილვა მაქსიმალურად შევამოკლეთ. რამდენიმე მონაკვეთი საერთოდ ამოვიღეთ. ვრცელი ვარიანტი დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს ჩვენს წიგნში – „თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება.“).

[3] ჯ. სამუშია. თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება. თბ. 2010, გვ. 6.
[4] გაზ.: „რეზონანსი.“ 2011 წელი. 20 თებერვალი, გვ. 4.

* * *

საერთოდ, გელათის მონასტრის ნეკროპოლში წყაროებით დასტურდება ერთიანი საქართველოს 11 მეფის, იმერეთის 12 მეფის, დასავლეთ საქართველოს 3 კათოლიკოსის, გელათის 3 ეპისკოპოსის, მონასტრის 5 წინამძღვრისა და 16 სხვა სასულიერო პირის დასაფლავების ფაქტი.[5] მათი საფლავების უმეტესობა დაკარგულად ითვლება.

საოცარი ბედისწერა აქვს თამარის საფლავს. მეფე-ქალის თანამედროვე ისტორიკოსებიდან მოყოლებული, თითქმის ყველა მემატიანე, XVIII საუკუნის ჩათვლით, ერთგულია იმ აზრის, რომ „დედა ქართლისა თამარი" გელათშია დაკრძალული, მაგრამ ქართული საზოგადოება კვლავინდებურად ხალხური გადმოცემების ერთგულია. თამარის დასაფლავების შესახებ ხშირად გაიგონებთ არაერთ ლეგენდას. ტრადიცია საკმაოდ მტკიცეა და ამიტომაც საქართველოს სხვადასხვა მხარეში დღესაც კი სჯერათ, რომ თამარი სწორედ მათ კუთხეშია დასაფლავებული. შუა საუკუნეების არცერთი მოვლენა ლეგენდების საფარველქვეშ ისე არ ყოფილა გახვეული, როგორც თამარის საფლავია. თამარის საფლავს უთითებენ ვარძიაში, გელათში, სვანეთში, კახეთში... ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „საოცარია საქართველოს ხალხის თვისება: ყველა კუთხის ქართველი ლაპარაკობს, რომ თამარ მეფე ჩვენს ეკლესიაში მარხიაო. მურღულში ამბობენ, რომ თამარ მეფე მურღულში მარხიაო, მაჭახელელნი მაჭახელაში, რაჭველნი რაჭაში, ჯავახელნი ჯავახეთში, თმოგვს. ამაზედ ამბობენ, რომ ვითომ თმოგვის ახლოს, მტკვრის პირას, ერთ ალაგას კუნძულის მსგავსი ჭალაკია. ადრე ამ ჭალაკზედ მტკვარი მდინარებდა. ერთ ალაგას მტკვარს გადაურეცხია და როცა დამშრალა, იქ გამოჩენილა ერთი საფლავი სადაც თამარ მეფის კუბო და ჯვარი მდგარა, კუბოს დამარხვის დროს აკვანიც შიგ ჩაუტანებიათ თურმე. ამ კუბოს და აკვანს ხალხი დიდხანს ხედავდა თურმე, მერე კი სადღაც გაქრა, ზეცისკენ წაიღეს ანგელოზებმაო".[6] თამარის გასაიდუმლოებული აკლდამის ვითომდა ადგილსამყოფელის

[5] მ. კეზევაძე. გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს. ქუთ. 2006, გვ. 147.
[6] ზ. ჭიჭინაძე. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირი ცნობებით. ტფ. 1911, გვ. 40.

ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს. ამ თემაზე შექმნილ ლეგენდათა უმრავლესობა ერთმანეთს ჰგავს.

თამარის თანამედროვე ისტორიკოსთაგან ჩვენამდე სამი თხზულებაა შემონახული.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა", „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე." ყველა ეს თხზულებები თამარის გარდაცვალების ახლო ხანებშია შექმნილი. ამდენად, ამ ავტორებს კარგად უნდა სცოდნოდათ თუ სად დაასაფლავეს თამარი. ამ თხზულებებში (განსაკუთრებით თამარის ისტორიკოსებთან) თამარის გარდაცვალების ამბავი ისეთი ტრაგიზმით და მძაფრი ემოციებითაა გადმოცემული, რომ აშკარად ყოველი ეს საკუთარი თვალით დანახულისა და განცდილის აღწერას წარმოადგენს.

***„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"***

„ამისთჳსცა მოხედნა რისხვით მოწყალემან ღმერთმან სამკჳდრებელსა თჳსსა, და მიიცვალა მეფე თამარ ჴმელსა (იგულისხმება ტაბახმელა – ჯ. ს.) დგომასა შინა. მოიწია მწუხარება დიდი და მიუთხრობელი მკჳდრთა საქართველოსათა. და ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავსა ნაცარსა და მტუერსა ათაბაგი და ყოველნი... და წარიყვანეს სამკჳდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა. და დაუტევა სამეფო ძესა თჳსსა ლაშას."[7]

***„ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა"***

„მაშინ განვიდეს ყოველნი მწარედ მტირალნი. და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თუესა იანვარსა ი-ჱ (18). და აღივსო მზე ქართლისა, და საფლავმან სადიდებელად თჳსად დაგუაჭირვა ცხოვრება მსოფლიო ყოველთა ქრისტიანეთა... მაშინ უკუე აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს, და მერმე უკანასკნელ თჳთ მუნვე გელათს დაამკჳდრეს თჳსსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკჳდრებელთა პაპთა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა."[8]

---

[7] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. წიგნ.: ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 479.

[8] ბასილი ეზოსმოძღუარი. ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი. წიგნ.: ქართლის

*„ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“*

„მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა-იგი მკჳდრობენ წინასწარმეტყუელნი და მამათმთავარნი და მეფენი, თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხასოცდაშჳდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა, გელათს.“[9]

თამარის საფლავის შესახებ ცნობები ქართულ ნარატიულ ძეგლებში ამით არ ამოიწურება. ჩვენს ხელთაა ასევე მეტად საინტერესო დოკუმენტი, 1260-1267 წლებში შედგენილი ლიხთ-იმერთა მეფის დავით ნარინის მეუღლის თამარის მიერ გელათის მონასტრისადმი შეწირული სიგელი. მასში დედოფალი საგანგებოდ აღნიშნავს: „და თჳთ იგი სიგელი და ბეჲესგან ჩემთჳს მოცემული დაწერილი დავსდევ დიდსა მონასტერსა შინა, კითხჳთა, მოჴსენებით და მოწმებითა დიდისა მოძღუართ-მოძღურისა, დავითის მწირველისა ანტონისითა, დიდისა მონასტრისა წინამძღურისა, პატრონთა მწირველისა იოვანესითა, პატრონთა გამზრდელისა, თამარის მწირველისათა ილარიონ ფავნელისათა...“.[10] როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის II ნახევარში გელათში თამარის საფლავი ცნობილია და მას მწირველიც ჰყავს მიჩენილი – ილარიონ ფავნელი, დავით ნარინის გამზრდელი. იქვე იხსენიება დავითის საფლავიც და მისი მწირველი – ანტონი. გელათის მონასტრის ძმობა ამ ორი დიდი ქართველის საფლავს საგულდაგულოდ უვლიდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ დროს დავითი და თამარი უკვე წმიდანად ყოფილიყვნენ შერაცხილნი. თავად სიგელი ამ მიმართულებით არანაირი მტკიცების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ასე განსაკუთრებით ამ ორი მეფის გამოყოფა სხვა მონარქებიდან თითქოს ამ ვარაუდის დაშვების საშუალებას იძლევა.

XVII საუკუნის მემატიანე ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს: „წაასვეს მამა-პაპათ სამკვიდროს საფლავსა გელათ-ქუთათისისა და მი-

ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 517-518.

[9] ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე. წიგნ.: ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 355.

[10] [1260/1267] დაწერილი თამარ დედოფლისა გელათისადმი (I). ქართული ისტორიული საბუთები. ტ. I. XI-XIII სს., გვ. 162.

აბარეს საფლავსა და ს(ა)ხლსა ყველა – წმიდისა პატიოსანი მეფეთ-მეფე თამარი“.[11]

ვახუშტი ბატონიშვილი გელათის მონასტერზე საუბრისას საგან-გებოდ დასძენს: „ეკლესია ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა... აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გენაათა და აწ უწოდებენ გელათს... ამას შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორ-გი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხუანიცა. და აწინდე-ლი მეფენი შემდგომად განყოფისა იფლვიან იმერთანი“.[12]

XIX საუკუნეშიც კი ქართული საზოგადოებისთვის თამარი გე-ლათში განისვენებდა. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ მთა-ვარ გმირს იოანე ხელაშვილს გელათის მონასტერში მიიყვანს, სადაც გაენათელი ეპისკოპოსის ბრძანებით ადგილობრივი დეკანოზი მას მო-ნასტერს ათვალიერებინებს: „გენათელმა უბძანა დეკანოზს წარყვანება მისი და წარიყვანა ბერი იგი. რა შევიდნენ ეკკლესიად, ბერმან თაყვა-ნისცა წმინდათა ხატთა და მერეთ გაშინჯა შენებულებაჲ ეკკლესიისა მის. სთქვა:

კურთხეულ არს ღმერთი, ვინაჲდგან ქართველთაც სცოდნიათ ძველად არხიტეკტურობისა ხელოვნებაჲ.

და აკურთხა მეფენი აღმაშენებელნი ამა ეკკლესიისანი და განმა-ახლებელნი მისნი. და მერე აჩვენნეს საფლავნი მეფეთანი, და ამასთან – თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლისა.“[13]

XVIII-XIX საუკუნის პოეტი პეტრე ლარაძეც თამარის საფ-ლავს გელათში უთითებს. გადმოცემით იგი თბილისში სამეფო ბიბლი-

---

[11] ფარსადან გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება, ხელნაწერი. Ც 2140. ფ. 33r. შეადარეთ. რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარა-ვანდედთანი“. თბ. 1975, გვ. 104.

[12] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 754. ვახუშტის ცნობასთან დაკავშირებით 1963 წელს მოსწრებულად უთქვამს გ. ლეონიძეს: „თამარ გელათიდან სადმე (მაგალითად იე-რუსალიმში) გადასვენებული რომ ყოფილიყო, როგორც ამას ერთი ლეგენდა გად-მოგვცემს, მაშინ ვახუშტი არ იტყოდა „დაფლულ არიან“, არამედ დაწერდა: თამა-რი გელათში დაასაფლავეს, შემდეგ კი სხვაგან გადაასვენესო”. მ. ალავიძე. თა-მარ მეფის ეკვტერი გელათში. გაზ.: „ქუთაისი.“ 1966, №94.

[13] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ქართული პროზა. წიგნი VI. თბ. 1984, გვ. 405.

ოთეკის გამგე ყოფილა და საკმაოდ განსწავლულ პიროვნებად გვევლინება. ამდენად, მას უხდებოდა ისეთ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც შეუძლებელია არ ყოფილიყო მსჯელობა თამარის განსასვენებლის თაობაზე. ასევე ნიშანდობლივია, რომ პეტრე ლარაძე ახლდა გიორგი ავალიშვილს, როდესაც ეს უკანასკნელი გელათის მონასტერს ეწვია. ამიტომაც პ. ლარაძის ცნობა, რომ „დამარხეს გვამი მეფისა მის (თამარის) გელათსა შინა“ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.[14]

ზემოთ დამოწმებულ წყაროებში საუბარია თამარის გელათში დასაფლავებაზე. მისი ნეშტის საკურთხეველში გადასვენებაზე ცნობები ოდნავ მოგვიანებით ჩნდება. ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელსაც თამარის, მისავე სახელობის ეკვდერიდან საკურთხეველში გადასვენების ამბავი აქვს დაცული არის გიორგი ავალიშვილი, რომელმაც 1819-1820 წლებში მოილოცა პალესტინის წმიდა ადგილები. მან თავის მოგზაურობა აღწერა საინტერესო ნაშრომში – „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“. გ. ავალიშვილი 6 ივლისს გავიდა თბილისიდან, 20 ივლისს კი მან მოინახულა გაენათელი ეპისკოპოსი და დაათვალიერა გელათის მონასტერი. აი რას წერს იგი: „მარცხენით კერძო შინაგან წმიდისა ტაძრისა ამის კედელსა ზედა იხილვებიან სახენი საქართველოს მეფეთა, დედუფალთა და ძეთა მათთა: დავით აღმაშენებლისა და სხვათა. იატაკი, ვითარცა საკურთხეველისა, ესრეთვე წინაშე კანკელისაცა არს დაფენილ თეთრისა ქვათა, ამას შინა არიან დაფლულ მეფენი: გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან დედუფალი, დავით, კვალად დავით და სხვანიცა, რომელთაცა სამარხვონი არღა უკვე იპოვნებიან ადრით ჟამითვე“.[15] ამ ცნობასთან დაკავშირებით ლ. ტყეშელაშვილი აღნიშნავს: „გ. ავალიშვილს, შესაძლოა, მხედველობაში ჰქონდა ძალზე საინტერესო ფაქტი, ხომ არ იყვნენ გადასვენებულნი თამარ მეფე და სხვა მეფენი მთავარ ტაძარში, საკურთხევლის წინ, ან თვით თამარ მეფე საკურთხეველში? ჯერჯერობით ეს საკითხი კითხ-

[14] პეტრე ლარაძეს ნაწარმოებთა შესახებ ლიტერატურეს ნუსხა იხ. ივ. ლოლაშვილი. თამარ მეფის აკლდამა გელათში, გვ. 72.

[15] გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ქართული პროზა. წიგნი VI. თბ. 1984, გვ. 603.

ვის ნიშნის ქვეშ დგასო“.[16]

ამდენად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში არსებობდა გადმოცემა თამარის გადასვენების შესახებ. ნაწილობრივ ამ მოსაზრებას ამაგრებდა დავით IV აღმაშენებლის ნეშტის, კარიბჭეში არსებული საფლავიდან, საკურთხეველში გადასვენების ტრადიციაც. წერილობით ეს მოსაზრება დასტურდება ასევე XIX საუკუნეში.

1846-1847 წლებში ა. მურავიოვმა იმოგზაურა საქართველოსა და სომხეთში.[17] იმერეთში ყოფნისას იგი მიტროპოლიტ დავით წერეთელის მიწვევით გელათის მონასტერს ეწვია და მისი სიწმინდეები მოილოცა. ა. მურავიოვი საკმაოდ დაწვრილებით აღგვიწერს გელათის მონასტერს და მის სიწმინდეებს. ავტორის მითითებით, ტაძრის გვერდითა, მარჯვენა შესასვლელი ანდრია პირველწოდებულის სახელზეა ნაკურთხი, „უჩვენებენ ერთ კონკრეტულ საფლავს“ სადაც განისვენებს დიდი თამარ დედოფალი.[18] ა. მურავიოვმა იცის, რომ ხალხური გადმოცემები თამარის საფლავს უთითებენ სვანეთში, ვარძიაში და ა. შ. ტაძრის დათვალიერების დროს მიტროპოლიტ დავით წერეთელს მისთვის უჩვენებია მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვდერი (ანუ თამარის სამარხად ცნობილი ნაგებობა) და მოუყოლია თამარის ხსენებასთან დაკავშირებით რა წესი სრულდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ა. მურავიოვი წერს: „დავით მიტროპოლიტი მარწმუნებდა, რომ სოლომონის მამის, ალექსანდრე მეფის, დრომდე ყოველწლიურად თამარ მეფის ხსენების დღეს ახდიდნენ მის საფლავის ქვას და პანაშვიდს იხდიდნენ. ასეთი მყარი გადმოცემა რაღაცაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. ადვილი შესაძლებელია, ეს ჩვეულება შეწყდა იმდროიდან, როდესაც მეფე ალექსანდრემ იქ დაასაფლავა თავისი მეუღ-

[16] ლ. ტყეშელაშვილი. გელათი. ქუთ. 2007, გვ. 54-55.

[17] А. Муравьев, Грузия и Армения, Описание путешествия по Грузии и Армении, Часть III. СПб 1848. ანდრია მურავიოვის ცნობა პირველად დაიმოწმა კ. გრიგოლიამ. იხ. თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება, ჟურნ.: „ცისკარი.“ 1966, №9, გვ. 95. ნაშრომში, როგორც ჩანს, კორექტურა გაიპარა და რუსი მოგზაურის საქართველოში ჩამოსვლის თარიღად 1843 წელია მითითებული. იგივე თარიღია გამეორებული ივ. ლოლაშვილის მიერ. ანდრია მურავიოვმა საქართველოსა და სომხეთში 1846-1847 წწ. იმოგზაურა.

[18] А. Муравьев. Грузия и Армения, გვ. 204-205.

ლე მარიამ დადიანი".[19] ამდენად, XIX საუკუნის 40-იან წლებში თამარის საფლავის ქვის ახდა და პანაშვიდის გადახდა უკვე აღარ ხდებოდა. სხვა ცნობით ეს ტრადიცია XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისშიც ყოფილა.

ა. მურავიოვი გელათში მოგზაურობის აღწერისას დავით IV-ს საფლავის ადგილმდებარეობის საკითხსაც შეეხო. იგი დავით IV-ს მთავარ ტაძარში, საკურთხეველში, საიდუმლო ადგილას გადასვენების დროსაც კი აკონკრეტებს: ეს სოლომონ I-ის მეფობისას განხორციელდა „რათა გადაერჩინა ისინი ლეკების თავდასხმისაგანო".[20]

გადასვენების ფაქტს ადასტურებს მ. საბინინიც: „რაოდენსამე დროსა, ოდეს წმიდა ეკლესიამ შერაცხა დავით მეფე წმიდათა შორის, დიდის მოწიწებით იქმნა აღმოსვენებულ წმიდა ნაწილნი მისნი და დაკრძალულ გაენათის საკრებულო ეკლესიის ტრაპეზის ქვეშო."[21] სწორედ ამ მოსაზრებათა კვალდაკვალ ქართველ მეცნიერთა ნაწილი ფიქრობდა, რომ იმ შემთხვევაში თუ ქართულმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხის შემდეგ საკურთხეველში გადაასვენა დავით IV, იგივე შეიძლება მომხარიყო წმ. თამარ მეფის შემთხვევაშიც.

1966 წლის 10 ივლისს გელათში თამარის ეკვდერში, შეიკრიბნენ ქართველი მეცნიერები შ. ამირანაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია, კ. გრიგოლია, მ. ალავიძე და სხვანი, რომელთაც „ილაპარაკეს თამარის საფლავსა და ფრესკაზე და საზოგადოდ თამარის ეკვდერზე"". გაიმართა მსჯელობა, გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება. შ. ამირანაშვილმა განაცხადა: „მემატიანეთა ცნობების მიხედვით, გელათში დაკრძალულ მეფეთა (დემეტრე პირველის, გიორგი მესამის, თამარის, ლაშა – გიორგის...) უცნობი საფლავები უნდა ვეძიოთ ტაძრის საკურთხეველში. ამისათვის კი საჭიროა გათხრების ჩატარება. შეიძლება თამარი ამ ეკვდერშია. ჩრდილოეთის კედელსა და თავზე დაცული ფრესკა თა-

[19] А. Муравьев. Грузия и Армения, გვ. 206.
[20] А. Муравьев, Грузия и Армения, გვ. 161.
[21] სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართუჱლოს წმიდათა. შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურღის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ. პეტერბურღი. 1882, გვ. 512.

მარის მეფედ კურთხევას გამოხატავს (?)... მე გამოვთქვი აზრი გელათიდან თამარის ნეშტის გადასვენების შესაძლებლობის შესახებ. ამ აზრს გადაჭრით არ ვიცავ". აქვე მოსაზრება გამოთქვა ს. ყაუხჩიშვილმა: **„ეკვდერს,** – თქვა მან, – **ჰქვია <<თამარის ეკვდერი>>. საფლავიც აქ იქნება** და არა საკურთხეველში. მცხეთის ტაძარში ერეკლე მეორე მარხია საკურთხევლის წინ და არა საკურთხეველში. **აქ ფრესკა თამარს გამოსახავს და წარწერაც მას ეხება,** რადგან <<მეფეთა მეფე>> ქალთაგან მხოლოდ თამარი იყო. საყურადღებოა ამ ეკვდერის საფლავები, რომელთაგან ქვა მხოლოდ ორს აქვს. **მოსაზრება გელათიდან თამარის სხვაგან გადასვენების შესახებ მიაჩნია არაშესაძლებელად, არამედ შეუწყნარებლად.** თამარი ჩარიცხული იყო წმინდანად, და, აბა, როგორ შეიძლებოდა მისი ნეშტის სადმე გადასვენება! ს. ყაუხჩიშვილს მიემხრო გ. ჩიტაია „თამარის აქ დასაფლავება უდავოა, საკურთხეველში კი – დაუშვებელია".[22] როგორც ამ ჩანაწერიდან ჩანს, თამარ მეფის საკურთხეველში გადასვენების საკითხი ქართველ მეცნიერთა შორის სერიოზული კამათის საგნად ქცეულა 1966 წელს. ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს თემა XX ს. შუა პერიოდში უცხო არ იყო ქართული საზოგადოებისთვის.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ამ აზრს, ვარაუდის დონეზე, ჩემთან საუბარშიც რამდენიმე მკვლევარი უჭერდა მხარს. სწორედ ამიტომაც, თამარის საკურთხეველში გადასვენების მოსაზრება ჩემეულ ვარაუდად არ მიმიჩნევია. ან რა უფლება მქონდა. რაც შეეხება იმას თუ რატომ არ დავიმოწმე ეს ავტორები, ამას უბრალო ახსნა აქვს. მათ ამ თემასთან დაკავშირებით კონკრეტული ნაშრომი არ ჰქონდათ შექმნილი და ზეპირი საუბრის დამოწმება ვფიქრობ უხერხული იქნებოდა (შესაძლებელია დროთა განმავლობაში მათ ეს აზრი შეცვლილი ჰქონოდათ. ნაწილი ამ მკვლევარებისა დღეს ცოცხალი აღარ არის).

ეხლა კი მივადექით მთავარს.

1993 წლიდან დავიწყე თამარის გარდაცვალების მიზეზებისა და მისი დასაფლავების ადგილის შესახებ კვლევა. შესაბამის ნაშრომებს

[22] ივ. ლოლაშვილი. თამარ მეფის აკლდამა გელათში. თბ. 1989, გვ. 68.

სხვადასხვა დროს ვაქვეყნებდი, მათ შორის, ნარკვევების სახით კრებულებსა თუ პრესაში. სამწუხაროდ, თ. კენკებაშვილი და ი. გაგოშიძე ამ ნაშრომებს არ იცნობენ. იმედია, ამაშიც მე არ დამადანაშაულებენ. ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდა მკვლევარს რომ არ ეჩქარა და ცოტა მეტი დრო დაეთმო თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის გაცნობას, ასეთი გაუგებრობა არ შეხვდებოდა.[23] რა ვუყოთ იმას, რომ 2003 წლის აპრილში გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში" ვწერდი: „ქართველ მეცნიერთა შორის არსებობს მესამე მოსაზრებაც: თამარ მეფე, რომელიც მადლიერმა შთამომავლობამ წმინდანად შერაცხა, შეიძლება ამის შემდეგ საკურთხეველში გადაასვენეს".[24] 2004 წლის ივლისში იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, სადაც აღნიშნულია: „მე პირადად ვფიქრობ, რომ ცხედრები (დავით IV აღმაშენებლის და თამარ მეფის) ფარულად გადაასვენეს ტაძრის საკურთხეველში."[25] ამდენად, ჩემი ახალგაზრდა „ოპონენტი" სკოლაში ახალი შესული იქნებოდა, როდესაც ამ თემაზე ვსაუბრობდი. მომდევნო წლებში არაერთხელ შევხებივართ ამ საკითხსაც, ყველა პუბლიკაციის მოტანა, ვფიქრობთ გადაღლის მკითხველს.

2006 წელს გივი ტყეშელაშვილმა გამოსცა საინტერესო გამოკვლევა „გელათის საგანძური", სადაც ავტორი საუბრობს თამარ მეფის დასაფლავების სავარაუდო ადგილზე. „საერთოდ – აღნიშნავს მეცნიერი – გელათში ცალკე იყო მეფე-მამაკაცთა და ცალკე დედოფალთა სამარხები და თუ თამარ მეფე წმინდანად შერაცხვის შემდეგ გადა-

---

[23] ამასთანავე მინდა ვურჩიო ავტორს, რომ მეტი ყურადღებაა საჭირო როცა ნაშრომს ქმნი. ორიოდ ფაქტს მივუთითებ: ულუ–დავითი გელათში არ არის დაკრძალული. მისი საფლავი სვეტიცხოველშია. ჟამთაღმწერელი პირდაპირ წერს: „ხოლო ამან დავით რა დაასრულა ცხოვრება, დამარხეს სამარხის მეფეთასა მცხეთას." ექ. თაყაიშვილმა გელათში თამარის ეკვდერში გათხრები აწარმოა არა 1919 წელს, არამედ 1920 წელს. კიდევ რამდენიმე ასეთ უზუსტობას იპოვის მკითხველი ამ ბროშურაში.

[24] ჯ. სამუშია. თამარის საფლავის საიდუმლოება. გაზ. „ჯორჯიან თაიმსი." 03.04-10.04. 2003, გვ. 15.

[25] თანამედროვე მედიცინის დასკვნა: „თამარ მეფე ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვალა." რატომ უნდა ვეძიოთ თამარის საფლავი გელათში და არა იერუსალიმში. ინტერვიუ თსუ ისტორიის ფაკულტეტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელთან ჯაბა სამუშიასთან, გაზ. „ჯორჯიან თაიმსი." 15.07-22.07. 2004., გვ. 7.

ასაფლავეს კანკელის ან საკურთხევლის წინ, როგორც გ. ავალიშვილი წერს, მაშინ ეს სავსებით გამართლებულად უნდა მივიჩნიოთო“.[26] 2007 წელს თამარის საკურთხეველში დაკრძალვის ვარაუდი გამოთქვა ლევან ტყეშელეშვილმა. იგი წერს: თამარი „დაკრძალეს წმიდა ანდრიას ეკვდერში, შესაძლოა წმინდანად შერაცხვის შემდეგ იგი საკურთხეველში გადაასვენეს“.[27]

რა გამოდის, თ. კენკებაშვილის ნაშრომის გამოსვლამდე ათეულობით მეცნიერი ვარაუდობდა თამარის საკურთხეველში გადასვენებას, ზოგიერთმა ზეპირად დააფიქსირა თავისი პოზიცია, ზოგმაც წერილობით. ახალგაზრდა კოლეგა მათ აზრებს და ნაშრომებს არ იცნობს, საყვედურებით მავსებს ჩემი „აღმოჩენა“ სათანადოდ რატომ არ დააფასეო. მეტიც, „რეალ TV“-ს სიუჟეტში თ. კენკებაშვილმა ისიც კი თქვა ივ. ლოლაშვილის შემდეგ პირველად ამ თემას მე შევეხეო. ალბათ ისიც იგულისხმა ახალგაზრდა კოლეგამ, რომ საკურთხეველში თამარის გადასვენების თაობაზე ივ. ლოლაშვილს არაფერი აქვს ნათქვამი და, ამდენად, ამ კონკრეტულ მოსაზრებას თავის ნააზრევად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წიგნი სამეცნიერო-პოპულარული იყო და მაქსიმალურად განტვირთული წყაროებისა და ლიტერატურის დამოწმებისგან (ეს თავად გამომცემლობის მოთხოვნა გახლდათ. წიგნის ბოლოში მხოლოდ აუცილებელი შენიშვნები დავტოვეთ.), ახალგაზრდა კოლეგას მართლაც, რომ აღენიშნა თამარის საკურთხეველში გადასვენების ფაქტი, მას აუცილებლად მივუთითებდი. შენიშვნაში კი აღვნიშნეთ, რომ თ. კენკებაშვილი იზიარებს თამარის გელათში დაკრძალვის ფაქტსო. ამაზე მეტის თქმის უფლებას ახალგაზრდა კოლეგის ნარკვევი არ მაძლევდა, ერთი უბრალო მიზეზის გამო – არსად ბროშურაში თამარის საკურთეველში გადასვენების შესახებ აღნიშნული არ არის. დიახ მკითხველო, იმას რასაც თ. კენკებაშვილი და ი. გაგოშიძე მედავებიან, ჩვენი „ოპონენტის“ წიგნში ვერსად ვერ წაიკითხავთ. კარგი თ. კენკებაშვილი ყმაწვილი კაცია, მაგრამ ი. გაგოში-

[26] გ. ტყეშელაშვილი. გელათის საგანძური. ქუთ. 2006, გვ. 191.
[27] ლ. ტყეშელაშვილი. გელათი, ქუთ. 2007, გვ. 205.

ძეს ხომ მაინც უნდა წაეკითხა უმცროსი კოლეგის ბროშურა. ამის გარეშე ტელევიზიით „ჭკუის დარიგება“ რამდენად მორალურია, აღარაფერს ვამბობ მეცნიერულ ეთიკაზე. ეს სიუჟეტი ნაკლებად საინტერესოა ჩემთვის. გაცილებით შემაძრწუნებელია, როდესაც უფროსი კოლეგები ახალგაზრდა კაცს იმას კი არ ასწავლიან, როგორ მოიქცეს ღირსეულად, არამედ იმას როგორ შეიყვანოს საზოგადოება შეცდომაში.

ვნახოთ, რა წერია თ. კენკებასვილის ნარკვევში: „შესაძლებელია თამარ მეფის ნეშტი, მისი წმინდანად შერაცხვის შემდეგ, ჩვეულებისამებრ გადაესვენებინათ გელათშივე, ***საკურთხეველთან ახლოს.***“[28]

როგორც ვხედავთ, ამ ციტატაში საუბარი არ არის საკურთხეველში თამარის დაკრძალვაზე. იგივე გაიმეორა თ. კენკებაშვილმა გაზ. „რეზონანში“. „მე ვისაუბრე ჩემს ნაშრომთან დაკავშირებით, შემდეგ მოვიხსენიე ჯაბა სამუშია და ვთქვი, რომ ჩემი წიგნის გამოქვეყნებიდან ექვსი თვის შემდეგ გამოვიდა მისი ნაშრომი, რომელშიც ავტორი ჩემსავით მიიჩნევდა, რომ თამარი დაკრძალეს გელათში და მხოლოდ წმინდანად შერაცხვის შემდეგ გადაასვენეს ***საკურთხეველთან.***“[29]

***„საკურთხეველთან“*** ან მასთან ***„ახლოს“*** არ ნიშნავს საკუთრივ საკურთხეველს. ავტორისეული ლოგიკით, ეს შეიძლება იყოს ტაძრის მთავარი დარბაზი (ეკლესიის საშუალო ნაწილი), ეკვდერები. როდესაც ვამბობთ საკურთხეველში თამარის გადასვენებაზე, ვგულისხმობთ საკურთხეველს, სამკვეთლოთი და სადიაკვნოთი, რომელიც ქმნის ტაძრის ყველაზე მისტერიულ ნაწილს. ამდენად, თავად თ. კენკებაშვილი არა თუ ვარაუდის სახით, საერთოდ არ ახსენებს თამარის საკურთხეველში გადასვენების ფაქტს, მე კი მსაყვედურობს რატომ არ მივიჩნიე იგი ამ მოსაზრების ავტორად. ამაზე თქმულა „ამირან გულში მღეროდაო.“

დასასრულ, მინდა ახალგაზრდა კოლეგას ვურჩიო. ისტორიკოსობა დიდი მისიაა, ჩვენ, ჩვენი ერის წარსულის მეციხოვნეები ვართ. იმავდროულად, ისტორიკოსობა ტვირთია. თითოეული სიტყვა თუ დას-

[28] თ. კენკებაშვილი. გარდაცვალება და დაკრძალვა თამარ მეფისა. თბ. 2010, გვ. 35.

[29] გაზ.: „რეზონანსი.“ 2011 წელი. 20 თებერვალი, გვ. 4.

კვნა თვეებისა და წლების ნააზრევს უნდა ეფუძნებოდეს. გაცილებით მძიმეა ისტორიკოსის ბრალდება, ისიც ხომ თავისებურად მოსამართლეა. დღეს, შეიძლება სასამართლომ ადამიანი დაადანაშაულოს, მაგრამ მცირე ხანში არავის არ ახსოვდეს მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი, მაგრამ ისტორიკოსის მიერ გამოტანილი ბრალდება საუკუნეების მანძილზე შეიძლება დაღად აჩნდეს ნებისმიერი ადამიანის ბიოგრაფიას. ამიტომაცაა, პირველი, რასაც ჩემს სტუდენტებს ვასწავლი, არის ის, რომ, მართალია ჩვენ გარდასულ საუკუნეებში მცხოვრებ ადამიანებზე ვწერთ, მაგრამ ეს პასუხისმგებლობისგან არ გვათავისუფლებს, ვინაიდან კალამის აღებამდე კარგად უნდა დავფიქრდეთ, თითოეულმა ჩვენმა სიტყვამ, დასკვნამ შეიძლება სამუდამოდ განსაზღვროს ადამიანის ბედი. ეს დღევანდელობასაც ეხება. თუ ყმაწვილკაცობაში არ გაითავისე ისტორიკოსის პასუხისმგებლობა, ვერასდროს ვერ დადგები ნაღდი ისტორიკოსი. უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიკოსობა სტატისტიკით არ განისაზღვრება თუ რამდენი წიგნი დაწერე, ისტორიკოსობა მოვალეობა და პასუხისმგებლობაა შენი ერის წარსულისა და მომავლის მიმართ.

კიდევ ერთხელ მსურს ჩემი კეთილგანწყობა დავუდასტურო თ. კენკებაშვილს. გულწრფელად ვუსურვებ მას წარმატებებს და ამ სტატიას ნუ ჩათვლის ნიშნის მოგებად. უბრალოდ, ვიღაცას სიმართლე ხომ უნდა ეთქვა მისთვის. ვთვლით, რომ მისასალმებელია როდესაც ახალგაზრდა კაცი ასე რუდუნებით შეეჭიდა საკმაოდ რთულ თემებს. მინდა შევახსენო ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ედუარდ ფრიმენის სიტყვები: „ისტორიკოსის სამუშაოს შესრულება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“.

## ქრონიკა

*ლერი თავაძე*

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების პირველი ტომის პრეზენტაცია

2011 წლის 18 თებერვალს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისში გაიმართა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების I ტომის (გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011) პრეზენტაცია.

აღნიშნულ ჟურნალში წარმოდგენილი ნაშრომები, ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული მათი ავტორები არიან თსუ-ს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, დოქტორანტები და საქართველოს ისტორიის პრობლემის კვლევით დაინტერესებული სხვა მკვლევარები. სტატიების დიდი ნაწილი საკონფერენციო მოხსენებათა სახით წარმოდგენილი იყო 2010 წლის 28-29 ოქტომბერს იმავე ინსტიტუტის ეგიდით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

სხდომას უძღვებოდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი პროფესორი დარეჯან თვალთვაძე. შესავალი სიტყვაში მან მოკლედ ისაუბრა იმ წარმატებული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ფაკულტეტზე ჩატარდა ბოლო პერიოდში. დ. თვალთვაძემ მოულოცა ავტორებსა და რედაქტორებს აღნიშნული ჟურნალის გამოსვლა და საგანგებოდ ისაუბრა იმ დიდი სამუშაოს შესახებ, რაც მათ გასწიეს შრომების I ტომის გამოსაცემად. მისი აზრით, ჟურნალი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასში მრავლადაა წარმოდგენილი სა-

ქართველოს ისტორიის პრობლემატიკაზე მომუშავე სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ნაშრომები.

შემდეგი სიტყვით გამოვიდა ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ჟურნალის ერთ-ერთი რედაქტორი პროფესორი თედო დუნდუა, რომელმაც ხაზი გაუსვა ჟურნალის მნიშვნელობას და იმ სამართალმემკვიდრეობას, რომელიც საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს აკავშირებს ადრე არსებულ საქართველოს ისტორიის კათედრასთან. უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღეებიდან, აღნიშნული მიმართულება ავანგარდში ედგა იმ სამეცნიერო საქმეს, რომელიც უწყვეტად მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი აზრით, ჟურნალი საინტერესოა იმითაც, რომ მასში, სტატიების გარდა, წარმოდგენილია საერთაშორისო პრეზენტაციები, რეცენზიები, ქრონიკა და სხვა რუბრიკები. მან მადლობა გადაუხადა კრებულის ყველა ავტორს და რედკოლეგიის წევრებს, მათ შორის: აკად. მარიამ ლორთქიფანიძეს და გიული ალასანიას, რედაქტორებს პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილს და ალექსანდრე ბოშიშვილს, ასევე დეკანს პროფესორ დარეჯან თვალთვაძეს და გამომცემლობა „მერიდიანის“ გუნდს კახაბერ რუსიძის ხელმძღვანელობით წიგნის მაღალხარისხოვნად დაბეჭდვისათვის.

მომდევნო სიტყვით გამოვიდა ჟურნალის კიდევ ერთი რედაქტორი, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას იმ ინტერესისთვის, რაც მათ გამოიჩინეს ახალი გამოცემისადმი, ასევე ავტორებს, თანარედაქტორებს, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო განყოფილებას და პირადად დეკანს პროფესორ დარეჯან თვალთვაძეს იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტს აღნიშნული ჟურნალის გამოცემაში, აგრეთვე, საზოგადოდ, იმ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისათვის, რასაც ის იჩენდა წინა წლებში ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებისას. გამომსვლელმა ხაზი გაუსვა ჟურნალის უმთავრეს მიზანს: შეასრულოს ქართველოლოგიური კვლევებისათვის მედია-საშუალების როლი, ხელი შეუწყოს დარგის სპეციალისტებს შორის აზრთა გაცვ-

ლა-გამოცვლას და ერთიანი სამეცნიერო სივრცის ჩამოყალიბებას.

აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ ისაუბრა იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი და საპასუხისმგებლოა რედაქციისა და სარედაქციო კოლეგიის საქმე, რის გამოც მან მადლობა გადაუხადა შრომების I ტომის რედაქტორებსა და შემდგენლებს იმ დიდი შრომისთვის, რაც მათ გასწიეს მის მომზადებაში. მ. ლორთქიფანიძემ გამოყო რამდენიმე სტატია აღნიშნული ჟურნალიდან, რომლებიც, მისი აზრით, დიდ ყურადღებას იმსახურებს სპეციალისტ ისტორიკოსთა და, აგრეთვე, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ფართო მკითხველთა მხრიდან, მათ შორისაა ის სტატიები, რომლებიც შეეხება ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის, კრწანისის ბრძოლაში მონაწილე ქართული ჯარის შემადგენლობის, წმინდანის ფენომენის და ქართული იდენტობის ჩამოყალიბების საკითხებს. მანვე დასძინა, რომ მისასალმებელია, რომ აღდგა ის ტრადიცია საისტორიო კრებულების პუბლიკაციისა, რომელიც წლების განმავლობაში არსებობდა საქართველოს ისტორიის კათედრაზე (ამჟამად ინსტიტუტი).

ჟურნალის დეტალური ანალიზი წარმოადგინა სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ პაპასქირმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ სასიამოვნო ფაქტს, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნევა, კერძოდ, ეს არის საქართველოში სამეცნიერო აქტივობის გამოცოცხლება. ზ. პაპასქირის თქმით, თითქმის არც ერთი ნაშრომი, რომელიც კრებულშია წარმოდგენილი, არ შეიცავს ფაქტების მშრალ კონსტატაციას, ნაშრომები მრავალი სამეცნიერო სიახლის შემცველია. მისი აზრით, რამდენიმე ნაშრომი უფრო მოიგებდა, თუ მათი სამეცნიერო აპარატი უფრო სრულყოფილად იქნებოდა წარმოდგენილი. მანვე გამოყო გ. დუნდუსა და თ. დუნდუას თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი გიორგი V ბრწყინვალის დროინდელი სამონეტო ემისიების შესახებ, სადაც მყარი არგუმენტების საფუძველზე დასაბუთებულად არის უარყოფილი ე.წ. „გიორგაული“ თეთრის არსებობის ფაქტი. როგორც ნუმიზმატიკური მასალების ანალიზით ირკვევა, გიორგი V ბრწყინვალეს არ მოუხდენია ეროვნული სამონეტო ემისიის განახლება, რო-

გორც აქამდე მიიჩნეოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში. აღნიშნა, ის ღირებულებები, რაც გააჩნია სხვა პუბლიკაციებს.

ჟურნალის შესახებ ვრცლად ისაუბრა პროფესორმა დიმიტრი შველიძემ. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს ქართულ სამეცნიერო სივრცეში გაიზარდა ნაშრომებისა და სტატიების რაოდენობა, რაც, მისი აზრით, გარკვეული სოციალური ფაქტორებით არის განპირობებული. ყველაფერ ამას, ლოგიკურად, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. დ. შველიძემ ვრცლად დაახასიათა ყველა ის ნაშრომი, რომელიც შრომების I ტომში არის გამოქვეყნებული და გამოკვეთა ის სამეცნიერო სიახლეები, რომელიც მათშია წარმოდგენილი. ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე მომხსენებლის განცხადებით, აღნიშნული კრებული მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ზემოაღნიშნულის გარდა, პრეზენტაციაზე გამოითქვა მრავალი შენიშვნა და კეთილი სურვილი ახლად დაფუძნებული კრებულის მისამართით. გამოიკვეთა ის ძირითადი კონტურები, რაც შრომების შემდგენლებმა უნდა გაითვალისწინონ მომავალში.

საერთო ჯამში, ახალმა ჟურნალმა დამსწრე საზოგადოების დადებითი შეფასება დაიმსახურა. ჟურნალის რედაქტორების განაცხადს იმის შესახებ, რომ იგეგმება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების პერიოდულ ორგანოდ ქცევა, წელიწადში, სულ მცირე, ორი ნომრის გამოცემა მაინც, აუდიტორია დიდი მოწონებით შეხვდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II
თბილისი. 2011

**ხსოვნა**

# ვალერი სილოგავას გამოსათხოვარი

„სამეცნიერო მუშაობა ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოვებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისაგანაც ის წარმოშობილა“, — ივანე ჯავახიშვილის ეს სიტყვები ზედგამოჭრილია პროფესორ ვალერი სილოგავას მოღვაწეობის აღსანიშნად.

მიხეილ ქავთარია მის შესახებ ამბობდა: „...თანამედროვე ისტორიკოსთა შორის აღიარებული სპეციალისტი, იგი არის, უპირველეს ყოვლისა, ეპიგრაფიკოსი, წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. მან ეს სკოლა აწ გარდაცვლილი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ხელმძღვანელობით გაიარა და დღესაც წარმატებით აგრძელებს ხელმძღვანელის ნაანდერძევ საქმეს“. მართლაც, შესანიშნავი მკვლევარი უდიდესი პასუხისმგებლობით, შემოქმედებითი მიდგომითა და დიდი ხალისით, მუხლჩაუხრელად უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავისი საქმის ერთგულ მსახურად დარჩა.

არც თუ ხანგრძლივი, მაგრამ შთამბეჭდავი და გამორჩეული შემოქმედებითი გზა განვლო პროფესორმა ვალერი სილოგავამ:

იგი დაიბადა 1945 წლის 20 აპრილს ქ. ფოთში. 1963 წელს დაამთავრა ფოთის V საშუალო სკოლა. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტობის წლებშივე გამოავლინა დიდი ინტერესი მეცნიერული კვლევისადმი.

1969 წელს იგი ჩაირიცხა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც გაიარა წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის კურსი პროფ. **ნოდარ შოშიაშვილის** ხელმძღვანე-

ლობით. 1970 წელს, ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, ვალერი სილოგავამ მუშაობა დაიწყო ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც ჩამოყალიბდა როგორც მკვლევარი (უმცროსი, უფროსი და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი). 1991-2005 წლებში მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად. ამავე წლებში გამოიკვეთა მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო. ამის შესახებ ავტობიოგრაფიაში თავადვე მიუთითებდა: საქართველოს ისტორია, შუა საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლები (წარწერები, ისტორიული საბუთები, ხელნაწერები), პალეოგრაფია.

ვალერი სილოგავამ 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე *„დასავლეთ საქართველოს IX-XIII საუკუნეების ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო“*, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე *„სვანეთის წერილობითი ძეგლები“*.

პროფესორ ვალერი სილოგავას სამეცნიერო მონაგარი ერთობ შთამბეჭდავია: 200-ზე მეტი ნაშრომი; აქედან 20-ზე მეტი მონოგრაფია და სახელძღვანელოა. მისსავე კალამს ეკუთვნის რამდენიმე ასეული საგაზეთო და ჟურნალის, ენციკლოპედიებისათვის სტატია. მის ნაშრომთა ჩამოთვლაც კი საკმარისია ამ მეტად ნაყოფიერი შემოქმედის ღვაწლში დასარწმუნებლად:

1. ქართული წარწერების კორპუსი. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკ. I (IX-XIIIსს.). თბ. 1980. 228 გვ. სურ. 1-157.
2. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. ქართული ისტორიული საბუთები. IX-XI სს. შეადგინეს და გასაცემად მოამზადეს: *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა*. თბ. 1984. 419 გვ.
3. უშგული (თანაავტორი *რ. ყენია*). თბ. 1986. 132 გვ. ტაბ. 1-71.
4. სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. თბ. 1986. 306 გვ. ტაბ. 1-184.
5. სვანეთის წერილობითი ძეგლები. II. ეპიგრაფიკული ძეგლები. თბ. 1988. 694 გვ. ტაბ. 1-115. ჩასაკრავი ტაბ. I, II.
6. ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები. თბ. 1994. 117 გვ. ტაბ. 1-23.

7. კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა. თბ. 1994. 131 გვ. ტაბ. I-XXXV.
8. ბეთანიის წარწერები. თბ. 1994. 64 გვ. სურ. 1-13.
9. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. *კატალოგი-გზამკვლევი*. ახალციხე. 2000. 176 გვ.
10. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები და მათი ანდერძ-მოსახსენებლები. კრებ.: Dedicatio. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ. 2001. გვ. 223-286; 494-495 (ინგლ. რეზიუმე).
11. ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა (მოკლე მიმოხილვა). კრებ.: „ახალციხე-ყარსი" (სიმპოზიუმის შრომები). ახალციხე-ყარსი. 2001. გვ. 13-52 (ქართულ და თურქულ ენებზე).
12. ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები. XI-XIIIსს. თბ. 2003. 52 გვ; სურ. 1-28.
13. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბ. 2004. 372 გვ. 80 სურ.
14. საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან „ვარდების რევოლუციის" ჩათვლით, კონსპექტური სალექციო კურსი (თანაავტორი – კ. შენგელია). თბ. 2006. 358 გვ. + 96 ფერადი ტაბულა.
15. ოშკი – X ს. მემორიალური ტაძარი. თბ. 2006. 378 გვ. + 54 ფერადი ტაბულა.
16. ტაო-კლარჯეთი. თბ. 2006/2007 (თანაავტორი – *კ. შენგელია*).
17. History of Georgia, From the Ancient Times Through the "Rose Revolution", Tb. 2007. 294 გვ. (თანაავტორი *კ. შენგელია*).
18. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067). თბ. 2009. 218 გვ. (რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე).
19. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. თბ. 2010. 166 გვ. (რეზ. რუს და ინგ. ენებზე). მეორე, შევსებულ-შესწორებული გამოცემა.

სამეცნიერო მუშაობის გარდა პროფესორი ვალერი სილოგავა ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. იგი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა თსუ სოხუმის ფილიალ-

თან, იყო საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ამ ღვაწლმოსილი პიროვნების საქმიანობა მესხეთში: ბოლო 20 წელია მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა ახალციხისა და ახალქალაქის უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც იგი იყო საქართველოს ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, იმ მხარეში წარმოებული ქართველოლოგიური კვლევების მთავარი სულის ჩამდგმელი და არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდის დამრიგებელი.

პროფესორ ვალერი სილოგავას სამეცნიერო თუ პედაგოგიური ღვაწლი არაერთხელ აღინიშნა სამთავრობო ჯილდოებითა თუ სამეცნიერო პრემიებით:

ღირსების ორდენი (2001 წელი).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია (2009 წელი).

ამ მცირე მოცულობის წერილში ძნელი იქნება მისი შემოქმედების ძირითადი ასპექტების წარმოჩენაც კი.

***„დასასრულს, ბოდიშს ვიხდი ცოცხლების წინაშე და მაპატიონ გარდაცვლილთა სულებმა...“***, – ამ სიტყვებით ასრულებს თავის ერთ-ერთ ნარკვევს პროფესორი ვალერი სილოგავა იმის აღსანიშნად, რომ „მეტის გაკეთება“ ვერ შეძლო, „მეტი ვერ მოახერხა“.

პროფ. ვალერი სილოგავას შემოქმედების, სამეცნიერო წვლილის სათანადო და სრულყოფილი გააზრება-გაანალიზება მომავლის საქმეა. იმედია, რომ მისი მოსწავლეები პირნათლად შეასრულებენ ამ არცთუ იოლ სამუშაოს.

*გიორგი ჟუჟუნაშვილი*